მარიო ვარგას ლიოსა

ქალაქი და ძაღლები

რომანი

მარიო ვარგას ლიოსა

ქალაქი და ძაღლები

თარგმნა ამირან გაბესკირიამ

პირველი ნაწილი

კ ი ნ ი. ჩვენ ვთამაშობთ გმირებს, ვინაიდან ლაჩრებად ვართ დაბადებულნი, წმინდანებს, ვინაიდან ჭურჭელნი ვართ ბოროტებისა, მკვლელებს, ვინაიდან სული მიგვდის მოყვასის კვლაზე; ჩვენ ვთამაშობთ ჩვენი დღე და მოსწრება, ვინაიდან მატყუარებად გავჩენილვართ ამქვეყნად.

ჟან პოლ სარტრი

I

— ოთხია, — გამოაცხადა იაგუარმა.

ბუნდად ანათებდა დამტვერილი ფიალა ჭერზე. ამ შუქზე ჩანდა, რარიგ მოულბა ყველას პირისახე. პორფირიო კავამ იკითხოს, თორემ ყველა გადურჩა ხიფათს. კამათლები თეთრად ქათქათებდა ბინძურ იატაკზე. ერთზე სამი დამჯდარიყო, მეორეზე — ერთი.

— ოთხია, — გაიმეორა იაგუარმა. მაშასადამე, ვინ მიდის?

— მე, — ჩაიბურდღუნა კავამ — ოთხი მე ვთქვი.

— მერე რაღას ითრევ ფეხს, — უთხრა იაგუარმა, — ხომ იცი, მარცხნიდან მეორე ფანჯარაა. კავას გააჟრჟოლა. საპირფარეშოში სარკმელი არ იყო, ხის ფარატინა კარი ჰყოფდა მას საწოლ

ოთახიდან. წინა წლებში ღრიჭოებიდან და ჩატეხილი ფანჯრებიდან მხოლოდ საწოლ ოთახებში უბერავდა ზამთრობით ქარი, ახლა კი მთელ შენობაში დანავარდობდა, ღამღამობით საპირფარეშოშიც დაზუოდა და დღისით დაგროვილ სითბოსა და სიმყრალეს გარეთ ერეკებოდა. კავა მთაში იყო გაზრდილი, სიცივე აგრერიგად ვერ დაჯაბნიდა. რომ გააჟრჟოლა, ეს შიშის ჟრჟოლა იყო.

— მორჩა საქმე? შეგვიძლია დავიძინოთ? — იკითხა პითონმა და ძილმორეული თვალები დააფახულა. პითონი ერთი ახმახი ვინმეა, ხმა მეხივით უჭექს. გაზინთული თმა ზვინად ადგას თავზე. გოგრა დიდი თავი აქვს, სახე ერთი მუჭა, პირი ნიადაგ ღია. გადმობრუნებულ ქვედა ლაშზე თუთუნის ნაფხვენი მიკვრია.

იაგუარმა მისკენ მიატრიალა თავი.

— პირველ საათზე ჩემი მორიგეობაა, — წაილაპარაკა პითონმა — იქნებ ცოტა ხანს მაინც მომეხუჭა თვალი.

— გასწით, ხუთზე გაგაღვიძებთ, — უთხრა იაგუარმა.

პითონი და ქოჩორა გავიდნენ. რომელიღაცამ ზღურბლზე წაიბორძიკა და შეიკურთხა.

— რომ მობრუნდები, გამაღვიძე, — წაულაპარაკა კავას იაგუარმა — ჩქარა მორჩი. მალე თორმეტი გახდება.

— კარგი, — მუდამ შეუვალ სახეზე ახლა დაღლილობა ეტყობოდა კავას — წავალ და ჩავიცვამ.

საწოლ ოთახში ბნელოდა, მაგრამ კავა სიბნელეშიც არ მიჯახებია ერთმანეთზე აკოკოლავებულ საწოლებს. ამ გრძელ, მაღალ ოთახში ყველაფერი ხუთი თითივით იცოდა. აქ ახლა სიწყნარე სუფევდა. ხანდახან ვიღაცას წამოაბოდებდა ძილში ან ვიღაც წაუხვრენდა. აგერ მისი საწოლიც. მარცხნიდან მეორე, თანაც ქვედა, კარიდან ერთ მეტრზე — ხელის ფათურით გამოიღო კარადიდან შარვალი, წაღები და ხაკისფერი ხალათი. ზედა საწოლზე ვალიანო ზანგს ეძინა. ესმოდა მისი ფშვინვა და თამბაქოს

ნასუნთქიც მოსდიოდა. დიდრონი კბილები თეთრად უელავდა ზანგს სიბნელეში. „ნაღდი ვირთხაა“, — გაიფიქრა კავამ, დინჯად, უხმაუროდ გაიხადა თივთიკის ცისფერი პიჟამა, ჩაიცვა შარვალ-ხალათი, ზემოდან მაუდის ქურთუკი მოისხა. მერე ფეხაკრეფით გასწია იაგუარის საწოლისკენ — წაღებს ჭრიჭინი გაუდიოდა. იაგუარს ოთახის მეორე თავში ეძინა, საპირფარეშოს ახლოს...

— იაგუარ...

— აჰა, წაიღე.

კავამ ხელისგული მიუშვირა. ორივე საგანი ცივი იყო, ერთი კიდევ ხორკლიანი. ფარანი ხელში დაიკავა გავამ, ქლიბი ჯიბეში ჩაასრიალა.

— ვინ მორიგეობს? — იკითხა კავამ — მე და მწერალა — შეენ? — ჩემ მაგივრად მათხოვარა იქნება — სხვა რაზმეულიდან? — დაფ-რთხი თუ?

კავას პასუხი არ გაუცია, თითის წვერებზე გაემართა კარისა-კენ, ფრთხილად გამოხსნა ცალი კარი. კარმა ჭრიალი გაიღო.

— არიქა, ქურდი! — დაიძახა ვიღაცამ სიბნელეში, — ერთი მის-ცხე მაგას, მორიგევ!

ვინ იყო, კავამ ხმაზე ვერ იცნო. გარეთ გაიხედა. საწვრთნელი მოედნის ფარანთა სუსტი შუქი ანათებდა ცარიელ ეზოს. კადეტთა კორპუსებს ეს მოედანი ჰყოფდა მინდვრიდან. ცემენტის სამი ბლოკი ნისლს დაებურა, მეხუთე კურსის სამყოფელიც ძლივსღა მოჩანდა. კავა გამოვიდა და კედელს აეკრა. ერთხანს დაჰყო ასე, არაფერზე აღარ ფიქრობდა. ახლა სულ მარტო იყო, იაგუარსაც კი არ ელოდა ხიფათი. ნეტა იმათ, ვისაც სძინავს — კადეტებს, სერჟანტებს. ჯარისკაცებიც კი არხეინად ხვრინავენ ალბათ სას-პორტო მოედნის მეორე მხარეს მდგარ ფარდულში. არა, აქ რომ კიდევ ცოტა ხანს დაჰყოს, მერე შიშით ნაბიჯსაც ვერ გადაადგამს. თვალით გაზომა მანძილი — ჩრდილ-ჩრდილ უნდა გაიაროს, ეზო, მერე მოედანი, შემოუაროს სასადილო შენობას, ოფიცერთა

კორპუსებს, ისევ გადაჭრას მოასფალტებული პატარა ეზო სასწავლო კორპუსის წინ. იქ უკვე საშიში აღარაფერია, ყარაული, იქით აღარ დადის. შემდეგ უკანვე წამოვა. ნეტა, მანქანასავით შეეძლოს ბრმად იმოძრაოს და იმოქმედოს, არაფერზე იფიქროს. აქამდე ანგარიშმიუცემლად ცხოვრობდა, განრიგს ემორჩილებოდა, მის მაგივრად სხვები იჭყლეტდნენ ტვინს. ახლა ყველაფერი შეიცვალა. პასუხისმგებლობა მას ედო ტვირთად და ტვინიც საოცრად ნათლად უმუშავებდა.

— კავა კედელ-კედელ გაჰყვა გზას. ეზო აღარ გადაჭრა — შორიდან დაუარა. მეხუთე კურსის ყაზარმის კუთხეს რომ მიაღწია, მზერა დაძაბა. წინ უსაზღვრო და იდუმალი მოედანი ჩანდა, ნისლში გუნდად მოციმციმე ფარნებით შემორაგული. მოედნის იქით, სადაც სინათლე ვერ აღწევდა, ჩაბნელებული მინდორი გაარჩია. როცა არც ისე ძალიან ციოდა, მორიგეები იქ ეყარნენ ხოლმე ბალახში, ეძინათ ან ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. მაგრამ იმედია ახლა საპირფარეშოში იქნებიან შემძვრალნი და ბანქოს თამაშობენ. კავა ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა მარცხნივ მდებარე შენობათა რიგს, ცდილობდა შუქზე არ ევლო. ოკეანე ახლოს იყო, ამ გალავნის იქით, კლდეებს გადაღმა და ტალღების ხმაურში ფეხის ხმა აღარ ისმოდა. ოფიცერთა კორპუსთან ნაბიჯს აუჩქარა, მოედანი გადაიარა, მინდორში გავიდა და სიბნელეს შეერია. უცებ სულ ახლოს რაღაცამ გაიშრიალა. დაძლეულმა შიშმა ისევ თავის კლანჭებში მოაქცია. წამით ნაბიჯი შეანელა. რაღაც სამიოდე მეტრზე მისგან ლამა იდგა. ციცინათელებივით უციმციმებდა მორჩილად მზირალი თვალები. „მოწყდი აქედან!“ — წაუსისინა ბიჭმა. ლამა არც განძრეულა. „ჯანდაბას შენი თავი! ნეტა როდისღა სძინავს? — გაიფიქრა გუნებაში — რომ არც ჭამს არაფერს. რითი უდგას სული?“ კავა ისევ გაუდგა გზას. ამ ორნახევარი წლის უკან, როცა ლიმაში ჩამოვიდა სასწავლებლად, ძალიან გაუკვირდა, სასწავლებლის ობით დაჭმულ რუხ კედლებში ეს მთის შვილი

რომ დაინახა უშიშრად მობორიალე. ვინ ჩამოიყვანა იგი აქ, მთის რომელი კუთხიდან? კადეტები რომ სროლაში ვარჯიშობდნენ, ლამა გულგრილად იდგა, სეტყვასავით დაშენილ ქვებს უნდილად არიდებდა თავს. „რაღა ეგ და რაღა ინდიელები!“ — გაუელვა კავას თავში. იგი უკვე კიბეზე ადიოდა, საკლასო ოთახებისკენ, წაღების ჭრიჭინი აღარ აშინებდა, — აქ მერხებისა და კათედრების, ქარისა და ჩრდილების საუფლო იყო. ჩქარი ნაბიჯით გაიარა დერეფანი და შედგა. ფარნის მკრთალ შუქზე ფანჯარა დაინახა. მარცხნიდან მეორეო, — ასე თქვა იაგუარმა. მინა მართლაც მორყეული ყოფილა. ქლიბით ააფხიკა სველი საგოზავი, ფრთხილად ჩამოხსნა მინა, იატაკზე დადო, მერე ხელი შეჰყო ჩარჩოში, მონახა რაზა, გააღო ფანჯარა და გადაძვრა. ფარნის შუქზე მიმეოგრაფის გვერდით სამ-სამ დასტად დაწყობილ საგამოცდო ბილეთებს ჰკრა თვალი. „ორთვიური საგამოცდო ქიმიაში. მეხუთე კურსი, გამოკითხვა ორმოცი წუთი“, — ეწერა ზედ. ბილეთები დღეს დაებეჭდათ, მელანი ჯერაც ბრწყინავდა. ჰაიჰარად, დაუფიქრებლად გადმოიწერა კითხვები უბის წიგნაკში. ფარანი ჩააქრო და ფანჯრიდან გადმოხტა. ფეხქვეშ შუშის ლაწანი გაისმა. „ფუი ეშმაკს!“ — დაიკვნესა ბიჭმა. შიშით წელში ვეღარ გაიმართა. ეგონა, აი ახლა შეიქმნება ალიაქოთი, ყვირილი, დასჭექენ ოფიცრები, მაგრამ საკუთარი ქშენის გარდა ჩქამიც არ ესმოდა. ერთხანს შეიცადა, რის ვაივაგლახით მობოჭა მერე შუშის ნამსხვრევები და ჯიბეში ჩაიყარა. არც გახსენებია, ფარანი რომ უნდა აენთო. შიში აღარ უგრძვნია გამობრუნებისას. მხოლოდ იმას ნატრობდა, ჩქარა მიეღწია ლოგინამდე, შიგ შემძვრალიყო, თვალები დაეხუჭა. შუშები ეზოში დაყარა და ხელი გაიჭრა. ყაზარმის კართან წამით შედგა — ისე გამოსცლოდა არაქათი. სიბნელეში ვიღაც გამოემართა მისკენ.

— მოიტანე? — ჰკითხა იაგუარმა — კი — საპირფარეშოში შევიდეთ.

იაგუარი წინ გაუძღვა. საპირფარეშოს კარს ორივე ხელი ჰკრა. ბუნდ, მოყვითალო შუქზე შეამჩნია კავამ, იაგუარი ფეხშიშველა იყო. დიდრონი აქოთებული თეთრი ტერფები ჰქონია, ჭუჭყიანი ფრჩხილები.

— შუშა ჩავლეწე, — ჩუმად წაილაპარაკა კავამ.

იაგუარი ქურთუკის კალთებზე ჩააფრინდა. კავა შეტოკდა. აგრეხილი წამწამებიდან რისხვით მიჩერებოდა იაგუარის თვალები, მაგრამ მზერა მაინც არ აარიდა კავამ.

— სხვას რას უნდა ელოდო თქვენისთანა ველურებისაგან!.. — კბილები გააკრაჭუნა იაგუარმა — იცოდე, თუ ჩავვარდით.. — კავა შეეცადა ქურთუკის კალთები გამოეგლიჯა მისთვის.

— ხელი გამიშვი, ველურო! — უთხრა იაგუარმა და დორბლები შეაშხეფა.

კავამ ხელი უშვა — იქ არავინ იყო, — წაიჩურჩულა, — არავის დავუნახივარ, იაგუარმა ხელი ჰკრა და მუშტზე იკბინა.

— ნეტა ვინ გგონივარ? — თქვა კავამ — თუ ჩავვარდით, ყველაფერს მე ვიკისრებ, მეტი რა გინდა.

იაგუარმა ახედ-დახედა, ჩაიცინა.

— აი, შე აქოთებულო ველურო. შიშით ჩაგისველებია კიდეც, შარვალს დახედე.

დაავიწყდა ის სახლი სალავერის ქუჩაზე ახალ მაგდალენას უბანში რომ იყო, სადაც ლიმაში ჩამოსვლის შემდეგ დაბინავდნენ. დაავიწყდა, მთელი თერთმეტი საათი რომ მანქანაში იჯდა, მინაზე ცხვირმიჭყლეტილი. გვერდით ჩაქროლილ საცოდავ სოფლებს, ცარიელ მინდვრებს, ღობეებში გაელვებულ ზღვას, ბამბის ნათესებს, სანაპიროს გაჰყურებდა და თან კანკალებდა, „ლიმას ვნახავო“. დედა ეხვეოდა და ჩასჩურჩულებდა: „რიჩი, რიკარდიტო“. „ნეტა რა ატირებს?“ — ფიქრობდა ბიჭი. მგზავრებიდან ვინ თვლემდა, ვინ კითხულობდა, მძღოლი რაღაც მხიარულ

ჰანგს დაჰღიღინებდა. დილიდან მოყოლებული დაღამებამდე რიკარდო სულ სარკმელში იცქირებოდა, ნეტა როდის გამოჩნდებაო გაჩახჩახებული ქალაქი, ძილი ნელ-ნელა მიეპარა, თვალები დაუბინდა და სმენა დაუხშო, მაგრამ თვლემამორეული მაინც იმეორებდა: „არ დავიძინებ“. უცებ ვიღაცამ ნაზად შეანჯღრია: „რიჩი, ჩამოვედით, გაიღვიძე“. თურმე დედის კალთაში ზის და თავი მის მხარზე ჩამოუდევს. ციოდა. დედის ბაგე მსუბუქად შეეხო ტუჩებზე. ნამძინარევს ისე ეჩვენა, თითქოს ძილში კატის კნუტად ქცეულიყო. მანქანა ნელა მიდიოდა, თვალში ერეოდა სახლები, სინათლე, ხეები. ჩიკლაიოს ყველაზე დიდ ქუჩაზე გრძელი ყოფილა ეს ქუჩა. უცებ ვერ მიხვდა, რომ ყველანი ჩასულიყვნენ. მძღოლი ისევ ღიღინებდა რაღაცას. „ნეტა როგორია?“ — გაუელვა თავში და კვლავ მოუნდა ლიმაში ყოფნა. ამ სამი დღის წინ დედამ განზე გაიყვანა — დეიდა ადელინამ არ გაიგონოსო — და უთხრა: „ჩვენ მოგატყუეთ, მამა ცოცხალია. დიდხანს არ იყო აქ, მოგზაურობდა, ახლა კი დაბრუნდა და ლიმაში მიგველის“. მას აქეთ ბიჭს ოცნებად გადაექცა ლიმაში ჩასვლა.

— „სადაცაა მივალთ“, — უთხრა დედამ. „მგონი სალავერის ქუჩა, ხომ?“ — წაიმღერა მძღოლმა. „დიახ, ოცდათვრამეტი ნომერი“, — მიუგო დედამ. ბიჭმა თვალები დახუჭა, თავი მოიმძინარა. დედამ აკოცა. „ნეტა რად მკოცნის ტუჩებში?“ — გაიფიქრა რიკარდომ. მარჯვენა ხელი მაგრად ჩაეჭიდა სკამისათვის. მანქანამ რამდენჯერმე მოუხვია და გაჩერდა. თვალი არ გაუხელია, ისე მიეხუტა დედას. ისევ ისე ხელში აყვანილი ჰყავდა დედას. უცებ დედას ტანი დაეძაბა. „ბეატრის“, — დაიძახა ვიღაცამ და კარი გააღო. ვიღაცამ ბუმბულივით აიტაცა ხელში ბიჭი და ძირს ჩამოსვა. ბიჭმა თვალები გაახილა: დედა ვიღაც კაცს ეხვეოდა და კოცნიდა. მძღოლი აღარ ღიღინებდა. ქუჩა ცარიელი იყო. შესცქეროდა ბიჭი დედასა და იმ კაცს და წამებს ითვლიდა. ბოლოს დედა მისკენ მობრუნდა.

— რიჩი, ეს მამაშენია. აკოცე. უცხო კაცის მკლავებმა ზე აიტაცა, პირისახე მოუახლოვა, მისი სახელი წაიჩურჩულა და მშრალი ბაგე ლოყაზე შეახო. ბიჭი მოიღუნძა.

დაავიწყდა შემდეგ რაც იყო: უცხო ლოგინი, ცივი ზეწარი, მარტოობა, სიბნელე, როცა ცდილობდა და ირგვლივ მაინც ვერაფერს არჩევდა. დარდი და ნაღველი ეკალივით ჩარჭობოდა გულში. დეიდამ ერთხელ უთხრა: „იცი, სიბნელეში რად ყმუიან მინდვრის მელიები? სიჩუმისა ეშინიათ“. ლამის თვითონაც ეყმუვლა, ოღონდ კი ეს მკვდარი ოთახი გაეცოცხლებინა. ფეხშიშველა, ნახევრად ჩაცმული, სირცხვილისაგან აცახცახებული მიადგა კარს (რომ შემოვიდნენ და დაინახონ?) და ლოყა მიადო. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. მერე ჩაწვა და ატირდა. არ გამიგონო, პირზე ხელებს იფარებდა. გარეთ ირიჟრაჟა, ქუჩა გამოცოცხლდა. ის კი იწვა თვალღია და სმენადქცეული. დრო მიდიოდა. ბოლოს ჩურჩული გაიგონა, სიტყვებს ვერ არჩევდა. მერე სიცილი და ხმაური ჩაესმა. აგერ გაიჭრიალა კარმა, გაიგონა ფეხის ხმა, გაიშრიალა კაბამ. ნაცნობმა ხელებმა საბანი გადაახურა. ცხელი სუნთქვა მოელამუნა ლოყაზე. თვალი გაახილა ბიჭმა. დედა იღიმებოდა:

„დილა მშვიდობისა, — ნაზად ჩაულაპარაკა დედამ, — არ მაკოცებ?“ — „არა“, — უთხრა ბიჭმა.

„მე შემიძლია მივიდე და ოცი სოლი ვთხოვო. ვიცი, გული აუჩუყდება და ორმოცდაათსაც მომცემს, მაგრამ ეს ხომ იგივე იქნება, ვუთხრა: დედაჩემის წყენა გაპატიე, იოხრე, რამდენიც გენებოს, ოღონდაც მე ჩემი მომეცი-მეთქი“. ალბერტო ტუჩებს აცმაცუნებს. ყელზე ნაქსოვი ყელსახვევი ახვევია, — დედამ აჩუქა ამ ორი თვის წინათ. ბერეტი ყურებამდე ჩამოუფხატავს, საყელო აწეული აქვს, რომ არ შესცივდეს. თოფს უკვე მიეჩვია, ვეღარც კი გრძნობს მხარზე. „ერთი დედასაც უნდა ვუთხრა, ნეტა რა გააჭი-

რა საქმე! ჯანდაბას იმის თავი, თვეში ერთხელ გამოგზავნოს ჩეკი, ვინემ არ მოვა ჭკუაზე და არ დაბრუნდება-მეთქი. მაგრამ ხომ ვიცი, დედა ატირდება და მეტყვის: მაცხოვარი ჯვარს ეცვა და ჩვენც უნდა მორჩილად ავიტანოთ წამებაო. თუმცა კიდეც რომ დამთანხმდეს, იმდენს იჯანჯლებს, ოც სოლს ხვალ მაინც ვერ მოვიგდებ ხელში“. წესდების მიხედვით მორიგემ მოედანსა და თავისი კურსის ეზოს უნდა შემოუაროს, ალბერტო კი წინ და უკან დაიბიჯებს, კორპუსსა და მაღალ გალავანს შუა, სასწავლებლის წინამხარეს რომ ჰყოფს ქუჩისგან. საღებავგადაცლილ რკინებს შუა ზებრასავით აჭრელებული ასფალტის გზა და კლდეთა გრეხილი მოჩანს. ესმის ტალღების დგაფუნი. ნისლი რომ შეთხელდა, შორს, პუნგის პლაჟზე ზღვაში ბრჭყვიალა ისარივით შეჭრილ ზვირთმჭრელსაც არჩევს. ცოტა იქით სინათლეები მარაოსავით შემოხვევია უხილავ ბოღაზს. იქ ალბერტოს უბანია — მირაფლორესი. ყოველ ორ საათში ერთხელ ოფიცერი ამოწმებს მორიგეებს. ჰოდა, ისიც პირველ საათზე თავის ადგილზე დახვდება. მანამდე კი შეუძლია იფიქროს და იოცნებოს იმაზე, შაბათს რომ წავა ქალაქში და იქ რას გააკეთებს. „ეგების სიზმრად ექცეთ ის ფილმი ამ ჩვენს ტიპებს, გადაირიონ, შარვლიან ქალებს, შიშველ ფეხებს, მუცლებსა თუ სხვა მისთანებს რომ ნახავენ. გიყვარდეს, შემიკვეთენ მოთხრობებსა და წინასწარ ჩამიჯიბავენ ფულსაც. მაგრამ როდის გინდა დაწერო, როცა ხვალ ქიმია უნდა ჩავაბარო და თანაც იაგუარს ფული მივაშავო, რომ მითხრას, რა საკითხებია? ამ იქნებ ვალიანომ მიკარნახოს იმის საფასურში, წერილებს რომ ვუწერ. მაგრამ შეიძლება კი ზანგს დაენდოს კაცი?.. რა იცი, სხვებმაც მთხოვონ, მიმიწერე წერილიო, თუმცა ექნებათ კი ფული კვირის ბოლოს, როცა ოთხშაბათს ჰიბრიდთან მიაფშუტეს ყველაფერი ან კარტში წააგეს? შეიძლება დაჯარიმებულებს წავგლიჯო რამე, თუკი მთხოვეს, სიგარეტები გვიყიდეო, მე კი სამა-

გიეროდ წერილებს ან მოთხრობებს დავუწერ. იქნებ ღვთის წყალობით სასადილოში, კლასში, ან საპირფარეშოში ვიპოვო საფულე და შიგ ოცი სოლი იყოს. ან ლეკვების ყაზარმაში შევძვრე და კარადებში მოვქექო ოცი სოლი, ორმოცი კარადა გავხსნა და ორმოცდაათ-ორმოცდაათი სენტავო დავაძვრინო თითოდან. არავინაც არ გაიღვიძებს. თითო კარადაში ოცი სენტავო მაინც მოინახება. ან იქნებ სერჟანტსა თუ ლეიტენანტს მივადგე და ვუთხრა — ოცი სოლი მასესხეთ, მეც კაცი ვარ, მეც მინდა ოქროს ფეხუცებთან წავიდე-მეთქი... ნეტა ვინ ოხერი ღრიალებს იქა?". — ალბერტომ უცბად ვერც იცნო, ვისი ხმა იყო, არც ის გახსენებია, რომ მორიგეა და თავის ადგილზე არ დგას. მაგრამ როცა იმ ვიღაცამ კიდევ უფრო ხმამაღლა დასჭექა: „აქ რა გინდა, რას აკეთებო"? ფიქრებიდან გამოერკვა, წელში გასწორდა და თავი ასწია. მორევივით დაუტრიალდა თვალწინ გასასვლელის კედლები, მერხზე ჩამომსხდარი სალდათები, ბრინჯაოს გმირი, ნისლსა და ჩრდილებისთვის რომ მოეღერებინა გაშიშვლებული დაშნა. ცხადად წარმოუდგა თავისი გვარი დასჯილთა სიაში; გულმა დაგადუგი დაუწყო, შიშმა აიტანა, ტუჩებით ანგარიშმიუცემლად რაღაცას ჩურჩულებდა თავისთვის. ძეგლსა და ალბერტოს შუა, ხუთიოდე მეტრზე დოინჯშემოყრილი ლეიტენანტი რემისიო უარინა იდგა და ბიჭს მისჩერებოდა.

— აქ რას აკეთებთ?

ლეიტენანტი მისკენ მოაბიჯებს. ალბერტო ხედავს კვარცხლბეკს, ამჩნევს კვარცხლბეკის ქვაზე ხავსსაც, თუმცა გასავლელიდან მქრქალი სინათლე ეცემა და იქნებ ელანდება. სალდათებმა აკი გაწმინდეს ძეგლი:

— აბა, რას მიბრძანებთ? — ეუბნება ლეიტენანტი და თანდათან უახლოვდება — ალბერტო გაჯგიმული დგას და არ ინძრევა. ხელი ბერეტზე აქვს მიწებებული. არც ჩია ოფიცერი ირხევა, თუმცა ამ

ნისლში ბუნდად მოჩანს, მგონი, არც დოინჯი ჩამოუხსნია წელიდან.

— ნება მომეცით რჩევა გკითხოთ, სენიორ ლეიტენანტო, — ეუბნება ალბერტო... „რა იქნება ვუთხრა, მუცელი მტკივა, ვკვდები, ასპირინი უნდა დავლიო-მეთქი, ან დედა მიკვდება, ან ლამას ტყვია ესროლეს. ან მოდი და ვთხოვ: „ნება დამრთეთ ჩემს პირად ამბავზე მოგახსენოთ-მეთქი“.

— მე უნდა მეკითხა, — სარგადაყლაპულივით ეჭიმება ალბერტო ოფიცერს. „ვეტყვი, მამაჩემი გენერალია, კონტრადმირალი, მარშალი, მე თუ დამსჯით, ლეიტენანტად ამოგძვრებათ-მეთქი სული.. იმასაც ვეტყვი...“ ალბერტო წამით ყოყმანობს, მერე ცრუობს — პოლკოვნიკმა გვითხრა, ოფიცრებს შეგიძლიათ მიმართოთ პირად საქმეებზეო. — გვარი, სახელი, რაზმეული, — ეუბნება ლეიტენანტი. დოინჯი უკვე აღარ აქვს შემოყრილი, ამიტომ უფრო დაგვაჯული და შეუხედავი ჩანს. ერთი ნაბიჯით კვლავ წინ მოიწევს. ახლა ალბერტო სულ ახლოდან ხედავს წაწინწილებულ ცხვირს, გომბეშოსავით დაკუჭულ თვალებს, ვითომ უდრეკობის ნიშნად შეჭმუხნილ წარბებს, დამრგვალებულ, უფრო სწორად, გაბღენძილ თავ-პირს. ასე დამანჭავს ხოლმე სახეს, როცა თავისივე გამოგონილ სასჯელს ნიშნავს: „აბა, რაზმეულის მეთაურებო, მიაკერეთ ექვს-ექვსი საჯარიმო ყოველ მესამე და მეშვიდე კადეტს“ — ალბერტო ფერნანდესი გახლავართ. მეხუთე კურსი, პირველი რაზმეული.

— საქმე, საქმე მიბრძანეთ..

— მგონი, ავად ვარ, სენიორ ლეიტენანტო. ყოველ ღამე რაღაცეები მეჩვენება — ალბერტოს მორჩილად დაუხრია თვალები, მძიმე-მძიმედ ლაპარაკობს. თავი გამოლაყებული აქვს, ენა თავისთავად ფქვავს რაღაც სისულელეს გომბეშოს მახეში გასაბმელად — საშინელებაა, სენიორ ლეიტენანტო.

ხან ვიღაცას ყელს ვჭრი, ხან მე მომდევენ მხეცები, ადამიანის

სახე რომ აქვთ. ოფლში გაღვრილს მეღვიძება. საშინელებაა, სენიორ ლეიტენანტო, ღმერთმანი.

ლეიტენანტი კადეტს აკვირდება. ალბერტო ატყობს, გომბეშოს თვალები გამოუცოცხლდა — უნდობლობისა და გაოცების მქრქალი ნაპერწკლები კიაფობს შიგ. „ვაიმე, არ გამეცინოს, არ ავბღავლდე ან არ ვიყვირო და გავიქცე“. ლეიტენანტმა უარინამ მოათავა შემოწმება, ნაბიჯი გადადგა უკან, წასვლა უნდა.

— მე აქ მღვდელი ხომ არ გგონივართ? — იღრიალა მან — ეგ თქვენს მშობლებს ჰკითხეთ.

— თქვენი შეწუხება არც მიფიქრია, სენიორ ლეიტენანტო, — ბურტყუნებს ალბერტო.

— ეჰეი, ეს რა ამბავია? — ლეიტენანტმა გაწინწილებული ცხვირი ლამის მკლავზე დაადო ბიჭს და თვალები გადმოკარკლა, — მორიგე ხართ?..

— დიახ, ბატონო ლეიტენანტო.

— მერე, არ იცით, რომ საგუშაგო არ უნდა დატოვოთ?

— ვიცი, სენიორ ლეიტენანტო.

— პირადი საკითხები მომინდომა! მთლად რეგვენი ყოფილხართ! — ალბერტომ სუნთქვა შეიკრა. ლეიტენანტს აღარ ეღრიცება სახე, პირი დააღო, თვალები უფრო წამოეკუსა, შუბლი ნაოჭებმა დაუსერა. იგი იცინოდა — რეგვენი, დიახ! ჯანდაბას თქვენი თავი! ახლავე საგუშაგოზე გასწით. მადლობა მითხარით, რომ სასჯელი არ მოგაკერეთ.

— დიახ, სენიორ ლეიტენანტო — ალბერტომ ხელი აუღო და გატრიალდა. ცალი თვალით ხედავს, როგორ იკლაკნებიან გუშაგები, სიცილს ძლივს იკავებენ. ესმის ოფიცრის ბურდღუნიც: „მღვდლები ხომ არ გგონივართ, ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი?“ წინ, მარცხენა მხარეს, ცემენტის სამი კორპუსი აყუდებულა: მეხუთე, მეოთხე და მესამე კურსის სამყოფელი, სადაც ლეკვები ცხოვრობენ. ცოტა იქით სასპორტო ნაგებობანია, — ფეხბურთის

მობიბინე მინდორი, მოედანი, ობით დაჭმული ხის ტრიბუნები. დახვრეტილი ფარდულის უკან, სადაც სალდათებს სძინავთ, მოშავო-მოწითალო კედელია; იქ თავდება სამხედრო სასწავლებლის არემარე და პერლის ტრიალი მინდვრები იწყება. „ძირს რომ დაეხედა და ჩემი წაღები დაენახა! იაგუარმა ბილეთები რომ ვერ იშოვოს ან იშოვოს და არ მენდოს ნისიად; ხვალ რომ ავდგე, მივადგე ოქროს ფეხუცებს თუ ვუთხრა: „მე სასწავლებლიდანა ვარ. ეს ჩემთვის სიფთა იქნება და შენც ბედსა გწევს“. იქნებ დიეგო ფერეზე წავიდე და ჩემს ბიჭებს ვესესხო ოცი სოლი. ან საათი დავაგირავო. ქიმიაში რომ ჩავიჭრა, ან ხვალ უზონრო წაღებით გამოვიჭიმო შემოწმებაზე — ჩავვარდები, როგორც დაგიბარებია“. ალბერტო მძიმედ მიაბიჯებს, ფეხებს ძლივს მიათრევს. ერთი კვირაა უზონროდ დადის და ყოველ წუთს შეიძლება ფეხსაცმელი გასძვრეს. ნახევარი გზა უკვე გავლილი აქვს ძეგლიდან ყაზარმამდე. ამ ორი წლის უკან მეხუთე კურსი სასპორტო მოედანთან ცხოვრობდა, ლეკვები — გასასვლელის ახლოს. მეოთხე კი მუდამ შუაში იყო მოქცეული, მტრების ალყაში. მერე ახალი უფროსი მოვიდა და გადაიყვან-გადმოიყვანა კადეტები. გამოაცხადა კიდეც: „გმირის მეზობლობა, ვის სახელსაც ატარებს სასწავლებელი, უნდა დაიმსახურო. ამიერიდან მესამე კურსის კადეტები მოშორებულ კორპუსში დაიძინებენ. დაწინაურებისდა მიხედვით თანდათან მიუახლოვდებიან გმირის ძეგლს. იმედია, სასწავლებლის დამთავრების ხანს ცოტათი მაინც დაემგვანებიან ლეონსიო პრადოს. იგი ხომ მაშინ იბრძოდა თავისი ქვეყნისათვის, როცა ამ ჩვენს ქვეყანას ახლანდელი სახელიც არ ერქვა. ჯარში, ეშმაკმა დალახვროს, სიმბოლოებს პატივსა სცემენ“..

„აროსპიდეს რომ ზონრები ავწაპნო, მთლად სინდისგარეცხილი ვიქნები. რაღა ჩემიანს, ქალაქელს მოვპარო, როცა აქ ამდენია ჩამოთრეული. მაგათთვის სულ ერთია, გინდა წასულან ქალაქში და გინდა არა, ისევ სხვა ვინმე უნდა ვეძიო. წრის წევრებს,

ქოჩორას ან იმ ასპიტ პითონს რომ ავცანცლო, არ იქნება: ბილეთებს აღარ მომცემენ და ქიმიაშიც, მოგეცა ლხენა, ჩავიჭრები. მათხოვარას? ვერაფერი ვაჟკაცობაა ეგეთი ცინგლიანი დაიბრიყვო. ასეც ვუთხარი იმ ზანგს: რას გადაეკიდე-მეთქი მაგ უბედურს? თვალებზე ეტყობა, რა დედალიცაა ეგ ზანგი, თუმცა გმირად კი მოაქვს თავი. ეგენი ყველანი დედლები არიან. თვალებს ქაჩავს, ძიგძიგებს, გიჟივით დარბის, ჩემი პიჟამა ვინ ამაცოცაო? მოვკლავო, იქადის, ლეიტენანტის, სერჟანტების გასაგონად ბღავის: „პიჟამა დამიბრუნეთ, იმ კვირია ქალაქში მივდივარ“. კი ბატონო, ლანძღე, დედა აგინე, მიბეგვე კიდეც, თუ გინდა, ან აუხსენი მაინც ხალხს, რა ოხრად გინდა ეგ პიჟამა. მაგრამ შემოწმების დროს ხელიდან წაგლიჯო — არა, ეს უკვე მეტისმეტია. ერთი გემოზე უნდა მიჟეჟო ეგ მათხოვარა, შიში რომ დაავიწყო, ზონრებს კი ვალიანოს ავაცოცებ ისევ“.

შესასვლელიც მეხუთე კურსის ეზოს წინ. ბნელა, ჰაერი ნოტიოა, ისმის ტალღების ტყლაშუნი. ახლა იქ, ცემენტის კედლის უკან, ჩახუთული ჰაერი დგას. ბიჭები საწოლებზე მოკუნტულან სიბნელეში. „იქნებ თავის ლოგინზე წევს, იქნებ საპირფარეშოში ზის, ან სადმე წავიდა, იქნებ ჩაძაღლდა. ვაი, სადა ხარ, ჩემო იაგუარიკო?“ მოედნის ფარანთა შუქი აქ ძლივს აღწევს და ეს ცარიელი ეზო სოფლის მოედანს დამსგავსებია. მორიგეების ჭაჭანება არაა. „ალბათ კარტს თამაშობენ. ფული რომ მქონდეს, თუნდაც ხურდა, ოც სოლს მოვიგებდი, იქნებ მეტსაც. რა იცი, ისიც თამაშობს ახლა. ერთიც ვნახოთ ნისიად მომცეს საკითხები, მე კი წერილებს დავუწერ, მოთხრობებს. ეს სამი წელი მაგ ოხერს არაფერი შემოუკვეთავს ჩემთვის. ისე კი სულ ტყუილად ვჩალიჩობ, მაინც ჩამჭრიან ქიმიაში“. ალბერტომ გალერეას შემოუარა: კაციშვილი არაა. შევიდა პირველი და მეორე რაზმეულის საძინებელში. საპირფარეშოები ცარიელია, ერთი ჯერაც ჰყარს. ჩამოუარა ყველა საპირფარეშოს, განგებ აბრახუნებს ფეხებს. გაგიგონია,

კადეტები ისევ ისე ფშვინავენ, ზოგი ნელა, ზოგი ჩქარ-ჩქარა. მეხუთე ოცეულის საძინებელში საპირფარეშომდე არ მისულა, შუა გზაზე გაჩერდა. ვიღაცას აბოდებს ძილში. „ლიდია“ — მხოლოდ ეს გაარჩია. „ლიდია? მგონი, არეკიპოდან რომაა, აი, იმას ჰყავს ლიდია, წერილი დამაწერინა, სურათიც მაჩვენა, მეღრიტინებოდა, მიყვარს და ლამაზად დამიწერეო. მღვდელი ხომ არ გგონივარ, შე ბაიყუშო, შენა. ლიდია?“ მეშვიდე რაზმეულის საპირფარეშოში, უნიტაზების წინ კადეტები ჩაყუნტულან, ზემოდან ქურთუკები გადმოუხურავთ, კუზიანებს დამგვანებიან. რვა შაშხანა ძირს გდია, ერთი კედელზეა მიყუდებული. კარი ღიაა. ალბერტომ ზღურბლიდანვე დაინახა ყველა. ნაბიჯი რომ გადადგა, ჩრდილმა გადაუღობა გზა.

— რა იყო? ვინ მოდის?

— პოლკოვნიკი. ვინ გითხრათ, ბანქო ითამაშეთო? საგუშაგო ცოცხალი თავით არ უნდა დატოვოთ — ალბერტომ საპირფარეშოში შეაბიჯა. თორმეტი გამოთაყვანებული სახე შემოაჩერდა. მორიგეების თავზე თამბაქოს კვამლის ბოლქვები დაცურავს. ნაცნობი არავინაა. ყველას ერთნაირად ყარაჩი, ტლანქი სიფათები აქვთ.

— იაგუარი არ გინახავთ?

— არა — რას თამაშობთ?

— პოკერს. დაჯდები? ცხადია, თხუთმეტიოდე წუთს ცდა მოგიწევს.

— მე ველურებს არ ვეთამაშები, მე იმათ თავზე.. — ამბობს ალბერტო და ხვანჯრისკენ მიაქვს ხელი.

— აბა, მოცოცხე აქედან, მწერალო, — ამბობს ვიღაცა, — თავს ნუ გაგივა.

— კაპიტანს მოვახსენებ, ველურები პოკერს თამაშობენ-მეთქი მორიგეობის დროს ტილებზე, — თქვა ალბერტომ და გატრიალდა.

უკან ლანძღვა-გინებით იჭაჭებიან, აი, უკვე ეზოშია. ერთხანს იდგა, იდგა და მერე მინდვრისაკენ გასწია. „იქნებ ბალახზე გდია და სძინავს, იქნებ უკვე დაითრია ბილეთები იმ ძაღლის გაგდებულმა... ვინემ მე აქ ვმორიგეობ, იქნებ უკვე გაიპარა...“ ალბერტომ მინდორი გადაიარა, ეზოს უკან გალავანს მიადგა. აქედან — ყველაზე იოლი გადასაპარავია: მეორე მხარეზე სწორია, ფეხებს არ მოიმტვრევ. დრო იყო, ყოველღამ იპარებოდნენ აქედან და აქედანვე მოძვრებოდნენ დილაობით. ახალმა პოლკოვნიკმა ოთხი გარიცხა — ოთხივეს აქ წაასწრეს. ახლა მთელი ღამე ორი სალდათი დააბიჯებს წინ და უკან. სხვა ადგილებიდანაც ისე აღარ იპარებიან უკვე. ალბერტო გამოტრიალდა, მეხუთე კურსის ცარიელი ეზოსაკენ წამოვიდა. შუაგზაზე ცისფერ ალს მოჰკრა თვალი. მივიდა — იაგუარი ხარ?

პასუხი არავინ გასცა. ალბერტომ ფანარი მოიმარჯვა — მორიგეებს შაშხანის გარდა ფანარი და მუქი წითელი ხელსახვევი აქვთ. ფანრის შუქი მიწაზე აცეკვდა. სინათლის ზოლში გოგოსავით გადატკეცილი უფერული პირისახე გამოჩნდა. ოდნავ მილულული თვალები გაუბედავად შესცქერიან.

— აქ რას აკეთებ?

მათხოვარამ ხელი მოიჩრდილა ფარნის შუქზე. ალბერტომ ფანარი ჩააქრო.

— ვმორიგეობ — ვითომ გაიცინა ალბერტომ? ჯერ თითქოს აბუყბუყდა, მერე აღრუტუნდა...

— იაგუარის მაგიერ? შე საცოდავო!..

— საცოდავი შენა ხარ, — წყნარად წაილაპარაკა მათხოვარამ, — იაგუარს რომ ბაძავ და იმასავით იცინი...

— დედიშენისა ვბაძავ.. — უთხრა ალბერტომ, შაშხანა ბალახზე დადო, საყელო აიწია და ხელების ფშვნეტით მოუჯდა მათხოვარას — მომაწევინებ? თუ არა გაქვს?

სველი ხელი წამით შეეხო და მყის მოცილდა ალბერტოს თითებს. ხელისგულზე დასრესილი სიგარეტი ედო, ორივე მხრიდან ჩაჩუტული. „ფრთხილად, პატრულმა არ შეგამჩნიოს“, — წასჩურჩულა მათხოვარამ. „ფუი! ხელი დამეწვა“, — წაილაპარაკა ალბერტომ. განათებული სავარჯიშო მოედანი ვეებერთელა გამზირს ჰგავდა, ნისლში ჩაფლული ქალაქი რომ გადაეკვეთა.

— ნეტა როგორ გყოფნის სიგარეტები? — ჰკითხა ალბერტომ, — დი-დი-დიდი ოთხშაბათამდე ვიკმარო. — ბევრს არ ვეწევი და იმიტომ.

— ეგრე საცოდავი როგორ ხარ? არა გრცხვენია, იაგუარის მაგიერ რომ მორიგეობ?

— ეგ ჩემი საქმეა. შენ რა გადარდებს?

— მათხოვარივით გიხმარს. სხვებიც მათხოვარივით გექცევიან. ყველასი რატომ გეშინია? — შენი არ მეშინია.

ალბერტომ გაიცინა და უცებ მოსხიპა სიცილი.

— მართლა იაგუარივით ვიცინი. ნეტა რატომ ვბაძავთ ყველანი?

— მე არ ვბაძავ.

— ლეკვივით დაგიჯაბნა და ეგ არი, — უთხრა ალბერტომ — და ნამწვი გადააგდო. ერთი-ორი წამი ნამწვი კიდევ ბოლავდა, მერე ჩაქრა. მეხუთე კორპუსის ეზო ისევ ცარიელი იყო.

— ჰო, დაგიჯაბნა, — ალბერტომ პირი გააღო, დახურა, ენის წვერზე თითი მოისვა, მერე თამბაქოს ნამცეცი გასრისა, ტუჩზე დაიდო და გამოაფურთხა — აბა, თქვი, ერთხელ მაინც თუ გიჩხუბია ვისმესთან?

— კი, ერთხელ ვიჩხუბე.

— აქა?

— არა. ადრე.

— იმიტომაც გიჯაბნის ყველა. იციან, რომ გეშინია. თუ გინდა

შენი იწამონ, მუშტები უნდა დაატრიალო. არადა პარჩაგად გექ-ნება საქმე.

— მე არც ვაპირებ სამხედრო ვიყო.

— არც მე. მაგრამ ვინემ აქა ვართ, ასე გვქვია. ჯარში დოყლა-პიები სძულთ, გამიგე? თუ სხვა არ დაიბრიყვე, შენ დაგიბრიყვე-ბენ. მე კი არავის დავაბრიყვებინებ თავს.

— ჩხუბი არ შემიძლია, — თქვა მათხოვარამ, — არ გამომდის.

— არც გამოგივა, კოჭებში გეტყობა.

— ლეიტენანტმა გამბოამაც ეგ მითხრა.

— მაშ, მაშ. არც მე მინდა სამხედრო ვიყო, ეგაა, რომ აქ გაგწა-ფავენ, გასწავლიან, არავის არაფერი შეარჩინო, ვაჟკაცს გაგ-ხდიან.

— არც შენა ხარ სულ მთლად მუშტი-კრივზე გადასული, მაგ-რამ ჩემსავით არ გაწამებენ...

— იმიტომ, რომ ბრიყვად მომაქვს თავი. ეგენიც აღარ მაწუხე-ბენ. მაგათთან სიკეთე არ გაგივა, იმ წუთშივე თავზე დაგასხდები-ან.

— მწერალი გინდა იყო?

— გაგიჟდი? ინჟინერი გამოვალ. მამაჩემი შტატებში მაგზავ-ნის. წერილებსა და მოთხრობებს იმიტომ ვწერ, სიგარეტების ფუ-ლი ვიშოვო. შენ რა გინდა გამოხვიდე?. — მეზღვაურობას ვაპი-რებდი, — წაილაპარაკა მათხოვარმა.

— ახლა კი აღარ მინდა. იქნებ მეც ინჟინრობა გადავწყვიტო.

ნისლი გასქელდა. ფანრები მოედანზე თითქოს დაპატარავდა, შუქიც მოაკლდა. ალბერტომ ჯიბეები მოიჩხრიკა. ორი დღეა უსი-გარეტოდ ზის და მაინც, როცა გაბოლების ჟინი მოუვლის, უნებუ-რად ჯიბისკენ მიაქვს ხელი.

— ერთ სიგარეტსაც მომცემ?

მათხოვარა დუმს, მაგრამ იმავ წუთს მისი იდაყვი ალბერტოს ქამარზე მოხვდა. ბიჭმა ხელი დაუჭირა მათხოვარას. აბა უყურე

ამ გლახას, თითქმის სავსე კოლოფი ჰქონია. ალბერტომ ერთი ცალი ამოაძვრინა, პირში ჩაიდო და ენის წვერი შეახო. ეამა, კარგად დატენილი სიგარეტი რომ აღმოჩნდა, მერე ასანთს გაჰკრა, აცახცახებული ალი ხელისგულებში მოიქცია და მათხოვარას მიანათა.

— ტირი? — ალბერტოს — ასანთი ხელიდან გაუვარდა — ჯანდაბას ამისი თავი, არ დამწვა ხელი.

გაჰკრა მეორედ და სიგარეტს მოუკიდა. მერე ნაფაზი დაარტყა და ცხვირიდან და პირიდან ერთად გამოაბოლა — რა იყო? — ჰკითხა მათხოვარას მოგვიანებით.

— არაფერი.

ალბერტომ ისევ დაარტყა ნაფაზი. სიბნელეში სიგარეტის წვერმა გამოაშუქა, კვამლი ნისლს შეერია. ნისლი უკვე მიწაზე განრთხმულიყო, მეხუთე კურსის ეზო მთლიანად დაეფარა. კორპუსი დიდ უძრავ ლაქად ჩანდა.

— რა გიქნეს ასეთი? — წაილაპარაკა ალბერტომ — წირპლები რომ საქმეს შველოდეს...

— ქურთუკი ამაცალეს. მორჩა, ქალაქში აღარ გამიშვებენ, — ალბერტომ თვალი შეავლო. მწვანე ხალათზე მათხოვარას ყავისფერი უსახელო ჩამოეცვა.

— ხვალ უნდა წავსულიყავი. ქურთუკი კი მომპარეს.

— ვინ წაიღო, იცი?

— რა ვიცი, კარადიდან ამაცალეს.

— ას სოლს დაგიქვითავენ, ვინ იცის, მეტსაც.

— ეგ არ მადარდებს, ხვალ შემოწმებაა, გამბოა საშვს არ მომცემს, ისედაც ორი კვირაა შინ არ ვყოფილვარ — ახლა რა დროა?

— პირველს თხუთმეტი აკლია. უკვე შეგვიძლია წავიდეთ და დავიძინოთ.

— დაიცა, — წამოდგა ალბერტო — დრო კიდევ არის, წამო, ქურთუკი დავაძროთ.

მათხოვარა ზეზე წამოიჭრა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. თითქოსდა რაღაც საშინელება უნდა დატეხოდა თავზე.

— ჰო, ჩქარა, გაინძერი, — უთხრა ალბერტომ — მორიგეებმა რომ.. — ალუღლუღდა მათხოვარა.

— დაიკარგე აქედან! — შეუტია ალბერტომ — მაგ შენი ქურთუკის გამო ვინძლო მეც უსაშვოდ დავრჩე. ფუი, რა დედალი ყოფილხარ მართლა, გული მერევა რომ გიყურებ! მორიგეები საპირფარეშოში არიან შემძვრალნი და კარტს თამაშობენ.

მათხოვარა ჩანჩალით გაჰყვა შენობებისკენ. ამ თვალგაუტან ნისლში აღარც ჩანდნენ ისინი. სველი ბალახი ფეხქვეშ იბლიკებოდა. ზღვის ტალღების ტყლაშუნს სასწავლო და ოფიცერთა კორპუსების შუა მდგარ უკარ-უფანჯრო შენობებში მოზუზუნე ქარი აძლევდა ბანს.

— წამო, მეათესა ან მეცხრეში შევიდეთ. პატარებს მაგრად სძინავთ ხოლმე, — ჩუმად წაიდუდუნა მათხოვარამ.

— შენ ქურთუკი გინდა თუ სალორჩკე? — მოუჭრა ალბერტომ — მესამეში წავიდეთ.

ბიჭები გალერეას გაჰყვნენ. ალბერტომ კარს ნელა ჰკრა ხელი და უხმაუროდ შეაღო. მერე თავი შეჰყო და გამოქვაბულში შეპარული ნადირივით დაყნოსა იქაურობა. ოთახში ბნელოდა, ჩუმი ზრიალი იდგა. კარი მოიკეტა. „რომ გაიქცეს — შეხე ერთი, როგორ კანკალებს. რომ იბღავლოს — აბა, უყურე როგორ ქსიტინებს. იქნებ იაგუარი მართლა აპროწიალებს თავის ნებაზე — შეხე, როგორ დაასხა ოფლმა. სინათლე რომ აანთონ, ჩავვარდები, არ უნდა ლაპარაკი“.

„ერთი კარადა უკანა კედელთანაა, — ჩურჩულებს ალბერტო და მათხოვარას ტუჩებით ეხება ლოყაზე, — საწოლების მოშორებით“. „რა?“ — ეკითხება მათხოვარა, თუმცა ადგილიდან არ იძვრის. „აი, შე დამპალო! — ბუტბუტებს ალბერტო, — მიდი, გადადგი ფეხი, რას უყურებ!“ ფეხაკრეფით გადაჭრეს ოთახი, ხელები

წინა აქვთ გაშვერილი, არაფერს დავეჯახოთო. „ბრმა რომ ვიყო, ამოვიღებდი შუშის თვალებს, ჰა, შენ გქონდეს, ოქროს ფეხუცებო, ოღონდაც უარი არ მითხრა. მამა, გეყოს თრევა, მორჩი. მორიგემ საგუშაგო არ უნდა დატოვო“. აგერ, კარადაც. ალბერტომ ფიცრებზე მოაფათურა ხელი, მერე ჯიბიდან ქლიბი დააძრო, ხელით მოძებნა საკეტი, თვალები დახუჭა, კბილი კბილს დააჭირა. „ასე ვეტყვი, სენიორ ლეიტენანტო, სინდისს გეფიცები, წიგნს ვეძებდი, ქიმია თუ არ გავიზუთხე, ხვალ ჩავიჭრები. სინდისს გეფიცები, მამა, დედაჩემის წყენას თავის დღეში არ გაპატიებ. თუ დავიღუპე, შენი ქურთუკი დამღუპავს, მათხოვარა“. ქლიბი ჭუჭრუტანაში შეაცურა, მგონი, რაღაცას გამოედო, ხან წინ მისრიალებს, ხან უკან, ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ, აი, ღრმად შევიდა, გაჩერდა, საკეტმა დაიჩხაკუნა. ალბერტომ ძლივს გამოაძვრინა ქლიბი უკან. კარი ნელა გაიღო. მოშორებით ვიღაცამ რაღაც წაიბურტყუნა გაბრაზებით. მათხოვარამ თითები ჩაასო ალბერტოს იდაყვში. „ჩუ, მოგკლავ...“ — სისინებს ალბერტო. „რა თქვი?“ — ეკითხება მათხოვარა. ალბერტო კარადაში იქექება. ქურთუკის ბუმბლიან ქსოვილს ისე უცაცუნებს ხელს ზემოდან, თითქოს გოგოს უნდა მიეფეროს და ნეტარების გასაგრძელებლად. ჯერ მის ირგვლივ ჰაერი, მისი სურნელი უნდა შეისუნთქოს. „შენ კი ფეხსაცმლის ორი ზონარი დააძრე ჩემთვის“, — ეუბნება ალბერტო. მათხოვარამ ხელი უშვა იდაყვზე, დაიხია, სადღაც მიძვრება. ალბერტომ ქურთუკი ჩამოიღო. კარადის ორივე კარი ერთმანეთს მიატყუპა და მუშტიც მიაჭირა, დაკეტვისას არ დაიჩხაკუნოსო. მერე კარისაკენ მიიპარება. მათხოვარა უკვე იქ დახვდა და ახლა მხარში ჩააფრინდა. ორივენი გარეთ გამოვიდნენ.

— აბა, გასინჯე, ნიშანი არ ადევს?

მათხოვარამ ფარნის შუქზე გულდასმით დაათვალიერა ქურთუკი.

— არა.

— საპირფარეშოში შედი და ნახე, ლაქა ხომ არ აცხია სადმე, ღილსაც დააკვირდი. ფერითაც სხვა არ იყოს.

— სადაცაა პირველი გახდება, — ბუტბუტებს მათხოვარა.

ალბერტომ თავი დაუქნია. პირველი რაზმეულის კართან შემოტრიალდა.

— ზონრები დააძრე?

— მარტო ერთი ცალი ავაცალე, — თქვა მათხოვარამ და მერე დააყოლა, — მაპატიე..

ალბერტომ შეხედა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს, მხრებიღა აიჩეჩა.

— მადლობელი ვარ, — წაილაპარაკა მათხოვარამ და ისევ იდაყვზე წაეტანა. თან გაუბედავად იღიმება და მორჩილად შესცი-ცინებს ალბერტოს.

— სეირისთვის გავაკეთე, — და ალბერტომ სწრაფად დაატანა, — ბილეთები არა გაქვს? ქიმიაში ინჩიბინჩი არ ვიცი.

— მე არა, მაგრამ წრის ხალხს ექნება, — თქვა მათხოვა— რამ — ახლახან ვნახე, კავა რომ სასწავლო კორპუსისკენ მიდიოდა. ალ-ბათ სხედან ახლა და ამოცანებს ხსნიან.

— ფული სადა მაქვს, რომ იმ ნაძირალა იაგუარს მივაშავო.

— გინდა მოგცე? — გაქვს განა? — ცოტა მაქვს — ოც სოლს მომ-ცემ? — მაგდენს კი. ალბერტომ მხარზე დაჰკრა ხელი.

— აგაშენა ღმერთმა. სულ დავმათხოვრდი კაცი. სამაგიეროდ მოთხრობებს დაგიწერ.

მათხოვარამ თვალები დახარა.

— მოთხრობები არა, მაგრამ წერილებს თუ დამიწერ, კარგი იქნება.

— გყავს გოგო? — ჯერ არა, მერე კი შეიძლება.

— ეგრე იყოს. გინდაც ოც წერილს გაგიშანშალებ. ოღონდაც მისი წერილები მაჩვენე, ვიცოდე უნდა, როგორ წერს.

საძინებელ ოთახებში ხმაური შეიქნა. მოისმა ნაბიჯების ხმა,

ლანძღვა-გინება.

— მორიგეების შეცვლის დროა, წავიდეთ, — წაილაპარაკა ალბერტომ.

იგი ჯიქურ გაემართა ვალიანოს საწოლისაკენ, დაიკუზა, მის ფეხსაცმელს ზონარი გამოაძრო, მერე ორივე ხელით შეანჯღრია ზანგი.

— უჰ, მე შენი — ბღავის ზანგი.

— პირველია უკვე, ახლა შენი ცვლაა, — ჩასძახა ალბერტომ.

— ადრე თუ გაგიღვიძებივარ, ვერ გადამირჩები.

მეორე კუთხეში პითონი ღრიალებს, მათხოვარას გაუღვიძებია.

— აი, შენ შაშხანა და აი, შენ ფარანი, — ამბობს ალბერტო, — გინდა იძინე და გინდა არა. ეს კი იცოდე, პატრული უკვე მეორე რაზმეულთანაა.

— ვის ატყუებ! — მიატანა ვალიანომ და წამოჯდა. ალბერტო თავის საწოლს მიადგა, ტანთ გახდა დაიწყო.

— ვაი რა მურდალი ხალხი გვყავს, — ბურტყუნებს ვალიანო, — ვაი რა გაოხრებულები არიან...

— რა იყო? — ეკითხება ალბერტო — ზონარი აუწაპნიათ.

— ხმა ჩაიწყვიტეთ მანდ! — ღრიალებს ვიღაც — მორიგე, რა აყაყანებთ მაგათ?

ვალიანო ფეხის ცერებზე მიიპარება. ალბერტოს რაღაც საეჭვო ფაჩუნი ესმის.

— ზონარი მომპარეს! — ყვირის იგი.

— ცხვირ-პირი არ მომანაყინო, მწერალო, ჭკუით იყავი, — ეუბნება ვალიანო და ამთქნარებს.

ორიოდე წუთის შემდეგ ღამის სიჩუმე მორიგე ოფიცრის სასტვენის ხმამ გაჰკვეთა. მაგრამ ალბერტოს არაფერი ესმის, უკვე სძინავს.

დიეგო ფერეს ქუჩა პატარაა, სამასი ნაბიჯი ძლივას იქნება. შემთხვევით გავლილ კაცს შეიძლება ჩიხიც ეგონოს. მართლაც, ლარკოს გამზირის მოსახვევიდან თუ გამოხედავ, დაინახავ, რომ ორი უბნის მერე იგი ორსართულიან შენობასა და მწვანემესერიან პატარა ბაღს ებჯინება. ესეც კია, რომ შორიდან ჩანს ასე, თორემ სახლი პორტის მთავარ ქუჩაზე დგას, დიეგო ფერეს რომ სჭრის. ამის იქით გზა მართლაც აღარაა. გამზირსა და ამ სახლს შუა დიეგო ფერეს კიდევ ორი ქუჩა — კოლუმბა და ოჩარანი ჰკვეთს — ამ ქუჩებს რომ აღმოსავლეთით გაუყვე და ორასიოდე მეტრი გაიარო, ძველ სანაპიროს მიადგები. მისი აგურის დაბალი კედელი მირაფლორესის რაიონს უვლის გარშემო. აქ თავდება ქალაქი, ამ ფრიალო კლდეებთან, მათ ძირას კი ლიმას ყურის რუხი, ანკარა ტალღები ლივლივებს.

ლარკოსა და პორტის ქუჩის შუა რამდენიმე საცხოვრებელი სახლია, ორი-სამი დუქანი, აფთიაქი, სასაუზმე, ფეხსაცმლის სახელოსნო (გარაჟსა და მაღალ გალავანს შუა მიჭეჭყილი) და შემორაგული ცარიელი მინდორი, სადაც მოფარებით მიყუჟულა პატარა სამრეცხაო. გარდიგარდმო ქუჩებზე ხეები შრიალებს, დიეგო ფერეზე კი ხეებს ვერ ნახავ. ეს ადგილები ამ უბნის თვალია. უბანს სახელი არა აქვს. როცა ბიჭებმა ფეხბურთის გუნდი შეადგინეს კლუბის წლიური ჩემპიონატისათვის, „მხიარული უბანი“ დაარქვეს. მაგრამ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ეს სახელი რატომღაც აღარ შერჩათ. პოლიციის უბანმა „მხიარულ უბნად“ უატიკა მონათლა, ეს მართლაც სალხინო და გასართობი ადგილი. ჰოდა, სხვანაირად რომ არავინ გაიგოს, ბიჭებიც „უბანს“ ამბობენ მხოლოდ. ხოლო თუ ჰკითხავენ, მაინც რომელი უბანი („28 ივლისის“, „სასანგრო“, „ფრანგებისა“ თუ „ქაფურის“ უბნებში რომ არ აერიოთ), „დიეგო ფერეს უბანიო“, ასე ამბობენ.

ალბერტოს სახლი მარცხნიდან მესამეა. ეს სახლი კარგა და-

ღამებულზე ნახა პირველად, როცა მთელი ავეჯი უკვე გადმოეტანათ ძველი სახლიდან. ისინი ხომ მანამდე წმ. ისიდორეს ქუჩაზე ცხოვრობდნენ. ერთი შეხედვით სახლი უფრო დიდი და უკეთესიც ეჩვენა ძველ სახლზე: ჯერ ერთი, მისი ოთახი დედ-მამის საწოლიდან კარგა მოშორებით იყო და მეორეც, პატარა ბაღი ჰქონდა, ისე რომ ძაღლის მოყვანას ვერავინ დაუშლიდა. რაღა თქმა უნდა, ნაკლიც ჰქონდა თავისი. წმ. ისიდორეს ქუჩაზე იგი ერთი ბიჭის მამას დაჰყავდა ხოლმე დილაობით სკოლაში. ახლა კი ავტობუსი ექსპრესს უნდა გაჰყოლოდა „ვილსონის გამზირის“ გაჩერებამდე და მერე არიკას გამზირამდე ათი უბანი ფეხით ევლო, მართალია, ამ სკოლაში კარგი ოჯახის შვილები სწავლობდნენ, მაგრამ იმ რაიონში კი იდგა, სადაც მეტისები და მუშები ბუზებივით ირეოდნენ, ამიტომ ადრე უნდა ამდგარიყო და საუზმის უმალ გადგომოდა გზას. ძველი სახლის წინ წიგნების მაღაზიაც იყო. მაღაზიის პატრონი არ უშლიდა დახლთან წაეკითხა „მოსამზადებელი კლასი“ თუ სხვა საბავშვო ჟურნალები. ზოგჯერ ერთი დღითაც გამოატანდა ხოლმე შინ, ოღონდაც აფრთხილებდა, არ დაჭმუჭნო და არ დასვაროო. ჰო, აქ ვეღარც სახურავზე აძვრება და ვეღარც იმას ნახავს, როგორ თამაშობს ტენისს ნასარების ოჯახი, როგორ შეექცევიან დილაობით საუზმეს ბაღის ჭრელ-ჭრელი ქოლგების ქვეშ, საღამოობით კი წყვილ-წყვილად ცეკვავენ და ერთმანეთს კოცნიან ტენისის მოედანზე.

იმ დღეს, როცა ახალ სახლში უნდა გადაბარგებულიყვნენ, ალბერტო ადრე ადგა და მხიარულად გასწია სკოლისაკენ. სკოლიდან პირდაპირ ახალ სახლში დაბრუნდა. სალაზარის პარკთან ჩამოვიდა ექსპრესიდან — მაშინ რა იცოდა, ზღვაზე გადამყურე ამ გაზონებს რა ერქვა, — დაცარიელებული დიეგო ფერე გაიარა და სახლში შევიდა; დედა მოახლეს უჯავრდებოდა — აქაც თუ მძღოლებსა და მზარეულებთან გამიბი ნაცნობობა, იცოდე, გაგაგდებო. სადილის მერე მამამ უთხრა: „აბა, წავედი, საქმეები

მაქვს“. დედა აკივლდა: „ისევ მატყუებ. სირცხვილით თვალებში როგორ მიყურებ!“ მერე ლაქია და მოახლე გაიყოლია დედამ. იმის შესამოწმებლად, გადმობარგების დროს ხომ არაფერი გაიფუჭესო. ალბერტო. თავის ოთახში ავიდა, დაწვა და უგულისყუროდ მოჰყვა წიგნების ყდებზე რაღაცის ჯღაბნას. მალე გარედან ბიჭების ჟივილხივილი შემოესმა. როცა ბურთი კედელს მოეხლეობოდა, ჟივილი წყდებოდა, მერე ისევ ატყდებოდა ხოლმე ყაყანი. ალბერტო აივანზე გადადგა. ერთ ბიჭს ჭახჭახა წითელი ხალათი ეცვა, მეორეს გულისპირჩახსნილი თეთრი აბრეშუმის პერანგი, თეთრპერანგიანი უფრო მაღალი, ქერა და უფრო თავხედიც ჩანდა. წითელპერანგა ჩასუქებული ბუნჩულა ბიჭი იყო, შავტუხა, ქოჩორა და მკვირცხლი. მეკარე (თეთრპერანგა ბიჭი) გარაჟის კარებში იდგა, პატარა კი ბურთს ურტყამდა და გოლი გოლზე გაჰქონდა. „აბა, დაიჭი, მდიდარავ!“ — უყვიროდა პატარა. მდიდარა საწყლად იჭმუხნებოდა, ცხვირსა და შუბლს ისრესდა და აქეთიქით აწყდებოდა. ღვთის მადლით თუ დაიჭერდა, ხმამაღლა ხარხარებდა: „ჰე-ჰე, მექსიკელო, შენს საჯარიმო ბურთებს ცხვირით ვიჭერ“. პატარას მარჯვედ მიჰქონდა ბურთი. დადებდა, თვალით გაზომავდა მანძილს, ფეხს მოიქნევდა და ბურთიც კარში იყო. „ჰო, ჰო, ხელებგახვრეტილო! — ქილიკობდა ბიჭი, — აბა, თუ ყოჩაღი ხარ, დაიჭირე, იცოდე, მარჯვენა კუთხეში ვახუჭუჭებ“. ალბერტო ჯერ გულგრილად დაჰყურებდა, ბიჭებიც ვითომ ვერ ხედავდნენ. მაგრამ მალე თამაშმა გაიტაცა. თუ მექსიკელი გოლს გაიტანდა ან მდიდარა დაიჭერდა ბურთს, მოწონების ნიშნად თავს აქნევდა. მერე და მერე ბიჭების ლაზღანდარობამაც მოინადირა. ისინი გაიცინებდნენ, ისიც იცინოდა. ეტყობა, ბიჭებმაც შეამჩნიეს და ზოგჯერ ისე ამოხედავდნენ, თითქოს მოწმედ იწვევენო. მალე უკვე კარგი ნაცნობებივით უცინოდნენ და თავს უქნევდნენ ერთმანეთს. ბოლოს მდიდარამ ერთი ბურთი მოიგერია და კარგა შორს გატყორცნა, მექსიკელი ბურთის მოსატანად გაიქცა,

მდიდარამ კი ალბერტოს ამოხედა.

— გამარჯობა, — უთხრა — გაგიმარჯოს, — გადმოსძახა ალბერტომაც.

მდიდარას ჯიბეში ჩაეწყო ხელები და ნამდვილი ფეხბურთელივით მატჩის დაწყების წინ მუხლებში გასამართავად ადგილზე ხტოდა.

— შენ აქ უნდა იცხოვრო? — ჰკითხა მდიდარამ.

— ჰო, დღეს გადმოვედით.

ბიჭმა თავი დაუქნია. ამასობაში მექსიკელიც გამოჩნდა, ბურთი მხარზე დაედო და ხელით ეჭირა. იმანაც ამოხედა ალბერტოს. ორივე იღიმებოდა. მდიდარამ მეგობარს შეხედა და უთხრა.

— დღეს გადმოსულა, აქ იცხოვრებს თურმე. — ოჰო! — თქვა მექსიკელმა.

— თქვენ აქ ცხოვრობთ? — ჰკითხა ალბერტომ.

— ეს დიეგო ფერეს თავში ცხოვრობს, — უთხრა მდიდარამ — მე კი აგერ კუთხეში, ოჩარანზე.

— ამფსონი შეგვმატებია და ეგ არი, — დაატანა მექსიკელმა.

— მე მდიდარა მქვია, ამას მექსიკელი. გული აგერევა, ისე თამაშობს. — მამაშენი როგორი კაცია? საქმეს ხომ არ აჭირებს?

— ისე რა, — უთხრა ალბერტომ — რა იყო?

— სუყველა გვერეკება, ბურთს გვართმევენ, — თქვა მდიდარამ, — თამაშს გვიშლიან.

მექსიკელი ბურთს კალათბურთელივით ახტუნავებდა.

— მაგას მოეშვი, თითო საჯარიმო კიდევ დავარტყათ. ბიჭები რომ მოვლენ, ფეხბურთი გავახუროთ.

— ო'კეი, — უთხრა ალბერტომ — ოღონდაც ფეხბურთში მაგარი ვერა ვარ.

II

პერლუს რომ დილის ნიავი დაუქროლებს, ნაფხრეწ-ნაფხრეწ ნისლს ზღვისკენ გარეკავს და სასწავლებლის ეზოც ისე გადაიწ-მინდება, როგორც გაბოლილი ოთახი ფანჯრების დაღებისა და განიავების შემდეგ. მერე ფარდულიდან უცნობი სალდათი გამო-ვა და თვალების ფშვნეტით ყაზარმებისაკენ გაალაჯებს. ხელში ბუკი უჭირავს. ალიონის ცრიატ შუქზე ბუკს ბრკიალი გაუდის. მე-სამე კურსის ყაზარმასთან. სალდათი გალავნებში მოქცეულ ეზოს შუა დადგება. ნისლი ჯერ მთლიანად არ გაკრეფილა და ამი-ტომ რუხ-მწვანე მოჩვენებასავით მოჩანს. სალდათი ნელ-ნელა ფხიზლდება ბურანიდან, ხელებს იფშვნეტს, ფეხებს აბაკუნებს და მიწაზე აპურჭყებს. მერე ბუკი პირთან მიაქვს. ერთხანს ყურს უგ-დებს, რა გაავებით ჰყეფენ ძაღლები, ასე მალე რად გაილია ღა-მეო. მერე მეოთხე კურსის სამყოფელისკენ მიემართება. უკან მიჰყვება ლანძღვა-გინება, თუმცაღა ამ სიშორეზე იგი ყრუდ ის-მის. ძაღლის ყეფის ხმაზე ალიონის მორიგეებიდან რამდენიმე

კარს მოდგომია სალდათის გასაქილიკებლად ან ქვების სასროლად. სალდათი მეხუთე კურსის შენობისაკენ მიემართება, უკვე გამოფხიზლებულია და მხნედ მიაბიჯებს. მეხუთე კურსელებთან სიჩუმეა. ვეტერანებმა იციან, რომ ბუკის ხმის შემდეგ კარგა თხუთმეტი წუთი გაივლის, ვინემ „დაეწყვეთო“ დაიძახებენ. ისე რომ კაი შვიდნახევარი წუთი შეგიძლია კიდევ ინებივრო ლოგინში. სალდათი ხელებს იფშვნეტს და ფარდულში ბრუნდება. არ ეშინია არც გაავებული ძაღლებისა და არც ბრაზიანი მეოთხეკურსელების. მთელი კვირა თითქოს ვერც ამჩნევს იმათ. შაბათის გარდა! შაბათობით ბუკის კვრაც და ვარჯიშიც ერთი საათით ადრე იწყება და სალდათებსაც მორიგეობის ეშინიათ. ხუთ საათზე ჯერ კიდევ კარგა ბნელა. ნამძინარევი და გაქოფაკებული კადეტები მებუკეს ფანჯრებიდან რაღას არ ესვრიან. ისე რომ შაბათობით მებუკენი წესდებას ვითომ ივიწყებენ, ჰაიჰარად ჩაჰბერენ ბუკს და არც მოედანს შორდებიან დიდ მანძილზე.

შაბათს მეხუთეკურსელებს ორი-სამი წუთი თუღა შეუძლიათ ინებივრონ ლოგინში — პირის დაბანა, ჩაცმა, ლოგინის გასწორება, მწყობრში დადგომა რვა წუთში უნდა მოასწრონ. მაგრამ დღეს უჩვეულო დღეა. ქიმიის გამოცდის გამო ვარჯიში გადაიდო. ვეტერანებიც წვანან და ისე უსმენენ ბუკის ხმას, მაშინ როცა ლეკვები და მეოთხეკურსელები ალაყაფში გადიან და მინდორზე მიაბიჯებენ. ეს მინდორი კალიაოსაგან ჰყოფს პერლუს — ალბერტოს გაეღვიძა. რამდენიმე წამს თვალები ისევ დახუჭული აქვს. „დღეს — ქალაქში მივდივარ“, — ფიქრობს გულში. „ექვსს ოთხი წუთი აკლია — ახი არაა მაგ წუპაკს მისცხო“, — ამბობს ვიღაც. ისევ სიჩუმეა. ალბერტო თვალს ახელს: ცრიაგი, მრუმე სინათლე ატანს ფანჯრებში. „შაბათობით მზიანი დღე უნდა იყოს ხოლმე“. საპირფარეშოდან მათხოვარა გამოდის, უფერული, პირდაბანილი და თმადავარცხნილი. საწოლებშუა მოაბიჯებს, მაგრამ ბიჭები მაინც ახერხებენ აქეთ-იქიდან ხელის ჯიკავს. „ბუკის ცემამდე დგება,

აქაოდა, მწყობრში პირველი გამოვიჭიმოო“ — გაუელვა თავში ალბერტოს და თვალები მოხუჭა. გუმანმა უკარნახა, მათხოვარა ჩემს საწოლთან გაჩერდებაო. ასეცაა. აგერ მხარზე შეახო ხელი. თვალი გაახილა და შეხედა. აჩონჩხილი ტანი, ლურჯი პიჟამა, დიდი თავი.

— დღეს გამბოა მორიგეობს — ვიცი, მაგრამ ადრეა — შენი ნებაა, მეგონა, სძინავს-მეთქი.

მათხოვარამ საწყლად შეჰღიმა და გაშორდა. „მიძვრება, ჩემთან დაახლოება უნდა“, — გაიფიქრა ალბერტომ და ისევ დახუჭა თვალები, საბანქვეშ გაიზმორა. ლაპლაპი გააქვს დიეგო ფერეს ქვაფენილს; გარდიგარდმო ქუჩები ფოთლებს მოუფენია — ღამით ჩამოუყრია ქარს. კოხტა ყმაწვილი კაცი მიდის და „ჩესტერფილდს“ მიაბოლებს. „ჭიპზე რომ გავსკდე, დღეს მაინც მივალ მასთან“.

— შვიდი წუთიღა დარჩა! — ბღავის კარებში შემოყუდებული ვალიანო.

ჭრიალებს დაჟანგული საწოლები, ჭრიჭინით იღება კარადები, იატაკის ფილებზე ბაკაბუკი გააქვს ქუსლებს, აქეთიქით აწყდებიან გაბრუებული ბიჭები; ისმის ლანძღვა-გინება, როგორც კვამლში ამოსრიალებული ცეცხლის ენები, ილანძღება ყველა, უკურთხებენ ღმერთს, უფროსებს, იგინებიან დედას, მაგრამ გულგარეშე, უფრო მეტი ეშხისათვის — ალბერტოც წამოხტა საწოლიდან, ამოიცვა წინდები, წაღები (ზონრები ჯერ არ გაუყრია), იწყევლება. ვინემ ზონრებს ამოუყრიდა, უკვე ყველამ გაასწორა ლოგინი და ახლა იცვამენ. „აბა ჰე, მათხოვარავ, იმღერე რამე, — ბღავის ვალიანო, — მიყვარს მუსიკის ხმაზე პირის დაბანა“. „ჰეი, მორიგევ, — გაჰკივის აროსპიდე, — ზონარი აუწაპნიათ ჩემთვის, შენ მოგკითხავენ, ქალაქში აღარ გაგიშვებენ, ვირისთავო“ — „მათხოვარამ აგცანცლა, — ხმიანობს ვიღაც — სხვა ვინ იქნება? ჩემი თვალით ვნახე“. „კაპიტანს მოვახსენოთ, — ჭექს ვალიანო,

— ქურდებს ჩვენ აქ არ გავაჭაჭანებთ!“ „ეეჰ, — ნაზად იძახის ვიღაც — ვერ უყურებ, ამ ჩვენს ზანგის კახპას — ქურდებისა შინებია“. „ვაი, ვაი, ვაი!“ — მღერიან ბიჭები, „ვუი, ვუი, ვუი!“ — ღმუის მთელი გუნდი. „აი, თქვე ძაღლისშვილებო“, — ბურდღუნებს ვალიანო და გასვლისას კარს იჯახუნებს. ალბერტომ ჩაიცვა და პირის დასაბანად გარბის ახლა.

ფიცრის ტიხარს უკან იაგუარი გამოჭიმულა სარკის წინ და თმას ივარცხნის.

— ქიმიის ბილეთები მინდა. რამდენს ამაფცქვნი? — ეკითხება ალბერტო. პირი კბილის პასტით აქვს გამოტენილი.

— ჩაჭრილხარ და ეგ არი, მწერალო, — იაგუარს ვერა და ვერ დაუვარცხნია თმა. წითურა ჯაგარი სავარცხელს არ ემორჩილება — ფაფუ ბილეთები! ვერ ვიშოვეთ.

— ვერ იშოვეთ? — ვერა, და არც გვიცდია შოვნა.

ისმის სასტვენის ხმა. საპირფარეშოებსა და საწოლებში თანდათან მომძლავრდა ღრიანცელი და უცებ შეწყდა. ეზოში ლეიტენანტი გამბოა გრგვინავს: — რაზმეულის მეთაურებო, ჩაინიშნეთ ბოლოს გამოცხადებული ყოველი სამი კაცი! — ისევ ატყდა ზრიალი, თუმც არც ისე ძლიერი. ალბერტო ადგილს მოსწყდა, კბილის ჯაგრისი ჯიბეში ჩაიჩარა, პირსახოცი ქვედა საცვალზე სარტყელივით შემოიჭირა. ბიჭები მწყობრში ეწყობიან. ალბერტო წინამდგომს ასკდება. მას ვიღაც სხვა აწვება უკნიდან. იგი ცალ ფეხზე ხტის და თავის შესამაგრებლად ვალიანოს ქამარს ჩაბღაუჭებია, ვინაიდან ახალმოსულები კვანტს უდებენ — ადგილს ეძებენ. „ნუ მებღლარძუნები“ — ბღავის ვალიანო.

თანდათან მიწყნარდა ყველაფერი. მწყობრის მეთაურებს ახლა უკვე შეუძლიათ დათვლა. მწყობრის კუდში კიდევ ჭიდაობაა, დაგვიანებულები ჯიკავ-ჯიკავითა და გინებით იკავებენ ადგილებს. მაღალი, ჩასხმული ლეიტენანტი გამბოა მოედანზე დგას და კადეტებს დაჰყურებს. ბერეტი კოხტად მოუგდია გვერდზე;

თავს აქნევს და გესლიანად იღიმება.

— სი-ჩუმე! — სჭექს გამბოა.

კადეტები გაილურსნენ. აქამდე დოინჯშემოყრილმა ლეიტენანტმა ხელები ჩამოუშვა და ახლა გაჭიმული დგას. აგერ, დაიძრა ბატალიონისკენ, ხმელი, შავგვრემანი პირისახე გაქვავებია. სამი ნაბიჯის დაშორებით სერჟანტები ვარუა, მორტე და პესოა მოსდევენ. აგერ, შეჩერდა, საათს დახედა.

— სამი წუთი გავიდა, — ამბობს და ისე ათვალიერებს რიგებს, როგორც თავის სამწყსოს, — ლეკვები ორწუთნახევარში ეწყობიან!

მწყობრში ხითხითი ისმის. გამბოამ თავი ასწია, წარბები აჭიმა და მყის სიჩუმე გამეფდა.

— მესამეკურსელები-მეთქი, მინდოდა მეთქვა.

ხითხითმა იმატა, თუმცა პირისახე ყველას გაქვავებია, გამბოას ქამრისკენ მიაქვს ხელი და, თითქოს მოისხიპაო, ხმაურიც უმალ წყდება. სერჟანტები მონუსხულივით შეჰყურებენ გამბოას. „დღეს კარგ გუნებაზე უნდა იყოს“, — ბურტყუნებს ვალიანო.

— აბა, პატაკი რაზმეულების მიხედვით! — თვალებს წკურავს გამბოა და ბოლო სიტყვას მარცვლავს. ბატალიონის უკანა რიგებში შვებით ამოისუნთქეს. გამბოამ ნაბიჯი გადმოდგა და სმენაზე გაჭიმულ კადეტებს თვალებით ბურღავს — და ყოველი რაზმეულის ბოლო სამ კაცზეც, — დასძინა ესეც.

კადეტთა რიგებს ყრუ დრტვინვა მოედო. მეთაურებს ბლოკნოტი და ფანქარი მოუმარჯვებიათ და თავ-თავიანთ რაზმეულებში მიძვრებიან. ზუზუნი ძლიერდება, თითქოს დოლბანდში ბუზები გახლართულან და ვერა და ვერ გამომძვრალანო. ალბერტომ პირველი რაზმეულის განწირულებისკენ გააპარა თვალი. ესენია ურიოსტე, ნუნიესი, რევილია, ესმის რევილიას ჩურჩულიც: „გამიგონე, პავიანო, შენ მაინც ერთი თვე ქალაქში არ გაგიშვებენ. დამითმე, ჰა, ადგილი? — „ათი სოლი მომე“, — პასუხობს პავიანო.

„ფული ახლა არა მაქვს, მერე მოგცემ“ — „დაიკარგე აქედან“.

— ხმა-კრინტი! — ღრიალებს ლეიტენანტი. ზუზუნი ნელ-ნელა წყდება.

— სი-ჩუმე! — გრგვინავს ისევ გამბოა, — სი-ჩუ-მე-მეთქი; თქვენი ასე და ისე!

კადეტებმა ხმა გაკმინდეს. მეთაურები რიგებიდან გამოძვრნენ, სერჟანტებიდან ორი მეტრის დაშორებით ქუსლი ქუსლს შემოჰკრეს და გაიჭიმნენ. „ნება მოგვეცით რაზმეულში დავბრუნდეთ“, — ეუბნებიან სერჟანტს პატაკის ჩაბარების უმალ. სერჟანტი ან ხელს ჩაიქნევს, ან იტყვის: „გასწით“, და კადეტებიც უბრუნდებიან მწყობრს. სერჟანტები გამბოას აბარებენ პატაკს. გამბოაც მარჯვედ ურტყამს ქუსლს ქუსლზე და ხელი მისებურად შუბლთან მიაქვს და არა საფეთქელთან. კადეტები გამბოას შეჰყურებენ. მოხსენებითი ბარათები მარაოსავით გაუშლია ხელში ლეიტენანტს. ნეტა რად აყოვნებს და არ იძახის: „ნაბიჯით იარ“? რად უყურებს ჩაციებითა და ნიშნისმოგებით რიგებს და იღიმება?

— ექვსი საჯარიმო თუ პანღური? — ამბობს მერე.

კადეტებმა აღტაცებით შეღრიალეს. „გამბოას გაუმარჯოს!“ — იყვირა ვიღაცამ.

— მეჩვენება თუ მართლა მესმის მწყობრში ლაპარაკი? — იკითხა გამბოამ.

კადეტები გაიტრუნენ.

გამბოამ ზურგზე შემოიწყო ხელები და რიგების გასწვრივ ჩაიარა.

— რიგიდან ბოლო სამი კადეტი ჩემთან, — ბრძანებს იგი, — კაბა, მარდად, რაზმეულების მიხედვით.

ურიოსტე, ნუნიესი და რევილია გაიქცნენ და ლეიტენანტს წინ გამოეჭიმნენ. ვალიანომ მოასწრო და წასჩურჩულა: „ღმერთს უმადლეთ, საყვარლებო, დღეს რომ გამბოაა“.

— რა გირჩევნიათ, ექვსი საჯარიმო თუ პანღურის კვრა? არჩევანი თქვენზეა.

სამივემ პანღური არჩია. ლეიტენანტი მხრებს იჩეჩავს და ჩუმად ბურტყუნებს: „მე მაგათ მოხარშულს ვიცნობ“. კადეტები მადლიერებით უღიმიან.

— აბა, საპანღუროდ მზად! — ბრძანებს გამბოა.

სამივე კადეტი კარის სახელურივით მოიღუნა წელში. გამბოა დააცქერდა და რევილიას იდაყვის კვრით გაასწორებინა თავი.

— ხელები ლაჯებშუა ამოიდეთ, — ეუბნება ბიჭებს და მერე პესოას აძლევს ნიშანს. პესოა ჯმუხა მეტისია, მოკლე კისერი მხრებში ჩაძვრომია. ჩინებული ფეხბურთელია და დარტყმაც მაგარი იცის. პესოამ უკან დაიხია და თვალით გაზომა მანძილი. შემდეგ თავი დაღუნა, ფეხი მოიქნია და ბაახ! რევილიამ მხეცივით შებღავლა. გამბოამ თითით ანიშნა, მწყობრს დაუბრუნდიო.

— ეეჰ! — ეუბნება იგი პესოას, — ძალა გამოგლეევია, პესოა, ძალა. ხომ ნახე, ადგილიდან ძვრაც ვერ უყავი:

პესოას ფერიფური მისდის. ელამი თვალებით ლამის შეჭამოს ნუნიესი. ახლა მთელი ძალით გააქანა ჩექმის წვერი და კადეტიც ჭყივილით დაასკდა მიწას ორი მეტრის იქით, პესოა ლეიტენანტს შესცინინებს. გამბოა იღიმება. კადეტებიც იცინიან. წამომდგარი ნუნიესი უკანალს იზელს და ისიც იღიმება. პესოა ძალას იკრებს. ურიოსტე მწყობრში კი არა, მგონი, მთელ სასწავლებელში ყველაზე ღონიერია. წონასწორობის შესანარჩუნებლად ფეხებგაჩაჩხული დგას. პესოამ გააქნია წიხლი, მაგრამ ძვრაც ვერ უყო.

— აბა, ახლა მეორე რაზმეულის ბოლო სამი, — ბრძანებს ისევ გამბოა.

ასე მიჰყვება რაზმეული რაზმეულს. მერვე, მეცხრე და მეათე რაზმეულის უდღეური კადეტები პანღურის შედეგად ლამის მოედნამდე მიკოტრიალებენ. გამბოას არ ავიწყდება სათითაოდ ყველას ჰკითხოს, ექვსი საჯარიმო გინდა თუ პანღურიო, და ისიც

დაამატოს, არჩევანი თქვენზეაო — ალბერტომ ერთხანს უყურა ამ სურათს და მერე ქიმიის უკანასკნელი გაკვეთილები მოიგონა. გონებაში ამოუტივტივდა გაურკვეველი ფორმულები, ტერმინები. „ნეტა ვალიანომ თუ გაიზუთხა?“ იაგუარი ალბერტოს უდგას გვერდით, ალბათ ვიღაცამ გამოაგდო რიგიდან. „იაგუარ, ოცი საკითხი მაინც მითხარი. რამდენს დამცინცლავ?“ — ჩურჩულით ეუბნება ალბერტო. „რას როტავ? ხომ გითხარი, არა მაქვს-მეთქი. მეტი არ მკითხო, თორემ ვაი შენი ბრალი“.

— რაზმეულების მიხედვით ნაბიჯით იარ! — იძახის გამბოა.

კადეტები სასადილოში შელაგდნენ. რიგები აირ-დაირია. ბერეტები გადაიძრეს, ლაპარაკ-ლაპარაკით მაგიდებისკენ მიდიან. თითო მაგიდას ათი კაცი უზის. მეხუთე კურსს საუკეთესო ადგილი უჭირავს. სამივე კურსის შესვლის შემდეგ მორიგე კაპიტანი სასტვენს ახმიანებს. პირველ სასტვენზე კადეტები უკვე თავ-თავიანთ მაგიდებთან დგანან, მეორეზე სხდებიან. სადილობის დროს რეპროდუქტორიდან მარშის, ვალსის, მეზღვაურული თუ ხალხური სიმღერების ჰანგები იფრქვევა. საუზმის დროს კადეტების ყაყანსღა გაიგონებ: რა დრო დადგა, ამოდენა ბიფშტექსს განა ჩახეთქავდი წინათ?... ერთი ლუკმა მაინც დამიტოვე, სულ ერთი ნამცეცა!.. ჰეი, ფერნანდეს, ბრინჯი რაღა. დასანანია? ხორცს არ დაუმატებ? ან საწებელს?.. ჰეი, თეფშში რომ აპურჭყებ, ლეკვო, არ იცი, მაგისთვის რას გიზამ, ამას ვერ ხედავ?.. შენისთანა ლეკვს რომ ჩემს თეფშში ჩაეფურთხებინა, მოგეცა ლხენა, მე და აროსპიდე იმას სეირს ვუზამდით... თავს ნუ გაგივათ, ლეკვებო... ხორცს კიდევ ინებებთ, სენიორ კადეტო?.. დღეს მე ვინ გამიშლის ლოგინს? მე, სენიორ კადეტო... ჰიბრიდთან ვინ დამპატიჟებს სასმელზე?.. მე, სენიორ კადეტო... ჩემს თეფშს ვინ ალოკავს, ჰა?

— მეხუთე კურსი შემოდის და სუფრას უსხდებიან. სამი მეოთხედი ადგილებისა თავისუფალია, სასადილოც ამიტომ უფრო დიდი ჩანს. პირველმა რაზმეულმა სამი მაგიდა დაიკავა. ფანჯრიდან

კაშკაშა ცა მოჩანს. ლამა ბალახებში გასუდრულა, ყურები დაუცქვიტავს და დიდრონი ნამიანი თვალები სივრცისთვის მიუშტერებია. „გგონია, არ ვიცი, გგონია, ვერ შევამჩნიე, როგორ უჯიკავე სხვებს, ჩემ გვერდით რომ დამჯდარიყავი. ხოლო ვალიანომ რომ იკითხა: „დღეს ვინაა მორიგე?“ და ყველამ იყვირა: მათხოვარაო, მე კი ვთქვი: „მორიგე თქვენ თვითონა ხართ, თქვენი დედა ასე და ისე-მეთქი“, ხოლო იმათ გააბეს: „ვაი, ვაი, ვაი!“, განა არ დავინახე, ხელი რომ შეაძვრინე მაგიდის ქვეშ და ლამის მუხლზე შემახე“. რვა ყრონტი ქალივით მოთქვამს: „ვაი, ვაი, ვაი!“ მათხოვარა ადგა, რძე ჩამოასხა. გუნდი იქადება: „არ გაგივსია, ცემით გაგხეთქავთ!“ ალბერტომ „ვალიანოსკენ მიაბრუნა თავი.

— ქიმია იცი, ზანგო? — არა.

— იქნებ მიშველო, ჰა? რამდენს წაიღებ?

გადმოკარკლულ თვალებს აქეთ-იქით ეჭვით აცეცებს ვალიანო.

— ხუთი წერილი დამიწერე, — ხმადაბლა ეუბნება ზანგი, — ხუთზე თუ ყაბულს იქნები, მითხარი.

— ვის გინდა მიწერო, დედას? — ეკითხება ალბერტო — როგორაა?

— კარგად, — პასუხობს ვალიანო, — ხუთზე თუ ყაბულს იქნები — თქვი.

მათხოვარა დაჯდა, პურისკენ წაიღო ხელი. აროსპიდემ ხელზე დაჰკრა, პური ახტა და მაგიდის ქვეშ შევარდა. აროსპიდე აჭიხვინდა, ძირს დაიხარა პურის ასაღებად. უცებ ჭიხვინი შეწყდა. აროსპიდე დადინჯებული გაიმართა წელში, მერმე წამოდგა და ვალიანოს ყელში სწვდა. „არა, მართლა, პირუტყვი უნდა იყო, რომ დღისით, მზისით ფეხსაცმლის ზონრები ვერ გაარჩიოს ქურდობასაც ჭკუა უნდა!“ „ვერც შევამჩნიე, შავი რომ იყო“, — თავს იმართლებს ვალიანო და ფეხსაცმლიდან ზონარს იძრობს. აროს-

პიდემ ზონარი გამოსტაცა და დაცხრა: „არ მოგეცა, მოგენაყებოდა ცხვირ-პირი“, დაატანა თან. გუნდი კვლავ ნაზად აგრძელებს ღუღუნს: „ვაი, ვაი, ვაი!“ „კარგი, კარგი, — ბურდღუნებს ვალიანო, — წლის ბოლომდე მაინც გადმოგიქოთებ კარადას. უზონროდ როგორ ვიარო? შენ მომყიდე, კავა, ვაჭარი ტყუილა გვყავხარ? ჰეი, ტილიანო, არ გეყურება, რომ გელაპარაკები?“ კავა ცარიელ ჭიქას დაშტერებოდა აქამდე და ახლა შეძრწუნებული შეჰყურებს ვალიანოს. „რა იყო, რა გინდა?“ — ეკითხება იგი. ალბერტომ მათხოვარას გადაუჩურჩულა:

— მართლა კავა ნახე გუშინ? — ჰო.

— არავისთან არ დაგცდეს. აქ რაღაც ამბავია. იაგუარმა თქვა, ბილეთები არ გვაქვსო. ველურს შეხედე აბა.

გაისმა სასტვენის ხმა. თვალის დახამხამებაში ყველანი წამოიშალნენ და ეზოში გამოცვივდნენ. იქ გამბოა დგას გულზე ხელებდაკრეფილი, სასტვენი პირში გაუჩრია, კადეტებს ელის. ლამამ მოჰკურცხლა. „ასე ვეტყვი, ვერა ხედავ, შენი გულისთვის ჩავიჭერი-თქო ქიმიაში, ოქროს ფეხუცებო, ვერა ხედავ, ჩამოვხმი და ჩამოვდნი შენთვის? აჰა, აი, ეს ოცი სოლი, მათხოვარამ რომ მომცა, ოღონდაც ნუღარ მაწამებ და მაწვალებ, გინდა წერილებსაც დაგიწერ, ოღონდ ქიმიაში არ ჩამჭრან. იაგუარი ბილეთებს არ ჰყიდის, ერთი საკითხიც არ მომცა. წკავწკავაც კი არაა ჩემისთანა დღეში“. ოცეულის მეთაურებმა ისევ გადაითვალეს კადეტები და სერჟანტებს მოახსენეს. იმათ გამბოას აცნობეს. ჟინჟღვლა დაიწყო. ალბერტომ მუხლი გაჰკრა ვალიანოს ფეხზე. მან ალმაცერად გადმოხედა.

— სამი წერილი, ზანგო — ოთხი — ჯანდაბას შენი თავი, ოთხი იყოს.

ვალიანომ თავი დააქნია და ტუჩები მოილოკა, ნამცეცები ხომ არ დამრჩაო ზედ.

პირველი რაზმეული ახალი კორპუსის მეორე სართულზე მეცადინეობს. შენობა თუმცა ახალია, ალაგ-ალაგ უკვე ჩამოცვენილა ბათქაში და სინესტესაც გამოუჟონავს. ამ შენობაზე მიდგმულ სააქტო დარბაზში, სადაც უშნოდ გამოჩორკნილი ძელსკამები დგას, კვირაში ერთხელ უჩვენებენ კადეტებს კინოსურათებს. წვიმა ცრის და სველი მოედანი უძირო სარკეს დამგვანებია. ალაპლაპებულ ასფალტზე კადეტები მიაბიჯებენ მწყობრად. კიბეს რომ მიუახლოვდნენ, თოხარიკით მოუსვეს ბიჭებმა. ლანჩები ცურავს, სერჟანტები ღრიალებენ. საკლასო ოთახიდან მოასფალტებული ეზო მოჩანს. ლამის ყოველდღე ამ გზაზე მიაბიჯებენ მეოთხეკურსელები თუ მესამე კურსის ლეკვები თავ-თავიანთ კორპუსებისკენ. უფროსკლასელები სეტყვასავით აყრიან ლეკვებს პურჭყებსა და დასორსოლებულ ქაღალდებს. ვალიანო ზანგმა ერთხელ ნაკოდალიც ისროლა. გაისმა ბღავილი და ეზოში მეტეორივით გაიქროლა ლეკვმა. ცალი ხელი ყურზე აეფარებინა, საიდანაც თქრიალით გადმოსდიოდა სისხლი ქურთუკზე. მთელი ორი კვირა ქალაქში არ გაუშვიათ რაზმეული, მაგრამ დამნაშავეს მაინც ვერ მიაკვლიეს. როცა ბოლოს და ბოლოს წასვლის ნება დართეს ბიჭებს, ვალიანომ ოცდაათ კადეტს ორ-ორი დასტა სიგარეტი მოუტანა. „მეტისმეტი მოგივათ, — წუწუნებდა იგი — თითო ღორს თითო დასტაც გეყოფათ“. მაგრამ იაგუარმა და მისმა ამფსონებმა მტკიცედ განაცხადეს: „ან ორ-ორი ან წრეს შევკრებთო“.

— ოცი საკითხი და მაგალითი, მორჩა და გათავდა, — თქვა ვალიანომ — ოთხ წერილს ხომ არ უნდა გადავყვე.

— არა, ოცდაათი მაინც იყოს, — შეეხვეწა ალბერტო, — მე თითით გაჩვენებ. შენი კარნახი არც მინდა, ოღონდ ჩამახედე — ჯანდაბას შენი თავი, გიკარნახებ.

მერხზე ორ-ორი სხედან. ზანგი და ალბერტო სულ ბოლოში

მოექცნენ. ბიჭებს პითონისა და კავას განიერი ზურგები ეფარებათ.

მაშინდელივით შეცდომით ხომ არ გინდა მიკარნახო?

ვალიანო ხვიხვინებს.

— ოთხი წერილი, თითო ორ-ორი ფურცელი, — ამბობს იგი.

კარებში სერჟანტი პესოა გამოჩნდა, ხელში საგამოცდო ბილეთები უკავია. კადეტებს გაბოროტებით შეაჩერდა. მეჩხერი ულვაშების წვერებს წარამარა ილოკავს ენით.

— ვისაც წიგნს დავუნახავ ან შევამჩნევ, მეზობლის ნაწერში იჭყიტება, იმან ჩაჭრილად ჩათვალოს თავი, — აცხადებს იგი — და ექვს საჯარიმოსაც გაირტყამს. მეთაურებო, ჩამოარიგეთ ფურცლები.

— ვირთხა!

პესოა შეკრთა, გაწითლდა. თვალები ნემსებივით გაუხდა. ბავშვივით პატარა ხელით ხალათს ჭმუჭნის.

— ხელშეკრულება გაუქმებულად ჩათვალე, — ამბობს ალბერტო — არ ვიცოდი, თუ ვირთხა იქნებოდა. მირჩევნია ისევ წიგნიდან გადავიწერო.

აროსპიდემ ფურცლები ჩამოარიგა.

სერჟანტმა საათს დახედა.

— ახლა ზუსტად რვაა. თქვენს განკარგულებაში ორმოცი წუთია

— ვირთხა!

— ტუტუცებო, ლაჩრებო! — ბღავის პესოა, — აბა, ადგეს, ვინ დაიძახა ვირთხა.

მერხებზე ჩოჩქოლი შეიქნა, მერხისთავები ჯერ უწესრიგოდ, მერე კი მწყობრად აბრახუნდა. „ვირთხა, ვირთხა“, — ზუზუნებს კლასი.

— ხმა-კრინტი, ლაჩრებო! — ყვირის პესოა.

კარს ლეიტენანტი გამოა და ქიმიის ჩია მასწავლებელი მოადგნენ. მასწავლებელს სამოქალაქო ტანსაცმელი ფომფლოდ ადგას. ახოვანი გამბოას გვერდით უფრო დალეული და საცოდავი ჩანს.

— რა მოხდა, პესოა?.. სერჟანტი წინ გამოეჭიმა ლეიტენანტს, — ქილიკაობაში ენას იწაფავენ, სენიორ ლეიტენანტო — კადეტები გაილურსნენ. ჩქამი არსაიდან ისმის.

— ასეა საქმე? — თქვა გამბოამ — მეორე რაზმეულს მიაკითხეთ, ამათ მე მოვუვლი.

პესოამ ხელი აუღო და გავიდა.

მასწავლებელიც პესოას მიჰყვა უკან. გეგონება, რამოდენა სამხედროების დანახვამ დააფრთხოო.

— ვალიანო, პირობაზე ისევ ყაბულსა ვარ, — ჩურჩულებს ალბერტო.

ზანგს არც გამოუხედავს, ისე გამოისვა ყელში ხელი — არ შემიძლიაო. აროსპიდემ ფურცლები ჩამოარიგა. კადეტებმა მერხებზე დახარეს თავი. „თხუთმეტი ქულა ხელში მაქვს, კიდევ ხუთი... ესეც სამი... ხუთი... სამიც... ეს არა, ეს კი სამი... ესეც არა. არც ეს, ჯანდაბას ამის თავი. კიდევ სამი. რამდენი დაგროვდა? ოცდათერთმეტი. ღმერთო, იქნებ გავიდეს,. იქნებ ვინმემ დაუძახოს ან რაღაც მოხდეს და მოუსვას აქედან, ოქროს ფეხუცუნებო“. ალბერტო ნელა წერს პასუხებს, ნაბეჭდი ასოებით. ლეიტენანტის ქუსლებს პაკაპუკი გააქვს იატაკზე. საკმარისია კადეტებმა თავი ასწიონ, მყის გამბოას იქედნურ მზერას აწყდებიან და ესმით:

— ხომ არ გგონიათ, გიკარნახებთ? მერხზე დაიხედეთ სჯობია. მე მხოლოდ ცოლსა და მოახლეს ვაძლევ უფლებას მიცქირონ.

ალბერტომ რაც იცის, დაწერა და ზანგს უცქერის ახლა. იმას ენა მოუკვნეტავს და გამალებით წერს. ფრთხილად, ქვეშ-ქვეშ გადახედა ბიჭმა კლასსაც. ბევრი ვითომ წერს, სინამდვილეში კა-

ლამს არც აკარებს ფურცელს. ალბერტომ ისევ გადაიკითხა კითხვები, რის გაჭირვებით ორზე კიდევ გასცა პასუხი. სადღაც უკვე ზუზუნი ატყდა. კადეტები აწრიალდნენ. ჰაერი დაიძაბა, რაღაც უხილავი სიმძიმე დააწვა ყველას, თითქოს ბლანტე, თბილი და მღვრიე ჭაობი ითრევს მთელ კლასს. ნუთუ წამითაც არ შეიძლება ლეიტენანტის მზერას დაემალო?

გამბოა იცინის. იგი აღარ დააბიჯებს, შუა ოთახში დგას ახლა. ხელები გულზე დაუკრეფია, კუნთები ამობურცვია მოყვითალო ხალათის ქვეშ, თვალებით ბურღავს ყველას, როგორც სამხედრო სწავლებაზე მოსდგამს ხოლმე, როცა ასეულს ტალახში შერეკავს, ხელს აიქნევს ან დაუსტვენს და ბიჭებიც ქვებსა და სველ ბალახზე მიხოხავენ. სხვა ოფიცრებს ვერა გაუხერხებიათ რა თავიანთ კლასებთან, გამბოას კადეტები კი სიამაყით ასრულებენ მის ბრძანებას, მუდამ იმარჯვებენ მტრებზე, ალყას შემოარტყამენ და ამარცხებენ. როცა გამბოას ჩაჩქანი დილის მზის სხივებზე აელვარდება, როცა ხელს წინ გაიწვდის აგურის კედლისკენ და შეუდრეკლად, ომახიანად დასჭექავს: „აბა წინ, არწივებო!“, პირველი რაზმეულის კადეტები მეტეორებივით მოსწყდებიან ადგილს, არ ეშინიათ ახლომახლო გორაკების, გზებისა თუ ზღვისპირა კლდეების უკან ჩასაფრებული უხილავი მტრისა. მათი ხიშტები ცას ბურღავს, გული ლამის ამოვარდნაზე აქვთ, მიჰქრიან, მიტოპავენ გუბეებში, გააფთრებით. ქელავენ ნათესებს (თხლაშ! — ეს ჩილელთა, ეკვადორელთა თავებია, სისხლი შადრევანივით ასხამს, მტერი სულს ღაფავს), ლანძღვა-გინებითა და ქოშინ-ქოშინით მიცვივდებიან კედელს, თოფს ზურგზე მოიგდებენ, დაბრიგინებული თითებით კედლის ნახვრეტებს ეჭიდებიან, აგურებზე მიცოცავენ, თვალს არ აშორებენ კედლის თხემს — ის კი სულ უფრო ახლოსაა — მერე წყდებიან კედელს, მიწაზე ეტყეპებიან და ესმით მხოლოდ საკუთარი გინება და სისხლის შხუილი საფეთქლებსა და კისრის ძარღვებში. ლეიტენანტი კი უკვე კლდის წვერზე დგას,

აქა-იქ ოდნავ დაკაწრულ-დაჩხაპნილი, მაგრამ წელში გაჭიმული, დგას, ზღვის ჰაერს ისუნთქავს და რაღაცას ანგარიშობს. პირქვე გაწოლილი თუ მუხლებზე ჩაცუცქული კადეტები კი თვალებში შესციცინებენ, მათ ბედს საცაა გადაწყვეტს მისი ბაგეთა მოძრაობა. უეცრივ მძვინვარდება ლეიტენანტის მზერა — სადაური არწივები! არწივები კი არადა, ლოკოკინები არიან! „ადექით! რას შექუჩულხართ!“ ლოკოკინები დგებიან, წელში იმართებიან (ძველი ხალათები ქარს დაუბერავს, ზედ დადებული საკერებლები ჭრილობების ფუფხებსა ჰგავს), ფეხი უცურდებათ და ისევ ტალახში ადენენ ზღართანს, ბალახს ეკვრიან და მუდარის თვალით საწყლად შეჰყურებენ ლეიტენანტს, როგორც იმ ღამეს, როცა მან წრეს გამოუყვანა წირვა.

წრე თითქმის მაშინვე შეიქმნა, როცა მათი სამოქალაქო ტანსაცმელი ხაკის ახალთახალმა ტანსაცმელმა შეცვალა; და ძირში თმაგადახოტრილი, ისე რომ ერთმანეთისაგან ვერავინ გამოარჩევდი, სასტვენის ხმაზე ერთი ლანძღვა-გინებით პირველად დაეწყვნენ კადეტები მოედანზე. ეს ყველაფერი ორმოცდარვა საათში მოხდა. ზაფხულის უკანასკნელი დღე იყო, ცა მოღუშული ჩანდა. სამი თვეა ლიმა იწვოდა და იხრუკებოდა, ახლა კი მოქუფრული, უფერული დღეების ხანი დამდგარიყო და იგი კარგა ხანს გასტანდა. ისინი სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოვიდნენ, ერთმანეთი თვალითაც არ ენახათ აქამდე, ახლა კი ცემენტის უცნობი კორპუსების წინ იდგნენ, მიჯრით ჩაწკაპულნი. კაპიტანმა გარიდომ ამცნო მათ, რომ მთელი სამი წელი სამოქალაქო ცხოვრებას უნდა დაემშვიდობონ, რომ ისინი მამაკაცები უნდა გახდნენ, რომ ჯარი მხოლოდ სამ უბრალო რამეს ითხოვს: მორჩილებას, შრომასა და სიმამაცეს. „ეს“ შემდეგ, მოგვიანებით მოხდა, როცა პირველად იგემეს ჯარის საუზმე, მერე სასადილოდან გამოვიდნენ, ორი უფროსი კურსის კადეტებს შეერივნენ, რომელთაც შიშით, ცნობისმოყვარეობითა და აღტაცებით შესცქეროდნენ.

მათხოვარა მარტო ჩამოდიოდა სასადილოდან, როცა ორი მარწუხი ჩაეჭიდა მკლავში და ვიღაცამ წასჩურჩულა: „აბა წამოგვყევი, ლეკვო“. ბიჭმა გაიღიმა და მორჩილად წაჰყვა. ასე ჯიკავ-ჯიკავით წაიყვანეს ბევრი სხვა ბიჭიც, ვისაც იგი ამ დილით გაეცნო, მეოთხე კურსის ყაზარმებისკენ მინდვრის ბოლოში. იმ დღეს მეცადინეობა არ ყოფილა. ლეკვები რვა საათამდე ჰყავდათ მეოთხეკურსელებს, ვიდრე სადილის დრო არ დადგა. მათხოვარამ ვერ დაიხსომა, ვინ წაიყვანა და სად. გაბოლილი ოთახი სავსე იყო კადეტებით, იდგა ერთი ხორხოცი და ღრიანცელი. ის იყო ზღურბლზე გადააბიჯა ღიმილით, რომ ზურგში ჰკრეს ხელი. ბიჭი გადაკოტრიალდა და გულაღმა გაიშოტა. წამოდგომა დააპირა — ვერ შესძლო. ვიღაცამ ფეხი დაადგა მუცელზე. ჭერს ვერც ხედავდა, ათი ბიჭი მისკენ დახრილიყო და, თითქოს ქინქლიაო, ისე გულგრილად დასცქეროდნენ.

— აბა, ჯერ ასჯერ იმღერე „ვაი, ლეკვი ვარ,“ კუკარაჩას ჰანგზე, — უთხრა ვიღაცამ. ბიჭმა ხმა ვერ დასძრა. განცვიფრებისაგან თვალები ლამის გადმოსცვენოდა, ყელში რაღაცამ წაუჭირა. მუცელზე უფრო მაგრად დააჭირეს ფეხი.

— არ უნდა ლეკვს სიმღერა, — თქვა იმავე ხმამ, მაშინვე ათივე ბიჭმა პირი დააღო და ერთად შეაფურთხეს, შეაფურთხეს იმდენჯერ, რომ თვალებიც კი დახუჭა. შემდეგ იმავე უცნობმა ხმამ გაიმეორა:

— აბა, იმღერე „ვაი ლეკვი ვარ“ კუკარაჩას ჰანგზე.

ახლა კი ხმა ამოიღო ბიჭმა, მაგრამ ხრინწიღა ამოსდიოდა ყელიდან, სიმღერის ნამდვილი სიტყვები აგონდებოდა და იბნეოდა, ჭყვირილიღა გამოსდიოდა. ხოლო უფროსკურსელები, თითქოს ვერაფერს ამჩნევენო, დაკვირვებით უსმენდნენ.

— კმარა, — გამოაცხადა სმამ — ახლა ბოლეროს ჰანგზე გაიმეორე.

შემდეგ მამბოსა და კრეოლური ვალსის ჰანგზეც იმღერა —

ადექი, — უთხრეს მერე.

ბიჭი ადგა, პირისახე მოიწმინდა, ხელისგული შარვალზე შეიხოცა. ხმამ ჰკითხა:

— ვინ გითხრა, სიფათი მოიწმინდეო? არავის უთქვამს.

ბიჭებმა ისევ დააღეს პირი. მათხოვარამ ანგარიშმიუცემლად დახუჭა თვალები და, ვინემ ფურთხის სეტყვა არ მოთავდა, არც გაუღია. ხმამ ბრძანა.

— გვერდით ორი კადეტი გიდგას, ლეკვო. აბა „სმენაზე“ დადექი. ეგრე, კარგია! ამ კადეტებმა სანაძლეო დადეს, თქვენ — მსაჯი იქნებით მათი.

პირველად მარჯვნივ მდგარმა გაარტყა, ბიჭს მკლავი აეწვა. მაშინვე მარცხენამაც დრუზა.

— კმარა, — ბრძანა იმ ხმამ, — ვინ უფრო ღონივრად გდრუზა?

— მარცხენამ.

— ეგრე, ხომ? — ჰკითხა ახლა სხვა ხმამ — მაშ, დედალი ვყოფილვარ, არა? რას იზამ, ერთხელ კიდევ უნდა ვცადოთ მაგრად დადექი.

ბიჭი შებარბაცდა, მაგრამ არ დაეცა — ირგვლივ შემოხვეულმა კადეტებმა შეაკავეს.

— ახლა რას იტყვით? რომელი უფრო ღონიერია?

— ორივე ერთნაირად..

— მაშასადამე, ყაიმიაო, უნდა თქვას, დააზუსტა ხმამ — გამოდის, ისევ უნდა გავიმეოროთ.

რამდენიმე წამის შემდეგ ხმამ ჰკითხა:

— ხელები არ გეტკინა, ლეკვო?

— არა.

ასეც იყო: ვერც თავის სხეულს გრძნობდა და ვერც დროს. ხედავდა ეტენის ნავსადგურის წყნარ ზღვას და ესმოდა დედის ხმა: „ფრთხილად, რიჩი, მანდ დაღმართია“ — დედას მკლავები გამოეწვდინა საშველად, მზე თავპირზე აცხუნებდა.

— ნუ სტყუით, — თქვა ხმამ, — თუ არ გეტკინათ, რა გატირებთ?

„მორჩნენ ალბათ“, — გაიფიქრა ბიჭმა. მაგრამ სეირი თურმე ახლა იწყებოდა.

— ლეკვი ხარ თუ ადამიანი? — ჰკითხა ხმამ — ლეკვი, სენიორ კადეტო.

— მაშ, რაღას დგახართ ზეზე? ლეკვები ოთხზე დადიან — ბიჭი დაიხარა და იატაკზე რომ ხელებით დადგა, საშინელი ტკივილი იგრძნო. გვერდით კიდევ ერთი ბიჭი იდგა მასავით ოთხზე.

— ეგრე, — ბრძანა ხმამ, — ლეკვები რომ ერთმანეთს შეხვდებიან, რას აკეთებენ? მიპასუხეთ, კადეტო, მე თქვენ გეუბნებით.

მათხოვარამ იგრძნო, როგორ ამოარტყეს წიხლი, და საჩქაროდ გასცა პასუხი:

— არ ვიცი, სენიორ კადეტო.

— ჩხუბობენ, — მიუგო ხმამ, — ერთმანეთს დაეტაკებიან, ყეფენ და კბენენ.

— მათხოვარამ დღესაც არ იცის, მასთან ერთად ვინ მონათლეს იმ დღეს. დაბალი ბიჭი იყო — ალბათ ბოლო რაზმეულებიდან იქნებოდა. შიშისაგან პირისახე მოღრეცოდა. ხმას დამთავრებული არ ჰქონდა სიტყვა, რომ ბიჭმა ცოფიანივით გააბა ყეფა, ეცა მათხოვარას და კბილებით მხარში ჩააფრინდა. მათხოვარას ტანი დაეძაბა, თვითონაც მოჰყვა ყეფას და კბენას. ასე ეგონა, ტანი ბანჯგვლით შეემოსა, ცხვირ-პირი დრუნჩად ექცა, კუდი კი მათრახივით სცემდა ზურგზე.

— კმარა, — ბრძანა ხმამ — თქვენ გაიმარჯვეთ. ამ პატარამ ვერ იმარჯვა. ძუკნა ყოფილა. თუ იცით, რას აკეთებენ ხვადი და ძუკნა შეხვედრისას?

— არა, სენიორ კადეტო.

— ერთმანეთს ლოკავენ. ჯერ დასუნავენ და მერე ლოკავენ.

შემდეგ იგი ოთახიდან გამოათრიეს და სასპორტო მოედნისაკენ გააქანეს. აღარ ახსოვს, დღე იყო თუ დაბინდდა უკვე. იქ ტანთ

გახადეს და უბრძანეს, ზურგზე ცურვით შემოუარე ტრეკსა და ფეხბურთის მოედანსო. მერე ისევ ყაზარმაში მიაჩიქჩიქეს. იქ ლოგინები დაალაგა, იმღერა, კარადაზე აძვრა და იცეკვა, კინომსახიობებსაც გამოაჯავრა, ფეხსაცმელებიც გაწმინდა, იატაკიც ენით ალოკა, ბალიშიც გააუპატიურა, მარდიც დალია. თითქოს სიზმარში იყო, თითქოს ციებცხელებიანივით აკეთებდა ამას ყველაფერს. და უცბად თავის ლოგინზე გაჩნდა. „გავიქცევი, ხვალვე გავიქცევი“, უმალ გაუელვა თავში. სიჩუმე იდგა. კადეტები ერთმანეთს შეჰყურებდნენ. დღეს ისინი დაბრიგეს და დაზილეს, ფურთხში ამოსვარეს, თავზე რა არ დაასხეს, მაგრამ ყველა დინჯად იყურებოდა, მედიდურადაც კი. სწორედ იმ ღამეს, ბუკის ცემის შემდეგ, შეიქმნა წრე.

ბიჭები იწვნენ, მაგრამ არავის ეძინა. მებუკე ეზოდან წავიდა. ვიღაც საწოლიდან წამოდგა, საპირფარეშოში შევიდა — აზანზარდა კარი. მერე ღმუილი და ბოყინი მოისმა, — კადეტს პირიდან ასაქმებდა. ლამის ყველანი წამოცვივდნენ საწოლებიდან და ფეხშიშველა გაქანდნენ იქით. შუა საპირფარეშოში ვალიანო იდგა, გამხდარი, აწოწილი, მუცელი ხელებით ეჭირა. კადეტები შორიდან უყურებდნენ, როგორ იგრიხებოდა მისი შავი სხეული. როდის-როდის მიადგა პირსაბანს და პირი მოიბანა. მაშინ ყველანი ერთად ალაპარაკდნენ, აჩოჩქოლდნენ, რა სიტყვებით არ ლანძღეს და აგინეს მეოთხეკურსელები.

— ასე არ იქნება, რაღაც უნდა მოვიფიქროთ, — თქვა აროსპიდემ. ამდენ ყარაჩ, შავტუხა თუ ბრინჯაოსფერ ბიჭში უმალ გამოარჩევდი მის თეთრ პირისახეს, მუშტი უკანკალებდა — აროსპიდეს ადვილად ერეოდა ბრაზი.

— წადი, იაგუარს დაუძახე, — წაილაპარაკა კავამ. მაშინ ჩაესმათ პირველად ეს სახელი — ვისა? — იკითხა ვიღაცამ, — ჩვენს რაზმშია განა?

— ჰო, — თქვა კავამ — ეგ არ ამდგარა. პირველ საწოლზე წევს,

საპირფარეშოსთან.

— იაგუარი რად გვინდა? — თქვა აროსპიდემ — როგორმე ჩვენ თვითონ გავუსწორდებით. ჩვენ — ვერა, — უთხრა კავამ — ეგ სხვებს არა ჰგავს. იმათ ეგ ვერ მონათლეს. ჩემი თვალითა ვნახე. გონს მოსვლაც არ აცალა. მე და ეგ ერთად წაგვათრიეს სავარჯიშო მოედანზე, ყაზარმების უკან. ეგ პირში დასცინოდა მათ, ეუბნებოდა: „მაშ, მონათვლას მიპირებთ? ვნახოთ, ვნახოთ“ ისინი ათამდე იყვნენ.

— მერე? — ჰკითხა აროსპიდემ.

— თითქოს გაოცდნენ, — განაგრძო კავამ — გესმით, ათნი იყვნენ, მერე ოცამდე შეიყარნენ, ლამის მთელი კურსი მოვარდა. ეგ კი პირში შეჰხარხარებს: „მონათვლას გვიპირებთ, განა? — ეუბნება — ჩინებულია, ჩინებული“.

— მერე? — იკითხა ალბერტომ.

— „რაო, ძაღლის ლეკვო, ჩხუბზე მაგარი ვარო?“ ჰკითხეს იმათ. ეგ კი ეტაკა, ნუ იტყვი, ისე ეტაკა! თან იცინის. ჯანი გამვარდეს, თუ ოცი კაცი მაინც არ იყო იმათგან, მაგრამ რაც ქამრები მოიხსნეს, ააზუზუნეს, ახლოს კი ვერ მიეკარნენ. ღმერთმანი, ყველანი დაფრთხნენ, ზოგი დაეცა, ზოგი ზეზეურად ბანცალებდა, სიფათები დაუსისხლიანა ყველას. ეგ კი იცინის და თან გაიძახის: „მაშ, მონათვლა გინებებიათ? ვნახოთ, ვნახოთ“

— იაგუარს რატომ ეძახი? — ჰკითხა აროსპიდემ..

— თვითონ თქვა ასე, — უთხრა კავამ — ყველანი მაგას დაეხვივნენ, მე დავავიწყდი კიდეც. ქამრებს უქნევენ ცხვირწინ, ეგ კი აგინებს, დედის სულს უტრიალებს, შეუგინებელი არაფერი დაუტოვა, „აბა გამბარინას მივუყვანოთ ეს მურდალი“, — თქვა ერთმა. მართლაც მოიყვანეს ერთი კადეტი — ვაჰ, ძია იყო რაღა, სიფათი — ოჰ-ჰო! ასე თქვეს, ფუთიან გირებს სწევსო — რად მოიყვანეს? — იკითხა ალბერტომ.

— არა, იაგუარას რად ეძახიან? — ჩასციებოდა აროსპიდე.

— იმიტომ, რომ დაეჭიდებინათ, — თქვა კავამ, — „ჰეი, ძაღლის ლეკვო, რაღაი ასეთი გულადი ხარ, აბა ერთი ამას შეეჭიდე!“ მაგან კი უთხრა: „მე ძაღლის ლეკვი არა ვარ. მე იაგუარი მქვია“.

— მერე, სიცილი დააყარეს? — იკითხა ვიღაცამ.

— აბა კი, — თქვა კავამ, — ეგ იცინოდა თვითონ. უბრაგუნებდა მუშტებს და იცინოდა.

— მერე? — ჰკითხა აროსპიდემ.

— დიდხანს არ უჭიდავებიათ, — ჰყვებოდა კავა — მაშინ მივხვდი, რატომ რქმევია იაგუარი. მაგისთანა მარჯვე არც მინახავს. განა ღონით გააქვს, უბედურად მოქნილია, თითქოს გაპობილი აქვს კანი, იმათმა ფალავანმა ხელიც ვერ წაავლო, ბოღმით კინაღამ გასკდა. იაგუარმა თაურიც ბევრი ურტყა, წიხლებიც, იმან კი ვერაფერიც ვერ მოუხერხა. მერე ასე თქვა იმ გამბარინამ: „კმარა, ვითამაშეთ და მოვრჩეთო“. ნამდვილად კი ფეხზე ძლივს იდგა.

— მერე? — იკითხა ალბერტომ..

— მეტი არაფერი, — თქვა კავამ, — ეგ. გამოუშვეს და მე მომდგნენ მოსანათლად.

— აბა, დაუძახე აქა, — უთხრა აროსპიდემ.

ყველანი წრედ ჩაცუცქულიყვნენ. რომელიღაცამ გააბოლა და მეზობელს გადასცა სიგარეტი. საპირფარეშო კვამლით გაიბურა. კავა რომ იაგუარს შემოუძღვა, მიხვდნენ, კავამ გადაამლაშაო — იაგუარს ღაწვისთავები, ნიკაპი, ბულდოგივით გაპარტყნილი ცხვირი სულ დალილავებული ჰქონდა. იაგუარი წრის შუა ჩაცუცქდა და თავხედურად შეათვალიერა ყველანი. ღია ლურჯი თვალები ჰქონდა, გრძელი წამწამები. აშკარად თავს იწონებდა. ეს სითავხედეც, ეს ღიმილიც, ეს ვითომ ზანტი მიხრა-მოხრა, დუნე მზერა, ყველას რომ სათითაოდ სწავლობდა, ყველაფერი წინასწარ მოფიქრებულ-განზრახული იყო. განზრახაც ჩაიცინა მკვახედ იმ სიჩუმეში. მაგრამ კრინტი არავის დაუძრავს, უხმოდ

ელოდნენ, როდის შეათვალიერებდა ყველას, როდის მოიჯერებდა სიცილით გულს..

— ასე თქვეს, მთელი თვე გაგრძელდებაო ნათლობა, — გამოაცხადა კავამ, — მაშ, ყოველდღე უნდა ვითმინოთ ეს ამბები?

იაგუარმა თავი დააქნია.

— სწორია, თავი უნდა დავიცვათ, მაგათ ოხტში ამოვიდეთ, ყველაფერი ძმრად ვადინოთ ცხვირიდან. თავი და თავია, სიფათები დავიმახსოვროთ, უკეთესი იქნება, გვარებიც: ვიცოდეთ და რაზმეულებიც. ცალ-ცალკე არ ვიაროთ. საღამოს ბუკის შემდეგ შევიყაროთ ხოლმე აქ. ჰო, ჩვენს გუნდს სახელი უნდა გამოვუნახოთ.

— შევარდნები ხომ არა? — გაუბედავად წამოილაპარაკა ვიღაცამ

— არა, — ბრძანა იაგუარმა, — ეგ თამაშს დაემგვანება. „წრე“ აჯობებს დავარქვათ.

მეცადინეობა შემდეგ კვირას დაიწყო. შესვენებებზე მეოთხე კურსელები ლეკვებს გამოიჭერდნენ და კვატების დოღს ამართვინებდნენ: ჩაამწკრივებდნენ ათ-თხუთმეტიოდე კადეტს, დოინჯს შემოაყრევინებდნენ, მუხლებს მოაკეცინებდნენ და, მეოთხეკურსელის ბრძანების შემდეგ, ყიყინ-ყიყინით გაიგდებდნენ წინ. ვინც ვერ შესძლებდა, კაი წიხლსაც ჩააზელდნენ მუცელში. დაფათურობდნენ ლეკვების ჯიბეებში, ართმევდნენ ფულსა. და სიგარეტებს, ბოლოს თოფის გასაპოხი ზეთის, ზეითუნისა და. საპნის ქაფის ნაყენსაც აყლურწინებდნენ ჭიქით. ეს ჭიქა კი კბილებით უნდა დაეჭირათ. წრე ორი დღის შემდეგ ამოქმედდა. ნასაუზმევს, როცა სამივე კურსი ერთად გამოიშალა და სასწავლებლის ეზოში მიმოიფანტნენ, კაცმა არ იცის საიდან, ქვების სეტყვა წამოვიდა. ერთი მეოთხეკურსელი ჭყვირილით გაგორდა ასფალტზე. მწყობრში ჩამდგარმა კადეტებმა თვალი ჰკრეს, როგორ წაათრიეს ამხანაგებმა იგი ჰოსპიტალში. მეორე ღამეს ბა-

ლახზე დასაძინებლად გაკოტრიალებულ მეოთხეკურსელ მორიგეს შენიღბული უცხო კადეტები დაესხნენ თავს, გააშიშვლეს, თოკით შეკრეს და ისე დააგდეს. მეორე დილას მებუკემ ნახა იგი ეზოში, მთლად დალილავებული და სიცივით აძიგძიგებული. ვის უცბად დაახტებოდნენ თავზე, რაღაცას გადააფარებდნენ და ისე ბეგვავდნენ, ვის ქვებს დაუშენდნენ. ხოლო როცა ლეკვებმა წვნიანის ქვაბი შარდით აავსეს, ბევრმა მეოთხეკურსელმა ჰოსპიტალში ამოჰყო თავი. ერთი სიტყვით, მეოთხეკურსელების ოხტში კი ამოვიდნენ, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიდნენ, მაინც ნათლავდნენ და მირონს სცხებდნენ ლეკვებს. წრის წევრები ყოველღამ გროვდებოდნენ, გეგმებს აწყობდნენ. ბოლოს იაგუარი იტყოდა თავისას, შესწორებას შეიტანდა, გაანაწილებდა, ვის რა გაეკეთებინა. ვერც შეამჩნიეს, ისე გაიარა იძულებითი ტყვეობის ერთმა თვემ. ამასობაში წრეს ახალი საზრუნავი გაუჩნდა. მოახლოვდა ქალაქში პირველი გასვლის დღე. უკვე ჩამოურიგეს ყველას საგარეო მუქი ლურჯი შარვლები. ოფიცრები ყოველ ცისმარე დღე მთელი საათით ჩასჩიჩინებდნენ ბიჭებს, ფორმაში გამოწყობილ კადეტს როგორ დაეჭირა თავი ქუჩაში.

— ეს ჩვენი სამოსი, — იძახდა ვალიანო და ავხორცულად ატრიალებდა თვალებს, — საქალეთისათვის იგივეა, რაც ბუზებისათვის თაფლი.

„არც ისეთი ცუდი ყოფა იყო, როგორც ადრე მითხრეს და როგორც მე მეგონა იმ დღემდე, ვინემ გამბოა არ შემოვიდა საპირფარეშოში საღამოს ბუკის შემდეგ. იმ თვის ყოველ კვირას ჩინებულად ვატარებდით, თუმცაღა სასწავლებლიდან ცხვირი არ გაგვიყვია გარეთ. აბა შემდეგ იყო კარგი!“ იმ თვეში მესამე კურსი კვირაობით თავისი თავის ბატონი თვითონ გახდა. დღისით კინოს უყურებდნენ, საღამოს კი მშობლები მოდიოდნენ და ლეკვებს და-

ასეირნებდნენ ეზოში საწვრთნელ-სასპორტო მოედანზე. ქალაქში გაშვებამდე ერთი კვირით ადრე მაუდის საგარეო სამოსი გააზომეს კადეტებს: ლურჯი შარვალი, ოქროსღილებიანი შავი გიმნასტურა, თეთრი ქუდი. ოღონდაც აღარ ეშველა და აღარ ამ თმას წამოზრდა. სული მისდიოდათ, როდის წავიდოდნენ ქალაქში. წრის სხდომების შემდეგ ყველა თავ-თავის გეგმაზე ლაპარაკობდა. „მაინც საიდან გაიგო? შემთხვევით? ვინმემ ხომ არ ჩააწვეთა? ვთქვათ და იმ დღეს უარინას ან ლეიტენანტ კობოსს ემორიგა? მე კი მგონია, წრის ამბავი რომ არ გაცხადებულიყო, არც ჩვენს რაზმეულში დატრიალდებოდა მისთანა საშინელება. რომც დატრიალებულიყო, ასე ერთბაშად არა, ერთხანს მაინც ადამიანურად ვიცხოვრებდით. იაგუარი იდგა და ერთი მეოთხეკურსელი რაზმელის ნიშნებს ეუბნებოდა ბიჭებს, ასეთი და ასეთი არისო. როგორც ყოველთვის, დანარჩენები ჩაცუცქულნი იყვნენ. სიგარეტის ნამწვავები ხელიდან ხელში გადადიოდა. კვამლი ზემოთ მიცოცავდა, მერე დაბლა ჩამოდიოდა და გველეშაპივით მიიკლაკნებოდა ოთასში. „არა, იაგუარ, ეგ მეტისმეტი მოინდომე, მკვდარიღა გვაკლია ახლა“, — იძახდა ზანგი. „ოხტში კი უნდა ამოვიდეთ, მაგრამ მეტისმეტიც არ ვარგა“, — ამბობდა ურიოსტე. „რაღაც არ მევასება, ცალთვალა რომ დარჩება“, — იძახდა პალიასტა; „ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავისი დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო, — ამბობდა იაგუარი, — რაღაი წყობიდან გამოგვიყვანეს, ახლა უყარონ კაკალი“. ჯერ კაკუნი მოისმა და მერე ყვირილი, თუ პირიქით იყო? გამბოამ ალბათ კარს ან ფეხი ჰკრა ან ორივე ხელი, ეს კია, რომ კადეტებს არც კაკუნი გაუგონიათ და არც აროსპიდეს წამოძახილი. მაშინღა მოეგნენ გონს, როცა სქელი კვამლი კარის შავი ღრმულისკენ გაიკრიფა. კარი კი გამბოას ეჭირა ორივე ხელით. აკვამლებული ნამწვავები მყის იატაკზე დაიყარა. ბიჭებმა ვერ გაბედეს შიშველი ფეხებით ჩაქრობა. ყველანი გაჭიმულები იდგნენ და გამბოას შეჰყურებდნენ. გამბოამ ქუსლებით

გასრისა ნამწვავები, მერე გადათვალა ბიჭები. — ოცდათორმეტია, მაშ მთელი რაზმეული აქ ბრძანებულა. რაზმის მეთაური ვინაა?

აროსპიდემ წინ წადგა ნაბიჯი.

— ამიხსენით, რას თამაშობთ, — წყნარად თქვა გამბოამ — თავიდან მოჰყევით, წვრილ-წვრილად.

აროსპიდემ ჩვენკენ გადმობრიცა თვალები, გამბოა კი ხესავით ერჭო და მშვიდად ელოდა. მერე ყველამ შევტირეთ და შევწუწუნეთ: აქაოდა, თქვენ ჩვენი მამა ხართ, ჩვენ თქვენი შვილები, სენიორ ლეიტენანტო. თქვენ არ იცით, რა სირცხვილი გვაჭამეს, როგორ მოგვნათლეს. აბა, რა ვაჟკაცი ხარ, თუკი თავი არ დაიცავი. ლაფი დაგვასხეს, გვცემეს, სენიორ ლეიტენანტო, გვაწამეს, შეგვარცხვინეს. აბა, ნახეთ, მონტესინას რა დღეში აქვს უკანალი. ლეიტენანტს კი წარბიც არ შეუხრია, ამას გაიძახოდა მხოლოდ: „ფაქტები, ფაქტები, კომენტარები არ არის საჭირო, მოკლედ თქვით, რა იყო, რიგ-რიგად, ერთად ნუ ყვირით, სხვებს დააღვიძებთ, თავი მოგეჭრებათ“. წესდებაზე დაგვიწყო ლაპარაკი: ყველანი უნდა გაგყაროთ კაცმა, მაგრამ ჯარი სულგრძელია, იცის, ლაწირაკები რომ ხართ. თქვენ ჯერ არც გიყნოსიათ, რა არის ჯარი, რა არის უფროსების პატივისცემა, ამხანაგობის კანონები. მოგჭამათ ჭირი თქვენმა თამაშმაო; დიახ, სენიორ ლეიტენანტო; ეს პირველი და უკანასკნელი იყოს. უფროსებს მოვახსენებო ამ ამბავს; დიახ, სენიორ ლეიტენანტო; ქალაქში ვეღარ წაბრძანდებითო, დიახ, სენიორ ლეიტენანტო; ვინ იცის, კაცნი მაინც გამოხვიდეთო; დიახ, სენიორ ლეიტენანტო; იცოდეთ, კიდევ ერთხელ რომ შეგისწროთ, ოფიცერთა საბჭოს მოვახსენებო; დიახ, სენიორ ლეიტენანტო; წესდება კი დაიზეპირეთ, თუ გნებავთ ერთი კვირის შემდეგ ქალაქში წაბრძანდეთ, ახლა კი დაიძინეთ, მორიგეებმა თავის ადგილზე გასწიონ, ხუთი წუთის შემდეგ პატაკს ჩამაბარებთო; დიახ, სენიორ ლეიტენანტო.

წრე მეტად აღარ შეყრილა. ეს კია, ცოტა ხნის შემდეგ იაგუარმა თავისი პატარა ბანდა მონათლა წრედ. ივნისის პირველ შაბათს მათი რაზმეული დაჟანგულ რკინებიდან გაჰყურებდა, სხვა რაზმეულის ლეკვები, გაბღენძილები, ახალთახალ სამოსში გამოწყობილნი, ქათქათა კეპებით და ტყავის ახალი ჩანთებით, უტიფრად რომ გაცვივდნენ ალაყაფიდან ზღვისპირა გამზირზე. იქ ჩამომხევლეულ მიწაყრილზე იდგნენ, ზურგით ზღვისკენ და მირაფლორეს-კალიაოს ავტობუსს ელოდნენ. ზოგი პალმის გზაშარას მიუყვებოდა, რათა. პროგრესის გამზირზე შეეხვიათ (ეს გამზირი ბაღებს ჭრიდა და ლიმაში ბრენიას რაიონიდან შედიოდა, ბოლოს კი ბელიავისტესა და კალიაოსკენ ეშვებოდა რკალივით). ხოლო როცა ლეკვებიდან აღარავინ დარჩა ნისლით დანამულ ასფალტზე, მაინც რკინის მესერთან იდგნენ ცხვირმიჭყლეტილნი და თვალს არ აშორებდნენ გზას. მერე დაჰკრა ბუკმა — მეორე საუზმის დრო იყო — და ისინიც უხმოდ წალასლასდნენ შენობისაკენ. ბრინჯაოს გმირი უჩინო თვალებით გაჰყურებდა მოზეიმე, ბედნიერი და ბოღმით გაგუდულ დაჯარიმებულთ, ტყვიისფერ შენობათა უკან რომ უჩინარდებოდნენ.

იმავე დღეს სასადილოდან გამოსვლისას ისინი პირველად დაერივნენ ერთმანეთს. ლამა მიბნედილი თვალებით შესცქეროდა მოჩხუბართ. „მე არ შევარჩენდი, არც ვალიანო, არც კავა და აროსპიდე შეარჩენდნენ. ღმერთი ხომ არაა ბოლო-ბოლო ეს იაგუარი. სულ სხვანაირად დატრიალდებოდა ყველაფერი, მაგას რომ პასუხი გაეცა. ვდრუზავდი ერთი მაგრად, ან ქვას ვესროდი ან ჯოხს, სულაც გავიქცეოდი. ეგრე კი არ დავდგებოდი და ვიკანკალებდი. ღმერთმანი, ეგრეც არ შეიძლება“. ერთად შეჯგუფულები კიბეზე დაეშვნენ. საფეხურები არ ჩაეთავებინათ, რომ რაღაც მოხდა, ორნი კოტრიალ-კოტრიალით დაგორდნენ კიბეზე და ბალახებში გაიშხლართნენ. მერე წამოდგნენ. ზემოდან კი ოცდაათი წყვილი თვალი დასჩერებოდათ, როგორც ტრიბუნიდან.

კაციშვილი არ განძრეულა, იმასაც კი ვერ მიხვდნენ, რა მოხდა ასეთი. იაგუარმა კატასავით ისკუპა, არც გაუფრთხილებია, ისე ჩაანათა ერთ-ერთს ცხვირ-პირში, მერე წააქცია, ზედ მოექცა და დაუშინა მუშტები თავ-პირში, ზურგზე. ბიჭები უყურებდნენ იაგუარის მუშტების ტრიალს, მეორის ყვირილი კი თითქოს არც გაუგიათ: „მაპატიე, იაგუარ, ღმერთმანი, შემთხვევით მომიხვდა ხელი, არ მინდოდა“. მაინც როგორ დაუჩოქა, ან ხელები როგორ დაიკრიფა გულზე, როგორც დედამ იცის ხოლმე ლოცვისას ან პატარებმა პირველ ზიარებაზე, თითქოსდა იაგუარი ეპისკოპოსი იყო ან მღვდელი, აღსარება რომ უნდა გაანდო. აგერ, როსპილიოსიც კი ამბობს: „რომ გამახსენდება, ახლაც ტანში გამზრინავს ხოლმე, ფუჰ!“ იაგუარი კი იდგა და ზიზღით დაჰყურებდა დაჩოქილ ბიჭს. მუშტიც ისე ეჭირა, გეგონება, სადაცაა ჩააფარებს იმ გამტკნარებულ სიფათშიო. დანარჩენები გაუნძრევლად იდგნენ. „გიყურებ და გული მერევა, — უთხრა იაგუარმა, — სულ არ გქონია ღირსება. მათხოვარი ყოფილხარ, რაღა“.

— რვა საათი და ოცდაათი წუთია, — გამოაცხადა გამბოამ, — ათი წუთიღა დარჩა. ბიჭები აქსიტინდნენ, აწრიალდნენ, აბრახუნდა მერხის თავები. „წავალ საპირფარეშოში და გავაბოლებ“, — გაურბინე თავში ალბერტოს, ვინემ თავის სამუშაოს ხელს მოაწერდა — ანაზდად მერხზე დასორსოლავებული ქაღალდი დაეცა, იგორა, იგორა და ზედ ალბერტოს იდაყვთან გაჩერდა. ვინემ ამ სორსალს აიღებდა, ბიჭმა აქეთ-იქით გაიხედა, მერე თავი ასწია: ლეიტენანტი ღიმილით მიჩერებოდა. „შეამჩნია თუ არა?“ — გაუელვა ალბერტოს და თავი ძირს დახარა.

— ხომ არ მომცემთ მაგ სორსალს, თქვენს მერხზე რომ დაეცა? — ეუბნება ლეიტენანტი — აკი ვთქვი, ჩუმად-მეთქი.

ალბერტო წამოდგა. გამბოამ ქაღალდის სორსალი ჩამოარ-

თვა, გაშალა, სინათლეზე გახედა, ნელა ჩაიკითხა. თვალებს კალიასავით დაახტუნებდა ქაღალდიდან მერხზე, მერხიდან ისევ ქაღალდზე.

— ხომ არ იცით, რა სწერია აქ, კადეტო? — ეკითხება გამბოა.

— არა, სენიორ ლეიტენანტო.

— ფორმულებია, არც მეტი, არც ნაკლები. რას იტყვით? იცით, ვინ გიბოძათ ეს საჩუქარი? თქვენმა მფარველმა ანგელოზმა. მიბრძანებთ მის გვარს?

— არ ვიცი, სენიორ ლეიტენანტო..

— წადით და ჩააბარეთ თქვენი ნამუშევარი, — გამბოამ ქაღალდი დაფხრიწა და ნაკუწები კათედრაზე დაყარა — მფარველმა ანგელოზმა კი გვიბრძანოს თავისი გვარი. ოცდაათი წამი მომიცია.

კადეტებმა ერთმანეთს გადახედეს.

— თხუთმეტი წამიღა დარჩა, — აცხადებს გამბოა, — მე ოცდაათი წამი ვთქვი.“

— მე ვიყავი, სენიორ ლეიტენანტო, — გაისმა საბრალისად.

ალბერტომ მიიხედა. მათხოვარა გადაფითრებული წამომდგარიყო ხეზე. კლასის ხითხითი, მგონი, არ გაუგია.

— სახელი, გვარი თქვენი, — ეუბნება გამბოა — რიკარდო არანა.

— განა არ იცით, რომ გამოცდა ყველამ თავისით უნდა ჩააბაროს?

— ვიცი, სენიორ ლეიტენანტო.

— ჰო, — ამბობს გამბოა, — მაგრამ ის არ იცით, რომ იმ შაბათკვირას ქალაქში წასასვლელ საშვს ვერ მიიღებთ. რა გაეწყობა, ჯარში ასეა... აქ მფარველ ანგელოზებს არც მაინცდამაინც სწყალობენ.

გამბოამ საათს დახედა.

— მორჩა. აბა, ჩამაბარეთ ნამუშევარი.

III

— „ჩემი სკოლა საენს პენიაზე იყო. შინ, ბელიავისტაში ფეხით დაბრუნებისას, გზაში ბევრჯერ შევყრივარ იგერასს. მასთან მეგობრობდა ჩემი ძმა ჯარში წასვლამდე. „პერიკო რასა იქმს?“ — უთუოდ მოიკითხავდა ხოლმე ჩემს ძმას. „რა ვიცი, რაც სელვაში უკრეს თავი, მას აქეთ აღარ მოუწერია“ — „სად გარბიხარ? წამო, ვიჭუკჭუკოთ“, — მეტყოდა და დუქანში წამათრევდა. მე შინ მიმეჩქარებოდა, მაგრამ ჩემზე უფროსი კაცი რომ თავს მიყადრებდა, მეც ხათრი უნდა დამედო. „აბა, რას დალევ?“ — მკითხავდა დუქანში — „რა ვიცი, ჩემთვის სულ ერთია“. „ბატონი ბრძანდები, მაშ, ორი ჭიქა, მოგვართვი, — იტყოდა და მერე მხარზე დამკრავდა ხელს — აბა, შენ იცი, არ დამითვრე აქა“. მე კი არაყი ყელს მითუთქავდა, ცრემლებს მადენდა. „ლიმონი მოწუწნე, ლიმონი, ეგ შველის ხოლმე. სიგარეტიც გააბოლე“.

— ვლაპარაკობდით ხან ფეხბურთზე, ხან სკოლაზე, ხან პერიკოს ამბებზე. ჩემი ძმა ერთი ბუნჩულა, უწყინარი ვიღაც მეგონა, თურმე ნუ იტყვი, კაი კურო ყოფილა, ქალები ჰყვარებია. ერთხელ

ქალის გამო კინაღამ დანითაც დაუჭრიათ ვიღაცეებს. კნაჭა იგე-
რასმა რომ —მიამბო, ერთი გოგო დააორსულა და ძალით მოუნ-
დომეს იმ გოგოს ცოლად შეჩეჩებაო, სახტად დავრჩი პირდაპირ.
„მაშ-მაშ, — მითხრა, — უკვე ოთხი წლის ძმისწული გყავს. დაბერ-
დი, ძმაო“. დიდხანს არ დავრჩენილვარ მასთან. დედაჩემს რომ
შეეტყო, რა მექნა? ამოვალაგებ წიგნებს, ვეტყვი: „სამეცადინოდ
უნდა წავიდე-მეთქი“, დედაჩემი კი ხმასაც არ გაიღებს, თავს თუ
დამიქნევს, ესეც დიდია. ჩვენს მეზობლად ერთი დიდი სახლია,
თუმცა ისიც კაი ძველი ჩანს, ჩვენი სახლისა არ იყოს. ვინემ კარზე
დავაკაკუნებდი, ხელისგულებს იმდენ ხანს ვიფშვნეტდი, ვინემ
არ დამიწითლდებოდა. ტერე თუ გამიღებდა კარს, იცოცხლე,
გულზე მომეფონებოდა. უფრო ხშირად კი დეიდამისი აღებდა
კარს. იგი დედაჩემთან მეგობრობდა, მე კი არც მაინცდამაინც ვე-
პიტნავებოდი. პატარაობისას თურმე ფინთ რაღაცეებს ვუკეთებ-
დი. გამიღებდა კარს და ჩაიბურდღუნებდა: „სამზარეულოში იმე-
ცადინეთ, იქ მეტი სინათლეა“. მე და ტერე რომ ვმეცადინეობ-
დით, დეიდამისი სადილს დასტრიალებდა. გიყვარდეს, ხახვითა
და ნივრით ყარდა იქაურობა. ტერე დიდი ფაქიზი ვინმე იყო, გა-
გეხარდებოდა, მის რვეულებსა და წიგნებს რომ დახედავდი. ყვე-
ლას ქაღალდი ჰქონდა გადაკრული, ასოები ჩაწიკწიკებული, სა-
თაურები ფერად-ფერადი ფანქრებით გახაზული, მელნის ლაქას
ვერსად ნახავდი. „მხატვარი გამოხვალ-მეთქი“, ვეუბნებოდი
ხოლმე. ის კი ყველაფერზე კისკისებდა, რაც არ უნდა მეთქვა. მის
კისკისს რა დამავიწყებს. მთელი გულით კისკისებდა და თან ტაშს
შემოჰკრავდა ხოლმე. ბევრჯერ უჩუმრად მიდევნებია თვალი,
როცა სკოლიდან მოდიოდა. მაშინვე შეატყობდი, სხვა გოგოებს
არა ჰგავდა, თმაგაჩეჩილებსა და მელნით მოთხუპნულებს. მაგ-
რამ ყველაზე უფრო პირისახე მომწონდა მისი. გრძელფეხება
იყო, მკერდი ჯერ არ ეტყობოდა. თუმცა იქნებ ეტყობოდა კიდეც,
მაგრამ მე არც მის მკერდზე მიფიქრია მაშინ და არც ფეხებზე —

მხოლოდ სახეზე ვფიქრობდი. ღამით ლოგინში რას არ წარმოიდგენ კაცი, მაგრამ ის რომ გამახსენდებოდა, მაშინვე სირცხვილით ვიწვოდი. კოცნა კი მენატრებოდა მისი, რაც მართალია მართალია, თვალებს რომ დავხუჭავდი, მაშინვე წარმოვიდგენდი, ვითომ დიდები ვართ, ის ცოლი, მე ქმარი. ჩვენ ყოველდღე ორი საათი მაინც ვმეცადინეობდით, ხანდახან მეტიც. ვატყუებდი: „იცი, რამდენი მოგვცეს-მეთქი სასწავლად“, ოღონდაც დიდხანს ვყოფილიყავი მასთან. არა, ხანდახან ამასაც ვეტყოდი: „თუ დაიღალე, წავალ-მეთქი“. მაგრამ ერთხელაც არ უთქვამს, დავიღალეო. იმხანებში კარგად ვსწავლობდი, ყველაზე კარგი ნიშნები მე, მქონდა, მასწავლებლებსაც ვუყვარდი, მაგალითად ვყავდი ხოლმე ყოველთვის. დაფასთანაც მე მიძახებდნენ, მეუბნებოდნენ, ჩვენი თანაშემწე ხარო. ბიჭები კი, პირიქით, ქლესას მეძახდნენ. მე იმათთან დიდად არ ვამხანაგობდი, სკოლაში თუ გამოველაპარაკებოდი და მერე ჩემი გზით მივდიოდი. იგერას? თან კი ვძმაკაცობდი. ბელიავისტის მოედნის კუთხეში რა წამს თვალს მომკრავდა, არ შეიძლება ჩემთან არ მოსულიყო, მე კი მხოლოდ ეს მიტრიალებდა თავში, ხუთი საათი როდის გახდება-მეთქი. კვირადღეები მძულდა. მე და ტერე მთელი კვირა ერთად ვმეცადინეობდით, კვირას კი ისა და დეიდამისი ნათესავებთან მიდიოდნენ სტუმრად. მე ხან შინ ვიყავი, ხან სტადიონზე მივდიოდი და მეორე კლასის გუნდების თამაშს ვუყურებდი. დედაჩემს ფული თავის დღეში არ მოუცია ჩემთვის. სულ წუწუნებდა, მამის პენსიას ცოტას გვაძლევენო. „თურმე სულ ტყუილი ყოფილა, კაცმა ოცდაათი წელი მთავრობას ემსახურო. დიდი უმადური ყოფილა მთავრობა“. პენსია საჭმელსა და სახლის ქირას ძლივს აუდიოდა. შარშან ერთი-ორჯერ მაინც ვიყავი ბიჭებთან ერთად კინოში, წელს კი ერთხელაც არ წავსულვარ არც კინოში და არც ფეხბურთზე. შემდეგ წელს თუმცა კი გამიჩნდა ფული, მაგრამ რომ გამახსენდება ჩვენი საქმეები — თვალში გამოხედვა აღარ მინდა“.

„ზორბად გამოვიდა კინოში მაშინ. აბა, აბა, წკავწკავავ, კბენა არ იყოს. ვაჰ, რა ზორბად გამოვიდა. მაშინ მეოთხე კურსზე ვიყავით. ერთი წელია გამბოას წყალობით ჩვენმა წრემ ჭირი მოგჭამა. მაგრამ იაგუარი მაინც ამას გაიძახოდა: „ნუ გეშინიათ, ყველანი უკანვე მოძუნძულდებიან, მოთავენი კი ჩვენ ოთხნი ვიქნებით“. უკეთაც წავიდა საქმე. როცა ძაღლის ლეკვები ვიყავით, წრეში ერთი ჩვენი რაზმეული იყო მხოლოდ, ახლა კი ლამის მთელი კურსია წრე, ხოლო ჩვენ მისი მოთავენი და გამრიგენი ვართ, თუმცა უფრო იაგუარია. ვაი, რა თვალებით გვიყურებდა, რა თვალებით! „სიმაღლისა მეშინია, სენიორ კადეტებო, თავბრუ მესხმის!“ იაგუარი სიცილით გაიჭაჭა, კავამ კი ცოფები ჰყარა: „იცი, ვის ეხუმრები, ძაღლის ლეკვო?“ ისიც აძვრა, მეტი რა ჩარა ჰქონდა, შიშისგან ლამის სული გაეპარა ალბათ. „მიდი, მიდი!“ — ეუბნებოდა ქოჩორა. „ახლა მსახიობივით გვიმღერე და ხელები გაპარჭყე!“ — უთხრა იაგუარმა. კიბე აქეთ-იქით ქანაობდა, ის უბედური მაიმუნივით ჩაბღაუჭებოდა კადონს. „რომ ჩამოვვარდე, სენიორ კადეტებო?“ „შენი წერაც ეგ ყოფილა“, მივატანე მე. აკანკალდა, მაგრამ მაინც იმღერა. „მართლა მოიტეხს კისერს“, წაილაპარაკა კავამ. იაგუარს კი მუცელი ხელით ეჭირა. ეგ არაფერი, რომ ჩამოვარდა ის სულელი, სამხედრო ვარჯიშზე უფრო მაღლიდანაც ჩამოვარდნილან ბიჭები. ოღონდაც პირსაბანს არ უნდა მოჭიდებოდა. „თითი მოიტეხა, მგონი“, — თქვა იაგუარმა. „ერთი თვე უსაშვოდ დარჩებით, ვერც მერე გაადგამთ ქალაქში ფეხს, ვინემ არ იტყვით, ვინაა დამნაშავე“, — ყოველ საღამოს აცხადებდა კაპიტანი. რაზმეული მართლა წესიერად მოიქცა. „რაღაი ეგეთი ვაჟკაცები ყოფილხართ, წრეში რად არ დაბრუნდებით?“ — ეუბნებოდა ყველას იაგუარი. ლეკვები ისე მორჩილად იქცეოდნენ, მართლა არ ღირდა მათზე ხელის გასვრა. ისე რომ მონათვლისას არც ბევრი გვიწვალებია. მაგრამ მეხუთე კურსს

კი, იცოცხლე, ბდღვირი ვადინეთ. მოვკვდები, არ დამავიწყდება შარშანდელი წელი, მეტადრე კინოს ამბავი. სულ კი იაგუარმა ატეხა ყველაფერი. მე მის გვერდით ვიჯექი, ლამის ხერხემალი არ გადამიტეხეს. ლეკვებს ბედმა გაუღიმა, ასე ვთქვათ, თითიც არ დაგვიკარებია მათთვის, მეხუთეკურსელების ოხტში ამოვდიოდით. კაი რამე ყოფილა შურისძიება, თავის დღეში ისე არაფერი გამხარებია, სასპორტო მოედანზე იმის სიფათი რომ დავინახე, ვინც მე ადრე მომნათლა. კინაღამ არ ჩავცვივდით, მაგრამ, ჯანი გავარდეს, მართლაც ღირდა ამად საქმე. მეოთხე კურსის ლეკვებს გავეთამაშეთ მხოლოდ, მეხუთეკურსელებს კი, გიყვარდეს, ყოფის დღე ვუტირეთ. იმას რა დამავიწყებს, მაგათ რომ ჩვენ მოგვნათლეს? კინოში განზრახ დავლაგდით ლეკვებსა. და მეხუთეკურსელებს შორის, შუხური რომ აგვეტეხა. ბერეტების ამბავიც იაგუარმა მოიგონა. მეხუთეკურსელს რომ დავინახავ, ჯერ ახლოს მოვუშვებ, მერე შუბლთან მიმაქვს ხელი, ვითომდა ვესალმები. ისიც მომესალმება. მერე ბერეტსაც ვიშვლეპ. „მაბითურებთ თუ რა არის?“ — „არა, თავი მეფხანება, ქერტლით მაქვს თმა სავსე“. მაშ, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გვქონდა, რაღა. ჯერ კინოში ვიყარეთ ჯავრი, მერე სასპორტო მოედანზე. პა-პა, რა დაგვცხა იმ შუა ზამთარში.

იმდენი ბიჭი შეგვყარეს თუნუქით გადახურულ კინოში, ლამის ამოვიხუთეთ ხალხი. მე ის არ დამინახავს, ოღონდ ხმა გავიგონე, ნამდვილად ველური იყო. იაგუარმა გამოაცხადა, „მიმაჭყლიტეს კაცი, დუნდულა ვერ დამიდევს სკამზე“. იაგუარი სულ ბოლოში იჯდა მეოთხეკურსელთა რიგში. მწერალიც უკვე ვიღაცას ეკინკლავებოდა. სინათლე უკვე ჩააქრეს. „მოკეტე, თუ არ გინდა გვერდები აგიხურო“. არა, არა, იაგუარს განგებ არ დაუდევს აგურები სკამზე. უკეთ რომ დაენახა, იმიტომა ქნა. ასანთის გასაკრავად რომ დავიხარე, თვალი შევასწარ, იმ მეხუთეკურსელს სიგარეტი დაუვარდა — და ახლა მის ძებნას შევუდექი. მთელი რიგი

შეტოკდა. „მოაშორე ეგ აგურები, კადეტო, მეც მინდა ვუყურო“, „მე მეუბნებით მაგას?“ — ვკითხე. „არა, თქვენს მეზობელს“. „მაშ მე?“ „აბა ვის?“ — „თუ შეიძლება მოკეტეთ, ნუ მიშლით, კოვბოებს ვუყურებ“. „მაშ არ მოაშორებ აგურებს?“ — „მე მგონი, არა“, — მოუჭრა იაგუარმა. რაღა დროს სიგარეტის ძებნა იყო, ისევ ჩემს ადგილზე დავჯექი, ან კი სად მოვძებნიდი. შევატყვე, ცუდად იყო საქმე და ქამარი მაგრა შემოვიჭირე, რა იცი, რა მოხდება. „მაშ არ მოაშორებ აგურებს?“ — ჰკითხა ისევ იმ მეხუთეკურსელმა. „არა, — უთხრა იაგუარმა და გასახელებლად დაუმატა — ან რად უნდა მოვაშორო?“ უკნიდან სტვენა დაიწყო. „ვაი, ვაი, ვაი“, — გააბა მწერალმა. მას მთელი რაზმი აჰყვა. „მასხარად მიგდებთ?“ — იკითხა მეხუთეკურსელმა. „ეგრე ჩანს, სენიორ კადეტო“, — მიუგო იაგუარმა. ჰოდა, ატყდა, მაგრამ რა ატყდა. დარბაზში ბნელა, თვალში თითს ვერ მიიტან, ჩვენ კი ჩხუბი გვაქვს გახურებული. იაგუარს რომ ჰკითხო, მე დავიწყე ყველაფერი, მაგრამ მეხსიერება კარგი მაქვს — მაგას არ დაუწყია. ან იმ მეხუთეკურსელმა დაიწყო, ან მისმა ამხანაგმა, თავისიანს რომ გამოესარჩლა და იაგუარს გიჟივით დაახტა. იმისთანა ღრიალი ატყდა, დღემდე ყურებში მიდგას. ყველანი წამოვცვივდით, აწრიალდა ჩრდილები, შეიქნა წიხლების ცემა. სურათი რაღას დამამახსოვრდებოდა, ისის იყო დაიწყო. ნეტა მწერალს მართლა ისე მაგრად მოხვდა, თუ ტყუილად ბღაოდა ასე? — „შუქი აანთეთ, შუქი, სერჟანტო, ხომ არ დაყრუვდით?“ — ღრიალებდა ლეიტენანტი უარინა. ლეკვებიც იმასვე კიოდნენ: „შუქი, შუქიო!“

არ იცოდნენ, რაში იყო საქმე, ალბათ ეგონათ, ორივე კურსი ამ სიბნელეში ჩვენ გადაგვქელავსო. აქეთ-იქით ფრინავდა სიგარეტები — აბა, ვინ გიჟი ინდომებდა, სიგარეტით ხელში წაესწროთ — სასწაულია კიდევ, ცეცხლი რომ არ გაჩნდა. მაშ, არაფერი არ შევარჩინეთ, მოგეცა ლხენა, ჩვენ ჯავრი ვიყარეთ. მიკ-

ვირს, იაგუარი როგორ გადარჩა ცოცხალი? დაწრიალებდა ლანდები, ხელ-ფეხი დამეღალა, მგონი, ჩვენებსაც კი ვუთავაზე — მიდი და გაარჩიე იმ სიბნელეში, ვინაა შენიანი და ვინ არა. „ეშმაკმა დალახვროს, რა დაემართა სინათლეს? — ბღაოდა უარინა — არ გესმით განა, სერჟანტო ვარგა? ეს პირუტყვები ერთმანეთს დახოცავენ“. მართლაც იმისთანა ცემატყეპა იყო, საკვირველია, რომ ვიღაც არ შემოაკვდათ! სინათლე რომ აანთეს — მყის დაწყნარდა ყველა, ეს კია, სტვენა არ შეწყვეტილა. უარინა სადღაც გამქრალიყო. მხოლოდ მეხუთე და მესამე კურსის ოფიცრებისა და სერჟანტების ხმა ისმოდა: გაგვატარეთ, თქვენი ესა და ის“... კაი ჭკვიანები არიან, გავატარებდით მაშ, იმ ჭკუაზე ვიყავით! მაგ მურდლებმა თვითონაც იყარეს ჩვენზე ჯავრი, სიბნელით ისარგებლეს, კარგად მახსოვს, ვირთხამ ისე ჩამაფარა, ლამის სული გამაფრთხობინა. იაგუარი მოვიძიე თვალით. „იმას თუ რამე უყავით, ვაი თქვენი ბრალი-მეთქი“, ვიძახდი. ის კი ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ ატრიალებს მუშტებს, თან იცინის — მაგ ასპიტს ვინ რას უზამს. ზორბად გავაცურეთ ყველა. უფროსების ოხტში ამოსვლა, იცოცხლე, ჩვენ ვიცით. „რა მოხდა? არაფერიც არ მოხდა. მე არაფერი ვიცი“. მეხუთე კურსი კაი მაქცია ყოფილა. ჯერ ლეკვები გავყარეთ გარეთ, ნუ იტყვი, შეშინებულნი იყვნენ, მერე მეხუთე კურსი გავაბრძანეთ. დავრჩით მარტონი და გავაბით: „ვაი-ვაი-ვაი“. შეიქნა ერთი ყაყანი, „მეხუთე კურსი ცოფებსა ჰყრის, ლეკვების თანდასწრებით რომ ვუტირეთ ყოფა. ალბათ ღამით თავს დაგვესხმიან“, ოფიცრები ვირთხებივით დაძვრებიან: „ვინ წამოიწყო, ვინ იყო მოთავე? არ იტყვით — ყველას კარცერში ჩაგყრით“. ჩვენ კი ყურს არ ვუგდებთ, ერთმანეთს ვეჩურჩულებით: „ღამით მოვლენ, ღამით მოვლენ“. ეს კია, შიგ არ დაველოდებით, გარეთ დავხვდებით ყველანი. იაგუარი კარადაზე აძვრა. ყველა პირში შევყურებდით, როგორც მაშინ, როცა მთელი წრე საპირფარეშოში

შევიყარეთ და შურისძიების გეგმებს აწყობდით. „თავი უნდა დავიცვათ, ერთი მომზადებული ორ მოუმზადებელს სჯობია. დაე, მორიგეები მოედანზე გავიდნენ, თვალი ფხიზლად დაიჭირონ. რა წამს იმათ დაინახავენ, დაიძახონ და ჩვენც გავალთ. დაჭმუჭნეთ საპირფარეშოს ქაღალდები, მუშტში დაიჭირეთ, ვირის წიხლივით გამაგრდება მუშტი, სამართებლები წაღებში ჩაიდეთ, ჯიბეში ქვები ჩაიწყეთ. არ დაგავიწყდეთ საჭიმებიც. ფახვს თვალის ჩინივით გაუფრთხილდით“. ყველანი იაგუარს მივჩერებოდით. ქოჩორა კი ლოგინიდან ლოგინზე დახტოდა. მესამე კურსი გამახსენდა, ოღონდაც ახლა მარტო ჩვენ კი არა, ყველამ მოიქაჩლა თავი. გავიგეთ, სხვა რაზმეულებიც ემზადებიანო. „დალახვროს ეშმაკმა, ქვები არ გვყოფნის — თქვა მწერალმა, — ისევ ფილები უნდა ავყაროთ“. ერთიმეორეს სიგარეტებს ვთავაზობდით, ერთმანეთს ვეხვეოდით, ჩაცმულები დავწექით, ზოგს ფეხზეც არ გაუხდია. რაო, მოდიან? წყნარად-მეთქი, წკავწკავავ, ნუ იკბინების ძაღლიც რომ გადაირია, დახტის და დაჰყეფს. შენ, ეი, წკავწკავავ, გასწი, ლამასთან დაიძინე, მე ბიჭებს უნდა ვუყარაულო, მეხუთეკურსელებმა თავ-პირი არ დაამტვრიონ!“

სახლი დიეგო ფერესა და ოჩარანის კუთხეში ერთი მეტრის სიმაღლე და ათი მეტრის სიგრძე თეთრი გალავნითაა ორივე ქუჩას დაშორებული. ზედ კუთხეში, ტროტუარის კიდეზე, ფარანია. ამ ფარანსა და გალავანს შორის დარჩენილი ადგილი სწორედ იმ გუნდის კარია, ვისაც კენჭის ყრისას ბედი გაუღიმებს. მეორე გუნდმა თვითონ უნდა მოიწყოს კარი, ქვები და ქურთუკები დაჰყაროს ტროტუარის კიდეებზე. თუმცა ორივე კარი ტროტუარის სიგანეა, მოედნად მთელი ქუჩა ითვლება. ჩაიცვამდნენ კედებს, როგორც „ტერასის“ კლუბში, გაბერავდნენ ბურთს არც ძალიან მაგრად, რომ შორს არ გადავარდნილიყო, იყო გახურებული

ფეხბურთის თამაში. ბურთს დაბლა-დაბლა აწოდებდნენ ერთმანეთს, კარს ახლოდან უმიზნებდნენ და არც ისე მაგრად არტყამდნენ ფეხს. კარი ცარცით იყო მოხაზული, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ცარცი წაიშლებოდა და იყო ერთი დავა და ჩხუბი, გოლი გატანილია თუ არაო. მთელი ძალით თამაშს ერიდებოდნენ, მაგრამ შიგადაშიგ ეშხში შესული მდიდარა თუ სხვა ბიჭი ღონივრად გაჰკრავდა ფეხს ან თავს ბურთს და ისიც, გალავნიდან ბაღში გადაფრენილი; ხან ნემსიწვერას გადაქელავდა, ხან სადარბაზო კარს მიეხეთქებოდა, ხან კი, ღმერთმა ნუ ქნას, ფანჯარას მიასკდებოდა; გაჯახუნდებოდა კარი, წკრიალით გამოვარდებოდა შუშა და დამფრთხალი მოთამაშეებიც უკანმოუხედავად მოჰკურცხლავდნენ. ბურთს ვინღა ჩიოდა. მირბოდნენ ბიჭები, მდიდარა კი ღრიალებდა: „მოგვდევენ! მოგვდევენ!“ ვერავის გაებედა უკან მოხედვა და შემოწმება. მიქროდნენ და თან გაჰკიოდნენ: „პოლიცია! პოლიცია!“ აქოშინებული ალბერტოც დაჰკივლებდა: „ხრამისკენ, ბიჭებო, ხრამისკენ ყველანი!“ ესმოდა ამფსონების ქშენა-ქსიტინი: მდიდარა მხეცივით ქოშინებდა, მექსიკელი თანაბრად და მოკლე-მოკლედ სუნთქავდა, ნამცეცა სულ ჩუმად და ჩუმად და თანდათან უკან-უკან რჩებოდა. ემილიო სპორტსმენივით დინჯად ითქვამდა სულს, ძალას არ ხარჯავდა, იცოდა, პირით რომ უნდა ჩაესუნთქა და ცხვირით ამოესუნთქა. პაკო, სორბინო და დანარჩენები მძიმე-მძიმედ ქშინავდნენ. მათი სუნთქვა ძალას მატებდა ალბერტოს, ფეხს კიდევ უფრო უჩქარებდა. გზაჯვარედინამდე როგორც იყო მიატანდა სულს, მერე მარჯვნივ გადაუხვევდა და კედელკედელ გაიქცეოდა, სხვებს რომ არ გაესწროთ მისთვის მოსახვევში. მერე უკვე აღარა უშავდათ რა, კოლუმბის ქუჩა მთის ძირისკენ ეშვებოდა — იქიდან უკვე სულ ახლოს ჩანდა სანა-პიროს წითელი აგურები. იქით კი ლეგა ზღვა გადაჭიმულიყო ცის კიდურამდე. ბიჭები სულ დასცინოდნენ. მდიდარას ბაღში ერთი ციცქნა ბალახზე რომ გაგორდებოდნენ და იმის ბჭობაში იყვნენ,

ახლა რა ვქნათო, ალბერტო მაშინვე იტყოდა: „ხრამზე წავიდეთო“. არც ისე პატარა და იოლი გზა იყო. კოლუმბის ქუჩაზე აგურის გალავნიდან პირდაპირ ძირს მოუკირწყლავ მოედანზე ჩახტებოდნენ და ნაცადი თვალით კლდეთა თხემებს შეაცქერდებოდნენ. ჰოდა, იყო ერთი ბჭობა და სჯა, დაბლა როგორ ჩავიდეთ, როგორ გადავლახოთო დაბრკოლებანი, ქვიან სანაპიროს რომ აშორებდათ. ალბერტო ყველაზე ფიცხი სტრატეგი გახლდათ. ხრამს მიაჩერდებოდა და რომელიმე კინოგმირის მსგავსად მოკლე-მოკლე ბრძანებებს ისროდა: „აი, აქ, ამ კლდეზე სჯობია, სადაც ჩიტების ბუმბულია, ის უფრო გაგვიძლებს... აქედან ერთ მეტრზე უნდა გადავხტეთ, მერე იმ შავ ბრტყელ ლოდებზე ხტუნვახტუნვით ვიაროთ...ასე უფრო ადვილი იქნება... იმ მხრიდან ხავსია, ფეხი დაგვისხლტება... იცოდეთ, ამ გზით ახალ ადგილას მოვხვდებით. თუ ვინმე შეედავებოდა (მბრძანებლობა ემილიოსაც უყვარდა), ალბერტო თავგამოდებით იცავდა ხოლმე თავის ჩანაფიქრს. ბიჭები ორ ბანაკად დაიყოფოდნენ. დავა-კამათი სისხლს გაუხურებდათ ხოლმე იმ გრილ, ნისლიან დილას. უკან, სანაპიროზე, გაუთავებელ ნაკადად მიქროდნენ მანქანები; ხანდახან რომელიმე მგზავრი თავს გამოჰყოფდა სარკმლიდან, გახედავდა ბიჭებს და, თუ მთლად ჩამოსაწერი ბებერი არ იყო, შურით აენთებოდა თვალები. გამარჯვება მეტწილად ალბერტოს რჩებოდა — ისეთი გაცხარებული დავა იცოდა, ყველას დაიყოლიებდა ბოლო-ბოლო. ჩადიოდნენ ნელა, დინჯად, ერთმანეთს თვალებით, სიტყვით, ღიმილით ამხნევებდნენ. რომელიმე თუ მარჯვედ ისკუპებდა ან ყოჩაღად დახტებოდა ძირს, ყველანი ტაშს დაჰკრავდნენ. დრო თითქოს სვლას ანელებდა, ყოველი წუთი იძაბებოდა. გზის დასასრულს სითამამე ემატებოდათ; უკვე სულ ახლოს იყო ის ხმაური, ღამით საწოლებში რომ ესმოდათ და ვერაფერს ვერ შეადრიდა კაცი. წყალი ლოდებს ეხეთქებოდა, მა-

რილისა და ნიჟარების სუნი იდგა; საბანაო ნაპირი ვიწრო მარაოსავით გაშლილიყო კლდესა და ზღვას შორის. ბიჭები შეცვივდებოდნენ, ერთმანეთზე ზედახორას გადადიოდნენ, ხარხარებდნენ, ბღლარძუნობდნენ, იგონებდნენ, სად უფრო გაუჭირდათ გადასვლა, მთელი სულითა და გულით ხარობდნენ.

თუ დილით ძალიან არ ციოდა, ან ლეგა ცაზე საღამოს თბილი მზე გამოჩნდებოდა, ბიჭების გამამხნევებელ ყიჟინში ალბერტო აიკარწახებდა შარვალს და წყლის პირზე მოჰყვებოდა ხტუნვას. წყალი ცივი იყო, ქვები სლიპი და გლუვი. მერე ცალი ხელით შარვლის ტოტებს დაიჭერდა, ცალით კი ბიჭებს წუწავდა წყლით. ისინი ჯერ ერთიმეორის. უკან იმალებოდნენ, მერე თვითონაც გაიხდიდნენ ფეხთ, დაეტაკებოდნენ და ახლა იქით წუწავდნენ ალბერტოს. შეიქნებოდა ომი. თავით ფეხამდე გაწუწულები მეორე ნაპირზე ამოძვრებოდნენ, ლოდებზე გაწვებოდნენ და მსჯელობდნენ, უკან რა გზით წასულიყვნენ. ყველაზე ძნელი მაღლა ფოფხვა იყო. როცა რის ვაივაგლახით თავიანთ ქუჩას მიაღწევდნენ, მდიდარას ბაღში დაეყრებოდნენ ხოლმე ბალახზე, კუთხის დუქანში ნაყიდ სიგარეტებს გააბოლებდნენ და თუთუნის სუნით რომ არ ამყრალებულიყვნენ, პიტნის კანფეტებს წუწნიდნენ.

როცა არც ფეხბურთს თამაშობდნენ, არც ზღვის პირზე მიდიოდნენ და არც ველოშეჯიბრზე მსჯელობდნენ, მაშინ კინოში იყვნენ ყველანი. შაბათობით „ექსელსიორში“ ან რიკარდო პალმაზე დადიოდნენ დილის სეანსებზე. მეტწილად ზემოთ სხდებოდნენ, პირველ რიგში, ყაყანებდნენ, ანთებულ ასანთებს ისროდნენ ქვემოთ და ხმამაღლა გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს იმაზე, რაც ეკრანზე ხდებოდა. კვირაობით ყველაფერი სხვანაირად ეწყობოდა. Champagnat-ის სკოლაში წირვას უნდა დასწრებოდნენ, მარტო ემილიო და ალბერტო სწავლობდნენ მოშორებით, შუაგულ ქალაქში. ათი საათისათვის ისინი სკოლიდანვე პირდაპირ ქალაქის მთავარ ბაღში მიდიოდნენ, სახლში არც კი შეივლიდნენ, იქვე

სკამზე ჩამოსხდებოდნენ, ეკლესიაში მიმავალთ უყურებდნენ და სხვა უბნის ბიჭებს უკურთხებდნენ. ნასადილევს გამოპრანჭულნი და თმადავარცხნილნი მიდიოდნენ კინოში და ახლა უკვე პარტერში გამოიჭიმებოდნენ ხოლმე. ლამის ახრჩობდათ გახამებული — საყელოები და დედების გამონასკული ჰალსტუხები. თუ რომელიმეს და გამოჰყვებოდა, დანარჩენები უკან მისდევდნენ და დასცინოდნენ, ჰაი თქვე გადიებო, კავალრებოო. გოგოებიც ბლომად ჰყავდათ უბანში. ისინი ერთმანეთში ამხანაგობდნენ და ბიჭებთან დანასისხლად იყვნენ. რა წამს გოგოს დაინახავდნენ, გამოეკიდებოდნენ, ნაწნავებით დაითრევდნენ, მის ძმას მასხრად იგდებდნენ. ძმა წუწუნებდა: „ეგ მამაჩემთან დამაბეზღებს, მამაჩემი კი შავ დღეს დამაყრის, რად არ გამოესარჩლეო“. თუ რომელიმე ბიჭი მარტო შეეყრებოდა გოგოებს, იცოცხლე, გოგოები იმას დღეს აყრიდნენ, ენას უყოფდნენ და აჯავრებდნენ. ბიჭს კი უნდა გადაეყლაპა ყველაფერი და, სირცხვილისგან გაწამებულს, ფეხიც არ აეჩქარებინა, აქაოდა გოგოებმა არ იფიქრონ, კაბიანებმა შევაშინეთო.

— „ისინი აღარ მოსულან — ალბათ ოფიცრებმა შეუშალეს ხელი. ერთხელ მოგვეყურა, მოდიანო, და ყველანი წამოვცვივდით. „ჩუმად, ჯარისკაცებია“, — გვითხრეს მორიგეებმა. წამოუყრიათ თურმე ეს ველურები, გამოუყვანიათ მოედანი, შაშხანებით, გეგონება, ომში აგზავნიანო. ალბათ სერჟანტებმა და ლეიტენანტებმა რაღაც დაყნოსეს. მეხუთეკურსელები მართლა აპირებდნენ თურმე მოსვლას. მთელი ღამე მზადებაში იყვნენ, ასე თქვეს, შურდულები და შარდის კოკტეილები ჰქონდათ გამზადებულიო.

— ჰო, რა ვაგინეთ დედა ჯარისკაცებს — სულ გადაირივნენ, ხიშტები მოგვიღერეს. ვინ-ვინ და ის კი ამ მორიგეობას ვერ დაივიწყებს. თქვეს, პოლკოვნიკმა ლამის არის სცემაო, ვინ იცის,

ერთი კიდეც უთაქა. „დოყლაპია ბრძანდებით, უარინა, მეტი არაფერიო“, — უთქვამს თურმე. მინისტრსა და ელჩებთან ისე მოვჭერით თავი, ლამის იტირა კაცმა. ასეც დამთავრდებოდა, მეორე დღეს ის ზეიმი რომ არ ყოფილიყო. „დიდებულია, პოლკოვნიკო, დიდებული!“ — მაიმუნებივით გაგვატარ-გამოგვატარეს მოედანზე, სამწყობრო ვარჯიში გაგვაკეთებინეს ეპისკოპოსის წინაშე, მერე სადილი იყო, მერე გიმნასტიკა გენერლების თვალწინ, მერე სიტყვები თქვეს, მერე სადილი გაუმართეს ელჩებს. ყველამ ვიცოდით, რაღაც უნდა მომხდარიყო. იაგუარი გვეუბნებოდა: „დღეს ჩვენ უნდა ვძლიოთ იმათ ყველაფერში, ერთი ქულა არ უნდა მივაშავოთო არც ვარჯიშსა და არც სირბილში“. ჯერ ვითომ ყველაფერი კარგი იყო, მერე დაიწყო, რაც დაიწყო, დღემდე მტკივა ხელები. ვაჰ, რას ბღაოდნენ: „მიდი, პითონ, მიდი!“ „ეგრე მაგას,. პითონ!“ „მისცხე, რაც შეგიძლია!“ საუზმემდე მე და იაგუარი ურიოსტესთან ვიყავით. ასე გვითხრა: „რომც გასკდეთ, უნდა აჯობოთ, ჩვენი რაზმეული არ შეარცხვინოთო“. მარტო იმ ლენჩ უარინას არ უთქვამს არაფერი. ვირთხას კი ყნოსვას ვერ დაუწუნებ, ასე თქვა: „აბა, გაგიბედიათ და პოლკოვნიკის თანდასწრებით რამე ჩაგიდენიათ! ვინ ხვიხვინებს მანდ?“ გაჩე-მეთქი, წკავ-წკავავ, ნუ იკბინები.

ზღვა ხალხი მოგროვდა, ჯარისკაცებმა სასადილოდან გამოიტანეს სკამები. არა, ეს მგონი, სხვა დროს იყო, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, როდის იყო. უამრავი ხალხი ირეოდა, ყველა მუნდირში გამოჭიმული, მიდი და გაარჩიე, რომელია იმათში გენერალი მენდოსა. ალბათ ის იქნებოდა, ვისაც ყველაზე მეტი ორდენი ეკეთა. ხოლო მიკროფონის ამბავი რომ გამახსენდება, ლამის სიცილით გავიფხრიწო. უბედობაც ეგეთი უნდა. იმდენი ვიხორხოცეთ, ლამის ჩავისვარეთ. აბა, ერთი გამბოა ყოფილიყო მაგის ადგილზე. არა, რომ გამახსენდება, მგონი, ახლაც ჩავისვარო

კაცმა. ვინ იფიქრებდა, აქამდე თუ მივიდოდა საქმე. თუმცა მეხუთეკურსელები თავიდანვე ნადირებივით გვიბღვერდნენ, ტუჩებს. ისე აცმაცუნებდნენ, ასე მეგონა, დედას გვაგინებენ-მეთქი. იცოცხლე, არც ჩვენ დაგვიკლია. აკი გითხარი, წკავწკავავ, ნამეტანს ნუ იზამ-მეთქი. „დაეწყვეთ, კადეტებო? სასტვენს ელოდეთ“. მიკროფონში ხმა გაისმა: „თავისუფალი მოძრაობა“. „მოუხვიეთ, კიდევ მოუხვიეთ“. „წინ, ნაბიჯით იარ“. „ახლა კი ტურნიკზე, ბიჭებო. ტანი თუ დაიბანეთ, ქეციანებო?“ „ერთი, ორი, სამი, სწრაფად, სწრაფად, მიესალმეთ“. რა ზორბად ტრიალებს ეს ლაწირაკი ტურნიკზე, გეგონება, ძვალი არა აქვს. არც პოლკოვნიკი დაგვინახავს, თუმცა რა ჭირად გვინდოდა. მახსოვს, ისე იქაჩებოდა, შენი მოწონებული, ღორი კია ნამდვილი. სულ „მხედრული მიმოხვრაო“, აკერიათ ენაზე, მაგრამ ეგ რომ გამახსენდება! აბა, ერთი ქამარი შეიხსნას, ფაშვი მაშინვე მიწაზე ჩამოუვა. სიფათი აქვს ისეთი, აგური გინდა ჩააზილო. მე მგონი, მაგას მარტო ზეიმები და აღლუმები უყვარს. „აბა ნახეთ, რა ტალიკ-ტალიკი ბიჭები მყავს!“ ტრა-ტრა-ტრა, დაიწყო ცირკი. აგერ, ბატონებო, ძაღლები, აგერ ეკვილიბრისტი სპილოები, ტრა-ტრა-ტრა. მაგრე რომ ვწიკვინებდე, პაპიროსს არ გამოვიღებდი პირიდან, ეგებ ხმა დამიბოხდეს-მეთქი. გაგონილა, სამხედრო პირს მაგისთანა ხმა ჰქონდეს. მე ეგ არც წვრთნაზე მინახავს და ვერც სანგრებში წარმომიდგენია მისი თავი. აღლუმები კი, იცოცხლე, მაგისი საქმეა; „მესამე კოლონავ, სწორდი, კადეტებო, ოფიცრებო, ყურადღება, თავისუფლად, ნუ იძაბებით, გასწორდით, გასწორდით, ეგ რასა ჰგავს? ნაბიჯი მტკიცედ გადადგით“; ჰაი, შე მურდალო. ჰო-ჰო, რა დაეღრიცა სიფათი, ბაგირით შეჯიბრი რომ დაიწყო. ასე თქვეს, მინისტრი სულ ოფლში გაიღვარა, სულ ამას ეკითხებოდაო პოლკოვნიკს: გაგიჟდნენ თუ რა არის? მეოთხე და მეხუთე კურსი ერთმანეთის პირისპირ ვიდექით, ჩვენ შორის ფეხბურთის მოედანი

იყო. ბიჭები ტრიბუნაზე აწრიალდნენ. ლეკვებმა თვალები ჭყიტეს, ვერ გაიგეს, რა ხდება. უარინა აქეთ-იქით აწყდება, წუწუნებს: „როგორ გგონიათ, აჯობებთ?“ „ვერ ვაჯობებთ და ერთი წელი ქალაქში აღარ გაგვიშვათ“! — მოუჭრა იაგუარმა. მე კი ამას არ ვიტყოდი: იმათაც კაი მაგარი ბიჭები ჰყავთ — გამბარინა, კრეჭია, ყასაბა — ზორბა-ზორბა ჯეელებია. წინასწარ ამტკივდა მკლავები, ისე ვღელავდი. ტრიბუნებიდან გაჰკიოდნენ: „იაგუარი დაააყენეთ წინ“, ან „პითონ, შენს იმედზე ვართ“. ჩვენმა პირველმა რაზმეულმა „ვაი-ვაი-ვაი, დასცხო. უარინა ჯერ სიცილით კვდებოდა, მაგრამ როცა მის თავშიც შევიდა, ესენი მეხუთეკურსელთა ოხტში ამოსვლას აპირებენო, დაიწყო და დაიწყო: „რას სჩადით, თქვე ოხრებო, ვერა ხედავთ, გენერალი მენდოსა, ელჩი, პოლკოვნიკი — ყველანი აქ ესწრებიან, რას მიშვებით?“ სულ დორბლები ჰყარა. ჩვენ კი სასაცილოდ არ გვეყო. პოლკოვნიკმა რომ ბრძანა: „იცოდეთ, ბაგირის წევაზე არა მარტო ძალა, მოხერხება, ჭკუა, ანგარიში, შეთანხმებული მოქმედებაა საჭირო“, ლამის სიცილით გავიფხრიწე. ბიჭები ტაშს გვიკრავენ, ლამის დაგიჟდნენ. მართლა უსულგულო ვიღაცა უნდა იყო, გრძნობამ არ დაგძლიოს; მეხუთეკურსელებიც დგანან და ელიან, შავი მისურები აცვიათ. ტაშს იმათაც უკრავენ. ლეიტენანტმა ხაზი გაავლო. ჯერ თამაში არ დაწყებულა, ტრიბუნაზე კი ლამის გაიჭაჭონ: „მეოთხე კურსი: მეოთხე კურსი!“ „მეხუთეს ბეჭზე დააწვენს ყველა შეჯიბრსა და თამაშში, მეოთხე ყველას აჯობებს, ვენაცვათ ჩვენს ბიჭებს სულში!“

„რა გაღრიალებს? ძალა დაზოგე“, — მეუბნება იაგუარი, მაგრამ თავის შეკავება არ გინდა? ჰოი, რა ზორბად გამოდის: „მეოთხე ყველას აჯობებს, ვენაცვათ ჩვენს ბიჭებს სულში! ვაშაა, ვაშაა!“ — „აბა, ვიწყებთ, — გამოაცხადა უარინამ — თქვენ იცით, ბიჭებო, მეოთხე კურსი არ შეარცხვინოთ“ — რა იცოდა ამ რეგვენმა, რა ელოდა წინ. „სირბილით, იარ!“ იაგუარი წინაა, მიდი, ბიჭო, მიდი,

ურიოსტე, შენც დააწექი, პითონ, როხას, გარეკეთ, ტორეს, შენ იცი, რიოფრიო, პალიასტა, პესტანა, კუევას, საპატა, მოკვდით, მაგრამ არ დანებდეთ — ერთი მილიმეტრი არ დაუთმოთ. აგერ ტრიბუნებიც. ვინ იცის, ახლოდან დავინახოთ მენდოსა, არ დაგავიწყდეთ ხელების აწევა, ტორესი რომ „სამიო“, დაიძახებს. ვაი, რამდენი ხალხია, რამდენი სამხედრო. ალბათ მინისტრის ადიუტანტები იქნებიან. ნეტა ელჩები დამანახა, რომლებია. უჰ, რა ტაშია, ჩვენ კი ჯერაც არ დაგვიწყია. მაშ, ახლა — მარ-ცხნივ, ლეიტენანტი ბაგირს მოგვცემს. ღმერთო, შენი ჭირიმე, ნეტა მაგარი ნასკვები ჰქონდეს. ჰა-ჰა, რას გვიბრიალებს თვალებს მეხუთე კურსი, გული არ გაგვიხეთქოთ შიშით. „სდექ! ვაშაა“ გამბარინა მოგვადგა, — ფეხებზე არ ჰკიდია, ლეიტენანტი, რომ უკვე ბაგირს ჭიმავს, კვანძებს ითვლის — გვეუბნება: „თავს იკლავთ, ხომ? არ ინანოთ კია.“ „წადი, დედაშენი დააშინე, ჩვენ ნუ გვაშინებ“, — ეუბნება იაგუარი. „მერე ვილაპარაკოთ“, — მიუგო გამბარინამ. „აბა, გეყოთ ღლაბუცი, — გამოაცხადა ლეიტენანტმა, — გუნდების კაპიტნებო, აი, აქ, მწკრივში დადექით, ჩემს დასტვენამდე რომ ვინმემ ხაზს ფეხი გადააბიჯოს — იმწუთშივე ჩავშლი შეჯიბრს. ვინც ორი ქულით მეტს დააგროვებს, მოგებული ის იქნება, წუწუნი აღარ იყოს მერე, მე სამართლიანობა მიყვარს“. აბა, ვიხტუნოთ ახლა ადგილზე, ცოტა გავივარჯიშოთ. ფუი ეშმაკს, ბიჭები მე მიკივიან, „პითონ, პითონ“. „იაგუარს“ ნაკლებად იძახის ვინმე. ნეტა რაღას უცდის, ბარემ დასტვინოს. „მოემზადეთ, ბიჭებო, — გვეუბნება იაგუარი, — აბა, თქვენ იცით“. გამბარინამ — ბაგირს უშვა ხელი და მუშტი მოგვიღერა; აბა არ წააგებდნენ, ისე ღელავდნენ ყველანი. რაც მართალია, მართალია, ბიჭებიც ძალიან გვაქებდნენ, იმათი ყვირილი ძალას გვმატებდა. ეგრე, ძმებო, ეგრე, ერთი, ორი, სამი, ხელიდან გამისხლტა, ღმერთო მიშველე, ოთხი, ხუთი, ბაგირი გველივით სრიალებს. ეგრეც ვიცოდი, პატარა კვანძები იქნებოდა, ხუთი, ექვსი; — ხელებში მისხლტება, შვიდი,

რვა, ღმერთმანი, წინა ვართ, — ოფლი მასკდება, ცხრა, მიდი, მიდი, კიდევ ცოტა, აბა, ბიჭებო, ვაი, ვაი, სასტვენია, ფუი, მეხუთეკურსელები ბუზღუნებენ: „სწორი არაა, სენიორ ლეიტენანტო, ჩვენ ხაზისთვის არ გადაგვიბიჯებია“. ჩვენები კი ადგილებიდან წამოცვივდნენ, ბერეტები იშვლიპეს. ვაჰ, რამდენი ბერეტი ფრიალებს! რას ყვირიან? „პითონ“? მღერიან, ღრიალებენ, ბღავიან, გაუმარჯოს პერუს, სიკვდილი მეხუთე კურსს, ეგრე ნუ იბღვირებით, თორემ გული გამისკდა შიშით. ვაშაა, ვაშაა! „ხმა-კრინტი არ გავიგონო, — ბრძანებს ლეიტენანტი — ერთით ნოლი მეოთხე კურსის სასარგებლოდ. მოემზადეთ მეორე ტურისთვის“. ნუ იტყვი, ჩვენს მეოთხე კურსს. ღრიალი შესძლებია, ღრიალიც ამას ჰქვია. ჰაიტ, კავა, შე ველურო, გხედავ, ჰეი, ქოჩორავ, იბღავლეთ, იბღავლეთ, ბიჭებო, თქვენი ბღავილი გვშველის, კუნთებს გვიხურებს, ფუი ეშმაკს, ოფლი წურწურით ჩამომდის. ხელიდან ნუ მისხლტები გველივით, ბაგირო. წყნარად. იწექი, წკავწკავავ, ნუ იკბინები. ეს ფეხებიც რომ მისრიალებს ბალახზე, გეგონება, ყინულზე. ვიყო. აქ რამე არ მოვიტეხო ან კისრის ძარღვები არ დავიწყვიტო. ვინ გაუშვა ხელი? მაგრად, მაგრად მოეჭიდეთ! ნუ იკუზები, არა, ვინ ოხერმა გაუშვა ხელი, დაიჭირე ეგ გველის წიწილა, ეგა, შენი კურსი გაიხსენე. ოთხი, სამი, უჰ, ღმერთო, რა ხდება ტრიბუნებზე! დასწყევლოს ღმერთმა, იაგუარ, თავისკენ გადასძლიეს მაგ ოხრებმა. გაუჭირდათ კია — მუხლებზე დადგნენ, ლამის მიწას — გაერთხნენ, ქშინავენ, ოფლი ღვარად ასკდებათ. „ერთით ერთი, — აცხადებს ლეიტენანტი, — აბა, ისტერიკა არ იყოს, — ქალაჩუნები ხომ არა ხართ?“ გვაგინეს, მაგრამ რა გვაგინეს, უნდოდათ გუნება გაგვფუჭებოდა: „აგრემც ამოწყდით ყველანი!“ „ამოგაძრობთ სულს, როგორც დაგიბარებიათ!“ არც ჩვენ დაგვიკლია: „მოკეტეთ ხახა, ვინემ არ აგვიხურებია თქვენთვის გვერდები!“ „რეგვენებო, — გვეუბნება ლეიტენანტი, — ვერა ხე-

დავთ, ტრიბუნებზე ისმის ყველაფერი. ნახეთ, რა გიყოთ მაგისთვის!“ ჩვენ კი ენას ვიფხანთ, ჰაი, თქვე მურდლებო, თქვე ასეთებო და ისეთებო. ამჯერად უფრო ცოცხლად წავიდა საქმე, უფრო მხიარულად, ლამის ყველას მოგვწყდა ყინწი, ძარღვებიც დაგვებერა, და დაგვილურჯდა, ყველანი ერთხმად ვხვნეშით. „მეოთხე კურსი, მეოთხე, — გაჰკივიან ბიჭები, — სასტვენი, სასტვენი ჩქარა, ვაშა“

მეხუთეს ბეჭზე დააწვენს
ყველა შეჯიბრს და თამაშში,
მაინც მეოთხე აჯობებს, ვენაცვათ
ჩვენს ბიჭებს სულში.

„აბა, აბა, ერთხელ კიდევ მოვქაჩოთ, ერთხელ კიდევ, და გაჭიმეთ თუ არა?“ იაგუარი გვეუბნება: „ახლა ეგენი ბდღვირს გვადენენ — ფეხებზე ჰკიდიათ, გენერლები აქ არიან თუ არა. ისტორიული ბრძოლა მოხდება. ხედავთ, გამბარინა როგორ მიყურებს?“ ბიჭები დედას იგინებიან, უარინა აქეთიქით აწყდება. „პოლკოვნიკსა და მინისტრს ყველაფერი ესმით, რაზმეულის მეთაურებო, ჩაიწერეთ ხუთ-ხუთი, შვიდშვიდი, ათ-ათი კაცი, ერთ თვეს კი არადა, ორ თვეს ვერ გაყოფთ ქალაქში ცხვირს“. აბა, ბიჭებო, მისცხეთ, ერთხელ კიდევ მიაწექით, ვაჩვენოთ მაგათ, რომ ვაჟკაცები ვართ და არა დიაცები. ჩვენც მივცხეთ, მაგრამ რა მივცხეთ. უცბად ვხედავ, ტრიბუნებიდან, სადაც მეხუთე კურსი ზის, ჩვენკენ თითქოს მოშავო ღრუბელი დაიძრა, შიგ წითელი წინწკლები ირევა, თანდათან იზრდება, იდღლაბნება. „მეხუთე. კურსი. მოდის! — ღრიალებს იაგუარი — არ შედრკეთ, ბიჭებო!“ იმავ წამს გამბარინამ ხელი უშვა ბაგირს და ყველანი დაებერტყნენ ერთად ხაზზე. „გავიმარჯვეთ!“ — ვბღავი მე. იაგუარი და გამბარინა კი უკვე ეცნენ ერთმანეთს, მიწაზე კოტრიალობენ. ურიოსტემ და საპატამ გვერდით ჩამირბინეს და მეხუთეს დაერივნენ ენაგა-

მოგდებულნი. ტრიბუნების მხრიდან კი თანდათან გვიახლოვდება ის ღრუბელი. მაშინ პალიასტამ მაისურა გაიძრო და ჩვენებს დაუქნია: აქეთ, ბიჭებო, ლინჩის კანონით გვისწორდებიან. ლეიტენანტი იაგუარსა და გამბარინას მივარდა გასაშველებლად, ვერ ხედავს, რომ თითქმის აღარავინ დარჩა მის უკან. „თვალები სადა გაქვთ, მურდლებო? პოლკოვნიკი გიყურებთ“. ამ დროს ტრიბუნებიდან მეორე ღრუბელიც დაიძრა — ჩვენები წამოვიდნენ! მთელი კურსი ერთ წრედ შეიკრა. სადა ხარ, კავა, მეგობარო, სადა ხარ, ქოჩორავ? მხარდამხარ მოაბიჯებენ, ისევ ფარას დაუბრუნდა ხალხი. ყოჩები კი ჩვენა ვართ. ახლა პოლკოვნიკიც აწიკვინდა: „ოფიცრებო, ოფიცრებო, შესწყვიტეთ ეს უმსგავსობა! შეგვირცხვინეს მთელი სასწავლებელი“! ამ დროს გავიხედე, ის ტიპი არ მოძვრება ჩემკენ, ერთი თვის წინ რომ მომნათლა, ლურჯი დინგის პატრონი — მაცალეთ, ბიჭებო, აქ ერთს უნდა გავუსწორო ანგარიში. ნეტა ერთი ჩემს ძმას ენახე მერედა როგორ სძულს ეს ველურები; ხახა დაეღო იმ მურდალს, იმას, — ყველანი ლაჩრები არიან ეგენი. ამასობაში გიყვარდეს, დაგვცხეს ქამრები ოფიცრებმა და სერჟანტები, ამბობენ, ტრიბუნებიდანაც მიეშველნენო სხვები. სტუმრები. დანაც ბევრს შემოეხსნა ქამარი, ხომ უცხოები იყვნენ, მაინც არ დაფრთხნენ. მე მგონი, სულაც ბალთები მირტყეს, ისე მაქვს მთელი ზურგი გადატყავებული. „ეს შეთქმულებაა, სენიორ გენერალო, მე მაგათ ვაჩვენებ სეირს“. „რის შეთქმულება, რა შეთქმულება, სენიორ, გააშველეთ ბიჭები, მაგათი ესა და ისა“ — „სენიორ პოლკოვნიკო, მიკროფონი გამორთეთ“. ისმის სტვენა, ზუზუნი გააქვს ქამრებს, ლეიტენანტები ბუზებივით ირევიან, რა ხდება, ვერ გაიგებ. ზურგზე ცეცხლი მეკიდება. იაგუარი და გამბარინა კი ბალახზე გორაობენ და უზაპუნებენ ერთმანეთს — რვაფეხა გეგონება პირდაპირ. თუმცა არაფერია, წკავწკავავ, ქაჯ-ეშმაკებმა გვიშველეს, ოღონდაც ნუ იკბინები. დავდექით მწყობრში, მთელი სხეული მეწვის, არაქათი აღარა მაქვს, მეტი

არაფერი მინდა, ბალახზე დამაგდო ახლა. ყველა გასუდრულია, არ დაიჯერებ, ისეთი სიჩუმეა, ვსუნთქავთ მხოლოდ, მკერდი აგ-ვიდ-ჩაგვიდის. ქალაქში წასვლის საშვი ვიღას ადარდებს, ოღონ-დაც საწოლამდე მიგვაღწევინა.

ცხადია, ცუდადაა ჩვენი საქმე. მინისტრი ბრძანებს ალბათ და მთელი წელი აღარც გვეღირსება აქედან ცხვირის გაყოფა, ამას წყალი არ გაუვა. რა სასაცილო ხალხია ეს ლეკვები, აბა ისინი რა შუაში იყვნენ და მაინც არ დაფრთხნენ. გასწით, შინ გასწით, ოღონდაც არ დაივიწყოთ, დღეს რაც ნახეთ. ლეიტენანტები კი იმათზე უარესად დაფეთდნენ. ისეთი ყვითელი ხარ, უარინავ, სარკეში რომ ჩაიხედო, გული გაგისკდება! ქოჩორა კი იძახის: „აბა, რომელია მენდოსა? აი, ის ხოზო, ლურჯკაბიანი ქალის გვერდით? მე მეგონა, ქვეითი იყო, თურმე კი არტილერია ყოფი-ლა“. სამხრეებზე წრიული ზოლები აქვს. პოლკოვნიკმა ლამის შეჭამა მიკროფონი, არ იცის, რა თქვას, „კადეტებოო“, წიკვინებს, მერე ისევ „კადეტებოო“, ხმა უწყდება ყვინჩილასავით. მე კი აღარ შემიძლია, სიცილს ვეღარ ვიკავებ. მაშ-მაშ, ასე იყო საქმე,. წკავწკავა. ყველა გაშეშებული დგას, აკანკალებთ. ჰო, რას ვამ-ბობდი, წკავწკავავ? მაშასადამე, პოლკოვნიკი წიკვინებს: „კადე-ტებო, კადეტებო, მოდი, შინაურულად მოვაგვაროთ საქმე, დიდ-ზე დიდი ბოდიში მოვიხადოთ თქვენი, ოფიცრების და ჩემი სახე-ლით“. იმ დედაკაცს მთელი ხუთი წუთი ვუკარით ტაში. ამბობენ, ისე აუჩუყდა გული ჩვენ რომ ტაშის ცემით ხელისგულები.. გადა-ვიტყავეთ, იტირაო; სულ ჰაეროვანი კოცნა გვიგზავნა. აფსუს, შორს ვიყავ, ვერ გავარჩიე, ღირდა ქალად თუ მათხოჯი ვიღაც იყო. შენ, რა გიჭირს, წკავწკავავ, შენ არ აუტანიხარ კანკალს, როცა გამოაცხადეს: „მესამე კურსმა ფორმა ჩაიცვას, მეოთხე, მე-ხუთე კურსი დარჩეს“. აბა, თუ მეტყვი, გოშიავ, რატომ არავინ არ დაიძრა ადგილიდან, რატომ არავინ არ მოიცვალა ფეხი, არც ოფიცრებმა, არც რაზმეულის უფროსებმა, არც სტუმრებმა და

არც შენ? იმიტომ რომ არის ამქვეყნად ღმერთი. მაშინ გამოხტა ის ქალი წინ: „პოლკოვნიკო!“ — „რას მიბრძანებთ, ქალბატონო?“ ყველანი შევჩოჩქოლდით, ნეტა კიდევ ვინ მატრაბაზობს. აქა? „პოლკოვნიკო, გემუდარებით“ — „აბა, რა გითხრათ, ქალბატონო“. „გამორთეთ მიკროფონი!“ — „გეხვეწებით, პოლკოვნიკო“. რამდენ ხანს ვიყურყუტეთ იქ, წკავწკავა, ჰა, არ — ვიცი, ყველანი იმ ხოზოს, იმ ქალსა და მიკროფონს მივჩერებოდით, მთელი ხმით ვღრიალებდით. გამოთქმაზე ეტყობოდა, შტატებიდან უნდა ყოფილიყო ქალი. „მე, დამდეთ პატივი, პოლკოვნიკო!“ ირგვლივ სიჩუმეა, ყველა გატრუნულები ვდგავართ. „კადეტებო, დავივიწყოთ ეს სამწუხარო ამბავი... მისი აღმატებულების მეუღლის უსაზღვრო სიკეთემ...“ გამბოა მერე ამბობდა: „სირცხვილო და თავის მოჭრავ! მონაზვნები ხომ არა ვართ, დედაკაცების ბრძანებაზე ვიაროთ?“ „მადლობა მოახსენეთ მისი აღმატებულების მეუღლეს“. გიყვარდეს, ჩვენ ვიცით ტაშის კვრა. ნეტა ვინ მოიფიქრა პირველად ჯერ ნელა, მერე ჩქარა, კიდევ უფრო ჩქარა — ტყლაშ-ტყლუშ, ერთი-ორი-სამი, ოთხი, ხუთი — ტყლაშ-ტყლუშ, ერთი-ორისამი-ტყლაშ, ერთი-ორი-ტყლაშ ერთი-ტყლაშ-ტყლუშ, ტყლააშ — და ისევ თავიდან. მეხუთეკურსელებმა ლამის იდაყვები დაიჭამეს, როგორ თუ მძლეოსნობაში ვაჯობეთ. ჩვენ კი ტყლაშ-ტყლუშ-ტყლაშ და „ვაშაა!“ — დავჭექეთ ესეც. ტაში დასცხეს ლეკვებმაც, სერჟანტებმაც, ლეიტენანტებმაც — ისევ შეიქმნა ტყლაშ-ტყლუში, — პოლკოვნიკს შეხედეთ ერთი, პოლკოვნიკს. ელჩის მეუღლე და მინისტრი დაიძრნენ ადგილიდან. ახლა ისიც ალბათ გააბამს თავისას: „თქვენ გგონიათ, დიდი ყოჩაღები ვართო, დამაცათ, თუ კისერი არ მოგიგრიხეთ“. არა, იცინის, იცინიან გენერალი მენდოსა, ელჩები, სტუმრები, ოფიცრები. ტყლაშ-ტყლუშ-ტყლუშ. რა ყოჩაღები ვართ, ოჰ, დედიკო, ოჰ, მამიკო. ტყლაშ-ტყლუშ. მაშ-მაშ, ლეონსიო პრადოს სასწავლებელს რომელი ერთი შეედრება, გაუმარჯოს პერუს, კადეტებო, ჩვენ კიდევ

დავჭირდებით მამულს, მუდამ მზად ვართ, თავი მაღლა აიღე, აბა, მხიარულად. „გამბარინა სადა მყავს? — იძახის იაგუარი, — უნდა გადავკოცნო, თუ კიდევ სული უდგას, რაც მე მაგას დღე ვაყარე...“ ელჩის მეუღლე ცრემლებს ღვრის, ჩვენ ტაშს ვახურებთ. ასეა, წკავწკავავ, ძნელად გასაძლისია სასწავლებელი. ბევრს ვითმენთ და ვყლაპავთ. მაგრამ კარგიც გამოერევა შიგადაშიგ. აფსუს, წრე რომ აღარა გვაქვს ახლა. გაგიხარია, კარგი იყო, ოცდაათი ბიჭი რომ საპირფარეშოში შევიყრებოდით, მაგრამ სად გინახავს, ეშმაკმა არ აბურდოს და აწეწოს საქმე. ახლა რა იქნება? რა იქნება და ყველა ჩავცვივდებით კავას წყალობით, იმასაც გააგდებენ და ჩვენც გაგვყრიან იმ ქეციანი შუშის გამო. აბა, რამდენჯერ უნდა გითხრას კაცმა, წკავწკავავ, გაჩე, ნუ იკბინებიო!“

აღარ ახსოვს შემდეგი დღეები, ერთფეროვანი და მწუხარებით აღსავსე. ადრე დგებოდა — უძილობისაგან. მთელ ტანში ტეხდა, — დაბორიალობდა ცარიელ ოთახში. მაღლა, სხვენზე, ძველი ჟურნალ-გაზეთების დასტას მიაგნო და მთელი დღეები უნდილად ფურცლავდა, დედას და მამას გაურბოდა. მოკლედ მოუჭრიდა ხოლმე პასუხს., „მამაზე რას იტყვი?“ — ჰკითხა ერთხელ დედამ. „რა უნდა ვთქვა? ვერაფერსაც ვერ ვიტყვი“. „კმაყოფილი ხარ, რიჩი?“ — ჰკითხა მეორედ დედამ — „არა“. ჩამოსვლის მეორე დღეს მამა მოადგა მის ლოგინს და ღიმილით მიუშვირა ლოყა. „დილა მშვიდობისა“, — უთხრა რიჩიმ, არც განძრეულა. მამას ჩრდილი ჩაუდგა თვალებში და ისევ გაუქრა. იმ დღიდან დაიწყო ეს უჩუმარი ომი. ვინემ მამა არ წავიდოდა და კარი არ გაჯახუნდებოდა, რიკარდო არ დგებოდა ლოგინიდან. ნასადილევს მანქანით მიდიოდნენ სასეირნოდ და ისიც მიჰყავდათ. ბიჭი მარტო იჯდა უკან და ისე აჩვენებდა თავს, ვითომც ძალიან მოსწონდა ბაღი, ქუჩები, მოედნები. კრინტს არ სძრავდა, მაგრამ გაფაციცებით უსმენდა დედ-მამის ლაპარაკს. ზოგ გადაკრულს ვერც ხვდებოდა.

მერე მთელი ღამე თავს იმტვრევდა, რას ნიშნავსო. მუდამ დადარაჯებული იყო. თუ მოულოდნელად ჰკითხავდნენ რასმე, „ჰა, რა იყო?“ — იტყოდა. ერთ ღამეს ყური მოჰკრა მეორე ოთახში რომ მასზე ლაპარაკობდნენ. „ის ხომ ჯერ რვა წლისაა, თანდათან მოგეჩვევა“, — ამბობდა დედა. „საკმარისი დრო ჰქონდა მოსაჩვევი“, — მკვახედ მოუჭრა მამამ. „აქამდე თვალით არ უნახიხარ, — მაინც თავისას იძახდა დედა — უნდა აცალო, მოუთმინო“. „შენი ბრალია, გოგოსავით გაზარდე“, — ამბობდა მამა. მერე ჩურჩული გაიბეს. რამდენიმე დღის შემდეგ გულმა უგრძნო, რაღაც ცუდი ამბავი იყო მის თავს — დედ-მამა უცნაურად იქცეოდა, უცნაურად ლაპარაკობდნენ. სულ კარზე იყო მიყურადებული, გაფაციცებით უთვალთვალებდა მათ ყოველ მოძრაობას, ნაბიჯს, გამოხედვას, მაგრამ ვერაფერი გაარკვია. ერთ დილას დედამ აკოცა და ჰკითხა: „რას იტყვი, დაიკო. რომ გეყოლოს?“ „თავი რომ მოვიკლა, მაგათ დაბრალდება, ჯოჯოხეთში მოხვდებიან“, — გაიფიქრა ბიჭმა. ზაფხული იწურებოდა. არ იცოდა, რა ექნა, ადგილი ვერ ეპოვა ვერსად. სული მისდიოდა, აპრილი[1] როდის მოვაო. მაშინ სკოლაში წავა და მთელი დღეები აღარ იყურყუტებს შინ. ერთხელ სხვენზე ბევრი იფიქრა, იფიქრა და მერე დედას მიადგა. „რა იქნება ინტერნატში მომაწყოთ?“ არ ეგონა, საწყენი თუ თქვა. დედას კი ცრემლებით აევსო თვალები. ბიჭმა ჯიბეებში ჩაიწყო ხელები და დაამატა: „ხომ იცი, სწავლა არ მიყვარს. მახსოვს, დეიდა ადელინაც ამასვე ამბობდა. მამა გამიბრაზდება. ინტერნატში კი მაიძულებენ ვისწავლო“. დედამ თვალი თვალში გაუყარა. ბიჭი შეცბა. „ჩემთან ვინღა დარჩება?“ „დაიკო“, მოუჭრა ბიჭმა. დედის თვალებში ახლა შიში გაკრთა. „დაიკო არ გეყოლება, დამავიწყდა შენთვის მეთქვა“. მთელი დღე ის ფიქრი აწვალებდა, რა ცუ-

[1] სამხრეთ ნახევარსფეროში აპრილი ჩვენ ოქტომბერს ესადაგება.

დად მოვიქეციო, წუხდა, თავი რად გავთქვიო. ღამით თვალდაჭ-ყეტილი იწვა და ფიქრობდა, როგორ გამოესწორებინა შეცდომა. გადაწყვიტა, ხმასაც აღარ გავიღებ, სხვენიდან ფეხს არ მოვიც-ვლიო. უცებ ხმაური მოესმა. მერე იმატა ხმაურმა, ვიღაც საშინ-ლად ილანძღებოდა. ბიჭს შეეშინდა, ფიქრი გაუწყდა. გინების სიტყვები საოცრად მკაფიოდ მოდიოდა. შიგადაშიგ დედის სუსტი მუდარა ესმოდა. მერე ყველაფერი მიჩუმდა, მერე რაღაცამ გა-იზუზუნა, რაღაც დაებრეგვა ძირს. როცა დედამ. იკივლა: „რიჩი!“ იგი უკვე ფეხზე იყო, კარისკენ მირბოდა. შეფლითა კარი და იყვი-რა: „ნუ სცემ დედას!“ თვალი ჰკრა, დედას საღამური პერანგი ეცვა. ლამპის შუქი გვერდიდან სცემდა და უცხოდ აჩენდა დედას. იგი რაღაცას ლუღლუღებდა... იმავ წუთს ვეება თეთრი ლანდი აეტუზა წინ. „შიშველია“, — გაუელვა ბიჭს და დაფრთხა. მამამ ხელისგული დაარტყა და ბიჭიც უხმოდ ჩაიკეცა, თუმცა მაშინვე წამოხტა, თვალები აუჭრელდა, ის იყო უნდა ეთქვა, ჩემთვის ჯერ არავის უცემია, ცემა არ შეიძლებაო, რომ მამამ ხელმეორედ გაუშალა სილა და ისევ ძირს დაახეთქა. დაინახა, როგორ წამოხტა, დედა, როგორ სტაცა მამამ ხელი და ისევ ლოგინზე დააგდო, მერე გინებით მიუახლოვდა ბიჭს, ხელი დაავლო და უკანვე —წაათ-რია მის ბნელ ოთახში. იქ ამ თეთრმა ლანდმა ისევ გააწნა სილა. იმასაც შეასწრო თვალი, როგორ მოადგა დედა კარს, როგორ ჩადგა ისევ ეს კაცი მასა და დედას შუა, დაავლო დედას ხელი და ტიკინასავით წაათრია. მერე ჯახუნით მოიკეტა კარი და ბიჭიც მო-რევმა ჩაითრია, კოშმარების მორევმა..

IV

„ქაფურის“ გაჩერებაზე გადმოვიდა ავტობუსიდან და სამი კვარტალი ფეხით გაიარა სახლამდე. გზა რომ გადაჭრა, ბიჭების გუნდი დაინახა. „შოკოლადს არ ჰყიდი?“ — დაცინვით ჰკითხა ვიღაცამ უკნიდან. დანარჩენებმა სიცილი ატეხეს.

კარგა დიდი ხნის წინათ თვითონაც „მეშოკოლადეებს“ ეძახდა ხოლმე სამხედრო სასწავლებლის კადეტებს გასაბრაზებლად. ცაზე ტყვიისფერი ღრუბლები ჩამოწვა. თბილოდა. კარი დედამ გაუღო და აკოცა.

— დაგაგვიანდა, ალბერტო, ხომ არაფერი მომხდარა? — ჰკითხა დედამ.

— ტრამვაები გაჭედილი იყო, დედა. ნახევარ საათში ერთხელ მოდის.

დედამ ჩანთა და ქუდი ჩამოართვა და მის ოთახში წაიღო. მათი სახლი პატარა იყო, ერთსართულიანი, მაგრამ სუფთა. ალბერტომ ჰალსტუხი მოიხსნა, გიმნასტურა გაიხადა და სკამზე დაყარა. დედამ წამოკრიფა და კოხტად დაალაგა.

— ისადილებ?

— ჯერ ვიბანავებ.

— არ მოგენატრე?

— ძალიან, დედა — ბიჭმა პერანგი გაიძრო და ხალათი მოისხა შარვალზე. რაც სასწავლებელში შედგა ფეხი, დედას ტიტველა არ ჩვენებია.

— ფორმას გაგიუთოვებ, ტალახშია ამოსვრილი.

— კარგი, დედა, — ალბერტომ ფლოსტებში წაჰყო ფეხები. კამოდიდან საყელოიანი პერანგი, ტრუსები, წინდები ამოიღო. პატარა კარადიდან გაპრიალებული შავი ფეხსაცმელები გამოალაგა.

— ამ დილას გაგიწმინდე, — უთხრა დედამ.

— არ უნდა გექნა, ხელებს გაიფუჭებ.

— ვიღას უნდა ჩემი ხელები? — ამოიოხრა დედამ — ან ვის ვუნდივარ მე საცოდავი?

— დღეს წერა გვქონდა, — გააწყვეტინა ალბერტომ — ოფლი მაღვრევინეს.

— საწყალი!.. — უთანაგრძნო დედამ — აბაზანა აგივსო?

— არა, წყალს გადავივლებ.

— კარგი, მე წავალ, საუზმეს გაგიწყობ.

ქალი კარისკენ გატრიალდა.

— დედა!

დედა კარებში გაჩერდა. თხელი, პატარა ქალი იყო, თეთრი პირისკანი და ჩაცვივნული თვალები ჰქონდა. დაჭმუჭნული წინსაფარი ეკეთა, არც ფერ-უმარილი ესვა და არც თმა ჰქონდა ლამაზად დავარცხნილი. სულ ცოტა ხნის წინათ კი დედა მთელი საათობით იჯდა სარკის წინ, პუდრს, კრემს, იცხებდა, თვალებს იღებავდა. ყოველდღე პარიკმახერთან დადიოდა. საღამოს თუ სადმე წასვლას დააპირებდა, იმდენ ხანს არჩევდა, რომელი კაბა ჩაეცვა, გული შეგიწუხდებოდა. რაც მამა წავიდა, სულ შეიცვალა.

— მამა არ გინახავს? ქალმა ისევ ამოიოხრა, ლოყები შეეფაკ-ლა.

— წარმოიდგინე, სამშაბათს იყო, — თქვა, — არ ვიცოდი, ვინ დარეკა და კარი გავუღე. შენ არ იცი, რა უსინდისო კაცია, ასე თქვა, ალბერტომ გამოიაროსო. ისევ ფული შემომთავაზა. არა, ალბათ ჩემი სიკვდილი უნდა! — ქალმა თვალებზე მიიფარა ხელე-ბი და ხმას დაუწია — უნდა მოითმინო, ძვირფასო...

— მე ვიბანავებ, — უთხრა შვილმა, — ჭუჭყიანი ვარ...

დედას რომ ჩაუარა, ალბერტომ თავზე გადაუსვა ხელი. „ახლა კაპიკი ფული აღარ გვექნება“, — გაიფიქრა გუნებაში. დიდხანს ბა-ნაობდა — გასაპნულ ტანზე ხელებს ისვამდა, ხან ცხელ, ხან ცივ წყალს ივლებდა. „თითქოს ნამთვრალევი ვიყო“ — გაიფიქრა. მე-რე ჩაიცვა. როგორც ყოველ შაბათს, ახლაც ეუცხოვა სამოქალა-ქო ტანსაცმელი, მეტისმეტად რბილი ეჩვენა. თუ ხამი ტილო არ უხეხავდა ტანს, ასე ეგონა, ტიტველი ვარო. დედა სასადილოში დახვდა. უსიტყვოდ ჭამა. პურის ნაჭერს რომ მოათავებდა, დედა მაშინვე საპურეს მიუჩოჩებდა.

— მიდიხარ?

— ჰო, დედა, ამხანაგმა დამაბარა, სხვასთან რაღაც. მალე მო-ვალ..

დედამ თვალები აახამხამა. ბიჭს შეეშინდა, არ იტიროსო.

— სულ ვეღარა გხედავ, — წაილაპარაკა ქალმა, — მთელი დღე სადღაც დადიხარ, არ გეცოდები?, ბიჭს შერცხვა — ერთი საათით წავალ მხოლოდ, საათიც არ დამჭირდება.

ბიჭი მშიერი იყო, ვინემ სუფრას მიუჯდებოდა, მაგრამ ახლა მოუთმენლად ცმუტავდა ადგილზე. მთელი კვირა ნატრობს ამ დღეს, მაგრამ ფეხს შემოდგამს თუ არა შინ, მაშინვე გაქცევა უნ-და: დედა ჩააფრინდება, ყველაფერს ეკითხება, ყველაფერში ცხვირსა ჰყოფს. ღმერთმანი, სჯობს ისევ სასწავლებელში დარ-

ჩეს. არც მისი ახალი ახირებანი მოსწონს ბიჭს. წინათ დედა თვითონ აგდებდა გარეთ, წადი, სადმე გაიარეო, ლოტოს სათამაშოდ მასთან თავშეყრილ, ურიცხვ დაქალებთან ჭორაობით უნდოდა ეჯერა გული. ახლა კი ჩააფრინდება შვილს, გვერდით მოისვამს, საათობით უნდა უსმინოს ბიჭმა მის გაუთავებელ წუწუნს. თვითონვე იღიზიანებს თავს, ღმერთს ხმამაღლა შეჰღაღადებს, ხმამაღლა ლოცულობს. ამაშიც გამოეცვალა ხასიათი — ადრე ავიწყდებოდა კიდეც წირვაზე წასვლა. ალბერტოს არაერთხელ გაუგონია, დაქალებთან რომ მღვდლებსა და ღრმად მორწმუნე ქალებზე ავყიაობდა, ახლა კი ლამის ყოველ ცისმარე დღე დადის ეკლესიაში. მოძღვარიც გაიჩინა, იეზუიტი, „ჭეშმარიტი წმინდანი“, როგორც თვითონ ამბობდა. ერთხელ ბიჭმა სასთუმალთან „ცხოვრება წმ. როზა ლიმელისაც“ უნახა. დედამ სუფრა აალაგა და ხელით გადმოფერთხა ნამცეცები.

— ხუთისთვის აქ ვიქნები, — უთხრა ბიჭმა.

— ჰო, მალე მოდი, — გაეხმიანა დედა, — ჩაისთვის ნამცხვარს გიყიდი.

ჩადრუგუნებულ ზინტლიან დედაკაცს ჯაგარივით თმა შუბლზე ჩამოსწეწოდა. მარცხენა ხელით რომ უკან გადაიყრიდა, თან თავს მოიქექავდა. მეორე ხელში მუყაოს ნაჭერი ეკავა და ცეცხლს უბერავდა. ნახშირი დანოტიებულიყო, ხრჩოლავდა. სამზარეულოს კედლები მჭვარტლს ჩაეშავებინა. დედაკაცსაც ლოყები გამუროდა. „აბა არ დაგევსება ადამიანს თვალები“, — ბუტბუტებდა იგი. კვამლისა და ნაპერწკლებისგან თვალები ეცრემლებოდა, ქუთუთოები შეშუპებოდა.

— რა თქვი? — ჰკითხა მეორე ოთახიდან ტერესამ.

— არაფერი, — წაიბუზღუნა ქვაბზე დახრილმა დედაკაცმა. წვნიანი ჯერ არ თუხთუხებდა.

— რა, რა? — ჩაეკითხა ტერესა.

— დაყრუვდი განა? დაგევსება-მეთქი თვალები, ვთქვი.

— მოგეხმარო?

— ნეტა რა შეგიძლია, — მოუჭრა დედაკაცმა, ცალი ხელით ქვაბს ურევდა კოვზით, მეორეთი ცხვირს იჩიჩქნიდა — არაფერი შენ არ გეხერხება, არც საკერავი, არც საჭმლის კეთება. ერთი შენცა ხარ რაღა...

ტერესა არ შეპასუხებია, სამუშაოდან ახლახან მოვიდა და სახლს ალაგებდა. შაბათ-კვირას ის ასუფთავებდა აქაურობას, დანარჩენ დღეებში დეიდა. თუმცა რა, სულ ორი ოთახი იყო დასალაგებელი, ერთი საწოლი და მეორე ეს, სადაც ჭამდნენ, ისვენებდნენ და კერავდნენ. სახლი ძველი იყო, ბარგიც ცოტა ჰქონდათ...

— დღეს ბიძაშენთან წახვალ, — უთხრა დეიდამ, — იქნებ ახლა უკეთ შეგხვდნენ. წვნიანს ბუშტუკები დააჩნდა. დედაკაცს თითქოს მინავლებული ნაპერწკლები გაუკრთა თვალებში.

— ხვალ წავალ იმათსა, — წაილაპარაკა ტერესამ, — დღეს არ შემიძლია

— არ შეგიძლია?

დედაკაცი გააფთრებით უნიავებდა ცეცხლს მუყაოს ნაჭერს.

— არა, დღეს პაემანზე მივდივარ.

მუყაოს ნაჭერი ჰაერში გაქვავდა.. დედაკაცმა თავი მაღლა ასწია. მერე გონს მოეგო და ისევ აანიავა მუყაო.

— პაემანზე?

— ჰო, — ტერესა გაირინდა, ცოცხი ხელში გაუჩერდა — კინოში დამპატიჟეს.

— კინოში? ვინ დაგპატიჟა?

წვნიანი თუხთუხებდა, დედაკაცს კი აღარც მოგონებია იგი. კარისკენ მიბრუნებულიყო და უმოძრაოდ ელოდა პასუხს. თმაც აღარ გადაუყრია უკან.

— ვინ დაგპატიჟა? — გაიმეორა მან და მუყაო ისევ ჩქარაჩქარა

ააქნია.

— ერთმა ბიჭმა, კუთხეში რომ ცხოვრობს, — თქვა ტერესამ და ცოცხი ისევ ძირს დაუშვა.

— რომელ კუთხეში?

— აგურის სახლი რომ დგას, აგე, ის, ორსართულიანი. არანაა გვარად.

— გვარია ეგეთი? — ჰო, — ის ხომ არა, ფორმა რომ აცვია? — არ ეშვებოდა დედაკაცი.

— ჰო, სამხედრო სასწავლებელში სწავლობს. შაბათობით ათავისუფლებენ ხოლმე. ექვს საათზე ჩემთან მოვა.

დეიდას თვალები კიდევ უფრო წამოეკარკლა. ტერესას ნელა მიუახლოვდა.

— ეგენი რიგიანი ხალხი ჩანს, — თქვა მან, — დიდებულად აცვიათ. მანქანაც აქვთ.

— ჰო, ცისფერი მანქანა.

— გისეირნია მაგათი მანქანით? — შეშფოთდა დეიდა.

— არა. მაგ ბიჭს მხოლოდ ერთხელ ველაპარაკე, ორი კვირის უკან. იმ კვირას უნდა მოსულიყო, მაგრამ არ გამოუშვეს, წერილი მომწერა.

დეიდა უცებ გატრიალდა და სამზარეულოსაკენ გაქანდა. ცეცხლი ჩამქრალიყო, თუმცა კერძი ისევ თუხთუხებდა:

— წლები მოგემატა, ჭკუა კი არა, — თქვა დეიდამ და ურჩი თმა ისევ უკან გადაიყარა — აი, დავბრმავდები და შიმშილით გაგძვრება სული. ეგ ბიჭი მაგრად ჩაიჭირე. ბედი გქონია, რომ მასეთმა ბიჭმა შეგამჩნია, შენი ხნისა რომ ვიყავი, მუცელი უკვე გამობერილი მქონდა. ნეტა რად მაძლევდა ღმერთი შვილებს, თუკი ყველას წამართმევდა.

— ჰო, დეიდა, — ჩაილაპარაკა ტერესამ.

ჰგვიდა და თან თავის მაღალქუსლიან ნაცრისფერ ტუფლებს გაჰყურებდა ცალი თვალით, — გაცვეთილი და ჭუჭყიანი ჩანდა.

ერთიც ვნახოთ, არანამ კარგ კინოში შეიყვანოს?

— განა სამხედროა? — ჰკითხა დეიდამ.

— არა, სწავლობს. ისეთივე სკოლაა, ოღონდაც სამხედროები ასწავლიან.

— სკოლაო? — გაბრაზდა დედაკაცი — მე მეგონა, რიგიანი ვიღაც წამოაგე ჩანგალზე. რა გენაღვლება, აქ გინდაც გასკდეს და გინდაც გაგჯეს ადამიანი...

ალბერტომ ჰალსტუხი გაისწორა. ნუთუ ეს გაპარსული, კოსტად თმადავარცხნილი ბიჭი, სარკეში რომ ჩანს, ეს მორთულ-მოკაზმული კოხტაპრუწა, თეთრი პერანგი რომ აცვია, ღია ფერის ჰალსტუხი უკეთია და უბის ჯიბეში ცხვირსახოცი უჩანს — ალბერტოა? — ლამაზი ბიჭი ხარ, — გაეხმიანა დედა ოთახიდან და დაღონებით დაუმატა — მამაშენს ჰგავხარ.. — ალბერტო აბაზანიდან გამოვიდა, დაიხარა, დედას აკოცა. დედამ შუბლი მიაგება. რა პატარა, რა ნაზია დედა — მხრებამდე სწვდება! თმაც თითქმის სულ მთლად გათეთრებია... „აღარ იღებავს უკვე, — გაიფიქრა ბიჭმა, — იმიტომაც, უფრო მეტი ხნისა ჩანს“.

— მამაშენი! — თქვა დედამ.

იმავ წამს მართლაც გაისმა ზარი. „არ გაუღო“, — მიაძახა დედამ, როცა ალბერტომ კარისკენ გადადგა ნაბიჯი, მაგრამ თვითონ ადგილიდან არ დაძრულა.

— გამარჯობა, მამა, — უთხრა ალბერტომ.

მამა ჩასხმული კაცი იყო, არც ისე მაღალი, გამელოტებული. დიდებული ლურჯი კოსტუმი ეცვა. ლოყაზე რომ აკოცა, ბიჭს სუნამოს მძაფრი სუნი შეეფრქვა. მამამ გაუღიმა, ზურგზე მოუთათუნა ხელი, ოთახი მოათვალიერა. დედა დერეფანში იდგა, აბაზანასთან, თავი მორჩილად დაეხარა, თვალები მიელულა, ხელები წინსაფარში შეეყო, კისერი ოდნავ წაეგრძელებინა, თითქოს ჯალათმა ნაჯახით თავი უნდა წააცალოსო.

— გამარჯობა, კარმელა.

— რისთვის მოხვედი? — ძლივს გასაგონად წაილაპარაკა დედამ.

მამამ ამ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია, კარი დაკეტა, ტყავის პორტფელი სავარძელზე მოისროლა, მღიმარე სახით დაჯდა და ალბერტოს ხელით ანიშნა, გვერდით დამიჯექიო. ბიჭმა დედას შეხედა. დედა არ განძრეულა.

— კარმელა, — მხიარულად დაუძახა მამამ, — მოდი აქ, ჩემო პატარავ, ვილაპარაკოთ: ალბერტო უკვე დიდია.

ბიჭს ეამა ეს სიტყვები. მამა უფრო ახალგაზრდა და უფრო ჯანიანი ჩანდა, ვინემ დედა. მხიარულად უციმციმებდა ფიალები, სიცოცხლით სავსე ხმა, მიმოხრა ჰქონდა. იქნებ ბედნიერი იყო და იმიტომ?

— ჩვენ სალაპარაკო არაფერი გვაქვს, — უთხრა დედამ, — ჰო, არაფერი. — აბა, აბა, ჩვენ განათლებული ხალხი ვართ, დინჯად განვსაჯოთ, უნდა ყველაფერი...

— შენ არამზადა ხარ, — შეჰკივლა — დედამ და ერთბაშად შეიცვალა, ხელები დაემუშტა, პირისახე აუჭარხლდა, განწირული იერი მყის ჩამოერეცხა, თვალები წამოენთო — გაეთრიე აქედან! ეს ჩემი სახლია, მე ვიხდი ამის ფულს — მამამ ხუმრობით დაიცო ყურები. ალბერტომ საათს დახედა. დედას ახლა ტირილი აუვარდა, მთელი ტანი აუკანკალდა, ცრემლებს არ იწმენდდა და სადაც ცრემლი ჩამოსდიოდა, ღია-ღია ღინღლი აჩნდებოდა.

— დაწყნარდი, კარმელა. სულაც არ მინდა ჩხუბი და აურზაური. ასე არ შეიძლება, ჭკვიანურად არ იქცევი. გადადი ამ ქოხიდან, დაიქირავე მოსამსახურე, იცხოვრე ადამიანურად, არ შეიძლება ასე მოეშვა. შვილზე მაინც იფიქრე.

— გაეთრიე-მეთქი აქედან, — შესწივლა დედამ — ეს პატიოსანი სახლია! ნუ აბინძურებ აქაურობას! წადი იმ შენს კახპებთან. შენ-

თან საერთო არა გვსურს გვქონდეს! არც შენი ფულები გვჭირდება! მე თვითონ ვასწავლი ჩემს შვილს.

— მათხოვარივით ცხოვრობ, — განაგრძო მამამ, — სად დაკარგე სიამაყე? მე არ მინდა შენ რამე დაგაკლდეს. რას ჯიუტობ, დასწყევლოს ეშმაკმა?

— ალბერტო! — სასოწარკვეთით შესძახა დედამ — ეგ კაცი მე შეურაცხმყოფს! ის არ მაკმარა, მთელ ლიმაში რომ თავი მომჭრა! მაგას ჩემი სიკვდილი უნდა. შენ მაინც მიშველე!

— მამა, ნუ ჩხუბობთ, — ალბერტოს სიტყვებს სიფიცხე აკლდა.

— გაჩუმდი, — უთხრა მამამ და მკაცრად შეხედა — შენ ჯერ ყმაწვილი ხარ, როდესმე ალბათ გამიგებ. ცხოვრება არც ისე იოლია — ალბერტოს გუნებაში გაეცინა. ერთხელ მამას ქალაქში მოჰკრა თვალი, ძალზე ლამაზი ქერა ქალი ახლდა. მამამაც დაინახა, მაგრამ თვალი აარიდა. საღამოს კი შვილთან შევიდა ოთახში და იგივე სიტყვები უთხრა.

— მეც მინდა გამოსავალი მოვნახოთ, — ამბობდა მამა, — წუთით მომისმინე.

დედას ისევ მორჩილად დაეხარა თავი, მთელი მისი არსება მწუხარებას გამოხატავდა. მაგრამ შვილმა შეამჩნია, რა ფხიზლად უთვალთვალებდა. იგი წამწამებიდან მამას.

— შენ ხალხის აზრი გაწუხებს, კარგად მესმის შენი. რას იზამ, ხალხის აზრსაც უნდა გაუწიო კაცმა ანგარიში.

— ცინიკოსო! — შეჰკივლა დედამ და ისევ მოიკუნტა.

— ნუ მაწყვეტინებ, ჩემო კარგო, თუ გინდა, ერთად ვიცხოვროთ, მირაფლორესში დავიქირავოთ სახლი, ისევ დიეგო ფერეზე, ან წმინდა ანტონიუსის ქუჩაზე, სადაც ისურვებ. ეს კია, მე თავისუფალი უნდა ვიყო, ვიცხოვრო ისე, როგორც მინდა, — მამა ხმადაბლა, დინჯად ლაპარაკობდა, თვალები კი, ალბერტოს გასაკვირად, ეშმაკურად უციმციმებდა — რად გინდა ასეთი სცენები. ბოლოს და ბოლოს — მდაბიონი ხომ არა ვართ..

დედა უკვე ხმამაღლა ქვითინებდა და მოთქვამდა: „გაფუჭებულო“! „არამზადავ!“ „ბინძურო“! ალბერტომ თქვა:

— მამა, მაპატიე, საქმეზე უნდა წავიდე, შეიძლება? — მამა ერთბაშად ვერ მიუხვდა ნათქვამს, მერე გაუღიმა და თავი დაუქნია.

— წადი, შვილო, მე კი შევეცდები დედაშენი დავარწმუნო. ასე აჯობებს. შენ ნუ გეშინია. ისწავლე კარგად, წინ დიდი მომავალი გელის.: თუ კარგად დაამთავრებ, შტატებში გაგგზავნი.

— ჩემი შვილის მომავალზე მე თვითონ ვიზრუნებ! — ჰკიოდა დედა.

ალბერტომ, დედ-მამას აკოცა და საჩქაროდ გაიხურა კარი.

დეიდა ისვენებდა. ტერესამ გარეცხა თეფშები, აიღო პირსახოცი, საპონი და ფეხაკრეფით გამოვიდა სახლიდან. მეზობლად ვიწრო შენობა იდგა, ყვითელკედლებიანი. გოგომ კარზე მიაფხაჭუნა ფრჩხილი. კარი გაკნაჭულმა მხიარულმა გოგომ გაუღო.

— გამარჯობა, ტერე.

— გაგიმარჯოს, როსა. მაბანავებ?

— წამო.

ბნელ დერეფანში გაზეთებიდან ამოჭრილ კინომსახიობთა და ფეხბურთელთა სურათები ეკიდა.

— ეს სურათი ნახე? — უთხრა როსამ — დღეს მაჩუქეს. გლენი ფორდია. გინახავს ეკრანზე?“

— არა, — უთხრა ტერესამ, — მინდა კი ვნახო.

ისინი სასადილოში შევიდნენ. როსას დედ-მამა უხმოდ შეექცეოდა საჭმელს. უზურგო სკამზე როსა იჯდა. კაცმა გაზეთს მოსწყვიტა მზერა და ტერესას შეხედა.

— ოჰო, ტერესიტა, — თქვა და წამოდგა — გამარჯობათ.

მასპინძელს გაეღიმა — იგი ღიპიანი, ფეხებმოღრეცილი, დონდლო ხნიერი კაცი იყო — ტერესას ლოყაზე დაუპირა ხელის მოთათუნება. ტერესამ უკან დაიხია და კაცს ჰაერში შერჩა ხელი.

— დაბანა მინდოდა, სენიორა, შეიძლება? — წაილაპარაკა ტერესამ..

— კი, ერთი სოლი თუ მოიტანე, — ცივად უთხრა ქალმა.

ტერესამ მუჭი გაშალა — ფული არ ბრჭყვინავდა, უსიცოცხლოდ იდო, თითქოს გაცვეთილიყო ამდენი ხელში გამოვლით.

— მალე მოათავე, წყალი ცოტაა, — დაატანა ქალმა.

სააბაზანო ბნელი იყო, პატარა, სიგანით მეტრი. იატაკზე გალიპული ძველი ფიცარი ეგდო. კედელზე, არც ძალიან მაღლა, ონკანი ჩანდა, შხაპის მაგივრად. ტერესამ კარი დაკეტა და სახელურზე პირსახოცი დაკიდა, გასაღების ჭუჭრუტანას ჩამოაფარა. მერე გაიხადა. წვრილი, წერწეტა გოგო იყო, შავგვრემანი. ონკანიდან ცივი წყალი წამოვიდა. საპონი რომ წაისვა, ჯერ ყვირილი გაიგონა: „აბა, გასწი აქედან, ბებერო თხავ!“ მერე კაცის მძიმე ნაბიჯებისა და ჩხუბის ხმა. ტერესამ ჩაიცვა და გამოვიდა. სახლის პატრონი სუფრასთან იჯდა. გოგო რომ დაინახა, თვალი ჩაუკრა. ქალი დაიღრიჯა — იატაკი დაგისვრია.. — ჩაიბურტყუნა მან.

— აბა, წავედი. დიდად გმადლობთ, სენიორა, — თქვა ტერესამ.

— ნახვამდის, ტერესიტა, — მიატანა კაცმა — როცა გინდოდეს, მოდი.

როსამ კარამდე მიაცილა. დერეფანში ტერესამ ჩასჩურჩულა:

— როსიტა, გეთაყვა, შენი ლურჯი ლენტი მათხოვე, შაბათს რომ გეკეთა. დღესვე მოგიტან.

— როსამ თავი დაუქნია და ტუჩზე თითი მიიდო. მერე დერეფანში უხმაუროდ გაუჩინარდა. ისევე უხმაუროდ დაბრუნდა მალე.

— ჰა, წაიღე, — უთხრა და ეშმაკურად შეხედა დაქალს — რად გინდა, მიდიხარ სადმე?

— პაემანზე უნდა წავიდე, ერთმა ბიჭმა კინოში დამპატიჟა.

ტერესას. თვალები უბრწყინავდა, გახარებული ჩანდა.

ჟიჟმატი წვიმა ფოთლებს აშრიალებდა „ქაფურის“ ქუჩაზე. ალბერტო კუთხის მაღაზიაში შევიდა, სიგარეტი იყიდა და ლარკოს გამზირისკენ გაემართა. დაქროდნენ მანქანები, თვალს ჭრიდა უკანასკნელ მოდელთა ფერად-ფერადი კაპოტები. ხალხი ბლომად ირეოდა. ალბერტოს ერთ შარვლიან წერწეტა, დარხეულ გოგოზე დარჩა თვალი. ავტობუს-ექსპრესს აღარ ეღირსა და აღარ მოსვლა. გვერდით ორი ყმაწვილი იცინოდა. ერთბაშად ვერც იცნო ისინი, აილანძა ერთიანად, „გამარჯობათო“, ჩაიბურდღუნა. ბიჭები მყის მიცვივდნენ.

— სად დაიკარგე? — ჰკითხა ერთმა, მამლაყინწასავით რომ აქოჩროდა თმა და სპორტულად ეცვა — აღარ ჩანხარ!

— გვეგონა, გადავიდათქო, — უთხრა მეორემ, ტანდაბალმა და ჩასუქებულმა, ჭრელი წინდები და მოკასინები რომ ეცვა, — ასი წელია აღარ გამოჩენილხარ!

— ახლა „ქაფურის“ ქუჩაზე ვცხოვრობ, — უთხრა ალბერტომ — ისე კი სამხედრო სასწავლებელში ვსწავლობ, ინტერნატში. მარტო შაბათობით გვიშვებენ ხოლმე.

— სამხედროში? — გაიმეორა მამლაყინწამ, — ასეთი რა საშინელებაა!

— დააშავე? წარმომიდგენია, რა საშინელებაა!

— არც ისე, კაცი ყველაფერს ეჩვევა.

ავტობუსი გაჭედილი მოვიდა. სახელურებს დაებღაუჭნენ. ალბერტოს მოაგონდა ის ხალხი, ვისთანაც ერთად მგზავრობდა ხოლმე შაბათ-კვირას ავტობუსებსა და ტრამვაიებში. იქ იდგა ზინტლისა და ოფლის სუნი, თვალს აგიჭრელებდა მყვირალა ფერის ჰალსტუხები... აქ კი, ექსპრესში ყველას გაქათქათებული სალათები ეცვა, ყველა იღიმება, ყველა რიგიანი ხალხი იყო.

— შენი მანქანა სადაა? — ჰკითხა ალბერტომ.

— მანქანა? ის მამაჩემისა იყო. დავუმტვრიე და ახლა აღარ მაძლევს, — უპასუხა ხოზომ.

— რა, არ გაგიგია თუ სანაპიროზე დოღის ამბავი? — შეჩქვიფდა მამლაყინწა.

— არა.

— ჭურში იჯექი? არ იცი ჩვენი მექსიკელის ამბავი! — გაიბადრა მამლაყინწა — იმ გიჟ ხულიოს დაენაძლევა, გახსოვს, ფრანგების ქუჩაზე რომ ცხოვრობს, მე გაგასწრებ სანაპიროზეო. წვიმა იყო, მაგათ კი რა ენაღვლებათ. მეც გავყევი. ხულიო გამოიჭირეს, ჩვენ კი ავიფახეთ. მოგეხსენება, ერთ ოჯახში დაპატიჟებული ვიყავით და იქიდან მოვდიოდით...

— შეეჯახეთ? — ჰკითხა ალბერტომ.

— ეს მერე მოხდა, აკოტონგოში. მიხვეულ-მოხვეულად ტარება ინება ვაჟბატონმა. ბოძს შეეხეთქა. ხედავ ამ ნაიარევს? მაგას კი რა! ძაღლის ბედი აქვს... სადაა სამართალი!

მექსიკელი ნეტარებით იღიმებოდა.

— ყოჩაღ, ბიჭო, — უთხრა ალბერტომ, — ისე როგორა ხართ, რასა იქმთ?

— ვართ რა, — თქვა მექსიკელმა — ახლა ყოველდღე აღარ ვიკრიბებით, გოგოები გამოცდებს აბარებენ. მაშ, დრონი მეფობენ. განათლდნენ დედიკოები, აღარ უშლიან ჩვენთან სიარულს, ერთად დავდივართ კინოშიაც და თეატრშიაც. მდიდარა ელენასთან დადის.

— ელენასთან დადიხარ? — ჰკითხა ალბერტომ.

— ხვალ ერთი თვე იქნება, — უთხრა მდიდარამ და გაწითლდა.

— მერედა არ უშლიან შენთან სიარულს? — რას ამბობ! დედამისი საუზმეზე მპატიჟებს ხოლმე. ვა, მართლა, შენც ხომ დასდევდი მაგას!

— მე? — გაიოცა ალბერტომ — იტყვი რაღა!

— კი, დასდევდი, დასდევდი! — ჩააცივდა მდიდარა — ჭკუაზე იყავი შეშლილი. გახსოვს, ცეკვას რომ გასწავლიდით? აი, ემილიოსთან, გწაფავდით, როგორ აგეხსნა სიყვარული. — ნეტა იმ

დროს! — ჩაილაპარაკა მექსიკელმა.

— ზღაპრებს ნუ ჰყვები, — მოუჭრა ალბერტომ.

— ჰეი, ბიჭებო! რა დავინახე! — წამოიძახა მდიდარამ და უკან მიიხედა.

— მალე უკვე ექსპრესის ბოლოში იყო მდიდარა, არც მექსიკელი და ალბერტო ჩამორჩნენ. დამფრთხალი გოგო ბულვარის ხეებს მიაჩერდა. ლამაზი იყო, ჩაპუტკუნებული; კურდღელივით უცმაცუნებდა ცხვირი. ექსპრესის მინა დაორთქლილიყო.

— გამარჯობა, სულიკო! — წაიმღერა მდიდარამ.

— შენ ჩემს გოგოს თავი დაანებე, თორემ ცხვირ-პირს ჩაგინაყავ, — უთხრა მექსიკელმა.

— ნეტამც კი, მაგისთვის სულსაც არ დავიშურებ, — მიატანა მდიდარამ და მსახიობივით გაშალა ხელები — მაგისი სიყვარულით ვიწვი.

ბიჭები აჭიხვინდნენ. გოგო ისევ ხეებს მისჩერებოდა.

— ამ ხეპრეს ყურს ნუ უგდებ, — თქვა მექსიკელმა, — აბა, ახლავე ბოდიში მოუხადე მანდილოსანს..

— მართალი ხარ, — დაეთანხმა მდიდარა, — ვწუხვარ, რომ ხეპრულად მოვიქეცი. მაპატიე! მითხარი, გაპატიებ-თქო, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ.

— უგულოვ! — შესძახა მექსიკელმა.

ალბერტოც ფანჯარაში იყურებოდა; ფოთლები სველი იყო, ფილაქანს ლაპლაპი გაუდიოდა. ბულვარის ხეების მიღმა მანქანათა ნაკადი მოედინებოდა, უკან დარჩა ორანტიას ფერად-ფერადი შენობები, ახლა უკვე რუხი, დაბალ-დაბალი სახლების რიგი მისდევდა ერთმანეთს.

— სულ დაკარგეს ნამუსი! — ჩაილაპარაკა ხნიერმა ქალმა — თავი გაანებეთ გოგოს.

ბიჭები ახარხარდნენ. გოგომ მზერა მოსწყვიტა ქუჩას და ციყვივით მიმოიხედა. ღიმილმა წამით იელვა მის ბაგეზე და გაქრა.

— სიამოვნებით, ქალბატონო, — თქვა მექსიკელმა და გოგოს მიმართა — გვაპატიეთ, სენიორიტა.

— მე აქ უნდა ჩავიდე, — უთხრა ბიჭებს ალბერტომ და ხელი გაუწოდა, — ნახვამდის.

— წამო ჩვენთან, კინოში მივდივართ, — უთხრა მექსიკელმა — შენც კაი გოგოს გამოგინახავთ.

— არ შემიძლია, პაემანზე მელიან, — თქვა ალბერტომ.

— ლინსაში? — ჩაიხითხითა მდიდარამ, — ღმერთმა ხელი მოგიმართოს! ნუ დაიკარგები, გვინახულე. ყველანი გიგონებთ.

„ეგრეც ვიცოდი, ულამაზო რომ იქნებოდა“, — გაუელვა ბიჭს თავში, როგორც კი კიბეზე დაინახა გოგო.

— გამარჯობათ. ტერესა შინაა? — ჰკითხა უმალ.

— მე ვარ..

— არანამ გამომგზავნა თქვენთან, რიკარდო არანამ.

— მობრძანდით, — დინჯად შეიპატიჟა გოგომ — დაბრძანდით.

— ალბერტო ფრთხილად ჩამოჯდა სკამის ძგიდეზე. გაუძლებს თუ გატყდება? ფარდიდან საწოლის კიდე და ვიღაც ქალის ფეხები ჩანდა. გოგო გვერდით ედგა.

— არანა ვერ მოვა, — თქვა ალბერტომ, — საშვი არ მისცეს. მითხრა, თქვენ რომ ელით, და ბოდიშის მოსახდელად — გამომგზავნა.

— საშვი არ მისცეს? — იმედგაცრუებული ხმით წაილაპარაკა ტერესამ. თმაზე ლურჯი ლენტი ეხვია.

— „ნეტა თუ უკოცნიათ ერთმანეთისთვის?“ — გაიფიქრა ალბერტომ.

— რას იზამ, არ გაუმართლა ბედმა, იმ შაბათს მოვა.

— მანდ ვინ არის? — მოისმა ბუზღუნა ხმა. ფეხები გაქრა. ფარდიდან მსუქანი პირისახე გამოჩნდა.

— ალბერტო წამოდგა.

— ეს არანას ამხანაგია, — თქვა ტერესამ — გვარად..

— ალბერტომ უთხრა თავისი გვარი. ქალმა მსუქანი, მედუზასავით თანთალა გაოფლილი ხელი მიაჩეჩა, პრანჭვით გაუღიმა და ენად გაიკრიფა. სიტყვების ღვარში ისმოდა ისეთი გამოთქმები, ბავშვობიდან რომ აღარ სმენია ალბერტოს, გატყლარჭული ეპიტეტები, მოწიწებული მიმართვანი, უამრავი კითხვები.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, — ქაქანებდა ქალი და ბეჰემოთივით დააბოტებდა.. — ნუ გერიდებათ, შინაურულად მოიქეცით. ჩვენ ღარიბი, პატიოსანი ხალხი ვართ. დიახ, ლუკმაპურს ჩემით ვშოულობ, შეიძლება ითქვას, წვითა და დაგვით. მე ვკერავ. ტერესას განათლება მივეცი. დისშვილია ჩემი. ობოლია საწყალი დედ-მამით. ყველაფერი ჩემითა მაქვს. იჯექით, იჯექით, სენიორ დონ ალბერტო..

— არანას თურმე საშვი არ მისცეს, — წაილაპარაკა ტერესამ ისე, არც ერთისთვის არ შეუხედავს — სენიორი მისი დავალებით მოვიდა.

— „სენიორი?“ — გაიფიქრა ალბერტომ და ტერესას შეხედა, მაგრამ იგი იატაკს დასჩერებოდა. ქალი გასწორდა და ხელები გაშალა. აღარ იღიმებოდა. გაპარტყნილ ცხვირს, ყვრიმალებსა და დაბერილ ქუთუთოებში ჩამძვრალ ღორივით წვრილ თვალებს კი ისევ შერჩენოდა ღიმი.

— საწყალი. რა დღეში იქნება დედამისი. მეც ვიყავი დედა, მეც მყავდა შვილები, მე ვიცი, რაც არის დედის ცრემლი. ყველანი წამართვა ღმერთმა. თქვენ ვერ გაიგებთ ამას; — მაშასადამე, იმ შაბათს მოვა. აი, ასეთია ცხოვრება, მაგრამ ახალგაზრდებმა ამაზე არ უნდა იფიქროთ; ერთი მიბრძანეთ, სად წაიყვანთ ტერესიტას?

— დეიდა, ეგ სხვამ გამოგზავნა, — თქვა ტერესამ და ტუჩი აუკანკალდა — მაგას სულაც არ.....

— თქვენ ჩემზე ნუ შეწუხდებით, — სულგრძელად, მორჩილად იძახდა დეიდა — ყმაწვილები უჩვენოდ უკეთ გრძნობენ თავს. მეც

ვიყავი ახალგაზრდა. მაგრამ უკვე მომიკაკუნა სიბერემ. ასეთია ცხოვრება, იგი... იგი თქვენც გაგემებთ სიმწარეს. ვაი, მოხუცების ბრალი, უკვე ჩინიც დამაკლდა...

— დეიდა, — ისევ წაილაპარაკა გოგომ — თუ შეიძლება. ძალიან გთხოვ...

— თუ ნებას დაგვრთავთ, ჩვენ კინოში წავალთ, — თქვა ალბერტომ.

გოგო ისევ იატაკს ჩასჩერებოდა. იდგა ჩუმად და არ იცოდა, საით წაეღო ხელები.

— არ დააგვიანოთ, ყმაწვილებმა გვიანობამდე არ უნდა ისეირნონ, დონ ალბერტო, — დეიდა ტერესას მიუბრუნდა — აბა, წამოდი, თქვენი ნებართვით, სენიორ...

ქალმა ტერესას ხელი მოჰკიდა და მეორე ოთახში გაიყვანა. ლაპარაკი კარგად არ ისმოდა, სიტყვები თითქოს ქარს მიჰქონდა. არა, ყოველ სიტყვას კი არჩევდა, მაგრამ ერთმანეთს ვერ უკავშირებდა.. რის ვაივაგლახით გაარჩია, რომ ტერესას კინოში წასვლა არ უნდა, დეიდა კი მოიარებით ალბერტოს სურათს უხატავს, უფრო სწორად, მდიდარი, ლამაზი, დიდებული ვაჟბატონის სურათს.

ფარდა გადაიწია, ალბერტო გაღიმებული იდგა. დარცხვენილი ტერესა ხელებს აწვალებდა. ახლა უფრო უკმაყოფილო ჩანდა, ვინემ მანამდე.

— აბა, წადით, — თქვა დეიდამ, — ეგ მე კარგად გაზრდილი გოგო მყავს. განა ყველასთან გავუშვებდი. არ დაიჯერებთ, როგორი მშრომელია, თუმცა სული არ უდგას..

ტერესა კარისკენ წავიდა, ბიჯი წინ გაატარა. აღარ წვიმდა, მაგრამ ჰაერი ნესტით იყო გაჟღენთილი. ასფალტი ლაპლაპებდა. ალბერტო ტროტუარის კედელს გაჰყვა. მერე სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა, თან ტერესასკენ გააპარა თვალი. გოგო პატარ-

პატარა, გაუბედავი ნაბიჯებით მიდიოდა, წინ იყურებოდა. ასე უხმოდ მივიდნენ მოსახვევამდე. ტერესა შედგა..

— მე აქეთ უნდა წავიდე, ჩემი ამხანაგი ცხოვრობს აქ, ძალიან მადლობელი ვარ.

— რისი? — ჰკითხა ალბერტომ.

— დეიდაჩემზე გული ნუ მოგივათ, — ტერესამ თვალებში შეხედა. ახლა გაცილებით მშვიდი ჩანდა — ჩემთვის ცდილობს ასე, თორემ ისე კარგი ქალია — ჰო, ძალიან კარგი ქალია, თავაზიანი.

— ოღონდაც ბევრი ლაპარაკი უყვარს, — დაატანა უცებ ტერესამ და გაიცინა.

„ლამაზი არაა, კბილები კი კარგი ჰქონია — გაიფიქრა ბიჭმა — ნეტა როგორ აუხსნა მათხოვარამ სიყვარული?“

— არანას ეწყინება, კინოში რომ წავიდეთ?

— რატომ უნდა ეწყინოს? ჩვენ დღეს პირველად უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. განა არ გითხრათ?

— თქვენობით რად მელაპარაკები? — ჰკითხა ბიჭმა.

ისინი კუთხეში იდგნენ. ხალხი მიდი-მოდიოდა. წვიმამ ისევ წამოშხუმფლა. მსუბუქი ნისლი ბურავდა ქუჩას.

— კარგი, ეგრე იყოს, — უთხრა გოგომ.

— მოხუცები ხომ არა ვართ. თქვენობით ძალიან მიჭირს ლაპარაკი — ერთხანს დუმდნენ. ბიჭმა სიგარეტი დააგდო და ფეხით გასრისა.

— აბა, მშვიდობით, — გაუწოდა ხელი ტერესამ.

— იცი რა, მოდი, ამხანაგთან ხვალ წადი. დღეს კი კინო ვნახოთ.

გოგომ დინჯად შეხედა.

— არა ღირს, დღეს ალბათ არ გცალია..

— მერე რა, თუმცა საქმეც არა მაქვს არაფერი, ღმერთმანი.

— კარგი, — ტერესამ ხელისგული გაშალა და მაღლა აიხედა. თვალები უციმციმებდა.

— წვიმა მოდის:

— ჰო, ცრის.

— ექსპრესში ჩავსხდეთ..

ისინი არეკიპას გამზირისკენ წავიდნენ. ალბერტომ სიგარეტს მოუკიდა.

— ეს წუთია ერთი გადააგდე.. — უთხრა ტერესამ, — ბევრს ეწევი?

— არა, მხოლოდ შაბათ-კვირას.

— იქ გიკრძალავენ?

— ჰო, მაგრამ ჩუმ-ჩუმად მაინც ვწევთ.

ამ უბანში შენობები უფრო მაღალი იყო, კვარტალებიც უფრო გრძელი, ხალხიც მეტი ჩანდა. ვიღაც ხალათიანმა ბიჭებმა რაღაც მიაძახეს ტერესას. ალბერტო გაიქაჩა, მაგრამ ტერესამ არ გაუშვა.

— თავი დაანებე, ყურს ნუ ათხოვებ, სულელებია. ... — სადაური ზრდილობაა, გოგოს ასე მოექცე, როცა ვიღაცა ახლავს..

— მაგ თქვენს სასწავლებელში ყველანი თავზე ხელაღებული ხალხი ყოფილხართ!

— ბიჭი გაწითლდა, ისე ესიამოვნა ეს ნათქვამი. მართალს ამბობს ვალიანო: ქალებს კადეტები მოსწონთო. თუმცა ამ უბნებში უფრო მეტად, ვინემ ცენტრში. ალბერტო მოჰყვა თავის ამბებს, რა შუღლი და ქიშპია გამართული კურსებს შორის, როგორ ავარჯიშებენ და წვრთნიან მათ, უამბო ლამასა და წკავწკავაზეც. ტერესა ყურადღებით უსმენდა და იცინოდა, ოღონდაც უადგილოდ არა. მერე გოგომაც უამბო, ქალაქის შუაგულში ვმსახურობო, კანტორაში, სტენოგრაფიის და მანქანაზე ბეჭდვის კურსები დავამთავრეო. „რაიმონდის. სკოლის“ გაჩერებაზე ექსპრესში ჩასხდნენ და გენერალ სან-მარტინის მოედანზე ჩამოვიდნენ. მდიდარა და მექსიკელი ტროტუარზე დაბორიალებდნენ. ტერესა თავით ფეხამდე

შეათვალიერეს. მექსიკელმა ჩაიღიმა და ალბერტოს თვალი ჩაუკრა.

— რატომ არ შეხვედით კინოში?.

— ქალბატონები არ მობრძანდნენ. ჯერჯერობით! შემოგვიარე, — უთხრა მდიდარამ.

ალბერტომ ყური მოჰკრა, როგორ ჩურჩულებდნენ ერთმანეთში ბიჭები. ასე ეგონა, დამცინავი ღიმილი ხშირ წვიმასავით მიეშხეფა ყოველი მხრიდან.

— რა სურათი გინდა ვნახოთ? — ჰკითხა გოგოს.

— არ ვიცი, ჩემთვის სულ ერთია — ალბერტომ გაზეთი იყიდა და გამოთქმით ჩაიკითხა, რა კინოფილმები გადიოდა. ტერესა კისკისებდა, — გამვლელები მათკენ იხედებოდნენ. ბოლოს „მეტროში“ გადაწყვიტეს წასვლა. ბიჭმა ორი ბილეთი იყიდა. „რომ იცოდეს არანამ, რაში დავხარჯე მისი ფული, — გაიფიქრა გულში — ვერც ოქროს ფეხუცებთან მოვხვდები დღეს...“ ალბერტომ ტერესას გაუღიმა, გოგომაც შესცინა. ადრე იყო, დარბაზი ნახევრად ცარიელი ჩანდა. ალბერტო გუნებაზე მოვიდა; ტერესასი არ ერიდებოდა და რაც კი ანეკდოტები იცოდა, ყველაფერი გადმოალაგა.

— რა ლამაზი კინო ყოფილა, — თქვა გოგომ.

— აქ პირველადა ხარ?

— ჰო, აქეთ მხარეს იშვიათად დავდივარ. მუშაობას გვიან ვათავებთ, შვიდის ნახევარზე.

— გიყვარს კინო?

— ძალიან! ყოველ კვირას დავდივარ ხოლმე, ოღონდაც ჩვენს უბანში.

ფერადი სურათი იყო, მხიარული. ერთი მოცეკვავე ძალიან სასაცილოდ ირჯებოდა — ხან ვითომ სახელები ეშლებოდა, ხან ვითომ ბორძიკობდა, იმანჭებოდა, თვალებს. აელმებდა. „ქალივით

იპრანჭება და იგრიხება!“ — გაიფიქრა ალბერტომ და ტერესას გადახედა; იგი თავდავიწყებით მიჩერებოდა ეკრანს, პირი ღია დარჩენოდა. ქუჩაში რომ გამოვიდნენ, ისე დაიწყო სურათზე ლაპარაკი, თითქოს ალბერტოს არ ეყურებინოს. ჰყვებოდა, ვის რა ეცვა, რა სამკაულები ეკეთა, სასაცილო სცენების გახსენებაზე სიცილით კვდებოდა.

— კარგი მეხსიერება გქონია, — უთხრა ბიჭმა, — ნეტა რამ დაგამახსოვრა ყველაფერი?

— აკი გითხარი, კინო მიყვარს-მეთქი. აღარაფერი არ მახსოვს, თავი სამოთხეში მგონია.

— ჰო, დავინახე, მონუსხულივით უყურებდი.

ექსპრესში გვერდიგვერდ დასხდნენ. სან-მარტინის მოედანზე ხალხი ზიმზიმებდა — ესენი რიგიანი კინო-დარბაზების მაყურებლები იყვნენ. მანქანების თვლა არ იყო. „სკოლის“ გაჩერებასთან ალბერტომ ზარს ზონარი ჩამოქაჩა.

— ნუ გამაცილებ, — უთხრა ტერესამ, — მარტოც. მივალ. ისედაც ბევრი დრო დაგაკარგვინე!

ბიჭი მაინც გაჰყვა. ლინსას უბანში. ბნელოდა. წყვილები სულ. ჩახუტებულნი მოდიოდნენ. იმათ დანახვაზე ზოგი მაშინვე შესწყვეტდა ხოლმე ხვევნა-კოცნას.

— შენ მართლა არ გქონდა საქმე? — ჰკითხა ტერესამ.

— ღმერთი-რჯული, არა, — ვერ დავიჯერებ.

— რატომ ვერ დაიჯერებ? ტერესამ ვერ თქვა, რატომ — გოგოსთან დადიხარ? — არა — როგორ არა! ვინ იცის, რამდენი გყოლია.

— რამდენი არადა, ერთი-ორი კი. შენ ბევრთან გივლია?

— მე? არავისთანაც არ მივლია.

„ახლა რომ ავუხსნა სიყვარული?“ — გაიფიქრა ალბერტომ.

— ნუ სტყუი, — უთხრა ბიჭმა — ვიცი, რომ ბევრი გეყოლებოდა.

— არ გჯერა? გინდა გითხრა? მე ჯერ არც ერთ ბიჭს კინოში არ წავუყვანივარ.

ისინი უკვე კარგა შორს იყვნენ არეკიპას გამზირიდან, სადაც ორ გაუთავებელ ნაკადად იძროდა მანქანები. ქუჩა თანდათან დავიწროვდა და დაბნელდა. ნაწვიმარ ხეებიდან უხილავი წვიმის წვეთები ცვიოდა.

— ალბათ თვითონ არ გინდოდა და იმიტომ — რა არ მინდოდა?

— არ გინდოდა, რომ გაგარშიყებოდნენ, — ბიჭმა ცოტა ხანს იყუჩა — ყველა ლამაზ გოგოს ეარშიყებიან.

— აბა. კი. ggონია, არ ვიცი, ლამაზი რომ არა ვარ?

— შენზე უკეთესი მე არავინ მინახავს, — თავი გამოიდო ბიჭმა..

ტერესამ ისევ შეხედა.

— განგებ ხომ არ მეუბნები?

„რა დოყლაპია ვარ“, — გაიფიქრა ბიჭმა. ტერესა პაკიპუკით მოდიოდა, პატარა-პატარა ნაბიჯებს ადგამდა — ალბერტოს ერთი ნაბიჯი მისი ორი ნაბიჯი იყო. თავი დაეხარა, ტუჩები მოეკუმა, ხელები გულზე დაეკრიფა. ლენტი ხან შავი უჩანდა, თმიდან ვერ გამოარჩევდი, ხან ფარნის შუქზე ლურჯად გაკრთებოდა და მერე ისევ ბნელში ქრებოდა. ისინი უხმოდ მიადგნენ ტერესას კარს.

— დიდი მადლობელი ვარ, — ხელი გაუწოდა ტერესამ — ნახვამდის. ბიჭი გასცილდა და უცებ ისევ დაბრუნდა.

— ტერესა.

გოგოს ის იყო ზარი უნდა დაერეკა, მაგრამ აღარ დარეკა, გაკვირვებული შემობრუნდა.

— შენ ხვალ გცალია?

— ხვალ?

— ჰო, გინდა კინოში წავიდეთ? — კი, მცალია, მადლობელი ვარ — მე ხუთზე მოვალ, — უთხრა ბიჭმა.

ვინემ ალბერტო თვალს არ მოეფარა, ტერესა შინ არ შესულა.

კარი დედამ გაუღო და ალბერტოც მაშინვე თავის მართლებას მოჰყვა. დედა ოხრავდა, საყვედური ეხატებოდა თვალებში.

ოთახში შევიდნენ და დასხდნენ. დედა ჩუმად იყო, დაღონებული შეჰყურებდა. ბიჭს გული მოეწურა.

— მაპატიე, დედა, გული ნუ მოგივა. ღმერთმანი, წამოსვლა მინდოდა, მაგრამ არ გამომიშვეს. ცოტა კი დავიღალე. შეიძლება წავიდე და დავწვე?

დედამ არაფერი უპასუხა, ისევ ისე შეჰყურებდა. „როდის დაიწყებს ნეტა?“ — გაიფიქრა ბიჭმა. დედამ მართლაც არ დაახანა — პირზე ხელები აიფარა და გრძნობით აქვითინდა. ალბერტომ თავზე გადაუსვა ხელი. რატომ მაწვალებო. ასე, ჰკითხა დედამ. ბიჭმა შეჰფიცა, ამქვეყნად ყველაზე მეტად შენ მიყვარხარო. ცინიკოსი ხარ, მამის ალი-კვალიო, ქვითინებდა დედა. რა სულითა და გულით შეარჩია ნამცხვრები შვილისთვის, სულ სათითაოდ შეარჩია. ახლა კი ჩაიც გაცივდა. ის მარტოა, სულ მარტოა, ალბათ ღმერთმა გამოსაცდელად მოუვლინა ეს ტანჯვა. ალბერტო თავზე უსვამდა ხელს და შუბლზე კოცნიდა. გულში კი ფიქრობდა: „ამ კვირასაც ვერ მოვხვდი ოქროს ფეხუცებთან“. მერე დედა დაწყნარდა და სთხოვა, ისადილე, ყველაფერი ჩემი ხელით მოვამზადეო. ბიჭი დათანხმდა, ბოსტნეულის წვნიანს შეექცა. დედა კი თავზე ადგა და კოცნიდა. „შენ ხარ ჩემი ერთადერთი იმედიო“, — ეუბნებოდა. ისიც უთხრა, მამაშენი ერთი საათი კიდევ იჯდა, რა არ შემომთავაზა: თუ გინდა საზღვარგარეთ გაემგზავრე, თუ გინდა გავეყაროთ, თუ გინდა ხალხის თვალის ასახვევად ისევ შევერთდეთო, თუ გინდა მეგობრულად დავშორდეთო. მე კი ყველაფერზე უყოყმანოდ უარი ვუთხარიო.

დედა-შვილი სასტუმრო ოთახში შემობრუნდა. ვაჟმა სთხოვა, თუ შეიძლება სიგარეტი მოვწიოო. დედას უარი არ უთქვამს, მაგრამ შვილმა რომ გააბოლა, ატირდა. მოჰყვა ჩივილს, რა ჩქარა გარბის დრო, რა წარმავალია ამქვეყნად ყველაფერი, რა შეუმჩნევლად წამოგეზრდება და დაგიკაცდება თურმე შვილიო. მო-

იგონა თავისი ბავშვობა, ევროპაში მოგზაურობა, სკოლის დაქალები, დიდებულად გატარებული სიყმაწვილე, თაყვანისმცემლები, გაიხსენა, რა შესანიშნავ ვაჟკაცებს უთხრა უარი ალბერტოს მამის გულისთვის. იმას კი ახლა მისი დაღუპვა გადაუწყვეტია, კი, კი დაღუპვა!.. დედა ხმადაბლა, დაღვრემით ლაპარაკობდა, მამაზე. არა, წინათ ასეთი არ იყო, იმეორებდა იგი, იხსენებდა, როგორი სპორტსმენი იყო მამა, როგორ სჯობნიდა ყველას ტენისში, როგორ მოხდენილად იცვამდა. ქორწილის შემდეგ ისინი ბრაზილიაში გაემგზავრნენ, იპანემას სანაპიროზე ხელჩაკიდებულნი დასეირნობდნენ. „ეგ ამხანაგებმა დაღუპეს! — ამბობდა დედა, — ლიმა მართლა ბაბილონია, მაგრამ მე ვიხსნი მას, ჩემი ლოცვა გადაარჩენს მას!“ ალბერტო უხმოდ უსმენდა. გულში კი ფიქრობდა, რას იტყოდა მათხოვარა, კინოს ამბავს რომ გაიგებდა, ფიქრობდა ელენასა და მდიდარაზე, ფიქრობდა სასწავლებელზე, იმ ბიჭებზეც, ვისაც სამი წელია არ შეხვედრია. დედამ დაამთქნარა. ბიჭი წამოდგა, დაემშვიდობა და თავის ოთახისკენ გასწია. ის იყო ტანთ გახდა დაიწყო, რომ პატარა მაგიდაზე კონვერტს მოჰკრა თვალი. ზედ ნაბეჭდი ასოებით მისი სახელი ეწერა. ბიჭმა კონვერტი გახსნა. შიგ ორმოცდაათი სოლი იყო.

— ეგ მამაშენმა დაგიტოვა, — უთხრა ზღურბლიდან დედამ და ამოიოხრა, — მეც აღარ გავჯიქდი. შენ რაღაზე უნდა დაიჩაგრო, ჩემო ბიჭო!

— ალბერტო დედას გადაეხვია, აიტაცა, ოთახში დააბზრიალა. „ყველაფერი კარგად იქნება, დედიკო, მე ყველაფერს გავაკეთებ!“ — შესძახა. დედა ნეტარებით იღიმებოდა და იმეორებდა: „ჩვენ არავინ არ გვჭირდება!“ ბიჭმა გადაკოცნა. დედა და სთხოვა, გამიშვიო.

— ერთი წუთით გავალ, — უთხრა, — ცოტა ჰაერს ჩავყლაპავ.

დედამ წარბები შეკრა, მაგრამ გაუშვა. ბიჭმა ისევ გაიკეთა ჰალსტუხი, ჩაიცვა პიჯაკი, დაივარცხნა თმა და გავიდა. დედამ

ფანჯრიდან გადმოსძახა:

— ძილის წინ ლოცვა არ დაგავიწყდეს.

ვალიანომ უთხრა ბიჭებს იმ ქალის მეტსახელი. ერთ კვირა საღამოს, კადეტები რომ საგარეო სამოსს იხდიდნენ და ქუდებით შემოპარებულ სიგარეტებს იღებდნენ, ვალიანომ უამბო ბიჭებს, უატიკას მეოთხე კვარტალში ასეთი და ასეთი ქალი ცხოვრობსო. უამბო აღტაცებისაგან სულშეგუბებულმა და ხმაჩახრინწულმა. ხარივით თვალებს ისე ატრიალებდა, გეგონებოდა, მაგნიტურ ველზე ლითონის ბურთულა დახრისო.

— მოკეტე, საფრთხობელავ, — შეუტია იაგუარმა, — ნუ, წაიღე ტვინი.

მაგრამ ვალიანო ენას არ აჩერებდა, თან ლოგინს შლიდა და თან ლაქლაქებდა.

— რა თქვი, რა ჰქვიაო? — გამოსძახა თავის საწოლიდან კავამ: ოქროს ფეხები იქნება, არ მახსოვს პროსპიდე, — ალბათ ახალი იქნება, — წაილაპარაკა აროსპიდემ — მე მანდ ყველას ვიცნობ, ეგეთი კი არ მახსოვს.

მეორე კვირას უკვე კავა, იაგუარი და აროსპიდე ჰყვებოდნენ იმ ქალის ამბავს და სიცილ-სიცილით ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ. „ხომ გეუბნებოდით! — აღტაცებით ამბობდა ვალიანო — დამიჯეროთ უნდა და არ წააგებთ“. კიდევ ერთი კვირის შემდეგ ამ ქალს უკვე ნახევარი რაზმეული იცნობდა. ისე რომ „ოქროს ფეხუცები“ ნაცნობ მუსიკასავით ჩაესმოდა ალბერტოს, ხოლო მიიარ-მოიარებით ნათქვამი კი მეტ ცეცხლს უკიდებდა. ძილში ამ სახელს უცნაური, ერთმანეთის საპირისპირო და მაცთუნებელი წვრილმანები ერთვოდა. ქალი კი ისევ ის იყო — თან ყოველთვის სხვანაირი. ბიჭი რომ დააპირებდა ხელი წაევლო და პირისახე დაენახა მისი, ქალი უმალ გაუჩინარდებოდა. ბიჭსაც უფრო მეტი ვნების ცეცხლი სწვავდა, ან სინაზის ზღვაში იძირებოდა. და მაშინ

ასე ეგონა, ვერ გაუძლებდა, მოუთმენლობისგან გული გაუსკდებოდა.

თვითონ ლამის ყველაზე ბევრს ლაპარაკობდა ამ ქალზე. კაცი ვერ იფიქრებდა, რომ უატიკას კვარტალების ამბავი მხოლოდ ყურმოკვრით იცოდა ბიჭმა, იმდენ სასაცილო შემთხვევებსა და მოჩმახულ ამბებს ჰყვებოდა. მაგრამ ეს უარესი იყო; რაც მეტად დაწვრილებით აღწერდა თავის სასიყვარულო გამარჯვებებს, რაც მეტად აჭიხვინებდა ბიჭებს, მით მეტად ძლევდა შიში იმისა, რომ ქალთან სიახლოვე სიზმრადვე დარჩებოდა და არასოდეს აუცხადდებოდა. ჰოდა, დადუმებული, გულში ფიცს დებდა, რომ მომავალ შაბათს იმ ქალთან წავიდოდა, თუნდაც საამისოდ ოცი სოლის მოპარვა დასჭირვებოდა და თუნდაც სიფონი შეჰყროდა მისი წყალობით.

ბიჭი ოცდარვა ივლისისა და უილსონის ქუჩის კუთხეში ჩამოვიდა. „საშიში რა გაქვს, — აჯერებდა გულში თავის თავს — ვერავინ იტყვის, თხუთმეტისა არისო. უფრო მეტ ხანს მოგცემს კაცი“. სიგარეტს მოუკიდა, ორჯერ დაარტყა ნაფაზი და გადააგდო. გამზირზე ახლა ბლომა ხალხი ირეოდა. ტრამვაის ხაზი გადაჭრა და ბრბო-ბრბოდ მიმავლებში ამოჰყო თავი. ესენი იყვნენ მუშები და მოსამსახურეები, თმაგადასლექილი მეტისები, ცეკვა-ცეკვით რომ მიაბიჯებდნენ, ბრინჯაოსფერი ინდიელები, მუდამ მოღიმარე ჩოლოები. გამარჯვების მოედანი ახლოს იყო აქედან, კრეოლური საჭმელების, ხიწიწების, ძეხვის, არაყის, ოფლისა და ლუდის სუნი ტრიალებდა.

გადაიარა გამარჯვების ვეება, ახმაურებული მოედანი. ქვის ინკი დაინახა, კვარცხლბეკზე რომ იდგა და დასავლეთისკენ გაეშვირა თითი. გაახსენდა ვალიანოს ნათქვამი: „დიდი მუდრეგი ვიღაც ბრძანებულა ეგ მანკო კაპაკი — პირდაპირ საროსკიპოსკენ მიგითითებს გზას“. ბიჭი ნელა მიჰყვებოდა ხალხის ბრბოს. ლა-

მის დაახრჩო სიმყრალის სუნმა. ფარნები ოდნავ ბჟუტავდა. მამაკაცები ქურდულად იცქირებოდნენ ერთნაირი ყაიდის შენობებისკენ. გამზირისა და უატიკის კუთხეში, ერთი იაპონელის დაწესებულებიდან ხმამაღალი გინება ისმოდა. ბოთლებით გაჭედილ სუფრასთან გააფთრებით ილანძღებოდნენ ვიღაც ქალები და კაცები. ერთხანს იდგა კუთხეში, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, და მიმავალთ აკვირდებოდა. ზოგს ჭიქასავით გაყინული თვალები უჩანდა, ზოგი თითქოს მხიარულად იყურებოდა — ალბერტომ პიჯაკი გაისწორა და მეოთხე უბნისკენ გასწია. პირზე დამცინავი ღიმილი აღბეჭდოდა, თვალებში კი ნაღველი ჩაბუდებოდა. რამდენიმე მეტრი ჰქონდა გასავლელი. კარგად ახსოვდა, „ოქროს ფეხუცები“ კუთხიდან მეორე შენობაში ცხოვრობსო. კართან სამი კაცი იდგა რიგში. ალბერტომ ფანჯარაში შეიჭყიტა. ერთი ციცქნა ჯიხური იყო, წითელი შუქი სკამს ანათებდა, კედელზე გახუნებული ფოტოსურათი ჩანდა, ფანჯარასთან პატარა სკამი. „ტანდაბალი ყოფილა“, — იმედგაცრუებით გაიფიქრა ბიჭმა. ვიღაცამ მხარზე წაავლო ხელი და ხახვის სუნი შეაფრქვია.

— ერიჰა, ყმაწვილო, დაბრმავდი თუ სული გისწრებს, ვეღარ მოგითმენია?

ფარნის წითელი შუქი ძლივს ანათებდა ტროტუარს და ალბერტომ ვერ გაარჩია, ვინ ელაპარაკებოდა. ახლაღა მიხვდა, ხალხი, რატომაც ეკვროდა კედლებს უატიკაზე, ტროტუარი კი ცარიელი იყო.

— ჰო, რა გადაწყვიტე? — გაუმეორა კაცმა.

— რა გნებავთ ჩემგან? — ჰკითხა ალბერტომ.

— რა უნდა მინდოდეს, ოღონდაც არც მე ვარ სულელი. მე ვერ გამაცურებ, გასაგებია?

— კი მაგრამ, რაშია საქმე? — რიგში დადექი, ნამუსიც კაი საქონელია — კარგი, დავდგები, დაწყნარდით, — უთხრა ალბერტომ.

ბიჭი მოსწყდა ფანჯარას და რიგში ჩადგა. კედელზე მიყრდნობილმა ზედიზედ მოქაჩა ოთხი სიგარეტი. ალბერტოს წინ მდგომი შევიდა და მალე გამოვიდა, ჩაიბურდღუნა, ცხოვრება გაძვირდაო, და სიბნელეს შეერია.

— შემოდი, — გაისმა ქალის ხმა.

ბიჭი შევიდა ცარიელ დამბურაში. ოთახს შუშიანი კარი ჰქონდა. „მე არ მეშინია. მე უკვე დიდი ვარ“. ალბერტო? კარს ჰკრა ხელი. არც ოთახი იყო დიდი. აქაც წითელი შუქი ენთო, ოღონდ უფრო ჭახჭახა. ბიჭს თვალები აუჭრელდა? დიდი თუ პატარა ლაქები დაუტრიალდა თვალწინ. ამიტომაც უცებ ვერ გაარჩია ლოგინზე მწოლიარე ქალი. ხოლო როცა გაარჩია, მისი პირისახე კი არ მოხვდა თვალში, ხალათზე ამოჩითული მუქი ფერის მხეცები თუ ყვავილები დაინახა. ალბერტო დამშვიდდა: ქალი წამოჯდა. მართლაც პატარა ტანისა ყოფილა, ფეხებს ვერ უწვდენდა იატაკს. გაჩეჩილი წითურა თმა ძირებთან შავი ჰქონდა, პირისახე გათხიპნილი. იღიმებოდა. ბიჭმა თვალი ჩააყოლა და სადაფივით მოელვარე ორი ფუნთულა, კალმახივით მოსხმარტალე ნაზი ფეხი დაინახა („ცოცხლად გადაყლაპვა მოგინდებაო“, — ამბობდა ვალიანო). ეს ფეხები თითქოს ამ ტანისა არ იყო, ამ მომჩვარულ ტუჩებს, ამ უსიცოცხლო, გამოთაყვანებულ მზერას არ ეხამებოდა.

— სამხედრო სასწავლებლიდან ხარ? — ჰკითხა ქალმა — დიახ — პირველი რაზმეული, მეხუთე კურსი? — დიახ.

ქალმა ჩაიხითხითა.

— დღეს მაგ რაზმეულიდან შენ მერვე ხარ, წინა კვირას კი სათვალავი ამერია. ძაან შემომეჩვივნენ თქვენები...

— მე პირველად ვარ, — გაწითლდა ალბერტო, — მე...

ქალმა უფრო ხმიერად ჩაიცინა.

— ცრუმორწმუნე ნუ გგონივარ, — თქვა, — მუქთად არ ვმუშაობ. საზღაპრო კბილი უკვე მოვიცვალე. ამდენ ძუძუმწოვრებს ვინ გაუძლოს ყოველდღე, გული არ ამიჩუყოთ აქა.

— მაგაზე არ მითქვამს, — წაილაპარაკა ბიჭმა, — ფული მაქვს.

— ეგრე სჯობია. მანდ დადე მაგიდაზე. აბა, ჩქარა! ნუ ზოზინობ — ალბერტომ ნელა გაიხადა ტანთ, ლამაზად დააწყო სამოსელი. ქალი გულგრილად შეჰყურებდა. მერე უხალისოდ გადაწვა ზურგზე და ხალათი გადაიღეღა. ტიტველი იყო, თუმცა ვარდისფერი ბიუსტჰალტერი კი ეცვა.

„მართლა ქერა ყოფილა“, — გაიფიქრა ბიჭმა და გვერდით მიუწვა...

სან-მარტინის მოედანზე, საათის ქვეშ, კალიაოში მიმავალ ტრამვაის ბოლო გაჩერებაზე ზღვა თეთრი ქუდები ირევა, ოტელ „ბოლივარისა“ და „ბოშათა ბარის“ წინ მდგარი მეგაზეთეები, შოფრები, უსაქმურები და პოლიციელები გასცქერიან, როგორ მოედინებიან ამ საათისაკენ სხვადასხვა მხრიდან კადეტები, — ზოგი შორიდან, ზოგიც ადგილობრივი დაწესებულებებიდან — გზას ხერგავენ, შოფრებს უღრენენ, ქალებს ელაზღანდარავებიან, ამ საათებში რომ გაუბედიათ ქუჩაში გამოსვლა, უსაქმოდ დაძრწიან, იგინებიან და ენამწარობენ. აგერ მოვიდა ტრამვაიც. წამი და იგი კადეტებითაა ერთიანად დახუნძლული; სხვა მგზავრები გონივრულად მიკუნჭულან სულ ბოლოში.

მესამეკურსელები იკურთხებიან, — საფეხურზე ფეხის დადგმას ვერ მოასწრებ, წამსვე ქეჩოში ჩაგავლებენ ხელს. „ჯერ კადეტებს დაუთმე ადგილი, ლეკვები შემდეგ“.

— თერთმეტის ნახევარია, — ამბობს ვალიანო, — უკანასკნელ მანქანას მაინც რომ მივუსწრებდეთ...

— ათი საათი და ოცი წუთია, — პასუხობს არისპიდე, — მივუსწრებთ.

ტრამვაი გაჭედილია; ბიჭები ფეხზე დგანან. კვირაობით ბელიავისტაში მოდის ხოლმე სასწავლებლის მანქანები კადეტთა წასაყვანად.

— შეხე იმ ორ ლეკვს, — იძახის ვალიანო, — გადახვეულან, სახელოზე ნაკერები არ დაგვინახონო. კაი ეშმაკები ბრძანდებიან...

— უკაცრავად, — დაადგა თავზე საცოდავ ლეკვებს ароსპიდე, მის დანახვაზე გაცხარებული საუბარი რომ შექმნეს. ტრამვაი უკვე გასცდა ორი მაისის მოედანს და ახლა პატარა უჩინარ სახლებს შორის მიიზლაზნება.

— კადეტს გაუმარჯოს, — ამბობს ვალიანო.

ბიჭები არ განძრეულან. ароსპიდემ ერთს შუბლში ატაკა თითი.

— აბა, ადექით, ჩამოვწყდით ხალხი ფეხზე დგომით. კადეტები წამოდგნენ — გუშინ რა გააკეთე? — ჰკითხა-ароსპიდემ.

— დიდი არაფერი. საღამოს დაპატიჟებული ვიყავი — დილამდე ვიყურყუტეთ. დღეობა იყო თუ რაღაც, ნუ იტყვი, იმდენი ხალხი მოვიდა. ჰო, კიდევ უატიკაზეც გახლდი. ჰო-ჰო, რაები მითხრეს მწერალზე.

— რა გითხრეს? — ჰკითხა ароსპიდემ — ბარემ ყველას ერთად გიამბობთ. ამბავია, გიყვარდეს!

მაგრამ სასწავლებლამდე სულმა წასძლია ვალიანოს. როცა ბოლო საბარგო მანქანა პალმების ქუჩიდან პერლის კლდეებისკენ დაიძრა, თავის ჩემოდანზე მოყანყალე ვალიანომ თქვა:

— საჩვენო მანქანა ყოფილა, რაღა. თითქმის მთელი რაზმეული აქა ვართ.

— მაშ, მაშ, ზანგის გომბიოვ, — წაილაპარაკა იაგუარმა, — ფრთხილად იყავ, აქ არ გაგაბახონ.

— ვაი, რა უნდა გიამბოთ! — თქვა ვალიანომ. — რა იყო, უკვე გაგაბახეს? — ჰკითხა იაგუარმა — არა, მწერალზე ვიცი რაღაცა, — თქვა ვალიანომ — რაო, რაო? — გამოსძახა ბოლოდან ალბერტომ.

— შენც აქა ხარ? გერჩივნა კი, არ ყოფილიყავ. შაბათს ოქროს

ფეხუცებთან ვიყავი. ასე მითხრა შენზე, მოვნათლე და და ნათლობის ფულიც მომცაო.

— ჩამოდით! — დაიძახა პესოამ.

მანქანა სასწავლებლის კართან გაჩერდა. კადეტები ძირს ჩამოცვივდნენ. ალაყაფის კართან მოაგონდა მხოლოდ ალბერტოს, სიგარეტები არ დამიმალავსო, და უკან დაბრუნება დააპირა. მაგრამ შესასვლელთან ორად-ორი ჯარისკაცი იდგა, ოფიცრები არსად ჩანდნენ. ბიჭს გაუკვირდა.

— რა, ლეიტენანტები ხომ არ ამოწყდნენ? — იკითხა ვალიანომ.

— შენს პირს შაქარი! — გაეხმიანა აროსპიდე.

ალბერტო ყაზარმაში შევიდა. იქ ბნელოდა, სინათლე მხოლოდ საპირფარეშოდან გამოდიოდა. კადეტები კარადებთან იხდიდნენ ტანსაცმელს, გეგონებოდა, ტანზე ზეთი სცხიათო.

— ფერნანდეს! — დაუძახა ვიღაცამ — გაგიმარჯოს, — უთხრა ალბერტომ, — რა იყო?

მის წინა მათხოვარა იდგა, პიჟამა ეცვა, პირისახე მოღრეცოდა.

— არ გაგიგია? — არა, რა მოხდა?

— ქიმიის ბილეთების ამბავი გაიგეს. გატეხილი შუშა უნახავთ. გუშინ პოლკოვნიკი იყო. სასადილოში შავი დღე აყარა ოფიცრებს, ახლა გაქაჯებულები არიან ყველანი. პარასკევის მორიგეებს კი...

— მორიგეებს რა?

— საშვს არ მისცემენ, ვინემ დამნაშავეს არ იპოვიან.

— დალახვროს ეშმაკმა! — თქვა ალბერტომ — მე მაგათი ასე და ისე!

V

„ერთხელ ვიფიქრე: „თავის დღეში მარტო არ დავრჩენილ-ვართ. ავდგები და სკოლასთან დავხვდები...“ და მაინც ვერ გავ-ბედე. რა ვუთხრა? ან ფული სად ვიშოვო, ტერე ნათესავებთან სა-დილობს ხოლმე, ქალაქში, სკოლის ახლოს. ვიფიქრე, მოდი, თორმეტზე დავხვდები სკოლასთან, იმ ნათესავებამდე მივაცი-ლებ, ცოტაზე მაინც ერთად გავივლით-მეთქი. ერთი წლის უკან ერთმა ბიჭმა თხუთმეტი რეალი მომცა — სკოლაში მის მაგივრად გამოვჩარხე რაღაც, მაგრამ ახლა შრომა აღარ გვიტარდება. დღედაღამ თავს ვიმტვრევდი, ფული სად მეშოვა. ანაზდად კნაჭა იგერასი მომაგონდა, იმას ვესესხები-მეთქი. აკი მუდამ მპატი-ჟებს ხოლმე ხან რძიან ყავაზე, ხან სასმელზე, სიგარეტით მიმას-პინძლდება. იმავე დღეს მოედანზე შევხვდი და ფული ვთხოვე. „მოგცემ, აბა არ მოგცემ, — მითხრა, — განა ჩვენ ძმაკაცები არა ვართ“. შევპირდი, უსიკვდილოდ დაგიბრუნებ, როგორც კი ნათ-ლიაჩემი ჩემს დღეობაზე ფულს მაჩუქებს-მეთქი. გაეცინა. „კარ-

გი, კარგი, წაიღე, როცა გექნება, მაშინ მომეცი“. ცას დავეწიე სიხარულით, ჯიბეში ფული რომ გამიჩნდა, მთელი ღამე არ დამეძინა, მეორე დღეს კი სკოლაში მთქნარებით კინაღამ მოვკვდი. სამი დღის შემდეგ დედაჩემს ვუთხარი, ამხანაგთან ვისადილებ-მეთქი, ჩუკუიტოში. გაკვეთილებიდან ნახევარი საათით ადრე დავეთხოვე, კარგად ვსწავლობდი და უარი არ მითხრეს.

ტრამვაი თითქმის ცარიელი იყო და სხვა რა გზა მქონდა, ბილეთი ვიყიდე. კიდევ კარგი, კონდუქტორმა ნახევარი გზის ფული გამომართვა. ორი მაისის ქუჩაზე ჩამოვედი. ერთხელ მე და დედა ალფონსო უგარტეზე მივდიოდით, ნათლიაჩემთან. დედამ მაჩვენა: „აი, იმ დიდ შენობაში სწავლობს ტერესიტა“. იმ შენობას ხელდახელ ვიცნობდი, ოღონდაც უგარტეს გამზირს ვერა და ვერ მივაგენი. ბოლოს გამახსენდა „სკასთან“ ახლოს რომ იყო და იქით გავქანდი. მართლაც ბოლოგნესის მოედანთან იდგა ის შავი შენობა. გაკვეთილები ის წუთია დამთავრებულიყო, გოგოები უკვე გამოდიოდნენ, მე კი ვიდექი და სად ჩავმძვრალიყავი, არ ვიცოდი. წასვლა დავაპირე, ცოტა გავცილდი იქაურობას და სასაუზმეს ამოვეფარე. ზამთარი იყო, მე კი ოფლი ხვითქად გადამდიოდა. ვხედავ — მოდის. შემეშინდა და სასაუზმეში შევვარდი — გამოვიხედე — უკვე კარგა შორს წასულიყო, მოედანს უახლოვდებოდა. მარტო მიდიოდა, მე კი მაინც შიშით აღარ ვიყავი. აჰა, მოსახვევში გაუჩინარდა. მე ისევ ორი მაისის ქუჩაზე მოვბრუნდი, ტრამვაიში ჩავჯექი. ბოღმა მახრჩობდა. ჯერ ადრე იყო, სკოლა დაკეტილი დამხვდა. ორმოცდაათი სანტიმო კიდევ დამრჩა, მაგრამ არაფერი მიჭამია, მთელი დღე დაბოღმილმა ვიწანწალე. საღამოს მივედი მასთან. თითქმის კრინტი არ დამიძრავს. მკითხა, რა დაგემართაო, გავწითლდი კაცი.

— მეორე დღეს გაკვეთილზევე გადავწყვიტე ისევ მიმეკითხა სკოლაში და მასწავლებელს ვთხოვე, გამიშვი-მეთქი. „წადიო, —

მითხრა, — ოღონდაც დედაშენს უთხარი, ყოველდღე თუ გაკვეთილები გაგაცდენინა, ცუდ სამსახურს გაგიწევს“. გზა უკვე ვიცოდი და ადრე მივედი. გოგოები რომ დავინახე, დავფრთხი, მერე გული გავიმაგრე, ჩემს თავს ჩავაგონე! „მაინც მივალ, მაინც ვნახავ-მეთქი“. მარტო გამოვიდა, თითქმის ყველაზე ბოლოს. დავაცადე, ვიდრე ცოტაზე გამცილდებოდა, და უკან გავყევი. მოედანზე ფეხს ავუჩქარე და დავეწიე. „გამარჯობა, ტერე“. თვალებზე შევატყვე, ცოტა გაუკვირდა. „გაგიმარჯოს, აქ რას აკეთებ?“ მკითხა ისე უბრალოდ, ვეღარაფერი ვერ მოვიგონე და ესღა ვუთხარი: „ადრე გამოგვიშვეს და გადავწყვიტე, შენთვის გამომევლო. რა იყო?“ — „არაფერი, ისე გკითხე“. სად მიდიხარ-მეთქი, ვუთხარი. „ჩვენებთან. შენ?“ „არ ვიცი, თუ არ გეწყინება, გაგაცილებ“. „კარგიო, — მითხრა, — აქ ახლოს არის“, თურმე, იქვე, არიკას პროსპექტზე ცხოვრობდნენ მისი ნათესავები. გზად ტკბილად ვიჭუკჭუკეთ, ოღონდაც არ მიყურებდა, თვალს მარიდებდა. მოსახვევამდე რომ მივედით, მითხრა: „ჩემები აგერ იქ ცხოვრობენ, ისე რომ სჯობია აქ დავშორდეთ“. „ჩაო, — ვუთხარი, — მაშ, საღამომდე?!“ — „ჰო, ჰო, ნუ იტყვი, რამდენი მოგვცეს სასწავლი!“ და ესეც დასძინა: „კარგი ჰქენი, რომ მოხვედი“.

„მარგალიტი“ ეზოს ბოლოს იყო მიკუნჭული, სასადილოსა და სასწავლო კორპუსებს შუა, უკანა გალავანთან. ცემენტის ერთ ციცქნა შენობას დიდი ფანჯარა ჰქონდა, დახლის მაგივრობასაც რომ სწევდა. იმ ფანჯარაში კი მთელი დღე პაულინოს მურდალი სიფათი ჩანდა. კაცმა არ იცის, რამდენნაირი სისხლი ჩქეფდა მის ძარღვებში. ამიტომაც იაპონელივით თვალმარდი, ზანგივით ცხვირგატყაპნილი, ინდიელივით ყვრიმალმაღალი, თმასწორი, ნიკაპგრძელი და ბრინჯაოსფერი იყო. კოლას, ყავას, ნამცხვარს, შოკოლადსა და შაქარყინულს ჰყიდდა, დუქნის უკან კი, გადაუხუ-

რავ კარავში, საიდანაც ადვილად გაეპარებოდა კაცი პატრულებს, სიგარეტებით და სასმელით ვაჭრობდა, თანაც ორმაგ ფასში.

პაულინოს ლეიბზე ეძინა, კედელთან; ჭიანჭველებს მისი ტანი პლაჟად გაეხადათ, არხეინად დასეირნობდნენ ზედ. ლეიბის ქვეშ ფიცრები იყო, ფიცრებქვეშ კი — სამალავი ორმო. იგი თავისი ხელით ამოთხარა პაულინომ; შიგ მალავდა ეს მურდალი „საერო“ სიგარეტების დასტებსა და სასმელ ბოთლებს, ფარულად რომ შემოაძვრენდა ხოლმე სასწავლებლის ეზოში.

დასჯილნი აქ მოდიოდნენ შაბათ-კვირას მეორე საუზმის შემდეგ, ხან წყვილ-წყვილად, ხან სამ-სამად, რა არის ეჭვი არავის აეღო. ვინემ პაულინო თავის ორმოში დაფათურობდა, ბიჭები იატაკზე მოირთხამდნენ ფეხს და ბრტყელი ქვების მომსხო ჭიანჭველებს დაერეოდნენ ხოლმე. ჰიბრიდი კეთილი და ეშმაკი კაცი იყო, ნისიადაც იძლეოდა ხოლმე, რას სთხოვდი, ოღონდაც ხვეწნით ჭირი უნდა მოგეჭამა. კარავი პატარა იყო, შიგ ოცამდე კადეტი ეტეოდა, მეტი არა. თუ ადგილი აღარ რჩებოდა, ბიჭები გარეთ იცდიდნენ და კენჭებს ესროდნენ ხოლმე ლამას სხვების გამოსვლამდე. ლეკვებს ვინ აცლიდა ქეიფს — მეოთხე და მეხუთე კურსი ხელად გამოლალავდა ან მეთვალყურედ აყურყუტებდა კარგა ხანს. ლამის ვახშმობამდე ღრეობდნენ ხოლმე კადეტები. ამის წყალობით დასჯილებს ისე აღარ ჰქონდათ კვირაობით მოშხამული გუნება, ისე აღარ ენატრებოდათ ქალაქი. მართალია, შაბათ დღეს მაინც კიდევ უციმციმებდათ იმედი, ეგების ოფიცერი მოვატყუოთ ან გასავლელიდან ავიფახოთო, მაგრამ ათი კაციდან ორი თუ სამი ახერხებდა ამას; დანარჩენები უსაქმოდ დაყიალებდნენ დაცარიელებულ ეზოში, მერე საწოლებზე მიეგდებოდნენ და თვალღია ცდილობდნენ ათასნაირი ოცნებებით გულის შემჭმელი ნაღველი მოეშთოთ. ვისაც ფული შემოენახა, ის პაულინოსთან გამოთვრებოდა და სიგარეტს მოსწევდა. თუმცაღა ეს

ოხერი ჭიანჭველები უბედურად იკბინებოდნენ.

კვირაობით, ნასაუზმევს, წირვა იყო. სასწავლებლის კაპელანმა, მხიარულმა კაცმა ომახიანი ქადაგება იცოდა. ენამჭევრულად აგიწერდა რა უბიწონი იყვნენ დიდი მეომარნი, როგორ უყვარდათ იმათ პერუ და ღმერთი, დაგიხატავდა ოფიცრებს მისიონერებად, გმირებს — წამებულებად, ეკლესიას კი — ლაშქრად. კადეტები ამ კაცს პატივს სცემდნენ, კაი კაციაო, ამბობდნენ. ხშირად უნახავთ, ჩვეულებრივ სამოსში გადაცმული და გამობრუჟული, გასართობ უბნებში რომ დაეხეტებოდა და მსუნაგურად აცეცებდა თვალებს.

დაავიწყდა, დილას რომ დიდხანს არ გაახილა თვალი, თუმცა ეღვიძა კია. კარი გაიღო, ისევ შიშით მოეწურა გული, სუნთქვა შეეკრა. დარწმუნებული იყო, მამა მოდის, უნდა მცემოსო. დედა კი იყო. დინჯად შეხედა ბიჭს. „სად არის?“ — „წავიდა, უკვე თერთმეტი დაიწყო“. სული მოითქვა და წამოდგა ბიჭი. მზეს გაეჩახჩახებინა ოთახი. ახლაღა ჩასწვდა ყურში ქუჩის ხმაური, მანქანების საყვირების ხმა, ტრამვაის წკრიალი. მთელი სხეული მოუდუნდა. ასე ეგონა, დიდხანს, დიდხანს იავადმყოფა და ახლა წამოდგა ზეზე. ელოდა, რას ეტყოდა დედა გუშინდელზე, დედა კი დუმდა, დადიოდა, ვითომდა ოთახს ალაგებდა, სკამებს აწყობდა, ფარდებს ასწორებდა. „წავიდეთ ჩიკლაიოში“, — უთხრა ბიჭმა. დედა მივიდა და მოეხვია, გრძელი თითები ნაზად გადაუსვა თავზე, თმაზე. ზურგზე. ბიჭმა ისეთივე სიმყუდროვე, სითბო იგრძნო, როგორც წინათ. ნაზი ხმაც მისი ბავშვობისდროინდელ ხმად ეღვრებოდა ყურში. სიტყვები არ ესმოდა, სიტყვებს მნიშვნელობა არ ჰქონდა, ხმის ნაზი ჟღერა ამშვიდებდა, უნანავებდა. მერე დედამ თქვა: „ჩვენ ჩიკლაიოში აღარ წავალთ, შენ მამასთან უნდა იყო“. ბიჭმა შეხედა, ეგონა, დედა ახლავე მოინანიებსო ამ სიტყვებს. დედა კი

მშვიდად უცქეროდა, უღიმოდა კიდეც. „მე მირჩევნია ადელა დეიდასთან ვიცხოვრო!“ — შესძახა მან. დედა ისევ აწყნარებდა. „ეგ იმიტომ, რომ მამასთან არ გიცხოვრია, — ეუბნებოდა დინჯად, — არ გიცნობდა. აი, ნახე, თუ ყველაფერი არ მოგვარდა. ერთმანეთს რომ კარგად გაიცნობთ, ისევე შეგიყვარდებათ ერთიმეორე, როგორც სხვა ოჯახებში უყვართ!“ „მაგან მე მცემა, — ბიჭის ხმას ხრინწი გაერია, — მუშტებით მცემა, თითქოს დიდი ვიყო. მე არ მინდა მაგასთან ვიცხოვრო“. დედა ისევ თავზე უსვამდა ხელს, მაგრამ ახლა მისი ალერსი აღარ აწყნარებდა, უფრო ტანჯავდა. „მამასაც მძიმე ხასიათი აქვს, — ამბობდა დედა, — ისე კი კეთილია. უნდა შეუწყო ხასიათი. შენც დამნაშავე ხარ, არ ცდილობ შეეგუო. გუშინდელზე ძალიან ნაწყენია. პატარა ხარ, ჯერ ვერ გაიგებ, გაიზრდები და მიხვდები, რომ მართალი ვარ. როცა მოვა, სთხოვე, მაპატიე, დაუკითხავად რომ შემოვედი-თქო. უნდა ასიამოვნო, მასთან მხოლოდ ეს ხერხი გაჭრის“. ბიჭს ისე უძგერდა გული, ასე ეგონა, მკერდში ვეებერთელა ბაყაყი ეჯდა, აი, მათ ძველ ბაღში რომ იყო ხოლმე და მუდამ თვალებდაკუსულ გაბერილ ბუშტს აგონებდა. იმ წუთას მიხვდა მხოლოდ: „ორივეს პირი აქვთ შეკრული“. გადაწყვიტა თავი მოეკატუნებინა, უკვე აღარც დედის სწამდა. იგი სულ მარტო იყო ახლა. დღისით კარმა რომ გაიჭრიალა, მამას შეეგება, თვალებში. არ შეუხედავს, ისე წაილაპარაკა: „მაპატიე, გუშინ ცუდად მოვიქეცი“.

— კიდევ რა გითხრა? — ჰკითხა მათხოვარამ.

— მეტი არაფერი, — უთხრა, ალბერტომ — არ მოგწყინდა, მთელი კვირა ერთი და იგივეს რომ მეკითხები?

— მაპატიე, — წაილაპარაკა მათხოვარამ, — ხომ იცი, დღეს შაბათია. არ მინდა ეგონოს, მომატყუაო.

— რად უნდა ეგონოს? ხომ მისწერე. ანკი რა გენაღვლება. გინდაც ეგონოს.

— მიყვარს და არ მინდა ჩემზე ცუდი იფიქროს, — წაილაპარაკა

მათხოვარამ.

— გირჩევნია სხვა რამეზე იფიქრო, — უთხრა ალბერტომ — რა იცი, რამდენ ხანს გვაყურყუტებენ აქ, იქნებ მთელი თვეც. ჯობია ქალი არც გაიხსენო..

— რა ვქნა, შენ არა გგავარ, — საწყლად ჩაილაპარაკა მათხოვარამ, — ნებისყოფა არ გამაჩნია. მინდა დავივიწყო, მაგრამ არ გამომდის, თუ შაბათსაც არ გამიშვეს, გავგიჟდები. გკითხა ჩემზე რამე?

— ერთი მაგისი! ხუთი წუთით ვნახე მხოლოდ, შინ არც შევსულვარ, რამდენჯერ უნდა გაგიმეორო. კარგად არ შემიხედავს.

— მაშ რად არ გინდა წერილი მიმიწერო? — არ მინდა და მორჩა, — მოუჭრა ალბერტომ.

— საოცარია, ყველას უწერ ხოლმე წერილებს, მე კი არა.. — წაიდუდუნა მათხოვარამ..

— სხვებს არ ვიცნობ, თუმც აღარც მათ დავუწერ ამას იქით. რა ოხრად მინდა ფული, თუ აქ გვაყურყუტეს?

— შემდეგ შაბათს წავალ. არ გამიშვებენ და გავიქცევი.

— შენი ნებაა, — უთხრა ალბერტომ — წამო პაულინოსთან. ჭირს წაუღია ყველაფერი, გამოვთვრები მაინც.

— წადი, მე აქ დავრჩები — გეშინია?

— არა, არ მიყვარს ხოლმე, საქმეს რომ მიჭირებენ.

— არავინაც არ გაგიჭირებს საქმეს, — უთხრა ალბერტომ — წამო, დავლიოთ, თუ გაგიჭირეს, შენც ადექი და ჩაანათე ცხვირპირში. ჰო, ჰო, წამო.

საძინებელი თითქმის ცარიელი იყო. მეორე საუზმის შემდეგ ათივე დასჯილი საწოლზე გაგორდა და გააბოლეს. მერე პითონმა რამდენიმე ბიჭი ატეხა, პაულინოსთან წავიდეთო. დანარჩენები ვალიანოს გაჰყვნენ მეორე რაზმეულში, სადაც კარტის თამაში იყო გახურებული. ალბერტო და მათხოვარა წამოდგნენ, კარადე-

ბი დახურეს და გავიდნენ. კაციშვილი არ ჭაჭანებდა არც ყაზარმასთან, არც მოედანსა და ეზოებში. უბრად გაემართნენ „მარგალიტისკენ“, ხელები ჯიბეებში ეწყოთ. წყნარი, თბილი, მოღრუბლული დღე იდგა. უცებ ხითხითი გაისმა. შორიახლოს ბალახში პატარა კადეტი გაწოლილიყო, ბერეტი თვალებზე ჩამოეფხატა.

— ვერ შემამჩნიეთ? — ხითხითებდა იგი, — მე კი შემეძლო სულ უბრალოდ გამომეფუშეთ.

— უფროსებს ვერ ცნობ? — უთხრა ალბერტომ — აბა, სმენაზე დადექ!

კადეტი წამოხტა და გამოეჭიმა. ღიმილი უმალ ჩამოერეცხა პირისახიდან.

— იქ ბევრნი არიან? — ჰკითხა ალბერტომ.

— არა, სენიორ კადეტო. ათიოდე კაცი იქნება.

— რად ადექით, დაწექით ისევ, — უთხრა მათხოვარამ.

— ექაჩები განა, ლეკვო? — ჰკითხა ალბერტომ.

— დიახ, სენიორ კადეტო. მაგრამ სიგარეტი არა მაქვს. თუ გინდათ გამჩხრიკეთ. ორი კვირაა ქალაქში არ ვყოფილვარ.

— საწყალი, არ ამატირა კაცი! — წაილაპარაკა ალბერტომ — აჰა, დაიჭი, — მან სიგარეტების დასტა ამოიღო. კადეტი უნდობლად შეჰყურებდა, ვერ გაებედა აღება — ორი ცალი აიღე, ხედავ, რა კეთილი ვარ.

მათხოვარა უგულისყუროდ უყურებდა ბიჭებს. კადეტმა გაუბედავად წამოიღო ხელი, ალბერტოსთვის თვალი არ მოუშორებია, მერე ორი ცალი სიგარეტი ამოაძვრინა და გაიბადრა.

— დიდად გმადლობთ. რა კარგები ბრძანდებით.

— არ ღირს მადლობად, — თქვა ალბერტომ, — სამაგიეროდ ამ საღამოს მოხვალ, ლოგინს გამიშლი. პირველ რაზმეულში მიკითხე.

— გეახლებით, სენიორ კადეტო — წამო, წავიდეთ, — უთხრა მათხოვარამ.

კარავს პატარა კარი ჰქონდა — კედელზე მიყუდებული თუნუქის ფურცელი. სიოს დაქროლება და ფურცელი უკვე წამოქცეული იყო. ალბერტომ და მათხოვარამ მიიხედ-მოიხედეს, უფროსებიდან ახლომახლო არავინ ჩანდა. კარს უკან პითონის როხროხი და ბიჭების ხორხოცი ისმოდა. ალბერტო, ფეხაკრეფით მიუახლოვდა და თუნუქს ორი ხელი დააჭირა. თუნუქი აზრიალდა. ხვრელში მყის შეშინებული სახეები გამოჩნდა.

— ყველას ჩაგაყუდებთ! — თქვა ალბერტომ — აი, თქვე ლოთებო, მურდლებო, ჩერჩეტებო, მე თქვენ დაგიფრთხობთ ანგელოზებს — ბიჭები კართან იდგნენ. მათხოვარა მორჩილად და გაუბედავად იჭყიტებოდა ალბერტოს ზურგიდან. კადეტები იატაკზე ეყარნენ. ერთი მარჯვედ წამოხტა და ალბერტოს წინ დაუდგა.

— შემო ჩქარა, თორემ დაგვინახავენ, — უთხრა — ნუ ტრაბახობ, შენი გულისთვის ხათაბალაში გავებმებით.

— შენობით ნუ მელაპარაკები, აქოთებულო ველურო, — უთხრა ალბერტომ და შევიდა. კადეტები ისევ პაულინოსკენ შებრუნდნენ. პაულინო მოღუშული იყურებოდა. გაბერილი ტუჩები ნიჟარის პირებივით დაღებოდა.

— რას მოიქოქე, ნაზიბროლავ? — უთხრა მან — აქედან გავარდნა მოგდომებია თუ რა?

— მაინც რა? — უთხრა ალბერტომ და იატაკზე გაიშხლართა.

მათხოვარა გვერდით მიუწვა. ვიღაცამ კარი თავის ადგილზე მიაყუდა. გაწოლილ ბიჭებში ალბერტომ ბოთლს ჰკიდა თვალი. ხელი წაიღო მის დასათრევად, მაგრამ პაულინომ მაჯა დაუჭირა.

— თითო ყლუპი ხუთი რეალი.

— აი, შე ქურდო, შენა, — უთხრა ალბერტომ, საფულე ამოიღო და ხუთი სოლი გაუწოდა ჰიბრიდს.

— ათი ყლუპი იყოს! — მარტო დალევ თუ შენს ტურფასთან ერთად? — ჰკითხა პაულინომ — ორივესთვის მოიტა.

პითონი ახვიხვინდა. ბოთლმა წრე ჩამოიარა. პაულინო ყლუპებს ითვლიდა. თუ ვინმე მოტყუებას დააპირებდა, უმალ გამოგლეჯდა ბოთლს. მათხოვარამ დალია და ხველა აუტყდა, თვალები ცრემლით აევსო.

— მთელი კვირა გადაპორწიალებული დადიან, — თქვა პითონმა და ალბერტოსა და მათხოვარასკენ გაიშვირა თითი — ნეტა ვიცოდე, რაშია საქმე.

— ალბერტოს ხელებზე დაედო თავი და მათხოვარას უყურებდა. ლოყაზე პატარა წითურა ჭიანჭველა მიუცოცავდა, ის კი ვერცა გრძნობდა, თვალები ნამიანივით უბრწყინავდა; სახე ძალზე ფერმკრთალი ჰქონდა. ალბერტო გადმოტრიალდა, თავქვეშ ამოიდო ხელები. ზემოთ თუნუქის კიდე და ლეგა ცის ნაგლეჯი ჩანდა. მათხოვარა მისკენ დაიხარა. მარტო სახე კი არა, კისერი და ხელებიც თეთრი ჰქონდა, ლურჯი ძარღვებით დასერილი — წავიდეთ აქედან, ფერნანდეს, — ჩასჩურჩულა მათხოვარამ.

— არა, — წაილაპარაკა ალბერტომ.

მათხოვარა გაუნძრევლად იწვა, თავი ხელებში ჩაერგო. ჰიბრიდი თავზე ადგა; ქვემოდან უზარმაზარი ტანისა ჩანდა.

— ჩასცხე მაგას, პაულინო! — ბღაოდა პითონი — ჩააფარე მაგის ტურფას! თუ განძრეულხარ, მწერალო, სიკვდილი ხელში გიჭირავს — ალბერტომ ძირს დაიხედა. ყავისფერ მიწაზე მუქი წერტილები მოძრაობდა, ქვა აღარც ჩანდა. ბიჭს ტანი დაეძაგრა, მუშტები შეეკუმშა.

— ხელი დაგიკარებია, ცხვირ-პირს ამოგინაყავ, — წაილაპარაკა ნელა.

— ვაჰ-ვაჰ, მათხოვარა შეჰყვარებია! — მიაძახა პითონმა.

ჰიბრიდმა ჩაიღიმა, პირი გააღო, ლორწკიანი ენა მსუქან ტუჩებზე მოისვა.

— თითსაც არ ვახლებ, — თქვა მან.

მათხოვარა არ განძრეულა. ალბერტომ თავი მიაბრუნა. თუნუქი თეთრი იყო, ცა — ლეგა, ყურში ჩაესმოდა მუსიკა, ნაირფერი მუქით განათებულ მიწისქვეშა ლაბირინთებში ჩურჩულებდნენ ჭრელ-ჭრელი ჭიანჭველები — წითელ შუქს ყველაფერი ჩაეშავებინა, ქათქათებს მხოლოდ ქალის სხეული, ვნების ცეცხლით გათანგული პაწაწინა ლამაზი ფეხებიდან შეღებილი თმის ძირებამდე. კედელზე კი შავად მოჩანს ლაქა და ლაღად, მჩატედ მიაბიჯებს გოგო წვიმაში.

სვამდნენ და თან აბოლებდნენ. დაღონებული, ნირწამხდარი პაულინო კუთხეში მიმჯდარიყო. „მერე წავალთ, დავიბანთ ხელებს, სასტვენის ხმაზე დავეწყობით, სასადილოსკენ გავეშურებით, ერთი-ორი, ერთი-ორი, ვივახშმებთ, სასადილოდან გამოვალთ, ყაზარმებში შევალთ. ვიტყვით, ჰიბრიდთან ვიყავითო. პითონი გამოაცხადებს, მათხოვარაც იქ იყო, მწერალმა მოიყვანაო, ხელი არავის დაგვაკარებინაო. მერე ძილის დრო მოვა, ჩვენ დავიძინებთ. ასე იქნება ხვალ, ასე იქნება ორშაბათს, ასე იქნება კიდევ მრავალ და მრავალ კვირას“.

ემილიომ მხარზე დაჰკრა ხელი: „შეხე, ბიჭო, მოსულა“.

ალბერტომ მაღლა აიხედა. ელენა გალერეის მოაჯირზე გადმოწოლილიყო და ღიმილით დაჰყურებდა. ემილიომ ისევ წაჰკრა იდაყვი: „მიდი ჰო, მიდი“. ალბერტომ წასჩურჩულა: „გაჩე, ვერ ხედავ, ანაც იქ არის?“ ქერა თავის გვერდით შავთმიანი თავი გამოჩნდა — ეს ანა იყო, ემილიოს და. „დიდი ამბავი, — წაილაპარაკა ემილიომ, — მაგას მე მოვუვლი, წამოდი“. ალბერტომ თავი დაუქნია. ბიჭები კიბეს აუყვნენ. „ტერასას“ კლუბის გალერეაზე ბლომად ირეოდა ხალხი. იმ მხრიდან, სადაც ოთახები იყო, მხიარული მუსიკა ისმოდა. „არც შენ მოგვეკარო და არც შენი და გამოუშვა, გაიგე? — ჩუმად ეუბნებოდა ალბერტო — თუ გინდა გვიყურე, ოღო-

ნდ ნუ მოხვალ“. გოგოები კისკისებდნენ, როცა ბიჭები მიუახლოვდნენ. ელენა ანაზე დიდი ჩანდა; ტანწვრილი იყო, ლამაზი, ნაზი, დიდი მორცხვი. ვიღაც გეგონებოდა, მაგრამ ბიჭებმა იცოდნენ: თუ წინ გადაუდექი, სხვა გოგოებივით არ აწიკვინდება, თავს არ ჩაღუნავს, არ შეშინდება და გაიპრანჭება; შემოგაჩერებს პატარა ნადირივით აბრიალებულ თვალებს, ხმამაღლა მოგიჭრის სიტყვას, მერე იქით დაგეტაკება, ამაყად წელში გამართული, გემოზე გამოგლანძღავს, მუშტს აიქნევს და წრიდან გამარჯვებული გამოვარდება. თუმცაღა ეს რამდენიმე ხანია (იქნებ იმ დღიდან, როცა ზაფხულის არდადეგების დროს მექსიკელის დღეობაზე გოგო-ბიჭები ერთად დაჰპატიჟეს!) გოგოებსა და ბიჭებს შორის შუღლი თითქოს ჩაცხრა. ბიჭები უკვე აღარ ყარაულობენ გოგოებს ქუჩაში, რომ შეაშინონ და გააბრაზონ. ახლა გოგოს დანახვაზე დახმარების, მიშველების სურვილი ებადებათ გულში, თუმცა ვერ კი გაუმხელიათ. ხოლო ლაურასა თუ ანას აივნიდან გოგოები რომ მოჰკრავენ თვალს ბიჭს, ჩურჩულზე გადადიან, საიდუმლოდ ლაპარაკობენ, ხან დაუძახებენ ხოლმე. ბიჭიც სიამოვნებით იბადრება, რაკიღა იქ, მაღლა, აივანზე, იგი შეამჩნიეს, დაინახეს. ემილის ბაღში თავმოყრილ ძმაბიჭებს სალაპარაკო საგნებიც უკვე სულ სხვა აქვთ. ვიღას ახსოვს ფეხბურთი, გასწრებაზე სირბილი, ზღვაზე ლაშქრობა! ქაჩავენ პაპიროსს (თუთუნი ახლა აღარავის ახრჩობს), ბჭობენ იმაზე, რა გზით შეიპარონ იმ კინოსურათებზე, სადაც წერია: „თხუთმეტ წლამდე ბავშვები არ დაიშვებიან“. აწყობენ გეგმებს, ვისთან წავიდნენ, სად გამართონ წვეულება და ერთმანეთს სად შეხვდნენ. ხომ არ დაუშლის დედ-მამა ფირფიტები დაუკრან და იცეკვონ? იმ დღევანდელივით მოახერხებენ კია თორმეტ საათამდე ცეკვა-თამაშს? ჰყვებიან, ვინ როდის, სად შეხვდა აქაურ გოგოებს, რა ელაპარაკა. ახლა. დედ-მამაზე ბევრი იყო დამოკიდებული. ანას მამა და ლაურას დედა ყვე-

ლა ბიჭს მოსწონს — ისინი ბიჭებს ესალმებიან, არ უშლიან თავიანთ შვილებთან მუსაიფს, თვითონაც ეკითხებიან, რა ნიშნები გაქვთ, როგორ სწავლობთო. მექსიკელისა და ელენას მშობლები კი დიდი წუნკლები არიან, მყის დაიფრენენ ხოლმე ყველას ლანძღვა-გინებით.

— ხომ წამოხვალ დილის სეანსზე? — ჰკითხა ალბერტომ.

ისინი სანაპიროს — მიჰყვებოდნენ. უკნიდან ემილიოსა და ანას ნაბიჯების ხმა ისმოდა. ელენამ თავი დააქნია: „ჰო, „ლაურო-ში“. ალბერტომ გადაწყვიტა არ ეჩქარა, სიბნელეში უფრო იოლად აუხსნიდა ყველაფერს. მექსიკელს ამ დღეებში ნიადაგი მოესინჯა და ელენას ეთქვა: „აბა, რა ვიცი! გააჩნია, რას მეტყვის“. ზაფხულის დილა იყო, მოწმენდილი, ლურჯ ცაზე მზე ბრჭყვიალებდა, იქვე ოკეანის შხუილი ისმოდა. ალბერტოს სიმხნევე მოემატა — ამბავს კარგი პირი უჩანდა. სხვა გოგოებთან არ რცხვენოდა, ოხუნჯობდა, მასხრობდა, დინჯადაც შეეძლო ლაპარაკი, ელენასთან კი ვერ ახერხებდა ამას — ყველაფერზე პირში შეებმებოდა ხოლმე ეს გოგო. არასოდეს არ დაეთანხმებოდა, მაშინვე მოაკეტინებდა. ერთხელ უთხრა ელენას, ეკლესიაში რომ მივედი, სახარების კითხვა უკვე დამთავრებული იყოო. „რაღას მიდიოდი, — მოუჭრა ცივად ელენამ, — დღეს რომ მოკვდე, ჯოჯოხეთში ამოჰყოფ თავს“. მეორედ აივნიდან უყურებდა ელენა ფეხბურთის თამაშს. „როგორ მოგეწონა?“ — ჰკითხა შემდეგ ალბერტომ. „შენ ძალიან ცუდად თამაშობდი“, — უპასუხა ელენამ. და მაინც, ამ ერთი კვირის უკან, როცა ყმაწვილებთან ერთად დასეირნობდა მირაფლორესის, ბაღში, რიკარდო პალმას ძეგლთან, და ალბერტო ელენას მიჰყვებოდა გვერდით, ელენა არ ბრაზობდა, დანარჩენები კი შეჰყურებდნენ და ჩურჩულებდნენ: „რა კარგი წყვილიაო“.

გაიარეს სანაპირო, გავიდნენ ხუან ფანინგის ქუჩაზე და ელენას სახლს მიუახლოვდნენ. ემილიოსა და ანას ნაბიჯების ხმა

აღარ ისმოდა. „მაშ კინოში შევხვდებით, ხომ?“ — ჰკითხა ალბერტომ. „შენც მოდიხარ განა?“ — მიამიტად გაიკვირვა ელენამ. „ჰო, მოვდივარ“. „მაშინ შეიძლება შევხვდეთ“. სახლის კუთხეში ელენამ ხელი გაუწოდა. აქ, მათი უბნის შუაგულში, კოლუმბისა და ფერეს გზაჯვარედინზე, არავინ ჩანდა — ბიჭები ალბათ ან სანაპიროზე, ან კლუბის აუზში დარჩნენ. „ხომ მართლა წამოხვალ კინოში?“ — ჰკითხა ალბერტომ. „ჰო, — უთხრა ელენამ, — თუ არაფერი მოხდა“. „რა უნდა მოხდეს?“ „რა ვიცი, — დინჯად თქვა გოგომ — ხომ შეიძლება გავცივდე?“ „მე იქ რაღაცას გეტყვი“, — უთხრა ალბერტომ და თვალებში ჯიქურ შეხედა. ელენამ თვალები გაკვირვებით აახამხამა. „მეტყვი? რას მეტყვი?“ — „კინოში გაიგებ“ — „ეხლა რატომ არა? გადადება რა საჭიროა“. ბიჭმა თავს ძალა დაატანა, არ გაწითლებულიყო. „შენც იცი, რა უნდა გითხრა“, — ამოთქვა ბოლოს. „არ ვიცი, წარმოდგენაც არა მაქვს“, — ისევე გაკვირვებით წაილაპარაკა ელენამ. „გინდა ახლავე გითხრა?“ „ჰო, მითხარი“, — თქვა ელენამ.

„ახლა ჩვენ გავალთ, დაუსტვენს სასტვენი, დავეწყობით, წავალთ სასადილოში, ერთი-ორი, ერთი-ორი, დავნაყრდებით თითქმის ცარიელ დარბაზში, გამოვიშლებით ცარიელ ეზოში, შევალთ ცარიელ ყაზარმაში. ვეტყვი ბიჭებს, ჰიბრიდთან ვიყავითო. მერე დაჰკრავენ საღამოს ბუკს, ჩვენ დავიძინებთ, გათენდება კვირა, ბიჭები მობრუნდებიან ქალაქიდან, მოგვყიდიან სიგარეტებს, მე წერილებს ან მოთხრობებს დავწერ და ამით გავინაღდებ ვალს“. ალბერტო და მათხოვარა ცარიელ ბარაკში იწვნენ გვერდიგვერდ. პითონი და სხვები „მარგალიტში“ წასულიყვნენ. ალბერტო ნამწვს ექაჩებოდა.

— ვინ იცის, წლის ბოლომდე გაგრძელდეს ასე, — წაილაპარაკა მათხოვარამ.

— რა გაგრძელდეს? — აქედან აღარ გაგვიშვან.

— ვინ გექაჩება ენაზე? დაიძინე, ანდა მოკეტე, მარტო შენ ხომ არ დარჩი უსაშვოდ — ვიცი, მაგრამ წლის ბოლომდე რომ — დაგვტოვონ ასე!

— ჰო, — წარმოთქვა ალბერტომ, — თუ კავას ამბავი არ დაყნოსეს. თუმცა რა შვილები არიან!

— სადაა სამართალი, — თქვა მათხოვარამ, — თვითონ ყოველ კვირა მიდის, ჩვენ კი მისი წყალობით აქ გვაყურყუტებენ.

— ასეა! ამქვეყნად არაა სამართალი.

— დღეს თვე იქნება, რაც ქალაქში არ გამიდგამს ფეხი. ამდენ ხანს უსაშვოდ არ დავრჩენილვარ.

— აქამდე ვეღარ მიეჩვიე მაგ აზრს?

— ტერესამ არ მიპასუხა, — წაილაპარაკა მათხოვარამ, — არადა ორი წერილი გავუგზავნე.

— შენც ადექი და მიაფურთხე, ქალების მეტი რაა.

— სხვები რაში მენაღვლება? მე ის მომწონს, როგორ არ გესმის?

— მესმის და ეგრე, ყურებამდე ხარ შეყვარებული.

— იცი, როგორ გავიცანი?

— საიდან უნდა ვიცოდე?

— ყოველდღე ჩვენს სახლთან გაივლიდა ხოლმე. მე ვუყურებდი, ზოგჯერ ვესალმებოდი.

— ღამე ალბათ გესიზმრებოდა, ჰა? — არა, უბრალოდ მიყვარდა მისი ცქერა — ბიჭოს, რომანტიკოსი ყოფილხარ! — ერთხელაც ადრე ჩავედი და ქვევით დავხვდი — მერე უჩქმიტე? — მივედი და მივესალმე — რა უთხარი?

— ვუთხარი, რა მერქვა. მერე მისი სახელი ვკითხე. „მიხარია შენი გაცნობა-მეთქი“, ესეც ვუთხარი.

— აი, ლენჩი! იმან რა გითხრა? — მითხრა, რაც ერქვა — აკოცე? — არა, არც გამივლია მასთან — სტყუი, ღორო. აბა, დაიფიცე, არ მიკოცნიაო — რა მოგდის? — არაფერი, მატყუარებს ვერ ვიტან.

— რატომ ვარ მატყუარა? გგონია, არ მინდოდა მეკოცნა? მე ხომ სამჯერ თუ ოთხჯერ ვნახე ეგ ქუჩაში. მეტჯერ არც მინახავს. სულ კი სკოლის ბრალია. ალბათ ვიღაცა ჰყავს.

— ვინ? — მე არ ვიცი, ვიღაც იქნება. ლამაზი გოგოა — დიდი არაფერი. უშნო უფრო ეთქმის — ჩემთვის კი ლამაზია.

— ლაწირაკი ხარ და იმიტომ! მე ქალები მირჩევნია, აგორავებ მაინც.

— ალბათ მიყვარს — ვაი, არ ამატირო!

— რომ დამიცადოს სასწავლებლის დამთავრებამდე, შევირთავ.

— რქებს დაგადგამს. თუმცა მე რაში მენაღვლება. გინდა შენი მეჯვარე ვიყო?

— რატომ მეუბნები ასე? — სიფათი გაქვს იმისთანა, რქები ძალიან დაგმშვენდება — ალბათ არ მიუღია ჩემი წერილები.

— ალბათ არა.

— რატომ არ დამიწერე წერილი? იმ კვირას ხომ ყველას დაუწერე.

— არ მინდოდა და იმიტომ.

— ჩემგან რა გეწყინა? რად მიბრაზდები?

— მომბეზრდა აქ ყურყუტი. გგონია, მარტო შენ გენატრება ქალაქში განავარდება?.

— რად შემოხვედი ამ სასწავლებელში? — ალბერტოს გაეცინა.

— ოჯახის დიდება რომ არ შემერცხვინა..

— სულ უნდა იმაიმუნო?

— მართალს გეუბნები. მამაჩემმა მითხრა, ოჯახის სახელს არცხვენო, და აქ შემომათრია გამოსასწორებლად.

— მერე და ვერ ჩაიჭერი გამოცდებზე?

— ერთი გოგოს ბრალი იყო. ყველაფერზე გული ამიცრუვდა. გაიგე? ამ ჩვენს სასწავლებელშიც იმიტომ შემოვედი, გულაცრუებული ვიყავი და თან ოჯახი არ უნდა შემერცხვინა.

— გიყვარდა ის გოგო? — მომწონდა. — ლამაზი იყო? — კი — რა ერქვა? რა იყო თქვენს შორის?

— ელენა. არაფერიც არ იყო. არ მიყვარს ხოლმე ჩემს თავზე ლაპარაკი.

— მე რომ გელაპარაკები — ეგ შენი საქმეა; თუ არ გინდა, ნუ იტყვი.

— სიგარეტი გაქვს?

— არა, მაგრამ გიშოვი — მე კაპიკი არ გამაჩნია.

— მე კი ორი სოლი დამრჩა, ადე, პაულინოსთან წავიდეთ.

— არ მინდა, მომბეზრდა. გულს მირევს ეგ პითონიც და ჰიბრიდიც.

— მაშინ დაიძინე, მე კი წავალ..

ალბერტო წამოდგა, ბერეტი დაიხურა, ჰალსტუხი გაისწორა. მათხოვარა თვალს არ აშორებდა, მერე უთხრა:

— იცი, რას გეტყვი? შენ ალბათ დამცინებ, ჩემთვის კი სულ ერთია.

— თქვი.

— შენს მეტი მეგობარი არა მყავს. ადრე ნაცნობები მყავდა, თუმცა ნაცნობებიც არ ეთქმოდა — ისე, სალამს ვაძლევდი. მხოლოდ შენთან ვგრძნობ თავს კარგად.

— ალბათ ასე უხსნიან ქალები მამაკაცს სიყვარულს, — წაულაპარაკა ალბერტომ.

— მკვახე თქმა იცი, — გაეღიმა მათხოვარას, — გული კი კეთილი გაქვს.

ალბერტო კარისკენ წავიდა. გასვლისას მოტრიალდა. — სიგარეტები თუ ვიშოვე, მოგიტან...

გარეთ წვიმდა. ვინემ ისინი ყაზარმაში იყვნენ და საუბრობდნენ, წვიმა წამოსულიყო, მან კი ვერც შეამჩნია. მინდვრის მეორე მხარეს კადეტი იჯდა ბალახზე. წინა შაბათს რომ ნახა, ნეტა ისაა თუ სხვა? „ახლა მე შევალ, მერე ერთად გამოვალთ ცარიელ

ეზოში, მივალთ ყაზარმაში, მე ვიტყვი, ჰიბრიდთან ვიყავით-მეთ-ქი, მერე დავიძინებთ, მერე კვირა გათენდება, მერე ორშაბათი, მერე კიდევ ბევრი სხვა კვირა იქნება“.

VI

იგი ყველაფერს გაუძლებს, სირცხვილსაც, მარტოობასაც, მიეჩვია უკვე. ყველაფერს, ესაა, გული სტკივა ხოლმე ხანდახან. მაგრამ სასწავლებელში გამომწყვდევას ვერ გაუძლებს, ამ წამებას ვერ აიტანს. მისი სურვილით არ მომხდარა ეს, ძალით მოახვიეს თავზე, დამამშვიდებელი პერანგივით ჩამოაცვეს ტანზე, როგორც გიჟს. იგი იდგა ლეიტენანტის კარებთან და ვერ გაებედა დაკაკუნება. იცოდა კია, რომ დააკაკუნებდა. მთელი სამი კვირა ებრძოდა თავის თავს, ახლა არც ეშინოდა და არც გული უწუხდა. უბრალოდ, ხელი არ ემორჩილებოდა, დუნედ ჩამოჰკიდებოდა, შარვალს მიწებებოდა. წინათაც ჰქონია ასეთი გრძნობა. წმ. ფრანცისკოს სკოლაში ჭუპრი შეარქვეს, იმიტომ რომ სულ ეშინოდა, სულ ცახცახებდა შიშით. „აბა იტირე, იტირე, ჭუპრო!“ — უყვიროდნენ ბიჭები შესვენებაზე.

ისიც უკან-უკან იხევდა, ვინემ კედელს არ აეკვრებოდა. ბიჭები ალყა შემოარტყამდნენ, შეიქნებოდა ღრიანცელი, პატარა მხეცე-

ბივით უკრეჭდნენ კბილებს — საცაა ჩაასობდნენ ეშვს. ისიც ტიროდა. ბოლოს თავის თავს უბრძანა: რაღაც უნდა ვქნა, რაღაც ვიღონო. მთელი კლასის თვალწინ ყველაზე ღონიერი ბიჭი გამოიწვია — ახლა არც მისი სახელი ახსოვს, არც პირისახე, არც მუშტები, არც ქსიტინი თუ ქშენა. ახსოვს მხოლოდ, რომ ნაგვის გორაზე იდგა იმ ბიჭის პირისპირ, ირგვლივ სისხლმოწყურებული მოსეირენი დახვეოდნენ. არ ეშინოდა, არა, არც ღელავდა, მხოლოდ სულიერად დაეცა, მოეშვა, სხეული მოუდუნდა. არ უგრძნია არც მუშტების სიმწარე, არც გაურიდებია თავი, იდგა და უცდიდა, როდის დაიღლებოდა მოქიშპე. უნდოდა დაესაჯა, გარდაექმნა ეს ლაჩარი, მხდალი სხეული. იმიტომაც გაუხარდა, მამამ რომ სასწავლებელი უხსენა. იმიტომაც გაძლო აქ ეს გაუთავებელი ოცდაოთხი თვე. ახლა იმედი გადაუწყდა; იგი ვერასოდეს გახდება ვერც იაგუარივით ღონიერი, ვერც ალბერტოსავით თვალთმაქცი. ხელად აუღეს ალღო — ახლა ვერავის დაუმალავ, რა უმწეო, რა მხდალი და მათხოვარი ხარ. ახლა ერთიღა სწადია — თავისუფლება; თავის ნებისად მოქცეოდა ამ თავის მარტოსულობას, გინდ კინოში წასულიყო, გინდა თავის ოთახში გამოკეტილიყო მასთან ერთად. ბიჭმა ხელი ასწია და სამჯერ დააკაკუნა კარზე.

ნეტა ხომ არ ეძინა უარინას? შეშუპებული თვალები ორი წითელი მუწუკივით მოუჩანს დამრგვალებულ პირისახეზე. თმა აბურძგნია, მზერა ამღვრევია.

— სალაპარაკო მაქვს, სენიორ ლეიტენანტო.

ლეიტენანტი რემისიო უარინაც ისევე გარიყული ჰყავთ ოფიცრებს, როგორც მათხოვარა კადეტებს: არც ახოვანება მოსდევს, არც ძალა. მისი ბრძანებანი სასაცილოდ არ ჰყოფნით, მისი არავის ეშინია, პატაკის ჩაბარებისას სერჟანტები წინ არასოდეს გამოსჭიმვიან, დაცინვით უყურებენ; მისი ასეული ყველაზე უხეიროა, კაპიტანი გარიდო საჯაროდ ტუქსავს, კადეტები უსირცხვილოდ, უწესოდ ხატავენ. ამბობენ, ზემოუბანში დუქანი აქვსო,

მისი ცოლი შიგ ტკბილეულობასა და ნამცხვრებს ჰყიდისო. ნეტა რამ აიძულა სამხედრო სასწავლებელში მოსულიყო?

— რა მოხდა კიდევ?

— შეიძლება შემოვიდე? რაღაც საყურადღებო — ამბავი უნდა გითხრათ, სენიორ ლეიტენანტო..

— მე უნდა მითხრათ? თქვენს უშუალო უფროსს მიმართეთ.

განა მხოლოდ კადეტები ბაძავენ ლეიტენანტ გამბოას. უარინაც მასავით გაჭიმული დგას ხოლმე, სულ წესდება აკერია პირზე. მაგრამ გალეული მკლავები და სასაცილოდ მიკოსებული ულვაშები ნეტა ვის შეაშინებს?

— საიდუმლოა, სენიორ ლეიტენანტო, დიდად საიდუმლო — ლეიტენანტი განზე მიდგა, ბიჭს გზა უტია. ლოგინი ანგრეული იყო. ალბათ მინისტრის სენაკიც ასე გამოცარიელებული იქნებაო, გაიფიქრა ბიჭმა. იატაკზე ნამწვებით სავსე საფერფლე იდგა. ერთს ისევ ასდიოდა ბოლი.

— კიდევ რა ჩაიდინეთ? — გაიმეორა უარინამ.

— ფანჯრის გატეხვის თაობაზე გეახელით.

— გვარი, სახელი, რაზმეული, — სწრაფად მიატანა ლეიტენანტმა.

— კადეტი რიკარდო არანა, მეხუთე კურსი, პირველი რაზმეული.

— ჰო, რას მეტყვით ფანჯარაზე? — ახლა ენა გაურჩდა, გაჯიქდა, არ ემორჩილება, არ იძვრის, გაშრა, წვეტიან ქვასავით იკაწრება. ვითომ შიშით? წრემ სული ამოჰხადა, გატანჯა და გააწამა; იაგუარის მერმე კავა ყველაზე დიდი მწამებელია, სიგარეტებსა და ფულს პარავს, ერთ ღამეს თავზედაც გადააფსა. კაცმა რომ თქვას, მათხოვარა ცამდე მართალია; სასწავლებელში შურისძიება პატივში გახლავთ. და მაინც, სულის სიღრმეში, თავს დამნაშავედ გრძნობს. „წრეს კი არა, ბიჭებს ვღალატობ, მთელ კურსს“.

— რაშია საქმე? — ბრაზით შეუტია უარინამ — ჩემს საყურებლად ხომ არ მოსულხართ? პირველად მხედავთ?

— კავამ გატეხა ფანჯარა, — წაილაპარაკა მათხოვარამ და იატაკს ჩააჩერდა — შაბათს გამიშვებთ ქალაქში?

— რაო? — უცბად ვერ მიხვდა ლეიტენანტი. მაშასადამე, კიდევ შეიძლება თავი დაიძვრინოს, გაეცალოს აქაურობას — ფანჯარა კავამ გატეხა, — გაიმეორა მათხოვარამ — მან.

მოიპარა ქიმიის ამოცანები. დავინახე, იქით რომ მიდიოდა, გამიშვებთ ქალაქში?

— არა — უთხრა ლეიტენანტმა — ვნახოთ, აბა, გაიმეორეთ, რაცა თქვით.

ლეიტენანტს პირისახე დაუმრგვალდა, ლოყაზე და პირის კუთხეში ნაოჭები შეუტოკდა. თვალებში კმაყოფილი ღიმი ჩაუდგა. მათხოვარა უცებ დაწყნარდა, მისთვის ყველაფერი სულ ერთი გახდა, შაბათიც, სასწავლებელიც, ყველაფერი და ყოველივე. ოღონდაც ლეიტენანტს დიდი მადლიერება არ დასტყობია. თუმც ესეც გასაგებია, იგი უცხოა, ლეიტენანტი ალბათ ზიზღის თვალით უყურებს უკვე.

— დამიწერეთ ყველაფერი, დაჯექით და დამიწერეთ, აგერ ფურცელი და ფანქარი

— რა დავწერო, სენიორ ლეიტენანტო?

— ახლავე გიკარნახებ. „მე დავინახე რომ კადეტი... რა გვარია? ჰო, კავა, ამ და ამ რაზმეულიდან, ამ და ამ დღეს, ამა და ამ საათზე სასწავლო კორპუსისკენ მიდიოდა, რათა უკანონოდ მიეთვისებინა საგამოცდო ამოცანები ქიმიაში“. დაწერეთ გარკვევით. „ვაცხადებ ამას ლეიტენანტ რემისიო უარინას მოთხოვნით, ვინაც აღმოაჩინა მიმტაცებელი და გაარკვია ამასთან ჩემი მონაწილეობა ამ საქმეში...“

— უკაცრავად, სენიორ ლეიტენანტო, მე...

— „ჩემი უნებლიე მონაწილეობა, ვითარცა მოწმისა“. ხელი მოაწერეთ, დაბეჭდილი ასოებით. მსხვილად.

— მე არ დამინახავს, როგორ მოიპარა, — უთხრა მათხოვარამ, — ის დავინახე, კლასებისკენ რომ მიდიოდა. ოთხი კვირა ქალაქში არ ვყოფილვარ, სენიორ. ლეიტენანტო.

— ნუ გეშინია, ეს ჩემზე იყოს.

— მე არ მეშინია! — ისე შეჰყვირა მათხოვარამ, ლეიტენანტმა გაკვირვებით შეხედა — ოთხი შაბათია აქედან არ გავსულვარ. ეს მეხუთე იქნება. — უარინამ თავი დაუქნია.

— ხელი მოაწერეთ ფურცელზე. მე, ნებას გაძლევთ დღესვე წახვიდეთ, მეცადინეობის შემდეგ. თერთმეტისთვის დაბრუნდებით — მათხოვარამ ხელი მოაწერა. ლეიტენანტმა ნაწერი გადაიკითხა. თვალები აცაბაცა დაურბოდა, ტუჩები უთრთოდა.

— დასჯიან? — იკითხა მათხოვარამ. იცოდა, სულელური კითხვა იყო, მაგრამ რაღაც ხომ უნდა ეთქვა. ლეიტენანტმა ქაღალდი ფრთხილად, ორი თითით აიღო, არ დაიჭმუჭნოსო.

— ეს ამბავი თუ უთხარით ლეიტენანტ გამბოას? — გაფუებული, ქალაჩუნა პირისახე წამით გაიყინა — ლეიტენანტი მოუთმენლად ელოდა პასუხს. რა ხელად ჩამოერეცხება ყოყლოჩინობა და ჩაიფერფლება, „დიახო“, რომ უთხრას ახლა.

— არა, სენიორ ლეიტენანტო, არავისთვის არ მითქვამს.

— მაშ, ნურც ახლა ეტყვით, — თქვა ლეიტენანტმა, — ჩემს განკარგულებას დაელოდეთ. მეცადინეობის შემდეგ შემომიარეთ საგარეოდ ჩაცმულმა. მე თვითონ მიგყვებით გასასვლელში.

— მესმის, სენიორ ლეიტენანტო, — მათხოვარა წამით შეყოყმანდა — ოღონდ არ მინდა კადეტებმა გაიგონ.. — ლეიტენანტი ისევ. გაიჯგიმა წელში.

— მამაკაცმა თავის საქციელზე უნდა აგოს პასუხი, უპირველესად ამას გვასწავლის ჯარი.

— დიახ, სენიორ ლეიტენანტო. მაგრამ თუ გაიგეს, მე დავაბეზღე…

— ვიცი, ცოცხლად შეგჭამენ, — თქვა უარინამ და მეოთხედ მიიტანა თვალებთან ნაწერი — ნუ გეშინიათ. ოფიცერთა საბჭო მუდამ საიდუმლოდ ტარდება.

„იქნებ მეც გამრიცხონ“, — გაიფიქრა მათხოვარამ გასვლისას. იმედია არავინ დაინახავდა — კადეტები ამ დროს ან საწოლებზე ჰყრიან ან ბალახზე გორაობენ. შუა მინდორში უძრავად დარჭობილიყო ლამა, ჰაერს. ყნოსავდა. „რა დარდიანი ცხოველია“, — გაიფიქრა ბიჭმა. რატომ ვერა გრძნობს ვერაფერს, ან სიხარულს, ან სინანულს, ამხანაგი რომ დააბეზღა. ადრე ეგონა, კაცისმკვლელები მთვარეულივით დაბორიალებენ ავი საქმის მერეო. მისთვის კი ახლა ყველაფერი სულ ერთი იყო. „ექვსი საათით წავალ, — ფიქრობდა იგი — მივალ მასთან, მაგრამ ვიცი, ვერაფერს ვეტყვი, ვერ ვამბობ“. კაციშვილი არ ჰყავს, ვისაც შეიძლება უამბოს, ვინც მოუსმენს, გაუგებს. განა ალბერტოს ენდობა კაცი? ტერესასთვის არ დაუწერა წერილი, უკანასკნელ ხანს სულ აწვალებს, როცა მარტონი არიან, სხვებთან კი ესარჩლება, იცავს. „ვერავის ვერ ვენდობი, — გაიფიქრა მან — ნეტა ყველა რატომაა ჩემი მტერი?“

ოდნავ აუკანკალდა ხელ-ფეხი, როცა კარი შეაღო და კარადასთან კავა დაინახა. „თუ შემხედა, მაშინვე მიხვდება, მე რომ დავაბეზღე“, — გაიფიქრა მან.

— რა დაგემართა? — ჰკითხა ალბერტომ.

— არაფერი, რად მეკითხები?

— ფერი არ გადევს. ჰოსპიტალში მიდი, ხელად დაგაწვენენ.

— რომ არაფერი მტკივა?

— სულ ერთია, დაწოლას რა უნდა? ისედაც არსად გვიშვებენ. ნეტა მე დამეკარგოს ფერი. ჰოსპიტალში კარგადაც აჭმევენ და არც სწავლაა საჭირო.

— სამაგიეროდ იქიდან ვეღარ გამოაღწევ, — თქვა მათხოვარამ.

— აქედან კი გააღწევ? — წაილაპარაკა ალბერტომ, — მაინც ჩაკეტილში ვართ. კი თქვეს, მომავალ კვირას ყველას გაუშვებენო, პოლკოვნიკის დაბადების დღეაო. მაგრამ იქნებ ტყუილიც იყოს. რა გაცინებს?

— არაფერი.

ასე გულგრილად მაინც როგორ ამბობს ამას ალბერტო, როგორ შეიძლება ამ ციხეს შეურიგდეს კაცი?

— გაპარვას, ხომ არ აპირებ? — უთხრა ალბერტომ — ჰოსპიტლიდან უფრო იოლიცაა, იქ ღამე არავინ გითვალთვალებს. სანაპიროს მხრიდან უნდა გადაძვრე, თორემ ცხვარივით ისევ საჩეხს მოადგები.

— რაც გუშაგები დადიან, ცოტაღა იპარება.

— ჰო, ადრე ადვილი იყო, — თქვა ალბერტომ, — თუმცა ახლაც შეიძლება. ურიოსტე ხომ გაიპარა ორშაბათ ღამეს, დილის ოთხ საათზე კი დაბრუნდა.

მართლაც რატომ არ უნდა დაწვეს ჰოსპიტალში? რა უნდა, რომ მიდის? „ექიმო, თვალებში მიბნელდება, თავი მტკივა, გული მიფრიალებს, მაჟრჟოლებს, ლაჩარი ვარ“. უსაშვოდ დარჩენილი კადეტები მუდამ ჰოსპიტალში ცდილობენ ამოჰყონ თავი. გაცვია პიჟამა, წევხარ, არაფერს აკეთებ, კარგად გაჭმევენ. ესეც კია, ექიმები და ფერშლები უფრო და უფრო გაავდნენ. სიცხე მათთვის არაფერს ნიშნავს. კარგად იციან, საკმარისია ბანანის ქერქი ორი საათით დაიდო შუბლზე, რომ სიცხე ოცდაცხრამეტამდე ავარდეს. არც ათაშანგის სჯერათ მას შემდეგ, რაც იაგუარმა და ქოჩორამ შესქელებული რძე წაითითხნეს. კიდევ ერთი კარგი ოინი მოიგონა იაგუარმა: თუ სუნთქვას რამდენჯერმე შეიკავებ, ვინემ ცრემლები არ წაგსკდება, ექიმთან რომ მიხვალ, გულს ბაგაბუგი გაუდის, ფერშალიც უმალ ამას იტყვის: ჰოსპიტალში გავგზავნოთ,

ტახიკარდიის ნიშნები აქვსო.

— მე ერთხელაც არ გავპარულვარ, — ჩაილაპარაკა მათხოვარამ.

— მაგის შნო ვინ მოგცა. მე კი შარშან გავიპარე. მე და არასპიდემ დიდებულად გავატარეთ დრო ერთ ოჯახში საღამოს და დილის ბუკამდე უკვე აქ ვიყავით. არა, მეოთხე კურსზე მართლა უკეთ ვატარებდით დროს...

— ჰეი, მწერალო! — დაუძახა ვალიანომ, — ფრანცისკ სალელის სკოლაში შენ სწავლობდი?

— ჰო, რა იყო? — ჰკითხა ალბერტომ.

— აგერ, ქოჩორა ამბობს, იქ მხოლოდ ტურფები სწავლობენო. მართალია?

— არა, იქ ზანგებს არ აჭაჭანებენ. ქოჩორამ გადაიხარხარა.

— ხომ ჭამე? — უთხრა მან ვალიანოს — ხოშიანად მოგაკეტინა მწერალმა.

— ზანგი ვარ, მაგრამ მამაკაცობას ვერავინ დამიწუნებს, — გაიჭაჭა ვალიანო, — თუ არ გჯერათ, შემამოწმეთ.

— ვაი, შემაშინა! — დაიძახა ვიღაცამ, — ვაი, ვაი, დედიკო! — ვაი, ვუი, ვაი! — წაიმღერა ქოჩორამ.

— მათხოვარა, მიდი, შენ შეამოწმე! — დასჭექა იაგუარმა, — მერე გვითხარი, სტყუის თუ არა.

— მაგ მათხოვარას ორად გადავამტვრევ წელში, — თქვა ვალიანომ..

— რა ამბავია? — ხრინწიანად იკითხა ის წუთია გამოღვიძებულმა პითონმა.

— ისა, რომ ზანგი ამბობს, პითონი ვიღაცეების ტურფააო, — უთხრა ალბერტომ.

— მაშ, დანამდვილებით ვიციო.

— ღმერთმანი, ასე ამბობს და.

— ერთი საათია დაგცინის.

— არ დაუჯერო, ძმაო, — დაიძახა ვალიანომ, — ზურგს უკან ტრაბახი მე არ მჩვევია!

ყველამ წაიფრუტუნა.

— ვერ ხედავ, სიცილის გუნებაზეა ხალხი, — განაგრძო ვალიანომ — იცი, რას გეტყვი, მწერალო, ერთხელ კიდევ ასე გიხუმრია, ცხვირ-პირს ამოგინაყავ. კინაღამ ჩემს გულის სწორს წამაჩხუბე.

— ვაი, პითონ, გაიგე? — თქვა ალბერტომ, — ჩემი გულის სწორიაო, შენზე ამბობს.

— მეც არ მინდობ, ზანგის ბიჭო? — იკითხა ჩახრინწულმა ხმამ.

— რას ამბობ, ძმაო! — მიატანა ვალიანომ — შენ ხომ ჩემი ძმაკაცი ხარ.

— მაშ, რაღას იძახი, ჩემი გულის სწორიაო.

— მწერალო, ცხვირ-პირს დაგინაყავ.

— განა ყველა ზანგი იკბინება, ყეფა ვინც იცის, — წაილაპარაკა იაგუარმა.

„სინამდვილეში ეგენი ყველანი მეგობრობენ, — ფიქრობდა მათხოვარა, — იგინებიან, ერთმანეთს ნადირებივით უღრენენ და მაინც ერთად არიან. მარტო მე ვარ მათ თვალში უცხო“.

„ქალს თანთალა, გასლიპინებული თეთრი ბარძაყები ჰქონდა, კაცს მადაზე მოიყვანდა“. ალბერტომ გადაიკითხა ნაწერი, დაფიქრდა, სექსი თუ კმარაო და გადაწყვიტა, კიო. ფანჩატურის ჭუჭყიანი შუშებიდან მზე ატანდა და ზურგზე აცხუნებდა. ბიჭი იატაკზე იწვა, ნიკაპით ხელს დაყრდნობოდა. ფანქარი ნახევრად დაწერილ ქაღალდზე. გაუშეშდა. სიგარებისა და ასანთის ნამწვებით სავსე მტვრიანი იატაკი სუფთა თუ დაწერილი ფურცლებით იყო მოფენილი. ფანჩატური ბარაკების ახლოს იდგა, პატარა ბაღში, ამომშრალი, ხავსმოდებული აუზის გვერდით. აუზის თავზე ქინქლების გუნდი რიალებდა. არავინ იცოდა, აქ რისთვის იდგა ფანჩატური, პოლკოვნიკმაც კი. იგი ოთხ ბოძზე შეყუნცულიყო,

მიწიდან ორი მეტრის სიმაღლეზე. ალბათ არავის აუბიჯებია მის ვიწრო, დაღრეცილ კიბეზე, ვინემ იაგუარმა არ მოიფიქრა გასაღებად რკინის კაუჭი გაეკეთებინა — ამ კაუჭზე ლამის მთელი რაზმეული ცოდვილობდა. მათმავე რაზმეულმა მოიფიქრა ისიც, რაში გამოეყენებინათ ფანჩატური. აქ იმალებოდნენ ხოლმე ისინი, ვისაც გაკვეთილების მოსმენას ძილი ერჩია. „ოთახი ისე ზანზარებდა, გეგონება, მიწა ინძრევაო. ქალი გმინავდა, თმას იგლეჯდა...“ ბიჭმა. ფანქარი პირში. ჩაიდო, გვერდი მთლიანად ჩაიკითხა და ერთი წინადადებაც მიუმატა: „კბენა ყველაზე მეტად ეამა ქალს, იმიტომაც გაეხარდა, ხვალაც რომ მოვიდოდა ეს კაცი“. ალბერტომ ლურჯი ფანქრით დაჩხაპნილ ფურცლებს გადახედა. ყოჩაღ, ბიჭო, ორ საათში ოთხი მოთხრობა დაწერა! არც ისე ცუდია! გაკვეთილების დამთავრებას რამდენიმე წუთიღა აკლდა. ბიჭმა ყირა გააკეთა და გულაღმა გაიშხლართა, კუნთები მოადუნა. მზე ახლა თავ-პირზე აცხუნებდა, მაგრამ თვალების დახუჭვა აღარ დასჭირდა — ძალა გამოლეოდა მზეს. ის სადილობისას ანაზდად გაჩახჩახდა მთელი სასადილო და გამაბეზრებელი ზუზუნიც მყის დაცხრა. ათას ხუთასმა კადეტმა ფანჯრისკენ მიაბრუნა თავი. მზისგან ოქროსფრად შეფერილ ბალახზე კორპუსების შავი ჩრდილი გაწოლილიყო. რაც ალბერტო სასწავლებელში მოვიდა, ოქტომბერში მზე არასოდეს გამოჩენილა.

მაშინ იფიქრა სწორედ, ფანჩატურში წავალ და დავწერო. ბიჭები რომ მწყობრში დადგნენ, მათხოვარას გადაუჩურჩულა: „თუ შეგვამოწმეს, ჩემ მაგივრად დაიძახეო“. როცა სასწავლო კორპუსში კადეტები კლასებში შევიდნენ, სერჟანტმა კი განზე მიიხედა, იხელთა და საპირფარეშოში გაძვრა, იქიდან ფანჩატურში გადაიპარა ხელდახელ. სამივე მოთხრობა ერთი სულის მოთქმით დაწერა, მეოთხეზეღა იგრძნო, სიქა გამოსცლოდა. ჰოდა, მიაგდო ფანქარი და ოცნებებს მიეცა. სიგარეტები ამ რამდენიმე დღის წინათ გაუთავდა. ახლა მიწაზე დაყრილ ნამწვებს ექაჩებოდა,

მაგრამ ისინი ორ გაბოლებაზეღა ჰყოფნიდა, დანესტიანებულმა თამბაქომ და მტვერმა ყელი ჩაუხეხა.

„გაიმეორე, ვალიანო, ბოლო გაიმეორე, ზანგის ბიჭო, ვაითუ ჩემი საწყალი მიტოვებული დედა ფიქრობს, რა ეშველებაო ჩემს ბიჭს იმ ველურებში. თუმცაღა ჩვენს დროში იქნებ არც ის შეშინდეს მაინცდამაინც, აქ რომ ამოჰყოს თავი და „ელეოდორას ვნებანი“ მოისმინოს. გაიმეორე, ვალიანო, ჩვენ უკვე მოგვნათლეს ხალხი, უკვე ქალაქშიც გაგვიშვეს, უკვე დავბრუნდით კიდეც და შენ ყველას გვაჯობე: პორტფელით „ელეოდორა“ მოიტანე, მაშინ როცა მე საჭმელი შემოვაპარე მხოლოდ. ეეჰ, წინასწარ რომ მცოდნოდა! ბიჭები მონუსხულებივით სხედან საწოლებსა და ტუმბებზე და ვალიანოს მისჩერებიან, ის კი გრძნობით კითხულობს. ხანდახან შეჩერდება და დგას წიგნს ჩაჩერებული, ატყდება, მაგრამ რა ღრიალი ატყდება, წაიკითხეო, უყვირიან. ჰოი, ვალიანო, ეს რა კარგი რამ მაფიქრებინე — თავსაც გავირთობ და ფულსაც ვიშოვი; დედა შაბათ-კვირას ლოცულობს, ღმერთსა და წმინდანებს ემუდარება, ყველას კი ბოროტი და ავი გვაჯადოებს. მამა ელეოდორებმა მოხიბლეს. ეს პაწაწკინტელა, ფურცლებჩაყვითლებული წიგნი სამჯეროთხჯერ წაიკითხა გალიანომ, ჯიბეში ჩაიდო და ბიჭებს ამაყად მოავლო თვალი; ისინი კი შურით შესცქეროდნენ. ერთმა გაბედა და სთხოვა: „მომე რა, წავიკითხო“, შემდეგ ხუთმა, ათმა სთხოვა უკვე. ლამის ყველანი მიცვივდნენ და აღრიალდნენ: „მოგვე რა, ზანგის ბიჭო, მოგვე რა!“ ვალიანოს ღიმილმა გაუწელა ვეებერთელა ლაშები, თვალები აცაბაცა წაუვიდა, ცხვირის წვერი აუცმაცუნდა. აბა არ იზეიმებს კაცი, როცა ყველა შენ გეხვევა, ყველა შენ გეხვეწება და გექლესება. „აბა, აბა, ლაწირაკებო, სახარება იკითხეთ, „დონ კიხოტიც“ არამი იქნება თქვენზე!“ — დასცინის იგი ბიჭებს. ისინი კი ხელებს უსვამენ, ეფერებიან: „ვაი, ვაი, რა ზანგი გვყავს, რა სხაპასხუპით კითხუ-

ლობს. ჰო-ჰო!“ მერეღა ისაზრებს ზანგი, რომ აქ გამორჩომა შეიძლება და აცხადებს: „ქირით ვიძლევი“. ბიჭები იგინებიან, მჯიღებს ჰკრავენ, ვიღაცამ გადააფურთხა, ვიღაცამ დაიძახა: „მურდალი, გაიძვერა“. ვალიანო კი ხარხარებს, საწოლზე გორაობს. მერე „ელეოდორა“ ამოაძვრინა, თვალებთან მიიტანა — თვალები კი ისე აცაბაცა უხტის — თავს იკატუნებს, აქაოდა ვკითხულობო, წურბელებივით გასიებულ ტუჩებს ავხორცულად აცმაცუნებს. „ხუთი სიგარეტი, ათი სიგარეტი, ჰეი, ზანგო, „ელეოდორა“ მომე წასაკითხად. „ე-ლე-ო-დო-რა ვის არ აა-ხუნ-ტრუცებს“. ვაი, დედიკო, მაშინღა მომივიდა ეს აზრი, ზანგი რომ კითხულობდა. ყოჩაღ, ბიჭო! თავსაც გაირთობ და ფულსაც გააკეთებ. აზრები იცოცხლე ბლომადა მაქვს, ესაა, შემთხვევა არ მომეცა. ალბერტო ხედავს, სერჟანტი რომ აქეთ მოდის ცალი თვალით იმასაც ამჩნევს: ქოჩორას მის წინ მდგარ კადეტის ზურგზე დაუდევს წიგნი და გატაცებით კითხულობს. ალბათ უჭირს კითხვა, ისე წვრილადაა ნაბეჭდი. მაგრამ ალბერტო ვერ გააფრთხილებს, ვინაიდან სერჟანტი თან მას უყურებს და თან გარეულ კატასავით ეპარება მსხვერპლს. აი, შეკუმშა ტანი, ისკუპა, ქოჩორას ხელი სტაცა — იმან იწივლა — და „ელეოდორა“ გამოგლიჯა. ოღონდაც არ უნდა შემდგარიყო წიგნზე ფეხით, არ უნდა წასულიყო კახპებთან მამა, არ უნდა მიეტოვებინა დედა, არ უნდა გადასულიყვნენ დიეგო ფერეს ბაღიან სახლიდან, არ უნდა გაცნობოდა ალბერტო ბიჭებსა და ელენას, არ უნდა დაეტოვებინათ ორი კვირა უსაშვოდ, არ უნდა ეწერა ეს მოთხრობები, არ უნდა ჩამოშორებოდა მირაფლორესელ ბიჭებს, არ უნდა გაეცნო ტერესა და შეყვარებოდა იგი. ვალიანო ხვიხვინებს, მაგრამ ვერ დაუმალავს, რა მურდალ და ბილწ გუნებაზეა. ზოგჯერ დინჯად გამოიხედავს და ამბობს: „ეშმაკმა დალახვროს, ელეოდორა ვერ დამივიწყნია. შენი წყალობაა, ქოჩორავ, შენ დამაკარგვინე ტურფა!“ კადეტები „ვაი-ვუი-ვაიო“ გააბამენ, იგრიხებიან, თითქოს რუმბას ცეკვავენ, ზანგს

ლოყებზე და დუნდულებზე ჩქმეტენ. იაგუარი კი ცოფიანივით ებ-დღვნება მათხოვარას, ჩაბღუჯავს — ყველანი გატრუნულები უც-ქერიან მათ — და ზანგს ესვრის. „აი, შენი ახალი კახპა“ — უყვირის თან. მათხოვარა წამოდგება, ხალათს გაისწორებს, კარისკენ მი-დის. პითონი ქეჩოში დაავლებს ხელს, აიტაცებს, ასე ჰყავს რამ-დენიმე წამს ჰაერში გაჩერებული, და მერე ხელს უშვებს. მათხო-ვარა ტომარასავით ებერტყება ძირს და მერე ფეხათრევით მძიმე-მძიმედ გადის. „ჯანდაბას თქვენი თავი, ღმერთმანი, ძალიან მე-ნატრება“, — ამბობს ვალიანო. აი, სწორედ მაშინ ვთქვი: „სიგარე-ტის ნახევარი დასტა მომეცით და „ელეოდორზე“ უკეთეს მოთ-ხრობას დაგიწერთ-მეთქი“. იმ დილას უკვე ვიცოდი, რაც მოხდა, — არ ვიცი ტელეპატიის, არ ვიცი ღვთის განგების წყალობით. ჰო-და, ვიკითხე: „მამას რა მოუვიდა, დედიკო?“ ვალიანომ მითხრა: „მართლა? აჰა, ფანქარ-ქაღალდი და აბა შენ იცი“. დედამ კი მით-ხრა: „გამაგრდი, ჩემო ბიჭო, ჩვენ დიდი მწუხარება დაგვატყდა, მამა დაიღუპა, მამამ დაგვტოვა“. მეც ტუმბოზე ჩამოვჯექი და წე-რას შევუდექი. ყველა მე დამეხვია, აი, როგორც ვალიანოს დაეხ-ვივნენ, როცა იმ წიგნს კითხულობდა..“

ალბერტო აჩქარებით წერს სიტყვებს; ექვსიოდე თავი უკნიდან დაჰყურებს მის ნაწერს. მან წერა შეაჩერა, აიხედა, ფანქარი მაღ-ლა ასწია და წაიკითხა. ზოგი აქებს, ზოგი შენიშვნებს აძლევს, ფე-ხებზე ჰკიდია მათი შენიშვნები. ალბერტომ წერა გააგრძელა, ახ-ლა უფრო გაბედულად მისრიალებს ფანქარი. უწმაწურ სიტყვებს დიდებული ავხორცული გამოთქმები ცვლის, თუმცა ამბავი იგი-ვეა. ორივე მხრიდან დაწერილი ათიოდე ფურცელი რომ. ჩაასწო-რა, ალბერტომ უეცარი შთაგონებით გამოაცხადა სათაური: „ხორციელი ვნებანი“. მერე ხმამაღლა, ზეიმით ჩაიკითხა თავისი ნაწარმოები. კადეტები მოწიწებით უსმენენ და სადაც ჯერ არს, იცინიან. შემდეგ ყველამ ტაში დაუკრა, შემოეხვივნენ ალბერ-ტოს. ვიღაცამ შესძახა: „ბიჭოს, ნაღდი მწერალი ყოფილა!“ —

„მწერალია, მაშ!“ მერე კი, ბანაობისას პითონი მოვიდა და იდუმალი სახით ჩასჩურჩულა: „მეც თუ დამიწერ, ვიყიდი“. ყოჩაღ, ჭუკო, სიფთა ხარ, მაგას ჩემს დღეში არ დაგივიწყებ. „გვერდი ოცდაათ სენტავოდ-მეთქი“. ჰო, ჰო, რა იცინა და ილანძღა, მაგრამ ვერაფერი გაახერხა. „აი, მაშინ მართლა მოვშორდი ჩემს უბანს, ნამდვილ მირაფლორესს, და მწერალი გავხდი, კარგა ფული ჩავიჯიბე, თუმცაღა ბევრმა მომატყუა“.

კვირაა, შუა ივნისი. ალბერტო ბალახზე ზის და მშობლებთან ერთად მოედანზე მოსეირნე — კადეტებს უყურებს. რამდენიმე მეტრის დაშორებით სხვა კადეტი ზის. ისიც მესამეკურსელია, ოღონდაც სხვა რაზმეულის. წერილი უჭირავს და წარბშეჭმუხნილი კითხულობს. „დღის მორიგე ხარ?“ — ეკითხება ალბერო. „ჰო“, — ეუბნება კადეტი. მერე მეექვსე რაზმეულში წავედით, დავწექით საწოლებზე და გავაბოლეთ. მითხრა: „მე იკიტოსიდან ვარ, მამამ აქ შემომაგდო, იმიტომ რომ ცუდი ოჯახის გოგო შემიყვარდა, — მაჩვენა იმ გოგოს სურათიც, — როცა გამიშვებენ, ცოლად ვითხოვ“. დედას იმ დღიდან აღარ შეუღებავს თმა, არც სამკაულები გაუკეთებია, აღარც დაქალებთან წასულა, აღარც ბანქო უთამაშნია. შევხედავ ყოველ შაბათს და გულში ვფიქრობ, კიდევ უფრო დაბერებულა-მეთქი.

— რა დაძმარებული ლაპარაკობ, ახლა აღარ მოგწონს თუ? — ჰკითხა ალბერტომ..

კადეტმა ხმადაბლა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— წერილი ვერ მიმიწერია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არ შემიძლია. ძალიან ჭკვიანია. იმისთანა წერილებს მწერს, შენი მოწონებული!

— წერილის დაწერას რა უნდა, — უთხრა, ალბერტომ — ამაზე ადვილი რაა!

— მაგას ნუ იტყვი. გონებაში ადვილია, მაგრამ როცა წერ, ძნელია.

— აბა კი! — წაილაპარაკა ალბერტომ, — ერთ საათში ათ სატრფიალო წერილს გავაშანშალებ.

— მართლა? — ჰკითხა კადეტმა და დაკვირვებით შეხედა.

„ჰოდა, ავდექი და მეც დავუწერე ერთი წერილი, მერე მეორე, გოგომ მიპასუხა. იმ ჭკუის კოლოფმა სიგარეტები მიყიდა და კოლა დამალევინა ჰიბრიდთან. ერთხელაც ვნახოთ, მეორე ჭკუის კოლოფი მომიყვანა მერვე რაზმეულიდან: „შეგიძლია ამის გოგოსაც მისწერო იკიტოსში?“ ერთხელ დედაჩემს ვუთხარი: „თუ გინდა წავალ და მოველაპარაკები-მეთქი“, „არა, უნდა ვილოცოთ მხოლოდ“. წამისწამ ეკლესიაში გარბოდა, მეც ჩამჩიჩინებდა: „ილოცე, ალბერტო, უფალი შეიყვარე, რომ გაიზრდები, მამაშენივით არ გაცთუნონ და არ დაგღუპონ“. ჰოდა, მეც ვუთხარი ოკეი-მეთქი, წერილებს ნიხრი დავადე. უკვე ორ წელზე მეტი გავიდა, — გაიფიქრა ალბერტომ — როგორ მიფრინავს დრო..“ ბიჭმა თვალები დახუჭა; თვალწინ ტერესა დაუდგა, მისი სიყვარულის სურვილი ცეცხლივით შემოენთო ტანზე. მთელი ამ სამი წლის მანძილზე მხოლოდ ახლა არ იტანჯებოდა, უსაშვოდ რად დამტოვესო. ტერესამ ორი წერილი მოსწერა და მაინც არ უნდოდა ქალაქში წასვლა. „იაფიან ქაღალდზე დაუწერია, არც ხელი უვარგა. უკეთესი წერილებიც მინახავს...“ ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გადაიკითხა მისი წერილი, ყოველთვის მალულად (წერილები ქუდის სარჩულში ედო, სადაც ფარულად შემოტანილ სიგარეტებს ინახავდა). პირველი წერილი რომ მიიღო, მაშინვე დააპირა ეპასუხა, დაწერა რიცხვი, აღელდა, გუნება გაუფუჭდა და სიტყვები ვერ მოძებნა. ყველა სიტყვა შეუფერებელი და ყალბი ეჩვენა. რამდენიმე ფურცელი დახია და ბოლოს მოკლედ დაწერა: „ერთი ამბის გამო უსაშვოდ დაგვტოვეს. არ ვიცი, როდის გამოვაღწევ. შენმა წერილმა ძალზე გამახარა. სულ შენზე ვფიქრობ, როგორც

კი გამომიშვებენ, მოვალ“. მათხოვარაც რომ გადაეკიდა! სულ კუდში დასდევს, მწყობრში გინდა, კინოში თუ სასადილოში. სიგარეტებს აძლევს, ხილით, სანდვიჩებით უმასპინძლდება, თავის გულს უშლის. ალბერტოს თვალწინ დაუდგა მათხოვარას უფერული პირისახე, მისი საცოდავი გამოხედვა, უწყინარი ღიმილი და გუნება დაუძმარდა. ამ ბიჭის ყოველ დანახვაზე ყელში რაღაც აწვება. რაზეც არ უნდა ლაპარაკობდნენ, ტერესაზე გადააქვს ხოლმე მათხოვარას სიტყვა. თავი რომ არ გასცეს, ალბერტო ან დასცინის ან ბრძნულად ურჩევს: „არა, წერილის მიწერა არ ღირს. სიყვარული პირისპირ უნდა აუხსნა, რომ შეატყო, როგორ იმოქმედებს შენი ნათქვამი. აი, ქალაქში როცა გაგიშვებენ, პირდაპირ მიდი და ყველაფერი დაუყაჭე“. ის აბეზარა კი ყველაფერზე მორჩილად უქნევს თავს. „როცა გაგვიშვებენ, მაშინ ვეტყვი, — ფიქრობდა ალბერტო, — ალაყაფში. გავალთ თუ არა, ვეტყვი. ახლა კაცს არა ჰგავს, ისეთი ფერი ადევს. წაქცეული როგორ ჩავწიხლო? მაშინ კი პირდაპირ ვეტყვი: „ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ეგ გოგო მეც მომწონს. თუ მაგასთან მისულხარ, ცხვირ-პირს დაგიმტვრევ. მაგის გარდა ქვეყანაზე გოგო ვერ ნახე?“ მერე წავალ ტერესასთან და მირაფლორესში წავიყვან, ნეკოჩუას ბაღში. ეს ბაღი ძველი სანაპიროს სულ ბოლოშია, მოყვითალო ციცაბო ფერდობებზე. ამ ციცაბოებს შხუილით ეხლება ტალღები, ზამთარში კი, როცა ნისლი დგას, ზემოდან ჩრდილივით მოჩანს მიყრუებული ქვიანი ნაპირი. ჰოდა, დავჯდები იქ სულ ბოლო სკამზე, მოაჯირთან, თეთრი ბოძების გვერდით“. მზე აცხუნებდა ბიჭს ზურგზე და ლოყებზე. არ უნდოდა თვალი გაეხილა, რათა ტერესას სახე არ გამქრალიყო.

თვალი რომ გაახილა მზე: უკვე ჩასულიყო. სარკმლიდან მქრქალი შუქი იღვრებოდა, ბიჭი შეიშმუშნა, ზურგი ტეხდა, თავი სტკიოდა. არ ყოფილა იატაკი გემრიელი საწოლი. თვალები და-

ახამხამა. ძალიან მოუნდა გაბოლება. ძლივს აითრია წელი, წამოდგა, გარეთ გაიხედა. ბაღში არავინ ჩანდა, სასწავლო კორპუსებშიც, მგონი, არავინ იყო. ნეტა რომელი საათი იქნება? ვახშამი რვის ნახევარზეა. ალბერტომ ფრთხილად მიმოიხედა. სასწავლებელი თითქმის დაცარიელებულიყო. ჩქარი ნაბიჯით გაიარა ბაღი, კორპუსები, გზაში არავინ შემოხვედრია. მხოლოდ რამდენიმე კადეტი დასდევდა მოედანზე ლამას. მოედნის მეორე ბოლოში, ლამის ერთ კილომეტრზე, ბუნდოვნად გაარჩია ბიჭები, — მწვანე ქურთუკები ეცვათ. უფრო იგრძნო, ვინემ გაიგონა ბარაკებიდან გამოსული ხმაური. სული მისდიოდა, ისე უნდოდა გაბოლება. მეხუთე კურსის ეზოში შედგა და მერე საყარაულოსკენ გაუხვია. დღეს ოთხშაბათია, შეიძლება წერილები იყოს მოსული. კარებში კადეტები იდგნენ.

— გამიშვით, მორიგე ოფიცერმა დამიბარა. არავინ არ განძრეულა — რიგში ჩადექი, — უთხრა ერთმა.

— მე წერილებზე არ მოვსულვარ, — იცრუა ალბერტომ, — ოფიცერმა დამიძახა — ხმა ჩაიწყვიტე, ვერა ხედავ, ჩვენც ველოდებით.

სხვა გზა არ იყო, უნდა მოეცადა. ყოველი კადეტის გამოსვლაზე რიგი მყის ცოცხლდებოდა, — ყველას უნდოდა ურიგოდ გამძვრალიყო. ალბერტო უგულოდ ათვალიერებდა კარზე დაკიდებულ ბრძანებებს: „მეხუთე კურსი. მორიგე: ლეიტენანტი პედრო პიტალუგა, სერჟანტი ხოაკინ მორტე. პირადი შემადგენლობა — 360. ლაზარეთში იმყოფება 8. საგანგებო განკარგულება: გაუქმდეს 13 სექტემბერს დადებული სასჯელი დღის მორიგეებზე“. ხელმოწერა: „კურსის კაპიტანი“. უკანასკნელი სიტყვები ალბერტომ რამდენჯერმე გადაიკითხა და მერე ხმამაღლა შეიგინა.

— მანდ ვინ, იგინება? — მყის გაისმა სერჟანტ პესოას ხმა კარს უკან — ალბერტო ბარაკისაკენ გაქანდა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. კარებში აროსპიდეს დაეჯახა.

— სასჯელი გააუქმეს — მიაძახა ალბერტომ — კაპიტანმა გააფრინა.

— არც უფიქრია, — მიუგო აროსპიდემ — არ იცი? ვიღაცამ გაგვცა. კავა ჩასვეს.

— რაო? — ჩაეკითხა ალბერტო — ვინ გასცა?..

— გავიგებთ, — თქვა აროსპიდემ — ამისთანა ამბავი არ დაიმალება.

— ალბერტო ბარაკში შევიდა. საკმარისია რაღაც დიდი ამბავი მოხდეს, რომ ყოველივე სულ სხვანაირად გეჩვენოს. ამისთანა სიჩუმეში ბრახაბრუხით სიარულისაც კი შერცხვება კაცს. საწოლებიდან უამრავი თვალი გამოჰყურებდა ალბერტოს. იგი თავის საწოლს მიადგა, მიიხედ-მოიხედა, არც იაგუარი ჩანდა, არც ქოჩორა და არც პითონი. მეორე საწოლზე მარტო ვალიანო იჯდა და რაღაცას ფურცლავდა.

— გამოარკვიეთ, ვინა ქნა? — იკითხა ალბერტომ..

— გამოვარკვევთ, — ჩაილაპარაკა ვალიანომ — მანამ გამოვარკვევთ, ვინემ კავას გააგდებენ.

— ბიჭები სად არიან?

ვალიანომ საპირფარეშოსკენ გაიქნია თავი — რას აკეთებენ?

— რა ვიცი, ალბათ ბჭობენ.

— ალბერტო მათხოვარას საწოლს მიადგა. იგი ცარიელი იყო. მერე საპირფარეშოს კარს ჰკრა ხელი და შეაღო. მთელმა რაზმეულმა თვალი გააყოლა. ბიჭები ერთ კუთხეში ჩაცუცქულიყვნენ იაგუარის ირგვლივ. ყველა ალბერტოს მიაჩერდა.

— რაზე გარჯილხარ? — ჰკითხა იაგუარმა — მოვშარდო უნდა. რა, არ შეიძლება? — არ შეიძლება, — მოუჭრა იაგუარმა — მოუსვი აქედან.

ალბერტო ოთახში დაბრუნდა და ისევ მათხოვარას საწოლს მიადგა.

— სადაა? — ვინ? — თავაუღებლივ იკითხა ვალიანომ — მათხოვარა — წავიდა — რატომ? — გაკვეთილების შემდეგ წავიდა — ქალაქში? ნაღდად იცი?

— აბა, სად წავიდოდა? მგონი, დედა გაუხდა ავად.

„ეგ მაბეზღარა მამაძაღლი ეგა, ეგრეც ვიცოდი — მაგისთანა სიფათის პატრონი აბა რა სიკეთეს იზამდა. რაღას მიეთრეოდა? იქნებ მართლაც უკვდება დედა. ნეტა რა მოხდება, რომ შევიდე და ვთქვა: იაგუარ, მათხოვარამ დააბეზღა. არა, ტყუილად ნუ წამოხტით, წასულია, უთქვამს, დედა მყავსო ავად. გული ნუ დაგწყდებათ — დრო მალე გარბის. მიმიღეთ თქვენს წრეში, მეც მინდა კავას შური ვიძიო“. მაგრამ კავას სახეს ნისლი გადაეფარა, ნისლმა დაფარა წრეც, ბიჭებიც, წყრომაც და ზიზღიც. დაიძრა ნისლის ახალი ბოლქვები, დაფარა ყველაფერი და ამოატივტივა საცოდავი პირისახე, საცოდავი ღიმილი. ალბერტო თავის საწოლზე გაწვა, ჯიბეები მოიჩხრიკა, თამბაქოს ნამცეციღა იპოვა. ხმამაღლა შეიკურთხა. ვალიანომ თავი ასწია და მიაჩერდა. ალბერტომ ხელი წაიფარა სახეზე. გული საოცრად უძგერდა, ძარღვები სიმებივით დასჭიმოდა. „ვინმე რომ მიხვდეს, რა მემართება?“ — გაუელვა თავში ბუნდოვნად და მოსაჩვენებლად ხმამაღლა დაამთქნარა. „რა ლენჩი ვარ“, — ფიქრობს იგი, — ამაღამვე გამაღვიძებს, ახლავე ვიცი, რა სიფათიც ექნება, აი, თითქოს ამ წუთას ვხედავდე, თითქოს უკვე მითხრა კიდეც:

„შე. უნამუსო, აკი კინოში წაგიყვანია, აკი წერილებსაც წერ და ისიც გწერს თურმე, მე კი არაფერს მეუბნები, მალაპარაკებ, ყველაფერს მაფქვევინებ. აი, თურმე რატომ ისმენდი ჩემს ამბებს, რატომ მეუბნებოდი უარს წერილებზე, რად მაძლევდი ასეთ რჩევებს“. მაგრამ ვინემ ეგ პირს გააღებდეს, გინემ გამაღვიძებდეს, მხარზე ხელს მომკიდებდეს, ვინემ მომიახლოვდებოდეს, მე მანამდე ვეძგერები, იატაკზე გავაგორებ, გემოზე ვუთაქებ და მერე

ვიყვირებ: „წამოდექით, აგერ ეს მაბეზღარა, ეს გველი, ამან გასცა კავა“. მაგრამ ამ ფიქრებს სხვა ფიქრები გადაეხლართა. რა ცუდია, ბარაკში რომ სიწყნარე დგას. როგორც კი თვალს გაახელს, სახელოსა და მაჯას შორის დარჩენილ ხორცს ხედავს, ფანჯრის ნაწილს, ჭერს, თითქმის ჩაშავებულ ცას, შორეული ფარნების ათინათს. „ვინ იცის, ავტობუსიდან გადმოდის უკვე, ლინსეს ვიწრო ქუჩებში მიაბიჯებს, ვინ იცის, უკვე სიყვარულს უხსნის ეგ მურდალი ეგა, ნეტამც აღარ დაბრუნდეს; შენ კი მარტო ზიხარ, დედიკო, ქაფურის ქუჩაზე, მამამ მიგატოვა, მეც მიგატოვებ, შტატებში წავალ, ჩემს ამბავს კაციშვილი, ვეღარ გაიგებს. მაგრამ მამაძაღლი ვიყო, თუ მანამდე მაგ ლოქოს ცხვირ-პირი არ ჩავუნაყე, ჭიასავით არ გავსრისე, მერე კი ყველას ვეტყვი: „შეხედეთ ამ ენატანიას, დაყნოსეთ აბა, ხელი შეახეთ, გასინჯეთ“. მერე წავალ ლინსეში და იმასაც ვეტყვი: „აი, შე გათახსირებულო, აი, შე კახპავ, სწორედაც რომ იმ ლაწირაკის შესაფერისი ხარ, სწორედ ეს წუთია მიგიბრიგე ის შენი ტურფა კოხტა-ლამაზად“. ბიჭი იწვა, ვიწრო, ჭრიალა საწოლზე, მისჩერებოდა ზედა საწოლის ლეიბს და ისე ეგონა, რომ საწოლის რკინის ბადის რომბები ძალზე ახლოა, ისე ახლო, რომ საწოლი სადაცაა მოწყდება, ზედ დაეცემა და ლოგინს მიასრესს.

— რომელი საათია? — ჰკითხა მან ვალიანოს. — შვიდი.

ალბერტო წამოდგა და გავიდა. კარებში აროსპიდე იდგა და ორ კადეტს მისჩერებოდა, შუა ეზოში რომ ყვირილით იჭაჭებოდნენ.

— აროსპიდე! — რა იყო? — მე მივდივარ — მერე მე რა? — ვიპარები — შენი საქმეა, მორიგეს უთხარი.

— არა, საღამოს არა, ახლა მივდივარ, ვინემ სასადილოში არ შესულან.

აროსპიდემ შეხედა.

— ჰო, ასეა საჭირო, — თქვა ალბერტომ — დიდი საქმე მაქვს.

— პაემანზე? ან იქნებ სტუმრად მიბრძანდები? — ჩემ მაგივრად პატაკს ეტყვი? — არ ვიცი. რომ ჩამავლონ, დავიღუპები.

— თქვენ ხომ ერთხელ დაეწყობით მხოლოდ, — არ ეშვება ალბერტო — ხომ ერთხელ უნდა თქვა: „ყველანი აქ ვართ“.

— მეორედ თუ შეგვამოწმეს, — ამბობს აროსპიდე, — მაშინ კი ვიტყვი, არ არის-მეთქი.

— მადლობელი ვარ.

— გირჩევნია სასპორტო მოედნით წახვიდე, — მიატანა აროსპიდემ, — მალე სასტვენის ხმა იქნება, იქ დაიმალე.

— კარგი, — უთხრა ალბერტომ, — ეგ ვიცი.

ალბერტო ბარაკში შებრუნდა და კარადა გააღო. ორი სოლი აქვს, ავტობუსზე თავისუფლად ეყოფა.

— პირველ ორ ცვლაზე, ვინ მორიგეობს? — ჰკითხა ზანგს.

— ბაენა და ქოჩორა.

ალბერტო ბაენას მოელაპარაკა და დაიყოლია, შენ მაგივრად დავიძახებ, აქ ვარო. მერე საპირფარეშოში შევიდა. ის სამი ისევ ჩაცუცქულები იყვნენ. იაგუარი მაშინვე წამოდგა, როგორც კი დაინახა.

— ვერ გაიგე, რაც გითხრეს?

— ქოჩორას უნდა მოველაპარაკო — წადი და დედაშენს მოელაპარაკე. აბა, მოუსვი აქედან.

— მე ვიპარები. ქოჩორამ კი ჩემს მაგივრად თქვას, ვითომ აქა ვარ.

— ახლა იპარები? — ჰკითხა იაგუარმა — ჰო.

— კარგი, — თქვა „იაგუარმა, — კავას ამბავი იცი? ვინ გათქვა?

— რომ ვიცოდე, ჩემი ხელით მოვკლავდი. რა იყო, მე ხომ არ გგონივარ?

— იმედი მაქვს, შენ არ ხარ, — წაილაპარაკა იაგუარმა, — შენივე სიკეთისთვის.

— მაბეზღარას თქვენ ხელი არ ახლოთ, მე დამიტოვეთ, — ჩაიდუდუნა პითონმა.

— ხმა ჩაიწყვიტე, — მოუჭრა იაგუარმა.

— სიგარეტებს თუ მომიტან, ვეტყვი, რომ აქა ხარ, — დასძინა ქოჩორამ — ალბერტო შეჰპირდა, მოგიტანო, და ოთახში შებრუნდა. იმავ წუთს გაისმა სასტვენის ხმა და სერჟანტის ღრიალი: „დაეწყვეთ“ ბიჭი სირბილით გავარდა გარეთ, ისარივით გადაიქროლა ეზო, სადაც უკვე ეწყობოდნენ კადეტები, ნაკერებზე ხელები დაიფარა, ოფიცერმა არ მიცნოსო. მესამე კურსის ყაზარმასთან კადეტები უკვე მწყობრში დამდგარიყვნენ. ალბერტომ ნაბიჯი შეანელა და ისე ჩაიარა, ვითომც ასეც. ყოფილიყო საჭირო. ლეიტენანტს სალამი მისცა და ისიც ანგარიშმიუცემლად მიესალმა. როცა სასპორტო მოედანს მიაღწია და ყაზარმები კარგა შორს მოიტოვა, სული მოითქვა. ჯარისკაცების ფარდულიდან გინება და ღრიალი ისმოდა. გალავანი სირბილით ჩაიარა, ვინემ კუთხემდე არ მიაღწია. იქ ჯერაც ეყარა აგურების გროვა, საიდანაც ბევრჯერ ესკუპათ მეორე მხარეს კადეტებს. ბიჭი მიწაზე გაწვა და ყაზარმებს მიაჩერდა. ფეხბურთის მოედნის მწვანე ოთხკუთხედი აშორებდა იმ შენობებიდან. თითქმის არაფერი ჩანდა, მხოლოდ სტვენის ხმა ისმოდა. ბატალიონები სასადილოში მიდიოდნენ. ფარდულთანაც თითქოს არ უნდა ყოფილიყო ვინმე. არ წამომდგარა, ისე გამოათრია რამდენიმე აგური და ერთმანეთზე ააყუნცა. ვაითუ არ ეყოს ძალა და ვეღარ მისწვდეს გალავნის თავს? აქამდე გალავნის მეორე ბოლოში ხტებოდა ხოლმე ყოველთვის, „მარგალიტთან“. ალბერტომ უკანასკნელად მიიხედა, წამოხტა, აგურებზე აძვრა და ხელები ასწია.

გალავნის, თავმა ხელისგულები დაუკაწრა, მაგრამ მაინც აიტანა ტანი და კედლიდან გადაიხედა. ბინდბუნდს დაეფარა ცარიელი მინდორი, მინდვრის იქით პროგრესის პროსპექტზე ჩარიგე-

ბული კენარი პალმები ჩანდა. რამდენიმე წამის შემდეგ ისევ ეზოში ამოჰყო თავი, ოღონდაც გალავნის კედლისთვის ხელი არ გაუშვია. „მუდრეგი ვიყო, თუ არ გაზღვევინო, მათხოვარავ, მისივე თანდასწრებით არ გაზღვევინო. აი, ახლა ჩამოვვარდები, ფეხს მოვიტეხ, შინ დარეკავენ, მამა მობრძანდება, მე კი ასე ვეტყვი: „იმიტომ გამომაგდეს, რომ გამოვიპარე, შენ კი უარესი ჰქენი, კახპები არჩიე ოჯახს“. ფეხისგულებით და მუხლებით ხორკლიან კედელს ეპოტინება, ნაპრალებს ეძებს, ზემოთ და ზემოთ მიცოცავს. გალავნის თავზე მაიმუნივით მოიბღუნძა ბიჭი. ჰა, თვალი ჰკიდა სწორ ადგილს, ჩამოხტა, მიწას დაებერტყა, უკან გადაგორდა თვალდახუჭული. ჯერ მუხლები დაიზილა გაგულისებით, მერე თავი, წამოჯდა. შემდეგ გაჭირვებით წამოდგა და გაიქცა, — გადაახტა გუბეებს, გადაჯეგა ნათესები. ფეხი ეფლობა ფხვიერ მიწაში, ბალახი იკაწრება და იჩხვლიტება. ფეხს რომ ადგამს, ლაწალუწით სკდება თავთავები. „ეშმაკმა დალახვროს, ვინ იცის, შემამჩნიეს, მიცნეს ქუდით და ტანსაცმლით“. „ჰეი, კადეტო, გაქცევა დაგიპირებია განა?“ როგორც მამას. ან ოქროს ფეხებთან მივალ, ან ასე ვეტყვი დედას: „კმარა, შეურიგდი, უკვე ხანშიშესული ხარ, შენ ეკლესიაში სიარულიც გეყოფა“; იმ ორს კი ნაღდში ცხვირიდან ვადენ ყველაფერს, დეიდამისსაც, იმ ბებერ კუდიან მაჭანკალს, აგრემც ჯანი გავარდნია“. ავტობუსის გაჩერებაზე არავინ არ დგას. მიუახლოვდა თუ არა, ავტობუსიც მოგრიალდა, ისე რომ დაძრულ მანქანას შეახტა. ახლა მშვიდადაა ალბერტო — აქეთიქიდან ხალხი აწვება, ავიწროებს, სარკმლებში არაფერი ჩანს, ისე უცბად ჩამობნელდა, მაგრამ იცის, რომ ავტობუსი ყანებსა თუ ცარიელ მინდვრებს მიჰყვება, ჩაუვლის ქარხანას, ტოლისა და თუნუქისაგან შეკოწიწებულ ქოხმახებს, გადაჭრის მოედანს. აი, შევიდა არანა, უთხრა: „გამარჯობა“; მისებურად, მათხოვრულად შეჰღიმა. ტერესამაც უპასუხა: „გაგიმარჯოს, დაჯექი“. ის კუდიანიც გამოძვრა, გაბა მისებურად, ასეო, სენიორ, ისეო, სენიორ.

მერე გავიდა, ისინი მარტო დატოვა. ისიც ეუბნება: „მე იმიტომ მოვედი, რომ გითხრა...“ — „აჰ, ალბერტოზე მეკითხები! ჰო, კინოში წამიყვანა, მეტი არაფერი ყოფილა. ჰო, კიდევ წერილი მივწერე“. „მე კი შენ მიყვარხარ“, — მერე აკოცეს ერთმანეთს. კი, კი, აკოცეს, უთუოდ აკოცეს, ღმერთო, ისე ჰქენი, მე რომ შევალ, ერთმანეთს ჰკოცნიდნენ ტუჩებში, გახდილები იყვნენ, ღმერთო!“

იგი ალფონსო უგარტეზე გადმოვიდა, ბოლოგნესის მოედნისკენ გასწია. ჩაუარა კაფეებიდან გამოსულ თუ კუთხე-კუთხე მობუზულ ხალხს; გადაჭრა ასფალტის ოთხი პარალელური ზოლი, სადაც მანქანების ნაკადი მოედინებოდა. მოედნის შუა კიდევ ერთი გმირი იდგა, ჩილელთა ტყვიებით დაცხრილული, თითქოს სადაცაა სულს განუტევებდა სიბნელეში. იქამდე შუქი არ სწვდებოდა. „შეჰფიცეთ ჩვენი მიწა-წყლის დროშას, შეჰფიცეთ ჩვენი გმირების სისხლს“. კიდე-კიდე მივდიოდით, კლდეების ძირას. ზევით აიხედეო, მითხრა მდიდარამ. ავიხედე და ელენა დავინახე, ჩვენ მარშით მივდიოდით და თან ფიცს ვაძლევდით, მინისტრი კი ცხვირს იხოცავდა, თითით იჩიჩქნიდა ნესტოებს. საწყალი დედა, აღარც ბანქო, აღარც საღამოს წვეულებანი, ვახშამზე მიწვევა, მოგზაურობანი. „მამა, ფეხბურთზე წამიყვანე!“ — „აბა, რას ამბობ, ეს ხომ ზანგების თამაშია, გაისად კლუბში ჩაგწერ, ნიჩბოსნობას ისწავლი“. თვითონ კი ტერესასთანა ქალებთან წავიდა. კოლუმბის ბულვარი ისეა დაცარიელებული, როგორც სხვა რომელიღაც პლანეტის ქუჩა და ისევე სულელურად გამოიმზირება, როგორც კუბებივით დაყუდებული ეს ძველებური შენობები, სადაც კარგ ოჯახიშვილთა აჩრდილებს შეუფარებიათ თავი; შენობის წინა კედლებზე წარწერები ჩანს, მანქანები აქ არ ჭაჭანებს, სკამები და ძეგლები დამტვრეულია, ალბერტო ექსპრესში ავიდა. იგი მაცივარივით ბრჭყვინავს და კრიალებს, მგზავრები არ ლაპარაკობენ, არ იცინიან. ალბერტო რაიმონდის სკოლასთან ჩამოდის და

ლინსეს ბნელ ქუჩებს მიჰყვება. აგერ დუქანი, კიდევ მეორე დუქანი, ბჟუტავს ფარნები, ბნელში ჩაფლულა პატარა სახლები. „მაშ ვითომ არავისთან გისეირნია მაგისთანა სიფათის პატრონს! ეგ ზღაპრები სხვას მოუყევი. მაშ, მოგეწონა ხომ კინო, ვაი, ვაი, ვაი; აბა, ვნახოთ, მათხოვარა თუ წაგაბრძანებს დღის სეანსებზე შუაგულ ქალაქში, ან ბაღში, ან პლაჟზე, ან შტატებში, ან ჩოსიკაში კვირაობით; დედა, რაღაც უნდა გითხრა, იცი, ლინსელი გოგო შემიყვარდა, იმან კი რქები დამადგა, როგორც მამამ დაგადგა შენ, ოღონდაც ქორწინებამდე, ვინემ სიყვარულს ავუხსნიდი. ჩვენ შორის ჯერ არაფერი ყოფილა ისეთი“. აგერ ტერესას სახლიც. ბიჭი კუთხეში გაჩერდა, სადაც უფრო ბნელა. ქუჩა ცარიელია. იქ, სახლში, ვიღაცა ჩაქუჩს აკაკუნებს, აშენებს თუ ანგრევს რაღაცას ნელ-ნელა, ბეჯითად. ბიჭმა თმა გადაისწორა, თითით შეამოწმა, სწორად მაქვს თუ არა გადაყოფილიო. ცხვირსახოცით მოიწმინდა შუბლი და პირი. პერანგი გაისწორა, ფეხსაცმლის ჭვინტზე შარვლის ბოლო გადაისვა, მეორეზეც. „შევალ, ხელს გავუწოდებ, გავუღიმებ: წუთით შემოვიარე, უკაცრავად, ტერესა, თუ შეიძლება ჩემი ორი წერილი დამიბრუნე — აი, შენი წერილები. წყნარად, მათხოვარავ, მერე ვილაპარაკოთ, გოგოსთან ჩხუბი რა ვაჟკაცის საქმეა?“ ცემენტის სამი საფეხური აშორებს კარებს. ბიჭმა მიაყურა. ჩამიჩუმი არ ისმის, მაგრამ შინ უნდა იყვნენ, კარიდან სინათლის წვრილი ზოლი გამოუდის. რამდენიმე წამის უკან რაღაც ჰაერივით მსუბუქად შეეხო ზურგზე — თითქოს ვიღაცამ ხელი შეახო. „ღია მანქანით მოვტრიალდები, მეცმევა ამერიკული მაღალყელიანი წაღები, თეთრი პერანგი, ტყავის ქურთუკი, თავზე წითელფრთიანი ქუდი. ძვირფასი სიგარეტი მექნება პირში გაჩრილი, დავაპიპინებ. „აბა, მობრძანდით. გუშინ ჩამოვედი შტატებიდან, გავისეირნოთ; შემომიარეთ ორანტიაში, ჩემს ცოლს გაგაცნობთ, ამერიკელია, კინოში იყო მიწვეული; ჰოლი-

ვუდში ვიქორწინეთ, როცა დიპლომი ავიღე. უთუოდ გვინახულეთ, ჰო, დაჯე, მათხოვარავ, შენც დაჯექ, ტერესა. რადიო ჩავრთო?“

ალბერტომ ორჯერ დააკაკუნა, მეორედ უფრო მაგრად. რამდენიმე წამის შემდეგ ზღურბლზე ქალის ლანდი გადმოდგა, უსახო და უტყვი. შუქი უკნიდან სცემდა, ძლივს გაარჩევდი მხარსა და კისერს. „ვინ არის?“ — იკითხა ლანდმა. ალბერტომ ხმა არ გასცა. ტერესა მარჯვნივ გადაიხარა. სუსტმა შუქმა ბიჭს თვალებში მიანათა.

— გამარჯობა, — უთხრა ბიჭმა, — მე იმას მინდა ველაპარაკო, დაუძახე, თუ შეიძლება.

— გაგიმარჯოს, ალბერტო, ვერ გიცანი, შემოდი, ჰო, შემოდი. შემაშინე კიდეც.

ბიჭი შევიდა. განზრახ ქუშად მოათვალიერა ცარიელი ოთახი. ქარს გადაეწია ოთახებს შუა ჩამოშვებული ფარდა, ფარდის უკან ანგრეული განიერი საწოლი ჩანდა, გვერდით კი — მეორე, უფრო პატარა. სახე გაეხსნა ბიჭს. უკან მიიხედა. ტერესა მიბრუნდა და კარი დახურა. მაგრამ მიბრუნებამდე თმაზე გადაისვა ხელი და ქვედა კაბის ნაკეცები გაისწორა. აგერ სულ ახლოს მოვიდა. და უცებ მიხვდა ბიჭი, რომ ის სახე, ეს რამდენიმე კვირა რომ ეზმანებოდა, უფრო გოროზი და გამოკვეთილი იყო, ვინემ ეს, ახლა რომ ხედავს; ანდა კინოში რომ ნახა, დამშვიდობებისას კი კარს უკან დაინახა. ახლა ამ სახეს გაუბედაობა ატყვია, თვალები შიშით შეჰყურებენ, ისე ახამხამებენ წამწამებს და იხუტებიან, გეგონება მზერას სჭრის ზაფხულის მზეო. ტერესა იღიმება; თითქოს არ იცის, რა ქნას — ხელებს კუმშავს და შლის, ხან ძირს დასწევს, ხან კედელს ეხება.

— მე სასწავლებლიდან გამოვიპარე, — უთხრა ბიჭმა და, გაწითლებულმა, ძირს დაიხედა.

— გამოიპარე? — ტერესამ პირი დააღო, მაგრამ არაფერი თქვა,

მხოლოდ თვალი არ მოაცილა; ხელები ისევ გადაუჭვდია ერთმანეთზე. სულ ახლოსაა ეს ხელები, სულ რამდენიმე სანტიმეტრი აშორებს ბიჭს მათგან — რა მოხდა? ჰო, მოჰყევი. დაჯექი, რას დგახარ, დეიდაჩემი შინ არაა.

ბიჭმა შეხედა — მათხოვარა შენთანაა? გოგოს თვალები გაუგანივრდა — ვინა? — ვინ და რიკარდო არანა.

— აჰ! იმ ბიჭზე ამბობ, კუთხის სახლში რომ ცხოვრობს? — დინჯად წაილაპარაკა ტერესამ. აი, ისევ შეჰღიმა ბიჭს.

— მოგაკითხა? — აღარ მოეშვა ალბერტო.

— არა, რა იყო?

— მართალი მითხარი, რად მატყუებ, მაშასადამე.. — ბიჭს სიტყვა გაუწყდა, რაღაც წაილუღლუღა, მერე სულ დადუმდა.

— ტერესამ დინჯად შეხედა, თავი ოდნავ გააქნია. აღარც ხელებს ამოძრავებდა, მაგრამ თვალები კი სხვანაირად უციმციმებდა — ეშმაკურად ხომ არა?

— მაგას რად მეკითხები? — ნელი, ოდნავ დამცინავი ხმით ჰკითხა მან.

— მათხოვარა დღეს გაიპარა, — უთხრა ბიჭმა — მეგონა, შენ მოგაკითხა. ასე უთქვამს, დედა ავად გამიხდაო.

— ჩემთან რატომ მოვიდოდა?

— იმიტომ, რომ უყვარხარ.

ახლა უკვე მთელი პირისახე უციმციმებდა ტერესას, ლოყები, ტუჩები, გადატკეცილი შუბლი, ზემოდან რომ კულულები დაჰყრია.

— მე არ ვიცოდი, — თქვა, — ჩვენ ერთი წუთი ვილაპარაკეთ მხოლოდ.

— მეც იმიტომ გამოვიპარე, — ბიჭი დადუმდა, ერთხანს ჩუმად იდგა და მერე დასძინა — ვიეჭვიანე. მეც მიყვარხარ და იმიტომ.

VII

„მუდამ კოხტა და ფაქიზი იყო, მოხდენილი. ნეტა მისთანა სხვა რატომ არაა-მეთქი? ვფიქრობდი ჩემთვის. ვერც იმას იტყოდი, კაბებს ხშირად იცვლისო, გამოსაცვლელი სად ჰქონდა. თუ ვმეცადინეობდით და თითებს მელნით. დაისვრიდა, მაშინვე დადებდა წიგნს იატაკზე და ხელის დასაბანად გაიქცეოდა. რვეულზე თუ მელანი დაეწვეთებოდა, იმ წუთსვე ამოხევდა ფურცელს და ხელახლა გადაწერდა. ვეტყოდი ხოლმე: „დროს ნეტა რად ჰკარგავ? დანით ამოფხიკე, არაფერიც არ დაეტყობა“. გაგიგონია! ხომ ასე წყნარი და მშვიდი იყო, ამაზე კი გაბრაზდებოდა; საფეთქელზე, აი, იქ, შავი კულული რომ ჩამოსწეწოდა, ძარღვი აუთამაშდებოდა ხოლმე ისე ნელა, როგორც გულმა იცის ძგერა, ტუჩებს მოკუმავდა. მაგრამ ხელებს რომ დაიბანდა და მობრუნდებოდა, ისევ უღიმოდა პირისახე. სკოლაში ფორმა ეცვა — თეთრი კოფთა და ლურჯი ქვედა კაბა. ვუყურებდი მომავალსა და ვფიქრობდი: „ღმერთო, ან რატომ ლაქა არსად აცხია, ან დაკუჭული არა აქვს-

მეთქი კაბა“. კიდევ უჯრულა კაბა ჰქონდა ერთი, უსახელო, მაგრამ დახურული, ყელთან განასკვული ბაფთით. ღია ყავისფერი ჟაკეტიც ჰქონდა. იმ ჟაკეტს ზედა ღილზე იკრავდა, კალთები კი უფრიალებდა და ძალზე შვენოდა. ამ კაბას კვირაობით იცვამდა, სტუმრად რომ მიდიოდა. კვირა ყველაზე მეტად მეჯავრებოდა. ადრიანად წამოვხტებოდი და ბელიავისტას მოედანზე გავრბოდი. იქ ან ძველ სკამზე ვიჯექი, ან კინოს წინ ვტკეპნიდი ქუჩას და იქიდან ვუთვალთვალებდი მის სახლს. სხვა დღეებში ტილაუ მეტისთან ყიდულობდა ხოლმე პურს, კინოს ახლოს. „აბა უყურე, ისევ შევხვდით-მეთქი“, — ვეტყოდი ხოლმე. თუ შიგ ბევრი ხალხი იყო, მე შევდიოდი საყიდლად, ის გარეთ. მიცდიდა. მეტისი ხათრით ურიგოდ მაძლევდა.

ერთხელ დაგვინახა, ერთად რომ შევედით, და გვითხრა: „ოჰო, ნეფე-პატარძალს გაუმარჯოს! როგორც ყოველთვის ცხელი ფუნთუშები, ხომ?“ მუშტრებს გაეცინათ, ტერე გაწითლდა. „გეყოს ტილაუ, იხუმრე და მორჩა, ჩქარა მოგვეცი პური“, — ვუთხარი. კვირაობით საფუნთუშე დაკეტილი იყო. ტერესა და დეიდამისს კინოს ვესტიბიულიდან ან ძელსკამიდან ვუთვალთვალებდი. სანაპიროზე მიმავალ ავტობუსს ელოდნენ. ზოგჯერ ჯიბეებში ხელჩაყოფილი, კენჭისა ან საცობის გორება-გორებით ჩავუვლიდი გვერდით, დაუდევრად გადავულაპარაკებდი: „გამარჯობათ, სენიორა, გაგიმარჯოს, ტერესა“, და უკან მივყვებოდი ჩემს სახლამდე ან საენს პენიას ქუჩამდე — შინ ყავისფერი ქვედა კაბა ეცვა, ძველი, გამოხუნებული. რამდენჯერ მინახავს ჩემი თვალით, დეიდამისს რომ დაუკერებია, მაგრამ არაფერი ეტყობოდა. მკერავის ხელი, ხომ იცით, სხვაა. ხოლო როცა თვითონ ტერე კემსავდა, სკოლის, ფორმას აღარ იხდიდა, სკამზე გაზეთს გაფენდა ხოლმე. ყავისფერ ქვედაკაბაზე თეთრ კოფთას იცვამდა, სამი ღილი რომ ჰქონდა, ოღონდაც ზედა ღილს აღარ იკრავდა და იქიდან მაღალი მზემოკიდებული ყელი უჩანდა. ზამთრობით ზემოდან

ღია ყავისფერ ჟაკეტს მოისხამდა, გახსნილს. „ასე გემოვნებით როგორ ასამებს ყველაფერს!“ — ვფიქრობდი გულში.

ორი წყვილი ფეხსაცმელი ჰქონდა. აქ უკვე გემოვნება ვერაფერს უშველიდა. სკოლაში შავი დახურული ფეხსაცმელი ეცვა, მამაკაცისას რომ ჰგავდა, ოღონდაც პატარა. ისე აპრიალებდა, არსად ნაოჭი არ ემჩნეოდა. შინ დაბრუნებისას ალბათ ხელახლა სწმენდდა. ხშირად მინახავს, ქუჩაში შავები ეცვა, შინ რომ მივადგებოდი სამეცადინოდ, უკვე თეთრებში იყო, შავები კი — გაპრიალებულ-გაკრიალებული, სამზარეულოში ელაგა. არა მგონია, ყოველდღე საცხით ეწმინდა, მაგრამ ხავერდის ნაჭრით კი უთუოდ ყოველ ცისმარე აპრიალებდა. თეთრი ფეხსაცმელი საკმაოდ მოძველებოდა. როცა ფეხს ფეხზე გადაიდებდა, ძირგამოხვრეტილი ლანჩები უჩანდა. ერთხელ ფეხი მიარტყა მაგიდას და შეჰკივლა. დეიდამ ფეხსაცმელი გახადა, ფეხი დაუზილა. ფეხსაცმელში კი მუყაოს ნაჭერი ჰქონდა ჩაფენილი. ნამდვილად გახვრეტილი ექნება-მეთქი ძირი, ვიფიქრე. ერთხელ ვნახე, ცარცით რომ წმენდდა თეთრ ფეხსაცმელს. ისე გულდაგულ წმენდდა, თითქოს გაკვეთილს ამზადებს. იმიტომაც ახალივით გამოიყურებოდა, ოღონდაც დიდხანს არა. როგორც კი ფეხს რასმე მიარტყამდა, ცარცი გადასცილდებოდა და მაშინვე შავი ლაქა დააჩნდებოდა. ერთხელ ვიფიქრე: „ბევრი ცარცი რომ ჰქონდეს, ფეხსაცმელი მუდამ სუფთა ექნება. რა წამს ფეხსაცმელი გაუჭუჭყიანდება,. ჯიბიდან ცარცს ამოიღებს და გაწმენდს-მეთქი“. ჩვენი სკოლის პირდაპირ საკანცელარიო მაღაზია იყო. შევედი და ვიკითხე, ცარცის კოლოფი რა ღირს-მეთქი. თურმე დიდი ექვსი სოლი ღირდა, პატარა კი ოთხნახევარი. არ ვიცოდი, ასე ძვირი თუ იქნებოდა. ვერც კნაჭა იგერასისთვის მეთხოვა ფული, ძველი ვალიც არ დამებრუნებინა. იმხანად უკვე კაი ძმაკაცები ვიყავით, იმავე სასაუზმეში ვხვდებოდით ერთმანეთს, ოღონდაც ხშირად არა. ანეკდოტებს

მიყვებოდა, სკოლის ამბებს მეკითხებოდა, სიგარეტებს მაძლევ-და, მასწავლიდა, როგორ დამერტყა ნაფაზი და კვამლი ცხვირი-დან გამომეშვა — ერთხელ გავთამამდი და ოთხნახევარი სოლი ვესესხე. „რამდენიც გინდა, მოგცემო“, მითხრა და არც მკითხა, რაში გჭირდებაო. მაშინვე გავქანდი მაღაზიაში და კოლოფი ვი-ყიდე. ვიფიქრე, ასე ვეტყვი: „აი, ტერე, საჩუქრად რა მოგიტანე“. მეგონა, ასეც ვეტყოდი, მაგრამ რომ შევედი და დავინახე, ესღა ამოვღერღე: „სკოლაში მოგვცეს ცარცი, მაგრამ მე რაში მჭირდე-ბა. შენ ხომ არ გინდა?!“ „ჰო, მინდაო“, — მითხრა“.

„ეშმაკ-ქაჯების მე არაფერი მწამს, მაგრამ იაგუარს რომ ვუყუ-რებ, ხანდახან ვფიქრობ, ვინ იცის, მართლაც არსებობენ-მეთქი ეშმაკ-ქაჯები. იძახის, ღმერთი არ მწამსო, მაგრამ მიქარავს. ჩემი თვალით ვნახე, რა გემოზე ჩააფარა აროსპიდეს, როცა წმინდა როზაზე არატრატებდა იგი ენას. „ვინც წმინდა როზას აწყენინებს, ის დედაჩემსაც აწყენინებს. დედაჩემს წმინდა როზა უყვარდაო“. მე მგონი, ეშმაკს უთუოდ იაგუარის სახე აქვს და იაგუარივითაც იცინის ალბათ, ესაა, ეშმაკს რქები აბია. „კავას დაიჭერენ, — თქვა, — ყველაფერი იყნოსეს“. მე და ქოჩორა გავქვავდით, სუნ-თქვა გაგვიჩერა, ის კი იცინის. საიდან გაიგო? ფიქრად სულ ესა მაქვს. მივეპარები ერთხელ უკნიდან, დავეძგერები, ძირს გავა-გორებ და თხლაშ, თხლაშ! ჩავაფარებ და ჩავაფარებ. ვნახოთ ერთი, გონს რომ მოვა, რას იზამს. ნაღდში ქოჩორაც ამასვე ფიქ-რობს. დღეს მითხრა: „იცი, რა გითხრა, პითონ? მაგ შენი იაგუა-რისთანა გველაძუა მეორე არ მეგულება. ნახე, როგორ იყნოსა კავას ამბავი და იცინის კიდეც? ჩვენ რომ გამოვეჭირეთ, ალბათ სიცილისაგან ჩაისველებდა“. შემდეგ, გიყვარდეს, გაცოფდა იაგუარი, თუმცა კავას გამო კი არა, მე მომაყენეს შეურაცხყოფა, მაგათ არ იციან, ვისთან აქვთო საქმე. ეგ ხომ არა ზის, კავა ზის. რომ წარმოვიდგენ, შეიძლება მე მრგებოდა წილად ბილეთების

აწაპვნა, ტანში მაჟრიალებს. მეტი არ მინდა, იაგუარი ჩავარდეს, იმასაც ვნახავდი, რას იზამდა. მაგას, ნუ გეშინია, ხელი არ ახლეს. მოდი და ნუ გასკდები გულზე. ყველაფერი წინდაწინ იცის. ამბობენ, მხეცები ყნოსვით გრძნობენო ყველაფერს. დედამ მიამბო, ორმოც წელს მიწისძვრა რომ მოხდებოდა, წინდაწინ ვიცოდი, მეზობლების ძაღლები ლამის დაცოფდნენ, დარბოდნენ, ყმუოდნენ, თითქოსდა რქიანი ეშმაკი ნახესო. მერე მართლაც იძრა მიწა. ასეა იაგუარიც, გაიღმიჭა და თქვა: „მიწა გამისკდეს, თუ ვიღაცამ არ გაგვცა“. მორტე და უარინა არც გამოჩენილან, მაგათი ფეხის ხმა არავის გაუგონია. კავა უთუოდ დააბეზღეს! სერჟანტს რომ მოეკრა თვალი, აქამდე ჩასვამდნენ, ამ სამი კვირის წინათ გააგდებდნენ კინწისკვრით. დალახვროს ეშმაკმა, კურსი ხომ უნდა დაამთავრებინონ! ნაღდში ვინმე ლეკვი ან მეოთხეკურსელი დააბეზღებდა. ეგ მეოთხეკურსელები იგივე ძაღლის ლეკვები არიან, ოღონდაც უფრო მოზრდილები და ეშმაკები; ჩვენ ვერ გვაქციეს ძაღლის ლეკვებად, იმიტომ რომ წრე გვქონდა, იმან მოგვცა ძალა, ადვილი საქმე კი არ იყო, შარშან არც ერთი მეხუთეკურსელისთვის არ გაგვიშლია ლოგინი! ჯერ მოვადებდი და მერე დავჭექავდი: „ჰეი, იაგუარ, ქოჩორა, კავა, ჩემთან“. მეათე რაზმის ჭიჭყინებსაც კი შიშით ვერაფერს უბედავდნენ, სულ კი იაგუარის წყალობით, იმან არ გააბედვინა და არ მოანათვლინა თავი, იმან მოგვცა მაგალითი. რაც მართალია მართალია, ვაჟკაცობას ვერ წაართმევ. გიყვარდეს, კარგი დრო იყო, აბა, მერე კი აღარ იყო ასე. თუმცა არ ვინატრებდი კია იმ დროის დაბრუნებას, ერთი სული მაქვს, როდის დავამთავრებთ, თუკი კავამ შიშით ყველა არ ჩაგვყარა. ქოჩორამ თქვა: „თავს მოვიჭრი, თუ კრინტი დააცდენინეს, სულ შანთებით რომ დადაღონო“. არა, ბედი არ გინდა, დამთავრების წინ იმ დამპალი შუშის გამო ჩავარდე. რაც უნდა თქვან და ლეკვობას არ ვინატრებდი. როცა აქაურობის ამბები იცი, რაა და როგორ, ღმერთმა ნუ მაყურყუტოს კიდევ სამი წელი.

ლეკვები იძახიან: „მე სამხედრო ვიქნებიო, მე მფრინავიო, მე მეზღვაური — ყველა ქალაქელსა და თან მდიდარს — მეზღვაურობა უნდა. არა, შენ ჯერ აქაურობის წვენი იგემე და მერე ილაპარაკე!“

სასტუმროს ღია ფანჯრები ყვავილებით გადაჭრელებულ ბაღს დაჰყურებდა. იქიდან სველი ბალახის სურნელი მოდიოდა. ციცქნამ ფირფიტა მეოთხედ დაატრიალა და დაიძახა: „ადე, რას გადათხლაშულხარ, შენთვის ვიკლავ თავს, ჩემთვის კი არა“. ალბერტო მართლაც გათხლაშულიყო სავარძელში, ქანცი აღარ ჰქონდა. მდიდარა და ემილიო იქვე ისხდნენ მაყურებლების კვალობაზე და ელენაზე ემასხრებოდნენ. ახლა ისევ დატრიალდება ციცქნასთან ერთად, მერე სარკეში დაინახავს თავის თავს და ხესავით გაშეშდება. მდიდარა კი იტყვის: „მორჩა, ისევ რობოტივით დააბოტებს“ — ალბერტო წამოდგა. ემილიომ სიგარეტს მოუკიდა, მდიდარასაც დაარტყმევინა ნაფაზი და თვითონაც დაარტყა. ბიჭები ტახტზე ისხდნენ და დაობდნენ, ამერიკული თუთუნი სჯობია თუ ინგლისურიო, ალბერტოსკენ არც გამოუხედავთ. „მაშ ასე, — თქვა ციცქნამ — ახლა შენ მიკავალრე“. ალბერტომაც ჯერ ნელა დაიწყო, გულდასმით გამოჰყავდა კრეოლური ვალსის — ყველა ილეთი, ნაბიჯი მარჯვნივ, ნაბიჯი მარცხნივ, შემოტრიალება, კიდევ შემოტრიალება. „აი, ეს უკვე კარგია, — უთხრა ციცქნამ — ოღონდაც თანდათან მოუჩქარე ტემპს. აბა, მისმინე: ტან-ტან, ტან-ტან, შემოტრიალდი, ტან-ტან, ტან-ტან, კიდევ შემოტრიალდი“. ახლა მართლაც უკეთ გამოუვიდა, აღარ იყო დაძაბული, აღარ ფიქრობდა ცეკვაზე და ციცქნასაც აღარ ამტვრევდა ფეხებს. — კარგია, — იძახდა ციცქნა, — ოღონდაც მჩატედ, მჩატედ დაიჭირე ტანი, მოტრიალებისას წელში გადმოიხარე, აი, შეხე, ასე — წელში ტყდებოდა, იღუნებოდა ციცქნა, რძისფერ პირისახეზე ნაძალადევ ღიმილს აიხატავდა და მყისვე იქრობდა, როგორც კი

ქუსლზე შემოტრიალებული ისევ წელში გაიმართებოდა — ეს იოლი არაა, სხვადასხვა ილეთები უნდა იცოდე, შეიძლო ნაბიჯის შეცვლა, თუმცა ნუ გეშინია, ისწავლი. თავი და თავია, რომ კარგად მიგყავარ. ქალიც დაგეხმარება ცეკვაში. ხელი მაგრად მომიჭირე, ვაჟკაცურად. დაიცა, ახლა მე წაგიყვან. ნახე, როგორ უნდა? მარცხენა ხელი ხელზე უნდა მოუჭირო, ხოლო ცეკვის ეშხში როცა შეხვალ და შეამჩნევ, შენს წყვილსაც უსიამოდ არ დარჩება, შეგიძლია თითები თითებს ჩააწნა, მეორე ხელით კი ნელ-ნელა შენკენ მიიზიდო ქალი. ამიტომ თითები კი არა, მკლავი მთლიანად უნდა შემოხვიო ზურგზე, აი, აქ, მხართან. მერე ნელ-ნელა ძირს ჩააცოცო, ვითომ შემთხვევით ჩაგიცურდა მოტრიალებისას. თუ ქალი არ მოგყვა, უკან გადაიხარა, დაელაპარაკე, გესმის, საუბარი გაუბი, გააცინე, ხელი კი არ გაუშვა. შენკენ მიიზიდე და მორჩა. რაც შეიძლება მეტი აპროწიალე სულ ერთ მხარეს. თუ მარჯვნივ ატრიალე, შენ თავბრუ არ დაგეხვევა, ის კი მარცხნივ იტრიალებს და რეტი დაესხმება. აი, ნახე, თუ არ გაბრუვდა და არ მოგეხუტა. მაშინ გაბედულად მოხვიე წელზე ხელი და თითები გადაუწანი. ლოყა ლოყაზეც შეგიძლია მიადო.

ვალსი დამთავრდა, ნემსი ადგილზე ატრიალდა და ციცქნამაც გააჩერა.

— იცის ბიჭმა, სად როგორ უნდა, — თქვა ემილიომ, — კაი დაქოქილი ვინმე ხარ, ციცქნავ!

— ალბერტოც ცეკვავს უკვე, — დაატანა მდიდარამ, — იქნება „მხიარული უბანი“ გვეთამაშა, ჰა?

ეს თამაში მექსიკელმა კლუბში ისწავლა ამ სამი თვის უკან. თავდაპირველად სახელი შეუცვალეს, უატიკას უბანს ჰგავსო, მაგრამ მერე ისევ ასე მონათლეს. ორი წყვილი თამაშობს ხოლმე, ერთმანეთის წინააღმდეგ. ახლა უბანში მხოლოდ ასე თამაშობენ ბანქოს.

— მაგან მარტო. ვალსი და ბოლერო ისწავლა, — ამბობს ციცქნა, — ახლა მამბოც უნდა ისწავლოს.

— ქანცი გამიწყდა, სხვა დროს იყოს, — უარობს ალბერტო.

ორ საათზე, როცა ბიჭები ემილისთან მოვიდნენ, ალბერტო ძალიან მხიარულად იყო, მასხრობდა და ოხუნჯობდა, მაგრამ მთელი ოთხი საათი ცეკვაში ვარჯიშმა ქანცი გამოაცალა. ახლა მარტო ციცქნა იყო ცელქობის გუნებაზე, სხვებმა მოიწყინეს.

— შენი ნებაა, — უთხრა ციცქნამ, — ოღონდაც არ დაივიწყო, ხვალ საღამოს ვართ მიწვეულნი — ალბერტო შეკრთა. „მართლაც ხვალაა, თანაც ანასთან, — გაუელვა თავში — მთელი საღამო მამბოს იცეკვებენ ალბათ“. ანაც ისევე ღმერთივით ცეკვავს, როგორც ციცქნა, თვითონ იგონებს ახალ-ახალ ილეთებს. მეწყვილე რომ დაატრიალებს, ბედნიერებისაგან ლამის დადნეს. „მე მთელი საღამო კუთხეში ვიყო ატუზული, ელენა კი სხვებმა აბზრიალონ? მარტო ჩვენი ბიჭები მაინც იყვნენ!“

ამ ბოლო ხანს მათი უბანი უკვე აღარ იყო არც განცალკევებული კუნძული და არც მიუვალი ციხე-კოშკი. ვიღა აღარ მოაწყდა მათ უბანს, ოცდარვა ივლისის ქუჩის ბიჭები თუ მრუდე, ფრანგების, წმინდა ისიდორეს, ასე განსაჯეთ, ყველაზე გადაკარგული ხევის ქუჩელებიც და საუკეთესო ქუჩები გაავსეს. არაფრად მიაჩნდათ ამ უბნელი ბიჭების მტრული ბღვერა თუ აშკარა გამოწვევა, გოგოებს ტკიპასავით ეკვროდნენ და საათობით ელაყბებოდნენ კარებთან. ისინი აქაურ ბიჭებზე უფროსები იყვნენ და ჩხუბისაც არ ეშინოდათ. გოგოებიც, ნუ გეშინია, თვალებს უპრაწავდნენ, მოეწონათ, მოტრფიალენი რომ გაიჩინეს. მდიდარას ბიძაშვილი სარა წმ. ისიდორეს ქუჩელ ბიჭთან დადიოდა, იმასაც კიდევ თავისი ორი ამფსონი მოჰყავდა და ისინიც ლაურასა და ანასთან იფხანდნენ ენას. მეტადრე მაშინ მოეთრეოდნენ ხოლმე ეს ტუტუცები ბლომ-ბლომად, თუ სადმე საღამოს წვეულება ეგულებოდათ.

ჯერ დაღამებული არ იყო, რომ იმ სახლის სიახლოვეს დაბორიალობდნენ, დიასახლისს ეგლისებოდნენ და ეგრიხებოდნენ. ის თუ მაინც არ დაჰპატიჟებდა, მთელ საღამოს ფანჯრებთან იდგნენ, შუშაზე ცხვირმიჭყლეტილნი, და წყვილებს თვალს არ აშორებდნენ. ბოლოს და ბოლოს ვიღაც შეიბრალებდა ხოლმე (ვისაც ნაკლებად ეცეკვებოდნენ) და დიასახლისს სთხოვდა, დაუძახეო, ჰოდა, როგორც კი შემოცვივდებოდნენ ხროვა-ხროვად, იქაურებს განზე მიაჭყლეტდნენ და ფირფიტებსა და გოგოებს უმალ დაეპატრონებოდნენ. ღმერთმანი; არც ანა იყო სხვებზე უკეთესი: სულ არ გააჩნდა პატრიოტიზმის ნატამალი! ეს უცხო ბიჭები უფრო მოსწონდა კიდეც, ხანდახან წინასწარაც ჰპატიჟებდა.

— ჰო, მართალი ხარ, — თქვა ალბერტომ — მოდი, მამბო მასწავლე.

— ყაბულსა ვარ, ოღონდაც დამაცა, გავაბოლო, — უთხრა ციცქნამ — მანამდე მდიდარას ეცეკვე.

ემილიომ დაამთქნარა და მდიდარას იდაყვი გაჰკრა: „აბა, კლასი გვიჩვენე!“ მდიდარა ახვიხვინდა. საოცარი სიცილი ჰქონდა — მთელი ტანი უთახთახებდა ხოლმე.

— მოდიხარ თუ არა? — მოღუშვით ჰკითხა ალბერტომ..

— ნუ ხარ ფხუკიანი, მოვდივარ, — უთხრა მდიდარამ და წამოდგა, ფირფიტები გადაქექა. ციცქნა პაპიროსს ქაჩავდა და თან ფეხს აბაკუნებდა, რომელიღაც ჰანგს იგონებდა.

— გამიგონე, — წაილაპარაკა ემილიომ, — თუ გიყვარდე, ამიხსენი, შენ ხომ ჩვენზე ადრე იცოდი ცეკვა, — აი, გოგოებთან რომ დავიწყეთ პირველად სიარული. დაგავიწყდა განა?..

— ეს თუ ცეკვა იყო! — თქვა ალბერტომ, — თხასავით დავკუნტრუშობდი მხოლოდ.

— ყველანი ეგრე დავკუნტრუშობდით, — აღარ მოეშვა ემილიო, — მერე კი ვისწავლეთ.

— ეგ დიდი ხანია აღარ დადის საღამოებზე! განა ვერ შეამჩნიე?

— აღარ დავდივარ, — დაატანა ალბერტომ, — იმიტომაც მიჭირს.

— ჩვენ გვეგონა, მღვდლად კურთხევას აპირებდი, — ჩაურია მდიდარამ, რომელსაც უკვე ამოერჩია ფირფიტა და ახლა ხელში ეჭირა — სულ სახლში ყურყუტებდი.

— ჰო, — ჩაილაპარაკა ალბერტომ, — ჩემი ბრალი არაა, დედა არ მიშვებდა.

— ახლა? — ახლა კი. მამასთან უკვე კარგადაა — ვერ გამიგია, რა შუაშია აქ მამაშენი? — იკითხა ციცქნამ.

— მაგის მამა დიდი დონჟუანია, — წაილაპარაკა მდიდარამ — არ იცოდი განა? შინ რომ ბრუნდება, კარის წინ მუდამ პომადას იშორებს.

— ჰო, — დაატანა ემილიომ — ქალაქში ერთხელ წავასწარით, იმისთანა ქალთან იყო, შენი მოწონებული! აბა, ის იყო და!

— ლამაზი კაცია, კარგადაც იცვამს, — თქვა მდიდარამ.

ალბერტოს ხმა არ გაუღია, მამის ქება ეამა.

— საღამოები მაინც რა შუაშია აქ? — იკითხა ციცქნამ.

— მამა რომ ხელს გადაჰყვება, დედა მე აღარ მიშორებს გვერდიდან, ეშინია, მამას არ დავემსგავსო, — თქვა ალბერტომ, — ქალებს არ გადავყვე.

— აბა უყურე! — წაილაპარაკა ციცქნამ — დედაც მაგისთანა უნდა.

— ნუ გეშინია, არც მამაჩემი აკლებს ხელს, — თქვა ემილიომ — ხანდახან დილას რომ გამოგვეცხადება, ცხვირსახოცები სულ პომადაში აქვს ამოსვრილი. დედაჩემი კი ყურსაც არ იბარტყუნებს. გაიცინებს და ეტყვის: „წვერი გაგიჭაღარავდა, შენ კი...“ ანა ეჩხუბება ხოლმე.

— შენ, ეი, ძმაო, — დაუძახა მდიდარამ — გაცეკვო თუ არა?

— დაიცა, გვაცალე ლაპარაკი, — უთხრა ემილიომ, — ხვალ იჯერებ ცეკვით გულს.

— საკმარისია საღამო — ახსენო, ამას ფერფური მისდის, — გაეცინა ციცქნას და ალბერტოსკენ გაიშვირა თითი — ნუ სულელობ. ამჯერად ზურგს აღარ შეგაქცევს. გინდა ნაძლევი?

— ეგრე გგონია? — წაილაპარაკა ალბერტომ.

— გგონია რასა ჰქვია, — უპასუხა ემილიომ, — ამისთანა არაფერი მინახავს. მე ეგრე ვერ შევძლებდი.

— მაინც რას ვაკეთებ ასეთს? — ჰკითხა ალბერტომ.

— რასა და მეოცეჯერ გაუტყდი სიყვარულში — რას იტყუები? მარტო სამჯერ ვუთხარი.

— ჩემი ფიქრით, სწორადაც იქცევა, — გადაჭრით გამოაცხადა ციცქნამ — ვინემ არ დანებდება, არ უნდა მოეშვას. სამაგიეროდ მერე ეგ გააწვალებს.

— სიამაყეს რაღას უშვრები? — თქვა ემილიომ, — მე თუ ერთი უარს მტკიცავს, მაშინვე მეორეს მივაშურებ ხოლმე.

— ამჯერად უარს აღარ გტკიცავს, — თქვა ციცქნამ — გუშინ ლაურასთან შენი ამბავი იკითხა. მექსიკელმა უთხრა:

„მოგენატრა თუ?“ ის კი გაწითლდა.

— მართლა ამბობ? — მიატანა ალბერტომ. — ყურებამდეა შეყვარებული ბიჭი, — წაილაპარაკა ემილიომ, — შეხე, როგორ გაუბრწყინდა თვალები!

— მე მგონია, შენ ისე არ ეუბნები, როგორც საჭიროა, — წაილაპარაკა ციცქნამ, — თავი და თავია, შთაბეჭდილება მოახდინო. აბა, თუ იცი, რა უნდა უთხრა?

— მგონი, ვიცი, — წაილაპარაკა ალბერტომ, — დაახლოებით მაინც.

— მთავარია, ყველაფერი წინდაწინ გაიაზრო, — გამოაცხადა ციცქნამ..

— როდის როგორ, — მიატანა მდიდარამ, — მე, მაგალითად, იმას ვამბობ, რაც იმ წუთს. თავში მომივა.. როცა ვინმე შემიყვარ-

დება, ძალიან ვღელავ ხოლმე, მაგრამ ლაპარაკი თუ დავიწყე, ვერავინ გამაჩერებს. შთაგონება მშველის.

— არა, — შეედავა ემილიო, — ციცქნა მართალს ამბობს. მეც წინდაწინ მაქვს ხოლმე ყველაფერი გააზრებული. ისღა გრჩება საფიქრებელი, როგორ უთხრა, როგორ შეხედო, ხელი როგორ მოჰკიდო.

— ყველაფერს ჭკუა უნდა დაატანო კაცმა, — თქვა ციცქნამ — თუ შეგიძლია, სარკის წინ გაიმეორე.

— ეგრე ვიზამ, — დაეთანხმა ალბერტო და ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ დასძინა, — შენ რას ეუბნები ხოლმე?

— ხან რას და ხან რას, გააჩნია ვის, — მიუგო ციცქნა ემილიომ დინჯად დაუქნია თავი — ელენას პირდაპირ ვერ ჰკითხავ, თანახმა ხარ თუ არაო. ჯერ ნიადაგი უნდა შეამზადო — ალბათ იმიტომაც მტკიცა უარი, — გამოუტყდა ალბერტო — ამას წინათ ვკითხე: „გინდა ჩემი შეყვარებული იყო-მეთქი?“

— ჩერჩეტი! — უთხრა ემილიომ, — თანაც რა დროს ჰკითხე? დილას, ქუჩაში. ჭკუიდან შეშლი კაცს!

— მე ერთხელ ეკლესიაში ავუხსენი სიყვარული გოგოს, — თქვა მდიდარამ, — ხომ იცი, გაჭრა.

— არა, ეგ არ ივარგებს! — გააწყვეტინა ემილიომ და ალბერტოს მიუბრუნდა — აი, რა ჰქენი. ხვალ შენ საცეკვაოდ გამოიწვიე, ოღონდ მანამ არა, ვინემ ბოლეროს არ დაუკრავენ, მამბო აქ არ ივარგებს! აქ რომანტიკული რაღაცაა საჭირო.

— ეგ ჩემზე იყოს, — წაილაპარაკა ციცქნამ — როცა გადაწყვეტ, თავი დამიქნიე. მაშინვე ლეო მარინის „მე შენ მომწონხარს“ დავატრიალებ.

— ჩემი ფირფიტა! — გაეხარდა მდიდარას — მაგ მუსიკაზე რაც არ უნდა ვთქვა, გაჩარხული მაქვს საქმე. არასოდეს არ უმტყუნია.

— კარგი, თავს დაგიქნევ, — დაეთანხმა ალბერტო.

— მაშასადამე, გამოიწვევ, — განაგრძო ემილიომ, — ნელ-ნელა

კუთხისკენ გაიტყუებ, რომ სხვებმა არ გაიგონონ, და ყურში ჩასჩურჩულებ — „ელენიტა, შენთვის ვკვდები კაცი“.

— ფუჰ, დალახვროს ეშმაკმა! — შესძახა მდიდარამ, — გინდა ხელმეორედ სტკიცოს უარი?

— რა იყო? — გაუკვირდა ემილიოს, — მე ყველას ასე ვეუბნები — არ ივარგებს, — ჩაერია ციცქნა, — ეგ ხეპრულად გამოვა. ჯერ სახე უნდა დაიდინჯო და მერე დაიწყო: „ელენა, მე ერთი დიდი ამბავი უნდა გითხრა. მე შენ მომწონხარ, მე შენ მიყვარხარ, გინდა ჩემთან იმეგობრო?“

— ხოლო თუ ხმა არ ამოიღო, — მიატანა მდიდარამ, — ასე უთხარი: „ელენა, ნუთუ არაფრად მიგაჩნივარ?“

— ამას რომ ეტყვი, ნაზად მოუჭირე ხელი, — განაგრძო ციცქნამ.

— უყურე ისევ გადაფითრდა ბიჭი! შენ რა გითხარი, — ემილიომ ზურგზე დაჰკრა ხელი — ნუ გეშინია! ახლა უარს აღარ გეტყვის.

— კი, კი, აღარ გეტყვის, — დაუდასტურა ციცქნამ — აი, ნახავ, თუ არა.

— სოლო შენ რომ ეტყვი, ჩვენ ყველანი შემოგეხვევით და გიმღერებთ: „ეს რა კარგი ბიჭია, ეს რა კარგი წყვილია“ — თქვა მდიდარამ, — ეგ ჩემზე იყოს! ალბერტოს გაეღიმა.

— ახლა კი წადი და მამბო ისწავლე, — უთხრა ციცქნამ, — მიდი, მიდი, ვერა ხედავ, ქალი გიცდის.

მდიდარამ კაი მსახიობივით გაშალა ხელები.

„კავა ამბობდა, სამხედრო უნდა გამოვიდე, ოღონდ არტილერისტიო. ბოლო ხანებში, მართალია, აღარ უთქვამს, მაგრამ გულში, ვინ იცის, მაინც ფიქრობდა. მოგეხსენებათ ველურების ჯიუტი ხასიათი, თავში თუ რამე ჩაიდეს, ნავახით ვეღარ ამოუგდებ. თითქმის ყველა სამხედრო მაგათი კუთხიდანაა, ქალაქელს

ჯარში ვერ შეაგდებ. კავას პირისახეც პირწმინდა სამხედრო კაცისა აქვს. ახლა კი კუკუ ჰკრეს კაცს, ყველაფერმა ჭირი მოგჭამა, სასწავლებელმაც, მომავალმაც. ყველაზე მეტად ეს ამწარებს ალბათ. ამ ველურებს ბედი არ სწყალობთ, ყველაფერში ეგენი უნდა გამოეჩხირონ, ყველაფერი მაგათ უნდა დაატყდეთ თავზე, ვიღაც ოხერმა ენა მიიტანა, კავას კი მთელი მწყობრის თვალწინ სამხედრო ნიშნებს ჩამოგლეჯენ. თვალიდან არ მშორდება ეს სურათი. ბურძგლი მეშლება, რომ წარმოვიდგენ, შეიძლება მე ვყოფილიყავი მის ადგილზე, თუმცა მე შუშას არ ჩავტეხავდი. მართლა ბრიყვი უნდა იყო, შუშა ჩაგიტყდეს. ეს ველურები, ცოტა არ იყოს, დარტყმულები არიან... ალბათ შიშით მოუვიდა, თუმცა მშიშარას არა ჰგავს. აქ კი ნაღდში ილაჩრა, ბედმა არ გაუმართლა. არ წყალობთ მაგ საცოდავებს ბედი, არ იქნება ხათაბალაში არ გაეხვიონ. კიდევ კარგი, მე არა ვარ ველური. თუმცა ვინ იფიქრებდა, ასე თუ მოხდებოდა. რა მხიარული ბიჭი იყო რას უშვრებოდა იმ ჩვენს ფრანგს, როგორ აწამებდა. გიყვარდეს, ფრანგულის გაკვეთილზე ჩვენ გართობა გვქონდა — ჰო, რა ტიპია ეს ფონტანა. კავა ამბობდა: „ყველაფერში ნახევარი კაცია ეგ უბედური, ნახევრად ფრანგი, ნახევრად გიჟი და ალბათ ნახევრად მამაკაციო“. მაგ ფონტანას იაგუარზე ჭახჭახა ცისფერი თვალები აქვს, როცა გიყურებს, ვერ გამოიცნობ, თავს იკატუნებს თუ მართლა ამ განწყობაზეა. ამბობენ, ფრანგი კი არა, წმინდა წყლის პერუელიაო. უკანასკნელი ვიგინდარა უნდა იყო, შენს ქვეყანაზე უარი თქვა. თუმცა ალბათ სტყუიან. ან ვინ ავრცელებს ამ ხმებს? ლამის ყოველდღე მოაქვთ ახალ-ახალი ჭორები. არა, ისე თუ მართლა დეტალი არაა, აბა რად წიკვინებს და რად იგრიხება ისე, ლამის მიხვიდე და უჩქმიტო? ხოლო თუ მართლა არაა ფრანგი, ახია მაგაზე, რომ ვაწვალებდი. ახია, რომ სხვებიც სულს ხდიან. უკანასკნელ გაკვეთილამდე გავაწვალებ. სენიორ ფონტანა, როგორ იქნება ფრანგულად ნეხვი? კაცმა რომ თქვას, ხანდახან თითქოს არა

უშავს, მაგრამ მაინც ჭკუაზე მწყრალად უნდა იყოს. იცოცხლე, ჩვენ ერთხელ ეგ ვაბღავლეთ, როცა, მგონი, სამართებლებით ზუ-ზუო ავტეხეთ. იაგუარმა გვითხრა: „ყველამ მოიტანეთ სამართებ-ლები, მერხის ღრიჭოში ჩავდოთ და თითით ვაბზუილოთ“. ვაჰ, რა იყო! ფონტანა პირს აღებს, რაღაცას ამბობს, ხმა კი არ ისმის, იმისთანა ზუილი დგას. ნუ იცინით თქვე ოხრებო, ისე მწყობრად აღარ გამოვა! ფრანგი პირს აღებს, სამართებლები კი — ზუ-ზუ, ზუიან. უფრო ხმამაღლა ააზუზუნეთ, უფრო ხმამაღლა, ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს, მგონი, ორმოც წუთზე მეტ ხანს ამისთანა ზუილი იდგა, აბა, ჰე, ვინ მოტყდება პირველი? ფონტანა, ვითომც აქ არა-ფერიაო, მუნჯივით ამოძრავებს ტუჩებს, სამართებლები კი ზუიან და ზუიან. მუსიკაც ასეთი უნდა! მერე თვალები დახუჭა, ისევ გა-აღო და ტირილი დაიწყო ამ ქალაჩუნამ. ტუჩებს კი მაინც ამოძრა-ვებდა, — დიდი ჯიუტი ვიღაც ყოფილა ეგ მურდალი. ზუ-ზუ, ზუ-ზუუ! ბოლოს ადგა და გავიდა. ჩვენა ვთქვით: „მორჩა, ახლა დაგვეყ-რება შავი დღე, ლეიტენანტს მოიყვანსო“. თურმე კი არაფერი უთქვამს, მხოლოდ ეს უთხოვია, ჩემ მაგივრად სხვა შევიდესო. ყოველდღე ამისთანა წამებაშია, მაგრამ ოფიცერი ერთხელაც არ შემოიყვანა. ალბათ ეშინია, მიმბეგვავენო, თუმცა ლაჩარს არ უნ-და ჰგავდეს, იქნებ მოსწონს კიდეც, რომ ვაწვალებთ. ამ ქალაჩუ-ნებისას რას გაიგებ კაცი... ისე კი რა უჭირს, თავის დღეში არავის ჩასჭრის. მისი ბრალია, რომ აწვალებენ. მისთანა ხმისა და მი-მოხრის პატრონს ბიჭების სასწავლებელში სწორედაც არ უნდა შემოეყო თავი. კავა გასაქანს არ აძლევს, მართლა ვერ იტანს ამ კაცს. როგორც კი ფონტანა კლასში ფეხს შემოდგამს, იმწამსვე ჰკითხავს: „ფრანგულად როგორაა ქალაჩუნა? ჭიდაობა თუ გიყ-ვართ? ალბათ მსახიობი ბრძანდებით, გვიმღერეთ რა ფრანგუ-ლად. სენიორ ფონტანა, რა წკრიალა ხმა გაქვთ, თვალებიც რიტა ჰეიუორტს გიგავთ“. ქალაჩუნა კი სულ ფრანგულად პასუხობს. „აბა, აბა, სენიორ ფონტანა, გინება არ იყოს. კრივში გიწვევთ, შენ

კი, იაგუარ, ნუ უზრდელობ, წესიერად მოიქეცი“. ერთი სიტყვით, პირდაპირ ცოცხლად ვჭამთ კაცს. ერთხელ დაფაზე წერდა რაღაცას, ჩვენ კი ვაფურთხეთ და ვაფურთხეთ, ფურთხით ავავსეთ პირდაპირ. კავამ კიდევ დაუმატა: „ფუი, რაა მართლა, კაცმა უნდა დაიბანო და ისე შემოხვიდე კლასში“. აი, მაშინ შემოიყვანა პირველად ლეიტენანტი. მაგრამ მაშინ რომ მაგან იწვნია, მეორედ რა შვილია დაუძახოს ვისმე. გამბოა რომაა, მაგისთანა ტყუილია. გადმოხედა. ზემოდან იმ ქალაჩუნას. ჩვენ ყველანი გასუსულები ვსხედვართ. „ჩემგან რას მოითხოვთ, სენიორ ფონტანა? კლასში თქვენა ხართ უფროსი. პატივისცემის მოხვეჭას რა უნდა. აბა, მიყურეთ“. შემოგვხედა და გვითხრა: „ადექით!“ ყველანი ფეხზე გავჩნდით. „დაიჩოქეთ!“ — ყველანი იატაკზე დავეყარეთ. „ადგილზე, იარ“! — ყველანი ადგილზე ავცეკვდით. ათიოდე წუთი ვიხტუნეთ ასე, გეგონებოდა, სახტუნაო თოკს გვირტყამდნენ ფეხებში. ერთი-ორი, ერთი-ორი, ერთი-ორი, დინჯად, უხმოდ ვბაჯბაჯებთ იხვის ჭუკებივით. მერე გვითხრა: „სდექ! აბა, ვინაა ნაწყენი?“ — კრინტი არავის დაგვიძრავს. ფონტანა გვიყურებს, თვალებს არ უჯერის. „აი, როგორ უნდა დაიჭიროთ თავი, სენიორ ფონტანა. ამათ დედა უნდა აგინოს კაცმა, ზრდილი სიტყვა-პასუხი ამათთან არ გადის. მაშ, უსაშვოდ დავტოვო ყველანი?“ — „ნუ შეწუხდებით, — უთხრა ფონტანამ, — კი, ასე უთხრა! — ნუ შეწუხდებით, სენიორ ლეიტენანტო“. მაშინ იყო „პე-დე-რასტი, პე-დე-რასტიო“, ყველა რომ ავზუზუნდით. გიყვარდეს ველურმა გამოიჩინა თავი. ნაღდი მუცლით მეზღაპრეა. დინჯად გიყურებს თვალებში, მუცლიდან კი იმისთანა წრიპინი ამოდის, არ დაიჯერებ კაცი. მაშინ იყო იაგუარმა თქვა: „ახლა მოვლენ და კავას წაიყვანენ, ყველაფერი გამჟღავნდაო“, თქვა. ეს და გაიცინა. კავამ, მე და ქოჩორამ თვალები დავაცეცეთ — ნეტა რა მოხდა? იმავ წუთს უარინა შემოვიდა და გამოაცხადა: „კავა, წამომყევით, უკაცრავად, სენიორ ფონტანა, დიდად საგულისხმო საქმეა“. აფერუმ, ველურო!

ადგა და გაჰყვა, არავის არ შემოგვხედა. იაგუარმა კი დაიწყო: „არ იციან, ვისთან აქვთ საქმე“, — მერე მოდგა კავას და აგინა და აგინა: „ეგ აქოთებული ველური, ეგა, ეგ ლენჩი, ეგა, ჩავარდა მაინც. ყველანი ეგეთები არიან“. თითქოსდა კავას ბრალი იყოს, სასწავლებლიდან რომ გააპანღურებენ“.

ახლა აღარ ახსოვს ის ერთფეროვანი წვრილმანები, მის ცხოვრებას. რომ შეადგენდა მას აქეთ, რაც მიხვდა, არც დედის ნდობა შეიძლებაო. მაგრამ ის მწარე ნაღველი, შიში და ბოღმა კი კარგად ახსოვს, მთელი ღამეები რომ აწამებდა, ყველაზე მეტად თავის მოკატუნება უჭირდა. ადრე მანამ არ ადგებოდა ლოგინიდან, ვინემ მამა არ წავიდოდა, მაგრამ ერთხელ მძინარეს ვიღაცამ ზეწარი გადააძრო. შესცივდა და დღის სინათლემ თვალები მოსჭრა. გული გაუჩერდა ბიჭს თავზე მამა ადგა, როგორც მაშინ, ახლაც ისე აბრიალებდა თვალებს.

— რამდენი წლისა ხარ? — მოესმა მისი ხმა.

— ათის.

— კაცი ხარ თუ ქალი?

— კაცი, — წაილუღლუღა მან.

— აბა, ადექ! — დასჭექა ხმამ — ქალები გირაობენ მხოლოდ მთელი დღეები, იმიტომ, რომ საქმე არ ეკითხებათ. გოგოსავით გაგანებივრეს, რაღა. არა უშავს, მე გაგხდი კაცად!

წამოხტა და ჰაიჰარად ჩაიცვა. სიჩქარეში თავი ვერ მოაბა ვერაფერს — ხან პერანგი ჩამოიკვესა უკუღმა, ხან საკინძე შეიკრა აჩხაბაჩხად, ვერ მიაგნო ქამარს, ვერ შეიკრა ზონრები, ისე უკანკალებდა ხელები.

— მე რომ სასაუზმედ ჩამოვალ, ყოველდღე პირდაბანილი და თმადავარცხნილი დამხვდი აქ. გასაგებია?

იმ დღიდან მოყოლებული მამასთან საუზმობდა. თუ მამა წარ-

ბებშეყრილი არ იყო და მშვიდად იღიმებოდა, ექლესებოდა მამას, ეკითხებოდა რაღაცეებს, დიდი ყურადღებით უსმენდა, თავს უქნევდა, თვალებგაფართოებული შესცქეროდა, მანქანას გაგირეცხავო, სთავაზობდა. ხოლო თუ მამა მოჭმუხნილი იყო, არ მიესალმებოდა, ისიც დუმდა და დამნაშავესავით თავდახრილი უსმენდა მის ქადილსა და მუქარას. სადილად აღარ მეფობდა დაძაბულობა, დედა იყო სუფრასთან და მამას ართობდა. საუბრით გატაცებულ დედ-მამას ხშირად დავიწყნია მისი იქ ყოფნა. საღამოობით აღარ ეწამებოდა, მამა გვიან ბრუნდებოდა შინ. ისიც ადრე ვახშმობდა, მარტო. შვიდი საათიდან დედას საშველს არ აძლევდა, წუწუნებდა, დაღლილი ვარო, თავი მტკივაო, მინდა დავიძინოო. სწრაფად გადაყლაპავდა ვახშამს და თავის ოთახში გარბოდა. ზოგჯერ ტანთ გახდილიც არ იყო, მუხრუჭების ღრჭიალი რომ ჩაესმოდა. უმალ ჩააქრობდა სანთელს და ლოგინში დურთავდა თავს. ერთი საათის მერე კი ფეხაკრეფით წამოდგებოდა, ტანთ გაიხდიდა და პიჟამას ჩაიცვამდა.

ხანდახან დილაობით სეირნობდა. სალავერის ქუჩა ცარიელი იყო, როდის-როდის გაიგრიალებდა თითქმის ცარიელი ტრამვაი — მივიდოდა ბრაზილიის ქუჩამდე, კუთხეში დადგებოდა. ქუჩა განიერი იყო და დედა უკრძალავდა, არ გადახვიდეო. უცქეროდა შორს, ქალაქის გულისკენ მიმავალ ლიანდაგს. გაიხსენებდა ბოლოგნესის მოედანს, ეს ქუჩა რომ ებჯინებოდა — იქ მშობლებთან ერთად იყო ნამყოფი. იცოდა უკვე, რამდენი ტრამვაი და მანქანა დასრიალებდა იქ, რამდენი ხალხი ირეოდა გადასასვლელებზე, როგორ ირეკლებოდა მანქანის პრიალა ზედაპირზე მოელვარე ვიტრინები და რეკლამათა ჭახჭახა, გაუგებარი ასოები. ეს ქალაქი ძალიან აშინებდა, მეტისმეტად დიდი იყო, აქ შეიძლება დაიკარგო და გზა ვეღარც გამოიცნო. ქუჩებში სულ უცხოები იყვნენ. ჩიკაგოშიც მარტო სეირნობდა ხოლმე, მაგრამ იქ ხალხი ეფერე-

ბოდა, თავზე ხელს უსვამდნენ, მისი სახელი იცოდნენ, ისიც ყველას უღიმოდა — ყველას იცნობდა, — ან თავის ოჯახში ენახა, ან მოედანზე, აწ ტაძარში თუ სანაპიროზე.

მერე ბრაზილიის ქუჩას ჩაჰყვებოდა ბოლომდე. იქ სკამზე ჩამოჯდებოდა, პატარა მრგვალ ბაღში, სადაც მაგდალენას უბანს ნაცრისფრად მოელვარე ზღვა ჭრიდა. ჩიკლაიოში ბაღები ცოტა იყო, ყველა ზეპირად ახსოვდა, — ისინიც ძველი ბაღები იყო, მაგრამ იქ ვერც ჩაჟანგულ სკამებს ნახავდი, ვერც ხავსს. იქ არ გრძნობდა ასეთ მარტოობას, გულს არ უწუხებდა ეს ლეგა ჰაერი, ზღვის ნაღვლიანი შხუილი. იგი ზურგით იჯდა ზღვასთან, უყურებდა ბრაზილიის ქუჩას, ქალაქის ჩრდილოეთით რომ მიემართებოდა, საიდანაც ჩამოვიდა ლიმაში, და ლამის სიმწრისგან ეკივლა, ებღავლა. ახსენდებოდა, დუქნიდან მობრუნებული დეიდა ადელა როგორ გახსნიდა ხოლმე ჩანთას და ღიმილით ეტყოდა: „აბა გამოიცანი, რა მოგიტანე“, და ჩანთიდან ხან კანფეტებს, ხან შოკოლადს ამოაძვრენდა. ისიც მაშინვე გამოგლეჯდა ხელიდან საჩუქარს. ახსენდებოდა მთელი წლის მანძილზე მზით გაჩახჩახებული ქუჩები, მყუდროდ, მხიარულად გატარებული უქმეები. ახსენდებოდა სანაპიროზე სეირნობა, რბილი ყვითელი სილა, მოკრიალებული ცა. მერე აიხედავდა მაღლა — ცა ღრუბლებით იყო დაფარული, არსად არ ჩანდა სილურჯე. ბებერივით წამოფრატუნდებოდა შინისკენ, ძლივს მოათრევდა ფეხებს. „გავიზრდები და ჩიკლაიოში წავალ, — ფიქრობდა იგი, — ლიმაში ფეხსაც არ დავადგამ“.

VIII

ლეიტენანტმა გამბოამ თვალები გაახილა. ფანჯარაში ფარნების მქრქალი შუქი შემოდიოდა მოედნიდან. ცა შავი იყო. რამდენიმე წამის შემდეგ მაღვიძარაც აწკრიალდა. გამბოა წამოხტა, ხელი მოაფათურა, პირსახოცი, საპონი, კბილის ჯაგრისი და ელექტროსაპარსი აიღო. დერეფანსა და აბაზანის ოთახში კაცი არ შეხვედრია. მეზობელ ოთახებში სიჩუმე იყო. როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაზე ადრე ადგა. თხუთმეტი წუთის პირგაპარსული და დაბანილი რომ შემობრუნდა, სხვა მაღვიძრებმაც ატეხეს რეკვა. ირიჟრაჟა. შორს, ფარნების მოყვითალო შუქის მიღმა, ცას სილურჯე შერეოდა. გამბოამ აუჩქარებლად ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა. გასასვლელისკენ ყაზარმების მხრიდან აღარ წასულა, ეზო-ეზო გასწია. გრილოდა, კიტელი კი არ ეცვა. დარაჯები მიესალმნენ და თვითონაც დაუბრუნა სალამი. მორიგე ოფიცერს ლეიტენანტ პედრო პიტალუგას სკამზე ჩასძინებოდა. ხელები თავზე შემოედო.

— სმენაა! — ჩასძახა გამბოამ.

თვალი არ გაუხელია, ისე წამოხტა ოფიცერი. გამბოას გაეცინა.

— ერთი შენი! — წაილაპარაკა პიტალუგამ და დაჯდა, კეფა მოიქექა — პირანია მეგონე. გავწამდი კაცი, რომელი საათია?

— მალე ხუთი იქნება, ორმოცი წუთი კიდევ დაგრჩა; ტყუილად ნუ დაიძინებ, უარესია.

— ვიცი, — დაამთქნარა პიტალუგამ, — წესდებით აკრძალულია.

— ჰო, — გაეღიმა გამბოას, — ოღონდაც ამიტომ არ მითქვამს. სკამზე რომ დაიძინებ, მერე მთელი სხეული გტეხს. ამას სჯობია რაღაც გააკეთო. ვერც გაიგებ, ისე გავა დრო.

— რა გავაკეთო? ჯარისკაცებს ველაპარაკო? „დიახ, სენიორ ლეიტენანტო, არა, სენიორ ლეიტენანტო“. მაგათთან რა მოგაწყენს! ერთი სიტყვა თუ უთხარი, მაშინვე დაგეღრიჯებიან, ქალაქში გამიშვიო.

— მე კი მორიგეობის დროს ვმეცადინეობ, — თქვა გამბოამ — ღამით მეცადინეობას რა სჯობია. დღისით არ გამომდის.

— მაშ-მაშ, შენ ხომ სამაგალითო ვიღაცა გვყავხარ! — მიატანა პიტალუგამ — ჰო, მართლა, ასე ადრე რამ წამოგახტუნა?

— დაგავიწყდა? დღეს შაბათია...

— ჰო, ვარჯიშია! — მოაგონდა პიტალუგას და სიგარეტი გაუწოდა. გამბოამ თავი გადააქნია — კიდევ კარგი, მორიგე ვარ, არ მევალება წამოსვლა.

გამბოას სამხედრო სკოლა გაახსენდა. ის და პიტალუგა ერთ რაზმეულში იყვნენ. პიტალუგა არც ისე კარგად სწავლობდა, მაგრამ დიდებულად კი ისროდა. ერთხელ, წლიური მანევრების დროს, ცხენიანად გადახტა მდინარეში. წყალი მხრებამდე სწვდებოდა, დამფრთხალი ცხენი ჭიხვინებდა. „დაბრუნდი!“ უყვიროდნენ ბიჭები, მაგრამ პიტალუგა დინებას შეერკინა და მეორე ნაპირზე გალუმპული, მაგრამ ბედნიერი ამოძვრა. მათი კურსის მეთაურმა კაპიტანმა მთელი მწყობრის წინ შეაქო და „ყოჩაღო“! უთხრა. ახლა კი პიტალუგა სულ წუწუნებს, სამსახურიც ეზარება

და სწავლაც. ჯარისკაცებივითა და კადეტებივით სულ საშვზე ოცნებობს. იმათ კიდევ ეპატიებათ, ჯარში დროებით არიან, ზოგი ძალით შემოათრიეს, თავის მიწას მოწყვიტეს, ზოგი მშობლებმა შემოაგდეს აქ — პიტალუგამ კი თვითონ აირჩია ეს საქმე. თუმცა მარტო ეგ არაა გამონაკლისი: უარინა ყოველ ორ კვირაში ერთხელ იძახის, ცოლი გამიხდა ავად. მარტინესი მორიგეობაზეც სვამს — ყველამ იცის, თერმოსში. ყავის მაგივრად არაყი რომ უსხია. რად არ მიდიან სამსახურიდან? პიტალუგას ქონი დაედო, არ მეცადინეობს, ქალაქიდან მთვრალი ბრუნდება. „დიდხანს ვერ აცილდება ლეიტენანტობას, — გაიფიქრა გამბოამ და მაშინვე დაატანა, — თუ მაგარი ზურგი არ აღმოაჩნდა“. გამბოას კი სწორედ ის მოსწონს და უყვარს, რაც სხვებს სძულთ ჯარში: წესრიგი, უმცროს-უფროსობის პატივი, სწავლება და წვრთნა.

— მართლა, უნდა დავრეკო — ასე უთენია?

— ცოლი უკვე ფეხზე იქნება, — თქვა გამბოამ — ექვსზე მიემგზავრება.

პიტალუგამ გულგრილად აიჩეჩა მხრები და თავი ხელისგულებში ჩარგო, როგორც კუმ ბაკანში. გამბოა ჩუმად, ნაზად ელაპარაკებოდა ცოლს ტელეფონში, რაღაცას ეკითხებოდა, ახსენებდა, გულისრევის წინააღმდეგო აბები არ დაგავიწყდესო, ურჩევდა, თბილად ჩაიცვიო, სთხოვდა, ტელეგრამა გამომიგზავნეო იქიდან. რამდენჯერმე გაიმეორა: „თავს ხომ კარგად გრძნობო?“ და ბოლოს ჩაწყვეტილი ხმით დაემშვიდობა. პიტალუგამ ძილში ხელები ჩამოუშვა და თავი ზონარივით ჩამოეკიდა. მერე თვალები აახამხამა და ზანტად გაუღიმა გამბოას.

— ისე ელაპარაკები ცოლს, გეგონება, გუშინ დაიწერე ჯვარი.

— სამი თვეა, რაც ვიქორწინეთ, — უპასუხა გამბოამ.

— მე კი კაი ერთი წელია, მაგრამ დავურეკავ კი არადა! ნამდვილი როკაპია, პირწავარდნილი დედამისია. ჰო-ჰო, რაც მიკივლებდა, რატომ გამაღვიძეო!

გამბოას გაეღიმა.

— ჩემი ცოლი პატარაა, თვრამეტი წლისა. ბავშვს ველოდებით.

— შე საწყალო — თქვა პიტალუგამ — არ ვიცოდი. უნდა დაგეზღვია თავი.

— მე ბავშვი მინდა.

— გასაგებია. ჯარში რომ უკრა თავი და სამხედრო გახადო.

გამბოას თითქოს გაკვირვება დაეტყო.

— ვერ ვიტყვი, მინდა თუ არა, სამხედრო იყოს, — ნელა წაილაპარაკა მან და მერე პიტალუგა შეათვალიერა — ყოველ შემთხვევაში, შენისთანა არა.

პიტალუგა წელში გასწორდა, მოიღუშა — ხუმრობ?

— კარგი ერთი, ნუ გაიქაჩე, — უთხრა გამბოამ და გატრიალდა.

გუშაგებმა ისევ სალამი მისცეს. ერთს ქუდი ყურზე ჩამოფხატოდა. გამბოამ დააპირა შემჩნევა მიეცა, მაგრამ თავი შეიკავა, პიტალუგას ეწყინებაო. პიტალუგამ კი ისევ ხელები იტაცა გაბურძგნილ თავზე, მაგრამ აღარ დაიძინა, ერთი შეიკურთხა და ჯარისკაცს უბრძანა, ყავა მომიტანეო.

როცა გამბოამ მეხუთეკურსელთა ეზოში შეაბიჯა, მებუკეს უკვე ბუკი ეკრა სხვა კორპუსების წინ და ახლა უფროსკურსელთა წამოგდებას აპირებდა. ლეიტენანტის დანახვაზე ტუჩთან მიტანილი ბუკი ძირს. დაუშვა და სმენაზე დადგა. იცოდნენ ჯარისკაცებმა და კადეტებმა, რომ ოფიცრებიდან გამბოას გარდა არავინ მოგცემდა სალამს წესდების მიხედვით; სხვები მხოლოდ თავს დაგიქიცინებდნენ და ისიც ყოველთვის არა. გამბოამ გულზე დაიჭდო ხელები და მებუკეს დააცადა ბუკის კვრა. მერე საათს დახედა. კარებში მორიგეები ატუზულიყვნენ. გამბოამ ყველას სათითაოდ ჩამოუარა. ისინიც, ვინემ საფეთქელთან ხელს მიიტანდნენ, ჯერ ბერეტებს დაიხურავდნენ, შარვალსა და ჰალსტუხს გაისწორებდნენ და მერი გამოეჭიმებოდნენ წინ. შემდეგ გატრიალდებოდ-

ნენ და ყაზარმის სიღრმეში გაუჩინარდებოდნენ. იქიდან უკვე ჩვეულებრივი გუგუნი ისმოდა. ერთი წუთის შემდეგ სირბილით მომავალი სერჟანტი პესოა გამოჩნდა.

— სალამი, სენიორ ლეიტენანტო — გაგიმარჯოს. რა მოხდა?

— არაფერი, სენიორ ლეიტენანტო. რაზე ბრძანებთ, სენიორ ლეიტენანტო?

— თქვენ ხომ ეზოში უნდა ყოფილიყავით, მებუკესთან ერთად.

— ვიცი, სენიორ ლეიტენანტო.

— მაშ, აქ რა გინდათ, დაბრუნდით ისევ ყაზარმაში. თუ შვიდი წუთის შემდეგ კურსი არ დაეწყო, პასუხს თქვენ მოგთხოვთ.

— მესმის, სენიორ ლეიტენანტო.

პესოა პირველი რაზმეულისკენ. გაქანდა. გამბოა შუა ეზოში იდგა, საათს დაჰყურებდა. გრძნობდა, მარჯვენა, მარცხენა, წინა თუ უკანა ფანჯრებიდან გამოსული დაძაბული გუგუნი ისე ესალტებოდა ირგვლივ, როგორც ცირკის კარვის კოჭები ანძას.

საწოლ ოთახებში შესვლა რად უნდოდა, ისედაც კარგად იცოდა, რა გაბრაზებული იქნებიან კადეტები, ძილი რომ დაუფრთხეს, ჩაცმასა და ლოგინის გასწორებას ვეღარ ასწრებენ რა სულის კაწკაწით მოელიან ისინი, ვისაც სროლა უყვარს, ომობანას თამაშს; რა უკმაყოფილონი არიან ალბათ ზარმაცები, ვისაც მინდორშიაც ძლივს გაანძრევინებ ხელს მუქარით; სულის სიღრმეში კი ყველა უკლებლივ ნატრობს, სამხედრო ვარჯიშის შემდეგ როგორ გადაირბენს მოედანს, შხაპს მიიღებს, სწრაფად გადაიცვამს მოშავო-მოლურჯო ტანსაცმელს და ქალაქისაკენ მოუსვამს.

ხუთ საათსა და შვიდ წუთზე გამბოამ გაბმით ჩაჰბერა სასტვენს. პასუხად მყის გინება გაისმა. ჰაიჰარად გაიღო კარი და იქიდან მწვანედ მოსილი ბრბო გადმოინთხა. კადეტები მორბოდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ცალი ხელით სამოსს ისწორებდნენ (მეორეში შაშხანა ეჭირათ), ილანძღებოდნენ, ერთმანეთს ლამის ცხვირ-პირს ამტვრევდნენ, და მაინც გამბოას ირგვლივ

ნელ-ნელა ეწყობოდნენ მწკრივებად ოქტომბრის მეორე შაბათის ამ დილაბნელს, ჯერ კიდევ ისეთივე შაბათისა, როგორიც სხვა შაბათები იყო. უცებ რაღაცამ გაიჟღარუნა, ვიღაცამ შეიკურთხა.

— ვისაც შაშხანა გაუვარდა, მწყობრიდან გამოვიდეს! — დაიძახა გამბოამ.

ხმაური უმალ შეწყდა. ყველას ფეხზე მიეკრა შაშხანა და სივრცეს მისჩერებოდა. სერჟანტი პესოა ფეხის წვერებზე მიუახლოვდა ლეიტენანტს და გვერდით ამოუდგა.

— მე ვთქვი, ვისაც შაშხანა დაუვარდა, ჩემთან მოვიდეს-მეთქი, — გაიმეორა გამბოამ.

სიჩუმე ქუსლების ბაკაბუკმა დაარღვია. ახლა მთელი ბატალიონი ლეიტენანტს შეჰყურებდა. გამბოამ თვალებში ჩახედა კადეტს.

— გვარი? კადეტმა გვარი, ასეული და რაზმეული წაილუღლუღა — შაშხანა შეუმოწმეთ, პესოა, — ბრძანა ლეიტენანტმა.

სერჟანტი კადეტისკენ გაიქცა და შაშხანა გულდაგულ შეამოწმა. ჯერ დააცქერდა, მერე ხელში შეატრიალა, ზემოთ ასწია, თითქოს სინათლეზე უნდა გახედოსო, საკეტი გახსნა, ჩახმახს გამოჰკრა.

— კონდახი გაუფხაჭნია, სენიორ ლეიტენანტო, — თქვა მან, — გაზეთილიც არაა.

— რამდენი წელია სასწავლებელში ბრძანდებით, კადეტო? — სამი წელი, სენიორ ლეიტენანტო.

— მერე, სამ წელში ვეღარ ისწავლეთ შაშხანის გაზეთვა? შაშხანის გაგდებას კისრის მოტეხა გერჩივნოთ. ჯარისკაცისთვის იარაღს იგივე ფასი აქვს, რაც მის თავს. თავს ხომ უფრთხილდებით, კადეტო?

— დიახ, სენიორ ლეიტენანტო.

— ჩინებულია, ასევე უნდა გაუფრთხილდეთ შაშხანას. დაბრუნდით — მწყობრში. პესოა, ექვსი საჯარიმო ჩაუწერე მაგას.

სერჟანტმა წიგნაკი ამოიღო, ფანქრის წვერი ნერწყვით დაასველა და ჩაიწერა.

გამბოამ ყველანი სასადილოში გააგზავნა. მეხუთეკურსელთა უკანასკნელი რაზმეული კარს რომ მიეფარა, გამბოამ ოფიცრების სასადილოსკენ გასწია. იქ არავინ იყო, თუმცა სულ მალე უმცროსი ოფიცრები შემოვიდნენ; მეხუთეკურსელთა რაზმეულების მეთაურები — უარინა, პიტალუგა და კალსა და გამბოას გვერდით დასხდნენ.

— აბა, გაინძერი, დრუნჩიანო ინდიელო, — თქვა პიტალუგამ, — ოფიცერი რომ შემოვა, საუზმე სუფრაზე უნდა დახვდეს! — ჯარისკაცმა დამნაშავესავით წაილუღლუღა რაღაც, მაგრამ გამბოას არ გაუგონია: დილის სიჩუმე თვითმფრინავის გუგუნმა დაარღვია და ლეიტენანტმაც ფანჯრიდან ღრუბლიან ცას ახედა, იქნებ დავინახოო. მერე დაბლა, ეზოში ჩაიხედა. ნისლში მოჩანდა ოთხ-ოთხად ერთმანეთზე მიწყობილი ათას ხუთასი შაშხანა. ლამაც იქ დაბორიალობდა და შაშხანების პირამიდებს ყნოსავდა — ოფიცერთა საბჭო იყო? — იკითხა კალსადამ, ყველაზე სქელმა მათ შორის. პურს ილუკმებოდა და ამიტომ გაურკვევლად ლაპარაკობდა.

— ჰო, გუშინ იყო, — უთხრა უარინამ, — გვიან დამთავრდა, თერთმეტი იქნებოდა. პოლკოვნიკმა სულ დორბლები ჰყარა.

— ეგრე იცოფება მუდამაც. ერთ ამბავს გამოარკვევ, მეორე. გამოურკვეველი რჩება.. — თქვა პიტალუგამ და უარინას იდაყვი გაჰკრა — შენ მაინც რა გაქვს საჩივლელი. ამჯერად ბედმა გაგიღიმა. ნამსახურობის ნუსხაში ჩაგეწერება.

— ჰო, არ იყო იოლი საქმე.

— როდის ჩამოაგლეჯენ ნაკერებს? — იკითხა კალსადამ, — სასეირო სანახავია.

— ორშაბათს, თერთმეტ საათზე.

დაბადებითგან ყაჩაღები არიან, — წაილაპარაკა პიტალუგამ — მაგათზე არაფერი სჭრის. აბა, უყურე ოთახის გატეხვა, ქურდობა,

რაც აქა ვარ, უკვე ხუთი კაცი გააგდეს.

— მთელი უბედურება ისაა, რომ ძალით შემოყრილი „ხალხია, — თქვა გამბოამ.

— სამხედროებად არ მიაჩნიათ თავი, — დასძინა კალსადამ.

— მაგათ ჩვენ მღვდლები ვგონივართ, კი, კი, — მიატანა უარინამაც — ერთმა აღსარების თქმა მომინდომა, რჩევა მკითხა. დალახვროს ეშმაკმა!

— ნაწილი აქ იმიტომ მოჰყავთ, არ გაჯიბგირდნენო, — თქვა გამბოამ — სხვები კი იმიტომ, ქალაჩუნები არ გაიზარდონო.

— ნეტა გამოსასწორებელი სახლი ხომ არ ჰგონიათ? — წამოიძახა პიტალუგამ და მაგიდას მუშტი დაჰკრა — ჩვენთან, პერუში, ბოლომდე არავინ მისდევს საქმეს, იმიტომაცაა არეული ყველაფერი. თუნდაც ახალწვეულების ამბავი ვთქვათ. მოვლენ ყაზარმაში ის ტილიანი უსაქმურები და როზგებს რომ იწვნევენ, ადამიანებს ემგვანებიან. ერთ წელიწადში კაცი გამოდის მისგან, ესაა, ამ ინდურ ჯაგარს ვერაფერს უხერხებენ. აქ კი ყველაფერი პირიქითაა: რაც დრო გადის, უფრო და უფრო ირყვნებიან. ეს მეხუთეკურსელები უმცროსებზე უარესები არიან.

— იცოცხლე, მათრახია მაგათი — წამალი, — თქვა კალსადამ — მაგრამ რა მერე, ერთსაც რომ დააკარო ხელი — ვაიუშველებელი ატყდება!

— პირანია მოდის, — ჩუმად წაილაპარაკა უარინამ.

ლეიტენანტები წამოდგნენ. კაპიტანმა გარიდომ სალმის ნიშნად თავი დააქნია. მაღალი კაცი იყო, ოღონდაც ისეთი ფერმკრთალი, ყვრიმალებზე სიმწვანე გადაჰკრავდა. პირანია იმიტომ შეარქვეს, რომ მტაცებელი თევზებივით დიდრონი კბილები გარეთ გამოყროდა და ყბებს სულ ტკაცატკუცი გაუდიოდა. კაპიტანმა ოთხივეს ჩამოურიგა ფურცლები.

— აი, აქ არის ინსტრუქცია, — თქვა მან, — მეხუთე. კურსი ბამბის

მინდვრებიდან შემოუვლის მაღლობს. აბა, იჩქარეთ, გზას ორ-მოცდახუთი წუთი მოუნდებით, თუ მეტი არა.

— ახლავე დავეწყოთ მწყობრში თუ თქვენ დაგიცადოთ, სენიორ კაპიტანო? — ჰკითხა გამბოამ.

— წადით, მე დაგეწევით, — მიუგო კაპიტანმა.

ოთხივე ლეიტენანტი ერთად გავიდა, მაგრამ ეზოშივე დაიშალნენ, ერთ ხაზზე დადგნენ და სასტვენში ჩაჰბერეს. კადეტთა სასადილოში ხმაურმა იმძლავრა, რამდენიმე წამის შემდეგ კი ჯგრო-ჯგროდ გამოიშალნენ კადეტები, პირამიდებთან მიირბინეს, შაშხანები დაიტაცეს და რაზმებად დაეწყვნენ — ბატალიონი მალე გავიდა მთავარი ალაყაფიდან და სანაპიროს გაუყვა. ასფალტს ლაპლაპი გაჰქონდა. კადეტები სამსამად მიდიოდნენ, ისე რომ კოლონის გული შუა ქუჩაზე მიაბიჯებდა დანარჩენები კი აქეთ-იქით ტროტუარებთან.

პალმის ქუჩას რომ მიაღწიეს, გამბოამ ბრძანება გასცა, ბელიავისტას მოედნისკენ დაძრულიყვნენ. ქუჩა თავდაღმართზე ეშვებოდა. ხეების ფოთლებიდან ჩანდა საზღვაო არსენალისა და ნავსადგურის ვეება ნაგებობანი. აქეთ-იქით ძველი, სუროთი შემოხვეული სახლები აყუდებულიყო; ჩაჟანგული მესრები ქუჩებსა და ბაღჩა-ბაღებს ერთმანეთისაგან ჰყოფდა. პროგრესის გამზირს რომ მიაღწიეს, კარგა გათენებული იყო; მწვანილის კალათებით დატვირთული ფეხშიშველა ქალები შეჩერდებოდნენ ხოლმე და დაკერილ სალაშქრო სამოსში გამოწყობილ კადეტებს უცქეროდნენ. ძაღლები ყეფით იწევდნენ მათკენ; გაკნაჭული, ჩატურტლული ბალღები კი კუდში მისდევდნენ, როგორც ღია ზღვაში თევზების გუნდი გემს.

პროგრესის გამზირზე ბატალიონი შეჩერდა — ავტობუსებისა და მსუბუქი მანქანების ნაკადი ნაკადზე მოქროდა. გამბოამ სერჟანტებს ანიშნა და ორივენი შუა ქუჩაში დადგნენ, მანქანათა ნა-

კადი შეაჩერეს, როგორც სისხლს შეაჩერებენ ხოლმე. ბატალიონმა ქუჩა გადაიარა. შოფრები ილანძღებოდნენ და საყვირებს აღრიალებდნენ, იგინებოდნენ კადეტებიც. გამბოა წინ მიდიოდა. მერე ხელი ასწია და კადეტებს უბრძანა, პირდაპირ, ნავსადგურისკენ კი არ წასულიყვნენ, მინდორმინდორ ევლოთ, ბამბის ნათესებისთვის გვერდი აექციათ. ბატალიონი უშენ ადგილზე გავიდა. გამბოამ სერჟანტებს უხმო.

— ხედავთ ამ მაღლობს? — მიუთითა მან მინდვრის იქით შავად აყუდებულ მაღლობზე — დიახ, სენიორ, — ერთხმად მიუგეს მორტემ და პესოამ.

— ჩვენი მიზანი ეგაა. პესოა, თქვენ ექვსი კაცი წაიყვანეთ და წინ გასწით, მაღლობს შემოუარეთ, ვინც კი შეგხვდებათ, უთხარით, იქაურობას გაეცალოს. არც იქ, არც ახლომახლო კაციშვილი არ გაჭაჭანდეს. გასაგებია?

პესომ თავი დააქნია, შეტრიალდა და პირველი რაზმეულისკენ გაემართა.

— აბა, ექვსი მოხალისე გამოვიდეს! — დაიძახა მან. არავინ შეტოკებულა, კადეტები აქეთ-იქით იყურებოდნენ. გამბოამ მათკენ გადადგა ნაბიჯი.

— მწყობრიდან პირველი ექვსი გამოვიდეს, — თქვა მან, — სერჟანტს გაჰყვებით.

პესოა მინდვრისკენ გაიქცა, მარჯვენა ხელს იქნევდა და კადეტებს აჩქარებდა. გამბოა ისევ ოფიცრებთან მობრუნდა.

— დავავალე, ახლომახლო მიდამო ხალხისგან გაწმინდე-მეთქი.

— კარგი გიქნია, — თქვა კალსადამ, — მე მგონი, აქ სადავიდარაბო არაფერი იქნება. მე ჩემებთან ერთად აქ დავრჩები.

— მე კი ჩრდილოეთიდან შემოვუტევ, — წაილაპარაკა უარინამ — ბედი არ გინდა, ოთხ კილომეტრზე უნდა ვიჩანჩალო!

— ერთ საათში მაღლობამდე მიღწევა ადვილი არ გეგონოს, —

თქვა გამბოამ — აბა, იჩქარე.

— იმედია, სამიზნეები ახლა მაინც კარგად გამოჩნდება, — დაატანა კალსადამ, — წინა ჯერზე ქარს ჩამოეგლიჯა თურმე, ღრუბლებს ვესროდით.

— მაგისი ნუ გეშინია, — უთხრა გამბოამ, — ახლა მუყაოსგან აღარ არის, ტილოსია, ერთი მეტრი დიამეტრი აქვს. გუშინ ჯარისკაცებმა დადგეს. ოღონდაც ვინემ ორას მეტრზე არ მიუახლოვდებით, არ ასროლინო.

— გასაგებია, გენერალო, — თქვა კალსადამ, — ამასაც გვასწავლი?

— თოფისწამალი ტყუილად რად უნდა დახარჯო? სულ ერთია, შენები მაინც ვერ მოარტყამენ ნიშანში, — უთხრა გამბოამ

— ნაძლევზე რას ჩამოხვალ, გენერალო? — ჰკითხა კალო სადამ.

— ხუთ გირვანქას.

— მოწმე მე ვარ, — წამოსცდა უარინას.

— ეგრე იყოს, — თქვა კალსადამ — ჩუმად!. პირანია მოდის.

კაპიტანი ოფიცრებს მიუახლოვდა — რას უცდით?

— ყველაფერი მზადაა, — მოახსენა კალსადამ — თქვენ გელოდებით, კაპიტანო.

— პოზიცია შეარჩიეთ?

— დიახ, სენიორ კაპიტანო.

— შესამოწმებლად თუ გაგზავნეთ ხალხი, ვინმე არ იყოს ახლომახლო?

— დიახ, სენიორ კაპიტანო. სერჟანტი პესოა წავიდა.

— კარგი. საათები შევამოწმოთ, — თქვა. კაპიტანმა — ცხრაზე დავიწყოთ. სროლა ცხრასა და ოცდაათზე იყოს. როგორც კი შეტევაზე გადახვალთ, სროლა შეწყვიტეთ. გასაგებია?

— დიახ, სენიორ კაპიტანო.

— ათზე ყველანი მწვერვალზე შეიკრიბეთ. ადგილი სამყოფია.

ასეულები სირბილით წაიყვანეთ საწყისი საზღვრიდან. ბიჭები. შეხურდებიან.

ოფიცრები დაიშალნენ. კაპიტანი ადგილიდან არ დაძრულა, ბრძანების ხმებს აყურადებდა. გამბოა ყველაზე რიხიანად იძ-ლეოდა ბრძანებებს. მერე კაპიტანი მარტო დარჩა. კადეტთა ათა-სეული სამ ჯგუფად დაიყო, სხვადასხვა მხრიდან დაიძრნენ მაღ-ლობისაკენ. კადეტები გზადაგზა ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, კა-პიტნამდე ცალკეული სიტყვებიღა აღწევდა. ლეიტენანტები რაზ-მეულებს წინ მიუძღოდნენ, სერჟანტები გვერდით მიაბიჯებდნენ. კაპიტანმა გარიდომ დურბინდი მიიტანა თვალებთან. მაღლობის ყოველ ოთხ-ხუთ მეტრზე უნაკლოდ ნაკეთები მრგვალი სამიზ-ნეები იდგა. კაპიტანსაც მოეხალისა სროლა. მაგრამ ახლა კადე-ტებს უნდა ესროლათ, ის კი უნდა მდგარიყო და ეცქირა, სხვა არა-ფერი. შავი სიგარეტების დასტა გახსნა, ერთი ცალი ამოაძვრინა, ძლიერი ქარი ქროდა, ასანთს აქრობდა. როგორც იქნა მოუკიდა და სწრაფად გასწია პირველი რაზმეულისკენ. გართობა თუ გინ-და, გამბოას უნდა უცქირო კაცმა, ისე გულდასმით და მონდომე-ბით ეკიდება იგი სწავლებას.

მაღლობის ძირს რომ მიაღწიეს, გამბოამ დაღლა შეამჩნია კა-დეტებს. ზოგს სულ მიტკლისფერი დასდებოდა, ძლივას სუნთქავ-დნენ, შეწუხებული უმზერდნენ გამბოას, როდის იტყვისო: „სდექ!“ მაგრამ მან არაფერი თქვა, მხოლოდ თეთრ სამიზნეებს შეხედა. სამიზნეებიდან ბამბის მინდვრებისკენ ყვითელი კალთები ეშვე-ბოდა, მაღლა, ხუთიოდე მეტრზე მაღლობის. თხემი ჩანდა. გამ-ბოა, არ შეჩერებულა,. სირბილით გასწია გორაკის გასწვრივ. მინდორში კიდევ უფრო აუჩქარა ფეხს. ტუჩები ჯიუტად მოეკუმა, თუმცაღა გრძნობდა, რომ ერთი მადლიანი ჩასუნთქვა მისწრება იყო მისი გულ-ფილტვებისათვის. კისერზე ძარღვები დაებერა, თავით ფეხამდე ცივმა ოფლმა დაასხა. მოიხედა, ერთ კილომეტ-

რზე მაინც თუ გავცდითო მაღლობს, მერე თვალები დახუჭა და კიდევ უფრო უმატა ნაბიჯს. ხელების ქნევით მიქროდა, სულს ძლივს ითქვამდა. ასე მიაღწია. ბუჩქებამდე. ეს ბუჩქები თხრილთან ამოზრდილიყო, სადაც არაფერი ეთესა. მითითების მიხედვით ეს თხრილი უნდა ყოფილიყო პირველი ასეულის განლაგების საზღვარი. შეჩერდა და მაშინღა მოითქვა სული, ხელები გაშალა და ღრმად ჩაისუნთქა. მოტრიალებამდე ოფლი მოიწმინდა, რომ კადეტებს არ დაენახათ, ლეიტენანტსაც სიქა გასძვრაო. ბუჩქებს პირველად სერჟანტებმა და რაზმეულის მეთაურმა აროსპიდემ მოაღწიეს. მერე დანარჩენებმაც მოირბინეს. კოლონები ერთმანეთში არეულიყო, კადეტები ჯგუფ-ჯგუფად მორბოდნენ. სულ მალე სამივე რაზმი ნალივით დალაგდა ლეიტენანტის ირგვლივ, თოფები ფეხზე მიიყუდეს. ისმოდა ას ოცი კადეტის მძიმე ქშენა. — რაზმეულის მეთაურებო, ჩემთან, — განუცხადა გამბოამ. აროსპიდემ და კიდევ ორმა კადეტმა მისკენ გადმოდგეს ნაბიჯი — ასეულო, თავისუფლად!

იგი რამდენიმე ნაბიჯით უკან გადგა — სერჟანტები და რაზმის მეთაურები უკან მიჰყვნენ — და მიწაზე ხაზები და ჯვრები დახაზა, ამოცანა დაწვრილებით განმარტა.

— გასაგებია? — იკითხა მან. ხუთივემ თავი დაუქნია — მაშ ასე, საბრძოლო ჯგუფები ჩემს ნიშანზე გაიშლებიან, ხბორებივით შეჯგუფულნი კი არ გაცვივდებიან წინ, მანძილს დაიცავენ. ჩვენი ასეულის ამოცანაა, სამხრეთიდან შევუტიოთ. მადლობის სამხრეთის ფრონტი ჩვენ წინაა. ხედავთ?

სერჟანტებმა და რაზმის მეთაურებმა გორაკს ახედეს და, „ვხედავთო“, თქვეს.

— როგორ ვიაროთ, სენიორ ლეიტენანტო? — წაიბურტყუნა მორტემ. რაზმეულის მეთაურებმა თავი მისკენ მოაბრუნეს. მორტე გაწითლდა.

— ახლავე გეტყვით, — უთხრა გამბოამ — ათ-ათ მეტრზე გაიქცევით. სროლა და სირბილი ერთმანეთს შეუთავსეთ. კადეტები ათ მეტრს გადაირბენენ სწრაფად და გაწვებიან. ვისაც თოფი გაუვარდება, გვერდებს ავუხურებ. როცა პირველი მწკრივი გაწვება, ნიშანს მივცემ და მეორე დაიწყებს სროლას. თითომ თითოთითო ვაზნაზე მეტი არ გაისროლოს, გასაგებია? მერმე მეორე მწკრივი გადაირბენს ათ მეტრს და ახლა ის გაწვება. მესამე მწკრივი გაისვრის და წინ წავა. მერე თავიდან დაიწყებთ. გადარბენა და გასროლა ჩემს ნიშანზე იქნება მხოლოდ. ბოლოს ასი მეტრი დაგვრჩება მიზნამდე. იქ მწკრივები შეიკვრებიან, ირგვლივ სხვა ასეულები შემოეხვევიან. უკანასკნელ შეტევაზე სამივე ასეული ერთად გადავა, ვინაიდან მწვერვალზე მხოლოდ მოწინააღმდეგის რამდენიმე საცეცხლე წერტილა დარჩება.

— დრო რამდენი გვაქვს? — იკითხა მორტემ.

— ერთი საათი, — მიუგო გამბოამ — მაგრამ ეს უკვე ჩემი საქმეა. სერჟანტებმა და რაზმის მეთაურებმა თვალი უნდა მიადევნოთ, რომ კადეტები არ გაიბნენ, არც მეტისმეტად მიუახლოვდნენ ერთმანეთს და არც არავინ ჩამორჩეს. ყოველ შემთხვევაში, კავშირი უნდა იქონიოთ მთელი ეს საათი ჩემთან.

— ჩვენ პირველ ეშელონს გავყვეთ თუ არიერგარდს, სენიორ ლეიტენანტო? — ჰკითხა აროსპიდემ.

— თქვენ პირველ მწკრივში იქნებით, სერჟანტები უკან. საკითხავი გაქვთ კიდევ რამე? მაშ, ასე, წადით და თქვენი ამოცანა ჯგუფის მეთაურებს გააცანით. თხუთმეტი წუთის შემდეგ ვიწყებთ.

სერჟანტები და რაზმეულის მეთაურები თითქმის სირბილით წავიდნენ. გამბოამ დაინახა, კაპიტანი გარიდო მისკენ მოემართებოდა და ის იყო, სმენაზე უნდა დამდგარიყო, რომ პირანიამ ხელი აუქნია, არ გინდაო. ორივემ იქით გაიხედა, სადაც რაზმეულები ჯგუფებად იყოფოდნენ. თითო ჯგუფში თორმეტი კაცი იყო.

კადეტები ქამრებს უფრო მაგრად იჭერდნენ წელზე, წაღებზე ზონრებს იკრავდნენ, ბერეტებს შუბლზე იფხატავდნენ, შაშხანებს მტვერს აცლიდნენ და ამოწმებდნენ, საკეტი თუ თავისუფლად მოძრაობსო — ნუ გეშინია, ეს კი ეხალისებათ, — წაილაპარაკა კაპიტანმა, — ჰაი, თქვე ლაწირაკებო! აბა, შეხედეთ, გეგონება, მეჯლისზე მოსულანო!

— დიახ, — თქვა გამბოამ, — მაგათ თავი ომში ჰგონიათ.

— მართლაც ასე რომ იყოს, — წაილაპარაკა კაპიტანმა, — კაცმა არ იცის, ვინ საით მოჰკურცხლავდა. ჩვენი ბედი, რომ პერუში მხოლოდ წვრთნის დროს ისვრიან. არა მგონია, ოდესმე ომი მოგვიხდეს.

— მაგას ნუ იტყვით, სენიორ კაპიტანო, — შეესიტყვა გამბოა — ირგვლივ მტრები გვახვევია. ხომ იცით, ეკვადორი და კოლუმბია შემთხვევას ეძებენ, სელვას ნაწილი რომ წაგვგლიჯონ, ჩილისთან კი ჯერ არ გაგვისწორებია ანგარიში არიკასა და ტარაპაკას გამო.

— სისულელეა! — მხრები აიჩეჩა— კაპიტანმა, — ახლა ყველაფერს დიდი სახელმწიფოები — წყვეტენ — ორმოცდაერთში ეკვადორის ლაშქრობაში ვმონაწილეობდი. კიტომდეც მივაღწევდით ალბათ, მაგრამ ამ დროს დიდი სახელმწიფოები ჩაერივნენ და დიპლომატიური გამოსავალი მონახეს. დიახ, ყველაფერს სამოქალაქო პირნი სწყვეტენ. ლენჩი უნდა იყო კაცი, პერუს ჯარში რომ იმსახურო.

— ადრე ასე არ იყო, — თქვა გამბოამ.

სერჟანტი პესოა და ექვსი კადეტი სირბილით ბრუნდებოდნენ. კაპიტანმა ისინი იხმო. — მთელი მაღლობი მოიარეთ?

— დიახ, სენიორ კაპიტანო. არავინ არის.

— ცხრას ერთი წუთი აკლია, სენიორ კაპიტანო, მე ვიწყებ, — უთხრა გამბოამ.

— მიდით, დაიწყეთ, — განაცხადა კაპიტანია და მერე კუშტად

დაუმატა — შავი დღე დააყარეთ მაგ მუქთახორებს.

გამბოა ასეულისკენ წავიდა. კადეტებს ნელა მოავლო თვალი, თითქოს ამოწმებსო, რა შეუძლიათ, კიდევ რამდენს გაუძლებენ, რისთვის არიან მზად. თავი ცოტა უკან გადაეგდო. ქარი აგლეჯდა ხაკისფერ ხალათს და ბერეტიდან გამოჩენილ შავ თმას უწეწდა.

— ნუ შეჯგუფულხართ! — დაიყვირა მან — ტყვია ხომ არ მოგნატრებიათ? მანძილი ხუთ მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს. ეკლესიაში ხომ არ გგონიათ თავი?

სამივე კოლონა შეტოკდა. მწყობრიდან გამოჭრილმა მეთაურებმა ძახილი შექნეს: „გაიშალენით! გაიშალენით! სამივე მწკრივი რეზინასავით გაიწელა, მანძილი მათ შორის გაფართოვდა.

— კლაკნილად იმოძრავეთ, — ხმამაღლა ამბობდა გამბოა, რომ უკანა რიგებშიც გაეგონათ — სამი წელია ამას ჩაგჩიჩინებთ! ერთმანეთს კუდიკუდ ნუ მიჰყვებით, პროცესია ნუ გგონიათ. ვინც არ დაწვება ან ბრძანების გარეშე ნაბიჯს გადადგამს, მოკლულად ჩაითვლება, მოკლულებს კი ქალაქში წასვლაზე საშვი სულაც არ სჭირდებათ. გასაგებია? — მან კაპიტან გარიდოსკენ მოატრიალა თავი, მაგრამ იმას თითქოს არაფერი გაუგონია — უგულისყუროდ იყურებოდა სადღაც შორს. გამბოამ სასტვენი პირთან მიიტანა. კოლონები ოდნავ შეტოკდნენ.

— პირველი მწკრივი — მოემზადეთ. მეთაურები — წინ, სერჟანტები — უკან.

გამბოამ საათს დახედა. ზუსტად ცხრა საათი იყო. გაისმა სტვენის გამჭვალავი სმა. ამ ხმამ კაპიტანს. ყური მოსჭრა, გაკვირვებით მოტრიალდა, მიხვდა, რამდენიმე წამით რომ სულ დავიწყებოდა, სად იყო, და თავი დამნაშავედ იგრძნო, მერე სწრაფად გაემართა ბუჩქებისაკენ, რათა იქიდან ედევნებინა თვალყური კადეტებისთვის.

სტვენა დამთავრებული არ იყო, რომ სამ ჯგუფად დაყოფილი

პირველი მწკრივი წინ დაიძრა. კადეტები მინდორზე მიქროდნენ და ფარშევანგის კუდივით ნელ-ნელა იშლებოდნენ. წინ მეთაურები მიუძღოდათ, უკან კადეტები მისდევდნენ. წელში მოხრილიყვნენ, მარჯვენაში მაგრად ჩაებღუჯათ შაშხანა, ლულა ზევით მოექციათ, კონდახები კი რამდენიმე სანტიმეტრით დასცილებოდა მიწას. ხელახლა გაისმა სასტვენის სმა, მაგრამ მოკლედ და გამჭვალავად: გამბოა გვერდით მისდევდა მწკრივს, რომ ეხელმძღვანელა. თითქოს ქარმა მოცელაო, ანაზდად მწკრივი ბალახში გაუჩინარდა. სწორედ ასე გადმოხვეტავს ხოლმე წაგებული მოთამაშე დომინოს ქვებს მაგიდიდან. გამბოას მჭახე ხმა სიჩუმეს ელვასავით კვეთდა: „სად მირბის ეგ ჯგუფი? როსპილიოსო, თავი ხომ არ გინდა წაგაგლიჯონ? ფრთხილად, შაშხანას ეგრე ნუ მიათრევთ!“ ხელახლა გაისმა სტვენა, მწკრივმა თავი ამოჰყო ბალახიდან, კვლავ სტვენა — და იგი ისევ გაქრა. გამბოას ხმა უკვე ყრუდ მოდიოდა. კაპიტანს ერთხანს კიდევ ჩაესმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი გინება და უცნობი გვარების ძახილი. დაინახა, როგორ მიიწევდა წინ პირველი მწკრივი. წამით თვალი მოაშორა — და მეორე მწკრივი და არიერგარდიც უკვე ამოძრავდა. კადეტებს დავიწყებოდათ ის რომ იქვე იდგა და ხმამაღლა დასცინოდნენ, ვინც ლეიტენანტის გვერდით მირბოდა: „ზანგს უყურე, ზანგს, რა ტომარასავით ებერტყება! გეგონება, ძვალი არა აქვსო. მათხოვარას შეხე, მათხოვარას! როგორ ეშინია ამ დოყლაპიას, კოხტა სიფათი არ დამეკაწროსო!“

კაპიტნის წინ ერთბაშად გამბოა აისვეტა. „მეორე. მწკრივი — მოემზადეთ!“ ყვიროდა იგი. ჯგუფების მეთაურებმა მარჯვენა ხელი ასწიეს, ოცდათექვსმეტი კადეტი ადგილს მიეყინა. კაპიტანმა გამბოას შეხედა: ლეიტენანტი მშვიდად იდგა, ხელები მოემუშტა, მარტო თვალები ცოცხლობდა მის სახეზე, ფერს იცვლიდა, იღიმებოდა თუ იღუშებოდა. მეორე მწკრივი მოსწყდა და მინდორზე გაქანდა. კადეტები ნელ-ნელა დაპატარავდნენ, ლეიტენანტი

ისევ გვერდით მისდევდა სირბილითა და სასტვენის ქნევით, თავი მწკრივისკენ მოებრუნებინა.

ორი მწკრივი ხან გაქრებოდა, ხან ისევ წამოიმართებოდა ბალახებიდან. უკაცრიელი მინდორიც მყის ცოცხლდებოდა., კაპიტანს ვერ გაერჩია, სწორად მოქმედებდნენ თუ არა კადეტები, დაცემისას ჯერ ცალ მუხლზე თუ იჩოქებდნენ, მერე გვერდზე და მარცხენა ხელზე წვებოდნენ, შაშხანას კი მიწაზე გაწოლამდე თეძოზე იხუტებდნენ; ისიც არ იცოდა, წესდებით საჭირო მანძილით იყვნენ თუ არა მწკრივები ერთმანეთს დაშორებულნი, გაიფანტნენ თუ არა საბრძოლო ჯგუფები, ძველებურად წინ გარბიან თუ არა გაფრენილი შუბის — წვერივით რაზმის მეთაურები და თვალს არ აცილებენ ლეიტენანტს. ასეული რამდენიმე ასეულ მეტრზე გაწელილიყო კაპიტნიდან კარგა შორს. უცებ ისევ გამბოა აესვეტა წინ კაპიტანს, ისევ ისე მშვიდი უჩანდა პირისახე, ოღონდაც თვალები უელვარებდა. ლეიტენანტმა სასტვენს ჩაჰბერა და მესამე მწკრივიც გაექანა მაღლობისაკენ სერჟანტების წინამძღოლობით. ახლა სამივე მწკრივი კარგა შორს მირბოდა. ეკლიან ბუჩქებთან მარტო კაპიტანი დარჩა. ერთხანს იდგა იქ, გულში ფიქრობდა, რა მოუქნელი მოჩანანო კადეტები ჯარისკაცებსა თუ სამხედრო სკოლის მსმენელებთან შედარებით, მერე მათ კვალდაკვალ დაიძრა. დროდადრო დურბინდით გაჰყურებდა მინდორს.

გამბოა ისე იქნევდა ხელებსა და ისე ატაკებდა ხოლმე კადეტებს გაფარჩხულ თითებს, თითქოს ისვრისო. მართალია, მისი ხმა აღარ აღწევდა აქამდე, მაგრამ კაპიტანს. ნათლად წარმოედგინა, როგორ ყვიროდა და ილანძღებოდა იგი.

უცებ სროლის ხმა გაიგონა და საათს დახედა: „წუთი წუთზე, — გაიფიქრა, — ცხრა და ოცდაათი წუთია“. პირველი მწკრივი უკვე სამიზნეებიდან ორასიოდე მეტრზე იყო. სამიზნეები კი ჩანდა, მაგრამ ტყვიის ნახვრეტები ვერ გაერჩია. ოციოდე მეტრი რომ გა-

ირბინა, ისევ შეხედა და დაახლოებით ათიოდე ნახვრეტი დაინახა. „ჯარისკაცებიც უკეთ ისვრიან. ამათ კი სათადარიგო ოფიცრები ჰქვია. სირცხვილი და თავის მოჭრაა!“ მიდიოდა და დურბინდს თითქმის არ იშორებდა თვალიდან. ახლა უკვე მოკლე-მოკლე მანძილზე გარბოდნენ კადეტები. მეორე მწკრივმა სროლა ატეხა. სროლის ნახმევი არ დადუმებულიყო, რომ სასტვენმა ამცნო პირველსა და მესამე მწკრივს, დაიძარითო. პაწაწკინტელა კაცუნები მიხტოდნენ, მიწაზე ეცემოდნენ, ისევ წამოიჭრებოდნენ. ყოველი ბათქის შემდეგ კაპიტანი სამიზნეებს უცქეროდა, ითვლიდა, რამდენი ტყვია მოხვდაო. რაც უფრო უახლოვდებოდნენ მაღლობს, უკეთ ისროდნენ, სამიზნეთა წრეები ცხრილს დაემსგავსა. კაპიტანმა კადეტებს გადახედა: ყველანი უწვერულვაშონი იყვნენ, ჯერ კიდევ ბავშვური პირისახე ასწითლებოდათ. ცალი თვალი დაეხუჭათ, ცალით სამიზნეს დაკვდომოდნენ. სტკიოდათ შეუჩვეველი მხარი, რომელზეც კონდახი ეხეთქებოდა ყოველი გასროლის შემდეგ. და მაინც ზე უნდა წამომხტარიყვნენ, გაქცეულიყვნენ, მერე ისევ ბალახში ჩამხობილთ ესროლათ, ესროლათ ყასიდი სისასტიკით დამთვრალთ: კაპიტანმა კარგად იცოდა, ასე რომ არ იყო ომში.

სწორედ მაშინ ჰკრა თვალი ხაკისფერ ხალათს, მის გვერდით კი ლულით მიწაში ჩარჭობილ შაშხანას, რაიც წესდებით სასტიკად იყო აკრძალული. ლამის ფეხიც წაჰკრა ამ შაშხანას. პირველად ვერც მიხვდა, რად იწვა აქ კადეტი. დაიხარა: კადეტს ტკივილისაგან დაჭმახნოდა პირისახე, თვალები და პირი ღიად დარჩენოდა. ტყვია თავში მოხვედროდა. კისერზე სისხლის ნაკადი მოწანწკარებდა — კაპიტანმა დურბინდი გააგდო და კადეტს დასწვდა. ცალი ხელი მუხლებში ამოსდო, ცალი მხრებში, და მაღლობისკენ გააქანა ყვირილით: „ლეიტენანტო გამბოა! ლეიტენანტო გამბოა“! კარგა ხანს ირბინა, ვინემ მის ყვირილს გაიგო-

ნებდნენ. პირველი რაზმის კადეტები სამიზნეებისკენ მიცოცავდნენ ხოჭოებივით, არაქათგამოცლილებს გამბოას ხმა ესმოდათ მხოლოდ. კაპიტანი შეეცადა ლეიტენანტისა და სერჟანტების ღია ფერის ტანსაცმელი გამოერჩია მათგან. ერთბაშად ხოჭოები შედგნენ, თავი მოაბრუნეს — კაპიტანს ათეული თვალი მიაჩერდა. „გამბოა, სერჟანტებო! — იყვირა მან — ჩქარა აქეთ!“ კადეტები უკვე მორბოდნენ მისკენ ყოველი მხრიდან. კაპიტანს შერცხვა, კადეტი რომ ხელში ჰყავდა ატატებული. „ბედი მაქვს რაღა, — გაიფიქრა მან, — პოლკოვნიკი ნამსახურების ნუსხაში ამასაც ჩამიწერს“.

პირველი გამბოა მოიჭრა, გაოგნებულმა კადეტს დახედა და იმის გასარკვევად, ვინ არისო, დაიხარა. მაგრამ კაპიტანმა დაუკივლა: — ჰოსპიტალში! ამ წუთასვე! სასწრაფოდ!

სერჟანტმა მორტემ და პესოამ აიტაცეს ბიჭი და მინდვრისკენ გააქანეს; კაპიტანი, ლეიტენანტი და კადეტები უკან მიჰყვებოდნენ სირბილით. ათობით შეძრწუნებული თვალი შესცქეროდა აქეთ-იქით მოყანყალე თავს, გაფითრებულ, გამხდარ, ნაცნობ პირისახეს.

— ჩქარა, — იძახდა კაპიტანი, — ჩქარა — გამბოამ სერჟანტებს გამოსტაცა ბიჭი, მხრებზე შეიგდო და წინ გაიჭრა. რამდენიმე წამის შემდეგ უკვე ათი მეტრით დაწინაურდა.

— კადეტებო! — შესძახა კაპიტანმა, — გააჩერეთ პირველივე მანქანა კადეტები შარაგზისკენ გაცვივდნენ. კაპიტანი სერჟანტებთან ერთად უკან დარჩა — პირველი ასეულიდანაა? — იკითხა კაპიტანმა.

— დიახ, სენიორ კაპიტანო, — უთხრა პესოამ — პირველი რაზმეულიდან.

— გვარი?

— რიკარდო არანა, სენიორ — კაპიტანო, — პესოა შეიშმუშნა და დააყოლა — მეტსახელად მათხოვარა.

მეორე ნაწილი

მეც გახლდით ოცი წლისა, ისე
რომ ნურავინ მეტყვის, ეს საუკეთესო
წლებიაო.

პოლ ნიზანი

I

„საწყალი წკავწკავა, როგორ ყმუოდა წუხელ. საბანიც დავახურე, ბალიშებიც დავადე ზემოდან, — გაგიგონია, მთელი ბარაკი აიკლო ყმუილით. მერე კი უცებ იმისთანა წკავწკავი ატეხა, ისეთი საწყალობელი ყმუილი, ყველანი დააღვიძა — გამაგიჟა კინაღამ კაცი! სხვა დროს ყურსაც არავინ გააბარტყუნებდა, ახლა კი ისეა ყველა მოშლილი, გამლანძღეს და გამთათხეს: „გააგდე, თორემ შავ დღეს დაგაყრით, ღამით უჩუმრად მიგბეგვავთო“, — დამემუქრნენ კიდეც. ძლივს ჩავაწყვეტინე გინებითვე იმ ოხრებს ხმა. შუაღამისას მეც კი ვეღარ ავიტანე. მეძინება, წკავწკავა კი ყმუის და ყმუის. რამდენიმე ბიჭი წამოდგა კიდეც საწოლიდან, ცალი წაღა მოიმარჯვეს და ჩემკენ დაიძრნენ. ესღა მაკლია, მთელი რაზმი გადავიკიდო, ისედაც შავადა გვაქვს საქმე. ძაღლი ეზოში გავიყვანე და იქ დავტოვე. ცოტა გამოვიარე, მივიხედე და უკან არ მომდევს! იცოცხლე, ვუღრიალე: „მომწყდი თავიდან, გული ნუ გამიწყალე!

მანდ ეგდე, სადაც დაგტოვე“. ის კი მაინც მომყვება, იკლაკნება, მტკივანი თათი მოუკეცავს, შეგეცოდება პირდაპირ. ხელში ავიყვანე, ბალახებში ჩავაწვინე, ყურებთან მოვფხანე და ყაზარმაში გამოვბრუნდი. აღარ გამომდევნებია. მაგრამ ცუდად კი მეძინა, უფრო სწორად, სულაც არ მეძინა. ესაა, წავალ ბურანში და უცბად — მისდათავად დამეჭყიტება თვალები. თურმე იმ ოხერ ძაღლზე ვფიქრობ, თანაც ცხვირის ცემინება ამიტყდა. იმიტომ რომ ფეხშიშველა გავედი ეზოში, დასეული პიჟამას ამარა. იქ კი მაგრად უბერავდა და, მგონი, შხუმფლავდა კიდეც. საწყალი, ალბათ იყინება გარეთ, არადა, როგორ უყვარს სითბო. თუ ღამე გადავტრიალდი და საბანი გადავხადე, იმავ წუთს აწრიალდება, წამომიხტება გაბრაზებული, საბანს კბილებს ჩაავლებს და ღრენა-ღრენით თავისკენ დაითრევს. ან ფეხებში დამიწვება გასათბობად.

დიდი ერთგულები არიან ეგ ოხერი ძაღლები, შენს დედმამიშვილზე უფრო ერთგულნი, ლაპარაკი არ უნდა.

აი, წკავკწკავა ხომ ქუჩის ძაღლია, კაცმა არ იცის, ვისი სისხლი არ ურევია, მაგრამ ვიცი, გული არ აკლია საწყალს. ახლაც არ ვიცი, საიდან გაჩნდა. უთუოდ თავისით მოეხეტა. ჩაიარა, შემოვიდა, მოეწონა აქაურობა და დარჩა, აღარ მახსოვს, ჩვენამდე იყო თუ არა. სულაც შესაძლოა აქ, სასწავლებელში გაჩნდა. მაშინვე მომეწონა. მახსოვს, ის ოხრები რომ გვნათლავდნენ, მაშინ უკვე დადიოდა ჩვენს ბარაკში, სულ პაწაწა იყო. ხელად შეგვეთვისა. თუ ვინმე მეოთხე კურსიდან შემოვიდოდა, მყის ფეხებში ეცემოდა, უყეფდა და საკბენად ეტანებოდა. დიდი თავისნება გახლდათ. წიხლითაც ვერ მოიშორებდა ვერავინ, ყეფითა და კბილების ღრჭიალით მიიწევდა მისკენ. პატარა კბილები კი ჰქონდა მაშინ — ახალგაზრდა იყო.

ახლა კი სამ წელზე მეტისა იქნება ალბათ, ძაღლისთვის ეს პატარა ასაკი როდია. ძაღლები დიდხანს არ ცოცხლობენ, მეტადრე

ეზოს ძაღლები, თანაც თუ საჭმელი არა აქვთ. რაღაც არ მახსოვს,. წკავწკავა გამძღარი მენახოს. ნასუფრალი ძუ გადავუგდე, გიყვარდეს, მაშინ ქეიფობს. ბალახს კი მხოლოდ წუწნის, არ ყლაპავს. ცოტა ბალახს მოგლეჯს და მთელი საათი ისე ღეჭავს, როგორც ინდიელი კოკას. ჩვენი ბარაკიდან ვეღარ ვიშორებდით. ბიჭები იძახდნენ, რწყილები ჰყავსო, და აგდებდნენ, მაგრამ ასჯერაც რომ გააგდო, გაიხედავ, ერთი წუთის შემდეგ კარი აჭრიალდება და ეშმაკურ დრუნჩს შემოჰყოფს. მოგვწონდა მისი სიჯიუტე და ხანდახან შემოვუშვებდით ხოლმე, გაუშვი, ითამაშოსო. არ ვიცი, ვის მოაფიქრდა წკავწკავა დაერქვა მისთვის. მეტსახელების ამბავს შენ გაარკვევ! აი, მე რომ პითონი შემარქვეს, ჯერ ხო სიცილით ვკვდებოდი, მერე ბრაზი მომერია. ვინ დამარქვი, მეთქი, საშველს არ ვაძლევდი არავის; ყველა უარზე იყო, მე არა და მე არაო. ახლა კი შემრჩა და გარეთაც ასე მეძახიან. ვალიანომ დამარქვა ალბათ. თუმცა რას გაიგებ კაცი!“

ალბერტოს ვიღაც წაეტანა იდაყვზე. უცხო ბიჭი იყო, მაგრამ მეგობრულად კი უღიმოდა. უკან მეორე კადეტი ედგა, უფრო ტანმომცრო. ისინი კარგად ვერც გაარჩია ალბერტომ. ნისლს უკვე დაეფარა იქაურობა, თუმცა ექვსზე მეტი არ იქნებოდა. მეხუთე კორპუსის ეზოში იდგნენ, საწვრთნელი მოედნის შორიახლოს. აქა-იქ კადეტები დაბორიალებდნენ — ალბერტო ოფიცრების კორპუსისკენ. წავიდა სწრაფად და კუთხეში შეუხვია. ჰოსპიტალი ათიოდე ნაბიჯზე იყო, მაგრამ კედელიღა ჩანდა მხოლოდ, კარ-ფანჯრები ნისლს შეებურა. დერეფანში არავინ შეხვედრია, პატარა შესასვლელშიც არავინ ჩანდა. კიბეზე აირბინა და მეორე სართულზე ავიდა. კართან თეთრხალათიანი კაცი იჯდა. ხელში გაზეთი ეჭირა, მაგრამ არ კითხულობდა, მოღუშული იყურებოდა საითღაც. ფეხის ხმაზე წამოდგა.

— გაბრძანდით გარეთ, აქ შემოსვლა აკრძალულია, — უთხრა

მან.

— კადეტი არანა მინდა ვნახო.

— არ შეიძლება, — კუშტად მიუგდო კაცმა — კადეტი არანა ცალკე პალატაშია.

ალბერტო აღარ მოეშვა.

— უთუოდ უნდა ვნახო, თუ შეიძლება მორიგე ექიმთან მალაპარაკეთ.

— მორიგე ექიმი მე ვარ.

— არა, თქვენ სანიტარი ხართ, მე კი მორიგე ექიმს უნდა ველაპარაკო.

— მე ხუმრობა არ მიყვარს, — თქვა სანიტარმა და გაზეთი იატაკზე დადო.

— არ დაუძახებთ და თვითონ ავალ.

— რა დაგემართათ, კადეტო? ხომ არ შეიშალეთ?

— ექიმს დაუძახეთ-მეთქი, — იყვირა ალბერტომ, — დაუძახეთ, მე თქვენი! — ამ სასწავლებელში ყველა დარტყმულია, ღმერთმანი, — წაილაპარაკა სანიტარმა, წამოდგა და დერეფანს გაჰყვა.

კედლები, ეტყობა, სულ ახლახან შეეღებათ თეთრად, მაგრამ ნესტს უკვე დაემჩნია მღვრიე ლაქები. ერთი წუთის შემდეგ სანიტარი მობრუნდა, უკან მაღალი სათვალიანი კაცი მოჰყვებოდა.

— რა გნებავთ, კადეტო?

— კადეტი არანა მინდა ვნახო, ექიმო.

— არ შეიძლება, — ხელები გაშალა ექიმმა, — ხომ გითხრათ დარაჯმა, ვერ გაგიშვებთო, ამისთვის შეიძლება დაგსაჯონ კიდეც, ყმაწვილო.

— გუშინ სამჯერ ვიყავი, — უთხრა ალბერტომ, — ჯარისკაცმა არ შემომიშვა. დღეს არავინ იდგა. თუ შეიძლება შემიშვით, ექიმო, ერთი წუთით მაინც. .. — ძალიან ვწუხვარ, მაგრამ არაფერი შემიძლია. ხომ იცით, წესდება წესდებაა. კადეტი არანა ცალკე

ოთახში წევს, მასთან შესვლა არ შეიძლება. ნათესავი ხართ მისი?

— არა, მაგრამ მე უთუოდ უნდა ველაპარაკო. დიდი საქმე მაქვს — ექიმმა მხარზე დაადო ხელი და თანაგრძნობით შეხედა.

— კადეტი არანა ვერავის დაელაპარაკება, უგონოდაა. აცალეთ, ვინემ მოკეთდებოდეს. ახლა კი წადით. ნუ მაიძულებთ ოფიცერს დავუძახო.

— შემიძლია მაიორის ნებართვით ვნახო?

— არა, — მიუგო ექიმმა, — მხოლოდ პოლკოვნიკის. ნებართვა გასჭრის.

„კვირაში ორ-სამჯერ ვუცდიდი ხოლმე სკოლასთან, მაგრამ ხშირად ვერ გამებედა მისვლა, დედა უკვე მიეჩვია მარტო სადილობას, თუმცა არ ვიცი, მიჯერებდა კია, როცა ვეუბნებოდი, ამხანაგთან მივდივარ-მეთქი. მაგრამ არ მიშლიდა, იმიტომ რომ იაფად გამოდიოდა. შუადღისას თუ დავბრუნდებოდი შინ, უკმაყოფილოდ შემომხედავდა და მეტყოდა: „განა დღეს ჩუკუიტოში აღარ მიდიხარ?“ იცოცხლე, ყოველი დღე ვივლიდი, მაგრამ ვინ გაგიშვებდა სკოლიდან ადრე. ორშაბათობით კიდევ რა გვიშავდა, ფიზმომზადება გვქონდა, შესვენებაზე სვეტს უკან დავიმალებოდი, როცა მასწავლებელი ჩვენს ჯგუფს ქუჩაში გაიყვანდა, მერე სადარბაზოდან ვიპარებოდი. თურმე საპატა ოდესღაც ჩემპიონი ყოფილა კრივში, ახლა კი დაბერდა და მუშაობა ეზარებოდა. თავის დღეში სიას არ წაიკითხავდა, გაგვიყვანდა მინდორში და გვეტყოდა: „აბა, ბურთი ითამაშეთ, ფეხები გაანძრიეთ, ოღონდ არ დაიფანტოთ“, თვითონ კი ბალახზე მოიკალათებდა და გაზეთს ჩაჰკირკიტებდა. სამშაბათობით ვერ გავიპარებოდი ადრე: მათემატიკის მასწავლებელი ყველას გვცნობდა. სამაგიეროდ ხუთშაბათობით ხატვა და სიმღერა გვქონდა, სიგუენია კი თავის დღე და მოსწრება ღრუბლებში დაფრენს. ისე რომ შესვენების შემდეგ,

თერთმეტ საათზე, დავკრავდი. ფეხს, გარაჟებს მოვუვლიდი და სკოლიდან ნახევარი კვარტალის დაშორებით ტრამვაიში ვჯდებოდი.

კნაჭა იგერასი ძველებურად მაძლევდა ფულს. მუდამ ბელიავისტას მოედანზე მიცდიდა, ღვინოზე მპატიჟებდა, სიგარეტებს მთავაზობდა. ხან ჩემი ძმის ამბებს მიყვებოდა, ხან ქალებზე მებაასებოდა, ასეო და ისეო. „შენ უკვე ვაჟკაცი ხარო“, მეუბნებოდა.

ხანდახან თავისით მეტყოდა, ფული ხომ არ გინდაო. მაინცდამაინც ბევრს არა, მაგრამ ოთხმოცდაათ სენტავოს ან ერთ სოლს მომცემდა, ტრამვაის ფულად კი ესეც მყოფნიდა. ჩამოვიდოდი 2 მაისის მოედანზე, გავყვებოდი ალფონსო უგარტეს ბულვარს ტერეს სკოლამდე და კუთხის მაღაზიასთან ავიტუზებოდი. თუ დამინახავდა, მეტყოდა ხოლმე: „გაგიმარჯოს. შენც ადრე გამოგიშვეს სკოლიდან?“ მერე კი სხვაზე გადაიტანდა სიტყვას. მეც ავყვებოდი. „ჭკვიანი გოგოა, — ვფიქრობდი გულში, — სიტყვა იმიტომ გადააქვს, არ გამაწითლოს-მეთქი“. დეიდამისის სახლამდე რვა კვარტალი უნდა გაგვევლო. ფეხს ვითრევდი, ნელა მივდიოდი, ვიტრინებთან ვჩერდებოდი, მაგრამ ნახევარ საათზე მეტი მაინც არ გამოდიოდა. მუდამ სკოლის ამბებზე ვმუსაიფობდით, რა გაკვეთილები უნდა გვესწავლა დღეს, როდის იქნება გამოცდები, გადავალთ თუ არა შემდეგ კლასში. უკვე ვიცოდი ყველა მისი კლასელი გოგოს სახელი, მანაც იცოდა ჩემი ამხანაგებისა და მასწავლებლების მეტსახელები, ჩვენი სკოლის ყველა თავიანი ბიჭის ამბები. ერთხელ გადავწყვიტე მეთქვა: „წუხელ დამესიზმრა, უკვე დიდები ვიყავით და ჯვარი დავიწერეთ-მეთქი“. ვიცოდი რაღაცრაღაცეებს რომ შემეკითხებოდა ამის ირგვლივ და წინასწარ მოვემზადე, არ შევრცხვე-მეთქი. მეორე დღეს არიკის გამზირზე რომ მივდიოდი, უცებ ვუთხარი: „იცი, წუხელ დამესიზმრა...“ — „რა დაგესიზმრა?“ „ორივენი შემდეგ კლასში გადაგვიყვანეს-მეთქი“ — „ღმერთმა ქნასო“, — მითხრა.

გზაში ხშირად გვხვდებოდნენ ფრანცისკ სალელის სკოლის ბიჭები და იმათზედაც ვლაპარაკობდით. „დედლები არიან ეგენი, — ვეუბნებოდი, — ჩვენი ორი მაისის ბიჭებთან ვერ მოვლენ. „ძმანი მეზღვაურნი“ რომ არიან — კალიაოზე, იმათ ჰგვანან. იცი, იქ როგორ თამაშობენ ფეხბურთს? ფეხზე თუ მოარტყი, მაშინვე: „ვაიმე, დედაო!“ აყვირდებიან. ერთი სიფათი ნახე მაგათი!“ ასე ვეტრაბახებოდი და ვაკისკისებდი. მაგრამ რამდენი გინდა იმათზე ილაპარაკო! „მალე უკვე მაგის სახლს მივადგებით-მეთქი“, — ვფიქრობდი გულში. მუდამ მეშინოდა, სულ ერთსა და იმავეს რომ ვლაქლაქებ, თავი არ მოვაწყინო-მეთქი. თუმცა ისიც ხომ იმეორებდა ხშირად ერთსა და იმავეს, მე კი არ მწყინდებოდა. ორ-ორჯერ, სამ-სამჯერ მიყვებოდა, რა სურათები ენახათ მაგას და დეიდამისს ქალების სეანსზე. ჰო, ერთხელ კინოზე რომ ვლაპარაკობდით, სწორედ მაშინ გადავწყვიტე სიტყვა გადამეკრა მისთვის. როცა მკითხა, ესა და ეს სურათი თუ ნახეო, არა-მეთქი, ვუთხარი. „კინოში აღარ დადიხარ?“ — მკითხა. „ახლა იშვიათად დავდივარ, შარშან კი უფრო ხშირად დავდიოდი. პარასკეობით მე და კიდევ ორი ჩემი ამხანაგი უბილეთოდ მივძვრებოდით „საენს პენიაში“. ჩემი ამხანაგის ბიძაშვილი პოლიციაში მსახურობდა, როცა კინოში ის იყო მორიგედ, უფასოდ შევყავდით. სინათლე რომ ჩაქრებოდა, ქანდარიდან ქვემოთ ჩამოვძვრებოდით. იქ პატარა მოაჯირი იყო, ზედ სულ ადვილად გადახტებოდი“. „ნუთუ ერთხელაც არ დაგიჭირეს?“ — მკითხა. „ვის უნდა დავეჭირეთ? პოლიციელი ჩვენი კაცი იყო“. „მერედა წელს რატომ აღარ დადიხართ?“

„ისინი კი დადიან ხუთშაბათობით, როცა ის პოლიციელი მორიგეობს“ — „შენ აღარ დაჰყვები?“ მაშინ ავდექი და მივახალე: „შენთან ყოფნა მირჩევნია-მეთქი“, მაგრამ თვითონვე. შემეშინდა და ხმა გავიკმინდე. ტერე გაკვირვებული მომაჩერდა. ვიფიქ-

რე, მთლად გავაფუჭე საქმე, ალბათ გამიბრაზდა-მეთქი, და დავატანე: „რა ვიცი, იქნებ ამ კვირია წავიდე. თუმცა, მართალი გითხრა, კინო, არც მაინცდამაინც მიყვარს“. მერე სხვაზე გადავიტანე სიტყვა. ოღონდაც ვერა და ვერ დავივიწყე, როგორ გამოეცვალა სახე. ეტყობა, მაშინვე მიმიხვდა ყველაფერს, რისი თქმაც პირდაპირ ვერ გავუბედე.

ერთხელ კნაჭა იგერასმა სოლნახევარი მომცა. „ან სიგარეტები იყიდე, — მითხრა, — ან ღვინო, თუკი სიყვარულის ცეცხლი მეტისმეტად წაგეკიდებაო“. მეორე დღეს არიკას პროსპექტზე დავსეირნობდით მე და ტერე, სადაც კინოა. რატომღაც საშაქარლამოს ვიტრინასთან შევჩერდით. შოკოლადის ნამცხვარს რომ დახედა, რა გემრიელიაო, წამოსცდა. მაშინ მომაგონდა, ფული რომ მქონდა და ისე გამეხარდა, ნუ იტყვი. „დაიცა, ერთი სოლი მაქვს, ნამცხვარს გიყიდი“, — ვუთხარი. „არ გინდა, ნუ დახარჯავ, გეხუმრე“, — თქვა. მე მაინც შევედი და ნამცხვარი ვიყიდე. ისე ვიყავი გაბრუებული, ჩინელისთვის ხურდის გამორთმევა არც გამხსენებია. მაგრამ. პატიოსანი კაცი ყოფილა და დამედევნა, ერთი პესეტი ჩემზეაო. ნამცხვარი რომ მივაწოდე, მითხრა: არ შევჭამ, შენც თუ არ ჭამეო. უარი ვუთხარი: არ მინდა-მეთქი, მაგრამ არ მომეშვა და არა. ბოლოს თქვა: „ცოტა მაინც მოკბიჩეო“, და ნამცხვარი პირთან მომიტანა, მეც ცოტა მოვკბიჩე. მან გადაიკისკისა: „პირი დაგესვარა, ჩემი ბრალია, მევე მოგწმენდ“, და მეორე ხელი პირთან მომიტანა. მისი ხელი რომ შემეხო, ადგილზე გავქვავდი, ვიღიმები, მაგრამ ამოსუნთქვისა მეშინია, ვაითუ მიხვდეს, რა სულის სიმწარით მინდა ხელი დავუკოცნო-მეთქი. „აი, ასეო“, — თქვა და გზა გავაგრძელეთ. ორივე ჩუმად მივდიოდით. მე ცოცხალ-მკვდარი ვიყავი, ისე მომეჩვენა, წამით შეაჩერა-მეთქი ხელი ჩემს ტუჩებზე. „განზრახ შეაჩერა თუ არა?“ — ვეკითხებოდი ჩემს თავს“.

„არც ისაა მართალი, წკავწკავამ რწყილები დაგვასიაო. ალბათ ჩვენმა ველურებმა დაასიეს იქით. ერთხელ იმ საცოდავს ტკიპაც კი შეაცოცეს. სულ იმ მუდრეგი იაგუარისა და ქოჩორას ბრალია. იაგუარმა სადღაც იოხრა, ალბათ უატიკას საღორეში თუ იყო, და იქიდან მოათრია ზორბა-ზორბა ტკიპები. საპირფარეშოს კაფელის იატაკზე რომ გაუშვებდა, პირდაპირ ხოჭოებივით დარბოდნენ. აქეთ-იქით. ჰოდა, ქოჩორამაც წამოაყრანტალა: „მოდი, ვინმეს შევაცოცოთ“. მისდა საუბედუროდ, წკავწკავა იქვე ტრიალებდა. ქოჩორამ ქეჩოში ჩაავლო ხელი და ასწია, იაგუარმა კი ბანჯგვლში შეუძვრინა ტკიპები. რას ფხარკალებდა საწყალი! მერე და მერე ეშხში შევიდნენ, იაგუარმა იყვირა: „კიდევ ქვეყნისა დარჩა, ახლა ვის შევაცოცოთ?“ — „ვისა და მათხოვარასო“, — იბღავლა ქოჩორამ. მეც მხარი ავუბი. მახსოვს, მათხოვარას ეძინა. მე თავი დავუჭირე და თვალები დავუხუჭე, ქოჩორამ კი ფეხები გაუკავა. იაგუარმა თმაში შეუსვა ტკიპები. „ფრთხილად, შე ოხერო, მე არ შემისვა-მეთქი სახელოში“, — ვუყვიროდი იაგუარს. რომ მცოდნოდა, ამისთანა ამბავი დაემართებოდა, ღმერთი-რჯული, არ ვაწვალებდი. თუმცა იმას რა, წკავწკავას დაადგა, თუ დაადგა, შავი დღე. სულ კედლებს ეხახუნებოდა საწყალი, ბალანი გაცვივდა, ქეციან მაწანწალა ძაღლს დაემგვანა, მთელი ზურგი გადაეტყავა, ერთ მთლიან მუწუკად ექცა. ალბათ ძალიან ეფხანებოდა, იმდენს ეხახუნებოდა, კედლებს, ბარაკის კედელი კი ხორხოშელა იყო. პერუს დროშასავით თეთრ-წითლად აუჭრელდა ზურგი, სისხლი და ცარცი ერთმანეთში არეულიყო. მაშინ იაგუარმა თქვა: „ზურგზე რომ წიწაკა დავაყარით, რა იცი, ენა ამოიდგასო“. მევე გამაგზავნა სამზარეულოში წიწაკის მოსატანად. მზარეულმა მართლაც რამდენიმე ცალი წიწაკა მომცა. ქვები მოვიტანეთ და კაფელის იატაკზე დავნაყეთ წიწაკები. აბა ჰე, ჩქარაო! — ბღაოდა ქოჩორა. „ვინემ მე წამალს დავადებდე, შენ დამიჭირეო“, მითხრა იაგუარმა, გამწარდა, მაგრამ რა გამწარდა

წკავწკავა, ლამის ენა ამოიდგა. რას ხტოდა, რას იკლაკნებოდა, რას ჭყიოდა. ხმაურზე სერჟანტმა მორტემ მოირბინა და მის დანახვაზე სიცილით გადაბჟირდა. „ეს რა ტუტუცებია, ეს რა ტუტუცებია“, — იძახდა ასე. საკვირველია, და წკავწკავა მართლაც მორჩა.

ისევ ამოუვიდა ბალანი და თითქოს კიდეც მოსუქდა. ალბათ ჰგონია, წიწაკა მოსარჩენად დავაყარე და იმ დღის აქეთ აღარ მშორდება, სულ კუდში დამდევს. რა ბრიყვები არიან ეს ცხოველები, მოდი და გაიგე, საიდან გამოიტანა ეს დასკვნა. მწყობრში რომ ვიდექი, სულ ფეხებში მებლანდებოდა, არ მასვენებდა, სასადილოში სკამის ქვეშ დამიწვებოდა, კუდს აქიცინებდა, ლუკმას როდის მომიგდებსო, კლასის კართან მიცდიდა; ზარი რომ დარეკავდა და გამოვიდოდი, მეფერებოდა, ფეხებზე. მეგლისებოდა, ღამით ლოგინში მიძვრებოდა, უსიკვდილოდ თავით ფეხამდე გამლოკავდა. თუ სცემე, მაგასაც ეგ უნდა, უკან გახტება, მერე ისევ მოგეპარება, თან თვალს არ გაშორებს: მცემს თუ არაო. მისკენ წავალ, — შორს გადგება, ისე, რომ ვერ მივწვდე. ნუ იტყვი, ისეთი ეშმაკის ერთია. ჯერ ბრაზი მომდიოდა, რას მომეწება-მეთქი. ესეც კია, ხანდახან ყურებთან მოვფხანდი. მერე კი მივუხვდი მუღამს. ღამით რომ ლოგინში მიძვრება, ყირაზე გადადის, არ მაძინებს, შევუყოფ ხელს ყურების უკან, მოვფხან და ისიც წამში გაიტრუნება. აი, თურმე რა გიყვარს, ეშმაკის ფეხო! მოდი, მოდი, ერთი თავი და მუცელი მოგფხანო. ჰო-ჰო, როგორ გაინაბება, როგორ აცახცახდება ნეტარებით. მაგრამ თუ ხელი გავაჩერე, იმწამსვე წამომიხტება და კბილებს დამიკრეჭს. ნეტა ვინ მისცა ასეთი თეთრი კბილები ძაღლებს. ერთი ძაღლი არ მინახავს, ჭიანი კბილები ჰქონდეს. არც ის გამიგონია, მტკივანი კბილი დაეძროთ მათთვის ან თავისით ჩამოვარდნოდეს. საოცარი რაღაცაა. ვერც ის გამიგია, რატომ არ სძინავთ. ჯერ მეგონა, მარტო წკავწკავა იყო ასეთი, მერე მითხრეს, ძაღლებს საერთოდ არ სძინავთო.

თავდაპირველად კიდეც მეშინოდა, შუაღამისას რომ გავიღვიძებდი და დავინახავდი ჩემზე მოჩერებულს. ზოგჯერ ვეღარც ვიძინებდი, რაკი ვიცოდი, მთელი ღამე თვალს არ მაშორებდა. ბიჭი ხარ და დაიძინე, როცა იცი, ვიღაცა გითვალთვალებს, თუნდაც ეს ვიღაცა ძაღლი იყოს. ძაღლის ჭკუა რას მიქვია, მაგრამ მაინც ხშირად მგონია, ყველაფერი ძალიან კარგად ესმის-მეთქი“.

ალბერტო გამოტრიალდა და კიბეზე დაეშვა. კიბის ბოლოში ვიღაც ხნიერ კაცს დაეჯახა. დაღლა და შეშფოთება ეტყობოდა კაცს სახეზე.

— უკაცრავად, — მოუბოდიშა ალბერტომ.

კაცს უკვე რამდენიმე საფეხური ჰქონდა ავლილი, მაგრამ მაშინვე თავი მოაბრუნა და შეჩერდა.

— მაპატიეთ, კადეტ არანას ნათესავი ხომ არ ბრძანდებით? — ჰკითხა ალბერტომ.

— მამა ვარ მისი. რა იყო?

ალბერტო კიბეზე აბრუნდა და კაცს გაუპირდაპირდა. არანას მამა ჩაციებით და შიშით შეჰყურებდა, თითქოს რაღაც უნდა გამოარკვიოსო. თვალის უპეები ჩალურჯებოდა.

— ვერ მეტყვით, როგორ არის?

— ცალკე ოთახშია, — ყრუდ უპასუხა კაცმა — არავის უშვებენ, ჩვენც კი არა, თუმცა უფლება არა აქვთ. თქვენ მეგობარი ხართ მისი?

— ჩვენ ერთ რაზმეულში ვართ, — მიუგო ალბერტომ — არც მე შემიშვეს..

არანას მამამ თავი დაუქნია. დაბნეული და გაოგნებული ჩანდა, ლოყებზე და ნიკაპზე წვერი წამოზრდოდა, პერანგის საყელო ჭუჭყიანი, დაჭმუჭნილი უჩანდა და ჰალსტუხი: უშნოდ გაენასკვა. — მხოლოდ წუთით შემახედეს, ისიც შორიდან, — წაილაპარაკა მან, — ეს საქმეა?.

— როგორ არისო, რა თქვა ექიმმა? — ჰკითხა ალბერტომ — არანას მამამ საფეთქელზე მიიჭირა ხელები, მერე. მუშტით მოიწმინდა ტუჩები.

— არ ვიცი. ორჯერ გაუკეთეს ოპერაცია. დედამისი ლამის შეიშალოს. მაინც ვერ გამიგია, როგორ მოხდა ეს ამბავი, ისიც სასწავლებლის დამთავრების წინ. თუმცა სჯობს არ გიფიქრო, ამით ვერაფერს ვუშველი. ღმერთს უნდა ვევედროთ, რომ გადაარჩინოს. დედამისი სამლოცველოშია. ექიმა გვითხრა, იქნებ ამ საღამოთი გაჩვენოთო.

— არანა მორჩება, — თქვა. ალბერტომ, — ჩვენს სკოლაში კარგი ექიმები არიან, სენიორ.

— დიახ, დიახ, — დაეთანხმა არანას მამა — სენიორ კაპიტანმაც ასე მითხრა. ფრიად ზრდილი კაცია. კაპიტანი გარიდო, ხომ? იცით, პოლკოვნიკის მოკითხვაც გადმომცა.

არანას მამამ ისევ ჩამოისვა ტუჩებზე ხელი, ჯიბეში სიგარეტი მოიძია. ერთი ცალი ალბერტოსაც შესთავაზა, მაგრამ ბიჭმა არ გამოართვა. მერე ჯიბეში ჩაიყო ხელი ასანთისთვის. ასანთი კი არ აღმოაჩნდა.

— წავალ, ახლავე მოგიტანთ, — უთხრა ალბერტომ.

— მეც წამოგყვებით, აქ ვერ დავრჩები, კაციშვილისთვის ხმა ვერ გამიცია. ორი დღეა ასე ვარ. ძარღვები დამაწყდა. ღმერთს ვევედრები, მთლად არ დაგვღუპოს.

გასასვლელში მორიგე ჯარისკაცმა გაკვირვებით შეხედა ალბერტოს, ნაბიჯი გადმოდგა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და აღარაფერი თქვა. გარეთ უკვე ბნელოდა.

— ალბერტომ გაზონზე გადააბიჯა და „მარგალიტისკენ“ გასწია. სასწავლო კორპუსში სინათლე არ ჩანდა. ჩქამიც კი არ ისმოდა იქიდან.

— თქვენც იქ იყავით, ეს რომ მოხდა? — ჰკითხა არანას მამამ.

— დიახ, მხოლოდ მე წინ ვიყავი. კაპიტანმა რომ შეამჩნია, ჩვენ

უკვე მაღლობზე ვიდექით — რა დავაშავეთ, რატომ დაგვსაჯა ასე ღმერთმა? — წაილაპარაკა არანას მამამ — უპატიოსნო არაფერი ჩაგვიდენია, ყოველ კვირას ეკლესიაში დავდივართ, ცუდი არავისთვის გაგვიკეთებია. ჩემი ცოლი მუდამ გულმოწყალე ქალი იყო. რისთვის დაგვატყდა ეს უბედურება?

— მთელი ჩვენი რაზმეული შეწუხებულია, — თქვა ალბერტომ და ცოტა ხნის შემდეგ დააყოლა — ყველას ძალიან გვიყვარს იგი. კარგი ამხანაგია.

— ჰო, ურიგო ბიჭი არაა. მე გავზარდე ასე, ზოგჯერ თუ მკაცრი ვიყავი, მისივე სიკეთისთვის. ბევრი ვეცადე, ვაჟკაცად გამეზარდა. ეგ ერთი შვილი მყავს, მისთვის, მისი მომავლისთვის არაფერს დავიშურებ. გეთაყვა, მიამბეთ მისი ამბები, როგორ იყო, რას აკეთებდა სკოლაში. რიკარდო ძალზე გულჩახვეული ბიჭია, არაფერს ჰყვებოდა. კიდეც მეჩვენებოდა, რაღაცით უკმაყოფილოა-მეთქი.

ეს — სამხედრო სამსახური არაა ადვილი, — თქვა ალბერტომ, — მიჩვევა უნდა. თავიდან არავის მოსწონს.

— მაგრამ მაგას კი ძალიან არგო, — გრძნობით წარმოთქვა არანას მამამ — გამოიცვალა, სულ სხვა გახდა. ამაზე ვერაფერს იტყვი. თქვენ არ იცით, პატარა როგორი იყო. აქ კი გაკაჟდა, პასუხისმგებლობის გრძნობა გაეღვიძა. მეც ეგ მინდოდა, ვაჟკაცი დამდგარიყო, დამოუკიდებელი კაცი. თუ არ უნდოდა, შეეძლო სასწავლებელი დაეტოვებინა. მე რომ ვკითხე, გინდა-მეთქი იქ შესვლა, მაშინვე დამთანხმდა. ჩემი ბრალი არაა. მე მისი მომავალი მაწუხებდა.

— ნუ ღელავთ, სენიორ, მწამს, საშიში უკვე აღარაფერია.

— დედამისი კი მე მაბრალებს ყველაფერს, — განაგრძო არანას მამამ, თითქოს ალბერტოს ნათქვამი არც გაუგონია — ყველა ქალი უსამართლოა, არაფრის გაგება არ უნდათ, მაგრამ მე სინ-

დისი სუფთა მაქვს. მე მინდოდა კაცი გამოსულიყო, საზოგადოებას გამოდგომოდა. განა შეიძლება კაცი უმიზეზოდ დაადანაშაულო? თქვენ როგორ გგონიათ?

— არ ვიცი, — გაუბედავად წარმოთქვა ალბერტომ, — არა, რა თქმა უნდა, არა, ახლა მთავარია, არანა მორჩეს.

— ძალიან მოვიშალე, — წაილაპარაკა არანას მამამ, — ღმერთმა იცის, რაებს ვლაპარაკობ.

— ამასობაში „მარგალიტს“ მიადგნენ. პაულინო დახლთან იდგა და თავზე შემოედო ხელი. ალბერტოს ისე შეხედა, თითქოს დღეს პირველად ნახაო.

— ასანთი, თუ შეიძლება, — უთხრა ალბერტომ. პაულინომ ეჭვით გააპარა თვალი არანას მამისკენ.

— ასანთი არა მაქვს.

— მე არა, სენიორს უნდა.

სიტყვა აღარ დაუძრავს, ისე გამოაძვრინა დახლს ქვემოდან პაულინომ ასანთის კოლოფი.

არანას მამამ სამი ღერი გაჰკრა. ასანთს, მაგრამ ვერა და ვერ აანთო. ასანთის ალზე. შეამჩნია ალბერტომ, როგორ უკანკალებდა ამ კაცს ხელები.

— ერთი ჭიქა ყავა თუ შეიძლება? — წაილაპარაკა არანას მამამ — თქვენ კი რას დალევთ?

— ყავა არა გვაქვს, — უნდილად მიუგო პაულინომ — კოლას არ მიირთმევთ?

— კარგი, კოლა იყოს, — თქვა არანას მამამ, — ჩემთვის სულ ერთია.

დაავიწყდა ის ნათელი დღე, როცა არც წვიმა მოდიოდა და არც მზე ანათებდა. ტრამვაიდან ლიმა-სან-მიგელზე გადმოვიდა, კინო „ბრაზილიასთან“. აქედან მის სახლამდე კიდევ ერთი გაჩერება იყო. წვიმაც რომ ასხამდა, მაშინაც ფეხით ერჩივნა გაევლო ეს

ათი უბანი, ოღონდ კი შინ გვიან მისულიყო. დღეს ამ გზით უკანასკნელად მიდის: გამოცდები წინა კვირას დამთავრდა, დღეს ნიშნები დაარიგეს. ახლა კარგა სამი თვით შეწყდა მეცადინეობა. ყველას უხაროდა არდადეგები, მარტო მას ჰგვრიდა შიშის კანკალს. სკოლა იყო მისი ერთადერთი თავშესაფარი, ზაფხული ტანჯვა-წამებას უქადდა, გამუდმებით შინ ყოფნას.

ახლა აღარ შეუხვია სალავერის გამზირზე, როგორც ყოველთვის. ბრაზილიის დიდი ქუჩით გააგრძელა გზა, პარკში შევიდა, სკამზე დაჯდა, ხელები ჯიბეებში ჩაიყო, მოიკუნტა და ფიქრებს მიეცა. ასე ეგონა, მოხუცებულიყო უკვე, ცხოვრება ერთფეროვან, მძიმე ტვირთად დასწოლოდა ზურგზე. მისი ამხანაგები გაკვეთილებზე ერთ ამბავში იყვნენ, რა წამს მასწავლებელი ზურგს შეაქცევდათ, ერთმანეთს ეჭყანებოდნენ, ქაღალდის სორსოლებს ესროდნენ, ხითხითებდნენ, ის კი მუდამ დინჯად იჯდა, გაოგნებული შეჰყურებდა. რატომ სხვებივით მასაც არ შეუძლია უზრუნველი იყოს, არა ჰყავს არც მეგობრები, არც მოყვარული ნათესავები? თვალები დახუჭა და კარგა ხანს იჯდა ასე; მოაგონდა ჩიკლაიო, ადელინა დეიდა, მოაგონდა რა სიხარულით ელოდა ხოლმე ბავშვობაში ზაფხულს. მერე წამოდგა და შინისაკენ გასწია. ფეხები უკან რჩებოდა — სახლამდე ასიოდე მეტრი აკლდა, როცა გულმა ანაზდად რეჩხი უყო: კართან ცისფერი ლიმუზინი იდგა. ნუთუ დროის შეგრძნებაც დაკარგა? გამვლელს ჰკითხა, რომელი საათიაო. თერთმეტი ყოფილა. მამა კი პირველ საათზე ადრე არასოდეს დაბრუნებულა. ნაბიჯს აუჩქარა. ზღურბლზევე შემოესმა დედ-მამის კამათი. „ვეტყვი, ტრამვაი ლიანდაგიდან გადმოჭიდა, ძველი მაგდალენადან ფეხით მოვდივარ-მეთქი“, — გაიფიქრა, როცა ზარს დააჭირა თითი.

კარი მამამ გაუღო, ალერსით შეხედა, შესცინა. მერე მოულოდნელად მხარზე დაჰკრა ხელი:

— ოჰო, ძლივს ეღირსა მოსვლა. მე და დედა ეს წუთია შენზე

ვლაპარაკობდით. შემოდი, შემოდი.

ერთბაშად დამშვიდდა ბიჭი, ძალისძალად, უგემურად გაიღიმა, ეს იყო მისი ფარ-ხმალი, ეს შველოდა მუდამ. დედა სასტუმროში იყო. ხელი მოხვია შვილს. ბიჭი შიშმა აიტანა, დედის მოფერებამ მამა არ გააბრაზოსო. ამ ბოლო ხანს მამას მუდამ მსაჯულად ან მოწმედ გამოჰყავდა შვილი ოჯახური კინკლაობისას. ეს დამამცირებელი, ეს უადამიანო საქციელი იყო. მას აიძულებდნენ „ჰო“ ეთქვა ყველა რიტორიკულ შეკითხვაზე, დათანხმებოდა ყველა ბრალდებას, დედას რომ ატყდებოდა თავს — ოჯახის საქმეების არაფერი გესმის, უჭკუოდ აკეთებ ყველაფერს, უწესოდ იქცევიო. ნეტა ახლა კიდევ რაზე აიძულებს კვერი დაუკრას?

— შეხე, რა გელოდება მაგიდაზე, — ალერსით უთხრა მამამ.

ბიჭმა მაგიდას გადახედა. ბროშურის ყდაზე უზარმაზარი შენობა გადღაბნილიყო, ქვემოთ დიდი ასოებით ეწერა: „ლეონსიო პრადოს სასწავლებელი მარტო კარიბჭე როდია სამხედრო კარიერისა“. მერე აიღო ბროშურა, თვალებთან მიიტანა, თითქოს ძალიან აინტერესებსო, გადაფურცლა, დაინახა სტადიონი, სარკესავით მოლაპლაპე აუზი, სასადილოები, მოკრიალებული ცარიელი საძინებელი ოთახები. ორ შუა ფურცელზე ფერადი სურათი მოჩანდა: ტრიბუნის წინ ჩამწკრივებულიყვნენ კადეტები — თოფებზე ვერცხლისფრად ელავდა ხიშტები, ქათქათებდა თეთრი ქუდები, ოქროსფერი ნაკერები, ანძაზე ბაირაღი ფრიალებდა.

— ცუდი არ უნდა იყოს, ჰა? — წაულაპარაკა მამამ ვითომ გულითადად, მაგრამ ბიჭი საკმაოდ კარგად იცნობდა ამ ხმას და არ გამოპარვია შიგ გამსხლტარი მუქარა.

— ჰო, — სწრაფად დაეთანხმა იგი, — დიდებული რაღაცაა — დიახაც, — თქვა მამამ და მცირეოდენი დუმილის შემდეგ დედას მიუბრუნდა — ხომ გითხარი, ძალიან მოეწონება-მეთქი.

— მე მაინც არ გეთანხმები, — ჩაწყვეტილი ხმით თქვა დედამ,

მისთვის არც შეუხედავს ისე — რაღაი გინდა იქ შევიდეს, შენი ნებაა, მე ნუღარ მკითხავ. მე კი არ მინდა სამხედრო სასწავლებელში იყოს.

— სამხედროში? — ბიჭს თვალები აენთო — ეს ძალიან კარგი იქნება, დედა, მე ძალიან მიხარია.

— ასე იცით ქალებმა! — მოწყალედ გამოსცრა მამამ — ყველანი ერთმანეთს ჰგავხართ. სულელები, გულჩვილები, არაფერი თქვენ არ გესმით. კარგად გააგებინე, რომ იქ გინდა შესვლა.

— მაგან არ იცის, ეგ რა არის, — წაიბუტბუტა დედამ.

— არა, ვიცი, — ფიცხად შეესიტყვა ბიჭი — ვიცი, რომ ძალიან კარგია. მუდამ ვამბობდი, იქ მინდა-მეთქი შესვლა. მამა მართალია — აი, ხომ ხედავ, — უთხრა მამამ, — დედაშენს ისევ პატარა სულელი ბიჭი ჰგონიხარ. ხომ გესმის ახლა, რამდენი რამ დაგიშავა?

— ეს ჩინებულია, დედა, — გაიმეორა მან — ჩინებული.

— ეგრე იყოს, — თქვა დედამ, — ვატყობ თქვენ ვერ შეგედავებათ კაცი, ოღონდ იცოდეთ, მე თანახმა არა ვარ.

— თანხმობას არც არავინ გეკითხება, — უთხრა მამამ, — ასეთ საკითხებს მე ვწყვეტ. მე მხოლოდ გითხარი, რა მინდოდა.

დედა წამოდგა და ოთახიდან გავიდა — ორი თვე დაგრჩა მოსამზადებლად, — უთხრა მამამ — გამოცდები ალბათ ძნელი იქნება, მაგრამ შენ უტვინო არა ხარ და ადვილად ჩააბარებ, ხომ კი?

— კარგად მოვემზადები, — დაჰპირდა ბიჭი — თავს არ დავზოგავ, იქ რომ მოვხვდე.

— ასე სჯობია, — თქვა მამამ, — სიაში ჩავაწერინებ შენს თავს და პროგრამასაც გიყიდი. კაი ფული კი დაჯდება, მაგრამ შენი გულისთვის არც ამაზე დავიხევ უკან. იქ კაცად გაქცევენ. ჯერ კიდევ არ არის გვიან.

— დარწმუნებული ვარ, გამოცდებს ჩავაბარებ, — წაილაპარაკა ბიჭმა.

— ძალიან კარგი. მოვრჩეთ ამაზე. კმაყოფილი ხარ? სამ წელში სამხედრო სწავლა სულ გამოცვლის. სამხედროები საქმიანი ხალხია. ისინი სულითაც და ხორცითაც გაგაკაჟებენ. ნეტა თავის დროზე ჩემზე ეზრუნათ ასე, როგორც მე შენზე ვზრუნავ.

— ჰო, ძალიან, ძალიან მადლობელი ვარ, — თქვა და ცოტაოდენი დუმილის შემდეგ პირველად დაუმატა, — მამა.

— დღეს ნასადილევს კინოში წადი, — უთხრა მამამ — ათ სოლს მოგცემ.

„შაბათობით წკავწკავამ რაღაც ღნავილი დამიწყო. ადრე ეგრე არ იცოდა. პირიქით, ვარჯიშზე მუდამ თან დაგვყვებოდა, მინდორზე გიჟივით დარბოდა, ტყვია რომ გადაუვლიდა, ხტოდა და ცმუკავდა — სიხარულით ლამის ენა ამოედგა. მაგრამ რაც მომეჩვია, მას აქეთ სულ შეიცვალა. ახლა შაბათობით რაღაც უცნაურობა ემართება, მეგლისება, ფეხებს მილოკავს, არ მცილდება, აცრემლებული თვალებით შემომციცინებს. დიდი ხანია შემჩნეული მაქვს: როგორც ვარჯიშიდან დაბრუნებისას წყლის გადასავლებად წავალთ ან ბარაკში საგარეო ფორმის გადასაცმელად მოვდივართ, — მუდამ ან საწოლქვეშ შეძვრება ან ჩემს კარადაში შეიპარება და ჩუმად წკმუტუნებს — ჩემს წასვლას დარდობს. ხოლო რომ დაგვამწკრივებენ, წკმუტუნ-წკმუტუნით მომდევს უკან. მერე ჭიშკართან დადგება, დრუნჩს აწევს და კარგა ხანს მომჩერებია კვალში, მთელი გზა ვგრძნობ, რომ მიყურებს. გინდაც — პალმის გამზირამდე მივიდე, ეგ მაინც დგას და გზას გასცქერის, მე მიცდის. რაც მართალია მართალია, ერთხელაც არ გამომყოლია უკან, თუმცა არ წამოხვიდეო, არავის უთქვამს. გეგონება, თვითონ დაისაჯა თავი, თვითონ დადო აღთქმა. სასწაულია... ხოლო კვირა საღამოს რომ ვბრუნდები, ვიცი, უკვე ჭიშკართან მიცდის, კადეტებს ფეხებში დაუძვრება, დრუნჩს აქეთ-იქით ატრიალებს,

მე რომ დამინახავს — გამოიქცევა, ხტის, ყეფს, მთელი ტანით იკ-ლაკნება. დიდი ერთგული ცხოველია, სულ ტყუილად ვცემდი ად-რე. ვერ ვიტყვი, ახლაც დიდად ვანებივრებ-მეთქი, ხანდახან ხუმ-რობით ან გაბრაზებულ გულზეც წავუთაქებ, თუმცაღა არა სწყინს, მგონი, კიდეც მოსწონს, თავისი ჭკუით ალერსი ჰგონია. „აბა, წკავწკავავ, ჩამოხტი მანდედან, ჰო, ჩამოხტი, ნუ გეშინია!“ ის კი კარადის თავზე დგას, ყეფს, იღრინება, აქეთ-იქით იყურება, ცირ-კის ძაღლია, რაღა. „ჰო, ისკუპე, ისკუპე, წკავწკავავ“. იმას კი ვერ გაუბედავს, ვინემ უკნიდან არ მივეპარები — თხლაშ, ვკრავ ხელს და ისიც ბალანაშლილი ძირს დაებერტყება, რეზინის ძაღლივით შეხტება ხოლმე. მაგრამ ეს ხუმრობა წკავწკავას არა სწყინს, თუმ-ცა ბევრჯერ სტკენია გვერდები. აი, დღეს კი მართლა უმოწყა-ლოდ მივბეგვე. არც გამემტყუნება, იმისთანა გუნებაზე ვიყავი ამ ამბების გამო. ჯერ ერთი ის საცოდავი კავა არ გამომდის თავი-დან, გიჟივით ვარ კაცი, ახლა მათხოვარასაც თავში გლიჯეს ტყვია. მოდი და ნუ მოგეშლება ძარღვები, ჩვენს ჭკუაზე არა ვართ, თანაც გვიბრძანეს, ლურჯი ფორმა ჩაიცვითო, ეშმაკმა არ იცის, რატომ? არადა ისე ცხელა, ნუ იტყვი. ვდგავართ და ოფლი წურწურით ჩამოგვდის, ვიხრჩვებით ამ ლურჯ სამოსელში. თავში კი ეს გვიტრიალებს: ახლა მოიყვანენ კავას, ვინ იცის, როგორ შე-იცვალა, ამდენი დღეა ოთხ კედელში ჰყავთ გამომწყვდეული, პურსა და წყალზე ზის იმ საფრთხობელების მეთვალყურეობის ქვეშ, აი საბჭოში რომ სხედან. თუ გამოიყვანენ, ისიც იმიტომ, ოფიცრების წინაშე სმენაზე დააყენონ და მათი ლანძღვა-გინება, ღრიალი ასმენინონ. დაკითხვებით ალბათ სული ამოართვეს სა-ცოდავს, მერე და რისთვის? მართლა ვაჟკაცი ყოფილა ეს მთის ველური. ამხანაგებზე ვერაფერი დააცდენინეს — თვითონ იდო ყველაფერი თავზე: მე მოვიპარე ქიმიის ბილეთები, მე გავტეხე შუშა, აი ნახეთ, ხელიც გაკაწრული მაქვს, მე მარტო ვიყავი, არა-ვინ არაფერი იცოდაო. მერე ისევ საკანში შეაგდებენ. იქ იდექი და

უცადე, როდის მოგაწოდებს ჯარისკაცი იმ სალაფავს სარკმლიდან, თქვლიფე ისა და თან იფიქრე, რას გიზამს მამაშენი, როცა მთაში დაბრუნდები და ეტყვი: „სასწავლებლიდან გამომაგდესო“. მამამისი ალბათ ტყის ნადირი იქნება, მთაში ყველა ასეთია. სკოლაში ერთი მთიელი ამხანაგი მყავდა, ყოველდღე ნაცემ-ნაბეგვი მოდიოდა, მამამისი მათრახით აჭრელებდა. ვინ იცის, რა დღეები გადაიტანა იმ ჩვენმა საცოდავმა მთიელმა. ალბათ ვერასოდეს ვეღარ ვნახავთ. ასეა ხოლმე ცხოვრებაში, სამი წელი ერთად ვსწავლობდით, ახლა კი დაუბრუნდება იმ თავის მთებს — მშვიდობით, სწავლა-განათლებავ, იქ, იმ ველურებისა და ლაქების სამეფოში უნდა გაატაროს წუთისოფელი, ერთი ხეპრე კაცი დარჩეს. ისე კი დიდი მურდალი კანონი აქვთ ამ ჩვენს სასწავლებელში, თუ გაგრიცხეს, განვლილი კურსები აღარ გეთვლება. იციან მაგ ძაღლებმა, როგორ ჩაგიმწარონ და ჩაგიშხამონ სიცოცხლე. დიდი შავი დღეები გაატარა მთიელმა საკანში. ჩვენს რაზმეულში ყველა ამაზე ფიქრობდა, მეც ამაზე ვფიქრობდი, როცა ლურჯ ფორმაში გამოწყობილები მზეზე ვიხრუკებოდით ეზოში. თავის აწევისა მეშინოდა, აქ არ ავღრიალდე-მეთქი. ასე ვიდექით ერთხანს. მერე საგარეო ფორმაში გამოწკეპილი ლეიტენანტები და ყაზარმის უფროსი მაიორი გამოცხადდნენ. მერე თვით პოლკოვნიკიც მობრძანდა. ყველანი გამოვიჭიმეთ. ლეიტენანტები ცალ-ცალკე მიეახლნენ პატაკის მოსახსენებლად. ყველას ჟრუანტელმა დაგვიარა ტანში. ხოლო პოლკოვნიკმა რომ დაგვიწყო ლაპარაკი, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, დახველებისაც მეშინოდა. ვერ ვიტყვი, რატომ. შიშმა დაგვზაფრა, უფრო მეტად კი ნაღველი შემოგვაწვა, მეტადრე ჩვენს რაზმეულს. მოდი და ნუ ინაღვლებ, როცა იცი, ერთი წუთის მერე წინ დაგიყენებენ კაცს, ვის გვერდითაც ამდენი წელი იყავი, ვინც დედიშობილა გინახავს, ვისთანაც ამდენი გიცელქია და ათასი ოხრობა ჩაგიდენია — ქვის გული უნდა გქონდეს, არ შეწუხდე. პოლკოვნიკი კი ცოფებს ჰყრის, სჭექს,

მაგრამ რას სჭექს, სულ გამწვანდა სიბრაზისგან, ყველას ველურებს გვეძახის, აგინებს ჩვენს რაზმეულს, მეხუთე კურსს, მთელ ქვეყნიერებას. უცებ ვგრძნობ, ეს წყეული წკავწკავა ზონარზე მექაჩება. მომწყდი აქედან, წკავწკავავ, თავი დამანებე, შე ქეციანო, წადი, თუ ბიჭი ხარ, პოლკოვნიკს დაუძენძე ზონარი, მომეშვიმეთქი, გიჯობს გული არ მომაყვანინო. ვერც ფეხი გამიკრავს, რომ მოვიშორო! ლეიტენანტი. უარინა და სერჟანტი მორტე ჩემგან ორ ნაბიჯზე დგანან, გაინძრევი — მაშინვე შეგამჩნევენ. შე პირუტყვო, განა უნდა ისარგებლო ჩემი მდგომარეობით. გაგიგონია ეგეთი გულმოდგინება თავის დღეში არ გამოუჩენია. მანამ ძიძგნა და ძიძგნა ეს ზონარი, ვინემ გაწყვიტა. ფეხი ფომფლოდ ვიგრძენი წაღაში; „ხომ მიაღწიე შენსას, — ვფიქრობ, — ახლა მაინც მომეშვი“. რატომ არ დამანებე თავი, ძაღლო? ყველაფერი შენი ბრალია! იმის მაგივრად, ეს ეკმარა, ახლა მეორე წაღას მიადგა, გეგონება, იცის, რომ არც თითის განძრევა შემიძლია და არც შეხედვა, შეკურთხებაზე რომ არაფერი ვთქვა, ამასობაში კავაც მოიყვანეს. აქეთ-იქით ჯარისკაცი ედგა, თითქოს დასახვრეტად მიჰყავთო. ადამიანის ფერი არ ედო სახეზე. მუცელი ამიჭუჭყუნდა და ყელში რაღაც მომაწვა. სამივენი ველურებს ჰგავდნენ, ტყუპები გეგონებოდა. ოღონდაც კავა ჩაყვითლებული იყო, ისინი კი არა. მოაბიჯებდნენ მოედანზე, ყველანი იმათ შევყურებთ. ნახევრად შემობრუნდნენ და ადგილზე აბიჯებენ, პირით ჩვენკენ, პოლკოვნიკისა და ლეიტენანტებისაგან რამდენიმე მეტრის დაშორებით. „ნეტა ადგილზე რას იბლიკებიან?“ — ვიფიქრე გულში. მერე მივხვდი, დაიბნენ, არ იციან, რა ჰქნან, ხოლო „სდექო“, არავის მოაფიქრდა ებრძანა მათთვის. ბოლოს და ბოლოს გამბოა გამოვიდა წინ, ხელით ანიშნა და სამივენი გაიჭიმნენ. მერე ჯარისკაცებმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხიეს. კავა კი მარტოდმარტო დარჩა იმ ჯალათების პირისპირ, ზემოთ ახედვა ვერ გაებედა. „ნუ იდარდებ, ძმობილო, წრე მუდამ შენთან იქნება,

ჩვენ ყველას გვიყვარხარ, შენს ამბავს ამათ არ შევარჩენთ, ძმრად ვადენთ. ახლა ატირდება, — ვიფიქრე, — არ იტირო, მთიელო, ეს ოხრები არ გაახარო, დადექი, თავი ასწიე, აჩვენე მაგათ, რაცა ვართ და ვინცა ვართ, ნუ გეშინია, მალე დამთავრდება ყველაფერი. აბა, გაიღიმე, ნახე, როგორ გამწვანდებიან ყველანი“, ვგრძნობ, ბიჭები ლამის დაახრჩოს ბოღმამ, ცოტაც და აფეთქდებიან. პოლკოვნიკმა ისევ გააბა ღრიალი, ლანძღა და ლანძღა კავა, ღდინში ჩასდია ლამის. არა, მართლა ურჯულო უნდა იყო, ასე რომ აწამო ბიჭი. განა ცოტა აწვალეს აქამდე. ჭკუას არიგებდა, — ყელში ამოგვივიდა ეს მაგათი ჭკუის სწავლება. იძახდა, ეს ამბები კარგი გაკვეთილი უნდა იყოსო შენთვის; მოჰყვა ლეონსიო პრადოს ამბავიც, როგორ უთხრა იმან ჩილელებს დახვრეტის წინ: „მე თვითონ ვუბრძანებ ჯარისკაცებს, მესროლონ“. ეგ დორბლიანი ყეყეჩი, ეგა! მერე საყვირის ხმა გაისმა. პირანია, რომელსაც სახეზე კუნთები უცახცახებდა, კავას მიუახლოვდა. „ახლა ავღრიალდები ბრაზისგან“, — ვიფიქრე ჩემთვის. წყეული წკავწკავა კი მიძიძგნის და მიძიძგნის ზონარსა და შარვლის ტოტებს. ბიჭი არ ვიყო, თუ არ განანო, შე უმადურო და პირუტყვო. გამაგრდი, მთიელო, ყველაზე საშინელი ახლა გელის, სამაგიეროდ მერე არხეინად გახვალ ქუჩაში — აღარც სამხედროებს დაინახავ, აღარც სამხრეულებს, აღარც მორიგეებს. კავა გაქვავებულივით იდგა. მისი დღე და მოსწრება ხომ ყარაჩივით შავი იყო, ახლა მიტკლისფერი დასდებოდა. შორიდანაც კი ვხედავდი, როგორ უკანკალებდა ნიკაპი, მაგრამ გაუძლო, არ შედრკა, არ შეტოკებულა და არ ატირებულა, როცა პირანიამ ბერეტსა და ღილ-კილოებიდან ნაკერები ჩამოგლიჯა, მერე ემბლემა აახია ჯიბეზე. დაძიძგნეს რაღა კაცი, ყველაფერი შემოაფხრიწეს. მერე ისევ ააკიკინეს საყვირი, ის ორი ჯარისკაცი ისევ აქეთ-იქით ამოუდგა, ადგილზე დაიწყეს სიარული. კავა ძლივს ანძრევდა ფეხებს, შემდეგ მოედნისკენ გაიბიჯეს. თვალები გადავბრიცე, რომ დამენახა, როგორ მიდიოდა.

ლასლასით მიაბიჯებდა საწყალი, ბორძიკობდა, თავი მკერდზე ჩამოეგდო, ალბათ თავის დაგლეჯილ გიმნასტურას უყურებდა. ჯარისკაცები კი, პირიქით, ლამის ცას ურტყამდნენ ფეხებს, პოლკოვნიკს თავს აწონებდნენ. მერე კედელს მიეფარნენ. „აბა, წკავწკავავ, ახლა მიყურე, ახლა გაგისწორდები ყველაფრისათვის“, — ვიფიქრე გულში. მაგრამ პოლკოვნიკი ისევ მოიქოქა, ისევ მოჰყვა გმირების ამბებს, არა და არ გაგვიშვეს მწკრივიდან. შენ კი ალბათ ავტობუსის გაჩერებასთან დგახარ უკვე. ნუ დაგვივიწყებ, თუ შენ დაგვივიწყე, ჩვენ მაინც არ დაგივიწყებთ, შენი მეგობრები მაინც იძიებენ შენს მაგივრად შურს. შენ ახლა აღარა ხარ კადეტი, შენ ახლა ჩვეულებრივი მოქალაქე ხარ. ლეიტენანტი ან კაპიტანი თუ შეგხვდა, აღარ დაგჭირდება სალმის მიცემა, აღარ გევალება დაუთმო ადგილი ან გზა... ბარემ ახტი და ჰალსტუხზე ან ცხვირზე დამეკიდე, წკავწკავავ, რაც გინდა გააკეთე, არ მოგერიდოს — იფარფაშე, როგორც გინდა. ვაი რა ცხელა, პოლკოვნიკი კი აღარ ათავებს და აღარ ამ ბაქიბუქს!“.

უკვე ბნელოდა, ალბერტო რომ შინიდან გამოვიდა, თუმცა ექვსი საათი კი იყო. მთელი ნახევარი საათი მოუნდა გამოკოხტავებას — გაიპრიალა წაღები, ძლივს დაიმორჩილა ჯიუტად გაბურძგნილი ქოჩორი, ტალღებად დაიყენა თმა. მამის სამართებელიც აიღო და ზედა ტუჩსა და ლოყებზე ღინღლი მოიპარსა. ოჩარანისა და ხუან ფანინგის კუთხეში შედგა და დაუსტვინა. რამდენიმე წამის შემდეგ ფანჯარაში ემილიომ. გამოიხედა. ისიც გამოპრანჭულიყო და თმა დაევარცხნა.

— უკვე ექვსია, უნდა გავიქცეთ, — ასძახა ალბერტომ.

— ამ წუთას — ალბერტომ საათს დახედა, შარვალი გაისწორა, პიჯაკის ზედა ჯიბიდან ცოტაზე კიდევ ამოაყოფინა თავი ცხვირსახოცს, მერე ქურდულად ჩაიხედა ფანჯრის შუშაში: ბრიოლინმა

არ უმტყუნა, თმა ისევ კოხტად ადგა. ემილიო უკანა კარიდან გამოვიდა..

— სასტუმროში უამრავი ხალხია, — თქვა მან — წვეულება გვაქვს. ფუი, რა საძაგლობაა! გაილეშენ, ყველაფერი ვისკით ჰყარს. მამამ თავი მოიმთვრალიანა, მომატყუა, ფული არ მომცა.

— ფული მე მაქვს, — უთხრა ალბერტომ, — მოგცემ.

— ჰო, სადმე წავიდეთ. თუკი ბაღში დავრჩით, ფული არც დაგვჭირდება. შენ როგორ მოახერხე და ფული დასცინცლე მამაშენს? ნახა ნიშნები?

— ჯერ არა, მარტო დედას ვაჩვენე. ალბათ გადაირევა ბებერი. პირველად ჩავიჭერი სამ საგანში. მთელი ზაფხული ალბათ უნდა ვიზუთხო. პლაჟზე ჩასვლის დროც არ მექნება. თუმცა ფეხებზე მკიდია! იქნებ არც არაფერი თქვას. დიდი აყალმაყალია ჩვენსა.

— რა მოხდა ასეთი?

— წუხელ მამაჩემი შინ არ მოსულა, დილას გამოცხადდა დაბანილ-გაპარსული. აი, თავხედი!

— ჰო, ატარებს ძიაკაცი დროს, — დაემოწმა ემილიო — ქალებს არ იკლებს. დედამ რაო?

— საფერფლე ესროლა. მერე ტირილი ატეხა, მთელი სახლი გააყრუა.

ლარკოსკენ მიაბიჯებდნენ ხუან ფანინგის ქუჩით. ხილის წვენების დუქნიდან იაპონელმა ხელი დაუქნია ბიჭებს. წინათ, ფეხბურთის შეჯიბრის შემდეგ, იქ შედიოდნენ ხოლმე წვენის დასალევად. ფარნები უკვე ენთო, მაგრამ ფილაქანი მაინც ჩრდილში რჩებოდა, ფოთლები სინათლეს არ ატარებს და. კოლუმბის ქუჩა რომ გადაჭრეს, ბიჭებმა ლაურას სახლს გახედეს: ბაღში წასვლამდე იქ გროვდებოდნენ გოგოები. მაგრამ ახლა არავინ იყო ალბათ, სასტუმროს ფანჯრები ჩაბნელებული ჩანდა.

— მგონი, მატილდასთან აპირებდნენ წასვლას, — თქვა ემილი-

ომ. ციცქნა და მდიდარა ნასადილევს იქ მოვიდოდნენ, — ემილიოს გაეცინა — ციცქნამ სულ ააფრინა. ფიჭვის ჭალაში დააპირა წასვლა, ისიც კვირა დღეს. თუ მატილდას ბებრებს არ გადაეყარა, ბიჭბუჭები ამოაძრობენ სულს. მდიდარასაც კარგად მოხვდება, თუმცა არაფერ შუაშია.

ალბერტოს გაეცინა — სულ გადარია მაგ გოგომ, მეტი რომ არ იქნება.

ფიჭვის ჭალა შორსაა, ლარკოს გამზირის მეორე ბოლოში, ცენტრალური ბაღის იქით, ჩორილიოსში მიმავალი ტრამვაის ხაზის ახლოს. წინათ ეს მტრების უბანი იყო, მაგრამ დრომ ყველაფერი არივ-დარია, ყველა საზღვარი მოშალა. უცხოებს შეუძლიათ კოლუმბის, ოჩარანისა და სანაპიროს ქუჩაზე იფრიალონ, გოგოებს ესტუმრონ, თავბრუ დაახვიონ, კინოებში ატარონ. ამ უბნელ ბიჭებსაც თავის მხრივ უცხო მხარეში გადასვლა მოუხდათ. თავდაპირველად რვა-ათი ბიჭი ერთად შეიყრიდა თავს და მირაფლორესის ახლომახლო 28 ივლისისა და ფრანგების ქუჩებს უვლიდნენ, შემდეგ უფრო შორეულ ქუჩებსაც მოედვნენ — ანგამოსა და გრაუს გამზირს, სადაც კონტრ-ადმირალის ქალიშვილი სუზუკი ცხოვრობდა. ბევრმა ტურფა იმ უცხო მხარეში ჰპოვა და იქ გაეჩვია, ეს კია, არც მშობლიური ბუნაგი — დიეგო ფერე დაუვიწყნიათ. აქა-იქ მტრულად დაუხვდნენ — ბიჭები დასცინოდნენ, გოგოები ფხუკუნებდნენ. მაგრამ ფიჭვის ჭალაში გადამთიელები უკვე აშკარა ძალადობაზე გადავიდნენ. ციცქნამ რომ მატილდასთან დაიწყო სიარული, ღამით თავს დაესხნენ და გაწუწეს. ციცქნამ მაინც არ შეწყვიტა თარეში, არც სხვა ბიჭებმა დაიხიეს უკან; მატილდას გარდა იქ ხომ გრასიელა და მოლი ცხოვრობდნენ. ესენი კი ჯერ არავისთან დასეირნობდნენ.

— შეხე, ისინი არიან? — ჰკითხა ემილიომ — არა, ვერა ხედავ? გარსიას გოგოებია. ისინი უკვე ლარკოს გამზირზე არიან, სალა-

ზარის ბაღი აქედან ოციოდე ნაბიჯზეა. მოსეირნეთა მწკრივი ვეებერთელა გველივით მიიკლაკნება ტროტუარზე, რგოლად იხვევა პატარა მოედნის წინ, ეფარება ბაღის კიდეზე ჩარიგებულ მანქანების კედელს, მერე მეორე მხარეს ჩნდება ისევ და უკანვე მოემართება, ლარკოზე. ბევრ მანქანაში რადიომიმღებია ჩართული; ბიჭებს ესმით საცეკვაო მუსიკა და სიცილ-კისკისი. ბაღის გვერდით ქუჩა ხალხით ზიმზიმებს, თუმცა კვირის სხვა დღეებში ცარიელია. მაგრამ ბიჭებს ამაზე ფიქრისთვის აღარ სცხელათ. ის ანდამატი, ყოველ კვირადღეს მირაფლორესის ოც წელზე პატარა ასაკის ბინადართ, რომ იზიდავს აქ, დიდი ხანია იმათაც ნუსხავს. აქ ისინი უცხოდ აღარ გრძნობენ თავს, ისინი ამ სახის ნაწილია, აქ ისინი შინაურები არიან. ბევრი ღიმილით შემოსცქერის, მათი ენა იციან. ეს ხალხი ათასჯერ უნახავთ კლუბის აუზში, პლაჟზე, ნამგალაზე, იახტ-კლუბში, რიკარდო პალმას, ლეუროს, მონტეკარლოს კინოებში. ამ ხალხს ხვდებიან შაბათ საღამოობით სასტუმროს ოთახებში. მათთვის ნაცნობია სალაზარის ბაღში პაემანზე მიმავალი ამ ახალგაზრდების არათუ სახის ნაკვთები, ფერი, მიმოხრა, არამედ იციან, როგორ ცხოვრობენ, რა აწუხებთ, რისკენ ისწრაფვიან. იციან, რომ თუმცა მამამ ტონის სპორტული მანქანა აჩუქა საშობაოდ, მაინც უბედურია ანიტა მენდასავალის — ამ ქერქეტა და მოარშიყე გოგოს გადამკიდე. (ტონი კი არადა, მთელი მირაფლორესი შესტრფის ანიტას გრძელ წამწამებით დაჩრდილულ მწვანე თვალებს); იციან, რომ ვიკი და მანოლო, ეს წუთია ხელიხელჩაკიდებულებმა გვერდით რომ ჩაიარეს, სულ ერთი კვირაა დამეგობრდნენ; რომ პაპიტოს ძალიან ტანჯავს ის ამბავი, ბეჭებში მოხრილი და მუწუკიანი რომაა და მთელი მირაფლორესი დასცინის. იციან, რომ სონია ხვალ საზღვარგარეთ მიემგზავრება, ვინ იცის, კარგა ხნითაც — მამამისი ელჩად დანიშნეს, რომ სონიას ენანება სკოლისა და დაქალების დატოვება, გული სწყდება, ცხენით რომ ვეღარ იქროლებს. ისიც იციან, რომ ამ

ადამიანებთან მჭიდროდ არიან გადაჯაჭვულნი — იმათაც ხომ ყველა იცნობს, მათი სატრფიალო ამბებიც ასეთივე დაწვრილებით მსჯელობის საგანია და უქმეებზე დასაპატიჟებელი სტუმრების სიის შედგენისას არც ამ ამბავს ივიწყებენ. ვინ იცის, სწორედ ამ წუთს ვიკი და მანოლო მათზე ბჭობენ: „დაინახე ალბერტო? ძლივს არ მოიღო წყალობა ელენამ, თორემ ხუთჯერ მაინც სტკიცა უარი. წინა კვირას კიო უთხრა, ახლა კი ისევ აპირებს მიატოვოს. საწყალი ბიჭი!“

სალაზარის ბაღი ხალხითაა გაჭედილი. წითელ და ოქროსთევზებიან შადრევნის ირგვლივ შემორაგულ სწორკუთხა გაზონებს გალავანი არტყია. ბაღში შესვლისთანავე ბიჭებს მყის შეეცვალათ გამომეტყველება: პირი ოდნავ ღია დარჩათ, თვალებს მოუსვენრად აცეცებენ, მაგრამ პირისახეზე კი იგივე ღიმი დასთამაშებთ, როგორც ყველას. უმოძრაოდ აყუდებულან სანაპიროს მოაჯირთან სხვა უბნელი ყმაწვილკაცები და მწვანე ოთხკუთხედებთან მოტრიალე ცოცხალ კარუსელს უცქერიან. შეხედავენ ერთმანეთს წყვილები, წარბებს ზე ასწევენ ოდნავ გაღიმებულნი, მაშასადამე, გიცანიო. ამას სალამი არ ჰქვია, იგი უფრო შეთქმულთა ნიშანს ჰგავს. ალბერტომ და ემილიომ ორჯერ შემოუარეს ბაღს, სცნეს მეგობრები და გამოარჩიეს ნაცნობები ქალაქის შუაგულიდან — მაგდალენასა თუ ჩორილიოსიდან ჩამოსულ უცხოთაგან, რომლებიც იმისთვის მოსულიყვნენ, კინოვარსკვლავების დარი გოგოები ამოერჩიათ. მზერად დამდგარი ეს უცხოები გაურკვეველ სიტყვებს ისროდნენ ცოცხალი კარუსელის მისამართით, ძელსკამებზე ჩამომსხდარ გოგოებისკენ ჰარპუნივით რომ მიქროდა.

— რაღაც არ ჩანან, — თქვა ემილიომ, — შენ საათზე რომელია?

— შვიდია. რა იცი, იქნებ აქ სადმე დასეირნობენ, ჩვენ კი ვერ დავინახეთ. ლაურამ დილით მითხრა, უსიკვდილოდ მოვალთო, ელენას გავუვლიო.

— ელენამ ისევ მოგატყუა, არც მიკვირს. ძალიან უყვარს შენი მშრალზე დატოვება.

— ახლა აღარ, — თქვა ალბერტომ, — ეგ წინათ იყო. ახლა უკვე სხვაა, ახლა ჩემია.

— ბიჭებმა ერთხელ კიდევ შემოუარეს ბაღს, მაგრამ გოგოები მაინც ვერ ნახეს. სამაგიეროდ რამდენიმე ნაცნობი წყვილი შეხვდათ: ციცქნა და მატილდა, მექსიკელი და გრასიელა, მდიდარა და მოლი.

— რაღაც მოხდა ალბათ, აქამდე უნდა მოსულიყვნენ — წაილაპარაკა ალბერტომ.

— როცა მოვლენ, მარტო შენ მიდი, — მოიღუშა ემილიო, — არ მიყვარს ეგეთი რაღაცეები. სიამაყე არ უნდა დაკარგო კაცმა.

— იქნებ არცაა მათი ბრალი. რა იცი, არ გამოუშვეს?

— იტყვი რაღა! გოგომ თუ მოინდომა, ვინ დააკავებს.

ბიჭებმა ისევ შემოუარეს ბაღს. უხმოდ ქაჩავდნენ სიგარეტებს. ნახევარი საათის. შემდეგ მდიდარამ ხელი დაუქნია. „აგერ ისინიც, — ანიშნა მან განზე, — რაღას უცდი?“ ალბერტო იქით გაქანდა, წყვილები — მიფანტ-მოფანტა. ემილიო ბუზღუნ-ბუზღუნით მიჰყვა. ასეც იყო, გოგოებს უცხოები შემოხვეოდნენ. „უკაცრავად“, — ჩაილაპარაკა ალბერტომ და იმათაც უხმოდ უტიეს გზა. ერთი წუთის შემდეგ ემილიო და ლაურა, ალბერტო და ელენა ხელჩაკიდებულნი უვლიდნენ წრეს.

— მე მეგონა, აღარ მოხვიდოდი.

— ადრე ვერ წამოვედი. დედა მარტო იყო. ჩემს დას ვუცდიდი, ვინემ კინოდან არ მობრუნდა. ცოტა ხნით მოვედით. რვაზე შინ უნდა ვიყო.

— რვაზე? უკვე რვის ნახევარია — ჯერ არა, რვის თხუთმეტი წუთია მხოლოდ — რა განსხვავებაა — რა მოგივიდა? გუნებაზე ვერა ხარ? — არა, არაფერი. მაგრამ ჩემიც ხომ უნდა გაიგო — რა მოხდა ასეთი? ვერ გამიგია, რაზე ამბობ.

— ჩვენზე ვამბობ. ერთმანეთს თითქმის ვერ ვხვდებით.

— განა არ გაგაფრთხილე, ამიტომაც არ მინდოდა შენთან მევლო.

— ეგ რა შუაშია? ახლა ჩვენ ვმეგობრობთ. ხომ უნდა შევხვდეთ? როცა არ ვმეგობრობდით, ყველგან გიშვებდნენ სხვებივით. ახლა კი პატარა გოგოსავით შინ ჩაგკეტეს. მე მგონია, ყველაფერი ინესას ბრალია.

— ჩემს დას ტყუილად აბრალებ. ძალიან მეჯავრება, ჩემიანებს რომ მილანძღავენ.

— არავისაც არ ვლანძღავ, თუმცა დიდი საძაგელი და კი გყავს. დასანახად ვეჯავრები.

— შენ? იმან შენი სახელიც არ იცის.

— ეგრე გგონია? კლუბში თუ შევხვდი და მივესალმე, არ მპასუხობს. რამდენჯერ შევამჩნიე, ქურდულად რომ მიყურებს.

— იქნებ მოსწონხარ? — ნუ დამცინი. აბა, ეგ რაში გჭირდება? — ისე ვთქვი. ალბერტომ მსუბუქად მოუჭირა ელენას ხელზე და თვალებში ჩახედა. ელენა დინჯად იყურებოდა.

— გამიგე, ელენა, ასე არ შეიძლება. რად ხარ ეგეთი? — როგორი — ცივად ჰკითხა გოგომ.

— არ ვიცი, ზოგჯერ მგონია, ჩემთან ყოფნა არ გსიამოვნებს. მე კი უფრო და უფრო მომწონხარ. იმიტომაც ვიტანჯები, იშვიათად რომ გხედავ.

— ხომ გაგაფრთხილე, მე ნუ მაბრალებ.

— ორი წელია კუდში დაგდევ, შენ კი ხელს მკრავდი. მეგონა, არა უშავს, როდესმე მოლბება, გულს მოიბრუნებს, ეს ტანჯვა აღარც გამახსენდება-მეთქი. პირიქით კი მოხდა. წინათ ყოველდღე მაინც გხედავდი.

— იცი რა? შეწყვიტე, ეგეთი ლაპარაკი არ მიყვარს — კი მაგრამ რას ვაკეთებ?

— ნუ მეკითხები. თავმოყვარეობა არა გაქვს, გაგიგონია ამდენი ხვეწნა!

— ვინ გეხვეწება? იმას ვამბობ, რაც არის. ჩვენ ხომ ვმეგობრობთ? ჩემი თავმოყვარეობა შენ რაში გადარდებს?

— მე კი არა, შენ უნდა გადარდებდეს — რაცა ვარ, ისა ვარ — ჰოდა, მაშინ შენს თავს დააბრალე.

ბიჭმა ისევ მოუჭირა ხელი და თვალებში ჩახედა. გოგომ თვალი აარიდა, პირისახე. უფრო დინჯი და გოროზი გაუხდა.

— მოდი, ნუღა ვიჩხუბებთ, — უთხრა ალბერტომ — ისედაც იშვიათად ვხვდებით.

— მე უნდა გითხრა რაღაც, — ერთბაშად წაილაპარაკა ელენამ.

— რა უნდა მითხრა?

— დიდხანს ვიფიქრე და...

— რაზე იფიქრე, ელენა?

— აჯობებს, თუ უბრალო მეგობრები დავრჩებით.

— რა? გინდა წამეჩხუბო? იმის გამო, რაც ვთქვი? რას ამბობს დაივიწყე, რაც გითხარი.

— არა, ამიტომ არა, მე ადრეც ვაპირებდი. მგონი, აჯობებს, თუ ისევ ისე დარჩება ყველაფერი, როგორც აქამდე იყო. ჩვენ სხვადასხვა ადამიანები ვართ.

— მერე რა? მე ეს არ მაწუხებს. ისეთიც მომწონხარ, როგორიცა ხარ.

— მე კი არა, მე ყველაფერი ავწონ-დავწონე და მივხვდი, რომ არ მომწონხარ.

— ჰო, თუკი ასეა.. — წაილაპარაკა ალბერტომ.

ისინი კვლავ ნელა მიაბიჯებენ. თითქოს არც ახსოვთ, რომ ხელჩაკიდებულნი მიდიან. ისე გაიარეს კიდევ ოციოდე ნაბიჯი, ერთმანეთისათვის არ შეუხედავთ და არც ხმა გაუციათ. მაგრამ შადრევანს რომ მიუახლოვდნენ, ელენამ ხელი უშვა ალბერტოს, ბიჭი მიხვდა და აღარ მიეძალა.

ასევე უხმოდ შემოუარეს ბაღს. უყურებდნენ მათკენ მომავალ წყვილებს და უღიმოდნენ ნაცნობებს. გამზირზე შედგნენ და ერთმანეთს შეხედეს.

— კარგად აწონ-დაწონე შენი საქციელი? — ჰკითხა ალბერტომ.

— კი, — თქვა ელენამ, — მე მგონი, კი — კარგი. მაშინ სალაპარაკოც არაფერია.

გოგომ თავი დაუქნია და გაუღიმა. მაგრამ უმალ გულგრილი გამომეტყველება მიიღო. ალბერტომ ხელი გაუწოდა. ელენამ ჩამოართვა და დინჯად თქვა:

— ხომ მეგობრები დავრჩებით?

— რაღა თქმა უნდა.

ალბერტო გამზირს გაჰყვა. ჩაუარა ბაღის გალავნის გასწვრივ მდგარ მანქანებს, გავიდა დიეგო ფერეზე, მოუხვია. ქუჩა ცარიელი ჩანდა. კოლუმბის ქუჩასთან არ იყო მისული, უკნიდან ჩქარი ნაბიჯების ხმა მოესმა და ვიღაცამ დაუძახა. მოიხედა, ციცქნა მოსდევდა.

— გამარჯობა, — მიესალმა ალბერტო, — აქ რა გინდა? მატილდა სადაა?

— შინ წავიდა, ეჩქარებოდა.

ციცქნა მიუახლოვდა და მხარზე დაჰკრა ალბერტოს ხელი, მეგობრულად შეჰღიმა.

— აფსუს, ეს რა ქნა ელენამ, — თქვა მან — მაგრამ, მგონი, ასე სჯობს. ეგ საშენო გოგო არაა.

— საიდან იცი? ამ წუთას ვიჩხუბეთ მხოლოდ.

— გუშინვე ვიცოდი. ყველამ ვიცოდით, ოღონდაც არ გითხარით, გული არ გატკინეთ.

— არ მესმის, ბარემ გარკვევით მითხარი.

— არ გეწყინება?

— არა, თქვი.

— ელენა რიჩარდზე გიჟდება.

— რიჩარდზე?

— ჰო, იმაზე, წმიდა ისიდორედან რომაა

— ვინ გითხრა?

— არავინ. ყველამ იცის. გუშინ ნატისთან იყვნენ ერთად.

— შენ გინდა თქვა, ნატოს საღამოზეო? ტყუილია, ელენა იქ არ ყოფილა.

— საქმეც ეგაა, რომ იყო. არ გვინდოდა შენთვის გვეთქვა.

— აკი მითხრა, არ წავალო.

— იმიტომაც გეუბნები, ნუღა შეხვდები-მეთქი.

— შენი თვალით ნახე?

— ჰო, მთელი საღამო რიჩარდთან ცეკვავდა. ანა მივიდა და ჰკითხა: „განა ალბერტოს წაეჩხუბე?“ იმან უთხრა, ჯერ არა, მაგრამ ხვალ უთუოდ ვეტყვიო ყველაფერს. შენ გულთან არ მიიტანო.

— აი, დარდი, ფეხებზე არ მკიდია. მე თვითონაც მომბეზრდა.

— ყოჩაღ, — ისევ დაჰკრა ციცქნა მხარზე ხელი — ეგრეც უნდა, სხვა გოგო მოჩანგლე. დაე, თითები იკვნიტოს, შენც გულს გადააყოლებ. თუნდაც ნატის გაეარშიყე. მაგას გოგო არ სჯობია. ახლა არავინ არა ჰყავს.

— ეგ ცუდი აზრი არაა, — წაილაპარაკა ალბერტომ.

დიეგო ფერეს მეორე უბანიც გაიარეს ბიჭებმა და კარებთან დაშორდნენ ერთმანეთს. ციცქნა თანაგრძნობის ნიშნად რამდენჯერმე კიდევ დაჰკრა მხარზე ხელი. ალბერტო შინ შევიდა და პირდაპირ თავის ოთახისკენ გასწია. ოთახში სინათლე ენთო. კარი რომ გამოაღო, მამა დაინახა, ხელში მისი ნიშნების ქაღალდი ეკავა. დედა საწოლზე იჯდა ჩაფიქრებული.

— საღამო მშვიდობისა, — წაილაპარაკა ალბერტომ.

— გაგიმარჯოს, — თქვა მამამ — მამას შავი კოსტუმი ეცვა. როგორც ყოველთვის, ახლად პირგაპარსული და თმადავარცხნილი

იყო. გოროზად იყურებოდა, მაგრამ თავის პრიალა ფეხსაცმელს, ნაცრისფრად დაწინწკლულ ჰალსტუხს, პიჯაკის ჯიბიდან ამოჩრილ ქათქათა ცხვირსახოცს, მოვლილ სუფთა ხელებს, პერანგის მაჯებსა და ახლადგაუთოებულ შარვალს რომ დახედავდა, თვალებში ღიმი უკრთოდა. თითქოსდა თავისდა უნებლიეთ იყურებოდა ძირს, მაგრამ რასაც ხედავდა, ძალიან მოსწონდა და ღიმი ერეოდა, თუმცაღა მაშინვე დაიდინჯებდა ხოლმე პირისახეს.

— ადრე წამოვედი, თავი ამტკივდა, — წაილაპარაკა ალბერტომ.

— გრიპი გექნება, — უთხრა დედამ, — უნდა დაწვე.

— არა, ყმაწვილო, ჩვენ სალაპარაკო გვაქვს, — თქვა მამამ და ნიშნების მოწმობა დააქნია — ახლახან გადავათვალიერე ეს ფურცელი.

— ზოგიერთ საგანში საქმე მართლაც ვერა მაქვს კარგად, მაგრამ მთავარი მაინც წლის ბოლოა, — უთხრა ალბერტომ.

— ნუ სულელობ რაღაცას, — შეაწყვეტინა მამამ.

დედამ წყენით გადახედა ქმარს.

— ასეთი რამ ჩვენს გვარს არ მოსწრებია, ლამის სირცხვილით დავიწვე. იცი თუ არა, რომ ჩვენს გვარს მთელი ორასი წელია პირველი ადგილი ეკავა სკოლაში, უნივერსიტეტში, ყველგან? ბაბუაშენს ეს მოწმობა რომ ენახა, აქვე მოკვდებოდა.

და ჩვენთანაც მასეა, — მყის ჩაურია დედამ, — შენ რა გგონია? მამაჩემი ორჯერ იყო მინისტრი. მამას ვითომც არ გაუგონია მისი ნათქვამი, განაგრძო:

— ახლა მორჩა ყველაფერი. ვაი, სირცხვილო! მე ნებას არ მოგცემ ჩემი სახელი ლაფში ამოსვარო. ხვალვე დაიწყებ მასწავლებელთან მეცადინეობას და გამოცდებისთვის მოემზადები.

— რა გამოცდები? — ჰკითხა ალბერტომ.

— ლეონსიო პრადოს სასწავლებელში შეხვალ. ინტერნატი ჭკუაზე მოგიყვანს.

— ინტერნატი? — ალბერტოს გაუკვირდა.

— მე არ მომწონს ეგ სასწავლებელი, — ჩაილაპარაკა დედამ — ნესტიან ადგილზეა. ავად რომ გახდეს!

— შენ გინდა იმ გლეხუჭებთან ვისწავლო?

— რას იზამ, სხვა ვერაფერი მოგიყვანს ჭკუაზე, — თქვა მამამ — მღვდლებთან თავი აიგდე, სამხედროებთან კი ეგ არ გაგივა. გარდა ამისა, ჩვენი ოჯახი, მუდამ დემოკრატიული იყო. რიგიანი კაცი ყველგან რიგიანი დარჩება. ახლა კი დაწექი და დაიძინე. ხვალიდან წიგნებს ჩაუჯდები. ღამე მშვიდობისა.

— შენ სად მიდიხარ? — მიატანა დედამ — საქმე მაქვს, ნუ გეშინია. მალე დავბრუნდები.

— ვაი მე უბედურს, — ამოიოხრა დედამ და თავი ჩაჰკიდა.

„მოედნიდან რომ გამოგვიშვეს, გადავწყვიტე, თავი მომეკატუნებინა და მოვეფერე: „მოდი ჩემთან, წკავწკავავ, მოდი, ჩემო კარგო ცუგრია, მოდი აქ“. ისიც მოვიდა. მისი ბრალია! რად დამიჯერა, რომ გაქცეულიყო, არაფერიც არ მოხდებოდა, ახლა გული მეწვება მისი ცოდვით, მაშინ კი სიბრაზისაგან აღარ ვიცოდი, რა მექნა, სულ არ მეცოდებოდა. ნაღდში დაკოჭლდება ეგ უბედური. ამას სჯობდა ღია ჭრილობა ჰქონოდა — შეუხორცდებოდა და ნაიარევი დაემჩნეოდა მხოლოდ. მაგრამ სისხლი არ გამოსვლია, ხმაც კი არ გაუღია. ცალი ხელით დრუნჩი მოვუკეტე, მეორეთი კი თათი გადავუგრიხე, როგორც ქათამს მოუგრიხავ კისერს. თვალებზე შევატყვე, ისე ეტკინა, მეტი არ იქნება. „ესეც შენ, შე უჯიშო, შენა. ამას იქით გეცოდინება, მწყობრში რომ ვდგავართ, არ უნდა გამაცოფო და გამახელო, მე შენ ძაღლი ხომ არ გგონივარ, ოფიცრებთან რომ იკბინები“. ის საცოდავი კანკალებს და კანკალებს, და, მეც მოვეშვი, მივხვდი, საკმარისი იწვნია, ფეხი მთლად დავუსახიჩრე. ზეზე ვეღარც დადგა, სულ ცალ გვერდზე ვარდება — ადგება და წაიქცევა, ადგება და წაიქცევა, თან ჩუმად წკმუტუნებს. მე

კი მინდა კიდევ და კიდევ ჩავცხო. საღამოს გაკვეთილებიდან დავბრუნდი, ვნახე, ისევ იქა წევს, სადაც იწვა. შემეცოდა და დავუძახე: „მოდი აქ, შე უპატრონო, პატიება მთხოვე“. წამოდგა და მაშინვე დაეცა. ორჯერ-სამჯერ დაეცა ასე და მერე ძლივძლივობით დაიძრა ჩემკენ. სამ თათზე კოჭლობ-კოჭლობით მოდიოდა, თან წკმუტუნებდა, ეტყობა, ძალიან სტკიოდა. იცოცხლე, მაგას მოხვდა, — მთელი სიცოცხლე კოჭლი დარჩება. შემებრალა და ხელში ავიყვანე, თათი მოვუსინჯე, იწივლა, მაგრამ რა იწივლა. ვიფიქრე, ალბათ მოტეხილი აქვს და სჯობს ხელი არ ვახლო-მეთქი. მაგ საცოდავს ღვარძლიანი გული არ ჰქონია, მაშინვე ხელი ამილოკა. მე კი ასეთი დღე ვაყარე! ამილოკა და მერე თავი დამადო ხელებზე. კისერი და მუცელი მოვფხანე, მაგრამ დავსვი თუ არა იატაკზე, თავისი ფეხით რომ ევლო, ზეზე ვერ დადგა, წონასწორობა ვერ დაიჭირა სამ თათზე. თან ისე წკმუტუნებდა და წკავწკავებდა, ალბათ ყოველ განძრევაზე მოტეხილი თათი სტკიოდა. კავას არ უყვარდა წკავწკავა, ჭირივით სძულდა. რამდენჯერ წავასწარი, ხან ქვებს ესროდა და ხან წიხლს აზელდა მალულად. ეს ველურები ყველანი საზიზღრები არიან, კავა კი ველურზე ველური ვიღაცაა. ჩემი ძმა იტყოდა ხოლმე: „კაცს რომ თვალებში შეხედავ და თვალს აგარიდებს, მაშასადამე, ტყიურიაო“. ჩემი ძმა მაგათ კარგად იცნობს, ტყუილად კი არ მუშაობს საბარგო მანქანაზე. პატარაობაში ვოცნებობდი, უთუოდ შოფერი გამოვალ-მეთქი. კვირაში ორჯერ მიდიოდა მთაში, აიაკუჩოში და მეორე დღეს ბრუნდებოდა მხოლოდ. ასე იყო წლიდან წლამდე. არ მახსოვს, ერთხელ ისე დაბრუნებულიყო იქიდან, მთიელები ლანძღვით არ აეკლო. როგორც რამდენიმე ჭიქას გადაყლურწავდა, მაშინვე მოჩახმახებული იყო, რომელიმე მათგანისთვის ცხვირ-პირი ჩაელეწა. ასე ამბობს, მაგათმა მე მთვრალი მომიხელთესო. არა მგონია ტყუოდეს, თორემ როგორ მოერეოდნენ და ასე ბეგვავდნენ. როდისმე ჩავალ უანკაიოში, გავარკვევ ერთი, ვინ ქნა და

მაგათ ვუტირებ ყოფის დღეს. „ვალდივიესოს ოჯახი აქ ცხოვრობს?“ — მეკითხება ერთი პოლიციელი. „ჰო, თუკი რიკარდო ვალდივიესოს ჰკითხულობთ“, — ვეუბნები მე. დედაჩემმა თმაზე მომქაჩა, შინ შემაგდო, თვითონ კი წინ გადაუდგა პოლიციელს, ეჭვით შეხედა და უთხრა: „ვალდივიესოები ამქვეყნად ბევრია, ჩვენ ვინ მოგვკითხავს ყველას ცოდვა-მადლს. ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ, სენიორ პოლიციელო, მაგრამ პატიოსნად ვცხოვრობთ. თუ შეიძლება, ამას ყურადღებას ნუ მიაქცევთ, პატარაა, რას რატრატებს, თვითონ არ იცის“. მე კი პატარა კი არადა, ათზე მეტი წლისაც ვიყავი. პოლიციელს გაეღიმა და თქვა: „რას ამბობთ, რიკარდო ვალდივიესოს არც არაფერი დაუშავებია, თვითონვე დაიშავეს ისე, ახლა საავადმყოფოში წევს. დაჭრეს კაცი. გვთხოვა, ოჯახს შეატყობინეთო“. „ნახე ერთი, ჯამში ფული რამდენი დარჩა. ფორთოხლები უნდა ვუყიდოთ“, — მითხრა დედამ. ხილი კი ვუყიდეთ, მაგრამ ტყუილად დავიხარჯეთ. თავ-პირი ისე ჰქონდა შეხვეული, თვალებიღა უჩანდა. პოლიციელი გამოგველაპარაკა მერმე და ყველაფერი გვიამბო: „კამეჩი ყოფილა, კაცი კი არა! თუ იცით, სენიორა, სად დაჭრეს? სადა და უანკაიოში. ისიც თუ იცით, სად ვნახეთ? ჩოსიტას ახლოს. რაღა კამეჩი და რაღა ეგ მანქანაში ჩამჯდარა და ლიმამდე, ისე ჩამოსულა, ვითომც არაფერი. ნახეს, მანქანა გზიდან მოშორებით დგას, თვითონ საჭეზე ჩამოუდევს თავი და სძინავს. ჩემი ფიქრით, ჭრილობებზე მეტად ღვინომ მოცელა. უნდა გენახათ მაგისი მანქანა, სულ სისხლში იყო ამოსვრილი. მთელი გზა სისხლისგან ლამის დაიცალა ეგ კამეჩი ეგა, თქვენთან უკაცრავად, სენიორა, მაგრამ მაგისთანა კამეჩი იშვიათად მინახავს. არ იცით, ექიმმა რა უთხრა? „არა, ძმაო, უანკაიოდან ასე ვერ წამოხვიდოდი, შუა გზაში გაგძვრებოდა სული. ოცდაათ ჭრილობას შენ ეხუმრები!“ დედაჩემმა კი ასე უპასუხა: „ჰო, სენიორ პოლიციელო, მამამისიც ეგეთი იყო. ერთხელ ცოცხალ-

მკვდარი ჩამომიყვანეს, ენას ძლივს ატრიალებდა და მაინც მეხვეწებოდა, წადი და ღვინო მომიტანეო. მევე ჩავასხი ბოთლიდან პირში. აი, როგორი ოჯახი გვქონდა. ჩემდა საუბედუროდ, რიკარდო მამას დაემსგავსა. ერთხელ ეგეც ისე წავა სახლიდან, არ მეცოდინება, სად დაწანწალებს და რას აკეთებს“. მერე მე დამკრა კისერზე ხელი და თქვა: „ამის მამა კი ყუჩი, თვინიერი კაცი იყო, სულ შინ იჯდა. სამუშაოდან პირდაპირ შინ მოდიოდა. მთელი ჯამაგირი კაპიკ-კაპიკ ჩემგან მოჰქონდა, სიგარეტისა თუ გართობის ფულს მევე ვაძლევდი მერე. ჩემს პირველ ქმარს კი არ ჰგავდა, სენიორ პოლიციელო, სასმელს პირს არ აკარებდა, ოღონდაც ამ ჩემს უფროს ვაჟს, აგერ შეხვეული რომ წევს, დასანახად ეჯავრებოდა. რა აწამა საწყალი! რიკარდო მაშინ სულ ახალგაზრდა იყო. თუ შინ მოსვლა შეაგვიანდებოდა — ჩემს საცოდავ ქმარს აკანკალებდა: იცოდა, მთვრალი მობრძანდებოდა და შარს აუტეხავდა: „აბა, სად არის ის ტიპი, მამინაცვლობას რომ მიპირებს? მინდა ველაპარაკო ერთი“. ქმარი სამზარეულოში ჩაიკეტებოდა, რიკარდო კი იქაც დაადგებოდა თავზე და მთელ სახლს შემოარბენინებდა: იმდენი ქნა, ფეხი ამოაკვეთინა ჩვენი სახლიდან. ვერც გაამტყუნებ კაცი“.

პოლიციელმა იმდენი იცინა, ლამის გადაბჟირდა, რიკარდო კი ლოგინში წრიალებდა. კინაღამ გაცოფდა, ხმის ამოღება და დედაჩემისთვის დაცაცხანება რომ არ შეეძლო, თავს ნუ მჭრიო. დედამ პოლიციელს ერთი ფორთოხალი მისცა, დანარჩენი კი შინ წამოვიღეთ. გამოჯანმრთელების შემდეგ ასე მითხრა რიკარდომ: „მაგ ტყიურებს ერიდე — მაგათზე მურდალი ხალხი არაა. ვაჟკაცურად, პირდაპირ არაფერს გაგიკეთებენ, ტურასავით ზურგიდან დაგივლიან. გამიმასპინძლდნენ, გამომათვრეს, მერე კი ყველანი ერთად დამესიენ, ახლა. მძღოლის უფლება წამართვეს, რომ უანკაიოში წავიდე და მაგათ ოხტში ამოვიდე, ანგარიში გავუსწო-

რო“. ალბათ მეც იმიტომ ვეღარ ამიტანია ეგენი. სკოლაში მაგათი ჯილაგისა ცოტა გვყავდნენ, სულ რამდენიმე კაცი, ისიც არცთუ წმინდა სისხლისა. აქ რომ ჩამოვედი, თვალებს არ ვუჯერებდი, კრეოლებზე მეტნი იყვნენ. გეგონება, მთის ყველა სოფლიდან აქ ჩამოკრეფილიყვნენ. ჯანდაბას მაგათი თავი, ყველა წმინდა წყლის ქოფაკია ამ საცოდავი კავასავით. ჯგუფში ბლომად გვყავდნენ ეგენი, კავა ყველაზე ჯიშიანი იყო. ერთი თმა რადა ღირს მაგათი! ვერც დაიჯერებ, თუ ადამიანს ამისთანა ჯაგარი შეიძლება ჰქონდეს. მე მგონი, კიდევაც რცხვენოდა თავისი თმისა. რაღაც ბრილიანტინი იყიდა, იქნებ წესიერად დავაყენოო ეგ ოხერი. იპოხა და იპოვა თმა, ივარცხნა და ივარცხნა, ლამის მკლავები ჩამოიწყვიტა. ეგონა, აჰა, უკვე ჭკუაზე მოვიყვანეო, მაგრამ შენც არ მომიკვდე: ჯერ ერთი ღერი დაუდგება ყალყზე, მერე მეორე, მესამე, მეორმოცდაათე თუ მეათასე. მეტადრე საფეთქელზე აქვთ ამ ტყიურებს ეკლებივით თმა. კიდევ კეფაზე. ჰო, ჰო, რა დღეში გვყავდა ბიჭებს ამ თმისა და ბრილიანტინის გამოისობით. როგორ ჰყარდა მაინც. არ დამავიწყდება, რა ხარხარი და ხორხოცი გვქონდა, ეგ რომ თმაგაპრიალებული გამოვიდოდა საპირფარეშოდან. დავეხვეოდით და „ერთი, ორი, სამი, ოთხი“, ხმამაღლა ვითვლიდით. ათამდე არც გვქონდა დათვლილი, რომ უკვე ნელ-ნელა აიყალყებოდა ყველა ღერი. იდგა თვითონ ხმაგაკმენდილი, კბილს კბილზე აჭერდა, ითმენდა. ხოლო ათამდე რომ დავითვლიდით, მთელი თმა უკვე ზღარბის ეკლებივით ადგა თავზე. ძალიან აწვალებდათ ამ ტყიურებს ეს თმა, კავას ხომ ყველაზე მეტად — ლამის წარბებიდან ამოზრდოდა. აბა, თუ ბიჭი ხარ, იარე ამისთანა პარიკით, შუბლიც აღარ გიჩანს კაცს. ეტყობა, ძალზე ტანჯავდა ეს ამბავი. ერთხელ გადაწყვიტა, შუბლიდან მაინც გადაეპარსა ჯაგარი. ვიღაცამ კი შეუსწრო ამ დროს — მგონი, სულაც ვალიანო ზანგმა. ოთახში შემოვარდა და დაგვიყვირა: „არიქა, წამოდით — კავა შუბლიდან ჯაგარს იპარსავს — იმისთანა სეირია,

არ წააგებთ“. გავცვივდით ყველანი სასწავლო კორპუსის საშხაპოებში — თურმე იქ შემძვრალა საწყალი, არავინ დამინახოსო. გაუსაპნია შუბლი წვერივით და ნელა იპარსავს სამართებლით, კანი არ გავიჭრაო. გიყვარდეს, ჩვენ დღე დავაწიეთ, ლამის იბღავლა კაცმა. მაშინ იყო, ვალიანოს რომ ეჩხუბა იქვე, იმ საშხაპოში. ზორბად ბრიგეს ერთმანეთი, ოღონდაც ზანგი მოერია, უფრო ღონიერი გამოდგა. იაგუარმა კი თქვა: „დაიცათ, ბიჭებო, რაღაი თმა ასე უშლის ხელს, მოდი და წავეხმაროთ!“ თუმცაღა, ჩემი აზრით, ეს არ იყო მთლად ვაჟკაცური საქმე. კავაც ხომ ჩვენი წრის წევრი იყო, მაგრამ ამისთანა კაცია იაგუარი — არავის დაინდობს. ვალიანო ზანგი პირველი ეძგერა კავას, მერე მეც მივეშველე, როგორც იყო გავქაჩეთ ბიჭი, იაგუარმა კი შუბლი და ნახევარი თმა გაუსაპნა და სამართებლით დაუწყო პარსვა: აბა, აბა, წყნარად იდექ, შე ტყიურო, თორემ სამართებელს თავში გაირჭობ. კავას კუნთები სულ დაეძაგრა, მაგრამ განძრევისა ეშინოდა. მხოლოდ თვალებით სჭამდა იაგუარს და თავის გულს ასკდებოდა. იაგუარმა ხრიჭი-ხრიჭ — და ნახევარი თავი გადაპარსა. სეირი იყო, ნუ იტყვი. კავა აღარც განძრეულა. იაგუარმა საპნის ქაფი გადასწმინდა მასთან ერთად და ყველაფერი ერთიანად პირში ჩაუტენა კავას: „ჭამე, ნუ გეშინია, გემრიელია, ჰო, ჰო, ჭამეო!“ მგონი, ისე ჩემს დღეში არ მიცინია, როგორც მაშინ, კავა რომ წინ გავიგდეთ მოედანზე ნახევრად თავგადაპარსული და ნახევრად თმააჯაგრული, ჩვენ კი უკან მივყევით. მწერალა სულ ხტუნავდა: „შეხედეთ ამ უკანასკნელ მოჰიკანს, უფროსებს უნდა შევატყობინოთ!“ ყველანი სიცილით კვდებოდნენ მის დანახვაზე. ორმა სერჟანტმაც სიცილი ატეხა, როცა დაინახა. მეტი რა ჩარა იყო, თვითონაც სიცილი დაიწყო კავამ: მერე ყველანი მწკრივში დავდექით და უარინა გვითხრა: „რა იყო, თქვე რეგვენებო? რას ხორხოცებთ ლენჩებივით? აბა, მორიგეებო, ჩემთან“. მორიგეებმა — უთ-

ხრეს: „ყველაფერი რიგზეა, სენიორ ლეიტენანტო, არავინ გვაკლია“. სერჟანტებმა კი თქვეს: „აქ ერთ კადეტს პირველი რაზმიდან თავი ნახევრად გადაპარსული აქვს“. „მომიყვანეთ ეგ კადეტი“, — ბრძანა უარინამ. ყველანი სიცილით გადავბრუნდით, ეს ტყიური უარინას რომ გამოეჭიმა და იმან უბრძანა: „ბერეტი მოიხადეო. კავამაც მოიხადა. „ჩუმად, — თქვა უარინამ, — ვის გაუგია მწყობრში სიცილი?“ მაგრამ, კავას რომ შეხედა, თვითონაც ჩაიხითხითა: „გამიგონე, ეგ რასა ჰგავს?“ „არაფერს, სენიორ ლეიტენანტო“, — უთხრა კავამ — „როგორ თუ არაფერს. ეს სამხედრო სკოლაა თუ ცირკი?“ — „სამხედრო სკოლა გახლავთ, სენიორ ლეიტენანტო“ — „კი, მაგრამ რას გიგავს თავი?“ — „თმა გადავიპარსე, სენიორ ლეიტენანტო, ცხელა“. მაშინ უარინასაც გაეცინა და ასე უთხრა: „დალახვროს ეშმაკმა! ჩვენი სასწავლებელი რეგვენების — სკოლა როდია! წადით სადალაქოში და თავი მთლიანად გადაიხოტრეთ, მაშინ აღარ დაგცხებათ. მაგრამ ცხვირსაც ვერსად გაჰყოფთ, ვინემ ისე არ წამოგეზრდებათ თმა, როგორც წესდება გიბრძანებთ“.

საწყალი კავა, ურიგო ბიჭი არ იყო, მერე კიდეც დავმეგობრდით. ესაა, თავიდან ამოვიჩემე, იმიტომ რომ ტყიური იყო, იმ ტყიურებმა კი მისთანა ოინი უყვეს რიკარდოს. რაც შემეძლო სისხლს ვუშრობდი. წრე რომ შევიყრიდით თავს და კენჭს ვყრიდით, მეოთხე კურსს ვინ დაუნაყოსო ცხვირპირი, და წილი კავას შეხვდებოდა, ვამბობდი: „ვინც უნდა წავიდეს, ოღონდ კავა არა. ჩავარდება და ყველას დაგვღუპავს-მეთქი“. კავა. თავს ჩაღუნავდა, ხმას არ გაიღებდა. მაგრამ როცა წრე დაიშალა, იაგუარმა — გვითხრა: „წრის საქმე მორჩა, მაგრამ თუ გინდათ, ჩვენ ოთხმა შევკრათ — ახალი წრე“. „ოღონდაც ტყიურები არ დამანახო, — ვუთხარი მე, — ეგენი ყველანი ლაჩრები არიან“. „ეს ამბავი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს, — თქვა იაგუარმა — ჩვენ შორის ამისთანა რაღაცეები არ უნდა იყოს“. ჰოდა, დაუძახა კავას

და უთხრა: „პითონი შენზე ამბობს, ლაჩარია და წრეში არ უნდა მივიღოთო. დაუმტკიცე, რომ ცდება“. „ეგრე იყოს“, — მიუგო კავამ. იმავე ღამეს ოთხივენი სტადიონზე წავედით. ნაკერები მოვიძრეთ, რა არის მეოთხე და მეხუთე კურსს არ გამოეცნო, ლეკვები რომ ვიყავით და საწოლების გასაშლელად არ გავერეკეთ. სტადიონზე მშვიდობით მივედით. იაგუარმა თქვა: „ჩუმად იჭიდავეთ, ყვირილი და გინება არ იყოს, ბარაკები სალახანებითაა სავსე“. ქოჩორამ კი გვითხრა: „ბარემ ხალათებიც გაიხადეთ, ხვალ შემოწმება იქნება და ერთმანეთს რომ შემოახიოთ, შავი დღე დაგადგებათ“. ისე რომ ხალათებიც. გავიხადეთ. „აბა, ჰე, დაიწყეთ“, — გვითხრა იაგუარმა. კი ვიცოდი, ტყიური რომ ვერაფერს დამაკლებდა, მაგრამ ამისთანა გამძლეობა თუ ჰქონდა, სწორედ არ მეგონა. მართალს ამბობენ, ჩხუბში ძალიან გამძლეები არიანო. თუმცა გარეგნობის მიხედვით ამას ვერ იტყვი — მეტისმეტად ჩია ტანისა არიან. კავაც პატარა ტანით, მაგრამ რკინაა ეგ ოხერი. მაგარი და ჩასკვნილია, კუნძივით გაბარჯღული. რამდენიც გინდა უბრაგუნე, ვერაფერს დააკლებ. მოგეკვრება ტკიპასავით, კისერსა და ქამარზე ჩაგეჭიდება, ვერა ძალით ვერ მოიშორებ, რამდენი მე მაგას ვურტყი მუშტები თავსა და ზურგში, რომ მომეშორებინა, შენც არ მომიკვდე! ცოფიანი ხარივით მეტაკებოდა ისევ და ისევ, — ვერა და ვერ გავაჩერე. ისე კი მოუქნელია, პირდაპირ შეგეცოდება. კი ვიცოდი, ეს ტყიურები წიხლებს რომ ვერ ხმარობენ ჩხუბში, მხოლოდ კალიაოელ ბიჭებს ემარჯვებათ მუშტი-კრივზე უფრო წიხლების ცემა. თავისებური ხერხიც აქვთ. მაგრამ იოლი არ გეგონოთ, ყველას კი არ შეუძლია ორი ფეხი ერთად მოსწყვიტოს მიწას და ცხვირ-პირში გხეთქოს. ტყიურებმა მხოლოდ მუშტებით იციან ჩხუბი. კრეოლებივით არც თაური შეუძლიათ, თუმცა კვახივით კი აქვთ თავი. მე მგონი, კალიაოელებივით ჩხუბი არავის შეუძლია. იაგუარი ამბობს, ბელიავისტედან ვარო, მაგრამ, მგონი,

კალიაოდან უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში იმათ არ ჩამოუვარ-დება. მეორე არ მეგულება, მაგასავით ერთნაირად მარჯვედ ხმა-რობდეს ფეხებს და თავს, ხელს თითქმის არ ანძრევს, სულ თავი-თა და ფეხებით იბრძვის. ღმერთმა ნუ მაჩხუბოს იაგუართან. „მოვრჩეთ რაღა“, — ვუთხარი მე. „როგორც გინდა, — მითხრა კა-ვამ, — ოღონდაც ამას იქით აღარ თქვა ჩემზე, ლაჩარიაო“. „ჩქარა ხალათები ჩაიცვით და სიფათი მოიწმინდეთ, — თქვა. ქოჩორამ, — ვიღაცეები მოდიან, სერჟანტები უნდა იყვნენ“. მაგრამ სერჟან-ტები კი არადა, მეხუთეკურსელები ყოფილიყვნენ. ხუთნი ბრძან-დებოდნენ. „ბერეტები რატომ არ გხურავთ? — გვითხრეს — თავს ნუ იკატუნებთ, ან მეოთხეკურსელები იქნებით, ანდა ლეკვები“. ერთმა დაიძახა: „ჩამწკრივდით და ჯიბეები ამოიბრუნეთ, ფული და სიგარეტები გვინდა“. სიქა აღარ მქონდა და ამიტომაც არ გავ-ნძრეულვარ, როცა იმ ტიპმა ჯიბეები ამომიბრუნა. ხოლო ქოჩო-რას მჩხრეკელმა თქვა: „ამას გროშებითა და სიგარეტებით აქვს გამოტენილი ჯიბეები“. იაგუარს პირი მოეღრიცა: „მეხუთეკურსე-ლები რომ ხართ, იმიტომაც ხართ დიდ გულზე, განა?“ — „რა თქვა ამ ლეკვმა?“ — იკითხა ვიღაცამ: სახეს ვერ გაარჩევდი, იმისთანა წყვდიადი იყო. მეორემ კი თქვა: „გაიმეორეთ, გეთაყვა, თქვენი ნათქვამი, ლეკვო“ — „მეხუთე კურსიდან რომ არ იყოთ, სენიორ კადეტო, ვერ გაბედავდით ჩვენთვის სიგარეტები და ფული წა-გერთმიათ“. კადეტებს გაეცინათ: „როგორც გატყობთ, ჩხუბი გყვარებიათ!“ „დიახაც მიყვარს, — მიუგო იაგუარმა, — არა მგო-ნია, სასწავლებლის გარეთ გაბედოთ და ჯიბეში ჩამიძვრეთ“ — „ეს რა მესმის, ეს რა მესმის?“ — დაიძახა ერთმა. „არა, როგორ მოგ-წონთ, ჰა?“ — მიატანა მეორემ და მესამემაც დასძინა: „თუ ძალიან გინდათ, კადეტო, ნაკერებსაც ავიხსნი, უამისოდაც გავჩხრეკ, ვი-საც მინდა“. „არა მგონია, სენიორ კადეტო“. „მოდით, ვცადოთ“, — თქვა კადეტმა, ქურთუკი გაიხადა და ნაკერები მოიხსნა, იაგუა-რი იმავ წამს ეძგერა, ძირს გააგორა და ისე დააყარა მუშტები, იმ

მურდალმა ბღავილი ატეხა: „რას უყურებთ, თქვე ოხრებო, მომეშველენით!“ ყველანი იაგუარს მიცვივდნენ. „ამას კი არ გაგაბედინებთ“, — თქვა ქოჩორამ. იმ ზედახორას მეც ვეტაკე. იმისთანა ქიჩმაჩი შეიქნა, კაცი ვერაფერს გაარჩევდა. ზოგჯერ მეგონა, რიყის ქვებს მირტყამენ-მეთქი, და ვიფიქრე: ნაღდში იაგუარის წიხლები იქნება-მეთქი. ამისთანა ყოფაში ვიყავით, ვინემ სტვენის ხმა არ გაისმა და ყველანი სხვადასხვა მხარეს არ გავიფანტეთ. შავი დღე კი გვაყარეს. ბარაკში სალათები რომ გავიძრეთ, ყველანი დალილავებულნი და დაკაწრულნი ვიყავით. ჰო-ჰო, რა ხვიხვინი ატეხეს ბიჭებმა! მთელი რაზმეული საპირფარეშოში შემოცვივდა — „გვიამბეთ და გვიამბეთო“, საშველი არ მოგვცეს. მწერალამ კი კბილის პასტა წაგვისვა, შეშუპებული უფრო მალე მოგიშუშდებათო. ღამით იაგუარმა მითხრა: „ესეც ახალი წრის საბრძოლო ნათლობაო“. მერე კავას საწოლთან მივედი და ვუთხარი: „მოდი, შევრიგდეთ-მეთქი“. „კარგი“, — მითხრა“.

უხმოდ შესვეს კოკა-კოლა. პაულინო ბილწი თვალებით თავხედურად შემოჰყურებდა ორივეს. არანას მამა პატარა ყლუპებით სვამდა. ზოგჯერ ბოთლი ჰაერში გაუშეშდებოდა და უაზროდ მიაჩერდებოდა სივრცეს. მერე უცბად მოეღრიცებოდა ტუჩები და ისევ მოიყუდებდა ბოთლს. ალბერტო უგემურად ყლაპავდა, გაზი ყელში უხიცინებდა. ხმას არ იღებდა — ეშინოდა ამ კაცმა ისევ არ მომიყვესო რაღაცეები, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. ლამა არ ჩანდა — ალბათ სტადიონზე ძოვდა ბალახს. როცა კადეტები ეზოში იყვნენ, ეზოს მეორე კიდეზე გაშპებოდა, სამაგიეროდ გაკვეთილების დროს მინდორს ნელი ნაბიჯით უვლიდა ხოლმე გიმნასტივით. არანას მამამ ფული გადაიხადა, პაულინოს ზედმეტიც მისცა. სასწავლო კორპუსი არ ჩანდა: მოედანზე ჯერ სინათლე არ ენთო, ნისლი კი მიწამდე განრთხმულიყო.

— ძალიან წვალობდა? — ჰკითხა არანას მამამ — აი, შაბათს

რომ ჩამოიყვანეს. სტკიოდა?

— არა, სენიორ. უგონოდ იყო. მანქანა პროგრესის გამზირზე გააჩერეს და პირდაპირ ჰოსპიტალში წამოიყვანეს.

— ჩვენ კი შაბათ საღამოს შეგვატყობინეს მხოლოდ, — ყრუდ წაილაპარაკა არანას მამამ, — ხუთი საათი იქნებოდა. მთელი თვე შინ არ ყოფილა, დედამისს სანახავად უნდოდა ჩამოსვლა. გა-უთავებლად სჯიდნენ ხოლმე ხან რაზე და — ხან რაზე. მეგონა, ასე სჯობია — იქნებ გამოსწორდეს-მეთქი. კაპიტანმა გარიდომ დაგ-ვირეკა. დიახ, ყმაწვილო, ეს დიდი ამბავი იყო ჩვენთვის. უმალ გამოვექანეთ, მანქანა ლამის მივამტვრიეთ სანაპიროზე. აქ კი წუთით არ გაგვაჩერეს მასთან. საავადმყოფოში ასე არ მოგვექ-ცეოდნენ.

— შეგიძლიათ კლინიკაში გადაიყვანოთ. უარის თქმას ვერ გა-ბედავენ.

— ექიმმა თქვა, ახლა ადგილიდან დაძვრა არ შეიძლებაო. ძა-ლიან მძიმედ არისო. მართლაც ასეა, თავის მოტყუება რას გვიშ-ველის. დედამისი გაგიჟდება. იცით, ვერა და ვერ უპატიებია პა-რასკევის ამბავი. ყველაზე მეტად ეს მაბრაზებს! ყველა ქალი ასეა, ყოველთვის თავისებურად უნდა გადააბრუნოს ყველაფერი. კი, შეიძლება, მკაცრი ვიყავი, მაგრამ ხომ მისივე სიკეთისთვის. თუმცა პარასკევს არც არაფერი მომხდარა ისეთი. ახლა კი მე მაბრალებს ყველაფერს.

— არანას არაფერი უთქვამს, — თქვა ალბერტომ, — მე კი ყვე-ლაფერს მიყვებოდა.

— აკი გითხარით, არც არაფერი მომხდარა-მეთქი. რამდენიმე საათით შემოიარა შინ, რატომღაც გამოუშვეს, თუმცა მთელი თვე კი საშვს არ აძლევდნენ. მოსვლა ვერ მოასწრო, მაშინვე სადღაც მოინდომა წასვლა. აბა, სად წერია, შემოსული არ იყო და მაშინვე ქუჩაში გავარდე? მე ვუთხარი, დედასთან დარჩი-მეთქი. დედამი-სი თავს იკლავს ხოლმე, ეგ თუ არ მოდის. ეს იყო და ეს. აბა, აქ რა

იყო ისეთი, თვითონ განსაჯეთ. ახლა კი მეუბნება, შენ სულ ტანჯავდი და აწამებდიო ბიჭს. განა ეს სამართალია?

— თქვენი მეუღლე ალბათ მეტისმეტად წუხს, — უთხრა ალბერტომ — არცაა გასაკვირი. ასეთი ამბავი...

— ჰო, ჰო, — მიატანა არანას მამამ — ვერა და ვერ დავიყოლიე, ცოტა ხნით მიწოლილიყო. მთელი დღე ჰოსპიტალში გაატარა, ექიმს ელოდა. სულ ტყუილად კი. უთხრეს: დამშვიდდით, მოთმინება იქონიეთ, ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რაც შესაძლებელია, ყველაფერს გაცნობებთო — მეტი არაფერი. რა თქმა უნდა, კაპიტანი კეთილი კაცია, ჩვენი დამშვიდება უნდა, მაგრამ ისიც ხომ უნდა გაიგოს, ჩვენ რა დღეში ვართ. ვერ გამიგია, სამი წელი ასწავლო კაცს და მაინც ასეთი რამ მოხდეს?

— არ ვიცი, — წაილაპარაკა ალბერტომ, — ძნელი სათქმელია. უფრო სწორად...

— კაპიტანმა უკვე გვითხრა. მე ყველაფერი ვიცი. მოგეხსენებათ, სამხედროებს პირში თქმა უყვართ. ყველაფერს თავის სახელს არქმევენ. ლოლიავს არ დაგიწყებენ.

— დაწვრილებით გიამბოთ ყველაფერი?

— ჰო, — თქვა არანას მამამ — თმა ყალყზე დამიდგა მგონი, თოფი რაღაცას გამოედო, როცა ჩახმახისათვის გამოუკრავს. გესმით? ნაწილობრივ სასწავლებლის ბრალიცაა. ნეტა რას გასწავლიან?

— ასე გითხრათ, რიკარდოს თავისივე ტყვია მოხვდაო? — გააწყვეტინა ალბერტომ.

— მისი მხრივ ცოტა მოურიდებლად გამოვიდა, — თქვა მამამ — დედასთან მაინც არ უნდა ეთქვა. ქალები სუსტი არსებანი არიან. მაგრამ სამხედროებს პირდაპირობა სჩვევიათ. მე მინდოდა ჩემი შვილიც ასევე კაჟივით მაგარი ყოფილიყო. იცით, რა გვითხრა? „ჯარში შეცდომა ძვირად უჯდებაო კაცს“, — ასე თქვა პირდაპირ. ექსპერტებმა თოფი შეამოწმეს. იგი წესრიგში იყო. ყველაფერი

ჩემი ბიჭის ბრალია. მაგრამ მე მაინც ეჭვი მეპარება: მე მგონი, შემთხვევით არაა ტყვია ნასროლი. თუმცა ვინ იცის... სამხედროები ჩემზე უკეთ ერკვევიან ყველაფერში. ან რაღა აზრი აქვს ახლა?

— მართლა ასე გითხრათ? — არ ეშვებოდა ალბერტო.. არანას მამამ ბიჭს შეხედა — ჰო, რა იყო?

— არაფერი, — მიუგო ალბერტომ, — ჩვენ არაფერი დაგვინახავს, გორაკზე ვიდექით.

— უკაცრავად, — ჩაერია პაულინო, — უნდა დავკეტო, უკვე დროა.

— ისევ ჰოსპიტალში დავბრუნდები, — თქვა მამამ — იქნებ ახლა მაინც შეგვიშვან მასთან.

პაულინომ ხელი დაუქნია მათ დამშვიდობების ნიშნად, ისინიც კვლავ უკან, ჰოსპიტლისკენ გაბრუნდნენ, მინდორზე მიაბიჯებდნენ. არანას მამას ზურგზე დაეწყო ხელები, პიჯაკის საყელო წამოეწია. „მათხოვარას არასოდეს უამბნია ჩემთვის მამაზე, — გაიფიქრა ალბერტომ, — არც დედაზე“..

— შეიძლება ერთი რამ გთხოვოთ? — უთხრა მან არანას მამას — მე მინდა თუნდაც ერთი წამით ვნახო. ცხადია, ახლა არა, ხვალ ან ზეგ, როცა უკეთ იგრძნობს თავს. დამეხმარეთ, შემიშვან, უთხარით, რომ თქვენი ნათესავი ან ახლობელი ვარ.

— ჰო, ვნახოთ, — თქვა არანას მამამ — კაპიტანს მოველაპარაკები. ძალიან ზრდილი კაცი ჩანს. მართალია, ცოტა. ცივია, როგორც ყველა სამხედრო. ბოლოს და ბოლოს, ასეთი ხელობა აქვთ — დიახ, სამხედროები ყველანი ასე არიან, — წაილაპარაკა ალბერტომ.

— იცით რა? ბიჭი ჩემზე ნაწყენი იყო. მე ვატყობდი ამას. მოველაპარაკები და თუ მთლად ბრიყვი არაა, მიხვდება, რომ ყველაფერს მისივე სიკეთისათვის ვაკეთებდი, მიხვდება, რომ ყველაფერში დედამისი და ის შეშლილი ბებრუხანა ადელინა არიან

დამნაშავენი.

— მგონი, დეიდა, არა? — ჰკითხა ალბერტომ.

— ჰო, — გაგულისებით მიუგო არანას მამამ — წმინდა წყლის გიჟია. გოგოსავით ზრდიდა, თოჯინებს ყიდულობდა მისთვის, თმას უხვევდა. მე კაცი ვერ მომატყუებს. ძველი სურათები მაქვს ნახული. ჩემი ბიჭი გოგოსავით ჩაცმული, თმადაკულულებული დაჰყავდათ, გესმით? ისარგებლეს, მე რომ შორს ვიყავი. მაშ უნდა შევგუებოდი ამას?.

— თქვენ ხშირად მოგზაურობთ, სენიორ?

— არა, — გულუბრყვილოდ თქვა არანას მამამ — ლიმადან ფეხი არსად გამიდგამს და არც ვაპირებ, ეგ რომ ჩემთან დაბრუნდა, უკვე გაფუჭებული იყო. ვინ გამამტყუნებს? მინდოდა კაცი გამომეყვანა. რა სამარცხვინო ეს არის?

— მე მგონი, მალე მოკეთდება, — თქვა ალბერტომ. — ეჭვიც არ მეპარება.

— თუმცა იქნებ კიდეც გადავაჭარბე, — განაგრძო არანას მამამ — მაგრამ მე იგი მიყვარდა. მართლა მიყვარდა, დედამისი და ის ჩერჩეტი ადელინა ამას ვერასოდეს მიხვდებიან. იცით, რას გირჩევთ? თუ შვილები გეყოლებათ, დედას არ გააკაროთ... ქალები ძალიან რყვნიან ბიჭებს.

— აგერ, მოვედით, — უთხრა ალბერტომ.

— ნეტა რა მოხდა იქ? — თქვა არანას მამამ, — სად გარბის ყველა?

— ალბათ საყვირის ხმა იყო — მწყობრში დასაწყობად გვიხმობენ. უნდა წავიდე — ნახვამდის, — უთხრა არანას მამამ, — მადლობელი ვარ, მარტო რომ არ დამტოვეთ.

— ალბერტო გაიქცა. ერთ-ერთ კადეტს წამოეწია, იგი ურიოსტე იყო.

— რა მოხდა ასეთი? ჯერ შვიდი არაა, — ჰკითხა ალბერტომ.

— მათხოვარა მოკვდა, — უთხრა ურიოსტემ — ახლა გამოაცხადებენ.

II

„ამჯერზე ჩემი დღეობა უქმეს დაემთხვა. დედამ მითხრა: „ჩქარა წადი ნათლიაშენთან, თორემ ხანდახან ქალაქგარეთ მიემგზავრება ხოლმე“. თან ერთი სოლიც მომცა გზისთვის. ნათლიაჩემი ძალიან შორს ცხოვრობდა, ხიდგაღმა, მაგრამ შინ არ დამიხვდა. კარი მისმა ცოლმა გამიღო. ჩვენი ოჯახი იმას ყოველთვის სძულდა. უჟმურად შემომხედა და მითხრა: „ჩემი ქმარი შინ არაა, საღამომდე არა მგონია დაბრუნდეს. ისე რომ ნუღარ დაუცდი“. შინ, ბელიავისტეში გუნებაწამხდარი დავბრუნდი. მეგონა, ნათლიაჩემი, როგორც ყოველთვის, ახლაც ხუთ სოლს მომცემდა. იმ ფულით კი ტერესასთვის ცარცის კოლოფი მინდოდა მეყიდა საჩუქრად და კიდევ ერთი უჯრედებიანი ორმოცდაათფურცლიანი რვეული — ალგებრის რვეული აღარ ჰქონდა. ანდა კინოში დამეპატიჟებინა ისა და დეიდამისი. კიდევ ვიანგარიშე: ხუთი სოლით რომ სამ ბილეთს ვიყიდდი ზემოთ, რამდენიმე რეალი დამრჩებოდა. შინ დედამ მითხრა: „ნათლიაშენიც ისეთივე წუნკა-

ლია. როგორც მისი ცოლი. დარწმუნებული ვარ, შინ იყო ეგ ძუნ-
წი“. მართალს ამბობს-მეთქი, გავიფიქრე გულში. „ჰო, მართლა,
ტერე იყო, ჩემთან მოვიდესო, თქვა“, — მითხრა დედამ — „საოცა-
რია, ნეტა რა უნდოდა?“ — ვკითხე მე. მართლაც არ ვიცოდი, რა
უნდოდა, თუმცაღა რაღაცას კი ვხვდებოდი. „გაიგო, ჩემი დაბადე-
ბის დღე რომაა და უნდა მომილოცოს“, — ვეუბნებოდი ჩემს თავს.
ერთი წუთის შემდეგ უკვე მასთან ვიყავი. კარი დეიდამისმა გამი-
ღო. მივესალმე. მიცნო, ზურგი შემაქცია და სამზარეულოსკენ წა-
ვიდა. მუდამ ისე მექცეოდა, თითქოს. ადამიანი კი არა, უსულო
საგანი ვიყავი. გავჩერდი ღია კართან, შესვლა ვერ გამებედა. ამ
დროს ისიც გამოვიდა. რაღაც უცნაურად იღიმებოდა. „გამარჯო-
ბა შენი, — მითხრა, — შემოდი“. „გაგიმარჯოს“, — ვუთხარი და ძა-
ლისძალად გავიღიმე. „აქ მოდი, — მითხრა, — ჩემს ოთახში წავი-
დეთ“. უხმოდ გავყევი უკან. იქ რომელიღაც უჯრა გამოხსნა, მო-
მიახლოვდა და შეხვეული მომაწოდა: „აჰა, ეს შენი საჩუქარია“.
ვკითხე: „ვინ გითხრა?“ — „ჯერ კიდევ შარშან გავიგე“. მეჭირა სა-
ჩუქარი და არ ვიცოდი, რა მექნა, საკმაოდ დიდი იყო, კანაფი არ
ეხვია. ბოლოს გადავწყვიტე, ალბათ უნდა გავხსნა-მეთქი, საჩუ-
ქარი ყავისფერ ქაღალდში იყო გახვეული, სწორედ ასეთ ქა-
ღალდს ხმარობდნენ იმ საფუნთუშეში, კუთხეში რომ იყო. ვიფიქ-
რე, უთუოდ იქ გამოართვა-მეთქი. შიგ ნაქსოვი უსახელო ზედატა-
ნი იყო, თითქმის ისეთივე ფერის, როგორც ქაღალდი. მაშინვე
მივხვდი, რომ შემთხვევა აქ არაფერ შუაში იყო, კარგი გემოვნება
ჰქონდა და იმიტომაც ნაქსოვი და შესახვევი ქაღალდიც ერთი ფე-
რისა აერჩია. ქაღალდი იატაკზე დავდე, ნაქსოვი კი კარგად გავ-
სინჯე. „ოჰ, რა ლამაზია, რა მადლობელი ვარ, რა კარგი ნაქსო-
ვია!“ — ვამბობდი თან. ტერე თავს მიქნევდა — ჩემზე მეტად თვი-
თონ ხარობდა. „სკოლაში მოვქსოვე, — ხელსაქმის გაკვეთილზე.
ყველას ეგონა, ძმას უქსოვსო“, — მითხრა და გადაიკისკისა. მაშა-
სადამე, იმის თქმა უნდოდა, რომ დიდი ხანია აპირებდა ჩემთვის

საჩუქარი მოეცა, მაშასადამე, ისიც ფიქრობდა ჩემზე, რაკი ამისთანა რაღაცა მაჩუქა, მაშასადამე, ამხანაგზე მეტს ვნიშნავდი მისთვის. „დიდი, დიდი მადლობა,“ — სულ ვიმეორებდი, ის კი კისკისებდა და იძახდა: „მოგწონს? მართლა მოგწონს? რაღას უყურებ, გაიზომე!“

ჩავიცვი, ცოტა პატარა მომივიდა, მაგრამ მაშინვე გავწელე, ტერემ არ შეამჩნიოს-მეთქი. მართლაც ვერ შეამჩნია და, გახარებული თავს იქებდა: „ზუსტად შენს ტანზეა მოქსოვილი. ზომა არ ვიცოდი და ჩემით ვიანგარიშე“. გავიხადე ნაქსოვი და დავაპირე ხელახლა შემეხვია, მაგრამ ისე კოხტად არ გამომივიდა. მოვიდა და მითხრა: „ხელი გაუშვი, მე შევახვევ, შენ უშნოდ გამოგდის“. ჰოდა, თავისი ხელით ხელახლა გამიხვია ლამაზად, მომცა და მითხრა: „ახლა კი უნდა მოგეხვიო და მოგილოცო“. მომეხვია, მეც გადავეხვიე, რამდენიმე წამს მკლავებში მყავდა მოქცეული, მისი თმა პირზე მელამუნებოდა. ხელახლა მომესმა მისი კისკისი. „არ გიხარია? — მკითხა, — ეგრე რად იყურები?“ მეც ისევ ძალისძალად გავიღიმე“.

პირველი ლეიტენანტი გამბოა შევიდა. მან დერეფანშივე მოიხადა ბერეტი, ისე რომ ახლა სმენაზე გაიჭიმა და ქუსლი ქუსლს მიარტყა მხოლოდ. პოლკოვნიკი საწერ მაგიდას უჯდა. მის უკან განიერი ფანჯარა ჩანდა. ნისლს შთაენთქა გარეთ ყველაფერი, გუმანითღა ხვდებოდა გამბოა, სად იყო სასწავლებლის გალავანი, სად გზატკეცილი და სად ზღვა. რამდენიმე წამის შემდეგ ნაბიჯების ხმა მოისმა. გამბოა განზე გადგა, კარიდან მოშორებით, კაპიტანი გარიდო და ლეიტენანტი უარინა შემოვიდნენ. ბერეტები ქამარში გაერჭოთ. პოლკოვნიკი ისევ მაგიდას უჯდა, თავი არ აუღია. კაბინეტის ახალთახალ ავეჯს პრიალი გაუდიოდა. კაპიტანი გარიდო გამბოასკენ შებრუნდა. ყბებს ისე ანძრევდა, თითქოს იცოხნებაო.

— დანარჩენები სად არიან?

— არ ვიცი, სენიორ კაპიტანო. ყველას ვუთხარი, ამა და ამ საათზე შეკრებილიყვნენ აქ. მალე კალსადა და პიტალუგაც მოვიდნენ. პოლკოვნიკი წამოდგა. სხვებზე გაცილებით დაბალი იყო, ტანსრულიც და თითქმის მთლიანად ჭაღარა, სათვალიდან უნდოდ იმზირებოდა ჩაცვივნული ჭროღა თვალები. ყველა რიგრიგობით შეათვალიერა.

ოფიცრები სმენაზე იდგნენ..

— თავისუფლად, — თქვა პოლკოვნიკმა, — დაბრძანდით.

ლეიტენანტებმა შეიცადეს, ვინემ კაპიტანი გარიდო არ დაჯდა. რამდენიმე ტყავის სავარძელი ნახევარწრედ იდგა. კაპიტანმა ტორშერის გვერდით მოიკალათა, ლეიტენანტები გარშემო შემოუსხდნენ.

პოლკოვნიკი მათკენ წამოვიდა. ოფიცრები წინ გადმოიხარნენ და დინჯად, მოწიწებით შეაცქერდნენ.

— ყველაფერი რიგზეა? — იკითხა პოლკოვნიკმა.

— დიახ, სენიორ პოლკოვნიკო, — უპასუხა კაპიტანმა — სამლოცველოში გადაასვენეს. ნათესავები ჩამოვიდნენ. პირველი რაზმეული საპატიო ყარაულში დგას. თორმეტ საათზე მეორე რაზმეული შეცვლის. შემდეგ სხვები მოვლენ. გვირგვინებიც მიიტანეს.

— ყველა? — იკითხა პოლკოვნიკმა.

— დიახ, სენიორ პოლკოვნიკო. ყველაზე დიდ გვირგვინს ჩემი ხელით მივამაგრე თქვენი ბარათი. მოიტანეს ოფიცრებმა, გამოგზავნეს გვირგვინები მშობელთა საბჭომ და თითოეულმა კურსმა. ყვავილები ნათესავებმაც მოიტანეს.

— ელაპარაკეთ საბჭოს თავმჯდომარეს დაკრძალვის თაობაზე?

— დიახ, სენიორ პოლკოვნიკო. ორჯერ ველაპარაკე. დამარწმუნა, მთელი გამგეობა მოვაო.

— გკითხათ რამე? — პოლკოვნიკმა წარბები შეყარა — მაგ ხუანესს ყველგან უყვარს ცხვირის ჩაჩრა. რა თქვა?

— წვრილმანები არ მითქვამს. მხოლოდ ეს ვუთხარი, კადეტი გარდაიცვალა-მეთქი, მიზეზი არ დამისახელებია. ისიც ვუთხარი, საბჭოს სახელით გვირგვინი შევუკვეთეთ-მეთქი, ეგენი კი თავის ფონდიდან გადაიხდიან ანგარიშს.

— ჯერ დაიცათ, მერე შეგვეკითხება, — წაილაპარაკა პოლკოვნიკმა და მუშტი შეკრა — ყველა დაიწყებს ჩხრეკას.

— ასეთ დროს ყველა ქვემძრომი წამოჰყოფს თავს. დარწმუნებული ვარ, მინისტრის ყურამდეც მიიტანენ ამ ამბავს.

კაპიტანი და ლეიტენანტი თვალდაუხამხამებლად უსმენდნენ. პოლკოვნიკმა თანდათან აუმაღლა ხმას, ბოლო სიტყვა თითქმის წამოიყვირა.

— ამ ამბავს შეიძლება საშინელი შედეგი მოჰყვეს, — დასძინა მან — ჩვენს სასწავლებელს ბევრი მტერი ჰყავს, ამაზე მარჯვე შემთხვევას ვერ იპოვნიან, რომ ჩვენს დაწესებულებას და მასთან ერთად მეც ჩირქი მოგვცხონ. აუცილებელია ზომები მივიღოთ. იმიტომაც მოგიწვიეთ აქ.

ოფიცრებს კიდევ უფრო დაუდინჯდათ სახე. ყველამ თავი დააქნია.

— ხვალ ვინაა მორიგე?

— მე გახლავართ, სენიორ პოლკოვნიკო, — თქვა პიტალუგამ.

— ძალიან კარგი. დილას, როცა ყველნი მწყობრში დადგებიან, ბრძანებას წაუკითხავთ. დასწერთ: „ოფიცერთა შემადგენლობა და მოსწავლეები ფრიად დამწუხრებული არიან იმ უბედური შემთხვევის გამო, კადეტი არანა რომ იმსხვერპლა“. აღნიშნეთ ისიც, რომ ყველაფერი თვითონ კადეტის ბრალია. „ყოველივე ნათელი და გასაგებია, საეჭვო აქ არაფერია“. შემდეგ: „ეს ყველასათვის ჭკუის სასწავლ მაგალითად უნდა იქცეს და ყველას უბიძგოს წეს-

დება და ინსტრუქციები ზუსტად შეასრულოს“. და ასე შემდეგ. დაწერეთ ამ საღამოსვე და შავი მე მომიტანეთ. მე თვითონ გავასწორებ. ვის ექვემდებარებოდა ეს კადეტი?

— მე, სენიორ პოლკოვნიკო, — თქვა გამბოამ — პირველი რაზმეულიდან გახლდათ.

— მთელი კურსი შეკრიბეთ დაკრძალვის წინ. მოკლედ გაესაუბრეთ: ჩვენ გულწრფელად ვწუხვართ მომხდარ ამბავზე, მაგრამ ჯარში შეცდომა დაუშვებელია. ყოველგვარი სანტიმენტალობა დანაშაულია და ა. შ. თქვენ ჩემთან დარჩით, ერთად მოვითათბიროთ. მანამდე კი დაკრძალვის ამბავს მოვრჩეთ. მშობლებს ელაპარაკეთ, გარიდო?

— დიახ, სენიორ პოლკოვნიკო. საღამოს ექვს საათზე შევთანხმდით. მამას ვესაუბრე. დედა ძალზე შეწუხებულია.

— მხოლოდ მეხუთე კურსი დაესწრება დაკრძალვას, — შეაწყვეტინა პოლკოვნიკმა — კადეტებს სთხოვეთ, კრინტი არ დასძრან. არ შეიძლება შენი ოჯახის სირცხვილი შენვე მოჰფინო ქვეყანას. ნასაუზმევს ყველა სააქტო დარბაზში შეკრიბეთ, მე მოველაპარაკები. პატარა სულელურმა შემთხვევამაც კი შეიძლება დიდი აურზაური გამოიწვიოს. მინისტრი უკმაყოფილო დაგვრჩება. მაბეზღარები ყოველთვის მოინახებიან — მოგეხსენებათ, ირგვლივ მტრები მახვევია. ლეიტენანტო უარინა, თქვენ გევალებათ, რომ სამხედრო სკოლამ მანქანები გამოგზავნოს. მანქანების დროულად უკან დაბრუნებასაც თქვენ მიატანეთ თვალი. გასაგებია?

— დიახ, სენიორ პოლკოვნიკო.

— თქვენ სამლოცველოში წაბრძანდით, პიტალუგა, ნათესავებს თავაზით მოეპყარით. მე ახლავე წავალ და პირადად მივუსამძიმრებ, კადეტებმაც საპატიო ყარაულში დგომისას წესრიგი არ დაარღვიონ სულ მცირე დარღვევას არავის ვაპატიებ! პასუხს

თქვენ აგებთ. მეხუთე კურსმა ისეთი შთაბეჭდილება უნდა დატოვოს, რომ ფრიად დამწუხრებულია ამხანაგის სიკვდილით. ასე აჯობებს.

— ნუ წუხხარ, სენიორ პოლკოვნიკო, — მოახსენა გამბოამ — მის რაზმეულში ყველა ღელავს.

პოლკოვნიკმა გაკვირვებით შეხედა გამბოას — ჰოო? რატომ?

— ჯერ ყმაწვილები არიან და იმიტომ, სენიორ პოლკოვნიკო, — თქვა გამბოამ, — ყველაზე უფროსი ასაკი თექვსმეტი წელია. ჩვიდმეტისა ცოტა ურევიათ. მთელი სამი წელი ერთად გაატარეს. განა არ უნდა შეწუხებულიყვნენ?

— რატომ? — გაიმეორა პოლკოვნიკმა — რას ამბობენ? რას აკეთებენ? საიდან იცით, რომ ღელავენ?

— არ სძინავთ, სენიორ პოლკოვნიკო, მთელი კორპუსი შემოვიარე. ლოგინზე წვანან და არანაზე ლაპარაკობენ.

— კი მაგრამ ხომ აკრძალულია საღამოს ბუკის შემდეგ ლაპარაკი! — შესძახა პოლკოვნიკმა, — ეს რასა ჰგავს? თქვენ ეს წესი არ იცით, გამბოა?

— ვუბრძანე, გაჩუმდით-მეთქი, სენიორ პოლკოვნიკო. არ ხმაურობენ, ხმადაბლა ლაპარაკობენ. სიტყვებსაც ვერ გაარჩევ — ისე დუდუნებენ. სერჟანტებს დავავალე, საწოლ ოთახებს შემოუარონ.

— რა გასაკვირია, თუ მეხუთე კურსზე ამისთანა ამბები ხდება, — თქვა პოლკოვნიკმა და მუშტი ისევ შეკრა, თუმცა ეს პატარა თეთრი მუშტი შიშს არავის უნერგავდა — თუკი თვითოს ოფიცრები ხელს უწყობენ დისციპლინის დარღვევას.

გამბოა არ შეპასუხებია.

— თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ, — მიმართა პოლკოვნიკმა კალსადას, პიტალუგასა და უარინას — ერთხელ კიდევ გაგახსენებთ: იყავით ფრთხილად და ენას კბილი დააჭირეთ.

ოფიცრები წამოდგნენ, ქუსლი ქუსლს შემოჰკრეს და გავიდნენ. ნაბიჯების ხმა დერეფნის ბოლოში მიწყდა. პოლკოვნიკი იმ სავარძელზე დაეშვა, ეს წუთია უარინა რომ იჯდა, მაგრამ მაშინვე წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა.

— კარგი, — უცბად თქვა მან და შედგა — ახლა მითხარით, რა მოხდა.

კაპიტანმა გარიდომ გამბოას შეხედა და თავი დაუქნია: თქვენ თქვითო.

— მართალი რომ მოგახსენოთ, სენიორ პოლკოვნიკო, რაც ვიცი, ყველაფერი პატაკში სწერია. მე მარჯვენა ფლანგზე ვხელმძღვანელობდი იერიშს, მინდვრის მეორე ბოლოში. მწვერვალზე ასვლამდე თითქმის არაფერი შემიმჩნევია. ამ დროს უკვე კაპიტანს ხელში აყვანილი მოჰყავდა კადეტი.

— სერჟანტები სად იყვნენ? — იკითხა პოლკოვნიკმა — რას უყურებდნენ, თქვენ რომ იერიშს ხელმძღვანელობდით? დაყრუვდნენ თუ დაბრმავდნენ?

— ისინი ყველაზე ბოლოს მოდიოდნენ, სენიორ პოლკოვნიკო, ინსტრუქციის თანახმად, მაგრამ არც იმათ შეუმჩნევიათ რამე — გამბოამ იყუჩა და შემდეგ მოწიწებით დაამატა, — ესეც პატაკში სწერია.

— მაგრამ ეს დაუჯერებელი რაღაცაა! — შესძახა პოლკოვნიკმა და ხელები ზევით აიქნია, მერე განიერ ღიპზე დაიწყო და ქამარს ჩაეჭიდა. შეეცადა რისხვა — დაეოკებინა — როგორ დავიჯერო, კაცი დაჭრეს და ვერავინ ვერაფერი შეამჩნია?

ალბათ დაიყვირებდა, მის ირგვლივ კადეტები იყვნენ, ვიღაცას ხომ უნდა გაეგო!..

— არა, სენიორ პოლკოვნიკო, — თქვა გამბოამ — კადეტები კარგა მანძილით იყვნენ დაშორებულნი ერთმანეთს. გადარბენაც სწრაფად ხდებოდა. კადეტი ალბათ მაშინ დაეცა, როცა მწკრივში სროლა დაიწყეს. გასროლის ხმა ჩაახშობდა ყვირილს,

თუკი დაიყვირა. იქ მაღალი ბალახია, წაქცეულს თითქმის დაფარავდა. უკან მომავლებს არაფერი შეუმჩნევიათ. ასეულში ყველა დავკითხე.

პოლკოვნიკი კაპიტანს მიუტრიალდა..

— თქვენც ღრუბლებში ფრენდით?

— მე უკნიდან ვადევნებდი თვალს იერიშს, სენიორ პოლკოვნიკო, — მიუგო კაპიტანმა და თვალები სწრაფად აახამხამა. ყბები ისე უმოძრავებდა, თითქოს დოლაბები ყოფილიყო და ყოველ სიტყვას ღერღავდა — მწკრივები რიგრიგად მიდიოდნენ წინ. კადეტს ალბათ მაშინ მოხვდა ტყვია, როცა მთელი მწკრივი მიწას გაეკრა. სასტვენის ხმაზე აღარც ამდგარა, ბალახებში დარჩა. იქნებ ყველაზე ბოლოს მიდიოდა და შემდგომი გადარბენისას იმიტომ ვეღარ შეამჩნიეს.

— ეს ყველაფერი კარგი, — თქვა პოლკოვნიკმა — ახლა ის მითხარით, თქვენ თვითონ რას ფიქრობთ ამ ამბავზე?

კაპიტანმა და გამბოამ ერთმანეთს გადახედეს. დუმილი ჩამოვარდა. ვერავის გაებედა მისი დარღვევა. ბოლოს კაპიტანმა წაილაპარაკა:

— იქნებ მისივე ტყვია იყო, — მან პოლკოვნიკს შეხედა — დაცემისას სასხლეტი რაღაცას გამოედო.

— არა, — მიუგო პოლკოვნიკმა, — ეს წუთია ექიმს ველაპარაკე. საეჭვო არაფერია: ტყვია უკნიდან მოარტყეს კეფაში. თქვენ ბავშვები არა ხართ და მშვენივრად მოგეხსენებათ, შაშხანა რომ თავისით არ ისვრის. ეს ვერსია მხოლოდ ნათესავებისთვის ვარგა — საქმე რომ არ გართულდეს. ნამდვილი დამნაშავენი თქვენ ბრძანდებით — კაპიტანი და ლეიტენანტი სავარძელში გასწორდნენ — რა წესით და რიგით ისროდნენ კადეტები?

— ინსტრუქციის თანახმად, სენიორ პოლკოვნიკო, — თქვა გამბოამ — რიგ-რიგად. სროლა და გადარბენა ერთმანეთს იყო შე-

თანხმებული. ვინემ „ცეცხლიო“, ბრძანებას გავცემდი, ჯერ ვამოწმებდი, წინა მწკრივი მოფარებულში თუ იყო, ყველა თუ იწვა. იერიშს მარჯვენა ფლანგიდან ვათვალიერებდი, — იქიდან უკეთ ჩანდა ყველაფერი. მინდვრად შესაფერხებელი არა ყოფილა რა. ასეულისთვის თვალი არ მომიშორებია: არა მგონია, რაიმე შეცდომა მომსვლოდა.

— უკანასკნელ წელს ეს ვარჯიში ბარე ხუთჯერ და კიდევ მეტადაც ჩატარდა, — დასძინა კაპიტანმა — მეხუთე — კურსმა კი მთელი ეს წლები არა ნაკლებ თხუთმეტჯერ მაინც გაიმეორა. გარდა ამისა, მათი პირობები საომართან ძალზე მიახლოებული იყო და უფრო მეტ საფრთხესთანაც დაკავშირებული. მე ვარჯიშთა განრიგს მაიორის მიერ შედგენილ სასწავლო გეგმის მიხედვით ვადგენ. გეგმით გაუთვალისწინებელი ვარჯიში არასოდეს ჩაგვიტარებია.

— ეგ ამბები არ მაინტერესებს, — ნელა წარმოთქვა პოლკოვნიკმა — მე მინდა ვიცოდე, რა შეცდომისა თუ გაუფრთხილებლობის წერა გახდა კადეტი. ჩვენ აქ ყაზარმა არა გვაქვს! თუ ჯარისკაცს კეფაში მოხვდა ტყვია, დამარხავენ და ამით გათავდება ყველაფერი, მაგრამ ესენი ხომ მოწაფეები არიან, დედიკოს ნებიერი შვილები. შეიძლება დიდი აურზაური ატყდეს. ვთქვათ და კადეტი გენერლის შვილი ყოფილიყო?

— აი, მე რა მგონია, სენიორ პოლკოვნიკო, — თქვა გამბოამ. კაპიტანმა შურის თვალით გადახედა — ამ საღამოს გულდაგულ შევამოწმე თოფები. ყველა მეტწილად ძველი, ნაკლებ საიმედო შაშხანაა. თქვენც კარგად მოგეხსენებათ ეს ამბავი, სენიორ პოლკოვნიკო. ნაწილს სამიზნე მომძვრალი აქვს, ნაწილს ლულის არხი არ უვარგა. ცხადია, ეს კიდევ საკმარისი მიზეზი არ გახლავთ. მაგრამ იქნებ ერთ-ერთმა კადეტმა არასწორად დააყენა სამიზნე და ნიშანშიც მცდარად ამოიღო. ტყვია შეიძლება ამ დროს განზე წავიდეს. კადეტი არანა კი უბედურ დამთხვევათა

წყალობით ცუდ ადგილზე იდგა ამ დროს, კარგად არ იყო მოფარებული. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჩემი ჰიპოთეზა გახლავთ, სენიორ პოლკოვნიკო.

— ტყვია ციდან არ ჩამოვარდებოდა, — წაილაპარაკა პოლკოვნიკმა ახლა უფრო მშვიდად; თითქოსდა გადაწყვეტილება უკვე მიიღო — ჩემთვის ახალი არაფერი გითქვამთ. უკანა რიგებში მყოფებიდან რომელიღაცას შემთხვევით გაუვარდა თოფი, მაგრამ ჩვენთან ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო ხვალვე წაიღეთ შაშხანები იარაღის საწყობში. უვარგისი ყველა შეაცვლევინეთ. თქვენ, კაპიტანო, თვალი მიადევნეთ, რომ ყველა ასეულში იგივე გააკეთონ. მაგრამ ახლა არა, რამდენიმე დღე მაინც გავიდეს. იმასაც გთხოვთ, დიდი სიფრთხილე გამოიჩინოთ და კაციშვილთან კრინტი არ დაგცდეთ, სასწავლებლისა და მთელი ჩვენი ჯარის სახელს შეიძლება ჩირქი მოეცხოს. საბედნიეროდ, ექიმები ფრიად გონიერი ხალხი გამოდგა. ისინი შესაფერის სამედიცინო დასკვნას დასწერენ — ჰიპოთეზების გარეშე. ყველაზე კეთილგონივრული იქნება, თუკი ჩვენც დავადასტურებთ, ყველაფერი თვითონ კადეტის ბრალიაო. ყველა ჭორი თუ მითქმა-მოთქმა ძირშივე უნდა მოისპოს. გასაგებია?

— სენიორ პოლკოვნიკო, — თქვა კაპიტანმა — ნება მომეცით ვთქვა, რომ თქვენი ვერსია მე უფრო მართალი მიმაჩნია, ვინემ ლეიტენანტისა.

— რა მიზეზით მიგაჩნიათ უფრო მართალი? — ჰკითხა პოლკოვნიკმა.

— მეტსაც გეტყვით, სენიორ პოლკოვნიკო. მე ვამტკიცებ, რომ ის ტყვია თვითონ კადეტის შაშხანიდან გავარდა. ტყვია არ შეიძლება მიწაში ჩაერჭოს, როცა მაღლობზე მდგარ სამიზნესკენაა მიმართული. შესაძლოა კადეტმა დაცემისას შემთხვევით გამოჰკრა სასხლეტს. მე ჩემი საკუთარი თვალით ვნახე, რარიგ არ ეხერხებათ კადეტებს მიწაზე გაწოლა. სულ არ არიან გაწაფულნი!

არანა კი ყოველთვის სუსტი კადეტი იყო.

— ბოლოს და ბოლოს ყველაფერი შესაძლებელია, — თქვა უკვე დამშვიდებით პოლკოვნიკმა — ამქვეყნად ყველაფერი შეიძლება მოხდეს... რაზე გაიღიმეთ, გამბოა?

— არ გამიღიმია, სენიორ პოლკოვნიკო, უკაცრავად, ალბათ მოგეჩვენათ...

— ღმერთმაც ქნას, — ჩაილაპარაკა პოლკოვნიკმა, ღიპზე დაირტყა ხელი და ახლაღა გაიღიმა — დაე, ეს გაკვეთილი იყოს თქვენთვის. მეხუთე კურსმა ჩვენ კარგა ბლომა სისხლი გაგვიშრო, სენიორებო, განსაკუთრებით პირველმა რაზმეულმა. სულ რამდენიმე დღის წინათ საგამოცდო ბილეთების მოპარვისათვის კადეტი გავრიცხეთ — კინოს განგსტერივით შუშა ჩაგვიმსხვრია. ახლა ეს შემთხვევაც მიემატა. მომავალში მეტი სიფრთხილე გმართებთ. მე არ გემუქრებით, სენიორებო, გამიგეთ. მაგრამ მოვალე ვარ ჩემი მისია შევასრულო, ისევე, როგორც თქვენ. ისიც ინიშნეთ, რომ ჩვენ ეს უნდა შევასრულოთ, ვით სამხედროებს, ვით პერუელებს შეეფერება, ყოველგვარი ცერემონიებისა და სანტიმენტების გარეშე, ყოველგვარი დაბრკოლების დაძლევის შედეგად. შეგიძლიათ წაბრძანდეთ, სენიორებო.

კაპიტანი გარიდო და ლეიტენანტი გამბოა გავიდნენ. პოლკოვნიკმა მედიდურად გაადევნა თვალი, და როცა კარს მოეფარნენ, მაშინღა მოიფხანა ღიპი.

„ერთ საღამოს, სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, კნაჭა იგერასმა მითხრა: „რა იქნება სხვაგან სადმე წავიდეთ? მომბეზრდა სულ ამ კაფეში სიარული“. ჩემთვის სულ ერთია-მეთქი, ვუთხარი. ჰოდა, ადგა და საენს პენიას ბულვარზე ერთ ბარში წამიყვანა. ბნელი და ბინძური ბარი იყო. დახლიდან ერთი პატარა კარი დიდ დარბაზში გადიოდა. კნაჭა იგერასმა რაღაც ჩაულაპარაკა დახლთან მდგარ ჩინელს — ეტყობა, კარგად იცნობდნენ ერთმანეთს

— ორი ჭიქა სასმელი შეუკვეთა. დავლიეთ ორთავემ. მერე იგერასმა ჯიქურ შემომხედა და მკითხა, შენი ძმასავით გულადი თუ ხარო.

„არ ვიცი, მგონი, კი. რა იყო?“ — ვკითხე. „შენ ჩემი ოციოდე სოლი გმართებს, ხომ მართალია?“ მე თითქოს ზურგზე ხვლიკმა გადამირბინა — დამავიწყდა, ამ ფულს რომ სესხად მაძლევდა, და შემეშინდა, ვაითუ უკან მომთხოვოს-მეთქი. მაგრამ კნაჭამ მითხრა: „შენს გაყვლეფას არ ვაპირებ. მაგრამ უკვე ვაჟკაცი ხარ და ფული გჭირდება, მე კი, რამდენიც გინდა, იმდენი შემიძლია გასესხო. ოღონდაც ჯერ უნდა ვიშოვო ფული. დამეხმარები?“ ვკითხე, რა უნდა ვქნა-მეთქი. „საშიში საქმეა. თუ გეშინია — ჩათვალე, რომ არც არაფერი მითქვამს. ერთი სახლია, ის ახლა ცარიელია, მაგრამ მის პატრონებს ფული ჩეჩქივით აქვთ“. „ქურდობას მთავაზობ?“ — ვკითხე. „ჰო, — მითხრა კნაჭა იგერასმა, — თუმცა ეგ სიტყვა არ მომწონს. მაგ ხალხმა ფული სად წაიღოს არ იცის, მე და შენ კი გაფხეკილები ვართ. გეშინია? მე როდი გაძალებ. როგორ გგონია, იმ შენს ძამიას საიდან ჰქონდა ფულები? შენგან ჩვენ ბევრს არაფერს ვითხოვთ“. „არა, — ვუთხარი მე, — მაპატიე, არ შემიძლია“. კი არ შემეშინდა, უბრალოდ ჩემთვის მოულოდნელი ამბავი იყო. თანაც სულ ის ფიქრი მაწვალებდა, კნაჭა და ჩემი ძმა თუ ქურდები იყვნენ, როგორ ვერ მივხვდი-მეთქი. იგერასს მეტი არაფერი უთქვამს. კიდევ ორი ჭიქა სასმელი მოატანინა და სიგარეტით გამიმასპინძლდა. ანეკდოტებიც მიამბო. ყოველდღე ახალ-ახალ ანეკდოტებს ჰყვებოდა და ზორბადაც ჰყვებოდა, სიფათს მანჭავდა, ხმას იცვლიდა. მერე არახრახდებოდა და ყველა კბილს გადმოყრიდა, ლამის ყანყრატოც უჩანდა. მეც ვიცინოდი, მაგრამ ალბათ შემამჩნია, სხვაზე რომ ვფიქრობდი და მკითხა: „რა ზეთი ჩამოგდის ცხვირ-პირზე? ხომ არ შეგეშინდა? ჩათვალე, ვითომც არაფერი მითქვამს“. „რომ ჩაგვავლონ?“ — ვკითხე მე.

იგერასს სახე დაუდინჯდა: „ყველა პოლიციელი ლენჩია, პირველი ქურდები თვითონ არიან. მაგრამ თუ ჩაგვავლეს, — ცუდად იქნება საქმე. რას იზამ, ასეა, ცხოვრება“. მინდოდა კიდევ მეთქვა რაღაც და ვკითხე: „თუ ჩაგავლეს, რამდენ წელს მოგცემენ?“ — „არ ვიცი, — მითხრა, — გააჩნია, რამდენ ფულს გიპოვნიან ჯიბეში“. მიამბო, როგორ გამოუჭერიათ ჩემი ძმა, როცა პერლიზე ერთ სახლში გადამძვრალა. ვიღაც პოლიციელს თვალი შეუსწრია, დამბაჩა დაუმიზნებია ჩემი ძმისთვის და უთქვამს: „ხუთ ნაბიჯზე ახლოს არ მოხვიდე — ისე გამიძეხ პოლიციისაკენ, თორემ სულ ტყვიებით დაგცხრილავ, შე ჯიბგირო, შენა“. ჩემს ძმას კი, ვითომც აქ არაფერიო, გადაუხარხარებია და უთქვამს: „მთვრალი ხომ არა ხარ? კაცი აქაურ მზარეულ ქალთან მოვსულვარ, ლოგინში მელოდება. არ გჯერა — მოდი აქ და შენი თვალით ნახე“. პოლიციელი გაჩერდა, მერე კი ცნობისმოყვარეობამ წასძლია, მივიდა, დამბაჩა თვალზე მიადო და ჯიბეები ამოუჩხრიკა. „აბა, სცადე და გაინძერი, — ეუბნებოდა თურმე თან, — თვალს გაგიხვრეტ, თუ არ ჩაძაღლდი, ცალთვალა მაინც დარჩები — ისე რომ წყნარად იდექი“. ჯიბიდან ქაღალდის ფულების დასტა ამოუძვრინა. ჩემს ძმას გაცინებია და, უთქვამს: „შენ კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ არც მე ვარ სულელი. წაიღე ეს ფული და გამიშვი, იმ მზარეულთან კი როდისმე სხვა დროს მოვალ“. პოლიციელმა უთხრა: „აგერ მოსახვევში მივალ და მოვშარდავ, მაგრამ მობრუნებისას თუ კიდევ აქ დამხვდი, თანამდებობის პირის მოქრთამისათვის პოლიციის უბანში წაგათრევ“. კნაჭა იგერასმა ისიც მომიყვა, ისა და ჩემი ძმა ერთხელ რომ კინაღამ დაიჭირეს ღვთისმშობლისა და მისი ძის საყდართან. იმ დროს წაასწრეს თურმე, როცა უკან მოძვრებოდნენ ერთი სახლიდან. ერთ პოლიციელს სტვენა აუტეხია. ჩემი ძმა და იგერასი სახურავებზე გადამძვრალან და იქიდან ბაღში ჩამხტარან. ჩემს ძმას ფეხი უღრძვია. „გაიქეცი, — დაუყვირია იგერასისთვის, — ჩემი საქმე გათავებულია!“ კნაჭა იგერასი

კი არ გაქცეულა, ჩემი ძმა კუთხემდე მიუთრევია — იქ რკინის ნაგვის ყუთი ყოფილა. შიგ ჩამძვრალა ორივე და, ერთმანეთს მიხუტებულნი, რამდენიმე საათი თითქმის უჰაეროდ ყოფილან. მერე ტაქსში ჩამსხდარან და კალიაოში წამოსულან.

ამის შემდეგ რამდენიმე დღე აღარ მინახავს კნაჭა იგერასი. „ალბათ ჩავარდა-მეთქი“, — ვიფიქრე, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ბელიავისტეს მოედანზე შემხვდა. ისევ იმ ჩინელთან წავედით, გადავკარით თითო-თითო ჭიქა, გავაბოლეთ და კარგა ბევრი ვილაპარაკეთ. კრინტი არ დაუძრავს იმ ამბავზე. არც მეორე დღესა და არც შემდეგ დღეებში უთქვამს რამე. ყოველ ცისმარე მივდიოდი ტერესთან გაკვეთილების მოსამზადებლად, მაგრამ ფული არ მქონდა და აღარც სკოლასთან დავხვედრივარ. კნაჭასთვის თხოვნისა კი მრცხვენოდა. მთელი დღეები თავს ვიმტვრევდი, სად მეშოვნა რამდენიმე სოლი. ერთხელ სკოლაში გვითხრეს, ახალი სახელმძღვანელო შეიძინეთო. დედას რომ ვუთხარი, კინაღამ გაცოფდა, მიყვირა და მიყვირა, სადილის ფულს ძლივს ვახერხებ, გაისად უკვე სკოლაშიც აღარ ივლი, უკვე ცამეტი წლისა ხარ და ფული შენ უნდა შემოიტანოო. მახსოვს, ერთ კვირა დღეს დედის უჩუმრად წავედი ნათლიაჩემთან. სამი საათი მაინც ვიჩანჩალე, მთელი ლიმა ფეხით გავიარე. არ დამიკაკუნებია, ჯერ ფანჯარაში შევიხედე — იქნებ დავინახო-მეთქი. მეშინოდა, მისი ცოლი გამიღებდა კარს და მაშინდელივით მომატყუებდა. მაგრამ ცოლი არა და, ქალიშვილი გამოვიდა მისი, გალეული და უკბილო. მითხრა, მამაჩემი მთაში წავიდა და ათი დღის შემდეგ დაბრუნდებაო. ისე რომ ვეღარ ვიყიდე წიგნი. თუმცა ბიჭებს ვართმევდი და ისე ვსწავლობდი, მაგრამ ის გულს მიკლავდა, ტერეს რომ სკოლასთან ვეღარ ვხვდებოდი. ერთ საღამოს, როცა გაკვეთილებს ვსწავლობდი, დეიდამისი კი მეორე ოთახში გავიდა წუთით, მითხრა: „ამ ბოლო ხანს რაღაც აღარ მხვდები“. გავწითლდი და წავილუღლუღე: „სწორედ ხვალ ვაპირებდი. შენ ხომ

მუდამ თორმეტზე ამთავრებ?“. იმავე საღამოს წავედი კნაჭა იგერასის სანახავად ბელიავისტეს მოედანზე, მაგრამ იქ ვერ ვნახე. გადავწყვიტე, ალბათ იმ ბარში იქნება-მეთქი საენს პენიაზე, და იქ წავედი. ბარი გაჭედილი იყო ხალხით, კვამლი ბოლქვებად იდგა, ისმოდა მთვრალების ღრიანცელი. ჩინელმა დამინახა და დამიცაცხანა: „აქედან მოუსვი, ლაწირაკო შენა!“ მე კი ვუთხარი: „კნაჭა იგერასი მინდა ვნახო, დიდი საქმე მაქვს-მეთქი“. მაშინღა მიცნო ჩინელმა და უკანა კარზე მანიშნა თავით. დიდი დარბაზი სავსე იყო, ერთი ყატყატი და გნიასი იდგა — ვერაფერს გაარჩევდი. ქალებიც იყვნენ — ვინ მაგიდას უჯდა, ვინ ვიღაც ტიპებს დასკუპებოდა მუხლებზე, ისინი კი ეხვეოდნენ და ლოშნიდნენ. ერთი ქალი ნიკაპზე წამეტანა და მითხრა: „აქ რას აკეთებ, ბუთხუზავ?“ „ხმა ჩაიგდე, კახპავ!“ — მივახალე მე. ქალს გაეცინა, კაცმა კი, მას რომ ეხვეოდა, მითხრა: „ახლავე მოგადებ კისერში — ქალს როგორ აყენებ შეურაცხყოფას?“ ამასობაში კნაჭაც დაგვადგა თავზე, მთვრალს ხელი მოჰკიდა და უთხრა: „ეს ჩემი ბიძაშვილია, ვინც მაგას თითს დააკარებს, — ჩემთან ექნება საქმე“ — „კარგი, კარგი, იგერას, ოღონდაც ამ ჩემს ქალებს ნუ აგინებს. ვაჟკაცმა პატარაობითვე ზრდილობა უნდა ისწავლოს“. კნაჭა იგერასმა მხარზე მომავლო ხელი და თავის სუფრასთან მიმიყვანა. იქ სამი კაცი იჯდა. არც ერთს არ ვიცნობდი. ორი კრეოლი იყო, ერთი ინდიელი. ჩემი მეგობარიაო, გააცნო იმათ ჩემი თავი და სასმისი მოატანინა. წავულაპარაკე, ცალკე უნდა გელაპარაკო-მეთქი. საპირფარეშოში გავედით. იქ ვუთხარი: „ფული მინდა, კნაჭა, ღვთის გულისათვის ორიოდე სოლი მომეცი“. გაეცინა და მომცა. მერე კი თქვა: „მოიხედე, გახსოვს, მაშინ რაზე ვილაპარაკეთ? ჰოდა, ახლა შენი დახმარება მჭირდება. დოსტებმა ერთმანეთს ხელი უნდა გაუმართონ. მხოლოდ ამ ერთხელ, ხომ კი?“ — „კი-მეთქი, მხოლოდ ამ ერთხელ, რაც ვალი მაქვს, იმ ანგარიშში“ — „მაშ, შევ-

თანხმდით, — მითხრა, — თუ საქმე გაიჩარხა — არ ინანებ“. შემოვ-ბრუნდი და იმ მაგიდასთან მივედით. „გაიცანით, ეს ჩვენი ახალი ამხანაგია“, — უთხრა იმ კაცებს. სამივე ძალიან გამხიარულდა, ხელი გადამხვიეს და ხუმრობა დამიწყეს. ამ დროს ორი ქალი მო-მიახლოვდა. ერთი კნაჭას ჩააცივდა, გინდა თუ არა უნდა გაკო-ცოო. ინდიელმა კი უთხრა: „მაგას თავი დაანებე, გირჩევნია ამ ბიჭს აკოცო“ — „დიდი სიამოვნებით“, — სთქვა ქალმა. სამივემ ხვიხვინი დაიწყო, ქალმა კი ტუჩებში მაკოცა. კნაჭამ მომაშორა ის ქალი და მითხრა: „ახლა წადი და აქ აღარ მოხვიდე. ხვალ სა-ღამოს რვაზე ბელიავისტეზე კინოსთან დამხვდი“. მეც წამოვედი. შევეცადე, იმაზე გადამეტანა ფიქრი, ხვალ ტერეს დასახვედრად წავალ-მეთქი, მაგრამ ვერ შევძელი, ისე ვიყავი აღელვებული. ერთიმეორეზე საშინელი სურათები მეხატებოდა: „აი, პოლიციე-ლებმა ჩაგვავლეს, მე გამასწორებელ კოლონიაში გამგზავნეს, ტერემ ყველაფერი გაიგო და ჩემი სახელის გაგონება აღარ უნ-და“.

ჯობდა სულაც ჩაბნელებული ყოფილიყო სამლოცველო. სან-თლების მოცახცახე ალი კიდევ უფრო შემზარავს ხდიდა იქაურო-ბას. კედლებზე თუ ფილებზე შავი ჩრდილები რიალებდა, სამძი-მარზე შემოსული თუ უძრავად გაშეშებული ადამიანებისა. დრო-დადრო განათებული სახეებიც მეტისმეტად პირქუში, თითქმის მრისხანე ჩანდა. თანაც სამლოცველოში, ჩუმად, საბრალისად მოთქვამდა ვიღაც, მოთქვამდა სულ ერთსა და იმავე სიტყვას, ხო-ლო მარცვალს პირველს აბამდა და ეს გაუთავებელი ერთფერო-ვანი ზუზუნი ბურღივით გიხვრეტდა ყურს, გულს გიკოდავდა. ამას სჯობდა ქალს ეწივლა, ეხმო ღმერთი და ღვთისმშობელი, თმა ეგ-ლიჯა. მაგრამ არა: იმ წუთიდან, რაც სერჟანტმა პესოამ სამლოც-ველოში შემოიყვანა კადეტები და კუბოს ორივე მხარეზე კედელ-

თან ჩაამწკრივა, ეს საწყალობელი დუდუნი ესმოდათ ეკვდერიდან, სადაც სკამები და სააღმსარებლოები იდგა. კარგა ხანი გავიდა, ვინემ პესოას ბრძანებით საპატიო ყარაულში დადგებოდნენ უხმაუროდ და უნდილად, ვინემ სხვა ხმებსაც გაარჩევდნენ და მიხვდებოდნენ, ამ მწუხარე ქალის გარდა სხვებიც არიანო სამლოცველოში. საათს ვერ ხედავდნენ — იდგნენ „სმენაზე“ მდუმარედ, ნახევარი მეტრით დაშორებულნი ერთმანეთისაგან. დიდიდიდი, თავის ოდნავ მობრუნება შეეძლოთ, რომ ცხედრისთვის შეეხედათ. მაგრამ აქედან მხოლოდ კუბოს შავი პრიალა ზედაპირი და თეთრი გვირგვინები ჩანდა. შესასვლელთან ხალხი იდგა, მაგრამ კუბოსთან არავინ მოსულა. ალბათ მანამდე იყვნენ და ახლა იმ ქალს ედგნენ გვერდით, მას ამშვიდებდნენ. სასწავლებლის კაპელანმა, უჩვეულოდ დამწუხრებულმა, რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა გვერდით — ხან საკურთხევლისკენ წავიდა, ხან ისევ კარიბჭისკენ გამობრუნდა, — ალბათ იქ მდგომ ხალხთან მისასვლელად, და ისევ საკურთხევლისკენ გამოტრიალდა. თვალები ძირს დაეხარა, ღაჟღაჟა პირისახეზე კი მდგომარეობის შესაფერისი იერი აეკრა. იგი ერთხელაც არ გაჩერებულა კუბოსთან და ცხედრისთვის არ დაუხედავს. კადეტები უკვე კარგა ხანია იდგნენ იქ, ზოგს მკლავიც ჩამოაწყვიტა თოფის სიმძიმემ. არც სიცხეს შეუწუხებიათ მაინცდამაინც; თუმცაღა სამლოცველო ძალზე ვიწრო იყო და ყველა სანთელი პარპალებდა, მათ კი მაუდის საგარეო ფორმა ეცვათ. ბევრს ოფლიც მოსვლოდა, მაგრამ არავინ შეტოკებულა: ქუსლები ერთმანეთისთვის მიეტყუპათ, მარცხენა ხელი თეძოზე მიეკრათ, მარჯვენათი კი კონდახს ჩასჭიდებოდნენ. არც ისე დიდი ხანია, რაც ასე დადინჯდნენ. როცა ურიოსტემ კარი შემოფლითა და ყრუდ დაიძახა: „მათხოვარა მოკვდაო!“ როცა მისი გაოფლილი, მოქანცული პირისახე და აკანკალებული ტუჩები დაინახეს, მის უკან კი მიტკალივით გათეთრებულ თვალებგა-

ფართოებულ მწერალს ჰკრეს თვალი, ბევრს სიცილი წასკდა. კარი მოხურულიც არ იყო, რომ ქოჩორას ხმამ წაიმღერა: „ალბათ ჯოჯოხეთშია უკვე, ვაი, ვაი, დედიკო!“ ხოლო სამიოდე კაცმა გაიცინა. მაგრამ ეს არ იყო ის გიჟური, დამცინავი ხორხოცი, მისდათავად რომ ამოინთხევა ყანყრატოდან და თითქოს ნელ-ნელა მიწყდება სადღაც მაღლა. ეს იყო მოკლე, უმეტყველო, უმწეო ხითხითი. და როცა ალბერტომ იყვირა: „ვინმეს თუ კიდევ დაუკრეჭია კბილები, ნეკნებს ჩავამტვრევ“, არავინ გაპასუხებია, სამარისებური დუმილი გამეფდა. ზოგი იწვა, ზოგი კიდევ კარადებთან იდგა, უხმოდ მიჩერებოდნენ ნესტით დაჭმულ კედლებს, იატაკის წითელ ფილებს, ფანჯარაში მზირალ უვარსკვლავო ცას, საპირფარეშოს მოჯახუნე კარს და ერთმანეთს არ უყურებდნენ. მერე ნელ-ნელა ვინ კარადის დალაგება დაიწყო, ვინ ლოგინის გაშლა, ვინ სალაშქრო ტანსაცმლის დაკერება, ვინ რვეულის ფურცვლა თუ სიგარეტის ქაჩვა. თანდათან ლაპარაკიც გაიბა, მაგრამ აღარავის უმასხრია, არავინ წაუკბენიათ, არც ჩვეულებრივი ბილწსიტყვაობა გაუმართავთ. ლაპარაკობდნენ ხმადაბლა, როგორც საღამოს ბუკის შემდეგ ჩვეოდათ, ლაპარაკობდნენ ყველაფერზე, გარდა მათხოვარას სიკვდილისა; ერთმა შავი ძაფი ითხოვა, მეორემ საკერებელი, იმან სიგარეტი, ამან რვეული თუ საწერი ქაღალდი. როდის-როდის შეპარვით, მოიარებით, საქმის არსის შეუხებლად და ჩაუძიებლად გამოიკითხეს: „რომელ საათზე მოკვდა?“ „ლეიტენანტმა უარინამ თქვა, ხელმეორედ უპირებენო ოპერაციას. იქნებ ოპერაციის დროს შემოაკვდათ?“ „წავალთ კია დაკრძალვაზე?“ შემდეგ აქა-იქ გაუბედავად დაიწყეს მსჯელობა: „მის ასაკში გააფრთხო სული — უარესი რა იქნება“, „ჯობდა იქ, მინდორზე მომკვდარიყო. ეხუმრები — სამი დღე იწვალა“. „ბედი არ გინდა — ორი თვეც და დაამთავრებდა“. რამდენიმე იმავე საგანს უტრიალებდა, ოღონდ უმისამართოდ, ხანგამოშვებული დუ-

მილით. სხვები ჩუმად იყვნენ, მხოლოდ თავს აქნევდნენ დასტურის ნიშნად. შემდგომ გაისმა სასტვენის ხმა. ყველანი აუჩქარებლად გამოვიდნენ ბარაკიდან, მოედანი გადაჭრეს, დინჯად დამწკრივდნენ, სადაც უნდა დამწკრივებულიყვნენ, აღარც ადგილზე უჩხუბიათ ახლა, „სმენაზეც“ ბრძანების გარეშე დადგნენ. ვახშამზე თითქმის არ ულაპარაკიათ. გრძნობდნენ, ამ ვეებერთელა დარბაზში ყველა კადეტი მათ მიჩერებოდა, ესმოდათ ლეკვების ჩურჩულ-ჩურჩული: „აი, ამათი რაზმეულიდან იყო“, — და ხედავდნენ მათკენ მოშვერილ თითებს. იღეჭებოდნენ დუნედ, უხალისოდ. დარბაზიდან გამოსვლისას ან თითო-ოროლა სიტყვას მიუგდებდნენ არამკითხეებს პასუხად, ან არადა შეუღრენდნენ ხოლმე თავიდან მოსაშორებლად. საღამოს კი ბარაკში ყველანი აროსპიდეს შემოეხვივნენ და ვალიანომ განუცხადა ყველას მაგივრად: „წადი და ლეიტენანტს მოახსენე, საპატიო ყარაულში ჩვენ დავდგებით-თქო“, შემდეგ მოტრიალდა და დასძინა: „მაინც ჩვენი რაზმეულიდან იყო და ეს ჩვენი ვალია“. არც ახლა გაუმასხრია არავის, ზოგმა თავი დააქნია, ზოგმა თქვა: „რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა“. ოცეულის მეთაური ლეიტენანტთან წავიდა და ამბავი მოიტანა, საგარეოდ გამოეწყვეთ, ხელთათმანები, ქუდი თან იქონიეთ, ფეხსაცმელები გაიწმინდეთ, ნახევარი საათის შემდეგ კი ხიშტიანი თოფებით დამწკრივდით, ოღონდაც თეთრი ქამრები არ გაიკეთოთო. შემდეგ ისევ გაგზავნეს აროსპიდე ლეიტენანტთან, ასე უთხარი, სამლოცველოში მთელი ღამე დავრჩებითთქო. მაგრამ ლეიტენანტმა ამის ნება აღარ დართო. ჰოდა, აგერ უკვე ერთ საათზე მეტია, რაც აქ დგანან, ქალის საწყალობელ დუდუნს უსმენენ და ცალი თვალით შუაში მდგარ კუბოს უცქერიან, ცარიელი რომ ჩანს.

მაგრამ ის ცარიელი არ იყო. ეს საბოლოოდ მაშინ ირწმუნეს, როცა ლეიტენანტი პიტალუგა წაღების ჭრაჭუნით სამლოცველო-

ში შემოვიდა, ჭრაჭუნით მოახლოვდა, ჭრაჭუნითვე ჩაუარა გვერდი და პირდაპირ კუბოს მიაშურა. გაკვირვებულებმა. თვალი გააყოლეს ოფიცერს. აი, იგი შედგა, თითქმის შეეხო კიდეც ერთ გვირგვინს, მერე თავი ჩაჰკიდა, ოდნავ მოიხარა, ალბათ უკეთ რომ დაენახა, და ერთხანს იდგა ასე. შემდეგ — აქ ყველა უნებლიეთ შეტოკდა — პიტალუგამ ცალი ხელი ასწია, ქუდი მოიხადა, სწრაფად გადაიწერა პირჯვარი, გასწორდა, შეშუპებული პირისახე, გამოცარიელებული თვალები მათკენ მოაბრუნა და ისევ გვერდით ჩაუარა. აგერ, თანდათან მოეფარა თვალს, ნელ-ნელა მიწყდა მისი ნაბიჯების ხმა და მერმე ისევ გაისმა საწყალობელი დუდუნი იმ უჩინარი ქალისა.

ცოტა ხნის შემდგ პიტალუგა ისევ მოვიდა მათთან და სათითაოდ ყველას ჩასჩურჩულა, თოფები დაუშვით და თავისუფლად დადექითო. კადეტთა რიგი შეინძრა: ბიჭებმა მხარი დაიზილეს, მერე ნელ-ნელა, თითქმის შეუმჩნევლად ახლო-ახლო მიჩოჩდნენ ერთმანეთთან. აქა-იქ ჩურჩული შეიქმნა ამან თითქოს უფრო ჩააჟამა იქაურობა, უფრო მწუხარე გახადა. მერე პიტალუგას ხმა გაიგონეს. მაშინვე მიხვდნენ, იმ ქალს ელაპარაკებაო. ხმაზე ეტყობოდა, ცდილობდა ხმადაბლა ელაპარაკა, მაგრამ რაღაი სწამდა, ვაჟკაცს ხმაც ვაჟკაცური უნდა ჰქონდესო, ამიტომაც მუდამ ჩახლეჩილი ხმით ბუბუნებდა. მისდა სამწუხაროდ, ახლა ჩურჩულის ნაცვლად ყიყინი გამოსდიოდა. და ბიჭებსაც მისი სიტყვებიდან მხოლოდ არანა ჩაესმოდათ. ბევრი ერთბაშად ვერც მიხვდა, ვისზე იყო ლაპარაკი. კუბოში რომ ესვენა, ის მათთვის მუდამ მათხოვარა იყო. ქალი, ეტყობა, პიტალუგას არ უსმენდა, კვნესოდა და გმინავდა. დაბნეული ლეიტენანტი დროდადრო დადუმდებოდა და მერე ისევ განაგრძობდა თავისას.

„რას ამბობს პიტალუგა?“ — იკითხა აროსპიდემ ტუჩების გაუნძრევლად. იგი ერთი მწკრივის თავში იდგა. უკან მდგარმა ვალიანომ ეს კითხვები პითონს გაუმეორა, პითონმა მის უკან მდგომს,

ვინემ ამ შეკითხვამ მწკრივის ბოლოში, პიტალუგასა და იმ ქალთან ყველაზე ახლოს მყოფ კადეტამდე არ მიაღწია. „მათხოვარაზე ელაპარაკება“, — წაილაპარაკა კადეტმა და მიყოლებით, სიტყვა-სიტყვით და თითქმის იგივე კილოთითაც მოჰყვა პიტალუგას ნალაპარაკევი: „იგი ბრწყინვალე, ყველასაგან დაფასებული, ყველა მასწავლებლის საყვარელი კადეტი იყო, სამაგალითო. ამხანაგი, ნიჭიერი მოწაფე. ახლა ყველანი დიდად სწუხან მის უდროო დაღუპვას. მის ყაზარმაში მჭმუნვარება სუფევს, იგი პირველი იდგა ხოლმე მუდამ მწყობრში, იყო სამაგალითო წესრიგისა და ყოფაქცევის. მისგან დიდებული ოფიცერი დადგებოდა, ერთგული და მამაცი. ხიფათისთვის თავი არასოდეს აურიდებია, ლაშქრობაში ყველაზე ძნელი დავალება მას ეკისრა და ისიც უსიტყვოდ, უყოყმანოდ ასრულებდა ყველაფერს. ცხოვრება დაატეხს ხოლმე ადამიანს უბედურებას, მაგრამ იგი არ უნდა გატეხოს ამან. ოფიცრები, მასწავლებლები, კადეტები ყველანი იზიარებენ ოჯახის მწუხარებას; პოლკოვნიკიც კი მობრძანდება და პირადად მოახსენებს თავის სამძიმარს; მას პატივით დაასაფლავებენ. მთელი მეხუთე კურსი გაჰყვება კუბოს, საგარეო ფორმით შემოსილი და იარაღით აღჭურვილი.

მისი რაზმის კადეტები გვირგვინებსა და ლენტებს წაიღებენ. სამშობლომ დაჰკარგა შვილი; ახლა თავშეკავება და მორჩილებაღა მართებს ყველას; მისი სახელი ჩაიწერება სასწავლებლის ისტორიაში და ახალ თაობათა გულში მარად იცოცხლებს. ოჯახი ნურაფერზე იდარდებს, დაკრძალვის მთელ ხარჯს სასწავლებელი იკისრებს. როგორც კი შეიტყვეს ამ უბედურების ამბავი, მყის გვირგვინები შეუკვეთეს, ყველაზე დიდი გვირგვინი პოლკოვნიკმა გამოგზავნა“. ამ ცოცხალი ტელეგრაფის წყალობით კადეტებს ერთი სიტყვა არ გამორჩენიათ, ქალის საწყალობელი დუდუნი კი არ წყდებოდა და არა. დროდადრო სხვა მამაკაცების ხმებიც ისმოდა.

შემდეგ პოლკოვნიკიც მობრძანდა. კადეტებმა უმალ იცნეს მისი ჩიტივით ჩქარ-ჩქარი, ცუხცუხა ნაბიჯები. პიტალუგა დადუმდა, გაჩუმდნენ სხვებიც. ქალის საწყალობელი დუდუნი ახლა თითქოს უფრო შორიდან ისმოდა. კადეტები სმენად იქცნენ. თოფები არ შეუმართავთ, მაგრამ გასწორდნენ კია, ქუსლი ქუსლს მიატყუპეს და ხელები შარვლის შავი კანტების გასწვრივ დაუშვეს. ასე უსმენდნენ პოლკოვნიკის წრიპინს. იგი პიტალუგაზე ხმადაბლა ლაპარაკობდა. ცოცხალი ტელეგრაფი შეწყდა, პოლკოვნიკის სიტყვები მწკრივის ბოლოში თუ ესმოდათ მხოლოდ. ვერც ხედავდნენ მას, მაგრამ იცოდნენ კია, რომ ისეთივე იქნებოდა, როგორც ყოველთვის იყო საზეიმო გამოსვლებისას, როცა მიკროფონის წინ გამოიჭიმებოდა, მედიდურად გადახედავდა ყველას და ხელებს ასწევდა, თითქოს — აი, ნახეთ, ხელისგულებზე არაფერი მაწერიაო. ალბათ ისიც ამბობდა ახლა, რაოდენ ფასობს მაღალი ზნეობა, როგორ ზრდის ჯარი ჯანმრთელ, საქმის მოყვარულ ადამიანებს, რომ დისციპლინა წესრიგის დედაბოძია. ვერ ხედავდნენ და მაინც თითქოს თვალწინ ედგათ მისი გაბღენძილი გამოხედვა, პატარა ფუნჩულა ხელები. ამ ხელებს ალბათ თვალებდაწითლებულ ქალს უტრიალებდა წინ, თუკი დიდებულ ფაშვზე შემოჭერილ ქამარზე არ ასვენებდა. თვალწინ ედგათ მისი მოკლე ფეხები, ტანის სიმძიმის გასაძლებად რომ გაებოძიძგებინა. გუმანით ხვდებოდნენ, რა მაგალითებს მოიყვანდა, რომელ გმირებს და წამებულებს ჩამოთვლიდა, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასა და ჩილისთან ომში თავიანთი კეთილშობილი სისხლი რომ დაეღვარათ მამულის საკეთილდღეოდ. პოლკოვნიკი გაჩუმდა. აღარც ქალის ტირილი ისმოდა. სამლოცველოც ერთბაშად თითქოს შეიცვალა. კადეტებმა ერთმანეთს გადახედეს, არ იცოდნენ, რა ექნათ. მაგრამ სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა. პოლკოვნიკი, პიტალუგა და ვიღაც შავად მოსილი მამაკა-

ცი კუბოსთან მოვიდნენ. სამივე ერთხანს ჩუმად დაჰყურებდა კუ-ბოს. პოლკოვნიკს მუცელზე დაეწყო ხელები, ქვედა ტუჩი ზედაზე აეკეცა, ქუთუთოები კი ოდნავ მოეხუჭა: ასე იცოდა ხოლმე ყოვე-ლი მძიმე ვითარებისას. ლეიტენანტი და შავად მოსილი მამაკაცი გვერდით ედგნენ, მამაკაცს ხელში თეთრი ცხვირსახოცი ეჭირა. მერმე პოლკოვნიკი პიტალუგას მიუბრუნდა და რაღაც ჩასჩურჩუ-ლა. შემდეგ იმ მამაკაცთან მივიდნენ. იმანაც რამდენჯერმე დააქ-ნია თავი. მერე ყველანი ისევ საკურთხევლისკენ წავიდნენ. ქალ-მა ისევ გაბა კვნესა-გოდება. ლეიტენანტმა კადეტებს უბრძანა, ეზოში გადითო. იქ მეორე რაზმეული ელოდა თავის რიგს. მაგრამ იქაც, იმ ეზოშიაც ესმოდათ ქალის გმინვა.

სამლოცველოდან თითო-თითოდ გამოვიდნენ ბიჭები. ად-გილზე რომ მოტრიალდნენ და ფეხის წვერებზე დაიძრნენ კარის-კენ, ცალი თვალი სწრაფად გააპარეს სკამებისაკენ — იქნებ ის ქა-ლი დავინახოთო, მაგრამ ქალს პოლკოვნიკისა და პიტალუგას გარდა კიდევ სამი კაცი ეფარებოდა. ყველა ფრიად დადინჯებით იმზირებოდა. მეორე რაზმეულის კადეტები მოედანზე იდგნენ, სამლოცველოს წინ. მათაც საგარეო ფორმა ეცვათ და თოფები ეჭირათ. პირველი რაზმეული მეორის უკან დაეწყო, მოედნის კი-დეზე. რაზმეულის მეთაურმა თავი პირველ კადეტს გაუსწორა და მწკრივი შეამოწმა, შემდეგ მარცხნივ დადგა რაზმეულის დასათ-ვლელად. კადეტები გაუნძრევლად იდგნენ და ხმადაბლა ლაპა-რაკობდნენ იმ ქალზე, პოლკოვნიკზე, დაკრძალვაზე. რამდენიმე წუთის შემდეგ ღელვამ მოიცვა ყველა, პიტალუგას ხომ არ დავა-ვიწყდითო. აროსპიდე მწყობრის წინ დააბიჯებდა. სამლოცველო-დან გამოსული პიტალუგა რომ დაინახა, რაზმეულის მეთაურმა კადეტები გააჩუმა და ოფიცრისკენ გაემართა. ლეიტენანტმა რაზ-მეულს ბარაკში დაბრუნება უბრძანა. ის იყო, აროსპიდემ თავი მი-ატრიალა ბრძანების გასაცემად, რომ მწყობრის ბოლოში ვიღა-

ცამ დაიძახა: „ერთი გვაკლია“. ლეიტენანტმა, რაზმეულის მეთაურმა და ზოგიერთმა კადეტმა იქით მიიხედეს. ამ დროს სხვებმაც იყვირეს: „დიახ, დიახ, ერთი გვაკლია“. ლეიტენანტმა იქით გადადგა ნაბიჯი. აროსპიდე სირბილს მოჰყვა და, არ შემეშალოსო, კადეტებს თითებზე ითვლიდა. „დიახ, ბატონო ლეიტენანტო — მოახსენა ბოლოს, — ოცდაცხრა ვიყავით, მწყობრში კი ოცდარვა გახლავთ ახლა“. ამ დროს ვიღაცამ წამოიძახა: „მწერალი არ ჩანს“.

„კადეტი ფერნანდესი გვაკლია, სენიორ ლეიტენანტო“, — გაიმეორა აროსპიდემ. „სამლოცველოში იყო?“ — იკითხა პიტალუგამ. „დიახ, იყო, სენიორ ლეიტენანტო, ჩემ უკან იდგა“ — „ეგეც არ მოკვდეს ახლა“, — წაიბურტყუნა პიტალუგამ და რაზმეულის მეთაურს ანიშნა, გამომყევიო.

— კარიბჭიდანვე დაინახეს ალბერტო. იგი შუა სამლოცველოში იდგა, კუბოს ეფარებოდა — გვირგვინებიღა ჩანდა. თოფი განზე მოეგდო, თავი ჩაეკიდა. ლეიტენანტი და აროსპიდე ზღურბლზე შედგნენ. „რას აკეთებს ეგ ყეყეჩი?“ — წაილაპარაკა ოფიცერმა — ახლავე გამოიყვანეთ“. აროსპიდე შევიდა. ხალხს რომ ჩაუარა, შესასვლელში პოლკოვნიკის მზერას წააწყდა. ბიჭმა თავი დაუქნია და მაშინვე თვალი აარიდა. როცა აროსპიდემ ხელი მოჰკიდა, ალბერტო არც განძრეულა. რაზმის მეთაურს წამიერად დაავიწყდა, თუ რისთვის იყო მოსული და კუბოს ჩახედა. კუბო ზემოდან დახურული იყო, მხოლოდ მქრქალი შუშიდან მოჩანდა თავი და ბერეტი. თეთრი ბანდიდან მათხოვარას შეშუპებული და გაწითლებული პირისახე ჩანდა. აროსპიდემ იდაყვი გაჰკრა ალბერტოს: „ყველანი უკვე დაეწყვნენ, ლეიტენანტი კარებში გელოდება, რა, სასჯელი ხომ არ გინდა მოგაკერონ?“ ალბერტოს ხმა არ გაუღია, მთვარეულივით გაჰყვა აროსპიდეს. მოედანზე პიტალუგა შემოეგებათ: „ასე გიყვართ მიცვალებულების ცქერა?“ ალ-

ბერტოს არც ახლა დაუძრავს კრინტი, უხმოდ გასწია თავისი ადგილისაკენ, ბიჭებმა თვალი გააყოლა, რამდენიმემ კიდეც ჰკითხა, რა იყოო, მაგრამ არც იმათთვის უთხოვებია ყური და, მგონი, არც ის გაუგია, ცოტა ხნის მერე მის გვერდით მიმავალმა ვალიანომ მთელი რაზმეულის გასაგონად საკმაოდ ხმამაღლა რომ წამოიძახა: „მწერალი ტირის, ბიჭებო“.

III

„მორჩენით კი მორჩება, მაგრამ კოჭლი დარჩება მთელი სიცოცხლე. ეტყობა, რაღაც ძვალი, ხრტილი თუ მყესი დაუზიანდა იმ საცოდავს. ერთი პირობა ვცადე კიდეც თათი გამესწორებინა, ვჭიმე, ვჭიმე, მაგრამ ვერ გავუჭიმე, რკინასავით გამაგრებოდა. თანაც ისეთ წკმუტუნსა და ფართხალს ატეხდა, ავდექი და თავი მივანებე. თითქმის მიეჩვია უკვე უბედური. ესაა, უცნაურად დარბის, სულ მარჯვნივ ფერდდება, ერთ-ორ ნახტომს გააკეთებს და გაჩერდება, სულს მოითქვამს. დაიღლება, აბა, რა იქნება, სამ თათზე დახტის საცოდავი. მაშ, სამუდამოდ დახეიბრდა და ეგაა. წინა თათი მაინც არ იყოს, იმხელა გოგრა ამ თათს ეყრდნობოდა. სხვა ძაღლი გახდა პირდაპირ. ბიჭებიც ჩლახუნას ეძახიან ახლა. უთუოდ ვალიანო შეარქმევდა, იმას უყვარს მეტსახელები. ჰო, ყველაფერი გამოიცვალა ახლა, მარტო ჩემი წკავწკავა კი არა. რაც სასწავლებელში ვარ, ამდენი რამ შეცვლილიყო ასე პატარა ხანში, არ მოვსწრებივარ. ჯერ იყო და კავა გამოიჭირეს ბილეთების მოპარვის გამო, ნაკერები ჩამოაგლიჯეს და გარიცხეს... ის

საცოდავი ალბათ უკვე იმ თავის ველურებშია. არ გაგვიმართლა ბედმა, ჯერ ჩვენი რაზმეულიდან კაცი არ გაუგდიათ. დედაჩემი იტყოდა ხოლმე, თუ ერთხელ გიმუხთლა ბედმა, კარგა ხანს დაემშვიდობეო წყალობას. მართალიც ყოფილა. ამას კიდევ მათხოვარას ამბავი მოჰყვა. მართლა უნდა გაგწიროს ღმერთმა — ტყვია არ აკმარა კეფაში, ეშმაკმა არ იცის, რამდენჯერ გაუკეთეს ოპერაცია და მაინც ისე მოკვდა, ძაღლს არ უსურვებს კაცი. ბიჭები ვითომ არაფერს იმჩნევენ, მაგრამ ხომ ვატყობ, როგორ განიცდიან! კი, დრო გავა და ყველაფერი ძველებურად იქნება, მაგრამ ახლა რომ სულ სხვანი გახდნენ — ხელად შეატყობ. აი, მაგალითად, მწერალი სულ შეიცვალა. თითქოს დაბეჩავდა, აღარავის ეკინკლავება, აღარავის უწუხებს სულს, თითქოსდა ასე უნდა იყოს. თითქმის კრინტს აღარ სძრავს. აგერ ოთხი დღეა მისი დოსტი დაასაფლავეს, თითქოს უკვე უნდა გამოეგლოვა, მაგრამ უარესი და უარესი ემართება. ეგ რომ კუბოსთან მდგარი დავინახე, მაშინვე ვიფიქრე: „დარდმა მოსპო-მეთქი კაცი“. ესეც კია, დიდი დოსტები იყვნენ. მგონი, მაგის გარდა არც არავინ მეგობრობდა მათხოვარას ანუ არანას მთელ სასწავლებელში, ისიც ამ უკანასკნელ ხანს. მანამდე ჩვენზე ნაკლებ არც მწერალი აწვალებდა. ან ნეტავ რამ ჩააძმაკაცათ ასე, ერთმანეთს ვეღარ დააშორებდი? გიყვარდეს, ბიჭები დასცინოდნენ. „ტურფა ხომ არ გაიჩინეო?“ — ეუბნებოდა ხოლმე ქოჩორა. კაკალ გულში კი მოახვედრა. თვალებში შესცინებდა მათხოვარა მწერალს, მიწებებული იყო პირდაპირ, სულ კუდში დასდევდა, რაღაცას ეჩურჩულებოდა. გავიდოდნენ განზე, შუა მინდორში დადგებოდნენ და აღარ ათავებდნენ პუტუნს. თუ ვინმე ქილიკობას დაუწყებდა მათხოვარას, მწერალი იყო მისი ქომაგი. მაგრამ პირდაპირ კი არა, არც ისე უჭკუოა. ვიღაც რომ შარს მოსდებდა მათხოვარას, უმალ იქ გაჩნდებოდა, იმას წაგესლავდა, ამას მასხრად აიგდებდა და მორჩა, ყველას.

მოაკეტინებდა, მაგას ვინ მოუგებს ენაში. ახლა კი არავის ეპარება, მარტო დაბორიალობს, გეგონება, ზეზეურად სძინავსო. ყველაზე მეტად ეგ შეიცვალა ჩვენში. წინათ არაფერი ერჩივნა რამე ეოხრა სხვისთვის, თუ ვინმეს კბილს დაადგამდა, მაგის მოსმენას არაფერი სჯობდა. იცოდა ბიჭმა, როგორ დაეგესლა კაცი, როგორ გაერთო ხალხი. მეც ბევრი სისხლი გამიშრო, რამდენჯერ მინდოდა ცხვირ-პირი ჩამენაყა მაგისთვის.

კი, შარის მოდება ზორბად იცოდა. ოღონდაც ჩხუბში ვერ იყო მაგარი. მამალასთან რომ შუხური მოუვიდა, კინაღამ არ გასრისა მამალამ. ეგ მამალა კრეოლია, როგორც ყველა ზღვისპირელი. თან იმისთანა გაჩხიკულია, თაურს რომ მოგადებს, გეგონება, ტვინსაც გამოასხამს სადაცაო. ჩვენს სასწავლებელში თეთრკანიანები ცოტანი გვყავს, მწერალი კიდევ სხვებს სჯობია. დანარჩენები უბედურად ჰყავდა დაშინებული — „აცხა, აცხა აქედან, შე თეთრო ჭია, თორე ჩოლო გაჩვენებს სეირს“. ჩვენს რაზმეულში ორნი გვყვანან თეთრკანიანები. აროსპიდესაც არა უშავს, ბუღასავით ბიჭია, სამი წელი რაზმეულის მეთაურობა ხელიდან არ გაუშვია — ცარიელი ტვინია! ერთხელ ქუჩაში მოვკარი თვალი, ყვითელი პერანგი ეცვა და წითელ მანქანაში იჯდა — პირი დავაღე პირდაპირ. პეწენიკი ვიღაცაა ეგ ოხერი, ეტყობა, ფული ჩეჩქივითა აქვს, მირაფლორესში ცხოვრობს. საკვირველი ამბავია: რაზმეულში მხოლოდ ორი გვყავს ეგეთი, მაგრამ ერთმანეთს ჩაძმაკაცებიან კი არადა, არც ელაპარაკებიან, თავთავისთვის არიან — იქნებ არ ენდობიან ერთმანეთს? მე რომ ფული და წითელი მანქანა მქონდეს, ჯოხით ვერ შემომაგდებდა აქ კაცი. რა ჭირად მინდა ფული, თუკი ამისთანა ძაღლურ ყოფაში ვიქნები სხვებივით? ერთხელ ქოჩორამ უთხრა მწერალს: „ნეტა აქ რა ჯანდაბა გინდა? შენ უნდა სასულიერო სემინარიაში იყო“. ქოჩორა გასაქანს არ აძლევს ხოლმე მწერალს, არ იქნება კბილი არ გაჰკრას — მე მგონი, შურით სკდება, იმასავით მოთხრობებს რომ ვერ სწერს, დღეს

მითხრა: „ვერ ატყობ, როგორ გამოგვიბენტერდა მწერალი?“ ჰაი, ჰაი, რომ ვატყობ. განა რამეს აკეთებს. მთელი დღეები ლოგინზე გდია, ვერ შეატყობ, სძინავს თუ ფხიზლობს. ქოჩორა განზრახ მივიდა და სთხოვა, მოთხრობა დამიწერეო. „მომწყდი თავიდან, მორჩა, მოთხრობებს გამოეთხოვეთ“, — უთხრა ასე პასუხად. აღარც არავის უწერს წერილებს. წინათ თვითონ ჩამოურბენდა ხოლმე ბიჭებს, აბა, ვის გინდათ დაგიწეროთო, ან იქნებ ფული აღარ სჭირდება ახლა დილით ჩვენ ამდგარი რომ არა ვართ, ეგ უკვე მწყობრშია გამოჭიმული. სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, დღესაც — პირველი გადის ეზოში და იქ ყურყუტებს, ცხვირ-პირი ჩამოსტირის, ღმერთმა იცის, სად იყურება და რას უყურებს, გეგონება, ცხადლივ სიზმრებს ხედავსო. მაგის გვერდით სასადილოში რომ სხედან, ისინი ამბობენ, პირს არაფერს აკარებსო. „დარდმა დააჭლექა კაცი, — უთხრა ვალიანომ მენდოსას, — არც თვითონ ჭამს და არც სხვაზე ჰყიდის, ფეხებზე ჰკიდია, ვის შეხვდება, გაიწვდის თეფშს და მორჩა“, სულ გადარია დოსტის სიკვდილმა! დიდი მაზალო ხალხია ეს თეთრები, შეხედავ, ვაჟკაცი გგონია, ქალის გული კი აქვთ, სიმაგრე აკლიათ. აგერ მწერალიც დაგვიჩიავდა, ყველაზე მეტად განიცდის მათხოვარას, ესე იგი არანას სიკვდილს“.

„ნეტა მოვა თუ არა ამ შაბათს? კარგია სამხედრო სასწავლებელი, ფორმაც ლამაზი აქვთ, ოღონდაც არ იცი, როდის მოვა და როდის არა“. ტერესა სან-მარტინის მოედნისაკენ მიდიოდა. კაფეები და ბარები ხალხით იყო სავსე, ისმოდა სიცილ-ხარხარი და ჭიქების წკარუნი, ჰაერი ლუდის სუნს გაეჟღინთა, მაგიდებზე სიგარეტის კვამლი ადიოდა. „ასე თქვა, სამხედრო არ მინდა ვიყოო, — ფიქრობდა ტერესა, — მაგრამ რომ გადაიფიქროს და უმაღლეს სამხედრო სკოლაში შევიდეს? აბა, რა სეირია სამხედროს გაჰყვე ცოლად, მთელი სიცოცხლე ყაზარმებში უნდა იყოს,

ომშიაც ეგენი იღუპებიან პირველად. თანაც სულ მუდამ დაეხეტებიან, სულაც პროვინციაში შეიძლება ამოჰყოს თავი, ან, ღმერთმა ნუ ქნას, ჯუნგლებში. იქ იმდენი ქინქლაა და იმდენი ინდიელი“. „ბარ სელთან“ ქათინაურები ესროლეს ვიღაც ყმაწვილებმა, ხმლებივით ლაპლაპა ჭიქები ასწიეს მის სადღეგრძელოდ; ვიღაც ყმაწვილმა ხელი დაუქნია, ვიღაც ლოთს გზა აუქცია, ჯიქურ რომ მისკენ მოდიოდა. „არა, ალბერტო ინჟინერი იქნება, — გაიფიქრა ტერესამ, — ოღონდაც ხუთი წელი მომიხდება დაცდა, ეს კი კაი დიდი დროა. მერე თუ აღარ მითხოვა, უკვე ბებერი ვიქნები და აღარავინ შემიყვარებს“. კვირის სხვა დღეებში აქ თითქმის ვერავის ნახავ. შუადღისას რომ ჩაუვლიდა ცარიელ მაგიდებსა და წიგნის კიოსკებს, არავინ ჩანდა ფეხსაცმლის მწმენდავებისა და გაზეთების გამყიდველების გარდა, შურდულივით რომ დაქროდნენ. ისიც ჩქარობდა ტრამვაიში მალე ჩამჯდარიყო, ჰაიჰარად ესადილა და კანტორაში დროზე დაბრუნებულიყო. მაგრამ შაბათობით უკვე ნელა მიდიოდა ხალხით. მოზიმზიმე ქუჩაში, გულში სადღაც სიამოვნებდა, ქათინაურები რომ ესმოდა და ნასადილევსაც რომ აღარ უნდა მიბრუნებულიყო კანტორაში. ამ რამდენიმე წლის წინათ კი სწორედ შაბათი დღე ეჯავრებოდა ყველაზე მეტად. დედა ამ დღეს უფრო მეტად ლანძღავდა მამას და წუწუნებდა. იმიტომ რომ მამა გვიანობამდე არ ბრუნდებოდა შინ, ხოლო როცა დაბრუნდებოდა, გიჟივით შემოვარდებოდა, ბოღმამორეული და სპირტით გაჟღენთილი. თვალების ბრიალით და მუშტების ქნევით გალიაში გამომწყვდეული ნადირივით აწყდებოდა კედლებს, ღრიალებდა, ხმამაღლა სწყევლიდა თავის სიღარიბეს, სკამებს აყირავებდა და მანამდე ურტყამდა მუშტებს კარებს, ვინემ ქანცგამოლეული არ წაიქცეოდა იატაკზე. მაშინ დედა-შვილი ტანთ გახდიდა და საბანს წააფარებდნენ, მძიმე იყო და ლოგინამდე ვერ მიათრევდნენ. ზოგჯერ მამა მარტო არ მოდიოდა. დედა გააფთრებით დაეძგერებოდა ხოლმე უცხო ქალს, რომ თავისი

გამხმარი ხელებით პირისახე დაეკაწრა მისთვის. მამა კი. მუხლებზე დაისვამდა ტერესას და აღელვებისაგან აცახცახებული ეუბნებოდა: „უყურე, უყურე, ჩემო გოგო, ეს იაპონურ ჭიდაობას სჯობია“. ასე იყო მანამ, ვინემ ერთმა იმ ქალთაგანმა ბოთლით არ გაუხეთქა დედას შუბლი. დედა ამბულატორიაში წაიყვანეს. მას შემდეგ მოტყდა, დამორჩილდა დედა. მამა რომ სხვა ქალს მოიყვანდა, დედა მხრებს აიჩეჩავდა მხოლოდ, შინიდან მიდიოდა და ტერესაც მიჰყავდა ბელიავისტაში დეიდასთან. იქიდან კი მხოლოდ ორშაბათ დილას ბრუნდებოდა. სახლში საშინელი არყის სუნი იდგა, ყველგან ცარიელი ბოთლები ეყარა, მამას მკვდარივით ეძინა, საკუთარ ნარწყევშივე ცხვირ-პირით ჩამხობილს, ძილში ისევ მდიდრებს აგინებდა და უსამართლობას უჩიოდა. „მამა არ იყო ცუდი, — გაიფიქრა ტერესამ, — მთელი კვირა ვირივით მუშაობდა. სვამდა იმიტომ, რომ საკუთარი სიღარიბე დაევიწყებინა. მაგრამ მე კი ვუყვარდი და არასოდეს მიმატოვებდა“. ლიმა-ჩორილიოსში დამავალი ტრამვაი ციხის წითელ კედელს ჩაუვლიდა, მერე მართლმსაჯულების სასახლის ვეება თეთრ შენობას, მერე უცბად ხასხასა მწვანე ბაღი გამოჩნდებოდა. ქარი არხევდა დიდრონი ხეების ტოტებს, სარკესავით ლაპლაპებდა გუბურები, მოჩანდა ყვავილებით შემორაგული დაკლაკნილი ბილიკები, ბალახის მწვანე ხალიჩის შუა კი თეთრკედლებიანი ჯადოსნური სასახლე, ქანდაკებები, რკინის მესრები და ლამაზსახელურებიანი კარი, „დედაც კარგი ქალი იყო, — გაიფიქრა. ტერესამ — ოღონდაც ძალიან დატანჯული“. როცა მამა საავადმყოფოში მოკვდა — დიდხანს, დიდხანს ებრძოდა სულს — დედამ თავისი დის კართან მიიყვანა და უთხრა: „ჩემს წასვლამდე ნუ დარეკავ. მეტი ტანჯვა აღარ შემიძლია, ახლა ჩემთვის ვიცხოვრებ, ღმერთი, მე მგონი, მომიტევებს. დეიდაშენი კი არაფერს მოგაკლებს“. ექსპრესზე უფრო ახლო ტრამვაი უდგებოდა სახლს. მაგრამ

ტრამვაის გაჩერებიდან შინამდე ეზო-ეზო უნდა ევლო, იქ კი ბანჯგვლიანი, ჩამოძენძილი კაცები იდგნენ ხოლმე და ბინძურ სიტყვებს მისძახოდნენ უკან, ხან ხელის ტაცებასაც დაუპირებდნენ. ახლა არავინ აკიდებია. მხოლოდ ორი ქალი და ძაღლი დაინახა. სამივენი გულმოდგინედ იქექებოდნენ ნაგვის ყუთებში. ეზოებში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. „სადილობამდე უნდა მოვასწრო დალაგება, — გაიფიქრა ტერესამ — საღამოს თავისუფალი ვიქნები“. იგი უკვე ლინსაში იყო, დაბალ-დაბალ, ძველი სახლების უბანში.

თავის სახლის კუთხესთან ვიღაცის ლანდი დაინახა ტერესამ. თალხი ფორმა ეცვა, თეთრი ქუდი ეხურა. გვერდით ტყავის ჩემოდანი ჩანდა. ისე გაშეშებული იდგა, როგორც მთავრობის სახლის წინ ყარაულები. ოღონდაც ისინი უფრო წარმოსადეგი ხალხია — მაღალი ჩექმები აცვიათ, ფოჩიანი ქუდები ხურავთ, გულმკერდი წინა აქვთ გამოგდებული, თავი კი ამაყად აწეული. ალბერტოს კი თავი ძირს ჩამოვარდნოდა, ბეჭებში მოხრილიყო, დაბეჩავებული ჩანდა. ტერესა ხელი დაუქნია, მან კი ვერც შეამჩნია. „ძალზე უხდება ფორმა, — გაიფიქრა ტერესამ, — როგორ უბრჭყვიალებს ღილები. საზღვაო ოფიცერსა ჰგავს“. რომ მიუახლოვდა, მაშინღა ასწია ალბერტომ თავი. ტერესამ გაუღიმა, ბიჭმა ხელი გაუწოდა. „ნეტა რა დაემართა?“ — გაიფიქრა გოგომ. ალბერტოს ვეღარ იცნობდი, თითქოს დაბერებულიყო, შუბლზე ღრმა ნაოჭი გასჩენოდა, თვალები ჩაცვივნოდა, ყვრიმალის ძვლებს ლამის გამოეტანებინა თხელ კანში. შეშლილივით აცეცებდა თვალებს. ტუჩები ჩატეტკოდა.

— შენ ახლა გამოგიშვეს? — ჰკითხა ტერესამ და თვალებში ჩახედა — მე კი საღამოს გელოდი.

— ალბერტოს არაფერი უთქვამს. გამოცარიელებული, დაღლილი თვალები მიაპყრო.

— გიხდება, იცი, ფორმა, — ჩაილაპარაკა ტერესამ.

— მე კი არ მომწონს, — თქვა ბიჭმა და ოდნავ გაიღიმა — შინ

მისვლისთანავე ვიხდი ხოლმე. დღეს კი შინ არ შემივლია — ალბერტო ძლივს ანძრევდა ტუჩებს, ხმაც უმეტყველო, ჩამქრალი ჰქონდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ტერესამ, — ავად ხომ არა ხარ, ალბერტო?

— არა, — ბიჭმა თვალი აარიდა — ავად არა ვარ. უბრალოდ, შინ არ წავედი. შენი ნახვა მომინდა — ბიჭმა შუბლზე გადაისვა ხელი. წამით ნაოჭი გასწორდა, მხოლოდ წამით — აღარ ვიცი, რა ვქნა.

— ტერესა მისკენ გადაიხარა, ნაზად შეხედა, იქნებ — მითხრას, რა დაემართაო. მაგრამ ბიჭმა ისევ მოკუმა პირი და ნელა მომუჭა ხელები. გოგო უცებ შიშმა აიტანა. რა ქნას ისეთი, რომ ალბერტოს ყველაფერი ათქმევინოს? რით გაამხნევოს? რას იფიქრებს ალბერტო? გოგოს გული აუძგერდა, ერთხანს შეიცადა და მერე ხელზე წაეტანა.

— წამოდი, ჩვენთან ისადილე, — უთხრა ეს.

— ვისადილო? — დაბნეულად გაიმეორა ბიჭმა და ისევ შუბლზე გადაისვა ხელი — არა, დეიდაშენი შეწუხდება, წავალ, აქ სადმე შევჭამ რამეს და მერე შემოგივლი.

— წამო, წამო, ნუ იპრანჭები, — აღარ მოეშვა ტერესა და მის ჩემოდანს წაეტანა — არავისაც არ შეაწუხებ — ალბერტო უკან მიჰყვა. კართან ტერესა შეჩერდა, ხელი გაუშვა და წასჩურჩულა: „ეგეთი დაღონებული აღარ მომწონხარ“. ბიჭს თითქოს სითბო ჩაუდგა თვალებში, პირისახე მადლიერმა ღიმილმა გაუშუქა. მერე სწრაფად აკოცეს ერთმანეთს. ტერესამ კარზე დააკაკუნა. დეიდამ უცებ ვერც იცნო ალბერტო, უნდოდ შეათვალიერა ბიჭი და მერე ანაზდად გაუნათდა თვალები, მსუქანი პირისახე ღიმილით გადაებადრა. ქალმა ხელი შეახოცა კაბის კალთას და ბიჭს გაუწოდა.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, სენიორ ალბერტო! — არატრატდა იგი, — რარიგ გვაამეთ. მობრძანდით, მობრძანდით, ძალიან

მიხარია თქვენი ნახვა. უცებ ვერც შეგიცანით. რა ლამაზი ფორმა გაცვიათ. ვიფიქრე, ვინ უნდა იყოს-მეთქი, ვერაფრით ვერ გამოვიცანი, თვალს ძალიან დამაკლდა. ცალკე სამზარეულოს კვამლი, ცალკე სიბერე. მობრძანდით, სენიორ ალბერტო, დიდად მეამა თქვენი ნახვა.

ტერესა შესვლისთანავე მოუტრიალდა დეიდას — ალბერტო დღეს ჩვენთან ისადილებს.

— ა? — დაფრთხა ქალი — რა თქვი?

— დღეს ჩვენთან ისადილებს-მეთქი, — გაუმეორა ტერესამ და თვალებით შეეხვეწა, ასე ნუ გაიკვირვებ, ჩქარა დათანხმდიო. მაგრამ ქალს გაოგნებისაგან ლამის თვალები გადმოუცვივდა, ქვედა ტუჩი ჩამოუვარდა, შუბლზე ნაოჭები დაესხა, მონუსხულივით იდგა. ბოლოს ძლივს გამოერკვა, უგერგილოდ გაიღიმა და ტერესას გადაულაპარაკა:

— ერთი წუთით აქ მოდი, — და სამზარეულოსკენ აქლემივით გააბოტა..

ტერესა მიჰყვა, ფარდა ჩამოაფარა და მყის ტუჩებზე მიიდო თითი. მაგრამ. დეიდა ისედაც დუმდა, მხოლოდ გააფთრებით შეჰყურებდა და ცხვირწინ მუშტებს უტრიალებდა.

— დეიდა, მეტისი ნისიად მოგცემს სამშაბათამდე. ჩუმად, არ გაიგონოს. მერე აგიხსნი ყველაფერს. ასე ვერ გავუშვებ. გული ნუ მოგივა. წადი, ვიცი, ნისიაზე უარს არ გეტყვის.

— ტუტუცო! — იკივლა დეიდამ და უმალ ხმას დაუწია, ტუჩზე მიიდო თითი — ლენჩო! — წაიჩურჩულა მან — სულ შეიშალე. სიკვდილი გინდა ჩემი? რამდენი წელია ნისიად აღარაფერი მოუცია. მისი ვალი გვაქვს, თვალით როგორ დავენახო.

— შეეხვეწე, რაღაც მოახერხე.

— ჩერჩეტო! — შეჰკივლა ისევ დეიდამ და მაშინვე დაუწია ხმას — აბა, რა გაგვაჩნია? მარტო წვნიანით გინდა გაუმასპინძლდე? პურიც არა გვაქვს.

— კარგი, დეიდა, თუ ჩემი ხათრი გაქვს, — თავისას გაიძახოდა ტერესა, — ღმერთი იწამე — გოგო უკან გატრიალდა, პასუხს აღარ დაუცადა. ალბერტო ისევ გაქვავებული იჯდა. ჩემოდანი ძირს დაედგა და კეპიც ზედ დაედო. ტერესა გვერდით მიუჯდა. რა ჭუჭყიანი თმა აქვს ალბერტოს, როგორ გაბუძგვნია. ფარდა გადაიწია, სიბრაზით აპილპილებულ პირისახეზე ნაძალადევი ღიმი გადაფენოდა დეიდას.

— ახლავე მოვბრუნდები, სენიორ ალბერტო, ამ წუთშივე. საქმე მაქვს, ცოტა ხნით უნდა დაგტოვოთ, — ქალმა რისხვით გადაუბრიალა თვალები ტერესას — შენ კი სამზარეულოში გადი, ქურას მიხედე, — უთხრა და კარი გაიჯახუნა.

— რა მოხდა იმ შაბათს? — ჰკითხა ტერესამ, — რად არ მოხვედი?

— არანა მოკვდა. სამშაბათს დავასაფლავეთ.

— არანა? კუთხის სახლში რომ ცხოვრობს? ის მოკვდა? ვერ დავიჯერებ. რიკარდო არანაზე ამბობ?

— სასწავლებლის ეკლესიაში აუგეს წესი, — წაილაპარაკა ალბერტომ გულგრილი, თითქოს დაღლილი ხმით; თვალები ისევ გაშტერებოდა — მშობლებს არ დაანებეს. წინა შაბათს სროლაში ვარჯიშის დროს თავში მოხვდა ტყვია....

— თუმცა მე კარგად.. — დაიწყო შეკრთომით. ტერესამ, როგორც კი ალბერტო დადუმდა, — თუმცა კარგად არც ვიცნობდი, მაინც ძალიან მეწყინა. რა საშინელებაა! — მან მხარზე დაადო ხელი ალბერტოს — მაშ, თქვენს რაზმეულში იყო? — ამიტომაც ხარ ეგრე შეწუხებული?

— ჰო, ამიტომაც, — ნელა წარმოთქვა ბიჭმა — ჩემი მეგობარი იყო. თანაც...

— მაგრამ ასე მაინც რამ შეგცვალა? კიდევ რაღაც მოხდა? — გოგო მივიდა და ლოყაზე აკოცა. ბიჭი არ განძრეულა. გოგო გაწითლდა და წელში გასწორდა.

— შენი აზრით, ეს არ კმარა? შენ გგონია, მისი სიკვდილი არაფერია?.. მე კი მისთვის არაფერი მითქვამს. იგი მეგობრად მთვლიდა... შენ გგონია, ეს არაფერია?

— ასე რატომ მელაპარაკები? — უთხრა ტერესამ, — განა გაწყენინე რამე? ან იქნებ ჩემზე გითხრეს რამე?

— მაშ, არაფრად გენაღვლება არანას სიკვდილი? — განაგრძო ალბერტომ და ხმას აუწია — მე არანაზე გელაპარაკები, სხვა რამეებზე რატომ ფიქრობ? შენ მარტო შენს თავზე ფიქრობ.. — ბიჭი შეჩერდა. მის ყვირილზე ტერესას ცრემლებით აევსო თვალები, ტუჩები აუკანკალდა — მაპატიე... მეც არ ვიცი, რას ვამბობ. შენი წყენა სულ არ მინდოდა. ამ დღეებში იმდენი რამ მოხდა, სულ დამაწყდა ძარღვები. ნუ ტირი, ტერესიტა, გენაცვალე.

— ალბერტომ ახლოს მიიზიდა გოგო. ტერესამ მხარზე დაადო თავი. ერთხანს ასე ისხდნენ. მერე ბიჭმა ლოყა, თვალები, ტუჩები დაუკოცნა.

— საწყალი, ძალიან მეცოდება, — წაილაპარაკა ტერესამ — მაგრამ ისეთი შეწუხებული იყავი, შემეშინდა, ჩემზე ხომ არაამეთქი გაბრაზებული. რომ მიყვირე, ისეთი სახე გქონდა, თავის დღეში არ მინახიხარ ეგეთი. რომ იცოდე, რა თვალებით შემომხედე!

— ტერესა, რაღაც უნდა გითხრა, — უთხრა ბიჭმა.

— რა? — გოგოს ლოყები აელანძა, თვალები გაუბრწყინდა — თქვი, ყველაფერი მინდა ვიცოდე.

ბიჭმა დამნაშავესავით გაიღიმა.

— ჰო, მითხარი, ალბერტო — მე ძალიან მიყვარხარ.

კარი გაიღო და ისინიც უმალ მოწყდნენ ერთმანეთს. ტყავის ჩემოდანი წაიქცა, ქუდი იატაკზე გაგორდა.. ბიჭი მის ასაღებად დაიხარა. დეიდა ფარისევლურად იღიმებოდა. ხელში შეხვეული ეკავა. ვინემ სუფრას გაშლიდნენ, ტერესა დეიდის ზურგს უკან ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა — ალბერტოს. მერე ილაპარაკეს

ამინდზე, მოახლოებულ ზაფხულზე, ფილმებზე. მხოლოდ სადილზე უთხრა ტერესამ დეიდას არანას სიკვდილის ამბავი. დეიდამ ხმამაღლა შეიცხადა, რამდენჯერმე გადაიწერა პირჯვარი, მშობლები შეიცოდა, მეტადრე საცოდავი დედა, თქვა, ნეტა ყოველთვის კარგ ოჯახებს რად აუბედურებს ღმერთი. წატირებაც დააპირა, მაგრამ აღარ წაიტირა და მხოლოდ ცხვირსახოცი. მოისვა თვალებზე. რამდენჯერმე დააცემინა. ნასადილევს ალბერტომ თქვა, უნდა წავიდეო. ტერესამ. ისევ გაუმეორა კართან — მართლა არა ხარ ჩემზე ნაწყენი? — ღმერთმანი, არა. შენზე რატომ უნდა ვიყო ნაწყენი? ოღონდაც მალე ვერ გნახავ. წერილი კი ყოველ კვირას მომწერე სასწავლებელში. მერე ყველაფერს აგიხსნი.

ბიჭი რომ წავიდა, მაშინღა აიტანა ეჭვმა. ტერესა. რად გააფრთხილა? ან ასე უეცრად რატომ წავიდა? და მაშინვე მიხვდა: „ალბათ სხვა უყვარს და სირცხვილით ვერ გამიმხილა, ჩვენთან რომ ისადილა, იმიტომ“.

„პირველად პერლოზე წავედით. კნაჭა იგერასმა მკითხა, რა გირჩევნია, ფეხით წავიდეთო თუ ავტობუსით. ლაპარაკ-ლაპარაკით გავყევით პროგრესის გამზირს, მაგრამ იმ საქმეზე, რაზეც მივდიოდით, კრინტი არ დაგვიძრავს. კნაჭას სულ არ ემჩნეოდა მღელვარება, პირიქით, ჩვეულებრივზე უფრო არხეინი იყო. ალბათ მე რომ გამამხნევოს-მეთქი, იმიტომ, ვიფიქრე. მე კი შიშით აღარ ვიყავი. კნაჭამ დამცხაო, სვიტრი გაიხადა. მე კი მციოდა, მთელი გზა მაკანკალებდა. რამდენჯერმე გავჩერდი კიდეც მოსაშარდად. კარიონის საავადმყოფოს რომ მივუახლოვდით და ვიღაცა გამოხტა ხეებიდან, ვიყვირე და განზე გავვარდი: „არიქა, კნაჭა, პოლიცია! ის კი თურმე ჩვენი კაცი ყოფილა, გუშინღამ კნაჭასთან ერთად იყო ბარში, კუშტად იმზირებოდა, ეტყობა, ისიც ღელავდა. კნაჭამ და მან თავის ენაზე გააბეს საუბარი, ბევრი რამ

ვერ გავიგე. შემდეგ ისევ გავაგრძელეთ გზა. „აქ უნდა შევუხვიოთ“, — გვითხრა კნაჭამ. ქუჩიდან გადავუხვიეთ და მინდორს გავყევით. ბნელოდა და მეც წარამარა ვბორძიკობდი. პალმას გამზირამდე მისული არ ვიყავით, კნაჭამ გვითხრა: „აქ შევისვენოთ და მოვილაპარაკოთ“. დავსხედით. კნაჭამ დამარიგა, რა უნდა გამეკეთებინა. მითხრა, სახლი ცარიელია, იქ ახლა არავინ არის, შენ სახურავზე აგაძვრენთ, იქიდან შუა ეზოში ჩახვალ და სახლში ერთი პატარა სარკმლიდან გადაძვრები. იმ სარკმელს შუშა არა აქვს. მერე ქუჩის მხარეს ერთ ფანჯარას გააღებ და ჩვენთან დაბრუნდები, აქ დაგვიცდიო. კნაჭამ ეს ყველაფერი რამდენჯერმე გამიმეორა, მეტადრე ის ამიხსნა წვრილად, სად იყო ის უშუშო სარკმელი. ეტყობა, კარგად იცნობდა იმ სახლს, ისე ამიწერა, სად რა იყო. მე კი უფრო ის მადარდებდა, რა მომელოდა, ვინემ რა უნდა გამეკეთებინა. „ნაღდად იცი, რომ სახლში არავინაა? ძაღლები რომ იყვნენ? რა ვქნა მაშინ, რომ ჩამავლონ?“ კნაჭამ დამამშვიდა და მერე იმ კაცს მიუბრუნდა: „აბა, გასწი, კულეპე“. ის ბულვარისკენ გაემართა და მალე თვალს მოეფარა. „გეშინია?“ — მკითხა მაშინ კნაჭამ. „კი, ცოტა მეშინია“, — ვუთხარი. „მეც მეშინია, — მითხრა, — ჩვენ ყველას გვეშინია“. ამ დროს სტვენა გაისმა. კნაჭა წამოდგა: „წავიდეთ. მაშასადამე, ახლომახლო არავინ ყოფილა“. ამაკანკალა და შევეხვეწე: „კნაჭა, მოდი, მე ისევ ბელიავისტაზე დავბრუნდები“. „ნუ სულელობ, ნახევარ საათში ყველაფერს მოვაკვარახჭინებთ“, — მითხრა. ბულვარზე რომ მივედი, იქ ისევ კულეპე დაგვხვდა. „ისეთი სიჩუმეა ირგვლივ, როგორც სასაფლაოზე. კატებიც კი არ ჩანან“, — თქვა. სასახლესავით ვეება შენობა იყო, ჩაბნელებული, ირგვლივ შემოვუარეთ. კნაჭა იგერასმა და კულეპემ ხელი შემაშველეს და სახურავზე ამაძვრინეს. შიში უკვე გამიქრა. ოღონდაც მინდოდა ჩქარა მომეთავებინა ყველაფერი. გადავცოცდი სახურავის მეორე მხარეზე და ეზოში ხე დავინახე.

კნაჭამ სწორად ამიწერა — ის ხე სულ ახლოს იდგა კედელთან. უხმაუროდ ჩამოვსრიალდი ხეზე, ხელიც კი არსად გამიკაწრავს. ძალიან პატარა სარკმელი იყო. შემეშინდა, როცა ვნახე, შიგნიდან თურმე რკინის ბადე ჰქონდა აფარებული. „მომატყუა-მეთქი“, — ვიფიქრე, მაგრამ არა, ბადე ჟანგს შეეჭამა, ხელის მიკარებისთანავე დაიფშვნა. ძლივს გავძვერი შიგნით, ზურგი და ფეხები სულ დავიკაწრე. სახლში სიბნელე იყო, ვერაფერს ვეღარ ვხედავდი. ხან კედელს ვეტაკებოდი თავით და ხან ავეჯს. რომელ ოთახშიც არ შევედი, უკუნეთი სიბნელე იდგა და არც ფანჯრები ჩანდა. ღელვამ ამიტანა, სულ ამერია თავგზა. დრო კი მიდის. ფანჯრებს ვერა და ვერ მივაგენი, უცბად მაგიდას დავეჯახე, რომელიღაც ლარნაკი გადმოვაყირავე და ისიც ლაწანით დაიმსხვრა იატაკზე. კინაღამ არ ვიტირე. ანაზდად შუქის წვრილ ზოლს მოვკარი თვალი. თურმე ფანჯრებს სქელი ფარდები ეფარა და იმიტომაც ვერ ვხედავდი. გავიხედე ჭუჭრუტანაში — აგერ ბულვარი, მაგრამ კნაჭა და კულეპე ვერ დავინახე და შიშით ლამის გული გამისკდა. „ალბათ პოლიცია დაადგა თავზე და ისინიც გაიქცნენ, მე მარტო დამტოვეს-მეთქი“, ვიფიქრე. გავიხედე კიდევ, არა, არ ჩანან. უცებ ჩემთვის ყველაფერი სულ ერთი გახდა. „ჯანდაბას მაგათი თავი, — ვიფიქრე, — მე მაინც უწლოვანი ვარ, დიდი-დიდი კოლონიაში მიკრან თავი“. გავაღე ფანჯარა და ქუჩაში გადავხტი. გადავხტი და კნაჭას ხმა გავიგონე: „ყოჩაღად, ბიჭო. ახლა აქ ბალახზე დაჯე, არ გაინძრე“. ქუჩა სირბილით გადავჭერი და ბალახებში ჩავიმალე. სულ ის მიტრიალებდა თავში, რა უნდა ვქნა, პოლიციის მეძებრები რომ გამოჩნდნენ-მეთქი. შიგადაშიგ მავიწყდებოდა, სად ვიყავი, ასე მეგონა, სიზმარში ვარ-მეთქი. თვალწინ ტერესას სახე დამიდგა, საოცრად მომინდა მისი ნახვა და მასთან ლაპარაკი. ისე წამიღო ოცნებებმა, ვერც შევამჩნიე კნაჭასა და კულეპეს დაბრუნება. მინდვრებით წამოვედით უკან. კნაჭას იმ

სახლიდან ბევრი რაღაცეები წამოეღო. საავადმყოფოს პირდა-პირ ხეების ძირას შევჩერდით. კნაჭამ და კულეპემ ყველაფერი შეკრეს, რამდენიმე შეხვეული გამოვიდა. ვინემ ქალაქში შევი-დოდით, კულეპემ მითხრა: „გამოცდა ზორბად ჩააბარე, მეგობა-რო“. კნაჭამ კი რამდენიმე შეხვეული მომცა, შენთან შემინახეო. მერე დავიფერთხეთ შარვლები, წაღები გავიწმინდეთ და არხეი-ნად გავსწიეთ მოედნისაკენ. კნაჭა ანეკდოტებს მიამბობდა გზა-ში, მე კი სიცილით ვკვდებოდი. შინამდე მიმაცილა და მითხრა: „შენ ნაღდი ამხანაგი ყოფილხარ. ხვალ გნახავ და შენს წილსაც მოგცემ“. ვუთხარი, ფული ახლა მჭირდება-მეთქი, თუნდაც ცოტა. ათი სოლი მომცა: „ჯერ ეს გქონდეს, ხვალ კი მთლიანად გაგის-წორდები, თუკი დღესვე გავასაღეთ ყველაფერი“. თავის დღეში ამდენი ფული არა მქონია. თავს ვიმტვრევდი, ათი სოლით რა ვი-ყიდო-მეთქი. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე. ვი-ცოდი მხოლოდ, რომ ხუთი რეალი ხვალ გზაში დამეხარჯებოდა. ჰოდა, გადავწყვიტე, ტერეს ვუყიდი-მეთქი რამეს. ბევრი ვიფიქ-რე, რა მეყიდა, ხან რვეულები გადავწყვიტე, ხან ცარცი, ხან კან-ფეტები. ისიც კი გავივლე გულში, მოდი, იადონს ვიყიდი-მეთქი. მეორე დღეს, სკოლიდან რომ წამოვედი, კიდევ არ მქონდა მო-ფიქრებული. აი, მაშინ გამახსენდა ერთბაშად, მეფუნთუშეს რომ სთხოვა, კომიკსი მათხოვეთო წასაკითხად. მივედი გაზეთების კიოსკთან და სამი კომიკსი ვიყიდე: ორი სათავგადასავლო და ერთიც სიყვარულზე. ძალიან კმაყოფილმა ვიმგზავრე ტრამვაით, რა არ მომდიოდა თავში. როგორც ყოველთვის, ახლაც ალფონ-სო უგარტეზე მაღაზიასთან დავუცადე. რომ დავინახე, მივედი და ხელი ჩამოვართვი. ჯერ სკოლაზე ველაპარაკე. ის კი სულ კომიკ-სებს უყურებდა მალულად, იღლიაში რომ მქონდა ამოჩრილი. ბოლოგნესის მოედანი რომ გადავჭერით, მაშინღა მკითხა: „ეგ შენი კომიკსებია? რა კარგია!.. ხომ მათხოვებ, როცა წაიკითხავ“? „ესენი შენ გიყიდე-მეთქი“, — ვუთხარი.

„არა, მართლა?“ — მკითხა. „რა თქმა უნდა. აჰა. წაიღე“. დიდი მადლობა მითხრა და მაშინვე ფურცვლა დაუწყო. შევამჩნიე, სასიყვარულო კომიკსზე ყველაზე მეტად დარჩა თვალი. ვიფიქრე, სამივე ასეთი უნდა მეყიდა, როგორც ჩანს, სათავგადასავლო ნაკლებ მოსწონს-მეთქი. არიკას გამზირზე მითხრა: „წავიკითხავ და შენ მოგცემ“. „კარგი-მეთქი“, — ვუთხარი. ერთხანს ჩუმად მივდიოდით. უცებ მითხრა: „რა კეთილი ხარ“. გამეცინა, „რას ამბობ-მეთქი“, — ვუთხარი.

„უნდა მეამბნა ყველაფერი, იქნებ ერჩია რამე, უნდა მეკითხა: „როგორ გგონია, ტყუილად ხომ არ ვჩალიჩობ, ხომ მევე მომხვდება ამისთვის?“ არა, მე არ ვცდები. თუმცა არ ვცდები კია? მე ვერ მომატყუებ, მე დაგინახე, რა სახეც გქონდა, ძაღლო შენა, ვფიცავარ, ძვირად დაგისვამ, არ შეგარჩენ. და მაინც არ ვიცი, სწორად ვიქცევი თუ არა...“ ალბერტო უცებ მოეგო გონს. გაუკვირდა, ეს დიდი მინდორი რომ დაინახა, სადაც ლეონსიო პრადოს კადეტები 28 ივლისის აღლუმისათვის დაეწყობოდნენ ხოლმე. ნეტა რამ მოიყვანა აქ? მინდორზე არავინ ჭაჭანებს. სიგრილე, მსუბუქი სიო, დაისის მკრთალი ნათელი, — ყველაფერი სასწავლებელს აგონებს. ბიჭმა საათს დახედა: უკვე სამი საათია ქალაქში დაბორიალობს — თვითონაც არ იცის, საით მიეხეტება. „იქნებ შინ წავიდე, დავწვე, ექიმი გამოვიძახო, ძილის წამალი დავლიო და მთელი თვე ვიძინო. ძილში დავივიწყო ყველაფერი — ჩემი სახელი, ტერესა, სასწავლებელი. თუნდაც მთელი სიცოცხლე ვიავადმყოფო, ოღონდ კი აღარაფერი გავიხსენო“. ალბერტო უკან გაბრუნდა. ხორხე ჩავესას ძეგლთან დადგა. სიბნელეში პატარა სამკუთხედი და თითქოს ფისიდან გამოძერწილი ფრთიანი ქანდაკებები ჩანან. მანქანების ნაკადმა გაჭედა ქუჩა და ალბერტო სხვებთან ერთად იცდის კუთხეში. მანქანები რომ გაქვავდნენ და ხალხი ჯგრო-ჯგროდ გადავიდა ქუჩის მეორე მხარეს აქეთ-იქით

კედელივით ჩარიგებულ მანქანათა რადიატორების წინ, ბიჭს ფეხი არ მოუცვლია, იდგა და უაზროდ მისჩერებოდა შუქნიშნის წითელ ნათურას. „ყველაფერი რომ ხელახლა დაიწყოს, სულ სხვანაირად მოვიქცეოდი. იმ ღამეს, მაგალითად, მხოლოდ ამას ვკითხავდი, იაგუარი სად არის-მეთქი, მეტყოდა არ არისო, და მორჩებოდა საქმე. აი, დარდი, ქურთუკი თუ მოპარეს, თავში ქვა ეხალა. ახლა არხეინად ვიჯდებოდი ჩემთვის და დედაჩემის წუწუნს მოვისმენდი: „ალბერტო, მამაშენი დღედაღამ კახპებთან დაეთრევა“. ახლა კი დგას აგერ 28 ივლისის გამზირზე და ექსპრესს ელის. უკან დარჩა ბარი. იმ ბარში მხოლოდ წუთით შეიხედა, მაგრამ ყურში ახლაც ესმის ის ღრიანცელი, ხედავს კარიდან გამოჭრილ ჩახჩახა სინათლესა და ოხშივარს; აი, ჩამოდგა ექსპრესი. ხალხი შევიდა. „თქვენ ყმაწვილო?“ — ჰკითხა კონდუქტორმა. ალბერტო გულგრილად უყურებს. კონდუქტორმა მხრები აიჩეჩა და კარი მიკეტა. ბიჭი გატრიალდა და უკვე მესამედ ჩაუარა ბულვარს, ბარს გაუსწორდა და შიგ შევიდა. ყაყანმა ლამის დააყრუა, ჩახჩახა შუქმა თვალი მოსჭრა და თვალები აახამხამა. პირდაპირ დახლს მიაშურა. დარბაზი თამბაქოს კვამლით იყო სავსე, არყის სუნით ყარდა. ტელეფონის წიგნი მოითხოვა, „ალბათ მატლები დაესია უკვე, ჯერ თვალებიდან დაიწყეს, თვალი ხომ რბილია. კისერზე ჩააცოცდნენ, ცხვირი, ყურები მოაჭამეს, ფრჩხილებში შეძვრნენ, ხორცს თქვლეფენ, გახურებული ქეიფი აქვთ. მანამ უნდა დავრეკო, ვინემ მატლებს არ გაუჩაღებიათ ქეიფი, ვინემ არ დაუსაფლავებიათ, ვინემ არ მომკვდარა...“ ხმაური აზრს უბნევს, ხელს უშლის წიგნაკში ის გვარი მოძებნოს, რომელიც სჭირდება, აი, მონახა, როგორც იქნა, სწრაფად ჩამოხსნა ყურმილი, მაგრამ ხელი უღონოდ ჩამოეკიდა დისკთან სულ რამდენიმე მილიმეტრზე, ყურებში საშინელი შხუილი უდგას. ერთი მეტრის მოშორებით, დახლის მიღმა მაჯებდაჭმუჭნილი თეთრი

კიტელი მოჩანს. აკრიფა ნომერი და იცდის. სიჩუმეა, მიყრუებული ხმაური ისმის. ირგვლივ მიმოიხედა. დარბაზის ერთ კუთხეში ვიღაცა ქალის სადღეგრძელოს სვამს. სხვები ბანს აძლევენ, ქალის სახელს იმეორებენ, ტელეფონის ზარი კი რეკავს და რეკავს. „გისმენთ“, — ისმის ყურმილში. ბიჭს ხმა ჩაუვარდა, კისერში რაღაცამ წაუჭირა. თეთრი ლაქა ამოძრავდა. მოახლოვდა. „თუ შეიძლება, ლეიტენანტ გამბოას სთხოვეთ“, — ამბობს ალბერტო. „ამერიკული ვისკი დიდი მურდალი რამეა, — ამბობს თეთრი ლაქა, — ინგლისური კი, გიყვარდეს, ისეთია“. „მოითმინეთ, — ამბობს ხმა, — ახლავე დავუძახებ“. ზურგს უკან ვიღაცა სადღეგრძელოს ამბობს: „იმას ლეტისია ჰქვია და სულაც არ მრცხვენია ვაღიარო, რომ მიყვარს იგი, ბიჭებო. ქორწინება ხუმრობა არაა, ბიჭებო, მაგრამ მე მიყვარს მეტისი ქალი და ცოლად უნდა ვითხოვო“. „ვისკი, — იძახის სმა, — Scotch-ი კარგი ვისკია. სულ ერთია, გინდ შოტლანდიური, გინდ ინგლისური. ოღონდაც ამერიკული არა. ან ინგლისური ან შოტლანდიური“. „ალო?“ — გაისმა ტელეფონში. ბიჭი შეკრთა და ყურმილი ოდნავ გასწია. „ალო, — ამბობს ლეიტენანტი გამბოა, — ვინ ლაპარაკობს?“ „დროს ტარება მორჩა, ბიჭებო. დღეიდან მე დარბაისელი კაცი ვარ. ახლა სამპირი ტყავი უნდა გავიძრო — შინ მეტი ფული მივიტანო, ჩემი მზეთუნახავი გავახარო“. „ლეიტენანტი გამბოა ბრძანდებით“? — კითხულობს ალბერტო. „მონტესიერეს არაყი მურდალი რამეა, — ამტკიცებს თეთრი ლაქა, — მოტოკატისა კი, გიყვარდეს, ისეთია“. „დიახ, მე ვარ, ვინ მელაპარაკება?“ — „კადეტი, — ეუბნება ალბერტო, — მეხუთეკურსელი კადეტი“. „აბა, ჩემი ლამაზი მეტისი გოგოსი და ჩემი მეგობრების სადღეგრძელო იყოს“. „რა მოხდა, კადეტო?“ — „ქვეყნად ყველაზე კარგი არაყი, — ირწმუნება თეთრი ლაქა და მერე ასწორებს ნათქვამს, — ერთ-ერთი საუკეთესო არაყი მოტოკატის არაყია, სენიორ“. „თქვენი სახელი?“ — ეკითხება გამ-

ბოა. „მე ათი შვილი მეყოლება, ათივე ბიჭი და ათივეს ჩემი მეგობრების სახელს დავარქმევ. არც ერთს ჩემს სახელს არ მივცემ, მხოლოდ თქვენსას დავარქმევ, ბიჭებო“. „არანას განზრახ ესროლეს ტყვია, — ეუბნება ალბერტო — ისიც ვიცი, ვინ ესროლა, შეიძლება თქვენთან მოვიდე?“ — „თქვენი სახელი?“ — ეკითხება ისევ გამბოა. „სპილოს მოკვლა თუ გინდათ, მოტოკატის არაყი დაალევინეთ“. „კადეტი ალბერტო ფერნანდესი გახლავართ, სენიორ ლეიტენანტო, პირველი რაზმეული, შემიძლია მოვიდე?“ „ახლავე მოდით, — ამბობს გამბოა, — ბოლოგნესის ქუჩა, 327. ბარანკოში“. ალბერტომ ყურმილი დაკიდა.

„ყველანი შეიცვალნენ. ალბათ მეც შევიცვალე, ოღონდაც ჩემს თავს ვერ ვატყობ. იაგუარი ხომ უბედურად შეიცვალა და შეიცვალა. დაბოღმილი დადის, სიტყვა ვერ გითქვამს, მიხვალ, შეეკითხები — პაპიროსს სთხოვ თუ, ვთქვათ, სხვა რაღაცას — ბოროტად გაიღმიჭება, გეგონება, საცაა მუშტებით გეცემა. ძლივს დააშოშმინებ. „რა მოგდის, იაგუარ, რას ბრაზობ, მე რა გითხარი ისეთი, რა სულ ჩხუბზე ხარ?“ მაგრამ რაც გინდა უთხარი, ხელები მაინც ეფხანება, ამ დღეებში რამდენიმეს კიდეც კარგად მოხვდა. მარტო ბიჭებთან კი არა, მე და ქოჩორასთანაც ასეა. მიკვირს, ჩვენთან რა უნდა — ჩვენ ხომ წრის წევრები ვართ. თუმცა ვიცი, რამაც შესცვალა ასე, კავაა ამის მიზეზი. ან რაა გასაკვირი.. ძალიანაც რომ იფაციფუცოს, ყველაფერი ფეხებზე მკიდიაო, მაინც აშკარაა: მას აქეთ, რაც კავა გააგდეს, სულ გამოიცვალა. თავის დღეში არ შემიმჩნევია ასეთი. გაცოფება. მთელი სახე მოეღრიცება, დედას იგინება, იმუქრება: „ყველას დავბეგვავ, გავსრისავ, ღამით ოფიცერთა კორპუსს გადავწვავ, პოლკოვნიკს გამოვფუშავ, ნაწლავებს კისერზე დავკიდებ“. მგონი, ერთი წელია მას აქეთ, რაც ჩვენ სამნი უკანასკნელად შევგროვდით. სწორედ მა-

შინ, კავა რომ კარცერში დაამწყვდიეს. ვბჭობდით და ვარკვევ-
დით, ვინა ქნა და ვინ გათქვა კავა. სადაური სამართალია, კავა იქ
თხებს აძოვებდეს — მისთანა შავ დღეში იყოს, გამცემი კი არხეი-
ნად დასეირნობდეს და მხართეძოზე გორაობდეს. თუმცა ამის
გარკვევა ძნელი იქნება-მეთქი, ვფიქრობდი. ვინძლო ოფიცრებ-
მა ფული მისცეს, მოისყიდეს. იაგუარი იძახდა: „ორი საათი დრო
მინდა, ყველაფერი გავიგო. ორი კი არადა, ერთ საათშიც აღმო-
ვაჩენ, სუნით მივაგნებ, ვინც გასცა“. კი, აბა! სუნით ველურს თუ
მიაგნებ, თორემ არამზადასა და ოხერს, გიყვარდეს, თავის მოკა-
ტუნება შეუძლია. მაგრამ ამაზე თუა გაცოფებული, ჩვენთან რა
უნდა, ჩვენ რა შუაში ვართ, — ჩვენ ხომ მუდამაც მის მხარეზე ვი-
ყავით. ვერ გამიგია, ყველას რატომ გადაგვიდგა. მიუახლოვდები
თუ არა, უკვე ბალანი ეშლება, თითქოს საცაა დაგეძგერება და
დაგკბენსო. მართლაც კაი სახელი შეარქვეს, უკეთესი არ შეიძ-
ლება. სათოფედაც აღარ გავეკარები, არ იფიქროს, ძალად ვეკ-
ვეხები: მე მაგასთან მეგობრულად მინდოდა მელაპარაკა. გუშინ
კინაღამ არ დავბდღვენით ერთმანეთი, მეც არ ვიცი, როგორ შე-
ვიკავე თავი. ისე კი ახი იყო შემენჯღრია, გონზე მომეყვანა, ეგ მე
ყურებზე ხახვსაც ვერ დამაჭრის. კაპიტანმა სააქტო დარბაზში
შეგვყარა და მათხოვარაზე მოჰყვა ლაქლაქს: ჯარში შეცდომა
ძვირად უჯდება კაცს, ეს კარგად დაიხსომეთ. ეს ჯარია და არა ზო-
ოპარკი, ომი რომ იყოს, ასეთი რამ სამშობლოს ღალატად ჩაით-
ვლებოდაო. დალახვროს ეშმაკმა, მოდი და ნუ გაგიწყდება მოთ-
მინება, როცა ზიხარ და მკვდრის ძაგებას ისმენ. შენთვის უნდა
მოეკერებინათ ტყვია, შე არამზადა პირანია, ახი იქნებოდა შენზე.
სხვებსაც შევატყვე, გულზე რომ გასკდნენ, იმიტომაც ვუთხარი
იაგუარს: „მკვდრის გინება ვის გაუგია, უნდა მოვაკეტინოთ-მეთ-
ქი კაპიტანს“. მან კი შემომიტია: „ხმა ჩაიწყვიტე, ყეყეჩო, როცა
არ გეკითხებიან. კიდევ დაგცდენია კრინტი — ვაი შენი ბრალი“.

არა, ნაღდში ვერაა კარგად, თორემ კარგად მყოფი ამას არ იზამს, აურია ალბათ და იმიტომაც არახუნებს რაღაცას. ხომ არ გგონია, ძალიან მეხატები გულზე, იაგუარ, და გასართობად დაგდევ უკან. ეს აურზაური რომ დამთავრდება, ვეღარც მნახავ. სასწავლებლიდან რომ წავალ, კაციშვილს აღარ გავეკარები — მარტო წკავწკავას წავიყვან და წავალ“.

ბარანკოს წყნარ ქუჩებში მიაბიჯებს ალბერტო. ძველი, ფერგადასული სახლები პატარა ბაღებში ჩაფლულა. მაღალ ხეებს დაფოთლილი ჩრდილები დაუფენია სახლის კედლებზე. დროდადრო თუ გაიგრიხინებს ხალხით გაჭედილი ტრამვაი. ფანჯრებიდან მოწყენით იმზირება ხალხი. „ყველაფერი უნდა მეამბნა ტერესასთვის, ასე და ასე იყო-მეთქი: იმას შენ უყვარდი, მამაჩემი დღედაღამ კახპებთან გდია, დედა ჩუმად იტანჯება, ლოცულობს, იეზუიტთან დადის. მდიდარა და ციცქნა ...—თან იფხანენ ენას, ...—ის სასტუმროში უსმენენ მუსიკას, ...—თან ცეკვავენ. დეიდაშენი შამფურზე წამოცმულივით ტრიალებს, სადილიც არა გაქვთ, იმას კი მატლები ჭამენ, იმიტომ რომ შენი ნახვა უნდოდა, ხოლო მამამ არ გამოუშვა. შენი აზრით, ეს ცოტაა?“ ტრამვაი „წყნარ გუბურასთან“ გაჩერდა და ალბერტოც ჩამოვიდა. ხეების პირას, ბალახზე წყვილებსა და ოჯახებს მოეკალათებინათ, ღამის სიგრილით ტკბებიან, კოღოები გუნდ-გუნდად მისდევენ წავებს. ალბერტომ გაიარა პარკი, სპორტული მოედანი; ხეივანში, ფარნის შუქზე საქანელა და ღერძი ჩანდა; ორძელი, სასრიალო გორაკი, ტრაპეცია და ეშმაკის ბორბალი ჩრდილში მიმალულიყო. ბიჭმა განათებული მოედანი გადაჭრა და სანაპიროსკენ გაუსვია, მაღალი თეთრი შენობის უკან რომ ჩანდა და ფარნის შუქი ირიბად ანათებდა. სანაპიროს მოაჯირიდან ქვემოთ ჩაიხედა: აქ ზღვა ტბასავით მშვიდად ლივლივებდა, პერლიზე კი ღამღამობით ავად ღმუ-

ოდა და ღრინავდა. „შენც დამნაშავე ხარ. მე რომ გითხარი, მოკვდა-მეთქი, არ იტირე და არ შეიცოდე. შენი ბრალიცაა. მე რომ შენთვის მეთქვა, იაგუარმა მოჰკლა-მეთქი, მკითხავდა: „ნუთუ ნამდვილმა იაგუარმა? საწყალი!“ — და არც მაშინ იტირებდი. ის კი შენზე იყო შეშლილი, შენი ბრალია, შენ მხოლოდ ის გაწუხებდა, მე რატომ ისე არ გიყურებდი. ხომ კახპაა ოქროსფეხუცინები, მაინც შენზე შემბრალეა“..

აგერ ძველი ორსართულიანი სახლი, აივნები ცარიელ ბაღს გადაჰყურებს. სწორი გზა დაჟანგულ გალავანს სადარბაზოსთან აერთებს. ძველებურ კარს გაცვეთილი ჩუქურთმები ამშვენებს, იეროგლიფებს რომ ჩამოგავს. ალბერტომ მუშტით დააბრახუნა და რამდენიმე წამს შეიცადა. მერე ზარი შეამჩნია, თითი დააჭირა და მაშინვე მოაშორა. ნაბიჯების ხმის გაგონებაზე წელში გასწორდა.

— შემოდით, — და გამბოამ გზა დაუთმო.

კარი მიიკეტა. გამბოა გრძელ, ჩაბნელებულ დერეფანს გაჰყვა, ალბერტომ ფეხის წვერებზე მისდია უკან, ისე ახლოს კი, გამბოა რომ გაჩერებულიყო, ალბათ დაეტაკებოდა. მაგრამ გამბოა არ გაჩერებულა. დერეფნის ბოლოს კარი გააღო და ოთახში შევიდა. ალბერტო დერეფანში დარჩა, ვინემ გამბოამ შუქი არ აანთო. შემდეგ ალბერტო შევიდა. სასტუმრო ოთახი იყო. მწვანე კედლებზე ოქროსჩარჩოიანი სურათები ეკიდა. ვიღაც ქილვაშებიანი კაცი, ძველებურ ყაიდაზე შეკრეჭილი წვერით და აბზეკილი ულვაშებით, დაჟინებით მოჩერებოდა ალბერტოს გაყვითლებული ფოტოსურათიდან.

— დაბრძანდით, უთხრა გამბოამ და სავარძელზე მიუთითა.

თითქოს სიზმარშიაო, ისე დაეშვა ალბერტო რბილ სავარძელში. მაშინღა შეამჩნია, ქუდი რომ არ მოუხდია. უმალ გადაიძრო და ლუღლუღით მოიბოდიშა. მაგრამ გამბოას არც გაუგონია,

ზურგით იდგა მისკენ. აი, დახურა კარი, მოტრიალდა და წინ დაუჯდა ფეხებმოჩუქურთმებულ სკამზე.

— ალბერტო ფერნანდესი, არა? — გამბოამ თვალი თვალში გაუყარა — პირველი რაზმეულიდან?

— დიახ, სენიორ ლეიტენანტო, — ალბერტო გადმოიხარა და სავარძლის ზამბარებმაც ნელი ჭრიალი გაიღო.

— ჰოო, — წაილაპარაკა გამბოამ, — აბა გისმენთ. ალბერტო ხალიჩას დაჩერებოდა, იქ ცისფერი და მოყვითალო წრეები ერთმანეთს ჩახლართვოდა. სწრაფად გადაითვალა: თორმეტი ყოფილა, შუაგულში კიდევ ერთი პატარა წრეა. ზემოთ აიხედა. ლეიტენანტის უკან კამოდი იდგა, მარმარილოთი მოპირკეთებული, უჯრებს რკინის სახელურები ჰქონდა.

— აბა, გისმენთ, კადეტო, — გაიმეორა გამბოამ.

ალბერტო ისევ ხალიჩას დააჩერდა.

— კადეტი არანა შემთხვევით არ მომკვდარა, იგი მოკლეს, სენიორ ლეიტენანტო, ეს შურისძიება იყო — თქვა და ლეიტენანტს ახედა. გამბოა არ შეტოკებულა, მშვიდად იჯდა. არც გაკვირვება დასტყობია, არც ცნობისმოყვარეობა, არც არაფერს ჩაჰკითხვია. ხელები მუხლებზე დაეწყო, ფეხები ოდნავ განზე გაედგა. ლეიტენანტის სკამს ლომის თათები ჰქონდა.

— იგი მოჰკლეს, წრის ბიჭებმა მოჰკლეს, იმიტომ რომ სძულდათ. ცუდი არავისთვის გაუკეთებია და მაინც მთელ რაზმეულს სძულდა. სძულდათ იმიტომ, რომ სხვებივით არ მატრაბაზობდა, ჩხუბი არ უყვარდა. გასაქანს არ აძლევდნენ, გაუთავებლად დასცინოდნენ, ბოლოს კი მოჰკლეს.

— დაწყნარდით და დალაგებით მოჰყევით, — თქვა გამბოამ, — ნუ გეშინიათ, თქვით ყველაფერი.

— დიახ, სენიორ ლეიტენანტო, ოფიცრებმა არ იციან, რა ხდება ბარაკებში. ყველა არანას წინააღმდეგი იყო, ისე უწყობდნენ საქმეს, რომ დაესაჯათ, ერთი წუთით არ ასვენებდნენ. ეს ყველაფერი

წრის ბრალი იყო, სენიორ ლეიტენანტო — ერთი წუთით, — გააწ-ყვეტინა გამბოამ. ალბერტომ თავი ასწია. ლეიტენანტი წინ გად-მოიხარა და ნიკაპით ხელზე დაეყრდნო — თქვენ გინდათ თქვათ, რომ თქვენი რაზმეულის ერთ-ერთმა კადეტმა განზრახ ესროლა კადეტ არანას? ამის თქმა გინდათ?

— დიახ, სენიორ ლეიტენანტო.

— ვინემ იმ კადეტის ვინაობას მეტყოდეთ, — დინჯად, ხაზგას-მით განაგრძო გამბოამ, — მე მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ასეთი ბრალდება სახუმარო ამბავი არ არის. იმედი მაქვს, იცით, რა შე-დეგი მოჰყვება ამას. იმედი მაქვს, დარწმუნებული რომ არ იყოთ, არც იტყოდით. გესმით ჩემი?

— დიახ, სენიორ ლეიტენანტო. მე ვიფიქრე ამაზე. აქამდე მეში-ნოდა და იმიტომ არ გითხარით. ახლა აღარ მეშინია. — მან პირი გააღო, მაგრამ აღარ გააგრძელა.

გამბოა დინჯად, თავდაჯერებით უყურებს. წამით თითქოს მო-ულბა გოროზი ნაკვთები, შავგვრემანი სახე გაუნათდა. ალბერ-ტომ თვალები დახუჭა. წინ დაუდგა მათხოვარას მიტკლისფერი სახე, დაფეთებული თვალები, უძლური პირი, მერე თვალები გა-აღო და ლეიტენანტი დაინახა. გაახსენდა მწვანე შუქი, ლამა, სამ-ლოცველო, ცარიელი საწოლი.

— დიახ, სენიორ ლეიტენანტო, პირდაპირ გეტყვით. იგი ია-გუარმა მოჰკლა, მოჰკლა იმიტომ, რომ კავას გამო ეძია შური..

— როგორა თქვით? — გამბოამ ხელი ჩამოუშვა და უკვე ცნო-ბისმოყვარეობით შეაცქერდა ბიჭს.

— ყველაფერი იმ დღიდან დაიწყო, როცა ყველანი ჩამტვრეუ-ლი ფანჯრისთვის უსაშვოდ დაგვტოვეს. არანასთვის ეს ყველაზე დიდი სასჯელი იყო, უფრო საშინელი, ვინემ სხვებისთვის. იგი მთელი ნახევარი თვე არ გასულა სასწავლებლიდან. ჯერ იყო და ქურთუკი მოპარეს. მერე მე მიკარნახა ქიმიის გაკვეთილზე და

ამაზეც დასაჯეთ. კინაღამ გაგიჟდა, არადა უთუოდ უნდა წასულიყო ქალაქში — ხომ გესმით, სენიორ ლეიტენანტო?

— არა არ მესმის, — თქვა გამბოამ, — ვერაფერი გავიგე.

— იგი შეყვარებული იყო, სენიორ ლეიტენანტო. ერთი გოგო მოსწონდა. მათხოვარას მეგობარი არ ჰყავდა — ახლოს არავინ იკარებდა. ყველა მას ამცირებდა. იმას კი. წასვლა უნდოდა, ის გოგო რომ ენახა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ დასცინოდნენ, რა დღეში ჰყავდათ, ყველაფერს ჰპარავდნენ, სიგარეტებს ართმევდნენ.

— სიგარეტებს? — თქვა გამბოამ.

— სასწავლებელში ყველა ეწევა, — ცხარედ განაგრძობდა ალბერტო, — დღეში ერთ დასტას მაინც, ხან მეტსაც. ოფიცრებმა არ იციან, იქ რაები ხდება. ყველა მათხოვარას იბრიყვებდა, მეც ვიბრიყვებდი. მერე კი დავუმეგობრდი, ჩემს მეტი მეგობარი არ ჰყავდა. ყველაფერს მე მიამბობდა. დევნიდნენ. იმიტომ, რომ ცემატყეპა და ჩხუბი არ შეეძლო. ეს მხოლოდ დაცინვა არ იყო, სენიორ ლეიტენანტო. როცა ეძინა, თავზე აფსამდნენ, ფორმის ტანსაცმელს უჭრიდნენ, იმიტომ რომ მერმე დაესაჯათ, თეფშში უფურთხებდნენ, თუ პირველი დადგებოდა მწყობრში, პანღურით აგდებდნენ.

— ვინ აკეთებდა ამას?

— ყველა, სენიორ ლეიტენანტო.

— მშვიდად ილაპარაკეთ, კადეტო, მიყოლებით მოჰყევით.

— ის ძალიან თვინიერი იყო, — გააწყვეტინა ალბერტომ, — ძალიან იტანჯებოდა, უსაშვოდ რომ დატოვეს. შეშლილივით იყო, მთელი თვე ქალაქში არ გასულა. არც გოგო სწერდა წერილებს. მეც ცუდად მოვექეცი, სენიორ ლეიტენანტო, ძალიან ცუდად. — ნუ ჩქარობთ, კადეტო, დამშვიდდით, ნუ ღელავთ.

— დიახ, სენიორ ლეიტენანტო. გახსოვთ, მან რომ მიკარნახა და თქვენ დასაჯეთ. იმ დღეს ის გოგო უნდა წაეყვანა კინოში. მე

დამავალა, უთხარი, ვერ მოვალო. მე კი მოვატყუე. ის გოგო ახლა ჩემთან დადის.

— ჰოო, — ჩაილაპარაკა გამბოამ, — ახლა თითქოს გავიგე.

— იმან არაფერი იცოდა, — განაგრძობდა ალბერტო — მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, იმ გოგოს შეხვედროდა და გაეგო, რატომ არ სწერდა წერილებს. მერე ფანჯარა ჩაამტვრიეს და ყველანი სასწავლებელში გამოგვამწყვდიეს, არავინ იცოდა, როდის გაგვიშვებდნენ. კავას ვერასოდეს ვერ გამოიჭერდნენ: თუ ჩვენ არ გვინდა, ოფიცრები ვერც ვერაფერს შეიტყობენ, სენიორ ლეიტენანტო. გაპარვა კი იმას არ შეეძლო, ვერ გაებედა.

— გაპარვა?

— დიახ, ყველანი ასე იპარებიან, ლეკვებიც კი. ყოველღამ უთუოდ ვიღაც იპარება ქალაქში, გალავნიდან გადაძვრებიან ხოლმე. ის კი ერთხელაც არ გაპარულა, სენიორ, ლეიტენანტო. იმიტომაც წავიდა უარინასთან, ლეიტენანტ უარინასთან და კავა დააბეზღა, იგი მაბეზღარა არ იყო, მაგრამ ქალაქში უნდოდა წასვლა. წრემ კი შეიტყო ეს ამბავი. ვიცი, რომ შეიტყო.

— წრე რას ნიშნავს? — იკითხა გამბოამ.

— ეს ოთხი კადეტია ჩვენი რაზმეულიდან, სენიორ ლეიტენანტო, უფრო სწორად, სამი, კავა უკვე აღარ ითვლება. ისინი იპარავენ საგამოცდო ბილეთებს და მერე კადეტებზე ჰყიდიან. მევახშეობენ. ყველაფერს სამმაგად ჰყიდიან — სიგარეტებს, სასმელებს.

— ხომ არ გაბოდებთ, კადეტო?

— არაყსა და ლუდს, სენიორ ლეიტენანტო. ხომ გითხარით, ოფიცრებმა არაფერი იციან-მეთქი. სასწავლებელში უფრო მეტი ლოთობაა, ვინემ ქალაქში, სვამენ ღამღამობით, ხანდახან შესვენებაზეც. კავას ამბავი რომ გაიგეს, პირდაპირ გაცოფდნენ. ისე კი. არანა მაბეზღარა არასოდეს ყოფილა, ჩვენ მაბეზღარები არასოდეს გვყოლია... იმიტომ მოკლეს, შური ეძიათ.

— ვინ მოჰკლა?

— იაგუარმა, სენიორ ლეიტენანტო. დანარჩენი ორი, პითონი და ქოჩორა თავის დღეში ვერ გაბედავდნენ სროლას, თუმცა ისინიც პირუტყვები არიან. ეს იაგუარმა ჩაიდინა

— იაგუარი რომელია? — ჰკითხა გამბოამ, — გვარი მითხარით, თქვენი მეტსახელები მე არ ვიცი.

ალბერტომ უთხრა და ისევ განაგრძო მოყოლა. ლეიტენანტი ხანდახან შეაწყვეტინებდა — ციფრებს, გვარებს ეკითხებოდა. ალბერტომ დიდხანს ილაპარაკა, მერე თავი ჩაჰკიდა და დადუმდა. ლეიტენანტმა აჩვენა, სად იყო აბაზანა. ბიჭი შევიდა და სველი თმით გამოვიდა. გამბოა კი ისევ ლომისთათებიან სკამზე იჯდა ჩაფიქრებული. ალბერტო აღარ დამჯდარა — ახლა შინ წადით, — უთხრა გამბოამ, — ხვალ გასასვლელში მე ვიქნები. პირდაპირ იქ მოდით ჩემთან, ბარაკში ნუღარ შეივლით. პატიოსანი სიტყვა მომეცით, რომ არავის არაფერს ეტყვით, მშობლებსაც კი.

— დიახ, სენიორ ლეიტენანტო, პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

IV

„თქვა, მოვალო, და არკი მოვიდა. ღმერთმანი, სიამოვნებით მივახრჩობდი. ნავახშმევს ფანჩატურში შევიპარე, როგორც შევთანხმდით, და მანამდე ვიყურყუტე, ვინემ ლოდინმა გული არ გადამილია. ვიჯექი, ვფიქრობდი და პაპიროსს ვექაჩებოდი, კაცმა არ იცის, რამდენ ხანს. ხანდახან რომ წამოვდგებოდი და ფანჯრიდან გადავიხედავდი, ცარიელი ეზოს გარდა არაფერი ჩანდა. არც წკავწკავა მოსულა. როცა არ გინდა, სულ კუდში დამდევს, ხოლო საჭირო რომაა, არ მოეთრა — შიშს მაინც გამიქარვებდა. ჰო, იყეფე, იყეფე, ძუკნავ, ქაჯ-ეშმაკი დააფრთხე — ნაღდად მომატყუა ქოჩორამ. უკვე კარგა ჩამობნელდა, შიშისაგან ცოცხალმკვდარი ვიჯექი კუთხეში, მერე გამოვძვერი და სირბილ-სირბილით გავწიე ბარაკისკენ. სულზე მივასწარი, ჩვენები უკვე ეზოში ეწყობოდნენ. ცოტა კიდევ რომ დამგვიანებოდა, ექვს საჯარიმოს მომაკერებდნენ. მაგას რა ენაღვლება — აი, კისერში რომ მოვადებ, მაშინ მიხვდება. პირველი იყო გამოჭიმული მწკრივში. რომ დამინახა, თვალი ამარიდა. ქვედა ყბა ჩამოვარდნოდა და იმ ყეყეჩებს

დამსგავსებოდა, ქუჩებში რომ დაყიალობენ და ბუზებს ემუსაიფებიან. მაშინვე ვიაზრე, რატომაც არ მოვიდა ფანჩატურში: ნაღდში დაფრთხა და იმიტომ. „ჩვენი საქმე საბოლოოდ წასულა, — ვიფიქრე გულში — ისე რომ უნდა ავიკრა გუდა-ნაბადი და ვინემ ნაკერები არ აუგლეჯიათ ჩემთვის, სტადიონის მხრიდან ავიფახო. წკავ-წკავასაც თან წავიყვან — ვერავინაც ვერ შემამჩნევს. თავს როგორმე გავიტან“. მამასახლისმა სია ამოიკითხა, აქ ვარო, ყველამ თქვა. იაგუარის გვარი რომ დაიძახა — დღესაც კი ჟრუანტელი მივლის და ფეხები მიკანკალებს, ეს რომ გამახსენდება — ქოჩორას გადავხედე. იმან თავი მოატრიალა და მე მომაჩერდა, სხვებიც მოტრიალდნენ და მე მომაჩერდნენ. ნეტა რა გულმა გამიძლო და არ გავიქეცი მაშინ. სერჟანტმა კი ჩაახველა და სიის კითხვა განაგრძო. შეიქნა, მაგრამ რა შეიქნა. ბარაკში შესულები არ ვიყავით, რომ ყველანი მე და ქოჩორას დაგვეძგერნენ ყვირილით: „რა მოხდა? თქვით, რა იყო“. კაცმა არ დაიჯერა, ჩვენ რომ ბაიბურში არ ვიყავით. ქოჩორას ბრაზიც კი მოერია: „ჩვენთან რა გინდათ, მოგვწყდით თავიდან, თქვენი ასე და ისეო“. აქ მო, წკავ-წკავავ, ნუ მომშორდები, დღეს რატომ ჟინიანობ ასე. ვერა ხედავ, რა დღეში ვარ, გვერდზე ხომ უნდა მყავდეს ვინმე. ყველა რომ წავიდ-წამოვიდა და დაწვა, ქოჩორასთან მივედი: „შე მოღალატე, რატომ არ მოხვედი ფანჩატურში? რად მაყურყუტე იმდენ ხანს?“ ისე შეეშინდა, შემეცოდა კიდეც, მაგრამ, საოცარია, და მისი შიში მეც გადმომედო. „ვაიმე, პითონ, ღმერთმა ნუ ქნას, ერთად დაგვინახონ. ყველა რომ დაიძინებს, ერთი საათის შემდეგ მოვალ, გაგაღვიძებ — და ყველაფერს გეტყვი, ახლა კი წადი და დაიძინე, პითონ“. გემოზე შევუკურთხე: „თუ მოგიტყუებივარ, მოგკლავ-მეთქი“, და მერე დავწექი, სინათლე ჩავაქრე, მესმის, ვალიანო ზანგი ჩემკენ მოძვრება თავის საწოლიდან. თაფლად იქცა ეგ ეშმაკის ნაშობი: „მე ხომ მუდამ თქვენი ძმაკაცი ვიყავი, პითონ, მე მაინც მიამბე, რა მოხდა“, — მეფერება, კბილებს მიკრეჭს. ხომ

ძაღლის გუნებაზე ვიყავი და მაინც სიცილი წამსკდა, მერე მუშტი ვაჩვენე. შემომხედა და იმწამსვე მომწყდა. მოდი, მოდი, გოშიავ, მომეფერე დიდ შავ დღეში ვარ, ნუ გაიქცევი.. ჩემს თავს ვუთხარი: „არ მოვა და მე თვითონ მივალ, მივახრჩობ მაგ არამზადას“. მაგრამ ყველამ რომ ხვრინვა გააბა, ქურდულად მოიპარა: „საპირფარეშოში შევიდეთ, იქ ვილაპარაკოთ“, ძაღლმაც გამომდია, ფეხებს მილოკავდა — ენა მუდამ ცხელი აქვს. ქოჩორა კუთხეში მიდგა მოსაშარდად, ვერა და ვერ მორჩა: ვიფიქრე, ჩემ ჯიბრზე აკეთებს-მეთქი, ქეჩოში დავავლე ხელი, შევანჯღრიე კარგა ლამაზად და ვუთხარი: „აღარ მოყვები, რა მოხდა?“ არა, რა უნდა გამიკვირდეს, განა მე არ ვიცოდი, რა უგრძნობი და უგულო იყო მუდამაც იაგუარი. ამიტომაც უნდა ალბათ ყველას ჩაყრა. ქოჩორამ მითხრა, ასე თქვა: „მე რომ ჩავვარდე, ყველას დედა გეტირებათო“. არც გამიკვირდება, ასე თუ ქნა. ისე კი ხეირიანად არც ქოჩორამ იცის არაფერი. გაჩე, წკავწკავავ, ნუ ცმუკავ, მუცელი არ გამიკაწრო. მე მეგონა, რაღაც იცის-მეთქი, თორემ ამას მეც მივხვდი. თქვა, მე და იაგუარმა რომელიღაც ლეკვის ბერეტი ნიშნად ვაქციეთ და ქვებს ვესროდითო. იაგუარი ოცი ნაბიჯიდან ქვას არ აცდენდაო. ლეკვი კი იძახდა: „ბერეტს გამიხვრეტავთ, სენიორ კადეტებოო“. მახსოვს, მეც დავინახე მინდორზე ეგენი, ვიფიქრე, მოსაქაჩად თუ მიდიან-მეთქი, თორემ გავყვებოდი, ქვების სროლა მეც მიყვარს, ქოჩორაზე და იაგუარზე უკეთესად, თორემ ნაკლებ კი არ მიჭრის თვალი. ასე თქვა, ლეკვმა მანამდე იწუწუნა, ვინემ იაგუარმა არ უთხრა: „კიდევ დაგცდენია სიტყვა, შენ თვითონ გაიხვრიტები, გირჩევნია მოკეტო“. მერე მობრუნებია და ქოჩორასთვის პირდაპირ მიუხლია — „მე მგონია, მწერალიც მოკვდა — იმიტომაც აღარ დაბრუნდა. ამ წელს ბედი გვაქვს მკვდრებში. სიზმრად ვნახე, რომ ჩვენს რაზმეულში წლის ბოლომდე კიდევ ერთი მკვდარი იქნება“. ქოჩორამ მითხრა: „ეს რომ გავიგო-

ნე, ისე დავფრთხი, პირჯვარი გადავიწერე. ამ დროს, საიდან სადაო, ლეიტენანტი გამოჩნდა. რას ვიფიქრებდი, თუ იაგუარის წასაყვანად მოდიოდა“. ქოჩორამ თვალები გადმოქაჩა და განაგრძო: „თავშიაც არ მომსვლია, ჩვენკენ რომ მოდიოდა, პითონ, არამც და არამც არ მეგონა. სულ იმაზე ვფიქრობდი, ეს რა მითხრა-მეთქი იაგუარმა მწერალზე და მკვდრებზე. მაგრამ ვხედავ, ჩვენკენ მოდის და გვიყურებს. ასე იყო მაშ, პითონ“. ეგეთი ცხელი ენა რადა გაქვს, გოშიავ? აი, იმ კოტოშებივით, დედამ რომ დამაყარა, როცა ავად ვიყავი. ასე თქვა, — „ათ ნაბიჯზე იყო, როცა კადეტი და იაგუარი წამოხტნენ და გაიჭიმნენო. მე მაშინვე მივხვდი, პითონ, ლეკვის ბერეტი რომ აქ არაფერ შუაში იყო. ყველაც მიხვდებოდა, იმიტომ რომ ჩვენ გვიყურებდა, პირდაპირ თვალს არ გვაცილებდა, პითონ“. თურმე ასე უთქვამს. კიდეც: „სალამი, კადეტებო!“ — მაგრამ ქოჩორასთვის არ შეუხედავს, იაგუარს მიჩერებოდა. იაგუარმა კი მუშტი გაშალა და ქვა გააგდო. „საყარაულოში წადით, — ეუბნება თურმე ლეიტენანტი, — მორიგე ოფიცერთან. პიჟამა, კბილის ჯაგრისი, საპონი და პირსახოცი არ დაგავიწყდეთ“. ქოჩორამ. თქვა, მე გადავფითრდი, იაგუარს კი თვალიც არ დაუხამხამებიაო.

უფრო მეტიც, თავხედურად ჰკითხა: „მე მეუბნებით, სენიორ ლეიტენანტო? კი მაგრამ რატომ, სენიორ ლეიტენანტო?“ ლეკვი კი იკრიჭება თურმე. ნეტა ხელში მომაგდებინა ის ლეკვი! გამბოას პასუხი არ გაუცია, ეს უთქვამს მხოლოდ „ბრძანება შეასრულეთ!“ აფსუს, ქოჩორამ რომ ვერ დაიმახსოვრა ის ლეკვი, იმას კი დრო უხელთია ამასობაში, დაუთრევია თავისი ბერეტი და გაქცეულა. გასაკვირი არცაა, იაგუარს რომ უთქვამს ქოჩორასათვის: „თუ ეს ბილეთების გამოა, ძაღლი ვიყო, თუ ბევრს არ ვანანო. გაჩენის დღე“. ვიცი, ასეც იზამს. ქოჩორას კი უთქვამს: „არ იფიქრო, ან მე ან პითონმა გაგყიდეთ“. „მით უკეთესი თქვენთვის, — უთქვამს იაგუარს, — ნუ დაივიწყებთ, ჩემზე. ნაკლებ არც თქვენ

გაქვთ გასვრილი ცხვირი: ასე გადაეცი პითონსაც და იმათაც, ვინც ჩვენგან ბილეთებს ყიდულობდა“.

დანარჩენი თავადაც ვიცი. მე თვითონ ვნახე, ბარაკიდან, რომ გამოდიოდა და პიჟამას მოათრევდა, კბილის ჯაგრისი ჩიბუხივით გაერჭო პირში. მე მეგონა, დასაბანად მიდის-მეთქი, და გამიკვირდა: იაგუარი ვალიანო არ იყო, ყოველ კვირას ებანავა. ადრე წყლის კაციც შევარქვით ამის გამო ზანგს.

ჰოი, რა ცხელი ენა გაქვს, წკავწკავავ, რა გრძელი და რა ცხელი“.

„დედაჩემმა მითხრა: „სკოლას უნდა დაემშვიდობო, ნათლია-შენთან მიდი და სთხოვე, რამე სამუშაო გიშოვოს“. მე ვუთხარი: „ნუ გეშინია, უკვე ვიცი, ფული როგორ ვიშოვო. სკოლის დატოვება არ დამჭირდება-მეთქი“. „რა თქვიო?“ მკითხა. გავშრი და პირდაღებული მივაჩერდი. მერე ვკითხე, კნაჭა იგერასს თუ იცნობ-მეთქი. დედაჩემმა ერთი უცნაურად შემომხედა და მკითხა: „შენ საიდან იცნობ?“ „ჩვენ ძმაკაცები ვართ, ხანდახან საქმეში ვეხმარები-მეთქი“. დედამ მხრები აიჩეჩა: „პატარა უკვე აღარა ხარ, — მითხრა, — შენი საქმისა შენ იცი, მე ეგ არ მეხება. ოღონდაც თუ ფულს არ მოიტან — წახვალ და იმუშავებ“. მივხვდი, დედაჩემსაც რომ სცოდნია, რას აკეთებდნენ ჩემი ძამია და კნაჭა იგერასი. ამ დროისთვის მე და იგერასმა სხვა სახლებიც გავწმინდეთ, მუდამ ღამღამობით, ყოველ ჯერზე ოც სოლზე ნაკლები არ რგებია.

კნაჭა მეუბნებოდა: „უნდა გაგამდიდროო“. ფული რვეულში მქონდა ჩადებული. „ახლა გჭირდება-მეთქი ფული?“ — ვკითხე დედას. „ფული ყოველთვის მჭირდება, — მითხრა,— რაცა გაქვს, მომეცი“. ორი სოლის გარდა. ყველა მივეცი. ფული, მე განა რისთვის მინდოდა? მხოლოდ იმიტომ, ყოველდღე დავხვედროდი სკოლასთან ტერესას და კიდევ სიგარეტი მეყიდა — უკვე მე თვი-

თონ ვყიდულობდი. ერთი დასტა სამ-ოთხ დღეს მყოფნიდა. ერთხელ ბელიავისტას მოედანზე გავაბოლე. ტერეს თავისი კარიდან დაუნახივარ. მოვიდა და, მერე რომ ჩამოვჯექით სალაპარაკოდ, მთხოვა: „მასწავლე, როგორ უნდა მოწევა“. მოვუკიდე სიგარეტს და რამდენჯერმე მოვაქაჩინე. სული შეეხუთა და ხველა აუტყდა, მეორე დღეს მითხრა, მთელი ღამე გული მერეოდა, ჩემს სიცოცხლეში აღარ მოვწევო. ნეტამც იმ დროს. წლის ბოლო ახლოვდებოდა, გამოცდები დაიწყო, ჩვენც უფრო მეტს ვმეცადინეობდით, თითქმის სულ განუყრელნი ვიყავით. თუ დეიდამისი შინ არ იყო, ან თუ ეძინა, ვთამაშობდით, ერთმანეთს თმას ვუჩეჩავდით. ტანში გამაკანკალებდა, როცა მას შევეხებოდი. დღეში ორჯერ ვიყავით ერთად, გიყვარდეს, მე კარგად ვგრძნობდი თავს. ფულიც მქონდა და ყოველდღე რაღაც პატარა საჩუქრით ვახარებდი. საღამოობით კი კნაჭას ვხვდებოდი მოედანზე და ისიც მეტყოდა: „ამა და ამ დღისათვის მზად იყავი. დიდი ფაქიზი საქმე გველისო“.

თავდაპირველად მე, კნაჭა და კულეპე დავდიოდით მხოლოდ. ორანტიაში ერთ მდიდარ სახლში შევძვერით, მაშინ ორი უცხოც მოგვემატა. მეტწილად კი ჩვენ სამნი ვიყავით ხოლმე. „რაც ცოტა ვიქნებით, უკეთესია, — ამბობდა კნაჭა, — გასაყოფადაც სჯობია და დაბეზღებისაც ისე არ გეშინია, უფრო იმედიანად ხარ. თუმცა ზოგჯერ ჩვენ მარტოდ ვერ გავწვდებით. უხვ სუფრას მჭამელიც უხვად უყვარსო“. თითქმის ყოველთვის ცარიელ სახლებში ვიპარებოდით. კნაჭამ. რაღაც განგებით მუდამ წინასწარ იცოდა და თვითონვე მიხსნიდა, სახურავიდან უნდა გადავმძვრალიყავი, ფანჯრიდან თუ საკვამურიდან. პირველად შიშით მძვრებოდა. სული, მერე კი მივეჩვიე, უფრო გულმშვიდად ვმუშაობდი. ერთხელ ერთ სახლში შევიპარეთ ჩორილიოსში. გარაჟის სარკმლიდან გადავძვერი სახლში — კნაჭამ ალმასით — გამოჭრა შუშა, — სადარბაზო კარი გავაღე, ქუჩაში გამოვედი და კუთხეში მივიმალე.

ვდგავარ ჩემთვის და ვიცდი. უცებ ვხედავ, მეორე სართულზე სინათლე აინთო, წამიც და კნაჭა ტყვიასავით გამოვარდა კარიდან, ხელი მტაცა და ჩამჩურჩულა: „გავიქცეთ, თორემ ჩაგვავლებენ“. სამი უბანი გავირბინეთ სულმოუთქმელად. არ ვიცი, მოგვდევდნენ თუ არა, მე კი ლამის გული გამისკდა შიშით. სოლო კნაჭამ რომ მითხრა: „აი, იმ კუთხემდე მიირბინე, მერე კი, ვითომც არაფერი, ისე წადიო“, ვიფიქრე, წასულია-მეთქი ჩვენი საქმე. როგორც მითხრა, ისე მოვიქეცი და ყველაფერმა კარგად ჩაიარა. შინ შუაღამისას მივჩანჩალებდი ცოცხალ-მკვდარი, გაყინული, მთელი ტანი მიკანკალებდა. დარწმუნებული ვიყავი, კნაჭას ჩაავლეს — მეთქი. მეორე დღეს კი ვხედავ — მოედანზე მელის და სიცილით კვდება. „ამას როგორ მოველოდიო, — მითხრა, — ის იყო კამოდი გავაღე, უცებ დღესავით არ გაჩახჩახდა იქაურობა. გადავირიე კაცი. სასწაულით გადავრჩით მე და შენ — ალბათ მართლაა ღმერთი ამქვეყანაზე“.

— მერე რა იყო? — იკითხა ალბერტომ.

— არაფერი, ოღონდაც სისხლი — წამოუვიდა, — მიუგო სერჟანტმა, — „ნუ იგონებ-მეთქი“, — ვუთხარი. მაგ პირუტყვმა კი, იცით, რა მითხრა: „არკი ვიგონებ, სენიორ სერჟანტო, მართლა მტკივაო“. ჯარისკაცებმაც ბანი მისცეს — ეგენი ხომ სულ ერთმანეთს უჭერენ მხარს. „სტკივა, აბა, არ სტკივაო“. მე არ დავუჯერე, თუმცა იქნებ არცა სტყუოდა. იცით, რატომ მეგონა ასე? თმა წითელი ჰქონდა. ვუბრძანე, თავი დაებანა, აქ იატაკი არ დასვარო-მეთქი ბარაკში. ეგ ყეყეჩი კი ვირზე შეჯდა. პირუტყვია, აბა რა არის. საწოლიდანაც კი არ წამომდგარა. ჰოდა, მუჯლუგუნი ვკარი, ვკარი იმიტომ, რომ ამდგარიყო, სენიორ კადეტო. სხვებმა კი ყვირილი ატეხეს: „ხელი არ ახლოთ, ვერა ხედავთ — სტკივაო?“

— მერე რა იყო?

— მერე არაფერი, სენიორ კადეტო. ოფიცერი შემოვიდა და

იკითხა: „რა მოუვიდაო?“ — „დაეცა-მეთქი, სენიორ ოფიცერო, — მე ვუთხარი, — ხომ მართლა დაეცი?“ — იმ ძაღლის შვილმა კი თქვა: „არა, თქვენ გამიტეხეთ ჯოხით თავი, სერჟანტო“. სხვებმაც იყვირეს: „კი, კი, სერჟანტმა გაუტეხა თავი“. მამაძაღლების ოფიცერმაც საყარაულოში შემომაგდო, ის პირუტყვი კი ჰოსპიტალში გააგზავნა. ჰოდა, ოთხი დღეა პურსა და წყალზე ვზივარ. ჩამოვხმი კაცი.

— ჯოხი რატომ დაარტყით? — ჰკითხა ალბერტომ.

— ნაგავი რომ მალე გაეტანა. ეშმაკმა იცის, აქ რა ხდება. ლეიტენანტმა რომ ბარაკში ნაგავი შეამჩნიოს — ან სამ საჯარიმოს მომაკერებს ან წიხლებით შემდგება. მე კი სალდათს კისერში თუ წავუთაქე, კარცერში. ჩამაყუდებენ. სერჟანტობაზე უარესი, ბატონო კადეტო, არაფერია. სალდათებს ერთმანეთში მაინც ერთსულოვნობა აქვთ, თუმცა ოფიცრებისგან შავი დღე ადგათ.

— ჩვენ კი არავინ გვზოგავს — აქეთ ოფიცრები გვიზაპუნებენ, იქით სალდათებს ჭირივით ვძულვართ, სიცოცხლეს გვიმწარებენ. ღმერთმანი, სალდათად ყოფნა მერჩივნა.

ორივე საკანი საყარაულოს უკანაა, ორივე ბნელი და მაღალი. შუაში პატარა სარკმელია, ხარიხიანი, საიდანაც ალბერტო და სერჟანტი თავისუფლად ელაპარაკებიან ერთმანეთს. ჭერთან კიდევ ერთი სარკმელია დატანებული. იქიდან ეცემა შუქი უბადრუკ საწოლს, ჩალის ლეიბსა და ხაკისფერ საბანს.

— აქ რამდენ ხანს უნდა იჯდეთ? — ჰკითხა სერჟანტმა.

— არ ვიცი, — თქვა ალბერტომ — წუხელ გამბოამ მოკლედ უთხრა, ახსნა-განმარტების გარეშე: „იქ დაიძინეთ, ასე აჯობებს“. საღამოს ათი საათი იყო. სანაპიროსა და ეზოში კაცის ჭაჭანება არ ჩანდა, იქ უხმაუროდ დანავარდობდა ქარი. დაჯარიმებულნი ყაზარმებში ისხდნენ, დანარჩენები ქალაქიდან თერთმეტზე მობრუნდებოდნენ. სალდათები ფანჯრების ძირს სკამთან შეჯგუფულიყვნენ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. ალბერტოსთვის ზედაც

არ შეუხედავთ. პირველად ბიჭმა ვერაფერი გაარჩია ბნელ საკანში, მერე საწოლის ოთხკუთხა ჩრდილი დალანდა კუთხეში. ჩემოდანი იატაკზე დადგა, გაიხადა ფორმის ტანსაცმელი, წაღები, მოიძრო ქუდი, დაწვა ლოგინზე და საბანი გადაიხურა. მეზობლად ვიღაცა ხვრინავდა უბედურად. ბიჭს მაშინვე ჩაეძინა, მაგრამ ღამით რამდენჯერმე გაეღვიძა.

საკანში ისევ ისე ხვრინავდა ვიღაც. მხოლოდ ალიონის ჟიჟმატ შუქზე გაარჩია, მეზობელ საკანში რომ სერჟანტი იწვა და ხვრინავდა. აწოწილი ბიჭი იყო, ხმელ-ხმელი, დანასავით ალესილი პირისახე ჰქონდა, ბერეტი ეხურა, გეტრები ეცვა და ისე ეძინა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჯარისკაცმა ცხელი ყავა შემოუტანა. სერჟანტს გაეღვიძა და ალბერტოს მეგობრულად დაუქნია ხელი. საწოლიდან არც წამომდგარა. მერე უამბო, რისთვისაც ჩასვეს. ამასობაში დილის ბუკიც ჰკრეს — ალბერტო სარკმელს მოშორდა, საყარაულოს კარს მიადგა და ჭუჭრუტანაში გაიხედა. გამბოა ლეიტენანტ ფერეროს ხმადაბლა ეუბნებოდა რაღაცას. ჯარისკაცები თვალებს იფშვნეტდნენ, იზმორებოდნენ. კარიდან ჩანდა შიდა ეზოს ერთი კუთხე და გმირის კვარცხლბეკის ირგვლივ დარგული. ყვავილნარი, თეთრი კენჭებით მოფენილი. სადღაც იქ დგანან ალბათ ჯარისკაცები და ფერეროსთან ერთად. ეწირებიან ახლა მორიგეობას. გამბოას საკანში არც შემოუხედავს, ისე გავიდა საყარაულოდან. აგერ გაისმა მიყოლებით სასტვენთა ხმა. ყოველი კურსის ეზოში კადეტები ეწყობიან ალბათ დილის მწყობრში. სერჟანტი ისევ საწოლზე წევს, თვალები დაუხუჭავს, ოღონდ აღარ ხვრინავს. აგერ გაისმა სასადილოში მიმავალ რაზმეულთა ბრაგაბრუგი. ბიჭმა ბრაგაბრუგის ხმას სტვენა ააყოლა, მერე საათს შეხედა. „გამბოა ალბათ უკვე ელაპარაკება პირანიას, ტერესიტა, უამბო ყველაფერი, უკვე მაიორსაც უთხრეს ალბათ. აგერ ყაზარმის უფროსთან შევარდნენ ყველანი და ერთად მიდიან პოლკოვნიკთან. ისინი ჩემზე ლაპარაკობენ, ტერესიტა. ჩემთვის

მოიწვევენ ფოტორეპორტიორებს, გადამიღებენ სურათებს. მერე გავალ ქუჩაში და ლინჩის კანონით გამისწორდებიან. დედაჩემი გაგიჟდება. ამ ვეღარ ვისეირნებ მირაფლორესის ქუჩებში, ყველა ჩემკენ გამოიშვერს თითს. ალბათ საზღვარგარეთ მომიხდება წასვლა და გვარის გამოცვლა, ტერესიტა“. რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ დასტვინა სასტვენმა. საყარაულომდე სუსტად აღწევს გუგუნის ხმა — კადეტები სასადილოდან გამოდიან და მოედნისკენ მიაბიჯებენ. როცა საკლასო ოთახში შევლენ, მიწა აზანზარდება — მომავალი სამხედროები ნაბიჯებს ბეჭდავენ.

„ალბათ უკვე შეამჩნიეს, ტერესია, ალბათ უკვე ამბობენ: „მწერალი არ ჩანსო“. აროსპიდემ ჩემზე უკვე პატაკიც მისცა. ხოლო როცა ყველაფერს გაიგებენ, წილსა ჰყრიან, ვინ უნდა მჟეჟოს. მამა იტყვის: „შენ ლაფში ამოსვარე ჩვენი გვარი, შენი წყალობით გაზეთებში, საპოლიციო ქრონიკაში მოხვდა ჩვენი გვარი; პაპაშენსა და პაპისპაპას ჯავრით გაუსკდებოდა გული. ჩვენი ოჯახი ყოველთვის და ყველაფერში პირველი იყო, შენ კი გარყვნილების წუმპეში ჩაეფალ“. მე და შენ ნიუ-იორკში გავიქცევით, ტერესიტა, პერუში აღარ დავბრუნდებით; ახლა უკვე დაიწყო გაკვეთილი, უკვე ჩემს პორტფელსაც ჩხრეკენ ალბათ“. აი, ფერერო მოდის კარცერისკენ. ალბერტო ნაბიჯით უკან იხევს: რკინის კარი ნელა გაიღო.

— კადეტო ფერნანდეს! — ლეიტენანტი ფერერო ძალზე ახალგაზრდაა, მესამე კურსის რაზმეულს მეთაურობს.

— დიახ, სენიორ ლეიტენანტო.

— თქვენი კურსის კანცელარიაში მიბრძანდით, კაპიტან გარიდოსთან... ალბერტომ გიმნასტურა ჩაიცვა, კეპი დაიხურა. მოწმენდილი დილა იყო, ქარს მოჰქონდა მარილისა და თევზის სუნი; მიწა სველი იყო, თუმცა ალბერტოს არ გაუგია ღამით წვიმის ხმა. გაწუმპლულ ხესავით მწუხარედ იდგა გმირის ძეგლი. არავინ შეხ-

ვედრია არც მეხუთე კურსის მოედანზე და. არც ეზოში. კანცელარიის კარი ღია იყო. ბიჭმა ქამარი შეისწორა და თვალებზე ხელი გადაისვა. ლეიტენანტი გამბოა ფეხზე იდგა, კაპიტანი გარიდო მაგიდის კიდეზე ჩამოჯდარიყო. ორივე მას მიაჩერდა. კაპიტანმა გარიდომ უთხრა, შემოდიო. ალბერტომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და გაიჭიმა. კაპიტანმა დაკვირვებით შეათვალიერა თავით ფეხამდე. ოთხკუთხა ყბები გაქვავებოდა. ოდნავ ღია პირიდან თოვლივით თეთრი კბილები მოუჩანდა. კაპიტანმა ოდნავ მოაბრუნა თავი.

— აბა, აგვიხსენით, კადეტო, რას ნიშნავს მთელი ეს ამბავი?

— ალბერტომ ამოიოხრა, პირი გააღო და უცებ მთელი სხეული მოუდუნდა, თითქოსდა ჩასუნთქულმა ჰაერმა შიგნით ყველაფერი მოულბო. რა თქვას? კაპიტანი გარიდო მაგიდას დაყრდნობოდა, მისი თითები მოუთმენლად საპნიდა რაღაც ქაღალდებს. ალბერტოს ჯიქურ მიჩერებოდა. გამბოა გვერდით ედგა, ალბერტო მას ვერ ხედავდა. ლოყები უხურდა ბიჭს — ალბათ წამოელანძა სახე.

— ჰო, რად დუმხართ? — ჰკითხა კაპიტანმა, — ენა რამ ჩაგიგდოთ? — ალბერტომ თავი დახარა. იგრძნო, რა საშინლად დაღლილიყო. ყველაფერი საეჭვოდ ეჩვენა. ენის წვერზე მომდგარი უნდილი, უნიათო სიტყვები იქვე ქრებოდა მუხთლურად, კვამლივით დნებოდა. ძლივს ამოილუღლუღა რაღაც, მაგრამ გამბოამ გააწყვეტინა.

— აბა, აბა, თავს სძლიეთ, კადეტო, დამშვიდდით, — მოესმა ალბერტოს, — კაპიტანი გელით. გაიმეორეთ, რაც შაბათს მიამბეთ. ნუ გეშინიათ, თქვით ყველაფერი.

— დიახ, სენიორ ლეიტენანტო, — ალბერტომ ჰაერი ჩაისუნთქა, — კადეტი არანა მოჰკლეს იმიტომ, რომ წრის წევრები გათქვა.

— თქვენი თვალით ნახეთ? — უმალ იფეთქა კაპიტანმა.

— ალბერტომ თავი ასწია: მომწვანო პირისახეზე ყბები უცახცახებდა კაპიტანს.

— არა, სენიორ კაპიტანო, მაგრამ...

— რა მაგრამ? — შესძახა კაპიტანმა — როგორ ბედავთ იმის თქმას, რისი დასამტკიცებელი საბუთებიც არა გაქვთ? იცით, რას ნიშნავს ადამიანს კაცის კვლა შესწამო? რისთვის მოჩმახეთ ეს ყველაფერი?

კაპიტანს შუბლზე ოფლმა დაასხა, თვალები წამოენთო. ხელებით მძიმედ დაყრდნობოდა მაგიდას. ალბერტომ ანაზდად იგრძნო სიმტკიცე, სხეულს დაუბრუნდა სიცოცხლე და მოქნილობა. თვალი თვალში გაუყარა კაპიტანს. მან მზერა აარიდა.

— მე არაფერი მომიჩმახავს, სენიორ კაპიტანო, — თქვა და თვითონვე იგრძნო, როგორ მტკიცე გაუხდა ხმა — არაფერი შემითხზავს.. წრის წევრებმა. გადაწყვიტეს გამოერკვიათ, ვინ გასცა კავა. იაგუარს უნდოდა შური ეძია, მას ჭირივით სძულს გამცემები. კადეტი არანა არავის უყვარდა, ყველა მათხოვარივით ექცეოდა. დარწმუნებული ვარ, იაგუარმა მოჰკლა იგი. დარწმუნებული რომ არ ვიყო, არც ვიტყოდი.

— დაიცათ, ფერნანდეს, — გააწყვეტინა გამბოამ — რიგზე მოჰყევით ყველაფერი. მოდით ახლოს. თუ გნებავთ დაჯექით.

— არა, — მკვახედ განაცხადა კაპიტანმა. გამბოა მისკენ მიბრუნდა, მაგრამ კაპიტანი ალბერტოს უყურებდა — მანდ იდექით. განაგრძეთ.

— ალბერტომ ჩაახველა, შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა. მერე დაიწყო ლაპარაკი, ღელავდა, ხმა უწყდებოდა, ენა ებმებოდა. მოჰყვა წრის ამბებზე, მათხოვარაზე, უნებურად შეეხო დანარჩენ კადეტებსაც, — როგორ შემოჰქონდათ სასწავლებელში სიგარეტები, სასმელები, როგორ იპარავდნენ და ჰყიდდნენ ბილეთებს, გროვდებოდნენ — პაულინოსთან, იპარებოდნენ გალავნი-

დან, საშხაპოში თამაშობდნენ პოკერს, ერთმანეთზე შურს იძიებ-დნენ, სანაძლეოს დებდნენ. რაზმეულის მთელი იდუმალი ყოფა-ცხოვრება ნელ-ნელა დაუდგა თვალწინ კაპიტანს კოშმარული სიზმარივით. იგი უფრო და უფრო ფითრდებოდა. ალბერტოს ხმა კი უფრო და უფრო მშვიდად და მტკიცედ ისმოდა, დროდადრო გამომწვევადაც.

— კი მაგრამ ამას რა კავშირი აქვს თქვენს განცხადებასთან? — კვლავ გააწყვეტინა კაპიტანმა.

— მე მინდა დამიჯეროთ, სენიორ კაპიტანო, — თქვა ალბერტომ — ოფიცრებმა არ იციან, რა ხდება ბარაკებში. ეს სულ სხვა სამყა-როა. ამას იმიტომ ვყვები, მათხოვარას ამბავი დაგაჯეროთ — ალ-ბერტომ დაამთავრა მოყოლა. კაპიტანი გარიდო ერთხანს მდუმა-რედ იდგა, თითქოს დაკვირვებით დაჩერებოდა მაგიდაზე მდება-რე საგნებს. თითებით სალათის ღილებს აწვალებდა.

— ჰოო, — წაილაპარაკა მან ანაზდად, — თქვენი ნათქვამით სასწავლებლიდან მთელი რაზმეულია გასარიცხი, ზოგი ქურდო-ბისთვის, ზოგი ლოთობისა და ზოგიც გარყვნილებისათვის.. ყვე-ლას რაღაც ბრალი ედება. ჩინებულია. თქვენ, თქვენ რაღას აკე-თებდით?.

— მეც იმასვე, რასაც ყველანი, — თქვა ალბერტომ, — არანას გარდა. მიტომაც არავინ ეკარებოდა — ბიჭს ხმა აუკანკალდა, — მერწმუნეთ, სენიორ კაპიტანო. წრე გამცემს ეძებდა, გამწარებით ეძებდა. მათ შურისძიება ჰქონდათ გადაწყვეტილი, სენიორ კაპი-ტანო.

— დაიცათ, ნუ ჩმახავთ რაღაცას, — მღელვარედ წაილაპარაკა კაპიტანმა — რაებს ბოდავთ? კადეტი კავა — არავის დაუბეზღებია.

— ეს ბოდვა არ გახლავთ, სენიორ კაპიტანო. ლეიტენანტ უა-რინას ჰკითხეთ, ის გეტყვით, დააბეზღა თუ არა მათხოვარამ კავა. მათხოვარა მორიგე იყო და მან დაინახა მხოლოდ, კავა რომ ბა-რაკიდან გავიდა ბილეთების მოსაპარავად. ჰკითხეთ ლეიტენანტ

უარინას...

— ეგ ყველაფერი აბდაუბდაა, — თქვა კაპიტანმა.. მაგრამ ალბერტომ შეამჩნია, ხმა რომ გაებზარა კაპიტანს, ხელები აუკანკალდა, კბილები დაეკრიჭა — დიახ, წმინდაწყლის აბდაუბდა.

— იაგუარი ძალზე განრისხდა, კავა რომ გასცეს, სენიორ კაპიტანო, — თვითონ რომ გაეცათ, უფრო მეტად არ განრისხდებოდა. წრე ყოველ წუთს იკრიბებოდა. ეს შურისძიება იყო. მე ვიცი იაგუარის ამბავი...

— კმარა, — გააწყვეტინა კაპიტანმა, — ეს ყველაფერი ბალღური ტიტინია. საბუთი არ გაქვთ და ისე აბრალებთ ამხანაგს მკვლელობას. ხომ შეიძლება, თქვენც გინდოდეთ ვიღაცაზე შურისძიება. მაგრამ ჯარში ასეთი ოინები არავის გასვლია, კადეტო: ეს შეიძლება ძვირადაც დაგიჯდეთ.

— სენიორ კაპიტანო, იაგუარი არანას უკან იდგა, როცა გორაკის ასაღებად მივდიოდით, — წამოსცდა ალბერტოს და მყის გაჩუმდა, წამოსცდა მისდა უნებლიეთ, დაუფიქრებლად და თვითონვე შეეჭვდა. შეეცადა გაეხსენებინა იმ შაბათის დილა, მინდორი, ნათესებით შემორაგული გორაკი, კადეტთა მწკრივები....

— დარწმუნებული ხართ? — ჰკითხა გამბოამ.

— დიახ, სენიორ ლეიტენანტო. იგი არანას უკან იყო. მე არ ვცდები.

კაპიტანი გარიდო უნდოდ და ბოროტად შეჰყურებდა ხან კადეტს, ხან ოფიცერს. თავისივე მუშტი ხელისგულში მოექცია და ისე იფშვნეტდა, თითქოს ითბობსო.

— ეს არაფერსაც არ ნიშნავს, — წაილაპარაკა მან, — დიახ, არაფერს.

— სამივე დადუმებული იდგა ახლა. უეცრივ კაპიტანი წელში გასწორდა, ხელები ზურგზე დაიწყო და ოთახში ბოლთას მოჰყვა. გამბოა მის ადგილზე დაჯდა და კედელს მიაჩერდა, თითქოს რაღაცას საზრობდა გონებაში.

— კადეტო ფერნანდეს, — წარმოთქვა კაპიტანმა. იგი შუა ოთახში დამდგარიყო, მისი ხმა. უფრო ლმობიერად ისმოდა, — მინდა გელაპარაკოთ, როგორც ვაჟკაცმა ვაჟკაცს. თქვენ ახალგაზრდა ხართ და თან ფიცხიც. ეს ურიგო არაა, შესაძლოა საქებიც იყოს. იმის მეათედიც კი, რაც თქვენ აქა თქვით, საკმარისია, რომ სასწავლებლიდან გაგრიცხოთ. ეს კი თქვენთვის დიდი მარცხია, ხოლო მშობლებისათვის დიდი ლახვარი, ხომ კი?..

— დიახ, სენიორ კაპიტანო.

გამბოა იატაკს დაჰყურებდა და ნელა აქნევდა ფეხს.

— იმ კადეტის სიკვდილმა თქვენ ძალზე აგაღელვათ, — განაგრძო კაპიტანმა — მე მესმის, იგი თქვენი მეგობარი იყო. მაგრამ რაც აქა თქვით, იმის ნახევარიც რომ მართალი იყოს, მაშინაც კი ვერ დაამტკიცებთ. ვერ დაამტკიცებთ იმიტომ, რომ ეს მხოლოდ თქვენი ვარაუდია. დიდი-დიდი წესდების გარკვეული დარღვევა აღმოვაჩინოთ. მაშინ რამდენიმე კაცის გარიცხვა მოგვიხდება სასწავლებლიდან, პირველ რიგში კი, ბუნებრივია, თქვენი. მე მზად ვარ დავივიწყო ყველაფერი, თუკი პირობას მომცემთ, რომ ამაზე კრინტს არავისთან დასძრავთ, — კაპიტანმა ხელი ასწია, მაგრამ პირისახემდე აღარ მიუტანია, ისე დაუშვა, — დიახ, ასე აჯობებს. დავიწყებას მივცეთ ეს ფანტაზიები.

ლეიტენანტი გამბოა ისევ იატაკს დაჩერებოდა და ფეხს აქნევდა, მაგრამ წაღის წვერს ახლა თითქმის იატაკს არტყამდა.

— გასაგებია? — კაპიტანმა ნაძალადევად გაიღიმა — არა, სენიორ კაპიტანო, — იყო ალბერტოს პასუხი — განა გაუგებარი რა ვთქვი, კადეტო?

— მე ვერაფერს შეგპირდებით, იმიტომ რომ არანა მოჰკლეს.

— რახან ასეა, — მუქარით წარმოთქვა კაპიტანმა, — გიბრძანებთ, კრინტი არ დასძრათ და ეს სისულელეები არ გაიმეოროთ. არ დაგიჯერებიათ და გაჩვენებთ, ვინცა ვარ..

— ძალიან ვწუხვარ, სენიორ კაპიტანო, — წამოდგა ლეიტენანტი. იგი კაპიტანზე მაღალი იყო და კაპიტანმაც თავი ასწია, რომ შეეხედა — კადეტ ფერნანდესს უფლება აქვს ასეთი ბრალდების, სენიორ კაპიტანო. მე არ ვამბობ ბრალდება სამართლიანია-მეთქი, მაგრამ უფლება აქვს გამოძიება მოითხოვოს. წესდებაში გარკვევით სწერია ამაზე.

— წესდებას მასწავლით, გამბოა?

— რა თქმა უნდა, არა, სენიორ კაპიტანო, მაგრამ თუ თქვენ არ ჩაერევით, მე პატაკს წარვუდგენ მაიორს. ეს სახუმარო ამბავი არ გახლავთ, გამოძიება, ვფიქრობ, აუცილებელია.

„ჩავაბარე პირველი გამოცდა და რამდენიმე დღის შემდეგ საენს პენიაზე დავინახე ტერე. ორი გოგო მოჰყვებოდა, პირსახოცები მოჰქონდათ. ვკითხე, სად მიდიხარ-მეთქი. „ზღვაზეო“, მითხრა. მთელი დღე მომეწამლა გუნება. ფული რომ მთხოვა დედამ, ძაღლივით შევუღრინე. იმწუთსვე ქამარი გამოათრია, ლოგინის ქვეშ ჰქონდა მუდამ შენახული. რა ხანია ხელი აღარ უხლია ჩემთვის და დავემუქრე: „თითი არ დამაკარო, თორემ კაპიკსაც ვეღარ მიიღებ“. არ მეგონა, ჩემი სიტყვები თუ ასე იმოქმედებდა. ხელი ჩამოუშვა, ჩუმად შეიკურთხა, ქამარი ძირს დააგდო და სამზარეულოში გავიდა, სიტყვა აღარ უთქვამს ჩემთვის. გული ჩამწყდა. მეორე დღეს ტერე ისევ ზღვაზე წავიდა იმ ორ გოგოსთან ერთად. ასე იარა რამდენიმე დღე. ერთხელ უკან გავყევი. ჩუკუიტოში დადიოდნენ თურმე. საბანაო ტანსაცმელი კაბის ქვეშ ეცვათ და პირდაპირ პლაჟზე გაიხადეს. იქ სამი თუ ოთხი ბიჭი დახვდათ. ერთი სულ ტერეს ელაპარაკებოდა. მთელი დილა მოაჯირთან ვიდექი და იმათ ვუთვალთვალებდი. მერე გოგოებმა ისევ გადაიცვეს კაბები და ბელიავისტაში გაბრუნდნენ. მე კი იმ ბიჭებს დავუცადე. ორი მაშინვე წავიდა, ის კი, ტერეს რომ ელაპარაკებოდა,

და კიდევ მეორე, სამამდე იქ ეგდნენ. მერე განაპირა ქუჩისკენ გა-ემართნენ. შუა ქუჩაში მიდიოდნენ და ერთმანეთს დაგრეხილ პირსახოცებს ესროდნენ. ცარიელ ქუჩაში რომ გავედით, ქვები დავუშინე. ორივეს მოვახვედრე, ტერეს დოსტს შიგ ცხვირ-პირში ვხეთქე. „ვაიმეო“, იყვირა და მოიკუნტა. ამ დროს ერთი ქვაც ზურ-გში მივაყოლე. დადგნენ და შემომაჩერდნენ. დავეძგერე ისე, გონზე მოსვლა არ ვაცალე. „გიჟია ვიღაც!“ — იღრიალა ერთმა და მოძურწა. მეორე კი ადგილიდან არ დაძრულა. გიყვარდეს, მე დღე ვაყარე. სკოლაში რამდენჯერმე ვიჩხუბე და ზორბადაც ვიჩ-ხუბე: პატარაობაში მასწავლა ჩემმა ძმამ, როგორ უნდოდა წიხ-ლებითა და თაურით ჩხუბი. „ჩხუბში თავგზა არ უნდა დაკარგო, თორემ წააგებ, — მეუბნებოდა იგი — თუ ღონე მოგდევს,. ურტყი და ურტყი მუშტები, სადაც მოხვდება, და მეტოქესაც. უმალ გა-აგორებ. მაგრამ ღონე თუ არ მოგდევს — მუშტების ქნევა არ გიშ-ველის. ხელ-ფეხი დაგეღლება მხოლოდ, ბრაზი გადაგივლის და მალე მოგინდება ჩხუბის შეწყვეტა. თუ მეტოქე ჯიბრიანი გამოდ-გა, იხელთებს და იქით გაგაბრტყელებს ცემით“. ჩემმა ძმამ დამა-რიგა, როგორ უნდა მეჩხუბა: „მეტოქე ახლოს არ მოუშვა, წიხლე-ბით. მოიგერიე, ვინემ სიქას არ გააცლი, მერე კი დრო უხელთე, ხალათში ჩაეჭიდე და კბილებში თაური ხეთქე“. ჩემმა ძმამ ისიც მაჩვენა, თაური როგორ უნდა გამერტყა. შუბლი კი არა, თურმე ის ადგილი უნდა დააძგერო, თმა რომ იწყება, იქ ყოფილა ძვალი ყველაზე მაგარი. თან სწრაფად უნდა დაუშვა ხელები, რომ მეტო-ქემ დრო არ იხელთოს და მუცელში მუხლი არ ჩაგაზილოს. „თა-ურს არაფერი სჯობია, — მეუბნებოდა ჩემი ძმა, — თუ მარჯვედ გა-არტყი, ვისაც გინდა დაარეტიანებ“. მაგრამ ახლა გიჟივით ვეძგე-რე ორივეს და მაინც ვაჯობე. ტერესას რომ ეკურკურებოდა, იმას ხელიც არ გაუნძრევია, მიწაზე დაეცა და ღრიალს მოჰყვა. მისი ძმაკაცი კი ათიოდე ნაბიჯზე გაჩერდა და იქიდან მიყვიროდა: „ნუ

სცემ, შე ნაძირალავ, ნუ სცემ!“ მე კი მაინც ვუზაპუნებდი და ვუზა-პუნებდი წაქცეულს. შემდეგ მეორეს გამოვეკიდე, იცოცხლე, იმან მოძურწა, მაგრამ მაინც დავეწიე, უკნიდან ფეხი დავუდე და ისიც მიწას დაასკდა. ჩხუბი არ მოინდომა. ხელს გავუშვებდი თუ არა, გარბოდა. მაშინ პირველს მოვუბრუნდი. ამდგარიყო და პირს იწ-მენდდა. მინდოდა მელაპარაკა მასთან, მაგრამ რომ შევხედე, ბოღმა მომერია და ცხვირ-პირში ვხეთქე. დასაკლავი გოჭივით აჭყვირდა. ხალათში ვტაცე ხელი და ვუთხარი: „ერთხელ კიდევ გნახო ტერესთან, ცემით ამოგხდი სულს“. დედა შევაგინე, წიხ-ლიც ჩავაზილე და ალბათ არც მოვეშვებოდი, რომ ამ დროს ვი-ღაცა ქალს ყურით არ დავეთრიე. სულ თითები მიკაკუნა შუბლზე: „ჰაი, შე ნადირო, შე ხულიგანოო!“ — ჰკიოდა თან. იმან კი დრო იხელთა და გაშპა. ბოლოს გამიშვა ხელი იმ ქალმა და მეც ბელია-ვისტაში დავბრუნდი. სულაც არ მომანიჭა სიხარული ჩხუბმა. ეგე-თი რამ არასოდეს დამმართნია. წინათ თუ ტერესას დიდხანს ვერ ვნახავდი, სევდა ამიტანდა, ახლა კი ბრაზი მომდიოდა, აღარაფე-რი მინდოდა. მეშინოდა, ტერესამ არ გაიგოს და არ შემიძულოს-მეთქი. მივედი ასე ბელიავისტას მოედნამდე, მაგრამ შინ გულმა არ გამიწია. მოვბრუნდი ისევ და საენს პენიაზე წავედი ბარში. კნაჭა იქ დამხვდა, დახლთან იჯდა და ჩინელს ემუსაიფებოდა. „რა მოგივიდა?“ — მკითხა. წინათ ტერესაზე არავისთან მილაპარაკ-ნია, ახლა კი მომინდა ვიღაცისთვის გადამეშალა გული. ჰოდა, დავუფქვი ყველაფერი კნაჭას, როგორ გავეცანი პირველად ამ ოთხი წლის წინათ, როცა ჩვენს მეზობლად გადმოსახლდნენ. კნაჭა დინჯად მისმენდა, ერთხელაც არ გაუკრეჭია. შიგადაშიგ თუ ჩაურთავდა: „შეხე ერთი“, „დალახვროს ეშმაკმა“. „აი, თურმე რა ყოფილა!“ მერე კი მითხრა: „ყურებამდე შეგყვარებია, ძმაო. მეც შენს ასაკში შემიყვარდა პირველად, ოღონდ შენსავით არა. დიდი უბედური ამბავია. გამობენტერებული დადიხარ, ყველაფერი ფე-ხებზე გკიდია. ყველაფერი შეცვლილი გეჩვენება, ერთ წამში

იმისთანა რაღაცას ჩაიდენ, მერე მთელ სიცოცხლეში ვერ გამოასწორებ. მე მამაკაცებს ვგულისხმობ. ქალების საქმე სხვაა — ეშმაკები არიან, თუ ხეირს აძლევთ, მაშინ შეგიყვარებენ ხოლმე კაცს. არ მიაქცევ ყურადღებას, გადაგიყვარებს და სხვას გაეკიდება. იმათ რა! ისე კი ნუ სწუხარ მაგაზე. ღმერთია მოწმე — დღესვე მოგარჩენ. მე მაგ ციებ-ცხელების კარგი წამალი ვიცი". საღამომდე მასვა არაყი და ლუდი. გული რომ ამერია, თვითონვე მომეხმარა, მუცელზე ხელს მაჭერდა. შემდეგ ნავსადგურში წამიყვანა, რომელიღაც დუქანში, მერე რომელიღაც ეზოში შხაპი გადამავლებინა, იქიდან ერთ კაფეში შემიყვანა, ხალხით რომ იყო გაჭედილი, და პილპილიანი კერძი მაჭამა. მერე ტაქსში ჩავსხედით, შოფერს რაღაც მისამართი უთხრა. „ბარდაგში თუ ყოფილხარ?" — მკითხა. „არა-მეთქი". „იქ მოგარჩენენ, — მითხრა, — ოღონდაც კი შეგვიშვან". კარი ვიღაც ბებრუხანამ გაგვიღო. დამინახა თუ არა, მართლაც ძალიან გაწყრა: „ხომ არ შეიშალე? უწლოვანი მომითრიე ახლა? ყოველ ხუთ წუთში პოლიციის მაძებრები მოდიან, ლუდი რომ მუქთად წრუპონ". მაგრამ ბოლოს მაინც შემიშვა. „ოღონდაც პირდაპირ ოთახში დურთეთ თავი და დილამდე იქიდან ცხვირი არ გამოყოთ". კნაჭამ ისე სწრაფად გამაქანა, ვერც მოვასწარი ვინმე დამენახა. მეორე სართულზე ავედით. ბებრუხანამ კარი გააღო და ოთახში შეგვიშვა. კნაჭას სინათლე არ აუნთია. ბებრუხანამ გვითხრა: „თორმეტიოდე ბოთლ ლუდს გამოგიგზავნი. ეს ძუძუმწოვარაც აქ გყავდეს, ოღონდაც სალაროში ფული მეტი დატოვე. გოგოებს კი ახლავე გამოგიგზავნი. სანდრას ვეტყვი, ლაწირაკები იმას უყვარს". დიდი ოთახი იყო, ჭუჭყიანი. შუაში საწოლი — იდგა, ზედ წითელი საბანი ეფარა, ქვემოთ ღამის ქოთანი ჩანდა. კიდევ ორი სარკეც იყო: ერთი ჭერზე და მეორე კედელზე. ტიტველი კაცებისა და ქალების სურათებით იყო აჭრელებული კედლები, ზოგი ნახატი და ზოგი დანით ნაჩხაპნი. მერე

ორი ქალი შემოვიდა, ბლომა ლუდის ბოთლები შემოიტანეს. როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ კნაჭას, ჯერ გადაკოცნეს, მერე მუხლებზე დაუსხდნენ და შეუხიცინეს. კაცმა არ იცის, რაებს როშავდნენ. ერთი ქალი მულატი იყო — გამხდარი მაღალ-მაღალი, ოქროს კბილი ჰქონდა. მეორე უფრო თეთრი იყო და უფრო მსუქანიც. მულატი უფრო ლამაზი იყო. ორივენი მემასხრებოდნენ და კნაჭას „უწლოვანთა გამხრწნელს“. ეძახდნენ. ჯერ ლუდი დალიეს, მერე კარი გამოაღეს, მუსიკის ხმა რომ გაეგონათ, და ცეკვას მოჰყვნენ. თავდაპირველად ჩუმად ვიჯექი, მერე, როცა დავლიე, მეც მოვედი იშტაზე. თეთრ ქალთან რომ ვცეკვავდი, ძუძუებს მაჭყლეტდა თავზე, ლამის ორივე გადმოუცვივდა გულისპირიდან. კნაჭა დათვრა და მულატ ქალს უბრძანა, სტრიპტიზი იცეკვეო. იმანაც ნიფხვის ამარა იცეკვა. კნაჭა უცებ ეცა და ლოგინზე გადაადგორა. თეთრმა ქალმა მე ჩამკიდა ხელი და მეზობელ ოთახში გამიყვანა. „პირველად ხარ?“ — მკითხა. არა-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ მიმიხვდა ტყუილს. ძალიან გაეხარდა, ყველაფერი გაიძრო, მოვიდა და მითხრა: „ღმერთმა ქნას, ბედს მწიოო“.

ლეიტენანტი გამბოა კაბინეტიდან. გამოვიდა და სწრაფი ნაბიჯით გადაჭრა მოედანი. სასწავლო შენობაში. რომ შედგა ფეხი, სასტვენის ხმაც გაისმა, — მორიგე ოფიცერი პიტალუგა იყო. დილის პირველი გაკვეთილი დამთავრდა და ახლა მესვენება იწყებოდა — კადეტები კლასებში იყვნენ. რუხი კედლების მიღმა ისეთი ზანზარი ისმოდა, თითქოს ჰაერში ურჩხული დატრიალებსო. გამბოამ წუთით შეიცადა კართან და სასწავლო ნაწილში ავიდა. სერჟანტ პესოას რვეულებში ჩაერგო ცხვირი და უნდოდ ათვალიერებდა.

— გამომყევით, პესოა..

პესოამ მეჩხერ ულვაშზე ჩამოისვა ხელი და გაჰყვა. კავალერისტივით გან-განზე ადგამდა ფეხებს. გამბოა ძალიან აფასებდა

ამ მარჯვე, საქმიან კაცს, ლაშქრობაში პირდაპირ შეუცვლელი იყო.

— გაკვეთილების შემდეგ პირველი ასეული შეკრიბეთ. კადეტებმა შაშხანები იქონიონ თან. სტადიონზე წაიყვანთ.

— იარაღი გინდათ შეამოწმოთ, სენიორ ლეიტენანტო?

— არა, საბრძოლო ჯგუფებად უნდა დავაწყოთ. ჰო, მართლა, პესოა, წინა სწავლებაზე წყობა ხომ არ შეცვლილა? შეტევა ხომ ჩვეულებრივი წესით მოხდა: ჯერ პირველი განყოფილება იყო, მერე მეორე და ბოლოს მესამე?

— არა, სენიორ ლეიტენანტო, — უთხრა პესოამ — პირიქით, სწავლებაზე კაპიტანმა ბრძანა, წინ ყველაზე პატარები გაუშვითო.

— ჰო, მართალია, — თქვა გამბოამ — კეთილი, სტადიონზე დაგელოდებით.

პესოამ ხელი აუღო და წავიდა. გამბოა ყაზარმებისკენ გატრიალდა. მოწმენდილი დილა იყო, არც ისე ნოტიო, ბორიო ოდნავ არხევდა ბალახს. გაცელქებული ლამა ხტუნვა-ხტუნვით დაქროდა მინდორზე, კამარას არტყამდა. ზაფხული მალე დადგება. სასწავლებელიც დაცარიელდება, ცხოვრება გაადვილდება, კვირაში სამჯერ მაინც შესძლებს ზღვაზე წასვლას. ამასობაში ცოლიც მოიმშობიარებს, მერე ერთად გაასეირნებენ ხოლმე პატარას საბავშვო ეტლით. სამეცადინოდაც დარჩება დრო. რვა თვე არც ეყოფა გამოცდებისთვის მოემზადოს. ამბობენ, კაპიტნის ჩინზე ოცი ადგილი იქნება, მსურველი კი — ორასამდეაო.

კანცელარიაში კაპიტანი საწერ მაგიდას უჯდა. თავი არ აუღია. გამბოა სამხედრო სწავლების პატაკს ათვალიერებდა, როცა მოესმა:

— ერთი მითხარით, ლეიტენანტო...

— დიახ, სენიორ კაპიტანო.

— თქვენ რას ფიქრობთ? — კაპიტანი გარიდო წარბშეჭმუხნილი

შეჰყურებდა — გამბოამ პასუხი დაახანა.

— არ ვიცი, სენიორ კაპიტანო, — თქვა მერე, — ვერაფერს ვიტყვი. გამოძიება უკვე დავიწყე. იქნებ გაირკვეს რამე

— მაგაზე არ მითქვამს, — უთხრა კაპიტანმა — შედეგზე მოგახსენებთ. იფიქრეთ კია, რა შედეგი მოჰყვება?..

— დიახ, ფრიად საგულისხმო შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

— საგულისხმო? — კაპიტანს გაეღიმა, — დაგავიწყდათ, რომ ეს ბატალიონი. მე მემორჩილება, პირველ ასეულს კი თქვენ მეთაურობთ? როგორადაც არ უნდა დამთავრდეს, მე და თქვენ ხეირი არ დაგვეყრება.“ — მე მაგაზეც ვიფიქრე, სენიორ კაპიტანო. მართალი ბრძანდებით. არ იფიქროთ, რომ ეს ყველაფერი ძალიან მომწონდეს.

— როდის ელით დაწინაურებას? — გაისად.

— მეც ასევე, — წაილაპარაკა კაპიტანმა, — გამოცდები არ იქნება იოლი, წლიდან წლამდე მცირდება ადგილები. მოდი, პირდაპირ ვილაპარაკოთ, გამბოა. მე და თქვენ ჩინებული ნამსახურობის ნუსხა გვაქვს, უზადო ნუსხა. პასუხი კი ჩვენ მოგვეთხოვება. ის კადეტი გრძნობს, თქვენ რომ მხარს უჭერთ. მოელაპარაკეთ, დაარწმუნეთ. სჯობს ეს ყველაფერი დავიწყებას მიეცეს.

გამბოამ ჯიქურ შეხედა კაპიტან გარიდოს — შემიძლია გულახდილი ვიყო?

— მეც ეგ მინდა, გამბოა. მე გელაპარაკებით არა როგორც უფროსი, არამედ როგორც ამხანაგი.

გამბოამ საქაღალდე თაროზე ჩამოდო და საწერ მაგიდას მიუახლოვდა.

— დაწინაურება მე თქვენზე ნაკლებ არა მსურს, სენიორ კაპიტანო. თავს არ დავზოგავ, რომ ეს დავიმსახურო. თუმცა აქ დაწინაურება მაინც არ მინდა. ამ ბიჭებთან თავს რატომღაც კარგად ვერ ვგრძნობ. მაგრამ სასწავლებელმა კი ერთი რამ მასწავლა: დისციპლინას გულისხმიერად მოვეკიდო: დისციპლინის გარეშე

ყველაფერი შეიძლება წაირყვნას და დაიღუპოს. ჩვენი ქვეყანა იმიტომაცაა ამ დღეში, რომ არც დისციპლინა. გვაქვს და არც წესრიგი. მხოლოდ ჯარს შერჩა კიდევ მთლიანობა, შერჩა ჯანსაღი სული მისი წყობისა და ორგანიზაციის წყალობით. თუ მართლაც ეს ბიჭი ვიღაცამ მოჰკლა, თუ მართლაც კადეტები ჩვენთან სპირტიან სასმელებს სვამენ, საგამოცდო ბილეთებს იპარავენ და ჰყიდიან, — ვგრძნობ, რომ პასუხისმგებელი მე ვარ ამაზე, სენიორ კაპიტანო, და ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გამოვარკვიო ეს ყველაფერი.

— თქვენ აჭარბებთ, გამბოა, — თქვა კაპიტანმა. ცოტა არ იყოს შეცბუნებული ჩანდა. როგორც ალბერტოსთან ლაპარაკისას, ახლაც ბოლთას მოჰყვა — მე არ ვამბობ, ყველაფერი დავიწყებას მიეცეს-მეთქი. რაც შეეხება სპირტიან სასმელებს და საგამოცდო ბილეთებს, ცხადია, ამაზე უნდა დაისაჯონ. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯარი პირველ ყოვლისა ბალღს მამაკაცად აქცევს. მამაკაცები კი თამბაქოსაც ქაჩავენ, სვამენ კიდეც, ბანქოს თამაშობენ და გარყვნილ ცხოვრებასაც ეწევიან. კადეტებმა იციან: თუ ჩავარდნენ, სასწავლებლიდან გაირიცხებიან. რამდენიმე კიდეც გარიცხეს. მხოლოდ ყველაზე მარჯვენი იძვრენენ ხოლმე თავს. ვაჟკაცი რომ დადგეს შენგან, უნდა გამოსცადო ხიფათიც, უნდა იყო გულადი და მამაცი. აი, რას გვაძლევს ჯარი, გამბოა, მარტო დისციპლინით შორს ვერ წახვალ. შემართება და მოხერხებაც საჭიროა. კარგი, კარგი, ამაზე სხვა დროს ვიკამათოთ. ახლა მე სწორედ მეორე ამბავი მაწუხებს. პოლკოვნიკის ყურამდე რომ მიაღწიოს ამ ამბავმა, ჩვენთვის ფრიად სავალალო შეიძლება აღმოჩნდეს.

— მაპატიეთ, სენიორ კაპიტანო, — უთხრა გამბოამ, — მეც თქვენი აზრისა ვარ: ვინემ არაფერი ვიცოდი, ჩემი ასეულის კადეტებს შეეძლოთ რაც უნდათ ეკეთებინათ. მაგრამ ახლა არ შემიძლია

განზე დავრჩე, თორემ მათ თანამზრახველად ვიგრძნობ თავს. ახლა მე ვიცი, რომ ყველაფერი რიგზე როდია. კადეტმა ფერნანდესმა პირში მითხრა, სამივე რაზმეული რომ დიდი ხანია მასხარად მიგდებს, ბუზადაც არ მთვლის.

— ეგენი აქ დაკაცდნენ, გამბოა. აქ ნებიერი ბიჭები მოვიდნენ, მაგრამ აბა ახლა შეხედეთ. — მე გავხდი მაგათ ნამდვილ მამაკაცებად, — თქვა გამბოამ, — გამოძიებას რომ დავამთავრებთ, თუ საჭირო იქნა, ჩემი ასეულის ყველა კადეტს ოფიცერთა საბჭოში გავგზავნი.

კაპიტანი შედგა.

— ფანატიკოსი ბერი ხომ არა ხართ, გამბოა, — ხმას აუმაღლა მან — ხომ არ გინდათ მთელი მომავალი გაიფუჭოთ?

— თუ ოფიცერი თავის მოვალეობას ასრულებს, იგი მომავალს არ იფუჭებს, სენიორ კაპიტანო.

— მოიქეცით, როგორც გენებოთ, — თქვა კაპიტანმა და ისევ ბოლთა განაგრძო — მერწმუნეთ, თქვენთვის სასურველად არ დამთავრდება, ნურც ჩემი იმედი გექნებათ.

— რა თქმა უნდა, სენიორ კაპიტანო. ნება მომეცით წავიდე.

გამბოამ ხელი აუღო, მიტრიალდა და თავის ოთახში წავიდა. მაგიდაზე ქალის სურათი იდო. ჯვრისწერამდე გადაეღო სადღაც ქალაქგარეთ; გამბოამ არც იცოდა, სად. ერთ წვეულებაზე გაეცნო, როცა სკოლაში სწავლობდა; მაშინ ტანწვრილი გოგო იყო და თმაგაშლილი დადიოდა. სურათზე ხის ძირას იდგა და იღიმებოდა, შორს მდინარე ჩანდა. გამბოამ ერთხანს უცქირა სურათს, მერე ისევ პატაკებს და მოხსენებით ბარათებს ჩაუკირკიტდა. შემდეგ საკლასო ჟურნალებიც დაკვირვებით გადაათვალიერა. ნაშუადღევისთვის გამოვიდა ეზოში. ორი ჯარისკაცი პირველი რაზმეულის ყაზარმას ალაგებდა, მის დანახვაზე წელში გაიჭიმნენ.

თავისუფლად, უთხრა გამბოამ, — ვინ ალაგებს ხოლმე ამ ყაზარმას? თქვენ? — მე, სენიორ ლეიტენანტო, — უთხრა ერთმა და

თავის ამხანაგზე მიუთითა, — ეს მეორეს ალაგებს.

— წამოდით ჩემთან.

შუა ეზოში გამბოა ჯარისკაცს მოუბრუნდა, თვალი თვალში გაუყარა.

— ცუდადაა შენი საქმე.

ჯარისკაცმა თვალები დაჭყიტა. მოსულელო პირისახე. ჰქონდა, უწვერ-ულვაშო. არაფერი უთქვამს, თითქოს იმის დაშვებაც არ უნდოდა, რომ რაღაც დააშავა.

— რატომ არ წარმოადგინე მოხსენებითი ბარათი?

— მე უკვე წარმოვადგინე, სენიორ ლეიტენანტო. ოცდათორმეტი საწოლია, ოცდათორმეტი კარადა. ოღონდაც სერჟანტს მივეცი ბარათი.

— მაგაზე არ გეუბნები, თავს ნუ იკატუნებ. რატომ არ მომახსენე სასმელების, სიგარეტების, ბანქოს ამბავი?

ჯარისკაცს უარესად გადმოეკარკლა თვალები, მაგრამ არაფერი თქვა.

— რომელ კარადებშია?

— რა, სენიორ ლეიტენანტო?

— რომელ კარადებში მალავენ არაყსა და ბანქოს?

— არ ვიცი, სენიორ ლეიტენანტო. ალბათ მეორე ყაზარმაში.

— თუ მოგიტყუებივარ, იცოდე, თხუთმეტი დღით ჩაეყუდები, — თქვა გამბოამ — რომელ კარადებში ინახავენ სიგარეტებს?

— არ ვიცი, სენიორ ლეიტენანტო, — ჯარისკაცმა თავი დახარა და დაატანა — ალბათ ყველგან.

— სასმელს?

— ალბათ ყველგან არა..

— კამათლებს?

— ალბათ ამასაც ყველგან არა.

— რატომ მოხსენებითი ბარათი არ წარმოადგინე? — მე ჩემი თვალით არაფერი მინახავს, სენიორ ლეიტენანტო. კარადებში

ვერ შევიხედავ, იმიტომ, რომ დაკეტილია და გასაღები კადეტებს თან მიაქვთ. ეჭვი მაქვს, თორემ თვალით არ მინახავს.

— სხვა რაზმეულებშიც ასეა?

— მგონი კი, სენიორ ლეიტენანტო. ოღონდაც მთლად ისე არა, როგორც პირველში.

— კარგი, — წაილაპარაკა გამბოამ, — დღეს საღამოს მე ვარ მორიგე. შენ და დანარჩენი ჯარისკაცები, ვინც ალაგებთ, სამ საათზე ჩემთან გამოცხადდით.

— დიახ, სენიორ ლეიტენანტო.

V

„რა ლაპარაკი უნდა, ყველას ჩაგვავლეს. ქაჯ-ეშმაკების ხრიკებია, მორჩა და გათავდა. ჯერ მწყობრში გვაყურყუტეს, მერე ბარაკში შეგვლალეს. მაშინვე ვთქვი ჩემთვის: „ნაღდში ვიღაც ჩათლახმა დაფქვა“. კი, კი, იაგუარმა გაგვცა, ამას წყალი არ გაუვა. რომ თქვეს, კარადები გახსენითო, თვალები შუბლზე ამივიდა: „გამაგრდი, ძმაო, მეორედ მოსვლა იწყება“, — გადმომილაპარაკა ვალიანომ და მართალიც იყო. „ავლადიდებას ამოწმებთ, სერჟანტო?“ — ჰკითხა არასპიდემ. მკვდრისფერი დადებოდა იმ საცოდავს. „ვაჟკაცობას თავი გაანებე, — მიუგო, პასუხად პესოამ, — იდექი შენთვის და თუ შეიძლება მოკეტე“. თითქოს მეხი დამეცა, ძარღვები სიმებივით დამეჭიმა. ბიჭები მთვარეულებს ჰგვანან. ყველანი თითქოს სიზმარში ვართ. გამბოა კარადასთან დგას, ვირთხაც იქვეა. „აბა, აბა, ჭკუით! კარადა გახსენით და მორჩა! ვინ მოგცათ ნება, ხელი შეჰყავითო?“ მართლაც რა აზრი ჰქონდა? მაინც ყველანი გავებით, ერთი ნუგეშია, იაგუარს პირველს მოხვდა. აბა, მის გარდა ვინ იტყოდა არაყისა და ბანქოს ამბავს? ისე

კი ვერ გამიგია, მაინც რად გაგვყარეს იარაღით გარეთ? ვინძლო გამბოა გუნებაზე არ იყო და ჩვენზე უნდოდა ჯავრი ეყარა, ტალახი გვეხილა. კიდეც რომ იკრიჭებოდნენ ზოგიერთები. ამან ხომ ამადუღა და გული ამირია. მაგათი ქოქი არ იყოს — ვერ გაუგიათ, რა ხათაბალაში გავეხვიეთ. ისე კი მართლა სიცილით გაიჭაჭებოდი კაცი, ვირთხა რომ ყოველ კარადაში თავფეხიანად მიძვრებოდა. ეგ ჯუჯა, ეგა, ლამის ეფლობოდა ძონძებში. მუხლებზე ხოხავდა ოხერი, რა არის გამბოასთვის ეჩვენებინა, რა მუყაითი ვარო, ჯიბეებში იქექებოდა და თან ნიშნის მოგებით იძახდა: „აი, თურმე სად გვქონია სიგარეტები, ამისი ესა და ისა, აი, ეს კი დიდი კოხტაპრუწა ბრძანებულა — „ჩესტერფილდს“ ეწევა. წვეულებაზე ხომ არ იყავით მიპატიჟებული? ოჰო, ჭურჭელიც ამას მიქვია!“ ადამიანის ფერი არ გვედო არც ერთს;

მადლობა ღმერთს, ყველა კარადაში აღმოაჩინეს რაღაცა. ყველაზე მეტად მაინც იმათ მოხვდება, ვისაც ბოთლები უპოვეს. ჩემი თითქმის ცარიელი იყო. მე ვუთხარი, ესეც ჩაინიშნე-მეთქი. მაგრამ იმ არამზადამ ჩაიბურტყუნა: „ხმა-კრინტი, ყეყეჩო“. აი, ვინც მართლა ნეტარებდა პირუტყვივით, ეს ლეიტენანტი ეყო. წარამარა ჩაჰკითხავდა: „რა თქვით, რამდენიო?“ — „ორი დასტა სიგარეტი და ორი კოლოფი ასანთი, სენიორ ლეიტენანტო“, და გამბოაც ნელა იწერდა რვეულში, სიამოვნებას იგრძელებდა. „ნახევარი ბოთლი რა?“ „არაყი, სენიორ ლეიტენანტო, მარკა „იკის მზე“. ქოჩორამ ისე გადმომხედა, მივხვდი, ჯავრი ყელში მოწოლოდა. მაშ, ძმაო, მოგვითავეს ბოლო-ბოლო ხელი. სხვები პირდაპირ საცოდავი სანახავები იყვნენ, ვერამც და ვერამც ვერ გაეგოთ, რა. ეშმაკად მოეგუნებათ ოფიცრებს კარადების შემოწმება. გამბოა და ვირთხა რომ წავიდნენ, ქოჩორამ მითხრა: „იაგუარმა გაგვცა, სხვამ არავინ. აკი დაიფიცა, მე თუ ჩავვარდი, ყველას შავი დღე დაგადგებათო, ნაძირალა და გამცემი ეგა“. არა, თუ საბუთი არა გაქვს, კაცზე ამისთანა სიტყვები არ უნდა თქვა,

თუმცა, ჩანს, ასე უნდა იყოს.

ოღონდაც ვერ გამიგია, სტადიონზე რაღად გაგვყარეს. ესეც იაგუარის ბრალი იქნება, იმან ჩაუყაჭა ალბათ ჩვენი ოინების ამბავი და გამბოამაც თქვა: „მე — მაგ მურდლებს ღდინს გავაცლიო“. კლასში ვისხედით, ვირთხა რომ წამოგვადგა თავს: „აბა, ჩქარა დაეწყვეთ, კაი საჩუქარი გელით“. „ვირთხა, ვირთხა!“ — ავღრიალდით ჩვენ. „ლეიტენანტმა ბრძანა ასე. აბა დაეწყვეთ და ბარაკებისკენ მოუსვით. ან იქნებ ლეიტენანტს გინდათ დავუძახო?“ დავეწყვეთ და წავედით. ბარაკის კართან გამოგვიცხადა: „თოფები დაინაწილეთ, ერთი წუთი მომიცია. რაზმეულის მეთაურო, ბოლო სამზე მოხსენებით ბარათს წარმომიდგენთ“. ვაგინეთ, მაგრამ რა ვაგინეთ და მაინც ვერ გავარკვიეთ, რა ხდებოდა. სხვა რაზმეულის კადეტები იკრიჭებოდნენ ჩვენი შემყურე, სად ნახულა — შუადღისას სამხედრო სწავლება გამართონ თოფებით და ისიც სტადიონზე. ან იქნებ ლეიტენანტი შეცდა ჭკუაზე? იგი ფეხბურთის მოედანზე გველოდა, ხარბად მოგვჩერებოდა ყველას. „სდექ, — თქვა ვირთხამ, — დაეწყვეთ სალაშქრო რიგზე“. გიყვარდეს, ილანძღებოდა და იგინებოდა ყველა: მოდი და ნუ შეიგინებ, როცა სადილობამდე სწავლებას დაგინიშნავენ და ისიც სკოლის ფორმაში. იქამც მაგის დედას უხოხავს მუცლით სველ, ბალახზე — ისედაც სიქა გვქონდა გავლილი სამი საათის მეცადინეობით კლასში. ახლა გამბოა წამოდგა წინ და მთელი ხმით გვიღრიალა: „დაეწყვეთ ერთმანეთის უკან სამ-სამად, მესამე ნაწილი წინ — პირველი — უკან!“ ვირთხა გვაჩქარებს: „ჩქარა, ზარმაცებო, ცოცხლად, ცოცხლად-მეთქი?“ გამბოა ბღავის: „ათ-ათი მეტრის დაშორებით დადექ, როგორც შეტევის წინ!“ იქნებ ომია და მინისტრმა ბრძანება გასცა, საჩქაროდ მოგვამზადონ? ჩვენ ან სერჟანტები ვიქნებით ან ოფიცრები. კარგი იქნება მთელი არიკა გადაგვექელა ცეცხლით და მახვილით, ყველგან აგვეფრიალები-

ნა პერუს დროშა — სახურავებზე, ფანჯრებზე, მანქანებზე; ამბობენ, ჩილელი ქალები ყველაზე ლამაზებიაო... მაგრამ არა მგონია, ომი იყოს, თორემ რაღა მარტო პირველ რაზმეულს გააფრთხილებდნენ. „რა დაგემართათ? — გაჰყვირის გამბოა — ჰეი, მსროლელნო! დაყრუვდით თუ აზრი წაგერთვათ? მე ხომ გითხარით — დაშორება — ათი მეტრით და არა ოცით. რა ჰქვია ამ ზანგს?“ — „ვალიანო, სენიორ ლეიტენანტო“. უნდა გენახათ ვალიანოს სიფათი, გამბოამ რომ ზანგი დაუძახა. „მაშ რატომ დადექით ოც მეტრზე, როცა ათი-მეთქი, გითხარით?“ — „მე მსროლელი არა ვარ, სენიორ ლეიტენანტო, აქ ჩვენ ერთი გვაკლია“ — „ოჰო, მიაკერეთ იმ ერთს ექვსი საჯარიმო“ — დაიძახა გამბოამ. „ეგ შეუძლებელია, სენიორ ლეიტენანტო, — თქვა ვირთხამ — იგი მკვდარია. ეგ კადეტი არანა გახლდათ“. მართლა ყეყეჩი უნდა იყო კაცი! საქმე რაღაც არ გამოდიოდა, გამბოა სულ ცოფებს ყრიდა... „მაშინ ეგ ადგილი მეორე მწკრივის მსროლელმა დაიჭიროს“. „რა ეშმაკად არ ასრულებს ბრძანებას?“ — იღრიალა მერე. ჩვენ ისევ გადავხედეთ ერთმანეთს. მაშინ იყო აროსპიდემ მოახსენა: „ეგ კადეტიც არ გახლავთ, კარცერშია“, — „მაშ თქვენ დადექით, — გამოაცხადა გამბოამ — ბრძანება ულაპარაკოდ შესრულდეს!“ მერე ერთი ბოლოდან მეორემდე გვარბენინა. სტვენა — მიტრიალდი, სტვენა — ადექი, გაიქეცი, დაწექი — დროის შეგრძნებასაც ჰკარგავ და საკუთარი თავისაც... ხოლო ცოტა რომ შევხურდით, გამბოამ დაგვაწყო სამ-სამად და ყაზარმაში მიგვიყვანა. იქ თვითონ შეძვრა კარადებში. ვირთხაც იმას მიჰყვა, მაგრამ ჯუჯაა ეგ უბედური და სამპირი ოფლი გადასკდა. მაშინ დამკრა სწორედ თავში: ნაღდში იაგუარმა გაგვყიდა, საკუთარი ტყავი რომ გადაერჩინა. არ ყოფილა ამქვეყნად პატიოსანი კაცი! ვინ იფიქრებდა, ამას თუ ჩაიდენდა. „ყველამ თავისი კარადა გააღოს და მერე ერთი ნაბიჯით უკან დაიხიოს. ვინც ხელს ჩაჰყოფს — თავის თავს დააბრალოს“, — გეგონება, ცირკის მსახიობები ვიყოთ

და შეგვიძლია ოფიცრის ცხვირწინ ბოთლის გაქრობა. ტილოზე რომ დაყარეს მთელი ნადავლი და წაიღეს, ყველამ ჩამოვყარეთ ყურები. მე საწოლზე დავწექი, წკავწკავაც არ იყო — სადილობა ახლოვდებოდა და ალბათ სამზარეულოში — გაშპა ნასუფრალისთვის — თორემ ყურებზე მოვფხანდი და გულს გადავაყოლებდი. თითქოს გოგო გყოლია გვერდზე, ისე გშველის ხოლმე ეს ამბავი. ალბათ ასეა, როცა ცოლს ითხოვ. თუ ცუდ გუნებაზე ხარ, დაღლილი — მაშინვე მოვა შენი ქალი, გვერდზე მოგიწვება. აგერ, გარინდული წევს, არ ირხევა. მე ჯერ არაფერს ვეუბნები, მერე ხელს გადავუსვამ, შევუღიტინებ, ვუჩქმეტ. ისიც გაიცინებს, წამოიკივლებს, მერე მივესიყვარულები, თმას გადავუგრეხ, ტუჩებსა და ცხვირზე ხელს დავაფარებ. სული რომ შეეხუთება, გავუშვებ, გემოზე დავჯგვლიმავ, მერე ვაკოცებ და ვეტყვი ტკბილად: „ჩემო შავთვალავ, კატუნი, გოგონი, ცუგო“. ამ დროს ვიღაცამ იბღავლა: „თქვენი ბრალია ყველაფერი!“ „ვინ ჩვენი?“ — მივაძახე. „იაგუარისა და თქვენ სამის“, — მომახალა აროსპიდემ. მე მისკენ გავექანე, მაგრამ არ გამიშვეს, შუა გზაზე გამქაჩეს. ის კი მაინც ბღავის: „ჰო, თქვენი, თქვენი, რამდენჯერ გაგიმეორო?“ ვაჰ, როგორ გაცოფდა, სულ დორბლი სდიოდა პირიდან, თვითონ კი ვერ გრძნობდა. ბიჭებს უყვირა: „გამოუშვით, ნუ იჭერთ, მე მაგის არ მეშინია, წიხლს ვკრავ და გავაგორებ, აქვე გავაფრთხობინებ სულს“. მე კი ისე შემკრეს, განძრევა არ შემეძლო. „ჩვენს ყოფაში ჩხუბის ატეხა არა ღირს, — თქვა ვალიანომ, — რა იცი რა მოხდება, ამიტომ ყველა ერთად უნდა ვიყოთ“. „აროსპიდე, — ვუთხარი მე, — შენისთანა ნაძირალა მეორე არ მინახავს, საქმე ცუდად რომ შეტრიალდა, შენივე ამხანაგებს სვრი ლაფში“. „სტყუი, — თქვა აროსპიდემ, — მე მუდამ თქვენს გვერდზე ვიყავი უფროსების წინააღმდეგ, როცა შემეძლო, გეხმარებოდით. ახლა კი, რაც მოხდა, იაგუარის, ქოჩორასი და შენი მიზეზით მოხდა. აქ რაღაცა ამბავია. როგორც კი იაგუარი კარცერში ჩასვეს, გამბოამ. მაშინვე

გაიგო, რა ხდება ჩვენს კარადებში“. აღარ ვიცოდი, რა მეთქვა, ქოჩორაც იმათ მიუდგა. „რა თქმა უნდა, იაგუარმა გაგვთქვა, — გაიძახოდა ყველა, — ცხვირში ძმრად უნდა ვადინოთ“. ამასობაში სასტვენის ხმა გაისმა — სადილის დრო იყო. მგონი, სასწავლებელში ყოფნის ხანს. პირველად არ დამიკარებია პირი თითქმის არაფერზე. ყელში არ გადამდიოდა“.

გამბოას დანახვაზე ჯარისკაცი წამოდგა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და ნახევრად შეტრიალდა, კარი რომ გაეღო. მაგრამ ლეიტენანტმა შეაჩერა, გასაღები გამოართვა და უთხრა: „საყარაულოში წადით, კადეტთან მარტო დამტოვეთ“. ჯარისკაცთა კარცერი საქათმის უკან იდგა. სტადიონისა და სასწავლებლის გალავნის შუა. ეს ვიწრო, დაგვაჯული. შენობა გამოუმწვარი აგურით იყო ნაშენი. კარცერში რომც არავინ მჯდარიყო, ჯარისკაცი მუდამ იდგა კართან. გამბოამ შეიცადა, ვინემ ჯარისკაცი მინდვრის გაღმა ყაზარმებისკენ წავიდოდა, და მერეღა გახსნა კარი. კარცერში სიბნელე იყო — გარეთ უკვე ღამდებოდა. მხოლოდ სარკმელი ჩანდა ვიწრო ხვრელივით. პირველ წუთს ვერაფერი გაარჩია და თავში გაუელვა, ალბათ გაიქცაო. მერეღა შეამჩნია, კადეტი რომ ტახტზე იწვა და ეძინა, თვალები დახუჭული ჰქონდა. გამბოა ერთხანს დაჩერებოდა, იქნებ გავიხსენოო, მაგრამ ვერ გაიხსენა, სხვა სახეებში ერეოდა, თუმცა რაღაც ნაცნობად ეჩვენა ეს ნაადრევად დაკავებული ნაკვთები: მაგრად მოკუმული ყბები, მოღუშული წარბები, გაყოფილი ნიკაპი. ჯარისკაცები და კადეტები მუდამ იჭმუხნებიან, უფრო ვაჟკაცური გამოვჩნდეთო. მაგრამ ამ კადეტმა ხომ არ იცის, გამბოა რომ აქაა. სხვებისგანაც საკმაოდ განსხვავდება ეს ბიჭი. კადეტების უმეტესობას შავგვრემანი პირისკანი და გამოკვეთილი ნაკვთები აქვთ. ეს კი თეთრია, თმა და წარბები თითქოს ქერა უჩანს. გამბოამ მხარზე შეახო ხელი

იაგუარს. შეახო ისე ნელა, თვითონვე გაუკვირდა, თითქოსდა მეგობარს აღვიძებდა. იაგუარი ჯერ შეიკუმშა, მერე თვალის დახამხამებაში გამართა ტანი. გამბოამ უმალ გასწია ხელი უკან. იმავე წუთს ქუსლის ქუსლზე კვრა მოესმა. ყველაფერი რიგზე იყო — იგი იცნეს.

— დაჯექით, — თქვა გამბოამ, — ჩვენ ბევრი სალაპარაკო გვაქვს.

იაგუარი დაჯდა. ახლა უკეთ გაარჩია ლეიტენანტმა მისი პატარა, მსუსხავი ბრჭყვიალა თვალები. ბიჭი ჩუმად, უმოძრაოდ იჯდა, და მაინც ამ დუმილსა და უძრაობაში ურჩობა იგრძნობოდა. ლეიტენანტს არ მოეწონა ეს.

— რად შემოხვედით სამხედრო სასწავლებელში?

პასუხი არ მიუღია. იაგუარი ტახტის ფიცარს ჩასჭიდებოდა, დინჯად, გოროზად იცქირებოდა.

— აქ ძალით შემოგიყვანეს? — რატომ გგონიათ, სენიორ ლეიტენანტო?

ხმაც თვალებს ესიტყვებოდა. ხომ ისეთი არაფერი უთქვამს, მაგრამ ამ დინჯად ნათქვამსაც მედიდური კილო დაჰკრავდა.

— მე მინდა ვიცოდე, რად შემოხვედით სამხედრო სასწავლებელში?

— სამხედრო მინდოდა ვყოფილიყავი — გინდოდათ? ახლა კი აღარ გინდათ?

ბიჭის პასუხი მტკიცე არ იყო. ოფიცრები რომ ჰკითხავდნენ კადეტებს, მომავალში რას აპირებთო, ყველა გაიძახოდა, მინდა სამხედრო გამოვიდეო. მაგრამ გამბოამ კარგად იცოდა, მხოლოდ რამდენიმე კაცი თუ ჩააბარებდა გამოცდებს სამხედრო სკოლაში — ჯერ არ ვიცი, სენიორ ლეიტენანტო, — მიუგო იაგუარმა ცოტა ხნის შემდეგ და გაჩუმდა — შეიძლება საავიაციო სკოლაში შევიდე — ორივე დუმდა, თითქოს მოლოდინით შეჰყურებდნენ ერთიმეორეს. ანაზდად გამბოამ მკვახედ ჰკითხა:

— იცით, კარცერში რატომ ჩაგსვეს?

— არა, სენიორ ლეიტენანტო.

— მართლა? გგონიათ, ისე, უმიზეზოდ?

— მე არაფერი ჩამიდენია.

— საამისოდ ისიც კმარა, რაც კარადაში აღმოგიჩინეს, — ნელა წაილაპარაკა გამბოამ — სიგარეტები, ორი ბოთლი არყის სასმელი, გასაღებების მთელი აცმა. თქვენი აზრით, ცოტაა?

ლეიტენანტი თვალს არ აშორებდა კადეტს. მაგრამ ბიჭი დუმდა, არ განძრეულა. არც შეშინება დასტყობია და არც გაკვირვება.

— სიგარეტები კიდევ ჯანდაბას, — განაგრძო გამბოამ — ერთი კვირა უსაშვოდ დარჩებით და მორჩა. სასმელი კი სხვა საქმეა. კადეტებს შინ ან გარეთ შეგიძლიათ დათვრეთ, მაგრამ აქ წვეთის დალევა აკრძალული გაქვთ — გამბოამ ერთხანს შეიცადა — კამათლებზე რაღას იტყვით? პირველი რაზმეულის საძინებელი წმინდაწყლის სათამაშო სახლია. ან ამდენი გასაღებები რად გინდოდათ? ამას რაღა ჰქვია? ქურდობა. რამდენი კარადა გატეხეთ? რამდენი ხანია თქვენს ამხანაგებს ქურდავთ?

— მე?

გამბოა წამით სასტად დარჩა, — იაგუარი დაცინვით შეჰყურებდა. მერე თვალი არ მოუშორებია, ისე გაიმეორა — მე?

— დიახ, — გამბოას ბრაზი მოერია, — აბა, ვინ?

— ყველა, — თქვა იაგუარმა, — მთელი სასწავლებელი — სტყუით. ლაჩარი ყოფილხართ — ცდებით, სენიორ ლეიტენანტო, მე ლაჩარი არა ვარ.

— თქვენ ქურდი ხართ, — განაგრძო გამბოამ, — ლოთი, მოთამაშე და ლაჩარი. მეტი არ მინდა, სამოქალაქო ფორმა გეცვათ ახლა.

— გამარტყამდით? — ჰკითხა იაგუარმა.

— არა, ყურში ჩაგავლებდი ხელს და გამასწორებელ კოლონიაში წაგათრევდი. აი, სად უნდა მიეყვანე შენს მშობლებს. მაგრამ ახლა გვიანაა, შენი საქმე წასულია. გახსოვს, სამი წლის წინათ რა გიბრძანეთ? წრეობანას მორჩით, ყაჩაღობანას თამაშს თავი გაანებეთ-მეთქი? გახსოვს ის საღამო?

— არა, არ მახსოვს.

— გახსოვს, — უთხრა გამბოამ, — თუმცა ეს. იქით იყოს. გგონია, ძალიან მარჯვე ხარ? შენისთანა მარჯვე ბიჭებს ადრე თუ გვიან კეხი ტყდებათ ჯარში. აქამდე ბედმა გაგიმართლა. ახლა კი შენმა საათმაც დაჰკრა.

— რატომ? მე არაფერი ჩამიდენია.

— წრე, საგამოცდო ბილეთები, ფორმის სამოსის ქურდობა, მოზრდილებზე თავდასხმა, მესამე კურსის კადეტების დაჩაგვრა და წამება. იცი, ვინა ხარ? სისხლის სამართლის დამნაშავე.

— ტყუილია, მე ისეთი არაფერი ჩამიდენია, რაც სხვას არ ჩაედინოს.

— ვინ სხვას? კიდევ ვინ იპარავდა საგამოცდო ბილეთებს?

— ყველა, ვინც არ იპარავდა, ის ყიდულობდა, ამ საქმეში ყველა გასვრილია.

— დამისახელე, ერთი მაინც დამისახელე. პირველი რაზმეულიდან ვინ იყო?

— გამრიცხავენ? — დიახ, იქნებ უარესიც გიყონ.

— კარგი, — თქვა იაგუარმა, ხმა არც გაბზარვია — მთელი პირველი რაზმეული ყიდულობდა ბილეთებს.

— ჰოო? კადეტი არანაც? — რა ბრძანეთ, სენიორ ლეიტენანტო? — არანა, — გაიმეორა გამბოამ, — კადეტი რიკარდო არანა.

— არა, მაგას, მგონი, თავის დღეში არ უყიდია. ეგ ლაჩარი იყო. დანარჩენი ყველა ყიდულობდა.

— რად მოჰკალი არანა? თქვი, უკვე ყველამ იცის. რისი გულისთვის?

— რა თქვით? — იაგუარმა მხოლოდ ერთხელ დაახამხამა თვალი.

— კითხვაზე მიპასუხე — ძალიან გულადი ხართ, ხომ? — იაგუარი ფეხზე წამოხტა — რაღაი ასეთი გულადი ხართ, პაგონები მოიხსენით. მე თქვენი არ მეშინია.

გამბოამ ელვის სისწრაფით ცალი ხელი ყელში წაუჭირა, ცალით კი კედელს მიაკრა. ვინემ ხროტინს დაიწყებდა, იაგუარმა მუშტი მოუქნია, მაგრამ მხოლოდ იდაყვი მოახვედრა და მკლავი ჰაერში გაუშეშდა. გამბოას მხარი ეტკინა, კადეტს ხელი უშვა და უკან დაიხია.

— მე შემიძლია მოგკლა, სრული უფლება მაქვს, შენს მეთაურს ხელი მომიქნიე. მაგრამ შენს ამბავს ოფიცერთა საბჭო გაარჩევს.

— პაგონები მოიძრეთ, — გაიმეორა იაგუარმა, — მე თქვენი არ მეშინია, თუმცა ჩემზე მეტი ღონე გაქვთ.

— რატომ მოჰკალი არანა? თავს ტყუილად იგიჟიანებ, მიპასუხე.

— მე არანა არ მომიკლავს. საიდან მოიტანეთ? რომელი მკვლელი მე მნახეთ? ან რისთვის უნდა მომეკლა? — შენ გაგცეს, — უთხრა გამბოამ, — ახლა უკვე გამოჭერილი ხარ.

— ვინ გამცა? — იაგუარი ერთი ნახტომით ზე წამოიჭრა, თვალები ნაღვერდლებივით აუგიზგიზდა.

— ხომ ხედავ! შენ თვითონ გაეცი თავი.

— ვინ გითხრათ ჩემზე? — გაიმეორა იაგუარმა, — მაგ ნაძირალას მართლა მოვკლავ.

— ზურგში ესვრი, ხომ? იგი ოცი ნაბიჯით შენზე წინ იყო. შენ მუხანათურად მოჰკალი. იცი, ამისთვის რა გელის?

— მე არავინ მომიკლავს, გეფიცებით, სენიორ ლეიტენანტო.

— მაგასაც ვნახავთ... გირჩევნია ყველაფერში გამოტყდე.

— მე გამოსატეხი არაფერი მაქვს! — შეჰყვირა იაგუარმა — კი, ბილეთები მომიპარია, მიქურდია, მაგრამ მარტო მე არა, ყველა

იპარავდა. ლაჩრები ფულს იხდიან, მათ მაგივრად რომ სხვამ მოიპაროს. მოკვლით კი არავინ მომიკლავს. მე მინდა ვიცოდე, რომელმა მეტიჩარამ მოგიტანათ ენა.

— გაიგებ, — უთხრა გამბოამ, — თვითონვე გეტყვის.

შინ მეორე დილას მივედი, ცხრა საათზე. დედა ზღურბლზე იჯდა. ჩემს დანახვაზე არც განძრეულა. „ჩუკუიტოში ამხანაგთან გავათენე-მეთქი ღამე“, ვუთხარი. არაფერი მიპასუხა. უცნაურად კი შემომხედა, თითქოს ეშინია, რაღაც ცუდი არ მიქნასო. ასე მიყურა ერთხანს. კინაღამ ცუდად გავხდი. ყელი მიშრებოდა, თავი მტკიოდა, და მაინც ვერ გავბედე დაწოლა. აღარ ვიცოდი, რა მექნა. ავდექი და რვეულებსა და წიგნებს დავუწყე ფურცვლა — თუმცა უკვე აღარაფრად მჭირდებოდა. მერე რკინეულობის უჯრაში ჩავძვერი. დედაჩემი კი უკან დამდევდა და თვალს არ მაშორებდა. მოვუტრიალდი და ვუთხარი: „რა იყო, ეგრე რად მიყურებ?“ „ეჰ, წასულია შენი საქმე, აღარაფერი გეშველება. ნეტა კი მომკვდომოდი“, — მითხრა და ისევ გარეთ გავიდა. კარგა ხანს იჯდა კიბეზე, თავზე შემოედო ხელები, იდაყვები კი მუხლებზე დაეყრდნო. ოთახიდან ვუყურებდი ჩუმად. რა დახეული კოფთა აცვია, როგორ დანაოჭებია კისერი, თმაც დაუვარცხნელი, აბურდული აქვს. მერე ნელა მივუახლოვდი და ვუთხარი: „თუ რამე გაწყენინე, მაპატიე“. დედამ ისევ შემომხედა. პირისახეც დანაოჭებოდა, ერთი ნესტოდან თეთრი ბალანი გამოჩროდა, კბილებიც ბლომად აკლდა. „შენს ღმერთს სთხოვე პატიება, — მითხრა, — თუმცა რაღას გიშველის, დაღუპული ხარ და ეგაა“, „გინდა პირობა მოგცე — მეტს აღარ ვიზამ-მეთქი?“ — ვკითხე. „რა აზრი აქვს? სახეზე გაწერია, რომ დაღუპული. ხარ. ისა სჯობია წადი და დაიძინო ნალოთარმა“.

ვეღარ დავწექი, ძილი გამიკრთა უკვე. რამდენიმე ხნის შემდეგ

გამოვედი და ჩუკუიტოს პლაჟისაკენ წავეხეტე. გუშინდელი ბიჭები იქ დამხვდნენ, კენჭებზე გაწოლილიყვნენ და ქაჩავდნენ. დახეული ტანსაცმელი კი თავქვეშ ამოედოთ. სხვა ბიჭებიც ბლომად იყვნენ, ზოგი წყლის პირას იდგა და ბრტყელ ქვებს ისროდა წყალში. მალე ტერესა და მისი დაქალებიც მოვიდნენ. ბიჭებს ხელი ჩამოართვეს, ტანთ გაიხადეს და წრედ დასკუპდნენ. ის ბიჭი ტერეს არ სცილდებოდა, თითქოსდა გუშინ არ მიმებეჟოს ამის გულისთვის. მერე წყალთან მივიდნენ. ტერე წიოდა: „ვაი, რა ცივი წყალია, მოვკვდები“. ბიჭი კი პეშვით იღებდა წყალს და აშხეფებდა. ისიც უფრო მეტად წიოკობდა, მაგრამ არ ბრაზობდა. მერე ორივემ გასცურა ზღვაში. ტერესა თევზივით ცურავდა, ის კი იპრანჭებოდა და სულ იძირებოდა. შემდეგ ამოვიდნენ და კენჭებზე დასხდნენ. ტერესა გაწვა, იმან საცვლები ბალიშივით ამოუდო თავქვეშ და ისე დაუჯდა გვერდზე, რომ ერთიანად დაენახა, მე ტერესას მკლავებს ვხედავდი მხოლოდ, მზეს რომ იჩრდილავდა. ბიჭი კარგად ჩანდა — გამხმარი ზურგი, გამოჩრილი ნეკნები და მოღრეცილი ფეხები ჰქონდა. თორმეტ საათზე ისევ წყალში ჩაძვრნენ. ბიჭი ვითომ გოგო იყო და, ტერე რომ წყალს აშხეფებდა, ცივი ხმით კიოდა. მერე კარგა შორს გაცურეს და ბღლარძუნი დაიწყეს, ვითომ იხრჩვებიანო. ბიჭი ჩაიძირებოდა, ტერე კი ხელებს იქნევდა და „მიშველეთო“ იძახდა, თუმცა აშკარა იყო, რომ ხუმრობდა. შიგადაშიგ ბიჭი უცბად ამოხტებოდა წყლიდან და ტარზანივით ღრიალებდა. თან იცინოდნენ. ჰოდა, რომ ამოვიდნენ, მე ტანსაცმელთან დავხვდი უკვე. არ მახსოვს სად გაქრნენ ტერეს დაქალები და მეორე ბიჭი, — არც დამინახავს, როგორ წავიდნენ. ჩემთვის თითქოს მთელი ქვეყანა გამქრალიყო.

პირველმა ტერემ დამინახა, — ბიჭი უკან მოსდევდა ასკინკილით, თავს იგიჟიანებდა. ტერეს არც გახარებია და არც გაკვირვებია, ხელიც არ გამოუწვდია ჩემთვის, მხოლოდ ეს მითხრა: „გამარჯობა, შენ აქა ხარ?“ მაშინ კი შემომხედა ბიჭმა და რომ მიცნო,

ჯერ გაქვავდა, მერე დაიხია, ქვას დაავლო ხელი და მომიქნია. ტერეს გაეცინა: „შენ ამას არ იცნობ? ეს ჩემი მეზობელია“. „მეტისმეტად გულადი მეზობელი გყოლია, — თქვა ბიჭმა, — აი, თავს რომ გავუტეხავ, მაშინ იქნება მოჭკვიანდეს“. დამავიწყდა, პლიაჟზე რომ ვიყავი და ვეღარ მოვზომე ნახტომი. ფეხები კენჭებში ჩამრჩა და მისგან ორ მეტრზე დავასკდი მიწას. ის კი გამოექანა და ქვა პირდაპირ სახეში მთხლიშა. თავზე თითქოს ცეცხლი წამეკიდა, ასე მეგონა, სადღაც მივცურავ-მეთქი. მაგრამ მალე მოვეგე გონს და დავინახე, ტერესა თავზარდაცემული, გაოგნებული დგას, ბიჭს პირი ღია დარჩენია — ყეყეჩივით მომჩერებია: იმის მაგივრად დრო ეხელთა და მივეჟეჟე, დგას გახევებული და მიყურებს, როგორ გადმომდის თქრიალით სისხლი. გადავახტი ტერეს და ბიჭი ქვეშ მოვიგდე. მუშტი-კრივი რომ მასთან არ დამჭირდებოდა, მაშინვე მივხვდი, ისე მოიმჩვარა ერთბაშად, ხელიც ვერ გაანძრია. ზედ მოვაჯექი და თავპირზე დავცხე მუშტები, ის მხოლოდ მკლავებს იფარებდა. მერე პეშვით მოვბოჭე კენჭები და შუბლსა და თმაში ჩავაზილე, ხელებს რომ მოიცილებდა თვალებიდან, პირში ვატენიდი. ვინემ პოლიციელი არ მოვიდა, კაცმა არ გაგვაშველა. პოლიციელმა ხალათში მტაცა ხელი და ისე გამომქაჩა, ხალათმა ფხრიწინი გაადინა. მერე კისერში მითაქა, მეც ქვა მოვარტყი მკერდში. „ჰაი, შე ქაჯო, შენა, ხელი თუ მოგკიდე, სული აღარც შეგრჩება“, — თქვა, ბუმბულივით ამიტაცა და ათჯერ მაინც მხეთქა ცხვირპირში, მერე კი მითხრა: „აბა, შეხედე, რა ჰქენი, შე უბედურო“. ბიჭი მიწაზე გაშოტილიყო და კვნესოდა. ვიღაც ქალები და ბავშვები დახვეოდნენ და ვიშვიშებდნენ. ყველა საშინლად იყო აღშფოთებული და პოლიციელს ეუბნებოდნენ: „თავი გაუტეხა მაგ ურჯულომ, მაგისთანას გამასწორებელ კოლონიაში უნდა უკრან თავი“. ფეხებზე არ მეკიდა, რას ამბობდნენ ქალები. მაგრამ ამ დროს ტერესას მოვკარი თვალი. პირზე ალმური ასდიოდა, გა-

ავებული მიყურებდა. „რა ცუდი და ტლანქი ყოფილხარ“ — მითხრა. „შენი ბრალია ყველაფერი, შე ძუკნა, შენა!“ — მივახალე მაშინვე. პოლიციელმა ტუჩებში ჩამარტყა: „გოგოს უზრდელად ნუ ელაპარაკები!“ ტერესა გაშტერებული მომაჩერდა, მე კი ზურგი შევაქციე და წავედი. „სად მიდიხარ? დადექი!“ — გამომეკიდა პოლიციელი. იცოცხლე, მე იმას მუშტები და წიხლები ვუბრაგუნე, ვინემ პლაჟიდან მიმათრევდა. პოლიციის უბანში ოფიცერმა უთხრა: „სულ ერთია, მაინც მალე ჩაგვივარდება ხელში უფრო უარეს საქმეზე. მაგისთანა სიფათის პატრონი, კოლონიისთვისაა დაბადებული“. პოლიციელმა ეზოში წამათრია, ქამარი მოიხსნა და ცემა დამიწყო. გიყვარდეს, მე ის ვარბენინე, დანარჩენი პოლიციელები უცქეროდნენ, ოფლში გახვითქული რომ დამდევდა, და სიცილით კვდებოდნენ. მერე ქამარი გააგდო იმ რეგვენმა და კუთხეში მომიმწყვდია. მაშინ კი მოვიდნენ სხვები და უთხრეს: „გაუშვი, წავიდეს, რა გინდა ამ პაცანასთან!“ წამოვედი, მაგრამ შინ აღარ მივბრუნებულვარ, პირდაპირ კნაჭა იგერასთან მივედი და იმასთან დავრჩი საცხოვრებლად“.

— ვერაფერი გამიგია, — თქვა მაიორმა — ვერაფერი.

მაიორი სქელი კაცი იყო, ღაჟღაჟა პირისახე ჰქონდა და პატარა წითურა ულვაშები. პატაკს რომ კითხულობდა, სულ თვალებს ახამხამებდა. ვინემ კაპიტან გარიდოს ახედავდა, — კაპიტანი საწერ მაგიდასთან დამდგარიყო და ფანჯრისთვის ზურგი შეექცია, საიდანაც რუხი ზღვა და პერლის გადახრუკული ვაკე მოჩანდა — ხელმეორედ გადაიკითხა ცალკეული ადგილები. პატაკი ათი გვერდი იყო, მანქანაზე ნაბეჭდი..

— ვერაფერი გამიგია, — გაიმეორა მან, — თქვენ მაინც ამიხსენით, კაპიტანო. ჩვენში რომელიღაცა ალბათ შეიშალა. იმედია, მე არა. რა დაეტაკა ლეიტენანტ გამბოას?

— არ ვიცი, სენიორ მაიორო. მეც გაკვირვებული ვარ, რამდენჯერმე ველაპარაკე, ბევრი ვუმტკიცე, ამისთანა პატაკის წარდგენა უგუნურებაა-მეთქი, სხვა რომ არაფერი...

— უგუნურება? — თქვა მაიორმა — არ უნდა მიგეცათ ნება, ეს ბიჭები კარცერში ჩაესვა. ანდა ეს რა გამოთქმებია? ამ ამბავს დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო, დაუყოვნებლივ.

— არავინ არაფერი იცის, სენიორ მაიორო, ორივე კადეტი ცალ-ცალკე საკანში ზის.

— გამბოას დამიძახეთ, ახლავე გამოცხადდეს აქ.

კაპიტანი სწრაფად გავიდა. მაიორმა ხელახლა გადაიკითხა პატაკი, თან კბილებით წითურა ულვაშებს იკვნეტდა და თან ფეხს ბრაზით ურტყამდა იატაკს. მაგრამ წვრილი კბილები ჰქონდა და ულვაშების ნაცვლად ზედა ტუჩი დაიკბინა მხოლოდ. რამდენიმე წუთის შემდეგ კაპიტანმა გამბოა შემოიყვანა.

— სალამი, — მაიორს სიბრაზისგან ხმა უწყდებოდა — საოცრად განმაცვიფრეთ, გამბოა. თქვენ ხომ სამაგალითო ოფიცერი ბრძანდებით, უფროსები გაფასებენ. ასეთი პატაკი როგორ წარმოადგინეთ? გაგიჟებულხართ და ეგაა. ეს ხომ ყუმბარაა, წმინდაწყლის ყუმბარა!

— დიახ, სენიორ მაიორო, — თქვა გამბოამ. კაპიტანი თვალს არ აშორებდა, ყბები ბრაზიანად უმოძრავებდა — მაგრამ ეს საქმე მე აღარ მემორჩილება. როგორც შემეძლო გამოვიძიე. მხოლოდ ოფიცერთა საბჭო.. — რაო? — გააწყვეტინა მაიორმა. — ხომ არ გგონიათ, ოფიცერთა საბჭო ამის გასარჩევად შეიკრიბება? ნუ სულელობთ რაღაცას. ლეონსიო პრადოს სასწავლებელში ასეთი აურზაური შეუძლებელია. ალბათ ჭკუაზე არა ვართ, გამბოა. ნეტა თუ გგონიათ, რომ ამ პატაკს მინისტრის ყურამდე მივიტან?

— მეც ეგ ვუთხარი, — ჩაურია კაპიტანმაც, — მაგრამ არ დამიჯერა.

— მოდით, გავარჩიოთ, — თქვა მაიორმა, — თავგზას ნუ დავკარგავთ. პირველ ყოვლისა სიმშვიდეა საჭირო. ვნახოთ, რაშია საქმე. რა ჰქვია იმ კადეტს, ვინც ეს მოგახსენათ?

— ფერნანდესი, სენიორ მაიორო. პირველი რაზმეულიდანაა.

— მეორე კადეტი ბრძანების გარეშე რად ჩასვით კარცერში? — გამოძიება უნდა დამეწყო, სენიორ მაიორო, უნდა გამომეცალკევებინა სხვა კადეტებიდან, რათა დამეკითხა. თორემ მთელ კურსს მოედებოდა ეს ამბავი. სწორედ ამიტომაც არ წავუყენე ერთმანეთს პირში.

— ყოვლად სულელური ბრალდებაა! — გაცხარდა მაიორი, — ყურადღებაც არ უნდა მიგექციათ. ეს ბავშვობაა და მეტი არაფერი. ან როგორ დაუჯერეთ ამ გაუგონარ ჭორს? არ მეგონა, თუ ასეთი გულუბრყვილო იყავით, გამბოა.

— იქნებ მართალიც ბრძანდებით, სენიორ მაიორო, მაგრამ, მაპატიეთ და, მე არც ის მჯეროდა, ბილეთებს თუ იპარავდნენ, ქურდობდნენ, სასწავლებელში ბანქო, სასმელები შემოჰქონდათ. ყველაფერში პირადად დავრწმუნდი, სენიორ მაიორო.

— ეგ სულ სხვა ამბავია, — თქვა მაიორმა, — სავსებით აშკარაა, რომ მეხუთე კურსზე წესრიგი მოიკოჭლებს, არ გედავებით. მაგრამ ამაში პასუხი თქვენ მოგეთხოვებათ. გესმით, კაპიტანო გარიდო? თქვენ და ლეიტენანტი გამბოა ფრიად უსიამო მდგომარეობაში აღმოჩნდით. პირდაპირ რომ ვთქვათ, ბიჭებმა მოგაღორეს. ვნახოთ, რას იტყვის პოლკოვნიკი, როცა გაიგებს. რა გაეწყობა, პატაკს წარვადგენ და წესრიგის აღდგენა მოგვიხდება. რაც შეეხება მეორე საკითხს, — მაიორმა ისევ სცადა კბილებში მოექცია ულვაში, — ეს პირდაპირ უაზრობაა, ბიჭმა შემთხვევით თვითონ მოირტყა ტყვია. სალაპარაკო აქ არაფერია

— მაპატიეთ, სენიორ მაიორო, — უთხრა გამბოამ, — მაგრამ არ დამტკიცებულა, თვითონ რომ მოიკლა თავი.

— არ დამტკიცებულა? — მაიორმა თვალები დააკვესა, — გაჩვენოთ პატაკი?

— პოლკოვნიკმა უკვე აგვიხსნა, რატომ დაიწერა ასეთი პატაკი, სენიორ მაიორო. საქმე რომ არ გართულებულიყო.

— აი, ხომ ხედავთ! — შესძახა მაიორმა გამარჯვებული იერით — სწორედაც! თქვენც იმიტომ დასწერეთ ეს გაუგონარი პატაკი, საქმე რომ არ გაგერთულებინათ?

— ახლა საქმე შეტრიალდა, სენიორ მაიორო, — დინჯად განაგრძო გამბოამ, — წინათ ეს ვარაუდი ყველაზე უფრო მართალს ჰგავდა, ზუსტად რომ ვთქვათ, ერთადერთი იყო. ექიმებმა თქვეს, ტყვია უკნიდანაარ ნასროლი. მაგრამ მე და სხვა ოფიცრები ვთვლიდით, ეს შემთხვევით მოხდა, უბედური შემთხვევა იყო. მაშინ უფლება გვქონდა თვით დაზარალებულისთვის მიგვეწერა დანაშაული, რათა სასწავლებლისთვის ჩირქი არ მოგვეცხო. მე დამნაშავე მართლაც არანა მეგონა, სენიორ მაიორო. ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც. ვთქვათ, ცუდად ჩაიმალა, ან გადარბენა შეაყოვნა. ისეც შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ტყვია მისივე თოფიდან გავარდა. მაგრამ როცა აღმოჩნდა კაცი, ვინც ამტკიცებს, აქ მკვლელობა მოხდაო, მეტადრე, რომ ბრალდება საფუძველს არაა მოკლებული..

— ნუ მეუბნებით სისულელეს, — ბრაზიანად გააწყვეტინა მაიორმა — ეტყობა, დეტექტივი გიტაცებთ, გამბოა, მოდით, ნუღა გავაჯანჯლებთ საქმეს. ფუჭი კამათი არას გვარგებს. წაბრძანდით და ორივე კადეტი გამოუშვით კარცერიდან. უთხარით, თუ ენას წაიგრძელებენ, გავრიცხავთ და არც მოწმობას მივცემთ. თქვენ კი ახალი პატაკი დასწერეთ, არანას სიკვდილის ამბები არც მოიხსენიოთ.

— არ შემიძლია, სენიორ მაიორო, — თქვა გამბოამ — კადეტ ფერნანდესს ბრალდება უკან არ მიაქვს. რამდენადაც შევძელი

შემოწმება, მართალს უნდა ამბობდეს, ბრალდებული მოკლულის უკან იმყოფებოდა სწავლების დროს. მე არაფერს ვამტკიცებ, სენიორ მაიორო, მხოლოდ მინდა ვთქვა, რომ ტექნიკური მხრივ ბრალდება სრულიად დასაშვებია. მხოლოდ ოფიცერთა საბჭოს შეუძლია გადაწყვიტოს ეს საქმე.

— თქვენი აზრი მე არ მაინტერესებს, — ზიზღით წარმოთქვა მაიორმა — მე თქვენ გიბრძანებთ, ეს ზღაპრები თქვენთვის შეინახოთ და ბრძანება შეასრულოთ. არადა, საბჭოს წინაშე წარსდგებით.. ბრძანება განსჯას არ საჭიროებს, ლეიტენანტო.

— თქვენ შეგიძლიათ საბჭოს გადამცეთ, — ნელა წარმოთქვა გამბოამ, — მაგრამ პატაკს არ შევცვლი. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უნდა მოგაგონოთ, რომ მოვალე ბრძანდებით ეს პოლკოვნიკს მოახსენოთ.

— მაიორი გაფითრდა. დაავიწყდა ყოველგვარი წესი და ისევ ულვაშს წაეტანა კბილით, მაგრამ ამაოდ. პირისახე საოცრად დაემანჭა. მერე ზეზე წამოხტა, თვალები ჩაუმუქდა.

— ეგრე იყოს. თქვენ მე არ მიცნობთ, გამბოა. თუ წესიერად მექცევიან, მეც ლმობიერი ვარ მაშინ, მაგრამ ჩემი მტრად გადაკიდება საშიშია და კიდეც დაგიმტკიცებთ ამას. ეს ძვირად დაგიჯდებათ. გეფიცებით, ბევრჯერ გამიხსენებთ. საქმის გარკვევამდე კი სასწავლებელში დარჩებით. მე გადავცემ პატაკს. გარდა ამისა, იმაზეც წარვადგენ პატაკს, ჩინით თქვენზე უფროსებს როგორ ექცევით. წაბრძანდით.

— თქვენის ნებართვით, სენიორ მაიორო, — თქვა გამბოამ და აუჩქარებლად გავიდა.

— გიჟი ყოფილა, — წამოიძახა მაიორმა, — ჭკუაზე შეშლილი. მაგრამ მე ვიცი მაგისი ოინების წამალი.

— გადასცემთ პატაკს, სენიორ მაიორო? — ჰკითხა კაპიტანმა.

— სხვა რა ჩარაა, — მაიორმა ისე შეხედა კაპიტანს, თითქოს აღარც ახსოვდა მისი აქ ყოფნა, — არც თქვენ დაგადგებათ კარგი

დღე, კაპიტანო გარიდო. თქვენი ნამსახურობის ნუსხაც შეიბღალება.

— ჩემი ბრალი არაა, სენიორ მაიორო, — წაილუღლუღა კაპიტანმა — ეს პირველ რაზმეულში მოხდა, გამბოასთან. სხვაგან ყველაფერი რიგზეა, სენიორ მაიორო. მე მუდამ ვასრულებდი მითითებებს.

— ლეიტენანტი გამბოა თქვენი ხელქვეითია, — ცივად მოუჭრა მაიორმა, — თუ კადეტი თქვენთან მოდის და მისგან იგებთ, რა ხდება თქვენს ბატალიონში, მაშასადამე, მთელი ეს ხანი მხოლოდ ბუზები გითვლიათ. თქვენ რა ოფიცრები ხართ? ჩვეულებრივ სკოლაშიც არ შეიშვებით — ყველას გაათახსირებთ! ჩემი რჩევაა, მეხუთე კურსზე წესრიგი დაამყაროთ. წაბრძანდით.

კაპიტანი გატრიალდა. მხოლოდ კართან გაახსენდა, რომ არ დამშვიდობებია მაიორს. ნახევრად შეტრიალდა და ქუსლი ქუსლს მიარტყა. მაიორი პატაკს კითხულობდა — ტუჩებს ამოძრაავებდა და შუბლს იჭმუხნიდა. ლამის. სირბილით გასწია კაპიტანმა მეხუთე კურსის კანცელარიისკენ. ეზოში ყურისწამღებად ჩაჰბერა სასტვენს. სერჟანტი მორტე მაშინვე კაბინეტში დაერჭო.

— მეხუთე კურსის ყველა ოფიცერსა და სერჟანტს დამიძახეთ, — თქვა კაპიტანმა და თავის ვეება ყბებზე მოივლო ხელი — მე თქვენ ძვირად დაგისვამთ ამ ამბებს, ეშმაკმა დალახვროს! თქვენა ხართ დამნაშავენი, მეტი არავინ. გასწით და ბრძანება შეასრულეთ, რას დაგიღიათ პირი?

VI

გამბოამ წამით შეიცადა, ვინემ კარს გააღებდა, გუნებაზე ვერ იყო. „ამ ამბების თუ წერილის: გამო?“ — გაიფიქრა მან. წერილი ამ რამდენიმე საათის წინ მოუტანეს: „ძალიან მომეწყინა უშენოდ. არ უნდა წამოვსულიყავი. ხომ გეუბნებოდი, ლიმაში დავრჩები-მეთქი. თვითმფრინავში სულ გულს მაზიდებდა, ყველა მე მიყურებდა და უფრო უარესად ვგრძნობდი თავს. აეროდრომზე ქრისტინა და მისი ქმარი დამხვდნენ. ძალიან კარგი კაცია. სასწრაფოდ წამიყვანეს შინ და ექიმს გამოუძახეს. ასე თქვა, გზამ დაღალა, თორემ ისე ყველაფერი რიგზეაო. მაგრამ თავის ტკივილმა არ გამიარა, ვერ გამოვკეთდი და ხელახლა გამოუძახეს ექიმს. მაშინ თქვა, უკეთესია, საავადმყოფოში თუ დააწვენთო. ახლა საავადმყოფოში ვარ. ისე დამჩხვლიტეს ნემსებით, ვეღარ ვინძრევი, თან უბალიშოდ ვწევარ. მე კი, ხომ იცი, როგორ მიყვარს თავი როცა მაღლა მაქვს. დედა და ქრისტინა არ მშორდებიან, ქრისტინას ქმარიც ყოველდღე მაკითხავს სამსახურის შემდეგ. ყველა

თავს მევლება, მაგრამ მე მინდა შენც აქ იყო, მხოლოდ მაშინ ვიქ-ნები მშვიდად. ახლა ცოტა უკეთ ვარ, მაგრამ მეშინია, ბავშვი არ დაიღუპოს. ექიმი ამბობს, პირველი მშობიარობა ყოველთვის მძიმეა, მაგრამ ყველაფერი რიგზე იქნებაო. მე ვღელავ და სულ შენზე ვფიქრობ. თავს გაუფრთხილდი. ხომ გენატრები? მე უფრო მეტად მენატრები". კითხულობდა წერილს და თან წუხდა, მაგრამ ბოლომდე წაკითხული არ ჰქონდა, რომ კაპიტანი შემოვიდა და უხალისოდ უთხრა: „პოლკოვნიკმა ყველაფერი იცის: თქვენი მა-ინც გაიტანეთ. ყაზარმის უფროსმა თქვა, კადეტი ფერნანდესი კარცერიდან გამოიყვანოს და ორივე პოლკოვნიკთან გამოცხად-დნენო".

გამბოას არაფერი, უგრძვნია, მისთვის ყველაფერი სულ ერთი გახდა, თითქოს იგი აქ არაფერ შუაში იყო. წერილი ორად დაკე-ცა, ჩანთაში ჩადო და კარი გააღო. ალბერტომ ალბათ სარკმლი-დან მოჰკრა თვალი და ახლა „სმენაზე" გაჭიმული იდგა. ეს კარ-ცერი უფრო ნათელი იყო იმაზე, სადაც იაგუარი იჯდა. გამბოამ დაინახა, ხაკისფერი შარვალი ძალზე დამოკლებოდა კადეტს: რეიტუზებივით შემოტმასნოდა ფეხებზე და შარვლის ზედა ღილე-ბი აღარ იკვრებოდა. ხალათი კი, პირიქით, გაგანიერებოდა, მხრები ჩამოსჩაჩოდა და ზურგზე კუზივით ედგა.

— გამიგონეთ, სად გამოიცვალეთ საგარეო ტანსაცმელი? — ჰკითხა გამბოამ.

— აქ, სენიორ ლეიტენანტო. ყოველდღიური ფორმა ჩემოდან-ში მედო. შაბათობით შინ მიმაქვს ხოლმე გასარეცხად.

გამბოამ ტახტზე თეთრ ქუდსა და გიმნასტურას ბრჭყვიალა ლილებს მოჰკრა თვალი.

— განა წესდება არ იცით? — მკვახედ მიახალა მან — ყოველ-დღიური ფორმა სასწავლებელში უნდა გარეცხოთ, მისი გარეთ გატანა აკრძალულია. ამ თქვენს ფორმას რაღა დაემართა? ცირ-

კის ჯამბაზს ჰგავხართ. ალბერტო მოიქუშა. ცალი ხელით შარ-ვლის ზედა ღილების შეკვრა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვი-და, თუმცა მუცელიც კი შეიგდო.

— შარვალი დამოკლებულა, ხალათი კი გაწელილა, — გეს-ლიანად თქვა გამბოამ, — რომელი ერთი მოიპარეთ, ხალათი თუ შარვალი?

— ერთიც და მეორეც, სენიორ ლეიტენანტო.

გამბოა შეიჭმუხნა: კაპიტანი მართალია, ამ კადეტს იგი თავი-სი მოკავშირე ჰგონია. „დალახვროს ეშმაკმა“, — გაივლო გუნება-ში.

— თუ იცით, რომ ახლა ღმერთიც ვერ გიშველით? ამ ხათაბა-ლაში ყველაზე მეტად თქვენ გაებით. კაი სამსახური კი გამიწიეთ მაგ თქვენი აღსარებით. რატომ უარინას ან პიტალუგას არ მიადე-ქით?

— არ ვიცი, სენიორ ლეიტენანტო — წაილაპარაკა ალბერტომ და მყის დააყოლა — მე მხოლოდ თქვენი მჯერა.

— მე არც თქვენი ამხანაგი ვარ, არც მოკავშირე და არც დამ-ცველი, — უთხრა გამბოამ — მე მხოლოდ ჩემი მოვალეობა შევას-რულე. ახლა ყველაფერი პოლკოვნიკსა და ოფიცერთა საბჭოზეა დამოკიდებული. ისინი გადაწყვეტენ, რა გიყონ. წამოდით. პოლ-კოვნიკი თავისთან გიბარებთ.

ალბარტოს ფერი ეცვალა, თვალები გაუგანივრდა — გეშინი-ათ? — ჰკითხა გამბოამ.

ბიჭმა არ უპასუხა. გაჭიმული იდგა და თვალებს ახამხამებდა.

— წავიდეთ, — თქვა გამბოამ.

მოედანი გადაჭრეს. ალბერტოს გაუკვირდა, გამბოამ რომ ყა-რაულებს სალამზე არ უპასუხა. აქ იგი პირველად იყო. მხოლოდ გარეგნულად ჰგვანებია ეს შენობა სხვებს, შიგნით. სულ სხვა ყო-ფილა. შესასვლელ დარბაზში სქელი ხალიჩა ნაბიჯების ხმას ახ-

შობდა. დარბაზი ისე იყო გაჩახჩახებული, ალბერტომ რამდენ-ჯერმე მოხუჭა თვალები. კედლებზე სურათები ეკიდა. ეს სურათე-ბი მაშინვე ეცნო ისტორიის სახელმძღვანელოს წყალობით. მხატვრებს გმირები მათი ცხოვრების გადამწყვეტ წუთს დაესა-ჯათ: აგერ ბოლოგნესი უკანასკნელ ვაზნას ისვრის, აგერ გენე-რალ სან-მარტინს დროშა აღუმართავს, ალფონსო უგარტე უფ-სკრულში ხტება, რესპუბლიკის პრეზიდენტს ორდენით დააჯილ-დოებენ. შესასვლელი დარბაზის იქით ვეებერთელა ცარიელი დარბაზი იყო, ისიც გაჩახჩახებული. კედლებზე სპორტული ჯილ-დოები და დიპლომები ჩანდა. გამბოამ ეს დარბაზი გადაჭრა და ლიფტში შევიდნენ. ლეიტენანტმა მეოთხე სართულის ღილაკს დააჭირა თითი — ეს ალბათ უკანასკნელი სართული იყო. რა სა-ოცარია, რომ ალბერტოს მთელი სამი წელი არც შეუმჩნევია, რამდენ სართულიანი იყო შენობა. აქ ახლოს გავლაც კი ეკრძა-ლებოდათ კადეტებს და ისე ერიდებოდნენ, როგორც ეშმაკის ბუ-ნაგს აქ ჩასაფრებულიყო უფროსობა, აქ დგებოდა დასჯილთა სი-ები, ყველას ისე შორი ეგონა ეს შენობა, როგორც მთავარეპის-კოპოსის სასახლე თუ ანკონას შორეული პლაჟი.

— მიბრძანდით, — თქვა გამბოამ.

ისინი ვიწრო დერეფანში იყვნენ. კედლებს ლაპლაპი გა-უდიოდა. გამბოამ რომელიღაც კარი გააღო. ალბერტომ საწერი მაგიდა დაინახა. მის უკან, პოლკოვნიკის სურათის გვერდით, ვი-ღაც კაცი იჯდა, სამოქალაქო სამოსი ეცვა.

— პოლკოვნიკი გელით, შებრძანდით ლეიტენანტო, — თქვა იმ კაცმა

— აქ დაჯექით, — უთხრა გამბოამ კადეტს — გამოგიძახებთ — ალბერტო იმ კაცის პირდაპირ დაჯდა. იგი რაღაც ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა, ხელში ფანქარი ეკავა და ჰაერში აქნევდა. პატა-რა, ჩია კაცი იყო, სუფთად ჩაცმული. გახამებული საყელო ალ-

ბათ აწუხებდა და თავს წარამარა აქნევდა. ადამის ვაშლი შეშინებული თაგვივით უხტოდა ნიკაპქვეშ. ალბერტომ მიაყურა, მაგრამ კარიდან ხმა არ ისმოდა. მერე ფიქრებს მიეცა: აი, ტერესა „რაიმონდის სკოლის გაჩერებასთან დგას და უღიმის. რაც მეზობელი კარცერიდან სერჟანტი წაიყვანეს, მას აქეთ ტერესა სულ თვალწინ უდგას. მხოლოდ ტერესას პირისახეს ხედავდა იტალიური სკოლის თეთრ კედლებზე, არეკიპას გამზირზე, მის ტანს კი — ვერა. ბევრჯერ ეცადა მთელი ტანით წარმოედგინა იგი. აცმევდა კოხტა კაბებს, ამკობდა სამკაულებით, ათასნაირად ვარცხნიდა თმას. წამით სიწითლემ გადაჰკრა: „გოგოსავით თოჯინობიას ვთამაშობ“. ჩემოდანსა და ჯიბეში მოიძია ქაღალდი მაგრამ ვერ ნახა, რომ წერილი მიეწერა მისთვის. მაშინ ფიქრში დაიწყო თხზვა გატყლარჭული წერილებისა სასწავლებელზე, სიყვარულზე, მათხოვარას სიკვდილზე, თავის სინანულზე, მომავალზე. უცებ ზარი მოესმა. ის კაცი ტელეფონზე ლაპარაკობდა. თავს ისე იქნევდა, თითქოს მისი მოსაუბრე ხედავდა. მერე ფრთხილად დადო ყურმილი და თქვა:

— თქვენა ხართ კადეტი ფერნანდესი? თუ შეიძლება კაბინეტში შებრძანდით.

ბიჭი კარს მიადგა, სამჯერ დააკაკუნა. არავინ რომ არ გაეხმაურა, ხელი ჰკრა და შეაღო. ვეებერთელა ოთახი დღის სინათლის ნათურებს გაენათებინა. ამ ცისფერმა სინათლემ თვალი მოსჭრა ბიჭს. მისგან ათიოდე ნაბიჯზე სამი ოფიცერი იჯდა ტყავის სავარძელში. ბიჭმა წამით გადაჰკრა თვალი იქაურობას. აგერ საწერი მაგიდა, ვიმპელები, სურათები, ტორშერი. ხალიჩა აქ არ ეფინა, პრიალი გაჰქონდა პარკეტს და ფეხიც თითქოს ყინულზე ცურავდა. არ გავსრიალდეო, თავდახრილი ფრთხილად მიაბიჯებდა. მაშინღა ასწია თავი, როცა მწვანე შარვლის ტოტი და სავარძლის სახელური მოხვდა თვალში. ბიჭი „სმენაზე“ გაიჭიმა.

— ფერნანდეს? — ჰკითხა იმ ხმამ, სტადიონზე სააღლუმოდ მოსამზადებელ ვარჯიშის დროს სადღაც მაღლა, ციდან რომ ესმოდა, იმ წიკვინა ხმამ, სააქტო დარბაზში რომ ყველას აქვავებდა, იმ ხმამ, სიყვარულსა და თავგანწირვას რომ მოუწოდებდათ — ფერნანდეს, შემდეგ როგორ?

— ფერნანდეს ტემპლე, სენიორ პოლკოვნიკო, კადეტი ალბერტო ფერნანდეს ტემპლე.

პოლკოვნიკი მას მიჩერებოდა. მსუქანი, ნაპატიები პირისახე ჰქონდა პოლკოვნიკს, რუხი თმა გულდაგულ გადავარცხნილი.

— გენერალ ტემპლესი რა ხართ? — ჰკითხა პოლკოვნიკმა. ნეტა რა ელის? პოლკოვნიკს ცივი კილო ჰქონდა, ოღონდ მუქარა არ ისმოდა შიგ.

— არაფერი, სენიორ პოლკოვნიკო. გენერალი, მგონი, პიურელი ტემპლეა, მე კი მოკეგუადან გახლავართ.

— ჰო, პროვინციიდან იყო, — წარმოთქვა პოლკოვნიკმა. ალბერტომ თავი მიაბრუნა და სასწავლებლის კომენდანტი მაიორი ალტუნა დაინახა — როგორც მე, როგორც სარდლების უმრავლესობა. ცნობილია, რომ საუკეთესო ოფიცრები პროვინციიდან ჩამოსულები არიან. ჰო, თქვენ საიდან ხართ, ალტუნა?

— ლიმადან, სენიორ პოლკოვნიკო. მაგრამ ჩემი თავი პროვინციელად მიმაჩნია: მთელი ჩემი ნათესაობა ანკაშადანაა — ალბერტო შეეცადა გამბოა დაენახა, მაგრამ ვერ მოახერხა. იგი ზურგით იჯდა სავარძელში. ალბერტო მხოლოდ მის ხელსა და მაღას ხედავდა, უხმოდ, რითმულად რომ მოძრაობდა.

— მაშასადამე, კადეტო ფერნანდეს, — თქვა პოლკოვნიკმა და ხმა ოდნავ გაუმკაცრდა, — ახლა უფრო აქტუალურ საგნებზე ვილაპარაკოთ — პოლკოვნიკი აქამდე სავარძლის ზურგზე იყო მიწოლილი, ახლა კი წინ გადმოიხარა. ღიპიც წინ გადმოეწია, ათახთახდა, მოწყდა სხეულს, ცალკე ცხოვრებას მიეცა — მითხარით,

თქვენ ჭეშმარიტი კადეტი ხართ, გონიერი, განათლებული, კულტურული? ალბათ ასეცაა, ვინაიდან არა მგონია, მთელი სასწავლებლის ოფიცერთა საბჭო რაღაც სისულელის გამო შეგეყარათ. ლეიტენანტ გამბოას წარმოდგენილი პატაკის მიხედვით აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში არათუ ოფიცერთა საბჭოს, სამხედრო მინისტრისა და მართლმსაჯულების ჩარევაც იქნება საჭირო. რამდენადაც მე გავიგე, თქვენ ამხანაგს მკვლელობას აბრალებთ?

პოლკოვნიკმა მოკლედ ჩაახველა და წამით დადუმდა.

— მაშინვე ვიფიქრე, — განაგრძო მან, — მეხუთე კურსის კადეტი ბავშვი არაა. მან სასწავლებელში სამი წელი გაატარა, მაშასადამე, უკვე დაკაცდა. დასრულებული, ჭკუადამჯდარი კაცი კი სხვას მკვლელობას ისე არ შესწამებს, აშკარა, აუცილებელი საბუთი არ ჰქონდეს-მეთქი, თუკი ჭკუა არ დაჰკარგა, ან იურისპრუდენციის საკითხებში მთლად უვიცი არაა. მხოლოდ უვიცმა და უცოდინარმა არ იცის, რას ნიშნავს ცრუ ჩვენება. არ იცის, რომ ცილისწამება დანაშაულია და კანონით ისჯება. მე დაკვირვებით წავიკითხე პატაკი, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი დაუსაბუთებელი მეჩვენა. მაშინ ვიფიქრე — კადეტი გონიერი კაცია ალბათ, მან სიფრთხილე გამოიჩინა და გადაწყვიტა საბუთები სულ ბოლოს — პირადად ჩემთვის წარმოედგინა, რამეთუ მე საბჭოსთვის წარმედგინა მერმე ისინი. სწორედ ამიტომ დაგიბარეთ თქვენ. მაშ, წარმომიდგინეთ თქვენი საბუთები.

ფეხი ისევ ქანაობდა ალბერტოს წინ, ზევით-ქვევით, ზევით-ქვევით.

— სენიორ პოლკოვნიკო, მე მხოლოდ...

— დიახ, დიახ, თქვენ დასრულებული კაცი ხართ, ლეონსიო პრადოს სამხედრო სასწავლებლის მეხუთე კურსის კადეტი. თქვენ კარგად იცით, რას აკეთებთ. წარმომიდგინეთ საბუთები.

— მე უკვე ვთქვი, რაც ვიცი, სენიორ პოლკოვნიკო. იაგუარს უნდოდა არანაზე შური ეძია, იმიტომ, რომ იმან გათქვა...

— ამაზე ჩვენ მერე ვილაპარაკებთ, — გააწყვეტინა პოლკოვნიკმა — ეს ყველაფერი ძალზე საინტერესოა. თქვენი ვარაუდები მოწმობს, თუ რა საოცარი ფანტაზია გქონიათ — პოლკოვნიკი გაჩუმდა და მერმე ფრიად კმაყოფილმა გაიმეორა — დიახ, საოცარი. მაგრამ ახლა საბუთებს დავუბრუნდეთ. წარმომიდგინეთ უცილობელი საბუთები.

— მე საბუთები არა მაქვს, სენიორ პოლკოვნიკო, — გამოტყდა ალბერტო. ხმა სამარცხვინოდ აუკანკალდა და ტუჩი მოიკვნიტა გასამხნევებლად. რაც ვიცი, ვთქვი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ...

— როგორც — შესძახა პოლკოვნიკმა საოცრად განცვიფრებული იერით, — თქვენ გინდათ თქვათ, რომ არავითარი საბუთი არა გაქვთ? ნუ მეხუმრებით, კადეტო, ახლა ჩვენ საამისოდ არ გვცალია. თქვენ მართლა არა გაქვთ ერთი დამამტკიცებელი საბუთიც კი?

— სენიორ პოლკოვნიკო, მე გადავწყვიტე, რომ ჩემი ვალია...

— ჰო! — განაგრძო პოლკოვნიკმა, — მაშასადამე, ეს მხოლოდ ოინი იყო. არა უშავს, არა უშავს. თქვენ, რა თქმა უნდა, გართობა გსურდათ, რას იზამთ, ახალგაზრდობას სჩვევია ხოლმე. კარგია, კარგი. მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. თქვენ ჯარში იმყოფებით, კადეტო. არავინ მოგცემთ ნებას შეიარაღებული ძალები მასხარად აიგდოთ. თუმცა არა მარტო ჯარში, წარმოიდგინეთ, სამოქალაქო ცხოვრებაშიც ძვირად უჯდებათ ხოლმე ასეთი ოინები. თუ თქვენ გინდათ ვინმე მკვლელად შერაცხოთ, კიდეც უნდა გქონდეთ... როგორ ვთქვა? საკმარისი საფუძველი. დიახ, საკმარისი საფუძველი. თქვენ კი არავითარი საბუთი არ გაგაჩნიათ. მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც იკადრეთ ასეთი ფუჭი, ფან-

ტასტიკური ბრალდება, ჩირქი მოსცხეთ თქვენს ამხანაგს, სასწავლებელს, რომელმაც აღგზარდათ... მე მგონი, არ დაიწყებთ მტკიცებას, თითქოსდა ამდენი არ გესმოდეთ? ვინ გგონივართ ჩვენ, სულელები, ჭკუასუსტები? იცით თუ არა, რომ ოთხმა ექიმმა და ბალისტიკის ექსპერტთა კომისიამ დაადგინა: ტყვია, ის უბედური ბიჭი რომ მოკლა, თვითონ მისივე გასროლილია? არ იფიქრეთ იმაზე, რომ თქვენმა უფროსებმა — იმათ კი საკმაო გამოცდილება აქვთ და დიდი პასუხისმგებლობაც აკისრიათ — ყველა გარემოება გულდაგულ გამოიკვლიეს? მოითმინეთ, ნურაფერს იტყვით! ჯერ მე დავამთავრებ. თქვენ იფიქრეთ, რომ ჩვენ გულგრილი ხალხი ვართ, რომ არ შევისწავლეთ, არ გავარკვიეთ, რა იყო მიზეზი იმ უბედური შემთხვევისა? თქვენ გგონიათ, ოფიცრის სამხრეები ციდან ცვივა? თქვენ გგონიათ, რომ ლეიტენანტები, კაპიტნები, მაიორი და ბოლოს მე — ყეყეჩების კრებული ვართ, — არხეინად რომ დავიბანეთ ხელი მისთანა განსაკუთრებულ შემთხვევაშიაც? არა, ეს პირდაპირ აღმაშფოთებელია, კადეტო ფერნანდეს! დიახ, აღმაშფოთებელი, თუ უფრო მეტი არა. აბა, დაფიქრდით და მიპასუხეთ, აღმაშფოთებელია თუ არა?

— დიახ, სენიორ პოლკოვნიკო, — წაილაპარაკა ალბერტომ და მყისვე გულზე მოეშვა.

— ფრიად სამწუხაროა, რომ თავიდანვე არ იფიქრეთ ამაზე, — განაგრძო კაპიტანმა — ფრიად სამწუხაროა, რომ იმის მისახვედრად, სადამდე შეიძლება მიგიყვანოთ ყმაწვილურმა ფანტაზიებმა, ჩვენი ჩარევა გამოდგა საჭირო. ახლა სხვაზე ვილაპარაკოთ, კადეტო, თქვენ უნებლიეთ აამოძრავეთ ჯოჯოხეთური მანქანა და მისი პირველი მსხვერპლი თქვენვე იქნებით, რომ მდიდარი ფანტაზია გაქვთ, თქვენ ეს წუთია ბრწყინვალედ დაადასტურეთ. სამწუხაროდ, მკვლელობის ამბავი ერთადერთი ნაყოფი არ ყოფილა, მე სხვა საბუთებიც მაქვს თქვენი ფანტაზიის გაქანებისა. გთხოვთ, მაიორო, ეგ ქაღალდები მომაწოდეთ.

მაიორი წამოდგა. იგი მაღალი, ზორბა კაცი იყო, პოლკოვნიკს არ ჰგავდა. კადეტებმა ორივეს „სქელო და თხელო“ შეარქვეს. ალტუნას ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, იშვიათად ნახავდი. სასწავლო კორპუსსა თუ ყაზარმებში. იგი მივიდა საწერ მაგიდასთან და რაღაც ქაღალდები აიღო. მისი წაღებიც ისევე ჭრაჭუნობდა, როგორც კადეტებისა. პოლკოვნიკმა ფურცლები ჩამოართვა და თვალებთან მიიტანა.

— იცანით ეს, კადეტო? — არა, სენიორ პოლკოვნიკო.

— ცხადია, იცანით, კადეტო, დახედეთ.

ალბერტომ ფურცლები ჩამოართვა, რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა და ყველაფერს მიხვდა.

— ახლა იცანით?

ფეხი ამოძრავდა, სავარძლიდან თავი გადმოიხარა — გამბოა ბიჭს უყურებდა. ალბერტოს მყის აელანძა პირისახე.

— რასაკვირველია, იცანით, — გაეხარდა პოლკოვნიკს — აი, ესაა საბუთი, ესაა დამამტკიცებელი საბუთი. აბა, წაგვიკითხეთ რაიმე.

— ალბერტოს თვალწინ გაუცოცხლდა ლეკვების გათვლა. ამ სამი წლის მანძილზე პირველად. იგრძნო თავი ისე უმწეოდ და დამცირებულად, როგორც სასწავლებელში ყოფნის პირველ დღეებში. თუმცა უფრო უარესადაც, — მაშინ ის მარტო არ იყო, ის მარტო არ მოუნათლავთ.

— მე გითხარით, წაიკითხეთ-მეთქი, — გაუმეორა პოლკოვნიკმა — ბიჭმა თავს ძალა დაატანა, წაიკითხა. ხმა უწყდებოდა, სუსტად ისმოდა.

— „ქალს გრძელი ბანჯგვლიანი ფეხები და ისეთი სქელი ბარძაყები ჰქონდა, ცხოველს უფრო ჰგავდა, ვინემ ქალს. თუმცა მეოთხე უბანში ყველაზე მეტი გასავალი ამ როსკიპს ჰქონდა, ყველა გარყვნილი მხოლოდ მასთან დადიოდა“.

ბიჭი დადუმდა — დაძაბული ელოდა, როდის უბრძანებდა

პოლკოვნიკი, განაგრძეო.

მაგრამ პოლკოვნიკი ჩუმად იყო. ბიჭს სხეული მოუდუნდა, დამცირებამ მთელი ძალა გამოაცალა, გაანადგურა, გონება დაუბნელა.

— დამიბრუნეთ ნაწერი, — უთხრა პოლკოვნიკმა და ბიჭმაც დაუბრუნა. პოლკოვნიკმა ნელა გადაფურცლა ქაღალდები, ტუჩების ცმაცუნით ჩაიკითხა რაღაცა. ეს იყო სათაურის ნაწყვეტები — ერთი წლის უკან რომ დაწერა ალბერტომ და თითქმის გადავიწყნოდა: „მოურჯულებელი ლულა“, „ვირი და გიჟი“..

— იცით, ამ ნაწერისთვის წესით რა გეკუთვნით? — ჰკითხა პოლკოვნიკმა. თვალები ისე მოჭუტა, თითქოს ფრიად უმძიმდა უსიამო მოვალეობის მოხდა. მისი ხმა მოწყენილად და თან მწარედ ჟღერდა — ოფიცერთა საბჭოს საამისოდ არც შევაწუხებ, მე შემიძლია ახლავე გაგაგდოთ ქუჩაში გარყვნილებისთვის. თან მამათქვენიც გამოვიძახო, რომ საავადმყოფოში წაგიყვანოთ. იქნებ ფსიქიატრებმა — გესმით ჩემი კადეტო? — იქნებ ფსიქიატრებმა შეიძლონ თქვენი განკურნება. აი, როდის ატყდება ალიაქოთი, კადეტო. მხოლოდ გარყვნილი, მახინჯი სულის კაცს შეუძლია ასეთი რამ დაწეროს, ძირისძირობამდე გახრწნილს. ეს ფურცლები ჩირქს სცხებს მთელ ჩვენს სასწავლებელს, ჩირქს გვცხებს ყველას, რით გაიმართლებთ თავს? თქვით, ილაპარაკეთ.

— არ შემიძლია, სენიორ პოლკოვნიკო..

— რა თქმა უნდა; ანკი რა გაქვთ სათქმელი, როცა ასეთი უცილობელი საბუთი გიდევთ წინ? — განაგრძო პოლკოვნიკმა, — არაფერი. აბა, ვაჟკაცურად მითხარით, ხართ თუ არა ღირსი სასწავლებლიდან გაგდების? ხართ თუ არა. ღირსი, რომ მშობლებთან მიგაბრუნოთ, როგორც გარყვნილი და სხვების გამხრწნელი?

— დიახ, სენიორ პოლკოვნიკო.

— ეს ფურცლები თქვენ დაგღუპავთ, კადეტო. ხომ არ გგონიათ,

გარყვნილებისთვის გარიცხულ — მოწაფეს რომელიმე სასწავ-ლებელი მაინც მიიღებს? ეს თქვენ დაგღუპავთ, კადეტო. დაგღუ-პავთ თუ არა?

— დამღუპავს, სენიორ პოლკოვნიკო — ჩემს ადგილზე თქვენ რას იზამთ, კადეტო?

— არ ვიცი, სენიორ პოლკოვნიკო.

— მე კი ვიცი, კადეტო. მე შევასრულებ ჩემს მოვალეობას.

პოლკოვნიკი დადუმდა. პირისახე მოულბა, სხეული, მოეშვა, იგი უკან, სავარძელზე გადაწვა. ღიპიც თითქოს დაუპატარავდა, შეეკუმშა. პოლკოვნიკი ნიკაპს ისრესდა, აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს არ იცის, რა ქნასო.

მაიორი და ლეიტენანტი არ განძრეულან. ვინემ პოლკოვნიკი ფიქრს მისცემოდა, ალბერტო გაპრიალებულ. პარკეტს დაჩერე-ბოდა, ხედავდა ქუსლზე დაყრდნობილ ფეხს და დაძაბული ელო-და, როდის ამოძრავდებოდა ისევ ფეხი ზევით და ქვევით, ზევით და ქვევით.

— კადეტო ფერნანდეს ტემპლე, — მკაცრად მიმართა პოლკოვ-ნიკმა. ალბერტომ თავი ასწია — ნანობთ თქვენს საქციელს?

— დიახ, სენიორ პოლკოვნიკო, — დაუფიქრებლად მიაგება ალბერტომ.

— მე გრძნობის კაცი ვარ, — განაგრძო პოლკოვნიკმა — მე მრცხვენია ამ ფურცლებისა. ისინი ჩირქს სცხებს ჩვენს სასწავლე-ბელს. აბა, შემომხედეთ, კადეტო. თქვენ ვიგინდარა არა ხართ, თქვენ სამხედრო სწავლა მიგიღიათ, თქვენ არ გეკადრებათ ასე-თი საქციელი. გესმით ჩემი? — დიახ, სენიორ პოლკოვნიკო.

— მომცემთ პირობას, რომ ეცდებით გამოსწორებას? მომცემთ პირობას, რომ სამაგალითო კადეტი გახდებით?

— დიახ, სენიორ პოლკოვნიკო.

— ღმერთია მოწმე, მე ხელს ვიღებ ჩემს მოვალეობაზე — თქვა

პოლკოვნიკმა — მე უნდა დაუყოვნებლივ გამეგდეთ სასწავლებლიდან. მაგრამ არ გაგდებთ, დიახ, არ გაგდებთ, განა იმიტომ, თქვენ გიფრთხილდებით, — არა, ჩვენი წმინდა სასწავლებლის, ჩვენი დიადი ოჯახის ხათრით უკანასკნელად მოგცემთ გამოსწორების საშუალებას. მე დავიტოვებ ამ ფურცლებს და თვალს არ მოგაშორებთ. თუ თქვენი უფროსები ამ წლის ბოლოს მეტყვიან, რომ ჩემი ნდობა გაამართლეთ, თუ თქვენი ნამსახურობის ნუსხას ერთი ლაქაც არ შებღალავს, მე დავწვავ ამ ფურცლებს და დავივიწყებ ამ სამარცხვინო ამბავს. ხოლო თუ ერთხელ მაინც დაგიშავებიათ — გესმით, ერთხელ მაინც? — მაშინ, დამსახურებულად დაისჯებით. გამიგეთ?

— დიახ, სენიორ პოლკოვნიკო, — ბიჭმა თავი დახარა და დაამატა — გმადლობთ, სენიორ პოლკოვნიკო.

— გესმით კია, რას ვაკეთებ თქვენი გულისთვის?

— დიახ, სენიორ პოლკოვნიკო. — მორჩა, მეტს ნურაფერს იტყვით. გასწით თქვენს ყაზარმაში, მოიქეცით ისე, როგორც წესია, როგორც ჭეშმარიტ კადეტს მართებს, სამაგალითოსა და პასუხისმგებლობის მქონეს. მიბრძანდით.

— ალბერტომ ხელი აუღო და გამოტრიალდა, მაგრამ სამი ნაბიჯი არ გადაუდგამს, რომ პოლკოვნიკის ხმამ შეაჩერა:

— ერთი წუთით, კადეტო. ცხადია, კრინტს არ დასძრავთ იმაზე, რაც აქ ითქვა, არც ამ ფურცლებზე და არც თქვენს მოჩმახულ სისულელეზე. ამას იქით ღია კარს ნუღარ შეამტვრევთ. როცა ხელმეორედ მაძებრობა მოგესურვებათ, მოიგონეთ, რომ ჯარში ხართ. ჯარში კი, უნდა იცოდეთ, უფროსები მუდამ ფხიზლად არიან, ისინი ყველაფერს გულდაგულ იკვლევენ და იძიებენ. ახლა მიბრძანდით — ალბერტომ ისევ მიარტყა ქუსლს ქუსლი და გავიდა. სამოქალაქოში მოსილმა კაცმა ზედაც არ შეხედა. ლიფტში აღარ ჩამჯდარა, კიბეზე დაეშვა, — ამ შენობაში კიბესაც ლაპლაპი

გაუდიოდა. ძეგლთან ჩასვლისას გაახსენდა მხოლოდ, რომ ჩემოდანი და საგარეო ფორმა კარცერში დატოვა, და ნელა გასწია იქითკენ. მორიგე ოფიცერმა თავი დაუქნია.

— ჩემი ბარგი მინდა წავიღო, სენიორ ლეიტენანტო.

— რა? — გაუკვირდა ოფიცერს — თქვენ კარცერში უნდა იჯდეთ გამბოას ბრძანებით.

— მე მიბრძანეს ყაზარმაში დავბრუნდე.

— ვერ მოგართვეს. წესდება არ იცით? ვინემ გამბოა წერილობით მითითებას არ მომცემს, აქედან ვერ გახვალთ. აბა, კარცერში გასწით...

— დიახ, სენიორ ლეიტენანტო.

— სერჟანტო, იმ კადეტთან ჩასვით, მეორე კარცერიდან რომ გადმოიყვანეს. ჯარისკაცებისთვის უნდა გავათავისუფლოთ ადგილი, კაპიტანმა ბესოდამ რომ დასაჯა, — თქვა ოფიცერმა და კეფა მოიქექა — ციხე გახადეს რაღა აქაურობა.

ჯმუხა კრეოლმა სერჟანტმა თავი დააქნია, კარცერის კარი გახსნა და ფეხით შეაღო.

— მიბრძანდით, კადეტო, — უთხრა და მერე ხმადაბლა ჩაილაპარაკა — ნუ სწუხართ. ყარაული რომ შეიცვლება, სიგარეტებს მოგიტანთ.

ალბერტო შევიდა. ტახტზე იაგუარი იჯდა და ჯიქურ მიჩერებოდა.

„ამჯერად კნაჭა იგერასს არ უნდოდა წასვლა, თითქოს გული უთქვამდა მარცხს. მანამდე რამდენიმე თვით ადრე რახასს შემოეთვალა მისთვის: „ან ჩემთან იმუშავე, ან კალიაოდან მოწყდი, თავი თუ გენანება“. კნაჭამ მითხრა: „ვიცოდი, ასე იქნებოდა“. რახასს თურმე ახალგაზრდობაში გაეცნო, ჩემი ძმა და კნაჭა მისი შეგირდები ყოფილან. მერე რახასს ჩაავლეს და ესენი ორნი მუშაობდნენ მარტო. ხუთი წლის შემდეგ რახასი გამოუშვეს და მან

ახალი ბანდა შეკრა. კნაჭა თურმე თავს არიდებდა, ვინემ „საუნ-ჯეში“ — ნავსადგურის ბარში არ შეხვდა ვიღაც ორ ქურდს და იმათ ძალით არ წაათრიეს რახასთან. მიამბო, ხელიც არ მახლეს, პი-რიქით, რახასი გადამეხვია და მითხრა: „შვილივით მიყვარხა-რო“. მერე დათვრნენ და მეგობრულად დაშორდნენ ერთმანეთს, ერთი კვირის შემდეგ კი ეს სიტყვები შემოუთვალა. კნაჭას არ უნ-დოდა რახასის ბანდაში მუშაობა, ხეირი არააო, ამბობდა, მაგრამ არც რახასის გადამტერება სურდა. ჰოდა, მითხრა: „ჯანდაბას, დავთანხმდები. ბოლოს და ბოლოს რახასი მართალია. შენ კი ეს არაფერს გარგებს. ჩემი რჩევა თუ გინდა, დედასთან დაბრუნდი და სწავლა განაგრძე, ექიმი რომ გამოხვიდე. მგონი, ფული საკ-მაოდ მოაგროვე, განა არა?“. მე კი ერთი სენტავოც აღარ მებადა: ასეც ვუთხარი. „იცი, ვინა ხარ? — მითხრა, — ქალების. მუსუსი. მთელი ფული საროსკიპოში მიაფშუტე, ხომ?“ ჰო-მეთქი, ვუთხა-რი. „ჭკუა არ გქონია, — მითხრა, — მაგ ძუკნების გამო თავს რო-გორ გაწირავდა კაცი? ფული უნდა გადაგენახა. ახლა რას ფიქ-რობ?“ შენთან დავრჩები-მეთქი. იმავ ღამეს წავედით რახასთან ერთ ტურტლიან დუქანში, რომლის პატრონი ბრუტიანი ქალი იყო. რახასი ბებერი მულატი გამოდგა, მის ლაპარაკს ძნელად გაიგებდი — მთვრალი იყო და წარამარა არაყს ითხოვდა. დანარ-ჩენი ხუთი მულატი, მეტისები და მთიელი ველურები კნაჭას მგლებივით უყურებდნენ. სამაგიეროდ, რახასი მხოლოდ კნაჭას ელაპარაკებოდა და მის მასხრობაზე ხარხარებდა. ჩემთვის ზე-დაც არ შემოუხედავს. ჰოდა, დავიწყეთ ერთად საქმიანობა. თავ-დაპირველად საქმე კარგად წავიდა, მაგდალენასა და ლა პუნტე-ში, წმიდა ისიდორესა და ორანტიაში, სალავერსა და ბარანკოში ვძარცვავდით სახლებს, ოღონდ კალიაოში არა. მე ყარაულად ვიდექი, კარის გასაღებად ერთხელაც არ გავუგზავნივართ. რახა-სი გაყოფისას ცოტას მაძლევდა, თუმცა მერე კნაჭა მიმატებდა

თავისი წილიდან. ჩვენ განცალკევებით ვიყავით, სხვებს ვეჯავრებოდით. ერთხელ ერთ საროსკიპოში კნაჭა და მულატი პანკრასიო წაეკიდნენ ერთმანეთს ვიღაც გომბიოს გულისთვის. პანკრასიომ დანით დაჭრა ხელში. თქმა რად უნდა, იმწუთასვე ვეძგერე პანკრასიოს. აქ მეორე მულატი გაიქაჩა და ახლა ჩვენ ვეტაკეთ ერთმანეთს. რახასმა ადგილი გაგვითავისუფლა, გოგოებმა წიოკი ატეხეს. ჯერ ძალა მოვუსინჯეთ ერთმანეთს. მულატი თავდაპირველად დამცინოდა, მაღიზიანებდა: „მე კატა ვარ, შენ თაგვიო“, მაგრამ ორჯერ რომ ვხეთქე თაური, მაშინ კი ნაღდი ჩხუბი გაიმართა. რახასმა არყის ჭიქა მომცა და მითხრა: „ქუდი მომიხდია შენ წინაშე, ძმაო. ნეტა ვინ ასწავლა ამ ბახალას ჩხუბი?“

...იმ დღიდან სულ პატარა მიზეზის გამო ვჩხუბობდით მე და მულატი. სხვა მულატებსაც ვეჭიდებოდი, მეტისებსაც და ველურებსაც. ხან ერთი დაკვრით მომითავებდნენ ხელს, ხან მაგრად დავუდგებოდი და იმათაც — კარგები ხვდებოდა. როგორც კი დავლევდით, უმალ მუშტი-კრივი იმართებოდა. ბოლოს და ბოლოს ამდენმა ჩხუბმა კიდეც დაგვამეგობრა. მიმასპინძლდებოდნენ ღვინით, საროსკიპოში მივყავდით და კოვბოური სურათებზეც მპატიჟებდნენ. იმ დღესაც წავედით პანკრასიო, კნაჭა და მე კინოში. გარეთ რახასი დაგვხვდა, კმაყოფილი ჩანდა. დუქანში რომ შევედით, გვითხრა: „რომ იცოდეთ, რა საქმე გველის“ მერე გვიამბო, ლამაზამ საგანგებოდ მიმიწვია ერთ საქმეზეო. კნაჭამ შეუტია: „ჩვენ მაგათი ამფსონობა არ გვარგებს, ცოცხლად გადაგვყლაპავენ. ეგენი დიდი გაქანების ჩიტები არიანო“. რახასმა ყური არ ათხოვა. ეს განთქმული ბანდა იყო, ყველას იმათი შურდა. ცხოვრობდნენ, როგორც რიგიანი ხალხი. ჩინებული სახლები ჰქონდათ, საკუთარი მანქანებიც კი. კნაჭამ კამათი დააპირა, მაგრამ მოაკეტინეს. მეორე დღეს გადაწყდა წასვლა. თითქოს უბრალო საქმე იყო. ალმენდარისის ხევში შევიყარეთ თავი, საღამოს ათ საათზე, როგორც რახასმა გვითხრა. იქ ლამაზას ბანდიდან

ორნი დაგვხვდნენ. ულვაშები ჰქონდათ, კარგად ეცვათ, ძვირიან სიგარეტებს ქაჩავდნენ, გეგონებათ, საქეიფოდ მიდიანო. შუაღამეს დავუცადეთ, მერე წყვილ-წყვილად დავიყავით და ტრამვაის ხაზისკენ წავედით. იქ ლამაზას ამფსონებიდან კიდევ ერთი დაგვხვდა. „ყველაფერი რიგზეა, — გვითხრა, — სახლი ცარიელია. ეს წუთია წავიდნენ. აბა, შევუდგეთ“. რახასმა მე ყარაულად დამაყენა, სახლიდან ერთი უბნის მოშორებით, გალავანს იქით. „რომელი შეხვალთ-მეთქი?“ — ვკითხე კნაჭას. „რახასი, მე და ლამაზას ბიჭები. დანარჩენები გვიყარაულებთ. მაგათ ასე იციან მუდამ, ასე უფრო ნაღდიაო, ამბობენ“. ჩემი სამალავიდან კაციშვილს ვერ ვხედავდი. არც ერთ სახლში სინათლე არ ენთო. ვიფიქრე, მალე მორჩებიან-მეთქი. ეს კია, გზაში წარბი არ გაუხსნია. კნაჭას და არც კრინტი დასცდენია. მახსოვს, პანკრასიომ ის სახლი დამანახა. მართლა ვეებერთელა სახლი იყო. რახასმა თქვა: „აქ მთელი ჯარი დაპურდებაო“. დიდხანს ვიცადე. სტვენა, სროლა და გინება რომ გავიგონე, იქით გავქანდი, მაგრამ მყისვე მივხვდი, ალყა შემოერტყათ: კუთხეში პატრული იდგა. გამოვტრიალდი და მოვკურცხლე. მარსანოს მოედანზე ტრამვაიში ჩავჯექი, შუაგულ ქალაქში კი ტაქსი დავიჭირე. მოგვიანებით ჩვენს დუქანში მივედი. იქ მარტო პანკრასიო დამხვდა. „ხაფანგი დაგვიგეს, — მითხრა, — ლამაზას პოლიციელები გაუფრთხილებია, მგონი, ყველა გაქაჩეს. ჩემი თვალით ვნახე, კნაჭა და რახასი რომ მიწაზე დასცეს და ჟეჟეს. ის ოთხი კაცი კი, ლამაზას ბანდიდან, იცინოდა. დამაცადონ, როდესმე იქნება სამაგიეროს მიიღებენ. ახლა კი მე და შენ უნდა ავიფახოთ აქედან“. ვუთხარი, კაპიკი ფული არა მაქვს-მეთქი. ხუთი სოლი მომცა და მითხრა: „აქ აღარ მოხვიდე, მეც ამ ზაფხულს ლიმას გავეცლები, ცოტა დავისვენებ“.

იმავ ღამეს ბელიავისტას უშენზე წავედი და ღამე ლაფაროში გავათენე. უფრო სწორად, მთელი ღამე ზურგზე ვეგდე, თვალებს ვაცეცებდი და სიცივით ვკანკალებდი. ალიონზე ბელიავისტას

მოედანზე გავედი. ორი წელი იყო, აქ ფეხი არ დამედგა. ყველაფერი ისევე იყო, ოღონდაც ჩემი სახლის კარა ახლად შეეღებათ. დავაკაკუნე. ხმა არავინ გამცა. უფრო ღონივრად დავაბრახუნე. შიგნიდან გაისმა: „დალახვროს ეშმაკმა, ვეღარ მოგითმენია თუ რა!“ ვიღაც კაცი გამოვიდა, ვკითხე, სენიორა დომიტილა სადაა-მეთქი. „წარმოდგენა არა მაქვს, — მითხრა, — აქ მე ვცხოვრობ, პედრო კაიფასი ვარ“. მერე ვიღაც ქალი გამოვიდა. იმან თქვა: „სენიორა დომიტილა? მარტოხელა რომ იყო?“ — „დიახ, მგონი, ეგ-მეთქი“. „ის აღარ არის, მოკვდა, — მითხრა ქალმა, — აქ ცხოვრობდა ჩვენამდე, ოღონდაც დიდი ხნის წინათ“. მადლობა გადავუხადე და მოედნისკენ წავედი. მთელი დილა იქ ვიყურყუტე, ტერესას კარს ვუყურებდი. თერთმეტი საათი იქნებოდა, ვიღაც დიდი ბიჭი რომ გამოვიდა იქიდან. მივედი და ვკითხე: „არ იცი, სად არიან სენიორა და ის ყმაწვილი გოგო, აქ რომ შენამდე ცხოვრობდნენ-მეთქი?“ — „არაფერი ვიციო“, — მითხრა. ისევ ჩემი სახლისკენ წამოვედი და მივუკაკუნე. ისევ ქალი გამოვიდა. ვკითხე: „თუ იცით, სად დაასაფლავეს-მეთქი სენიორა დომიტილა?“ „არაო, — მითხრა — მე არ ვიცნობდი. თქვენი ნათესავი იყო?“ მინდოდა მეთქვა, დედა იყო-მეთქი ჩემი, მაგრამ ვიფიქრე, ვაითუ პოლიციელები დამეძებენ, და ვუთხარი: არა, ისე ვიკითხე“.

— გამარჯობა შენი, — უთხრა იაგუარმა.

ალბერტოს დანახვა არც გაჰკვირვებია. სერჟანტმა კარი დაკეტა. კარცერში თითქმის ჩამობნელდა..

— გაგიმარჯოს, — მიუგო ალბერტომ — სიგარეტი გაქვს? — ჰკითხა იაგუარმა. იგი საწოლზე იჯდა და კედელს ზურგით მიყრდნობოდა. შუქი მხოლოდ სახის ცალ მხარეზე სცემდა, მეორე გადღაბნილ ლაქასავით. ჩანდა.

— არა, — უთხრა ალბერტომ, — სერჟანტი დამპირდა, მოგვიანებით მოგიტანო.

— აქ რატომ შემოგაგდეს? — ჰკითხა იაგუარმა — არ ვიცი, შენ? — ვიღაც ნაძირალამ დამაბეზღა — დაგაბეზღა? ვინ?

— ყური მიგდე, — ხმას დაუწია იაგუარმა, — შენ ალბათ აქედან ჩემზე ადრე გახვალ. სიკეთე მოიღე და... ახლოს მოდი, არ გაიგონონ — ალბერტო მივიდა. ახლა ისე ახლოს იყვნენ, ლამის მუხლებით შეხებოდნენ ერთმანეთს — პითონსა და ქოჩორას უთხარი, ბარაკში გამცემი გაჩნდა-თქო. უნდა გაარკვიონ, რომელია. იცი, რა უთქვამს ლეიტენანტისთვის?

— არა — ბიჭებს რა ჰგონიათ, აქ რისთვის ჩამსვეს? — რისთვის და ბილეთების ქურდობისათვის.

— ჰო, მაგის გამოც, — თქვა იაგუარმა — ვიღაცას ჩაუყაჭავს მისთვის ბილეთებზეც, წრეზეც, უთქვამს, რომ ტანსაცმელს ვიპარავთ, ფულზეც ვთამაშობთ, ჩუმად შემოგვაქვს სასმელი — ყველაფერი დაუფქვავს. უნდა გაარკვიონ, რომელი ერთია. უთხარი, თუ ვერ გამოარკვევენ, თვითონაც ჩაცვივდებიან, შენც, მთელი ყაზარმა. უთუოდ ვინმე ჩვენგანი იქნება, სხვა არავინ.

— ალბათ გაგრიცხავენ, იქნებ ციხეშიც ჩაგსვან.

— გამბოამაც ეგრე მითხრა. ქოჩორასა და პითონსაც მოხვდებათ წრის გულისათვის. გადაეცი, რომ უთუოდ გამოარკვიონ, დამიწერონ ქაღალდზე მისი სახელი და სარკმელში შემომიგდონ. მე თუ გამრიცხეს, მაგათ ვეღარ ვნახავ.

— მერე შენ რა მაგით?

— არაფერი, — თქვა იაგუარმა, — ჩემი საქმე წასულია. მაგრამ მის ოხტში მაინც ამოვალ.

— ნაგავი ხარ და მეტი არაფერი, იაგუარ. ნეტა მართლა ციხეში ჩაგსვან — იაგუარი შეტოკდა, მერე წინ გადმოიხარა და თავი ასწია, ალბერტო რომ კარგად დაენახა. ახლა მთელი პირისახე სინათლის ზოლში მოექცა — გაიგონე, რა გითხარი?

— ნუ ყვირი, — უთხრა იაგუარმა — ხომ არ გინდა ლეიტენანტმა გაიგოს? რა დაგემართა?

— ნაგავი ხარ, — ხმას დაუწია ალბერტომ, — ნაგავი და მკვლელი. შენ მოჰკალი მათხოვარა — ალბერტომ უკან დაიხია და ჩაიკუზა, თავდასაცავად მოემზადა. მაგრამ იაგუარი არ დატაკებია, არც განძრეულა. მხოლოდ ცისფერი თვალები უპრიალებდა სიბნელეში...

— სტყუი, — ასევე ჩუმად წაილაპარაკა იაგუარმა — ვიღაცამ ცილი შემწამა, ლეიტენანტს ენა მიუტანა, ვიღაც მაბეზღარას ჩემი ჯავრი სჭირს, ვიღაც ლაჩარს, გესმის? თქვი, ჩვენებიც ისე ფიქრობენ, რომ მე მოვკალი არანა?

ალბერტოს ხმა არ გაუღია.

— რა თქმა უნდა, არა, — თქვა იაგუარმა, — ამას ვინ დაიჯერებს? ლაყე იყო საცოდავი, წკიპურტით წააქცევდი კაცი. მაგის მოკვლა ვის რაში უნდოდა?

— ეგ შენ ათასჯერ გჯობდა, — თქვა ალბერტომ. ორივე თითქმის ჩურჩულებდა, ორივე თავს ძალას ატანდა, ხმა არ აეწიათ. ამიტომაც არაბუნებრივად, თეატრალურად ნათქვამი გამოდიოდა — შენ ხულიგანი ხარ, ყაჩაღი, შე საცოდავო მართლა. არანა კი კარგი ბიჭი იყო. შენ ეს არ გესმის და ვერც გაიგებ. იმას არც სხვისი დაჯაბნება შეეძლო და არც მასხარად აგდება. შენ კი მუდამ ჯაბნიდი, ჩაგრავდი. აქ რომ მოვიდა, ჩვეულებრივი ბიჭი იყო, თქვენ კი დაკორტნეთ, დაამახინჯეთ; იმიტომ რომ მუშტების ქნევა არ შეეძლო. შენ ნაგავი ხარ, იაგუარ. ახლა გაგრიცხავენ აქედან. იცი, რა გელის? შენისთანა კაცისმკვლელი ადრე თუ გვიან ციხეში ამოყოფს თავს.“

— დედაჩემიც მაგას მეუბნებოდა — ალბერტოს გაუკვირდა იაგუარის გულახდილობა. მერე მიხვდა, თავის თავს ელაპარაკებაო, ხმა უსიცოცხლო ჰქონდა — გამბოამაც ეგ მითხრა... ვერ გამიგია, ვის რაში ენაღვლება, მე რა გამოვალ. თანაც მარტო მე არ ვიჯაბნიდი მათხოვარას. ყველა ამწარებდა, შენც არა ნაკლებ,

მწერალო. სასწავლებელში ყველანი ერთმანეთს ჯაბნიან და ამწარებენ. თუ მაგრად არ დაუხვდი — დაღუპული ხარ. მე აქ არაფერ შუაში ვარ. ღონიერი ვიყავი და იმიტომ ვერ გამჭყლიტეს. ჩემი რა ბრალია, თუ ვაჟკაცი ვარ — ვაჟკაცი კი არადა, მკვლელი ხარ, — უთხრა ალბერტომ, — მე შენი არ მეშინია. გავიდეთ აქედან და მაშინ ნახავ შენს სეირს.

— ჩხუბი გინდა? — თქვა იაგუარმა..

— ჰო.

— ჩემთან არაფერი გაგივა, მაგის ღონე ვინ მოგცა, თქვი, ყველა ასეა რაზმეულში ჩემზე ამხედრებული?

— არა, მარტო მე, და არც მეშინია შენი.

— სუ... რა გაყვირებს. თუ გინდა ქუჩაში ვიჩხუბოთ. ოღონდაც გაფრთხილებ, ვერ მომერევი. ტყუილად ასკდები გულს, მათხოვარასათვის მე არაფერი მიქნია. სხვები ამწარებდნენ და მეც ვამწარებდი. ჯიბრით არა, თავს ვირთობდი უბრალოდ. — არა, შენ პირველმა აიგდე აბუჩად, დაჯაბნე, სხვებმაც შენ მოგბაძეს. შენ მოუწამლე სიცოცხლე, მერე კი მოჰკალი.

— ნუ ყვირი, რეგვენო, გაიგონებენ. მე არ მომიკლავს.

ერთი აქედან გავიდე და მოვძებნი იმ მაბეზღარას, ყველას წინაშე ვათქმევინებ, ეს ყველაფერი რომ მოჩმახული და ტყუილია. აი, ნახავ თუ არა.

— არა, მართალია, — თქვა ალბერტომ, — მე ვიცი — ნუ ყვირიმეთქი, შე ოხერო...

— შენ მკვლელი ხარ. — სსსუ...

— მე დაგაბეზღე, იაგუარ, მე ვიცი, რომ შენ მოჰკალი.

ალბერტო არც ახლა დაძრულა ადგილიდან. იაგუარმა თავი დაღუნა, თუმცა ტახტიდან არ წამომდგარა.

— შენ მიხვედი, ლეიტენანტთან? — ნელა, დამარცვლით თქვა მან.

— ჰო, მე. მე ვუამბე შენი ამბავი, ისიც ვუთხარი, რაები ხდება

ბარაკში.

— რატომ?

— ასე მინდოდა. — მაშ, ვნახოთ, საქმითაც თუ ისეთი გმირი ხარ, როგორც ენით, — წამოიმართა იაგუარი.

VII

გამბოა პოლკოვნიკის კაბინეტიდან გამოვიდა, სამოქალაქოში. მოსილ კაცს თავი დაუქნია, ერთხანს უცადა ლიფტს, მერე კიბისკენ წავიდა და სწრაფად ჩაირბინა. ქუჩაში შეამჩნია, რომ გადაკარგულიყო: ცა კაშკაშებდა, ცისკიდურსა და აბრჭყვიალებულ ზღვაზე თეთრი ღრუბლები ჩანდა. გამბოამ ჩქარი ნაბიჯით გასწია მეხუთე კურსის ყაზარმებისკენ, კანცელარიაში შევიდა. კაპიტანი გარიდო საწერ მაგიდას უჯდა, ზღარბივით ეკლებაშლილი. გამბოამ ზღურბლიდან მისცა სალამი.

— როგორაა საქმე? — წამოხტა კაპიტანი.

— პოლკოვნიკმა დამაბარა, რომ ჩემი პატაკი გააუქმოთ, სენიორ კაპიტანო.

კაპიტანს პირისახე გაუნათდა, თვალებში სითბო ჩაუდგა.

— რაღა თქმა უნდა, — დაჰკრა მან მაგიდას მუშტი, — მე არც გამიტარებია იგი, ასეც ვიცოდი. იქ რა ამბავი იყო, გამბოა?

— კადეტმა უარი თქვა ბრალდებაზე, სენიორ კაპიტანო. პოლ-

კოვნიკმა პატაკი დახია. ყველაფერი დავიწყებას მიეცემა. მე ვგულისხმობ მკვლელობას, სენიორ კაპიტანო. რაც შეეხება დანარჩენს, პოლკოვნიკი მოითხოვს, რომ დისციპლინა აღდგეს.

— მაშ ასე, — წაილაპარაკა კაპიტანმა და ღიმილი მოეფინა მთელ სახეზე — აქ მოდით, გამბოა, ამას დახედეთ აბა.

კაპიტანმა მთელი გროვა ქაღალდები გაუწოდა, სახელებითა და ციფრებით აჭრელებული.

— ხედავთ? ამ სამ დღეში იმდენი მოხსენებითი ბარათი დაგროვდა, მთელ თვეში რომ არ ყოფილა. ყოფაქცევის გამო სამოცი კაცი დავსაჯეთ, თითქმის მესამედი კურსი, გესმით? პოლკოვნიკი არხეინად ბრძანდებოდეს, მაგათ როგორმე მოვთოკავთ. ბილეთების თაობაზე უკვე მივიღე ზომები. გამოცდებამდე ჩემს ოთახში ჩავკეტავ, აბა, სცადონ და იქიდანაც მოიპარონ! გავაორკეცეთ ყარაულებისა და პატრულების რიცხვი. ტანსაცმლისა და იარაღის შემოწმება კვირაში ორჯერ მოხდება. გგონიათ, ისევ თავისას გააკეთებენ?

— არა მგონია, სენიორ კაპიტანო.

— მაშ ვინ ყოფილა მართალი? მე თუ თქვენ? — ჯიქურ ჰკითხა კაპიტანმა. — მე ჩემი ვალი მოვიხადე, — თქვა გამბოამ.

— წესდებამ ტვინი გიღრძოთ, გამბოა. სულაც არ ვაპირებ თქვენს განქიქებას, მაგრამ კაცმა ცხოვრებაში ჭკუა უნდა იხმაროს. სჯობია წესდება დაივიწყო და გონების ნაკარნახევს მისდიო — მე მწამს წესდება, — თქვა გამბოამ — მე ის ზეპირად ვიცი. ესეც იცოდეთ, მე არაფერს ვნანობ.

— არ გააბოლებთ? — ჰკითხა კაპიტანმა.

გამბოამ სიგარეტი გამოართვა. კაპიტანი შავ, უცხოურ თუთუნს ქაჩავდა და სქელ ბოლს უშვებდა. ლეიტენანტმა თითი გადაუსვა ბრტყელ სიგარეტს, ვინემ პირში ჩაიდებდა.

— ჩვენ ყველას გვწამს წესდება, — თქვა კაპიტანმა — ოღონდაც წესდებას წაკითხვა უნდა. ჩვენ, სამხედროები, პირველ ყოვლისა

რეალისტები უნდა ვიყოთ, გარემოების მიხედვით ვიმოქმედოთ. შემთხვევა კანონს არ უნდა მიუსადაგო, გამბოა. პირიქით, კანონი უნდა მოურგო შემთხვევას, — კაპიტანი, შთაგონებით აიქნია ხელი, — თორემ ცხოვრება აუტანელი გასდება. სიჯიუტე ცუდი მოკავშირეა. აი, თქვენ კადეტს გამოესარჩლეთ. რა მოიგეთ მერე? არაფერი, მხოლოდ თქვენს თავს ავნეთ. ჩემთვის რომ დაგეჯერებინათ, იგივე შედეგი იქნებოდა, უსიამოვნებას კი ასცდებოდით. ნუ გგონიათ, მიხარია. ხომ იცით, როგორ გაფასებთ. მაგრამ მაიორი გაცოფებულია და შეეცდება სამაგიერო გადაგიხადოთ. პოლკოვნიკიც ალბათ აღტაცებული არ დარჩა.

— ჰა, — გულგრილად წაილაპარაკა გამბოამ — რა უნდა მიყონ? თუმცა რაც უნდა ქნან. მე ხომ სინდისი წმინდა მაქვს.

— წმინდა სინდისი სამოთხეში გამოგადგებათ, — თანაგრძნობით თქვა კაპიტანმა, — სამხრეების მისაღებად კი — არა. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერს ვიღონებ, ცუდი შედეგი არ მოჰყვეს. მოვრჩეთ ამაზე. იმ ბარტყებს რას უპირებენ?

— პოლკოვნიკმა ბრძანა, გამოუშვითო.

— მიდით, მოელაპარაკეთ, აუხსენით, ენას კბილი დააჭირონ, თუ მშვიდად ყოფნა უნდათ. მე მგონი, მიხვდებიან. მათთვის სჯობს ასე. ისე კი ცოტა უფრთხილდით იმ კადეტს, თქვენ რომ მფარველობთ, საკმაოდ თავხედი ვიღაცაა.

— მე რომ ვმფარველობ? — გაიმეორა გამბოამ, — ერთი კვირის წინათ მისი არსებობაც არ ვიცოდი.

ლეიტენანტს ნებართვა არ უთხოვია, ისე გავიდა გარეთა. ეზოში არავინ ჩანდა. მაგრამ სულ მალე, ნაშუადღევის ხანს სასწავლო კორპუსებიდან ჟივილ-ხივილით გამოეფინებიან კადეტები და ეზოს ჭიანჭველებივით მოედებიან. გამბოამ საველე ჩანთიდან წერილი ამოიღო, ცოტა ხანს ხელში გააჩერა, მერე წაუკითხავად ჩადო უკან. „ბიჭი თუ გაჩნდა, სამხედრო არ იქნება“.

საყარაულოში მორიგე ოფიცერი გაზეთს კითხულობდა. ჯარისკაცები სკამებზე ისხდნენ და ერთმანეთს გამოშტერებული შეჰყურებდნენ. გამბოას დანახვაზე წამოხტნენ და ავტომატივით გამოეჭიმნენ.

— სალამი — სალამი, სენიორ ლეიტენანტო.

გამბოა შენობით ელაპარაკებოდა ყმაწვილ ლეიტენანტს. ადრე მისი ხელქვეითი იყო და გამბოას დიდ პატივს სცემდა.

— მეხუთე კურსის კადეტები უნდა წავიყვანო.

— ბატონი ბრძანდებით, — ლეიტენანტმა გულითადად გაუღიმა, თუმცა დაღლილი კი ჩანდა, მთელი ღამე ემორიგევა, — ერთმა წასვლა მოინდომა, მაგრამ ნებართვა არ ჰქონდა. მოგიყვანოთ? მარჯვენა კარცერში არიან.

— ერთად? — ჰკითხა გამბოამ.

— დიახ. ერთი კარცერი მჭირდებოდა სტადიონის მხარეს, რამდენიმე ჯარისკაცი იყო დასჯილი. რა, იმათი ერთად ყოფნა არ შეიძლებოდა?

— გასაღები მომეცი, მე მოველაპარაკები.

გამბოამ ფრთხილად გახსნა კარი და ერთი ნახტომით შეხტა შიგ, როგორც მტაცებელთა გალიაში. ორი წყვილი ფეხი იატაკზე ფართხალებდა, ისმოდა ქშენა და ქსიტინი.. სარკმლიდან შემოსული შუქი ირიბად ეცემოდა. თვალი ჯერ ვერ შეჩვეოდა სიბნელეს და გამბოამ ძლივს გაარჩია მათი ლანდები.

— ადექით ზეზე! — შესძახა მან და ნაბიჯი წინ წადგა. ბიჭები ნელა წამოდგნენ.

— უფროსის შემოსვლისას ხელქვეითები სალამს აძლევენ, — თქვა გამბოამ — დაგავიწყდათ განა? თვითეულს ექვს-ექვსი საჯარიმო, ხელი ჩამოუშვით და სმენაზე დადექით, კადეტო!

— ვერ შესძლებს, სენიორ ლეიტენანტო, — წაილაპარაკა იაგუარმა.

— ალბერტომ ხელი ჩამოუშვა და მაშინვე ისევ აიფარა ლოყაზე. გამბოამ ოდნავ უბიძგა სინათლისაკენ. ყვრიმალი კარგა მაგრა შეშუპებოდა ბიჭს, ცხვირსა და ტუჩებზე სისხლი შეხმობოდა.

— ხელი ჩამოუშვით, მაჩვენეთ, — უთხრა გამბოამ.

ალბერტომ ხელი დაუშვა, ტუჩები მოკუმა, ცალი თვალი მთლიანად ჩალურჯებოდა — გაგლეჯილი, თითქოს დამწვარი ქუთუთო ზედ გადმოხურვოდა. სისხლის წვეთები გიმნასტურაზეც აჩნდა, თმა ოფლითა და მტვრით გასწებოდა.

— მოდით ჩემთან.

იაგუარი მივიდა. ჩხუბის კვალი დიდად არ დამჩნეოდა, ოღონდაც ნესტოები უთრთოდა და პირის ირგვლივ ჭუჭყიანი ქაფი შერჩენოდა.

— ჰოსპიტალში გასწით ორივემ, — თქვა გამბოამ, — მერე კი ჩემთან დაგელოდებით, უნდა მოგელაპარაკოთ.

კადეტები გავიდნენ. ნაბიჯების ხმაზე მორიგე ოფიცერმა თავი მოაბრუნა და ღიმილი მყის ჩამოერეცხა, გაოცება გამოეხატა.

— შესდექით! — შეჰყვირა დაბნეულმა — ეს რასა ჰგავს? ფეხი არ მოიცვალოთ.

ჯარისკაცები მოახლოვდნენ და ცნობისმოყვარედ შეაცქერდნენ კადეტებს. — თავი გაანებე, — უთხრა გამბოამ და კადეტებს მიუბრუნდა — გასწით.

ალბერტო და იაგუარი საკომენდანტოდან გავიდნენ, ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა თვალი გააყოლეს. ისინი მხარდამხარ მიდიოდნენ, თვალი სივრცისთვის მიეშტერებინათ.

— ცხვირპირი მთლად დალეწილი აქვს, — წაილაპარაკა ყმაწვილმა ლეიტენანტმა, — ვერ გამიგია, რა მოხდა.

— არაფერი გაგიგონია? — ჰკითხა გამბოამ — არა, — დარცხვენით მიუგო იმან — მე არც გამოვსულვარ — მერე ჯარისკაცებს მიუტრიალდა — არც თქვენ გაგიგონიათ?

ოთხივე ჯარისკაცმა უარის ნიშნად გააქნია თავი.

— ალბათ უხმოდ ჟეჟავდნენ ერთმანეთს, — მოწონებით ჩაილაპარაკა ლეიტენანტმა — მცოდნოდა, მაშინვე ჭკუაზე მოვიყვანდი მაგათ. ზორბად კი უჩხუბიათ ამ მამლაყინწებს. კარგა ხანს არ მოუშუშდება პირისახე. მაინც რაზე წაიკიდნენ?

— ისეთი არაფერი, — თქვა გამბოამ.

— ნეტა როგორ მოითმინა, არ დაიყვირა? — განაგრძო ლეიტენანტმა — იმ მეორემ პირდაპირ დაამახინჯა, ეგ ქერათმიანი კრივის სექციაშია ჩასარიცხი. ან იქნებ უკვე ჩარიცხეს.

— არა მგონია, — თქვა გამბოამ, — კარგი კი იქნებოდა. შენ მართალი ხარ.

„მთელი დღე გარეუბანში დავბორიალებდი, ქოხმახ-ქოხმახ. ერთმა ქალმა პური და ცოტა რძე მომცა. ღამე ისევ ლაფაროში გავათენე, პროგრესის გამზირის შორიახლოს, ამჯერად მეძინა. მზე კარგა მაღალზე იყო, რომ გამეღვიძა. ახლომახლო არავინ ჩანდა, მაგრამ გამზირის მხრიდან მანქანების გრიალი მესმოდა. მშიოდა და თავიც მტკიოდა. ტანში ისე მტეხდა, როგორც გრიპის წინ იცის. ქალაქის გულისკენ ფეხით წავედი. თორმეტი საათისათვის უკვე ალფონსო უგარტეზე ვიყავი. გოგოები სკოლიდან გამოეფინენ, მაგრამ ტერესა არ ჩანდა. დიდხანს ვიხეტიალე ხალხით მოზიმზიმე ქუჩებში, რამდენჯერმე შემოვუარე სან-მარტინის მოედანს, გრაუს გამზირს. საღამოს სამხედრო პარკში შევედი. სიქა აღარ მქონდა. ონკანიდან წყალი დავლიე და პირიდან მასაქმა. დავწექი ბალახზე. ვხედავ, ერთი პოლიციელი ჩემკენ მოდის და თითით მიხმობს თავისკენ. იცოცხლე, მე მოვკურცხლე, მაგრამ აღარ დამდევნებია. ღამე იყო, ნათლიაჩემის სახლს რომ მივადექი. ფრანსისკო პისაროს გამზირზე. თავი გასკდომაზე მქონდა, მთელი სხეული მიკანკალებდა. „მაინც გავხდი ავად, — ვიფიქრე, — ზამთარი კი გასულია“. ვინემ დავაკაკუნებდე, ჩემს თავს ვუთხარი: „მისი ცოლი თუ გამოვიდა და მითხრა, შინ არ

არის, პირდაპირ პოლიციაში წავალ, მაჭმევენ მაინც“. მაგრამ ნათლიამ გამიღო კარი. კარგა ხანს მიყურა, ვერა და ვერ მიცნო, თუმცა ორი წელი არ ვენახე მხოლოდ. ვუთხარი, ვინც ვიყავი. სინათლე უკნიდან ეცემოდა და მის მრგვალ, მოკლედ შეკრეჭილ თავსღა ვხედავდი. „შენა ხარ, ნათლულო? არა მჯერა. მე მეგონა, შენც მკვდარი იყავი“. მერე შინ შემიყვანა და მკითხა: „რა იყო, რა ამბავია, ბიჭო, შენს თავს?“ ბოდიში მოვუხადე, ორი დღეა არაფერი მიჭამია-მეთქი. მხარზე მომკიდა ხელი და ცოლს დაუძახა. გამომიტანეს წვნიანი, ბიფშტექსი ლობიოთი და ნამცხვარი. მერე გამომკითხა ჩემი ამბები. მოვუჩმახე, სახლიდან გავიქეცი და მე და ერთი ტიპი ჯუნგლებში გავემგზავრეთ სამუშაოდ. იქ ორი წელი დავყავი ყავის პლანტაციაზე. მერე ჩემს პატრონს საქმე ცუდად წაუვიდა, დამითხოვა და ლიმაში უკაპიკოდ ჩამოვედი-მეთქი. შემდეგ დედაჩემის ამბავი ვკითხე. მითხრა, ამ ნახევარი წლის წინათ გულის შეტევით მოკვდაო. „ჩემი ფულით დავასაფლავე, ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზე გავუკეთე“, თქვა ასე და დააყოლა: „ამაღამ ეზოში დაიძინე. ხვალ კი ვნახოთ, სადმე მოგაწყობ“. მისმა ცოლმა ლეიბი და საბანი გამომიტანა. მეორე დღეს ნათლიაჩემმა თავის დუქანში წამიყვანა და დახლში დამაყენა. მას აქეთ ორივე ვმუშაობდით იქ. ჯამაგირს არ მაძლევდა, მაგრამ ჭერი მქონდა და საჭმელი არ მაკლდა. კარგადაც მექცეოდა, თუმცა სამპირ ოფლს კი მადენდა. ვდგებოდი დილის ექვსზე, გამოვხვეტავდი ხოლმე სახლს, მოვამზადებდი საუზმეს და საწოლში მივართმევდი. მერე მაღაზიებს მოვივლიდი და რასაც მისი ცოლი ჩამომიწერდა, ვყიდულობდი. შემდეგ დუქანში წავიდოდი და დაღამებამდე ვემსახურებოდი მუშტრებს. დილას ნათლიაჩემი ჩემთან ერთად მუშაობდა, მერე მარტოს მტოვებდა, საღამოს კი ნავაჭრს ვაბარებდი. შინ გვიან ვბრუნდებოდი, მოვუმზადებდი ორივეს სადილს — მისმა ცოლმა მზარეულობაც მასწავლა — და დასა-

ძინებლად მივდიოდი. მართალია, უფულოდ ყოფნა ძალიან მიჭირდა, მაგრამ წასვლა მაინც არ მიფიქრია. ისევ მუშტრებს ვუანგარიშებდი ხოლმე ზედმეტს, ან ხურდას დავაკლებდი, სიგარეტები რომ მეყიდა და უჩუმრად გამებოლებინა. გარდა ამისა, სიამოვნებითაც წავიდოდი სადმე, პოლიციელებისა რომ არ მშინებოდა. მერმე უკეთ წავიდა საქმე. ნათლიაჩემს მთაში მოუხდა გამგზავრება საქმეზე და თავისი ქალიშვილიც თან წაიყვანა. რომ გავიგე, წასვლას აპირებდა და ისიც გამახსენდა, ცოლი როგორ მექცეოდა წინათ, ვიფიქრე, ვაი ჩემი ბრალი-მეთქი. თუმცა რაც მათთან დავბინავდი, უკვე აღარ მჩაგრავდა და იშვიათადაც მელაპარაკებოდა, თუ რამე დასასაქმებელი ჰქონდა, მხოლოდ მაშინ. მაგრამ როგორც კი ნათლიაჩემი გაემგზავრა, უმალ იცვალა ნირი. მიცინოდა, ხან რას მეტყოდა, ხან რას, საღამოს დუქანში რომ მოვიდოდა და ანგარიშის ჩაბარებას დავუპირებდი, მეტყოდა ხოლმე: „თავი გაანებე, მე ხომ ვიცი, რომ არ ქურდობ“. ერთ საღამოს, — ვნახოთ, ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა დუქანში. შევატყვე, აღელვებული იყო. მაშინვე მივხვდი, რამაც მოიყვანა. ხითხითებდა, ჩუმ-ჩუმად მიჭვრეტდა, ზუსტად ისე, როგორც როსკიპებმა იციან ხოლმე, როცა გამოთვრებიან და საშველს აღარ მოგცემენ. გამეხარდა, გამახსენდა, რამდენჯერ გამოვუგდივარ ნათლიაჩემთან სტუმრად მისული, და ჩემთვის ვთქვი: „ახლა ამოვალ-მეთქი შენს ოხტში“. ფაშფაშა ულამაზო ქალი იყო, ჩემზე მაღალი. მითხრა: „გამიგონე, დაკეტე დუქანი და კინოში წავიდეთ, მე გეპატიჟები“. წავედით ქალაქის გულში, ასე თქვა, იქ კარგი კინოსურათები გადისო. მაგრამ ვიცოდი, ნათლიაჩემი ძალიან ეჭვიანი იყო და იმიტომ არ უნდოდა ჩვენი უბნის ხალხს ენახა ჩემთან ერთად. კინოში ისე იქცეოდა, ვითომ ძალიან ეშინოდა — ახალ დეტექტივს გვაჩვენებდნენ — ხან ხელს მტაცებდა, ხან მომეხუტებოდა, ხან მუხლს მომადებდა, ხან ხელს დამადებდა მუხლზე, ვითომ შემთხვევით. ლამის სიცილით გავიფხრიწე. თავი

მოვისულელე, ვითომ დოყლაპია ვიყავ და არაფერი გამეგებოდა. წარმომიდგენია, როგორ სკდებოდა გულზე. მერე შინ ფეხით წამოვედით. გამიბა ლაპარაკი ქალებზე, მომიყვა ბილწი ისტორიები, მერე მკითხა, ქალთან თუ გქონია საქმეო. ვუთხარი, არა-მეთქი. „სტყუიო, — მითხრა, — ყველა კაცი ერთმანეთს ჰგავხართ“. ყოველნაირად ცდილობდა ჩემთვის ეჩვენებინა, რომ უკვე კაცად მთვლიდა. მე კი ერთი სული მქონდა პირში მეთქვა მისთვის: „ემა როსკიპს ჰგავხარ-მეთქი „Happy land“-ის საროსკიპოდან“. შინ ვკითხე, სადილი გავაკეთო თუ არა. „არ გინდა, — მითხრა, — მაგას სჯობია. დრო გავატაროთ. ამ სახლში იშვიათად თუ გამხიარულდები. ლუდი გახსენიო“. მერე ნათლიაჩემის ძრახვას მოჰყვა: ჭირივით მეჯავრებაო. ასეთი და ისეთი ძუნწიაო, ბებერი, სულელიო და კიდევ ათასი რაღაცა. მთელი ბოთლი მე დამალევინა, რომ დავმთვრალიყავი და რაღაც მეკისრა. მერე რადიო ჩართო და მითხრა: „მოდი, ცეკვას გასწავლი“. მეხუტებოდა, მეც არ ვუძალიანდებოდი, თავს ვისულელებდი. ბოლოს ეს მკითხა: „ქალს ჯერ შენთვის არ უკოცნია?“ არა-მეთქი, ვუთხარი. მომხვია ხელი და ტუჩებში მაკოცა. სულ გაცოფდა, თავისი მურდალი ენა ლამის ყანყრატოში ჩამიყო და თან მთელი ტანი დამიჩქმიტა. მერე ხელი მომკიდა და თავის ოთახში წამათრია. შიშველი თურმე უკეთესი ყოფილა, ხორცი ჯერ კიდევ მკვრივი ჰქონდა. შერცხვა, რომ ვუყურებდი, არკი ვუახლოვდებოდი და სინათლე ჩააქრო. ნათლიაჩემის ჩამოსვლამდე ყოველდღე თავის საწოლში მივყავდი. მიყვარხარო, — მეუბნებოდა, — შენთან ბედნიერი ქალი ვარო. მთელი დღე თავის ქმრის ლანძღვაში იყო. მომცა ფული, მიყიდა რაღაც-რაღაცეები, ყოველკვირა კინოში დავყავდი. სიბნელეში ჩემი ხელი ჰქონდა ჩაბღუჯული. კინაღამ გაგიჟდა, როცა ვუთხარი, ლეონსიო პრადოს სამხედრო სასწავლებელში მინდა შესვლა და ქმარი დაიყოლიე, ფული შეიტანოს, რომ მიმიღონ-

მეთქი. სულ თმა დაიგლიჯა და უსინდისო და უგულო მეძახა, მაგრამ როცა დავემუქრე, გავიქცევი-მეთქი, რაღას იზამდა, დამთანხმდა. ჰოდა, ერთ დილასაც ნათლიაჩემმა გამომიცხადა: „იცი, ყმაწვილო, ჩვენ გადავწყვიტეთ კაცი გაგხადოთ. ამიტომ სამხედრო სასწავლებელში უნდა ჩაგწერო“.

— რომ აგეწვას, არ გაინძრე, თორემ თვალში მოგხვდება, — თქვა ფერშალმა.

როცა ყვითელ სითხეში დასველებული ბანდი პირისახესთან მიუტანა, ალბერტომ კბილი კბილს დააჭირა. საოცარმა ტკივილმა შეაკანკალა, პირი გააღო, იყვირა. ტკივილმა არა და არ გაუარა. ცხვირში სპირტისა და იოდის სუნი ედგა, გული ერეოდა. საღი თვალი ფერშლის ზურგს უკან გააპარა. იაგუარი ოთახის მეორე ბოლოში იჯდა და გულგრილად გამოჰყურებდა. ჰოსპიტალში ყველაფერი თეთრად ქათქათებდა, კაფელის იატაკიც ნეონის ცისფერ შუქს უკან, ჭერისკენ ისროდა. ფერშალმა ბანდი მოაშორა და სტვენა-სტვენით ახალი ტამპონის დახვევას შეუდგა. ნეტა ისე თუ ეტკინება, როგორც პირველად?. როცა იაგუარმა მუშტები დაურთო, როცა ორივე იატაკზე გორავდა, მაშინ ტკივილი არ უგრძვნია, მხოლოდ დამცირება ტანჯავდა. პირველ წუთსავე მიხვდა, რომ ბრძოლა წაგებული ჰქონდა: მისი მუშტები იაგუარს არ ხვდებოდა, იაგუარის მკვრივი მოქნილი სხეული თევზივით უსხლტოდა ხელიდან — დაეტაკებოდა თუ არა, მყის მოწყდებოდა, მოუხელთებელი და ამავე დროს მოუშორებელი. ყველაზე უარესი თაური იყო. ალბერტო იდაყვებს იფარებდა, წიხლებით იშორებდა, იკუზებოდა — იაგუარის თავი მაინც რიყის ქვასავით უმტვრევდა ხელებს, თავ-პირისაკენ მოიწევდა. წამით ურო და გრდემლი გაახსენდა. მაშინ პირველად გაგორდა იატაკზე, რომ ცოტა მაინც მოეთქვა სული. მაგრამ იაგუარმა წამოდგომა არ და-

აცალა, წუთითაც არ შეჩერებულა, ისევ ეძგერა და მანამდე ურტყა მუშტები, ვინემ ალბერტო ფეხზე არ წამოხტა და კუთხეში არ მიიკუნჭა. რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ იატაკზე ამოჰყო თავი — იაგუარი ისევ თავზე აჯდა და მუშტებს უბრაგუნებდა. ბიჭმა გონი დაჰკარგა. თვალი რომ გაახილა, დაინახა, ტახტზე ზის იაგუარის გვერდით და მისი მშვიდი ქსიტინი ესმის. გონს მხოლოდ კარცერში შემოსული გამბოას მჭექარე ხმამ მოიყვანა.

— მორჩა, — თქვა ფერშალმა, — შეგაშრებათ და მერე შეგიხვევთ. წყნარად იჯექით, ჭუჭყიანი ხელი არ ახლოთ.

ფერშალი სტვენა-სტვენით გავიდა ოთახიდან. ბიჭებმა ერთმანეთს შეხედეს. ალბერტოს აღარ ეწვოდა კანი, აღარც სიძულვილი ჰქონდა და მაინც გამომწვევად შეუტია იაგუარს:

— რას მომჩერებიხარ?

— მაბეზღარა! — თქვა იაგუარმა. ცისფერი თვალები უმეტყველოდ შესცქეროდნენ ალბერტოს — უარესს ვერაფერს მოიგონებ. ფუი, მურდალი მაბეზღარა! გული მერევა, რომ გიყურებ.

— ოდესმე მაინც ამოვალ შენს ოხტში, — უთხრა ალბერტომ, — დიდი ღონიერი ბგონია, ხომ თავი? მამაძაღლი ვიყო, თუ ისე არ გაგიხადო საქმე, ფეხებში ჩამივარდე. იცი, ვინა ხარ? კაცის მკვლელი. ციხეა შენი ადგილი.

— შენისთანა ენატანიები არც უნდა გაჩენილიყვნენ ქვეყანაზე, — იაგუარს ვითომც არ გაუგონია ალბერტოს ნათქვამი, — საქმეც რომ გამიფუჭოს, მაინც ვუამბობ ბიჭებს, ვინცა ხარ, მთელ სასწავლებელს მოვდებ შენს ამბავს. სხვა სირცხვილით დაიწვებოდა.

— მე კი არა მრცხვენია, გავალ თუ არა აქედან, პოლიციაში მივალ და განვაცხადებ, რომ მკვლელი ხარ.

— ააფრინე და ეგაა, — დინჯად წაილაპარაკა იაგუარმა — მე არავინ მომიკლავს. ყველამ იცის, მათხოვარა რომ შემთხვევით მოკვდა. თვითონაც მშვენივრად იცი, მაბეზღარავ.

— იმიტომ ხარ ასე არხეინად, რომ ყველანი შენნაირი არიან,

პოლკოვნიკიც, კაპიტანიც, ყველა შენ გიჭერს მხარს, ერთი ბანდა სართ. გაგონებაც არა სურთ არაფრის. მაგრამ მე ყველას, ყველას ვეტყვი, მათხოვარა რომ შენ მოჰკალი.

ოთახის კარი გაიღო და ფერშალი შემოვიდა, ახალი ბანდი და სალბუნი მოიტანა. შეხვევის შემდეგ ალბერტოს ცალი თვალი და პირი უჩანდა მხოლოდ. იაგუარს გაეცინა.

— რა გაცინებთ? — ჰკითხა ფერშალმა — ისე გამეცინა, — თქვა იაგუარმა.

— ისე ფსიქიურად არასრულფასოვნები იცინიან. არ იცოდით?

— მართლა? — თქვა იაგუარმა, — არ ვიცოდი.

— მორჩა ყველაფერი, — უთხრა ფერშალმა ალბერტოს და იაგუარს მიუბრუნდა — ახლა თქვენი რიგია.

იაგუარი ალბერტოს ადგილზე დადგა. ფერშალმა მხიარული სტვენა-სტვენით ბამბა დაასველა იოდში. იაგუარს რამდენიმეგან ჰქონდა მხოლოდ გაფხაჭნილი პირისკანი და კისერიც ოდნავ შეშუპებული ერთ ადგილას. ფერშალმა ფრთხილად მოუწმინდა პირი. სტვენა წამით არ შეუჩერებია.

— ჯანდაბა და დოზანა — იღრიალა უცებ იაგუარმა და ფერშალს ორივე ხელი ჰკრა — რას მიშვრები, პირუტყვო!

ალბერტოსა და ფერშალს გაეცინათ.

— ეგ განზრახ ჰქენი! — იაგუარს ცალი ხელი მიეფარებინა თვალზე, — ძაღლიშვილო!

— რატომ გაინძერით? — ისევ მიუახლოვდა ფერშალი — აკი გაგაფრთხილეთ, თვალში თუ მოგხვდათ, ცუდი დღე დაგადგებათ-მეთქი — ფერშალმა სინათლისკენ მიაბრუნებინა თავი იაგუარს — ხელი ჩამოიღეთ. ჰაერი მიუშვით, ისე აღარ აგეწვებათ.

იაგუარმა ხელი ჩამოიღო. თვალი დასწითლებოდა და ეცრემლებოდა. ფერშალმა სინდიყის მალამო წაუსვა და რამდენიმე სალბუნი დაადო. ახლა აღარ უსტვენდა. მხოლოდ ენის წვერი უჩანდა ხვლიკის ვარდისფერი კუდივით. მერე ხელები შეიწმინდა

და თქვა:

— ახლა აქ მომიწერეთ ხელი და წაბრძანდით.

ალბერტომ და იაგუარმა ჟურნალში მოაწერეს ხელი და გამოვიდნენ. გარეთ ისეთი სინათლე იდგა, გრილი ნიავი რომ არა, გეგონებოდა, ზაფხულმა უკვე საბოლოოდ მოიკიდაო ფეხი. მოწმენდილი ცა უძირო ჩანდა. ბიჭებმა მოედანი გადაჭრეს. ირგვლივ არავინ ჩანდა, მაგრამ სასადილოს რომ ჩაუარეს, კადეტების ყაყანი და კრეოლური ვალსის ხმა მოესმათ. ოფიცერთა შენობასთან ლეიტენანტი უარინა შემოეფეთათ.

— სდექ, — შეაჩერა მან ბიჭები, — ეს რას ნიშნავს?

— წავიქეცით, სენიორ ლეიტენანტო, — უთხრა ალბერტომ.

— მაგისთანა სიფათების გამო ერთი თვე უსაშვოდ დარჩენა გიწერიათ, ნაკლები არა.

ბიჭებმა უხმოდ განაგრძეს გზა ოფიცერთა შენობისაკენ. გამბოას ოთახის კარი ღია იყო, მაგრამ ისინი არ შესულან, ზღურბლთან დადგნენ და ერთმანეთს შეაჩერდნენ.

— რად არ აკაკუნებ? — თქვა ბოლოს იაგუარმა — გამბოა ხომ შენი დოსტია.

ალბერტომ ერთხელ დააკაკუნა.

— მობრძანდით, — გაისმა ოთახიდან.

გამბოა იჯდა და წერილს კითხულობდა. ბიჭების დანახვაზე სწრაფად დამალა წერილი. მერე ადგა და კარი მიხურა, ბიჭებს მკვახედ მიუთითა საწოლზე:

— დასხედით.

ბიჭები საწოლის კიდეზე ჩამოსხდნენ. გამბოამ სკამი მოაჩოჩა, შებრუნებით დაჯდა, სკამის ზურგს დაეყრდნო. პირისახე ისეთი სველი უჩანდა, თითქოს ეს წუთია დაიბანაო. თვალები დაღლილი ჰქონდა, წაღები დამტვერილი, ხალათი შეხსნილი. ცალი ხელი ლოყაზე შემოედო, ცალს მუხლს უტყაპუნებდა და ბიჭებს ჯიქურ მიჩერებოდა.

— მაშ, ასე, — მოუთმენლად შეტოკდა იგი ბოლოს — ალბათ იცით, რაზეც უნდა გელაპარაკოთ. მე მგონი, იმის თქმა აღარ დამჭირდება, ახლა როგორ უნდა მოიქცეთ.

ზედ ეტყობოდა, რარიგ მობეზრებოდა ყველაფერი: უხალისო ხმა ჰქონდა და მზერაც გულგრილი:

— მე არაფერი ვიცი, სენიორ ლეიტენანტო, გარდა იმისა, რაც გუშინ გითხარით, — წაილაპარაკა იაგუარმა.

ლეიტენანტმა გაკვირვებით შეხედა ალბერტოს.

— მე არაფერი მითქვამს, სენიორ ლეიტენანტო გამბოა. წამოდგა, ეტყობოდა, რა უსიამო გრძნობა ჰქონდა, როგორ აღიზიანებდა ეს შეხვედრა.

— ალბათ იცი, კადეტმა ფერნანდესმა რაც დაგაბრალა. უფროსების აზრით, ეს ბრალდება დაუსაბუთებელია — იგი ნელა ლაპარაკობდა, ცდილობდა ზოგადად გამოეხატა სათქმელი. ხან პირს გააღებდა, ტუჩებს გაწელავდა და ერთხანს იდგა ასე — ამაზე კრინტი არ უნდა დაძრათ არც აქ, არც ქალაქში — ამისთანა ლაპარაკმა სასწავლებელს შეიძლება ჩრდილი მიაყენოს. რაღაი ეს ყველაფერი უკვე დამთავრდა, გასწით თქვენს რაზმეულებში და ხმა აღარ გაიღოთ, არადა, ორივე სასტიკად დაისჯებით. პოლკოვნიკმა მე დამავალა პირადად გადმომეცა, რომ ყველა არასასურველ მითქმა-მოთქმაზე პასუხს თქვენ აგებთ.

იაგუარი თავდახრილი უსმენდა. მაგრამ როგორც კი გამბოა გაჩუმდა, თავი ასწია.

— აბა, მე რა ვთქვი, სენიორ ლეიტენანტო? ხომ გითხარით, ეს ყველაფერი ამან მოჩმახა-მეთქი, — და ზიზღით გადახედა ალბერტოს.

— არა, არ მომიჩმახავს, შენ მოჰკალი, — უთხრა ალბერტომ..

— ჩუმად! — შესძახა გამბოამ, — ხმა-კრინტი, კრეტინებო! — ბიჭები უნებლიეთ წამოხტნენ.

— კადეტო ფერნანდეს! — განაგრძო გამბოამ, — ამ ორი საათის

წინ ჩემი თანდასწრებით თქვენ უარყავით თქვენივე ბრალდება. ახლა უკვე ნება აღარ გაქვთ ამაზე სიტყვა დაძრათ, თორემ სასტიკად დაისჯებით. მე თვითონ გავცემ ბრძანებას, რომ სასტიკად დაგსაჯონ. გასაგებია?

— სენიორ ლეიტენანტო, — წაიდუდუნა ალბერტომ, პოლკოვნიკთან დავიბენი — უკეთ, სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი. გარდა ამისა...

— გარდა ამისა, — გააწყვეტინა გამბოამ, — თქვენ არ გაქვთ უფლება სხვას წაუყენოთ ბრალდება, სხვები გაკიცხოთ. მე რომ უფროსი ვიყო, აქამდე კინწისკვრით გაგაგდებდით. იმედია, პორნოგრაფიულ მწერლობას თავს დაანებებთ, თუკი კურსის დამთავრება გსურთ?

— დიახ, სენიორ ლეიტენანტო. მაგრამ ეს საქმეს არ ეხება. მე....

— თქვენს ნათქვამზე პოლკოვნიკთან თქვენვე თქვით უარი, მორჩა და გათავდა — გამბოა იაგუარს მიუბრუნდა — რაც შეგეხებათ თქვენ, იქნებ კადეტ არანას სიკვდილში არც არაფერ შუაში იყოთ, მაგრამ უიმისოდაც ბევრი სხვა მძიმე დანაშაული გაწევთ კისერზე. მერწმუნეთ, ამიერიდან ვეღარ გააცურებთ ოფიცრებს, მე ყველა ღონეს ვიხმარ, ეს აღარ მოხდეს. ახლა კი ორივემ გასწით აქედან და კარგად დაიხსომეთ, რაც გითხარით — ალბერტო და იაგუარი გავიდნენ. გამბოამ კარი მიკეტა. სასადილოდან ყაყანისა და მუსიკის ხმა ისმოდა — ვალსი ხალხურმა ცეკვამ შეცვალა. ისინი მოედანზე ჩავიდნენ. ქარი აღარ ქროდა, გაზონებზე არ ირხეოდა ბალახი. ბიჭები ნელა წავიდნენ ყაზარმისაკენ.

— ყველა ოფიცერი ნაგავია, — წაილაპარაკა ალბერტომ, იაგუარისთვის არც შეუხედავს — გამბაოც კი. მე კი მეგონა, სხვა კაცი იყო.

— რაო, ნაწერებზე ჩაგავლეს?

— ჰო. — აბა, გიტირებენ ყოფას!

— არა, — თქვა ალბერტომ — დამაშინეს მხოლოდ. მე თუ ჩემს ბრალდებაზე უარს ვიტყოდი, ეგენი ჩემს მოთხრობებს დაივიწყებდნენ. პოლკოვნიკმა ეს ნათლად მაგრძნობინა. რა ნაძირალები ყოფილან.

იაგუარს გაეცინა.

— ხომ არ გაბოდებს? როდის აქეთ დამიწყეს დაცვა ოფიცრებმა? — შენ კი არა, თავის თავს იცავენ, უსიამოვნება არ შეგვხვდესო.. ფეხებზე არ ჰკიდიათ მათხოვარას სიკვდილი.

— ეგ სწორი თქვი. ამბობენ, დედ-მამასაც არ აჩვენესო, როცა ჰოსპიტალში იწვა. გაგიგია, კვდებოდე და შენ ირგვლივ მხოლოდ ექიმებსა და ოფიცრებს ხედავდე! ნაგავი არიან, აბა არ არიან.

— შენც ფეხებზე გკიდია მისი სიკვდილი, — თქვა ალბერტომ, — შენ ოღონდაც კავას გამო გეძია შური.

— რა? — იაგუარი შედგა და ალბერტოს თვალი თვალში გაუყარა — რა თქვი?

— რა ვთქვი?

— მაშ, იმან გათქვა კავა? — იაგუარს თვალები ნაკვერჩხლებივით გაუღვივდა.

— თავს ნუ იკატუნებ, არ გამოგივა, — უთხრა. ალბერტომ.

— თავის მოკატუნება რაში მჭირდება, ტუტუცო! მე რა ვიცოდი, მაგან თუ გათქვა კავა. ახიც ყოფილა მაგაზე, რომ ჩაძაღლდა. ყველა მაბეზღარას მაგასავით მიწაში ჩავმარხავდი.

ალბერტო ჯერ ვერ შეჩვეოდა ცალი თვალით ცქერას, ამიტომ ვეღარ მოზომა და იმის მაგივრად, იაგუარს ხალათზე სწვდენოდა, ჰაერს წაეპოტინა ხელით.

— მართლა არ იცოდი, რომ მათხოვარამ გათქვა კავა? დაიფიცე, დედა დაიფიცე აბა. თქვი: „დედა მომიკვდეს, თუ ვიცოდიო“.

— დედა ისედაც მომიკვდა. არაფერი არ ვიცოდი — დაიფიცე, თუ ვაჟკაცი ხარ. — გეფიცები, არ ვიცოდი.

— მე კი მეგონა, იცოდი და იმიტომ მოჰკალი, — წაილაპარაკა ალბერტომ — თუ მართლა არ იცოდი, მაშ, შევმცდარვარ. მაპატიე, იაგუარ.

— ახლა გვიანაა სინანული. ამას იქით მაინც აღარ დააბეზღო ხალხი. ამაზე უარესი არაფერია.

VIII

ნასადილევს მოვიდნენ ყველანი, ნიაღვარივით მოასკდნენ ყაზარმას. ალბერტომ შორიდანვე გაიგონა ფეხების ყრუ ბრაგუნი, მერე დოლის გააფთრებული ბრახუნი — ისინი მოედანზე გადმოდიოდნენ — და ჰა, უკვე მიწა შესძრა გიჟურმა ღრიანცელმა, ასობით წაღის თქარუნმა ასფალტზე. როცა ხმაური უკიდურესად მოზღვავდა, გლეჯით გაიღო ყაზარმის კარი და ნაცნობი სახეები გამოჩნდა ზღურბლზე. რამდენიმე ხმამ მისი და იაგუარის სახელი დასჭექეს. საძინებელში შემოვარდნილი კადეტები ორ ნაკადად გაიყვნენ. ერთი მისკენ გამოექანა, მეორე ოთახის სიღრმეში — იაგუარის საწოლისაკენ. ალბერტოსკენ მომავალთ ვალიანო მოუძღვებოდა. ბიჭები ხელებს იქნევდნენ, თვალები ცნობისმოყვარეობით ანთებოდათ. ალბერტო დააფრთხო მასზე მოჩერებულმა ათობით თვალმა,— სეტყვასავით დაყრილმა დაუსრულებელმა კითხვებმა. წამით ისე მოეჩვენა, მის დასასჯელად, ლინჩის კანონით გასასწორებლად მოდიოდნენ. ჯერ გაღიმება სცადა, მერე კი

მიხვდა, ამაოდ გაირჯებოდა — მთელი თავ-პირი ისე ჰქონდა შეხვეული, მაინც ვერ დაინახავდნენ. „ვამპირო! ურჩხულო! გველეშაპო!“ — გაისმა ღრიალი. მერე კითხვები დააყარეს. მანაც გასცა პასუხი — ხმაჩახლეჩით, მძიმე-მძიმედ, თითქოსდა ბანდები ახრჩობდა, ხელს უშლიდა ლაპარაკში. „შემთხვევით მომიხდა, — ხრიწინებდა იგი, — ჰოსპიტლიდან მხოლოდ ამ დილას გამომწერეს“. „ზორბად კი დაუხატიხართ“, — იძახდა ვალიანო, სხვები ბანს აძლევდნენ. „ნაღდად ცალთვალა დარჩები, ამას ლაპარაკი არ უნდა, მწერლის ნაცვლად ბრუტიანი შეგერქმევა“. წვრილმანებს არავინ ეკითხებოდა, იკრიჭებოდნენ, მასხრობდნენ, ახალ-ახალ მეტსახელებს იგონებდნენ. „მანქანა დამეჯახა, — ამბობდა ალბერტო, — წამაქცია და პირქვე დამაგორა ორი მაისის გამზირზე“. კადეტების წრე თანდათან შეთხელდა მის ირგვლივ, ზოგმა საწოლისკენ გასწია, ზოგი უფრო ახლოს მოდგა და შეხვეულ თავ-პირზე ქილიკებოდა. უცებ ვიღაცამ დაიძახა: „არ დაიჯეროთ, ნიძლავს ჩამოვალ, რომ იაგუარმა და მწერალმა ერთმანეთი თეთქვეს“. მქუხარე სიცილმა შესძრა ყაზარმა. ალბერტომ გულში მადლობა უძღვნა ფერშალს, თავ-პირი რომ ისე შეუხვია, ვერავინ ვერაფერს წაიკითხავდა მის სახეზე. ცალი თვალით მხოლოდ მის წინ მდგარ ვალიანოს ხედავდა, აროსპიდესა და მონტესას. თითქოს ნისლი ბურავდა ყველას. მაგრამ შეგრძნებით კი ყველას იქ ყოფნას შეიგრძნობდა, ესმოდა დამცინავი ხმები, მასა და იაგუარს რომ მასხარად იღებდნენ, თუმცა გაუბედავად კია. „ეს რა გიქნია ამ ჩვენს მწერლისათვის, იაგუარ?“ — იძახდა ერთი. „ქალივით იკაწრები, ბიჭო?“ — ეკითხებოდა ალბერტოს მეორე. მაგრამ იაგუარის ხმა არ ისმოდა ამ ხმაურში. ვერც თვითონ მას ხედავდა — კარადები, საწოლები, კადეტები ეფარებოდა. აღარ და აღარ მოთავდა სიცილი და ქილიკი. ყველაზე უფრო ვალიანოს გესლიანი წიკვინი ისმოდა, ენას არ აჩერებდა.

„აბა, მოკეტეთ! კმარა!“ — მჭახედ გაისმა უცებ იაგუარის ხმა.

ხმაური მყის შეწყდა, მხოლოდ აქა-იქ ჩაიხითხითეს შეპარვით და გაუბედავად. ცალი თვალით დაინახა ალბერტომ, ვიღაცა რომ მივიდა ვალიანოს საწოლთან, ხელებით ჩამოეკიდა რკინებს, ტანი ასწია, ახტა და კარადაზე დადგა. ახლა გრძელ ფეხებსღა ხედავდა ალბერტო, ლურჯი გრძელი წინდები გადმოჩაჩულიყო ყავისფერ წაღებზე — კარადაც ყავისფერი იყო, დანარჩენებს ჯერ ვერაფერი შეემჩნიათ, ჩუმ-ჩუმად ქირქილებდნენ ისევ. აროსპიდეს მჭექარე ხმის გაგონებაზე ალბერტო ვერ მიხვდა, რა უნდა მომხდარიყო, მაგრამ გულმა რეჩხი უყო, ტანი დაეძაგრა და კედელს მიეკრა მხარით. „გაჩერდი, იაგუარ, მოიცა, ნუ ყვირი, იაგუარ!“ — იღრიალა აროსპიდემ ისე, სული არ მოუთქვამს. სამარისებური სიჩუმე გამეფდა, ყველამ რაზმეულის მეთაურისკენ მიაბრუნა თავი. ალბერტო აროსპიდეს ვერ ხედავდა — ბანდი უშლიდა ხელს, თავი რომ აეწია. ის მხოლოდ წაღებს ხედავდა კარადაზე, უმოძრაოდ დაყუდებულ წაღებს. თვალი რომ დაეხუჭებოდა, სიბნელე მოიცავდა ყველაფერს, მერე ისევ ჩნდებოდა წაღები. აროსპიდე კი გამწარებით იმეორებდა: „გაჩე, იაგუარ, დაიცა, იაგუარ!“ სხვა ხმაურიც ჩაესმა ახლა ალბერტოს ყურში: კადეტები საწოლებზე სხდებოდნენ და კისერს იგრძელებდნენ გალიანოს მხარეს.

— რა იყო, რაშია საქმე, აროსპიდე? — წარმოთქვა ბოლოს იაგუარმა, — რა გინდა ჩემგან?

— ალბერტო უმოძრაოდ იდგა და ახლოს მდგარ კადეტებს უყურებდა: ყველა საათის ქანქარასავით აქეთ-იქით ატრიალებდა თვალებს — ხან იაგუარს შეხედავდნენ, ხან აროსპიდეს, ხან აროსპიდეს, ხან იაგუარს.

— უნდა ვილაპარაკოთ, იაგუარ! — თქვა აროსპიდემ — ჩვენ ბევრი გვაქვს შენთვის სათქმელი, ისე რომ მაგ ბრძანებებს თავი ანებე, გასაგებია? ჩვენთან აქ ბევრი რამ მოხდა მას აქეთ, რაც გამბოამ კარცერში ჩაგსვა.

— მე არ მიყვარს, ეგეთი კილოთი რომ მელაპარაკებიან, —

ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ წაილაპარაკა — იაგუარმა. ასეთი სიჩუმე რომ არა, მის ნათქვამს ალბათ ვერავინ გაიგებდა — თუ ჩემთან ლაპარაკი გინდა, ჩამოძვერი კარადიდან და მოდი აქ, როგორც ზრდილ ხალხს სჩვევია.

— მე ზრდილი არა ვარ, — მოუჭრა აროსპიდემ.

„სულ გადაირია, — გაიფიქრა ალბერტომ, — როგორ გაავებულა! ჩხუბი კი არა, იაგუარის დამცირება უნდა ყველასთან!“

— სტყუი, ზრდილობა. არ გაკლია, — უთხრა იაგუარმა, — მაგ თქვენს მირაფლორესში ყველა კარგი გაზრდილები ხართ.

— ახლა როგორც რაზმეულის მეთაური გელაპარაკები, იაგუარ, ჩხუბის ატეხას ტყუილად ნუ ცდილობ, ლაჩარი ნუ ხარ. მერმე ატეხე თუ გინდა ჩხუბი, ნება შენია. ახლა კი უნდა ვილაპარაკოთ. აქ ფრიად საოცარი ამბები მოხდა, გესმის? იცი, რა დღე გვაყარეს, შენ რომ კარცერში ჩაგსვეს? ვისაც გინდა ჰკითხე. ოფიცრები და. სერჟანტები დაგიჟდნენ, საწოლში შემოგვიცვივდნენ, კარადები გაგვიტეხეს, კარტი, ბოთლები, გასაღებები გაზიდეს. მერე გიყვარდეს, თავზე დაგვაყარეს პატაკები და ჯარიმები! ახლა თითქმის მთელი რაზმეულიდან ფეხს ვეღარავინ გადგამს ქალაქში.

— მერე მე რა შუაში ვარ? — თქვა იაგუარმა — კიდეც მეკითხები?

— დიახ, გეკითხები, — დინჯად გაიმეორა იაგუარმა.

— შენ თვითონ არ დაექადნე პითონსა და ქოჩორას, მე რომ ჩავვარდე — ყველას ჩაგყრითო, და კიდეც შეასრულე დანაქადები. იცი, ვინა ხარ ამის შემდეგ? მაბეზღარა, ჯაშუში. შენ ყველას უღალატე, იუდავ, ძაღლის გაგდებულო. აქვე, ყველასთან გეტყვი: შენზე ხელს არც გავისვრი, იმიტომ რომ ნაგავი ხარ, შენი უკვე აღარავის ეშინია — გესმის?

ალბერტო შეტრიალდა და თავი გადასწია — ასე რაღაცას მაინც ხედავდა. აროსპიდე კიდევ უფრო წოწოლა ჩანდა ქვემოდან:

აბურძგნული თმა და გრძელი ხელ-ფეხი უფრო გამხდარს აჩენდა. ფეხებგაჩაჩხული იჯდა, მუშტები შეეკუმშა, პირისახე დაწმახნოდა. „იაგუარი რაღას უცდის?“ ალბერტო კვლავაც თითქოს ნისლში ხედავდა ყველაფერს, ქუთუთო წამიწამ უთამაშებდა.

— მაშ, ამბობ, რომ მე გამცემი ვარ? — თქვა იაგუარმა — ასე ხომ? თქვი, არასპიდე, სწორად მიგიხვდი თუ არა?

— მე უკვე გითხარი! — დაუძახა არასპიდემ, — მარტო მე კი არა, მთელი ყაზარმა გეტყვის, რომ გამცემი ხარ, იაგუარ.

უცებ ჩქარ-ჩქარი ნაბიჯები გაისმა — ვიღაცამ გადმოირბინა ოთახი, ჩაუარა კარადებს, გაქვავებულ კადეტებს და შედგა. ალბერტომ დაინახა, ეს რომ პითონი იყო.

— აბა, ჩამოძვერი მანდედან, მუდრეგო! — იყვირა პითონმა, — ჩამოძვერი-მეთქი, არ გესმის? — პითონი კარადასთან იდგა. მისი გაჩეჩილი თავი ნახევარ მეტრზე ტოკავდა იმ კარადიდან, სადაც წაღები და ლურჯი წინდები ჩანდა. „მე ვიცი, ახლა რა მოხდება, — ფიქრობდა ალბერტო, — ფეხებში სტაცებს ხელს და ძირს ჩამოათრევს“. მაგრამ პითონს რატომღაც ხელი არ გაუნძრევია, მხოლოდ გამომწვევად ღრიალებდა:

— ჩამოძვერი, ჩამოძვერი-მეთქი მანდედან!

— მოწყდი აქედან, პითონ, — არასპიდეს მისკენ არც გაუხედავს — მე შენ არ გელაპარაკები. მომშორდი აქედან. არც ის დაგავიწყდეს, იაგუარზე შენ თვითონ რას ამბობდი.

— იაგუარ, — პითონის წვრილი მოელვარე თვალები არასპიდეს მიშტერებოდა — ყურს ნუ უგდებ მაგას. მე მხოლოდ წუთით ვიფიქრე ასე. ახლა აღარ ვფიქრობ. უთხარი, რომ ეს მონაჩმახია, რომ ამისთვის სიკვდილიც არამია მაგისთვის — ჩამოეთრიე-მეთქი კარადიდან, არასპიდე, თუ ლაჩარი არა ხარ.

„ნაღდი მეგობარი ყოფილა, მათხოვარა. მე ასე არ დამიცავს არასოდეს“, — გაიფიქრა ალბერტომ.

— შენ გამცემი ხარ, იაგუარ, — გაიმეორა არასპიდემ — კიდევ

გეუბნები, გამცემი ხარ-მეთქი.

— მაგან ატეხა მთელი დავიდარაბა, იაგუარ! — იბღავლა პითონმა — არ დაუჯერო მაგას, იაგუარ! ჩვენ არც ერთს არ გვჯერა! აბა, გაბედოს ვინმემ და თქვას? ეს ტყუილია, იაგუარ, ერთი ჩაიფარე მაგას სიფათში — ალბერტო ისევ ისე იჯდა საწოლზე. თვალი საშინლად ეწვოდა და ამიტომ დახუჭული ჰქონდა. როცა გაახელდა, ასე ეგონა, აროსპიდეს ფეხები და, პითონის გაჩეჩილი თავი ცხვირწინ უტრიალებდა.

— გაჩე, პითონ, — კვლავ დინჯად წარმოთქვა იაგუარმა — შენი დაცვა მე არ მჭირდება.

— გესმით, ბიჭებო? — შეჰყვირა აროსპიდემ, — ეგაა დამნაშავე, ხომ ხედავთ, არც კი უარყოფს. შენ დამსმენი და ლაჩარი ხარ, იაგუარ, გესმის ჩემი? დამსმენი და ლაჩარი.

„რაღას უცდის?“ — ფიქრობდა ალბერტო. ახლა მთელი სახე სტკიოდა, მაგრამ ტკივილს თითქმის ვერ გრძნობდა. მობღუნძული ელოდა, როდის გახსნიდა კრიჭას იაგუარი, მის სახელს ნასუფრალივით მიუგდებდა კადეტებს, და ისინიც გაკვირვებით, ბოროტად შეაცქერდებიან — მაგრამ იაგუარი მეტი გამხეცებით ლაპარაკობდა:

— კიდევ ვინ უჭერს მხარს ამ მირაფლორესელ მუდრეგს? აბა, თქვით: „იაგუარი ლაჩარიაო!“ მე მინდა ვიცოდე, კიდევ ვინ გადამიდგა აქ.

— არავინ, იაგუარ! — შესძახა პითონმა — ნუ უსმენ მაგას. განა ვერ ხედავ, რომ სულ ტყუილად როშავს რაღაცას?

— ყველა გადაგიდგა, იაგუარ, — უთხრა აროსპიდემ — აბა, შეხედე და ხელად მიხვდები. ყველას ეზიზღები.

— მე მხოლოდ ლაჩრებს ვხედავ აქ, ლაჩრებს და ქალაჩუნებს, — თქვა იაგუარმა.

„არ უნდა, რომ გამცეს, რატომღაც ეშინია ჩემი გაცემის“, — გაიფიქრა ალბერტომ.

— დამსმენო! — შეჰყვირა აროსპიდემ — დამსმენო! დამსმენო!

— თქვენ რას გაჩერებულხართ? — მიატანა იაგუარმა, — გული მერევა, რომ გიყურებთ, ლაჩრებო. რატომ თქვენც არ ყვირით? რისა გეშინიათ?

— აბა, მიდით, ბიჭებო! პირში უთხარით, ვინც არის, უთხარით, ჰო, — ყვიროდა აროსპიდე.

„არ იტყვიან, — გაიფიქრა ალბერტომ, — ვერ გაბედავენ“. აროსპიდე გააფთრებით მარცვლავდა: „და-მსმე-ნი, — და-მსმე-ნი“. ნელ-ნელა უჩინარმა თანამგრძნობებმაც აუბეს მხარი და ჩუმად გააბეს ძახილი სხვადასხვა კუთხეში. ზუზუნი თანდათან მომძლავრდა, როგორც ფრანგულის გაკვეთილზე. ალბერტო უკვე ცალკეულ ხმებსაც არჩევდა: აი, ვალიანოს წიკვინა ხმა, კინიონების კრინი, კიდევ მრავლის და მრავლის ხმა ისმოდა ძალუმად მჭექარე გუნდში. იგი. წამოდგა და მიმოიხედა ყველა ერთდროულად აღებდა და ერთდროულად ხურავდა პირს. ამ სურათმა მონუსხა იგი, შიში გაუქრა, უკვე აღარ აფრთხობდა, სადაცაა ჩემს სახელს დაიძახებენ და იაგუარის ნაცვლად მთელი რისხვა მე დამატყდებაო. მისი ბაგენიც უნებლიეთ აჩურჩულდნენ ბანდის ქვეშ: „დამ-სმე-ნი, დამსმენი“. მერე თვალი დახუჭა, გავარვარებულ ბურთად რომ ქცეოდა, და აღარაფერი დაუნახავს, ვინემ ჩხუბი არ დაიწყო: აზანზარდა კარადები, აჭრიალდა საწოლები, ზუზუნის ხმა გინების სიტყვებმა დაფარა. და მაინც იაგუარს არ დაუწყია პირველად ჩხუბი. შემდეგ გაიგო, პითონმა დაიწყო პირველმა — აროსპიდეს ფეხებში სტაცა ხელი და ძირს ჩამოათრიაო. მაშინღა ჩაერია იაგუარი, სულ ბოლოდან გამოქანდა და არც არავის შეუჩერებია, თუმცაღა ვისაც კი ჩაუარა, ყველამ უფრო ხმამაღლა შეყვირა ეს სახელი პირში. ასე დაუბრკოლებლად მიირბინა იმ ადგილამდე, სადაც აროსპიდე და პითონი გორაობდნენ იატაკზე, ლამის მონტესიას საწოლქვეშ შემძვრალნი; კადეტები არც მაშინ

განძრეულან, როცა იაგუარი ფეხებით შედგა არასპიდეს, თითქოს სელის ტომარა ყოფილიყო. ისღა ახსოვს ალბერტოს, რა ყაყანი და ბრაგუნი შეიქნა შემდეგ: როგორ მორბოდნენ კადეტები ყოველი მხრიდან ყაზარმის შუაგულისაკენ. იგი საწოლზე გადაწვა ისევ, არ დამეჯახონო, და თავზე ხელები აიფარა. დროდადრო ხედავდა, როგორ ეძგერებოდნენ ხოლმე ერთიმეორეს მიყოლებით კადეტები იაგუარს, როგორ გაქაჩეს ბოლოს, არასპიდესა და პითონს მოაშორეს, იატაკზე წააქციეს და ზედ დააწვნენ. ამ ზედახორაში ხან ვალიანოს ხედავდა და ხან მესას, ხან ვალდივიასა და რომეროსს, ესმოდა, ერთმანეთს რომ აქეზებდნენ: „მიდი, ხეთქე ერთი მაგას!“ „წყეული დამსმენი!“ „სული უნდა გავაცხებინოთ!“ „ამ ნეხვს ეგონა, მაგაზე ღონიერი არავინ იყო!“ ალბერტოს თავში დაჰკრა: „მოჰკლავენ, მაგასაც მოჰკლავენ და პითონსაც“. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ქიჩმაჩი. მალე გაისმა სტვენა, სერჟანტის ბრძანება, ბოლო სამი ჩასწერეთო. ჩხუბი და ხმაური ერთბაშად შეწყდა. ალბერტო მყის, მოეგო გონს, გავარდა და ერთ-ერთი პირველი გაიჭიმა მწყობრში. მერე თვალებით მოიძია არასპიდე, იაგუარი და პითონი, მაგრამ ვერ დაინახა. ვიღაცამ თქვა, „საპირფარეშოში შევიდნენ. ღმერთმა ქნას, არავინ დაინახოს, ვინემ არ დაიბანენ. გვეყოს ჩხუბი და აურზაურიო“.

ლეიტენანტი გამბოა გარეთ გავიდა, წამით დერეფანში შედგა და შუბლი მოიწმინდა, ძალიან გაოფლიანებულიყო. ეს წუთია მორჩა ცოლთან წერილის წერას. ახლა მორიგე ოფიცერს მისცემს, რომ დღის ფოსტას გაატანოს. მოედანზე ჩავიდა და თავის უნებურად „მარგალიტისკენ“ გასწია. მწვანე მინდორზე იყო ჯერ, როცა პაულინო დაინახა შორიდან — ბინძური ხელებით შუაზე გლეჯდა ფუნთუშებს, შიგ რომ სოსისები ჩაედო და შესვენებაზე კადეტებისათვის მიეყიდა. რატომ პაულინოს არაფერი უქნეს? გამბოამ ხომ ჩასწერა თავის პატაკში, მეტისი სასმელებითა და

სიგარეტებით ვაჭრობსო. ვინაა ეს პაულინო, „მარგალიტის“ ნამდვილი პატრონი თუ ვიღაცა ეფარება მის ზურგს? მაგრამ უმალ მოიშორა ეს ფიქრები, ისე მოაბეზრა ყველაფერმა თავი. საათს დახედა: ორი საათის შემდეგ მორიგეობას დაამთავრებს და მთელი ერთი დღე და ერთი ღამე თავისუფალი იქნება. სად წავიდეს? ცარიელ სახლში რა გააჩერებს, ძარღვები აეშლება და მოწყენა შეშლის. იქნებ რომელიმე ნათესავს მიაკითხოს — ისედაც სულ უჩივიან, იშვიათად გვნახულობო. საღამოს კი კინოში წავა, სამხედრო თუ განგსტერული სურათები მიდის ხოლმე იქ მუდამ. როსა რომ მისი საცოლე იყო, ყოველ კვირას დადიოდნენ კინოში დილა-საღამოს, ხანდახან ორჯერაც ნახულობდნენ ერთსა და იმავე სურათს. დასცინოდა ხოლმე როსას, როცა მექსიკურ მელოდრამებზე სლუკუნებდა, მაგრამ შეშინებული როსა ხელს რომ სტაცებდა, თითქოს შველას სთხოვდა, იდუმალი ჟრუანტელი დაუვლიდა და აღტაცებით აევსებოდა სული. მას აქეთ სამმა წელმა განვლო. წინათ სულ მომავლის გეგმებს აწყობდა, წარსული ეს უკანასკნელი რამდენიმე კვირაა, რაც გაახსენდა. მან მიაღწია მიზანს, ადგილი, სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რომ დაიჭირა, აქამდე არავის ხელუყოფია. ამ უსიამოვნებების დაწყების შემდეგ კი ნეტა რად აგონდება ასე ხშირად და ასე გულდაწყვეტით თავისი სიყმაწვილე?

— რას ისურვებთ, სენიორ ლეიტენანტო? — ჰკითხა პაულინომ მისალმების შემდეგ.

— ერთი ბოთლი კოლა.

ტკბილმა სასმელმა ლამის გული აურია. ღირდა კია, ამდენი დრო რომ შეალია კოდექსებისა და წესდებების, სტრატეგიისა და სამხედრო გეოგრაფიის მოსაწყენი გვერდების ზუთხვას? „დისციპლინა და წესრიგი ერთადერთი საფუძველია ყოველგვარი უფლებისა, — წაილაპარაკა გამბოამ მწარე დაცინვით, — აგრეთვე

აუცილებელი პირობა ნორმალური საზოგადოებრივი ურთიერთობისა. დისციპლინისა და წესრიგის მისაღწევად ცხოვრება კანონებს უნდა დაემორჩილოს“. კაპიტანმა მონტერომ წესდების შესავალიც კი გააზეპირებინა ყველას. ზუსტი ციტატების ტრფიალის გამო „ასოკირკიტა“ შეარქვეს კაპიტანს. „დიდებული მასწავლებელი და ჭეშმარიტი ოფიცერი იყო, — გაიფიქრა გამბოამ — ნუთუ დღესაც ბორხას გარნიზონში ლპება? ჩორილიოსიდან დაბრუნების შემდეგ ყველაფერში კაპიტან მონტეროს ბაძავდა გამბოა. იგი აიაკუჩოში დანიშნეს და მალე სასტიკი კაცის სახელიც გაითქვა. ოფიცრები პროკურორს ეძახდნენ, ჯარისკაცები — ავსულს. ყველა დასცინოდა ზედმეტი სისასტიკისათვის, მაგრამ ხომ იცოდა, გულში რომ ყველა გაკვირვებული იყო მისით და ყველა პატივს სცემდა. მისი ასეული ყველაზე წესიერი და ყველაზე უკეთ, გაწვრთნილი იყო. იგი ჯარისკაცებს არც სჯიდა, გაძლიერებული წვრთნა-ვარჯიშისა და მრავალი მითითების შემდეგ მის ნაწილში ყველაფერი დიდებულად მიდიოდა. წესრიგის დაცვა მისთვის აქამდე ისეთივე იოლი და ჩვეული საქმე იყო, როგორც თვითონ ამ წესრიგის მორჩილება. ეგონა, სამხედრო სასწავლებელშიც ასევე იქნებოდა. ახლა კი ეჭვი შეეპარა. განა შეიძლება ბრმად დაემორჩილო უფროსებს მას შემდეგ, რაც მოხდა? განა არ ჯობდა სხვებივით მოქცეულიყო. ალბათ მართალი იყო კაპიტანი გარიდო: წესდება გონივრულად უნდა გამოიყენო და პირველ ყოვლისა საკუთარ სიკეთეზე, საკუთარ მომავალზე იზრუნო. გაახსენდა, რაც შეემთხვა ერთ ჯარისკაცთან სასწავლებელში ახლად მისულს. როცა იმ თავხედ ინდიელს შემჩნევა მისცა, მან პირში შეჰხარხარა. გამბოამ სილა გაუშალა, ინდიელმა კი კბილი კბილს დააჭირა და ისე გამოსცრა: „კადეტი რომ ვიყო, ხელსაც ვერ მახლებდით, სენიორ ლეიტენანტო“. ის ინდიელი არც ისე სულელი იყო.

გამბოამ კოლას ფული გადაიხადა და მოედნისკენ გამობრუნდა. დილას ოთხი მოხსენებითი ბარათი დაწერა ქურდობის, სასმელების, აზარტული თამაშისა და სასწავლებლიდან გაპარვის თაობაზე. წესით ნახევარზე მეტი კადეტები უნდა წამდგარიყვნენ ოფიცერთა საბჭოს წინაშე. ყველას სასტიკი სასჯელი ეკუთვნოდა, გარიცხვის ჩათვლით. მისი პატაკი მხოლოდ პირველ რაზმეულს შეეხებოდა. უაზრო იყო სხვა საძინებელი ოთახების გაჩხრეკა, კადეტებს ამ დროში თავისუფლად შეეძლოთ გაექროთ ან გადაემალათ კარტი თუ ბოთლები. გამბოას სხვა ასეულები არც უხსენებია პატაკში; დაე სხვა ოფიცრებმა იმტვრიონ ამაზე თავი.

კაპიტანმა გარიდომ უგულისყუროდ გადახედა პატაკებს. მერე ჰკითხა:

— რაღა აზრი აქვს, გამბოა?.

— როგორ თუ რა აზრი, სენიორ კაპიტანო? თქვენი არ მესმის.

— ამ საქმეს ჯვარი დაესვა, ზომები უკვე მიღებულია.

— კადეტ ფერნანდესის საქმეს დაესვა ჯვარი, სენიორ კაპიტანო, სხვებისას კი არა.

კაპიტანი მოიჭმუხნა. ისევ დასწვდა ფურცლებს და გადაათვალიერა. ყბები ენძრეოდა, უაზროდ და გაუთავებლივ ცოხნიდა რაღაცას.

— მე გეკითხებით, რისთვის გჭირდებათ ეს — ქაღალდები, გამბოა? აკი ზეპირად მოახსენეთ, რაღად სწერთ ამდენს? თითქმის მთელი რაზმეული დავსაჯეთ. მეტი რაღა გინდათ?

— თუ ოფიცერთა საბჭო შეიკრიბა, მოხსენებით ბარათებს მოითხოვენ.

— აი, თურმე რა! — თქვა კაპიტანმა — როგორც გატყობთ, მაინც საბჭოს შეკრებაზე ფიქრობთ. თქვენ გინდათ მთელი მეხუთე კურსი დასაჯოთ ცუდი ყოფაქცევისათვის.

— მე მხოლოდ ჩემს ასეულზე მოგახსენებთ, ბატონო კაპიტანო. სხვებზე პასუხს არ ვაგებ.

— კეთილი, თქვენ თქვენი გააკეთეთ. ახლა დაივიწყეთ და მე მომანდეთ ყველაფერი. მე ვიზრუნებ ამაზე.

გამბოა გავიდა. კიდევ უფრო მოეშხამა გუნება. გადაწყვიტა აღარაფერზე ეფიქრა და აღარაფერზე ემტვრია თავი. „ახლა დათრობა თუ მიშველის, სხვა არაფერი. მერე კომენდატურაში წავიდა, მორიგე ოფიცერს წერილი მისცა. კართან მაიორ ალტუნას მოჰკრა თვალი. მან ხელით ანიშნა, ჩემთან მოდიო.

— გამარჯობათ, გამბოა, — უთხრა მაიორმა, — წავიდეთ, გაგაცილებთ ცოტაზე.

კომენდანტი მუდამ კარგად იყო მასთან, თუმცა მათი დამოკიდებულება სამსახურის ჩარჩოებს არ გასცილებია. ისინი ოფიცრის სასადილოსკენ გაუყვნენ გზას.

— ცუდი ამბავი უნდა გითხრათ, გამბოა, — მაიორს ზურგზე შემოეწყო ხელები და ისე მიაბიჯებდა, — ოღონდაც ჩვენს შორის დარჩეს. გესმით, რის თქმა მინდა?

— დიახ, სენიორ კომენდანტო.

— მაიორი თქვენზე ძალიან გაბრაზებულია, გამბოა, პოლკოვნიკიც. რა თქმა უნდა, არცთუ უმიზეზოდ. მაგრამ ამას მოვეშვათ. გირჩევთ სასწრაფოდ ჩააწყოთ საქმე სამინისტროში. ესენი ითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ გადაგიყვანონ. სხვა ადგილზე. ვშიშობ, ცოტა დრო დაგრჩათ, საქმე საკმაოდ შორს წავიდა. ნამსახურობის ნუსხაც დაგეხმარებათ, მაგრამ ხომ იცით, ამ შემთხვევაში ნაცნობობა უფრო ჭრის — „ახლა გაუძნელდება ლიმას დატოვება, — გაიფიქრა გამბოამ — ყოველ შემთხვევაში, აქ უნდა დავტოვო მისიანებთან, ვინემ შესაფერის სახლსა და მოსამსახურეს ვიშოვიდე“.

— გმადლობთ, სენიორ კომენდანტო, — თქვა მან — არ იცით, დაახლოებით სად გადამიყვანენ?

— ალბათ ჯუნგლების რომელიმე გარნიზონში, ან მთების ძირას. წლის ასეთ დროს თავისუფალი ადგილები მხოლოდ მძიმე

გარნიზონებშია დარჩენილი. ისე რომ დროს ნუ დაკარგავთ. იქ-ნებ მოახერხოთ რომელიმე დიდ ქალაქში, ვთქვათ, არეკიპასა ან ტრუხილიოში გადასვლა. იცოდეთ, ამას საიდუმლოდ გეუბნებით, როგორც მეგობარს. არ მინდა უსიამოვნება შემხვდეს.

— ნუ სწუხართ, სენიორ კომენდანტო, — გააწყვეტინა გამბოამ, — ერთხელ კიდევ მოგახსენებთ მადლობას.

ალბერტომ თვალი მოჰკრა, იაგუარი კარისკენ რომ გაემარ-თა. ისე ჩაიარა, ზედაც არ შეუხედავს კადეტებისთვის, ლოგინებ-ზე რომ იწვნენ ახლა, სიგარეტს ექაჩებოდნენ და ქაღალდსა თუ ასანთის ცარიელ კოლოფში აფერფლებდნენ. ყველამ დაცინვით გააყოლა თვალი. იაგუარი აუჩქარებლად მივიდა კართან, გა-მოაღო და მაგრად მოიჯახუნა გასვლისას. იაგუარი რომ დაინახა კარადებს შუა, ალბერტომ გაიფიქრა, საოცარია, სახეზე რომ არაფერი ამჩნევია იმ ამბების შემდეგ, რაც მოხდაო. თუმცა მთლად უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია — იაგუარი დღემდე კოჭ-ლობდა. იმ დღეს, ჩხუბის შემდეგ, ურიოსტემ სასადილოში გამო-აცხადა: „მე მოვტეხე ფეხი“. მეორე დღეს ეს პატივი ვალიანომ, ნუნიესმა, რევილიამ და უდღეურმა გარსიამაც მიიწერეს, ხმამაღ-ლა ეცილებოდნენ კიდეც ერთმანეთს იაგუარის თანდასწრებით. აი, პითონს კი ტუჩი დასიებოდა და ყელზედაც ღრმა ნაფხაჭნი აჩ-ნდა. ალბერტომ თვალით მოძებნა პითონი: იგი საწოლზე იწვა, წკავწკავა მკერდზე განრთხმოდა და გრძელი ვარდისფერი ენით ნაფხაჭნს ულოკავდა.

„საოცარია, იაგუარი რომ არც ამას ელაპარაკება, — გაიფიქრა ალბერტომ, — გასაგებია, ქოჩორას რომ არ იკარებს, რაკი უღა-ლატა; მაგრამ პითონმა ხომ მკერდით დაიცვა იგი და ზორბადაც მოხვდა ამისთვის. რა უმადური ყოფილა!“ სხვებსაც დავიწყებო-და თითქოს, პითონი რომ ჩხუბში ჩაერია მაშინ, ადრინდელივით ელაპარაკებოდნენ და ეხუმრებოდნენ, ნამწვსაც აწვდიდნენ

ხოლმე, თუკი სიგარეტი წრეზე ჩამოივლიდა. „ისიც საოცარია, — გაიფიქრა ალბერტომ, — რომ წინასწარ არც მოლაპარაკებულან, იაგუარს ბოიკოტი გამოვუცხადოთო, ასე კიდევ უარესი გამოვიდა“. იმ დღეს ალბერტო შორიდან უყურებდა შესვენების დროს იაგუარს, სასწავლო შენობის ეზოს გარეთ მინდორზე რომ არტყამდა ბოლთას. ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და ფეხით კენჭებს მიაგორებდა. პითონი მივიდა და გვერდით დაუდგა. ეტყობა, რაღაცაზე დაობდნენ, ისე აქნევდა თავსა და ხელებს პითონი. მერე გაშორდა. მეორე შესვენებაზეც მინდორზე გავიდა იაგუარი. ახლა ქოჩორა მიუახლოვდა, მაგრამ იაგუარმა ახლოსაც არ მიუშვა, ხელი ღონივრად ჰკრა და გაწბილებული გამოაბრუნა. გაკვეთილებზე კადეტები ისევ ისე ლაპარაკობდნენ, იგინებოდნენ, ერთმანეთს ქაღალდის სორსლებს ესროდნენ, მასწავლებლებს აწყვეტინებდნენ, ხვიხვინებდნენ, ღრუტუნებდნენ, ჰყეფდნენ, ყმუოდნენ — ყველაფერი ისევ ძველ კალაპოტში ჩადგა. მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ მათ წრეში ერთი განკიცხული ერია. იაგუარი ყველა გაკვეთილზე. უხმოდ იჯდა, არაფერს წერდა, არავის უყურებდა, ხელები ჩანთაზე დაეწყო და საკლასო დაფას მისჩერებოდა. „თითქოს იმათ კი არა, ამან გამოუცხადა ყველას ბოიკოტი, — ფიქრობდა ალბერტო, — თითქოს გადაწყვეტილი აქვს მთელი რაზმეული დასაჯოს“. იმ დღიდან მოყოლებული ელოდა ალბერტო, როდის დაადგებოდა თავზე იაგუარი და ახსნა-განმარტებას მოსთხოვდა, დააძალებდა, სიმართლე თქვიო. წარმოდგენილიც ჰქონდა, რას იტყოდა იაგუარი, როცა ბრალს დასდებდა. მაგრამ იაგუარი, როგორც ჩანს, სხვებივით მასაც არაფრად აგდებდა. მაშინ ალბერტომ გადაწყვიტა, ალბათ არგაგონილ შურისძიებას მიპირებსო.

ალბერტო ადგა და ყაზარმიდან გავიდა. ეზოში ბლომად ირეოდნენ კადეტები. დღის ის უფერული, გაურკვეველი ხანი იდგა,

როცა დღე და ღამე წონასწორდება და თითქოს ერთმანეთს აბათილებს. უღიმღამო შუქზე ყაზარმები უფრო პატარა ჩანდა, კადეტთა უხეში კურტაკები უფრო მკვეთრი ფერისა, სახეები გადღაბნილი, ხოლო ეზოს კედლები, თითქმის თეთრი მოედანი და ცარიელი მინდორი მთლად განაცრებული. მატყუარა შუქი ამახინჯებდა ყველაფერს. გეგონებოდა, ყველანი ჩვეულებრივზე უფრო ნელა თუ უფრო სწრაფად მოძრაობენ, უფრო ხმადაბლა ან უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ, უფრო ნაზად ეხვევიან ან უფრო უხეშად ჰკრავენ ხელს ერთმანეთს ამ ავადმყოფურ, ამ მომაკვდავ შუქზეო. ალბერტომ კურტაკის საყელო აიწია და მინდვრისკენ გასწია. არ ისმოდა ტალღების ხმაური — თითქოს ზღვაც დამცხრალიყო. როცა ალბერტო ფეხს წაჰკრავდა ბალახებში გაშხლართულ კადეტს და ჰკითხავდა: „იაგუარი ხარ?“, ან ხმას არ გასცემდნენ ან დამცინავად გამოსძახებდნენ: „იაგუარი არა ვარ, მაგრამ თუ ვეღარ გაგიძლია უმისოდ, მის მაგივრობას გაგიწევ“. მერე სასწავლო კორპუსის საპირფარეშოსკენ გასწია. ზღურბლიდან დაინახა სიბნელეში მოელვარე რამდენიმე წითელი წერტილი და შესძახა: „იაგუარ!“ ხმა არავინ გასცა, მაგრამ მიხვდა, რომ ყველა მას მიაჩერდა: მოელვარე წერტილები უმოძრაოდ გაშეშებულიყვნენ. გამოტრიალდა და „მარგალიტის“ გვერდით მდებარე საპირფარეშოსკენ წავიდა. საღამოს იქით არავინ მიდიოდა — ვირთხებით იყო იქაურობა სავსე. შავ ლანდსა და მოელვარე წერტილს რომ ჰკრა თვალი, ზღურბლიდანვე დაიძახა:

— იაგუარი ხარ?

— ჰო, რა გინდა?

ალბერტო შევიდა და ასანთს გაჰკრა. მის წინ იაგუარი. იდგა — ქამარს იკრავდა, სხვა არავინ იყო. ალბერტომ ასანთის ნამწვი გადააგდო.

— ლაპარაკი მინდა — მე კი არ მინდა, მომწყდი აქედან, — თქვა იაგუარმა — რატომ არ უთხარი ჩემზე, ამან გაგცათ-თქო?

იაგუარმა უჟმურად, ზიზღით გაიცინა. იმ ამბების შემდეგ მისი ასეთი სიცილი აღარ სმენია ალბერტოს.

სიბნელეში უამრავი თათების ტყაპატყუპი გაისმა. „ამ სიცილმა ვირთხებიც დააფრთხო“, — გაუელვა თავში ალბერტოს.

— ყველა შენისთანა თუ გგონია, ძალიან შემცდარხარ, — თქვა იაგუარმა, — მე არც დამსმენი ვარ და არც დამსმენებთან მსურს ლაპარაკი. აბა, მოუსვი აქედან.

— მაშ, არც აპირებ სიმართლე უთხრა? — ალბერტო გააკვირვა თავისივე კილომ. იაგუარი პატივისცემით, თითქმის მეგობრულად ელაპარაკებოდა — რატომ?

— მე მაგათ დავუმტკიცე, რას ნიშნავს ვაჟკაცობა, — წაილაპარაკა იაგუარმა — ხომ არ გგონია, რამეში მჭირდებოდნენ? ფეხებზე მკიდია ეგენიც და ისიც, რას ფიქრობენ. ასევე შენც. მომშორდი აქედან.

— იაგუარ, — უთხრა ალბერტომ, — მინდა გითხრა... ძალიან მწყინს რომ ასე მოხდა, ძალიან მწყინს.

— იქნებ ცრემლებიც გადმოყარო? აბა მოკეტე. აკი გითხარი, მე და შენ სალაპარაკო არაფერი გვაქვს-მეთქი.

— ეგრე რად ამბობ? — თქვა ალბერტომ — მიდი, შევრიგდეთ. თვითონ ვეტყვი ბიჭებს, რომ მე გავთქვი ეგენი და არა შენ. ვიყოთ მეგობრები.

— ძალიანაც არ მჭირდები! გული მერევა, რომ გიყურებ, შე დამსმენო, შენა. მომწყდი-მეთქი აქედან.

— ალბერტო მართლა გაეცალა, მაგრამ ყაზარმაში აღარ წასულა. ბალახებში იწვა მანამ, ვიდრე — ვახშმის საყვირი არ გაისმა.

ეპილოგი

გამბოამ საკურსო კანცელარიის კარი შეაღო და კაპიტანი დაინახა: გარიდო ზურგით იდგა და რაღაც რვეულს ინახავდა კარადაში. მაგრად გასკვნილი ჰალსტუხი კისერზე წაჭეროდა. გამბოა მიესალმა.

— გაგიმარჯოს, გამბოა, — შემობრუნდა, იგი ღიმილით — უკვე გაემზადეთ სამგზავროდ?

— დიახ, სენიორ კაპიტანო — გამბოა ოთახში შევიდა. საგარეო ფორმა ეცვა. ქუდი რომ მოიხადა, შუბლზე, საფეთქლებსა და კეფაზე წრედ დააჩნდა წითელი ზოლი — ეს წუთია პოლკოვნიკს, კომენდანტსა და მაიორს დავემშვიდობე. თქვენღა დამრჩით.

— როდის მიემგზავრებით? — ხვალ დილას, მაგრამ კიდევ ბევრი საქმე მაქვს.

— ძალიან დაცხა, — თქვა კაპიტანმა და გაიცინა, — ალბათ ზაფხულში ამოვიხრჩვებით. თუმცა თქვენ რა, იმ მთებში ზაფხულიც და ზამთარიც ერთია.

— თუ სიცხე არ გიყვართ, მაშინ გავცვალოთ ადგილები, — გაეხუმრა გამბოა — მე აქ დავრჩები, თქვენ კი ჩემ მაგივრად გაემგზავრეთ ხულიაკაში.

— არამც და არამც! — კაპიტანმა ხელი გამოსდო, — წამოდით, ლუდზე დაგპატიჟებთ.

ერთ-ერთი ყაზარმის კართან რომელიღაც კადეტი, დღის მორიგის წითელი სახვევით მკლავზე, თეთრეულს ითვლიდა.

— გაკვეთილზე რატომ არაა ეს კადეტი? — იკითხა გამბოამ.

— თქვენსას მაინც არ იშლით, — მხიარულად უთხრა კაპიტანმა — ახლა რაში გენაღვლებათ კადეტები?

— ეგეც მართალია, ხომ იცით, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.

ისინი ოფიცრების ბუფეტში შევიდნენ. კაპიტანმა ერთი ბოთლი ლუდი შეუკვეთა და თვითონ აავსო ჭიქები. ერთმანეთს მიუჭახუნეს.

— მთებში არ ვყოფილვარ, — თქვა კაპიტანმა — მაგრამ ალბათ ურიგო არ იქნება. ხუალიკიდან იქ მატარებლით ან ავტობუსით ჩახვალთ. შიგადაშიგ არეკიპაშიც შეგიძლიათ გაინავარდოთ.

— რა თქმა უნდა, — წაილაპარაკა გამბოამ, — არა უშავს, მივეჩვევი.

— მე გულწრფელად მწყინს, გამბოა, გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, ძალიან გაფასებდით. ხომ თავშივე გაგაფრთხილეთ? არ გაგიგიათ ანდაზა: რა ქვეყანაშიც ხარ... გარდა ამისა, მომავლისათვის ესეც გახსოვდეთ: წესდება მარტო შენს ხელქვეითებს უნდა მოაგონო, უფროსებს კი — ღმერთმა დაგიფაროს.

— ჩემზე ნუ სწუხართ, სენიორ კაპიტანო. ჯარში მე გასართობად არ წამოვსულვარ. სასწავლებელი თუ გარნიზონი — ჩემთვის ერთია.

— მით უკეთესი, ნუღა ვიდავებთ. დავლიოთ.

შესვეს ლუდი და კაპიტანმა ისევ შეავსო ჭიქები. გარეთ მინდორი ჩანდა. ბალახი მობიბინებულიყო და ყვითელი ფერი დასდებოდა. რამდენჯერმე ჩაირბინა ლამამ, გონიერ თვალებს დაფეთებით აცეცებდა.

— სიცხემ შეაწუხა ალბათ, — კაპიტანმა თითი გაიშვირა ლამასკენ.

— ვერა და ვერ მიეჩვია. შარშან კინაღამ გაცოფდა ზაფხულში.

— იქ ბლომად იქნებიან ლამები, — თქვა გამბოამ, — ვინძლო კეჩუათა ენაც შევისწავლო.

— ხულიაკაში იცნობთ ვინმეს? — მარტო მუნიოსს ვიცნობ.

— იმ დოყლაპია მუნიოსს? კაი ბიჭია, ასე რომ არ გალოთებულიყო.

— ერთი სათხოვარი მაქვს, სინიორ კაპიტანო.

— ბატონი ბრძანდებით, მიმსახურეთ.

— მინდა ერთ კადეტს ველაპარაკო პირადად, ოღონდ გალავნის გარეთ გამოუშვებთ?

— რამდენი ხნით? — ნახევარი საათით, მეტი არა — გასაგებია, გასაგებია, — ჩაიცინა კაპიტანმა — ჩვენ პირადი საქმე გვაქვს — მესმის. გინდათ ჟეჟოთ, ხომ? — არ ვიცი, — გაეცინა გამბოას, — თუმცა შესაძლოა.

— ფერნანდესს, არა? — ხმადაბლა კითხა კაპიტანმა — არ გირჩევთ. სხვანაირადაც შეიძლება დაისაჯოს. ეგ მე მომანდეთ.

— არა, ეგ არა, — თქვა გამბოამ — მეორე, თუმცა თქვენ მაინც ვეღარაფერს გახდებით.

— ვერა? წელი რომ დაკარგოს, თქვენი აზრით, ცოტაა?

— გვიანაა, გამოცდები გუშინ დამთავრდა.

— მერე რა? — დინჯად ჩაილაპარაკა კაპიტანმა — წლიური ნიშნები ჯერ არ დაწერილა

— მართლა მეუბნებით თუ? კაპიტანმა ენაზე იკბინა.

— არა, არა, ვიხუმრე, — გაეცინა მას — უსამართლობას მე არ

დავუშვებ. წაიყვანეთ თქვენი კადეტი და რაც გინდა უყავით, ოღონდაც სახეს ნუ დაუშავებთ, მეყო ალიაქოთი.

— გმადლობთ, სენიორ კაპიტანო, — გამბოამ ქუდი დაიხურა — ახლა კი უნდა წავიდე. იმედია, მალე ვნახავთ ერთმანეთს.

კაპიტანმა და გამბოამ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. გამბოა სასწავლო შენობისკენ წავიდა, სერჟანტს მოელაპარაკა და საყარაულოში დაბრუნდა, — ჩემოდანი იქ ჰქონდა დატოვებული. მორიგე ოფიცერი გამოეგება

— შენ სახელზე ტელეგრამაა, გამბოა.

გამბოამ გახსნა და სწრაფად გადაიკითხა დეპეშა. მერე ჯიბეში ჩაიდო და სკამზე დაჯდა. ჯარისკაცები წამოდგნენ და მარტო დატოვეს. გამბოა იატაკს დასჩერებოდა უმოძრაოდ.

— ცუდი ამბავია? — ჰკითხა მორიგე ოფიცერმა — არა, არა, ოჯახური საქმეებია.

მორიგემ ერთ ჯარისკაცს დაავალა ყავა მოეხარშა და გამბოას ჰკითხა, დალევ თუ არაო. მან თავი დაუქნია. რამდენიმე ხნის შემდეგ კარს იაგუარი მოადგა. გამბოამ ერთი ყლუპით შესვა ყავა და წამოდგა.

— ეს კადეტი მე გამომყვება ცოტა ხნით კაპიტნის ნებართვით, — უთხრა ოფიცერს.

მერე აიღო ჩემოდანი, სანაპიროზე გავიდა და დატკეპნილ მიწას გაჰყვა რამის პირას. იაგუარი რამდენიმე ნაბიჯით უკან მისდევდა. ასე მივიდნენ პალმის გამზირამდე, როცა სასწავლებლის ჭიშკარი თვალს მოეფარა, გამბოამ ჩემოდანი ძირს დადგა და ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო.

— ეს რას ნიშნავს? — ჰკითხა მან.

— მანდ ყველაფერი ნათლად სწერია, სენიორ ლეიტენანტო, — მიუგო იაგუარმა, — მეტს ვერაფერს დავამატებ.

— მე უკვე აღარა ვარ სასწავლებელში, — თქვა გამბოამ — რად არ მიმართეთ თქვენი კურსის კაპიტანს?

— კაპიტანთან ლაპარაკი არ მინდა, — იაგუარს ოდნავ ეცვალა ფერი, გამბოას თვალი აარიდა.

ირგვლივ არავინ იყო, ზღვა სულ ახლოს ხმაურობდა. გამბოამ ქუდი გადაიწია და შუბლი მოიწმინდა. ნაოჭებზე მკვეთრად დამჩნეოდა წითელი ზოლი.

— რატომ მომწერეთ? — ხელმეორედ ჰკითხა გამბოამ — რისი გულისთვის არ გეხებათ, — ეგ თქვენ არ გეხებათ, — მორჩილი, ჩამწყდარი ხმით წაილაპარაკა იაგუარმა, — თქვენ პოლკოვნიკთან მიმიყვანეთ, მორჩა და გათავდა.

— გგონიათ, ისევე იოლად შეგრჩებათ ყველაფერი, როგორც მაშინ? — თქვა გამბოამ, — ან. იქნებ მე მიგდებთ მასხარად?

— არც ეგეთი ბრიყვი ვარ, — ზიზღით აიბზუა ტუჩი იაგუარმა, — მე არავისი მეშინია, სენიორ ლეიტენანტო, არც პოლკოვნიკისა და არც სხვისი. მეოთხეკურსელებისაგან მე დავიცავი და გადავარჩინე ბიჭი. აქ რომ შემოვედით პირველად, ნათლობამ ისე დააფრთხო: ყველანი, ქალაჩუნებივით ცახცახებდნენ; მე მივეცი მაგალითი, ვაჟკაცი როგორი უნდა იყოს. ეგენი კი პირველსავე ამბავზე გადამიდგნენ, ორგულები და ნაძირალები ყოფილან. აღარ მინდა აქ ყოფნა, სენიორ ლეიტენანტო.

— წუწუნს თავი გაანებეთ, — შეაჩერა გამბოამ, — გულახდილად თქვით, ეს ბარათი რატომ დაწერეთ?

— მაგათ მე ჯაშუში ვგონივარ, — თქვა იაგუარმა, — გესმით? არც ცდილან სიმართლის გარკვევას. როგორც კი კარადები გაჩხრიკეს, მაშინვე ჩემზე მოიტანეს ეჭვი მაგ ღორებმა. არ ნახეთ, რა წააწერეს საშხაპოს კედლებზე? „იაგუარი დამსმენი, იაგუარი ნაძირალა“. მე კი რა არ მიკეთებია მაგათი გულისათვის, აი, რა. მირევს გულს. განა რა ხეირი მქონდა, სენიორ ლეიტენანტო? ხომ არაფერი? რაზმეულისთვის ვიკლავდი თავს. არა, მაგათთან ვერ გავჩერდები. მე მაგათ ჩემს ოჯახად ვთვლიდი, ახლა კი... თვალის დასანახავად არ მინდა არც ერთი!

— სტყუით, არ ამბობთ მართალს, — უთხრა გამბოამ — თუ ასე ძვირად გიღირთ ამხანაგების აზრი, რატომ გინდათ გაიგონ, რომ კაცის მკვლელი ხართ?

— მაგათ აზრს სულაც არ დაგიდევთ, — ყრუდ ჩაილაპარაკა იაგუარმა — მე უმადურობა მაბრაზებს, სხვა არაფერი.

— სხვა არაფერი? — გესლიანად გაიმეორა გამბოამ, — უკანასკნელად გაფრთხილებთ, გულახდილად თქვით ყველაფერი. რად არ უთხარით ამხანაგებს, კადეტმა ფერნანდესმა გაგცათ-თქო?

თითქოს სილა გააწნესო, ისე მოიკუნტა იაგუარი.

— ეგ სულ სხვა ამბავია, — ყრუდ წაიდუდუნა მან, თითქოს ლაპარაკი უჭირდა, — სენიორ ლეიტენანტო. სხვებმა ლაჩრობით მიღალატეს, მაგან კი მათხოვარას გამო იყარა ჩემზე ჯავრი. რა თქმა უნდა, დამსმენია, დამსმენი მუდამ საზიზღარია, მაგრამ მას ეს მეგობრის სიყვარულმა ჩაადენინა. როგორ არ გესმით, ეს რომ სულ სხვაა?

— კარგით, წადით, — უთხრა გამბოამ, — სულაც არ ვაპირებ აქ დროის დაკარგვას და არც თქვენი აზრები მაინტერესებს ერთგულებასა და შურისძიებაზე.

— ღმერთმანი, ძილი გამიფრთხა, სენიორ ლეიტენანტო, — წაილაპარაკა იაგუარმა, — თურმე არ მცოდნია, რა ყოფილა გარიყულობა. ნუ გაბრაზდებით, შეეცადეთ ჩემიც გაიგოთ, მე ხომ ბევრს არ გთხოვთ. ასე იძახიან, „გამბოა ყველაზე მეტად დაისაჯა, თუმცა ყველაზე სამართლიანი კი იყოო“. რატომ არ გინდათ მომისმინოთ?

— მინდა და გისმენთ კიდეც. რა მოჰკალით ის ბიჭი? ან მე რად მომწერეთ ეს ბარათი?

— მოვტყუვდი, სენიორ ლეიტენანტო, ბიჭებში მოვტყუვდი. მე მინდოდა მათხოვარა მომეშორებინა. ასეთ ამბავში ხომ შეიძლება ყველა შეცდეს. მაგას ფეხებზე ეკიდა, კავას თუ გარიცხავდნენ,

ოღონდაც თვითონ რამდენიმე საათით გასულიყო ქალაქში. ამ-ხანაგის დაღუპვა ძალიანაც არ ენაღვლებოდა. მაშ, არ უნდა გავ-მსკდარიყავი გულზე?

— რატომ დაფიქრდით ამაზე სწორედ ახლა? — ჰკითხა გამბო-ამ, — რატომ მაშინ არ გითხარით სიმართლე, როცა დაგკითხეთ?

— განა არ დავფიქრდი.. — იაგუარი შეჩერდა და თავი დააქნია, თითქოს თავის ფიქრებს ეთანხმებაო, — ოღონდ ახლა. უკეთ მეს-მის მათხოვარასი. ჩვენ მისთვის ამხანაგები კი არა, მტრები ვიყა-ვით. ხომ გითხარით: თურმე არ მცოდნია, რა ყოფილა, ყველას რომ ეზიზღები. მაგას ყველა დასცინოდა, იჯაბნიდა, რაც მართა-ლია, მართალია, მე კი ყველაზე მეტად. მისი სახე ვერა და ვერ დამივიწყნია, სენიორ ლეიტენანტო. გეფიცებით, მეც არ ვიცი, რა-ტომ მოვკალი. მე მინდოდა მაგრად მეჟეჟა, დამეშინებინა. იმ დი-ლას კი მისი თავი დავინახე ჩემ წინ და ნიშანში ამოვიღე. მთელი რაზმეულის ჯავრი მინდოდა ამომეყარა. რა ვიცოდი, სხვები თუ მაგაზე უარესები იყვნენ? მე ვფიქრობ, ციხეში უნდა ჩამსვან. ყვე-ლა მეუბნებოდა, შენი ბოლო ეს იქნებაო — დედაჩემიც, თქვენც. ახლა გაიხარეთ, სენიორ ლეიტენანტო.

— მე კი ვერა და ვერ მომიგონებია, — იაგუარმა გაოცებით შე-ხედა გამბოას — არ ვიცი, სასწავლებელში როგორი იყო, რას აკე-თებდა. ზოგიერთი კარგად მახსოვს, ვის როგორ ეცვა, ვარჯიშზე, როგორ იქცეოდა. არანა კი არ მახსოვს, თუმცა ჩემს ასეულში სა-მი წელი დაჰყო.

— ნუ მამშვიდებთ, — დაბნეულად თქვა იაგუარმა, — ნურაფერს მეტყვით, თუ შეიძლება, არ მიყვარს, როცა...

— მე თქვენთვის არ ვამბობ და არც თქვენი დამშვიდება მწა-დია. წადით, ნებართვა მხოლოდ ნახევარი საათით მოგცეს.

— სენიორ ლეიტენანტო...— იაგუარს წამით პირი ღია დარჩა. მერე ისევ გაიმეორა — სენიორ ლეიტენანტო...

— არანას საქმე დამთავრებულია, უფროსებს გაგონებაც კი არ

სურთ ამ ამბის. მათ ვეღარ გადაარწმუნებ. არანას უფრო ადრე გააცოცხლებ, ვიდრე მათ დაუმტკიცებ, შეცდით-მეთქი.

— მაშ, პოლკოვნიკთან აღარ წამიყვანთ? — ჰკითხა იაგუარმა — აღარც თქვენ გაგაგზავნიდნენ ხულიკაში, სენიორ ლეიტენანტო. ეგრე ნუ მიყურებთ. გგონიათ, არ ვიცი, რატომ დაგსაჯეს? წამიყვანეთ პოლკოვნიკთან.

— იცით, რას ნიშნავს ამაო მსხვერპლი? — თქვა გამბოამ. „რა“? — ჩაიბურტყუნა იაგუარმა — არც ერთი მებრძოლი, თუ ცოტა რაღაც გაეგება, ტყვიას არ ესვრის უიარაღოდ დანებებულ მტერს არა მარტო ზნეობრივი, არამედ სამხედრო მოსაზრებით და, თუ გნებავთ, ეკონომიის გამოც. ამაო მსხვერპლი ომშიაც კი არ დაიშვება. გამიგეთ? ამიტომ დაბრუნდით ისევ სასწავლებელში და შეეცადეთ, არანას სიკვდილი მომავალში მაინც გაკვეთილად გამოგადგეთ.

გამბოამ დახია ბარათი, ხელში რომ ეჭირა, და მიწაზე დაყარა.

— გასწით, — გაიმეორა, — მალე სადილი იქნება.

— თქვენ არ დაბრუნდებით, სენიორ ლეიტენანტო?

— არა, იქნებ ოდესმე შევხვდეთ. მშვიდობით.

მან ჩემოდანი აიღო და ბელიავისტასაკენ გაჰყვა გამზირს, იაგუარმა თვალი გააყოლა, მერე ქაღალდის ნაგლეჯები მოკრიფა მიწიდან. გამბოას ორად გაეხია წერილი. თუ შეაერთებდი, ადვილად წაიკითხავდი. გაუკვირდა, როცა იმ წერილის გარდა, სადაც მისი ხელით ეწერა: „ლეიტენანტო გამბოა, მათხოვარა მე მოვკალი. შეგიძლიათ პატაკი დასწეროთ და პოლკოვნიკთან წამიყვანოთ“, კიდევ ორი ქაღალდის ნაგლეჯი ნახა. „სამი საათის წინ გოგო შეეძინა. როსა თავს კარგად გრძნობს. მომილოცნია. წერილს ელოდე. ანდრესი“ — იუწყებოდა ტელეგრამა. იაგუარმა ნაკუწ-ნაკუწ აქცია ორივე ნაწერი და ხრამიდან გადაყარა, ქარს გაატანა. წამით ერთ სახლთან შეყოვნდა — ამ მაღალ შენობას დიდი ბაღი

ეხვია ირგვლივ. ეს სახლი გაქურდა მან პირველად. მერე სანაპიროსკენ გაუდგა გზას. აქაც შეჩერდა, ზღვას გადახედა. ზღვა აღარ იყო ისეთი ლეგა, როგორც ყოველთვის, ტალღები ნაპირს ეხეთქებოდა და მერე სწრაფად მიილტვოდა უკან.

თვალის დამაბრმავებლად ჩახჩახებდა ყველაფერი. გეგონებოდა, ქათქათა სახლებს გაუბრწყინებიათო ლურჯად მოკრიალებული ცა. ალბერტოს შიშით ვერ შეეხედა ერთიანად შემინულ კედლებისთვის, სადაც ათასფრად ელვარებდა მზე. იგი კაცს მართლაც დააბრმავებდა!.. თხელი აბრეშუმის პერანგი ეცვა და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა ტანზე. წარამარა პირსახოცით იმშრალებდა. რა საოცარია, გამზირი რომ ცარიელია; სხვა დროს აქაურობა პლაჟისაკენ ნელა მიმავალი მანქანებითაა ხოლმე გაჭედილი. ალბერტომ საათს დახედა, მაგრამ მაინც ვერ გაარჩია, რომელი საათი იყო — ისე მონუსხა ისრების, ციფერბლატის, ოქროს სამაჯურის ბრჭყვიალმა. მშვენიერი საათი იყო, ოქროს ბუდეში ჩასმული. წუხელ მდიდარამ უთხრა სალაზარის პარკში: „ქრონომეტრი გეგონებაო“. „სწორედ ქრონომეტრია და იმიტომ! — მიუგო მან, — რისთვის აქვს ოთხი ისარი და ორი ციფერბლატი, როგორ გგონია? თან არც ტყდება და არც წყალი შედის“. არ დაუჯერეს. მაშინ საათი მოიხსნა და მარსელას უთხრა: „მიდი და დააგდე, თავისი თვალით ნახონ“. მარსელამ კი ვერ გაბედა, შიშით კიოდა მხოლოდ. მდიდარა, ელენა, ემილიო, პაკო და ციცქნა აქეზებდნენ. „დავაგდო? არა, მართლა დავაგდო?“ „ჰო, ჰო, დააგდე, — ეუბნებოდა ალბერტო, — დააგდე და მორჩი“. მარსელამ ხელი გაუშვა. ყველა გაიტრუნა, შვიდი წყვილი დაჭყეტილი თვალი ელოდა, ლუკმა-ლუკმა როდის დაიმსხვრეოდა საათი. მაგრამ საათი მხოლოდ ახტა. ალბერტომ აიღო და ისევ მარსელას გაუწოდა: ერთი ნაკაწრიც კი არ ჩანდა არსად, ისევ ისე წიკწიკებდა. მე-

რე ბაღის პატარა შადრევანშიც ჩაჰყო ხელი იმის დასამტკიცებლად, წყალი არ შედის. ალბერტოს ღიმი მოერია და გაიფიქრა: „დღეს არ მოვიხსნი, ისე ვიცურავებ ნამგალაზე“. შობის უქმეზე აჩუქა მამამ, უთხრა: „გამოცდებზე კარგი ნიშნები რომ მიიღე, იმიტომ გჩუქნი. შენი ოჯახის ღირსი გახდი ბოლოს და ბოლოს. შენს ამხანაგებს ალბათ არ ექნებათ ასეთი საათი. შეგიძლია თავი მოიწონო“. წუხელ მართლაც ეს საათი გახდა სალაპარაკო საგანი. „იცის მამაჩემმა ცხოვრების გემო“, — გაიფიქრა ალბერტომ.

გაზაფხულის ქუჩაზე შეუხვია და სიამოვნება იგრძნო. მიაბიჯებდა დიდებულ სახლებსა და ბაღებს შუა. ფილაქანი მზეს გაეჩახჩახებინა. ხესა და ტოტებს მაქმანივით დაჰფენოდა შუქჩრდილი. „ზაფხულს არაფერი სჯობია, — გაუელვა თავში, — ხვალ ორშაბათია, მაგრამ ისიც ისე გაივლის; როგორც დღევანდელი კვირა. ცხრაზე ავდგები, მარსელას გავუვლი, სანაპიროზე წავიყვან. საღამოს კინოში წავალთ, მოგვიანებით ბაღში. სამშაბათსაც, ოთხშაბათსაც, ხუთშაბათსაც ასე იქნება, მთელი ზაფხული ასე ჩაივლის. მერე კი ჩემოდნები და ჰაიდა! სასწავლებელში აღარ უნდა დავბრუნდე. ვიცი, შტატები მომეწონება“. კიდევ ერთხელ დახედა საათს — ათის ნახევარი იყო. ახლა რომ ასე აცხუნებს მზე, თერთმეტზე რაღა იქნება? „დიდებული დღეა საბანაოდ“, — გაიფიქრა გუნებაში. მარჯვენა ხელით თეთრ-მწვანე ზოლიან პირსახოცში გახვეული საცურაო ტრუსი მიჰქონდა. მდიდარამ უთხრა, ათზე შევხვდეთო ერთმანეთს. ის კი უფრო ადრე მოვიდა. სასწავლებელში შესვლამდე სულ აგვიანებდა. ახლა პირიქით, თითქოს უნდა დაკარგული დრო აინაზღაუროს: მთელი ორი გაზაფხული ისე გაატარა შინ, არავის შეხვედრია! თუმცა ბიჭები არც მაინცდამაინც შორს ცხოვრობდნენ. ყოველთვის შეეძლო დილას მისულიყო კოლუმბისა და დიეგო ფერეს კუთხეში და მეგობრობა

განეახლებინა, ერთი-ორი სიტყვა ეთქვა: „სალამი, ბიჭებო. ზამთარში ვერ მოვდიოდი — მოგეხსენებათ ინტერნატის ამბავი. ახლა კი სამი თვე არდადეგები მაქვს და ეს დრო თქვენთან მინდა გავატარო, დავივიწყო ჯარიმები, სამხედროები და ყაზარმა“. თუმცა ჯანდაბას წარსული; ჩახჩახა მზიანი დილა გულს სალბუნად ეფინება და ხასხასა ყვითელი სხივები თოვლივით ადნობს ავ მოგონებებს.

თუმცა სულ მთლად ასე არაა. სასწავლებლის ყოველი გახსენება გუნებას უძმარავს და გულს ისე უკუმშავს, ვით მიმოზას ხელის შევლება. ეს კია, უსიამო გრძნობა ახლა ისევე ჩქარა ქრება, როგორც ტკივილი, როცა თვალში რაღაც ჩაგივარდება, წამით შეგაწუხებს და მერე გაგივლის. როცა ამ ორი თვის წინათ სასწავლებელს გაიხსენებდა, მთელი დღე აფორიაქება და უკმაყოფილება ეუფლებოდა. ახლა კი ბევრი რამ კინოსურათის ნაწყვეტებივით აგონდება. მათხოვარას სახე თან აღარ სდევს უკვე მთელი დღეობით. ბიჭმა ქუჩა გადაჭრა, მეორე სახლთან შედგა და დაუსტვინა. შესასვლელთან ჭრელად ღუოდა ყვავილნარი, მორწყული ბალახი მზეზე ბრჭყვიალებდა. „მოვდივარ“! — გაისმა წკრიალა ხმა. მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა. მარსელა ალბათ კიბეზე ჩამოდიო.. და ნეტა თუ მიიპატიჟებს, მაღლა ამოდიო? ალბერტოს უნდოდა ერთად გაესეირნათ, ხეების ჩრდილით ევლოთ ტრამვაის ხაზამდე. იქნებ კიდეც აკოცოს. მარსელა ბაღის სიღრმეში გამოჩნდა. შარვალი და თხელი, ჩაშვებული ხალათი ეცვა, შავი და ალუბლისფერი უჯრედებით. ღიმილით მოდიოდა, ალბერტოსაკენ. „რა ლამაზია“, — გაიფიქრა ბიჭმა. შავი თმა და შავი თვალები ჰქონდა, ბროლივით, თეთრი პირისკანი.

— გამარჯობა შენი, დღეს რა ადრე მოხვედი, — უთხრა მარსელამ — თუ გინდა წავალ, — იხუმრა ალბერტომ.

თავდაპირველად, მეტადრე იმ საღამოს შემდეგ, რაც სიყვა-

რული აუხსნა, ბიჭი ვერ იყო თამამად — ის სამი მძიმე წელი აშორებდა ბავშვობის საყვარელ სამყაროს. ახლა კი ისევ გალაღდა, სულ შეეძლო ეხუმრა და თავიც სხვებზე ნაკლებ არ მიაჩნდა, ზოგჯერ უფრო მეტადაც.

— რა სულელი ხარ, — უთხრა გოგომ..

— არ გავიაროთ? მდიდარა ნახევარი საათის შემდეგ მოვა მხოლოდ...

— წავიდეთ, — გოგომ საფეთქელზე მიიდო თითი. „ნეტა რაზე ფიქრობს?“ — ჩვენებს სძინავთ. გუშინ საღამოს დაპატიჟებულნი იყვნენ ანკონში. ძალიან გვიან დაბრუნდნენ. მე სულელი კი ცხრაც არ იყო, როცა ბაღიდან შინ წამოვედი.

სახლს ცოტაზე რომ დაშორდნენ, ალბერტომ ხელი ჩაჰკიდა.

— ხედავ რა მზეა? ბანაობისთვისაა ზედ გამოჭრილი — რაღაცა უნდა გითხრა, — დაიწყო გოგომ.

ალბერტომ შეხედა. გამომწვევად აპრეხილი პაწია ცხვირი ჰქონდა მარსელას და მომხიბლავი ღიმილი. „კალმით ნახატია“, — გაიფიქრა ბიჭმა.

— რა?

— წუხელ შენი ტურფა ვნახე.

მართალს ამბობს თუ ხუმრობს? ალბერტო ჯერაც ვერა და ვერ გაშინაურდა. ვინმემ თუ გადაკვრით თქვა რაღაცა, ის დაბნეული დგას ბრმასავით, მაშინ როცა ყველა უკვე ჩამხვდარია. ვერც ვერაფერს იზამს. ყაზარმა ხომ არაა, ვირულად შეუტიო.

თვალწინ დაუდგა შემზარავი, სამარცხვინო სურათი: მათხოვარა ტახტზეა დაკრული, იაგუარი და პითონი კი აფურთხებენ.

— რომელი ტურფა? — გაუბედავად იკითხა ბიჭმა — შენი ტერესა, ლინსეში რომ ცხოვრობს.

აქამდე არ უგრძვნია, როგორ ცხელოდა თურმე, ახლა კი ლამის გაითანგა და დაიხუთა ბიჭი.

— ტერესა? — მარსელამ გადაიკისკისა.

— აბა, რატომ გკითხე, სად ცხოვრობს-მეთქი?

მარსელას გამარჯვებული ხმა ჰქონდა, ძალზე კმაყოფილი ჩანდა თავისი ოინით.

— მდიდარამ პირდაპირ ბაღიდან წამიყვანა იქ თავისი მანქანით.

— მის სახლში წაგიყვანა? — ენა დაება ალბერტოს.

— ჰო, — შავი თვალები აუციმციმდა მარსელას — გინდა გითხრა, როგორ მოხდა? კარზე დავაკაკუნე და თვითონ გამიღო, ვკითხე, სენიორა გრელიო აქ ცხოვრობს-მეთქი, ჩემს მეზობელს ჰქვია ასე — გოგო გაჩუმდა, — ამასობაში კარგად დავათვალიერე.

ბიჭმა ცალყბად გაიღიმა. „რა დამთხვეული ხარ“, — წაიბურტყუნა, მაგრამ გუნება კი ჩაუშხამდა, თავმოყვარეობა შეელახა.

— თქვი, ძალიან გიყვარდა? — ჰკითხა მარსელამ მზაკვრულად და თან ალერსიანად.

— ცხადია, არა, ისე, დროს ვატარებდი.

— ულამაზო კი ყოფილა, — აფეთქდა უცებ მარსელა, — ტლანქი და ულამაზო..

— ალბერტოს კიდეც შერცხვა და კიდეც გაეხარდა. „გაგიჟებით ვყვარებივარ, — გაიფიქრა გულში, — ეჭვიანობს“.

— ხომ იცი, მარტო შენ რომ მიყვარხარ. შენსავით არავინ მყვარებია. მარსელამ ხელი მოუჭირა. ბიჭი შეჩერდა, გულში უნდა ჩაეკრა, მაგრამ გოგომ თავი გადააქნია, დამფრთხალმა მიმოიხედა. ირგვლივ არავინ ჩანდა. ალბერტომ მსუბუქად აკოცა ბაგეზე. მერე გზა განაგრძეს.

— რა გითხრა? — ჰკითხა ალბერტომ.

— მაგ გოგომ? — მარსელას ცივად გაეღიმა, — ბევრი არაფერი. მითხრა, ჩვენთან ესა და ეს სენიორა ცხოვრობსო. უცნაური გვარი თქვა, ვერც დავიმახსოვრე. გიყვარდეს, მდიდარა გაერთო. რაღაცა გადასძახა მანქანიდან, იმან კარი მოხურა. მეტი არაფერი. აღარ გინახავს?

— რა თქმა უნდა, არა..

— მითხარი, სალაზარის ბაღში თუ გისეირნია მაგასთან?

— ვერ მოვასწარი. სულ რამდენჯერმე შევხვდი ხან მის სახლში, ხან ლინსეში. მირაფლორესში მაგასთან არ ვყოფილვარ.

— რაზე წაიჩხუბეთ? — ალბერტო ამ კითხვას არ ელოდა. პირი გააღო, მაგრამ აღარაფერი უთქვამს. აბა როგორ აუხსნას, როცა თავისი თავისთვისაც ვერ აუხსნია? ტერესა მისი სამწლიანი ეპოპეის ერთ-ერთი მონაწილე იყო, ამ ეპოპეის მკვდრეთით აღდგენა კი სულაც არ ეპიტნავებოდა.

— რა ვიცი, — წაილაპარაკა ბიჭმა — სასწავლებელი როგორც კი დავამთავრე, მივხვდი, რომ აღარ მომწონდა, მას აქეთ არც მინახავს.

ტრამვაის ხაზს მიადგნენ და სასანგროს დაუყვნენ. ბიჭმა მარსელას ფრთხილად გადახვია ხელი მხრებზე, თითქოს ეშინია, ამ ნაზ, თბილ კანს არაფერი დავუშავოო. რატომ უამბო ტერესაზე? ყველა ჰყვება ხოლმე თავის სატრფიალო ამბებს, აკი მარსელამაც უამბო ვიღაც წმინდა ისიდორელ ბიჭზე. ალბერტო სხვებზე რა ნაკლები იყო. მან ხომ სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა, ეს კი სხვებზე მაღლა აყენებდა. ყველა ისე უყურებდა, როგორც დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ დაბრუნებულ გზააბნეულ შვილს. ნეტა რა იქნებოდა, იმ საღამოს დიეგო ფერეს კუთხეში ბიჭებს რომ არ შეხვედროდა.

— შეხეთ, მოჩვენება მოდის, — შესძახა მდიდარამ, — მაშ რა არის აბა, თუ არა მოჩვენება! ციცქნა მხარზე ეხვეოდა, ელენა უღიმოდა, მექსიკელი ვიღაც უცხო ბიჭებს აცნობდა, მოლი იძახდა: „სამი წელია არ გამოჩენილა, სულ დაგვივიწყა!“ „უსინდისო“, — ეუბნებოდა ემილიოც და მხარზე მეგობრულად უპარტყუნებდა.

— ნეტა როგორ არ გეშინიათ ამ მოჩვენების? — იმეორებდა მდიდარა.

იგი შინ იყო, სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა უკვე, სამხედრო

ფორმა სკამზე მიეგდო, კეპი — იატაკზე. დედა სადღაც გასულიყო. ცარიელმა სახლმა სულ მოშალა, სიგარეტი მოუნდა. ორი საათია უკვე თავისუფალია — ახლა რასაც უნდა, იმას გააკეთებს. მაგრამ დაიბნა, არ იცოდა, რა ექნა. „წავალ, სიგარეტს ვიყიდი და მერე ტერესას შევუვლი“, — გაიფიქრა. მაგრამ გარეთ რომ გავიდა და სიგარეტი იყიდა, ავტობუსში ჩაჯდა, მირაფლორესის ქუჩებში მოჰყვა ბორიალს, ტურისტისა თუ ვიღაც შემთხვევით შემოხეტებული მაწანწალის დარად, აგერ ლარკოს გამზირი, დიაგონალი, სალაზარის ბაღი. უცებ — ციცქნა, მდიდარა, ელენა, მოღიმარე სახეები — ყველანი — მიეხარენ.

— კარგ დროს კი გნახეთ, — უთხრა მოლიმ, — სწორედ ერთი კავალერი გვაკლია, ჩიისკაში გვინდა წასვლა. ახლა ბარემ რვა წყვილი ვიქნებით.

დაღამებამდე ილაქლაქეს და დათქვეს, მეორე დღეს ერთად წავიდეთო პლაჟზე. გამოეთხოვა და ნელა წავიდა შინისკენ, სულ სხვა ამბებზე დაფიქრებული. მარსელამ (ნეტა რა გვარია? წინათ არ უნახავს. თურმე გაზაფხულის ქუჩაზე ცხოვრობს და დიდი ხანი არაა მირაფლორესში დადის), უთხრა: „ხომ უთუოდ მოხვალ?“ საბანაო ხალათი საკმაოდ მოძველებოდა, დედას შეეხვეწება, ხვალვე უყიდოს ახალი, ნამგალაზე ჩაიცვამს პირველად.

— იფ! — შესძახა მდიდარამ, — რა სჯობია, მოჩვენებას რომ ხელს მოუთათუნებ.

— დიახ, დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეთ კაპიტანთან, — უთხრა ლეიტენანტმა უარინამ:

„ახლა ვერაფერსაც ვერ დამაკლებს, — გაიფიქრა ალბერტომ, — ატესტატები უკვე დაგვირიგეს. პირში ვეტყვი, ვინცა ბრძანდება“. მაგრამ უთხრა კი არადა, მოწიწებით გამოეჭიმა და მიესალმა. კაპიტანმა გაუღიმა, თვალი შეავლო მის საგარეო ფორმას.

„უკანასკნელად მაცვია“, — გაუელვა თავში, ალბერტოს. დიდ აღტაცებას მაინც არ ჰგვრიდა ის ფიქრი, რომ ამ წუთს სამუდამოდ დაემშვიდობება სასწავლებელს.

— ჩინებულია, — უთხრა კაპიტანმა, — ოღონდაც წაღები გაიწმინდეთ, მტვრიანია. წასვლის წინ პოლკოვნიკთანაც შებრძანდით.

მაინც შიშით ავიდა კიბეზე, რამე ოინი არ მიყონო. სამოქალაქოში მოსილმა კაცმა გვარი ჰკითხა და საჩქაროდ გაუღო კარი. პოლკოვნიკი საწერ მაგიდას უჯდა. მაშინდელივით ახლაც გაოცდა, ისე ლაპლაპებდა აქ ყველაფერი — იატაკი, კედლები, ავეჯი თუ პოლკოვნიკის პირისახე და თმა.

— მობრძანდით, მობრძანდით, კადეტო, — ბრძანა პოლკოვნიკმა — ალბერტო მაინც მოუსვენრად იყო. რა იმალება ამ მეგობრული სიტყვებისა და ალერსიანი მზერის მიღმა? პოლკოვნიკმა მიულოცა, გამოცდები ბრწყინვალედ ჩაგიბარებიათო.

— აი, ხომ ხედავთ? საკმარისია ცოტაოდენ თავი შეიწუხოს კაცმა და ბევრი რამ გამოსწორდება. თქვენ ჩინებული ნიშნები მიგიღიათ — ალბერტო გაუნძრევლად იდგა, დაძაბული უსმენდა და კრინტს არა სძრავდა — ჯარში, — ქაქანებდა პოლკოვნიკი, — ადრე თუ გვიან სიმართლე გაიმარჯვებს. ამას ვერ წაართმევ ჯარს, იმედია, საკუთარმა გამოცდილებამ უკვე დაგარწმუნათ ამ ამბავში, კადეტო ფერნანდეს. აბა, თავადვე განსაჯეთ: ლამის ჩირქი მოსცხეთ თქვენს დიდებულ გვარს, ოჯახის დიდებულ ადათებს. მაგრამ ჯარმა უკანასკნელი საშუალება მოგცათ გამოსწორების. ახლა მე აღარ ვნანობ ამას. მომეცით ხელი, კადეტო.

რბილი, თანთალა ხორცის გუნდა რამდენიმე ხანს ეჭირა ხელში ალბერტოს.

— თქვენ გამოისყიდეთ თქვენი დანაშაული, — განაგრძო პოლკოვნიკმა — დიახ, გამოისყიდეთ. ამიტომაც დაგიბარეთ ჩემთან. მომავალში რას აპირებთ?

— ინჟინერი მინდა გამოვიდე, — უთხრა. ალბერტომ.

— კარგია, კარგია, — ბრძანა პოლკოვნიკმა — ჩვენს ქვეყანას ტექნიკური კადრები სჭირდება. ჩინებული და გამოსადეგი ხელობა აგირჩევიათ. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

ახლა კი გაეღიმა ალბერტოს და თქვა:

— არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა, სენიორ პოლკოვნიკო. ძალზე მადლობელი ვარ თქვენი.

— ახლა წაბრძანდით, ოღონდაც არ დაგავიწყდეთ, ყოფილ კადეტთა კავშირში ჩაეწეროთ. ჩვენმა ყოფილმა აღზრდილებმა სასწავლებელთან არ უნდა გაწყვიტონ ურთიერთობა. ჩვენ ხომ, ასე ვთქვათ, ერთ დიდ ოჯახს შევადგენთ — პოლკოვნიკი წამოდგა, ალბერტო კარამდე მიაცილა და მხოლოდ მაშინ გაახსენდა რაღაც — ჰო, კინაღამ არ დამავიწყდა ერთი წვრილმანი, — თქვა მან და ხელით წრე შემოხაზა ჰაერში.

ალბერტო ისევ გაიჭიმა.

— გახსოვთ ის ნაწერები? მიხვდებით ალბათ, რასაც ვგულისხმობ. ულამაზო ამბავი იყო. ალბერტომ თავი დახარა და წაილუღლუღა — დიახ, სენიორ პოლკოვნიკო.

— მე ჩემი სიტყვა შევასრულე, — ბრძანა პოლკოვნიკმა — მე სიტყვის კაცი ვარ. თქვენს მომავალს ვეღარაფერი დაჩრდილავს. მე ისინი დავწვი — ალბერტომ გულწრფელი მადლობა მოახსენა და სულ თავის კვრით გამოვიდა კაბინეტიდან. პოლკოვნიკი კი ზღურბლზე იდგა და იღიმებოდა.

— მოჩვენება, ხალხნო, ხორცშესხმული მოჩვენება! — გაიძახოდა ისევ მდიდარა.

— მოკეტე ახლა, — შეუტია ციცქნამ, — მისი დაბრუნება ყველას გვიხარია. დაგვაცალე ლაპარაკი.

— უნდა დავთქვათ, როდის გავისეირნოთ, — ჩაურია მოლიმ.

— რა თქმა უნდა, თანაც ახლავე, — თქვა ემილიომ.

— გვისეირნია მოჩვენებასთან და ეგ არი, — წამოიძახა მდიდარამ — შენი გულისა.

ალბერტო ჩაფიქრებული, გაოგნებული გამობრუნდა სახლისკენ. ზამთარი ეთხოვებოდა მირაფლორესს, მოულოდნელად დაახვია ნისლი, ლარკოს გამზირზე ტროტუარები და ხის კენწეროები შებურა. მიიბჟუტა ფარანთა შუქი. ნელ-ნელა დადნა, დაილია ხსოვნაში საგნები, ადამიანები, მოგონებანი — არანა, იაგუარი, ყაზარმა, ჯარიმები — ყოველივე ამან დაკარგა სიცხადე. მეხსიერებაში ამოტივტივდა კარგა ხანია გადავიწყებული სხვა გოგობიჭები, ფიქრში ესაუბრება მათ დიეგო ფერეს კუთხეში პატარა ოთხკუთხა მწვანე მინდორზე. თითქოს არაფერი შეცვლილა ამ ხანში, მისთვის ახლობელია მათი ენა, ჩვევანი, ადვილი და ბუნებრივი — მათთან ყოფნა, დრო შეუმჩნევლად გადის მათთან, სიამეს ჰგვრის ყველაფერი, თუნდაც იმ უცნობი პატარა, ნაზი შავთმიანი გოგოს ბრჭყვიალა შავი თვალები, წკრიალა ხმა და მეგობრული შეხუმრება. არავის გაჰკვირვებია, დაკავებული რომ ხელახლა იხილეს იგი თავის წრეში; სხვებიც დაკავებულიყვნენ, თითქოს უფრო მეტად მიჯაჭვოდნენ სამყაროს, ოღონდაც სული არ შესცვლოდათ: ისევე ახალისებდათ სპორტული შეჯიბრებები, დღესასწაულები, კინო, პლაჟი, სიყვარული, ხუმრობა, ჯიბრი. ოთახი ნელ-ნელა მოიცვა სიბნელემ. ალბერტო გულაღმა იწვა, თვალები ღია ჰქონდა და ოცნებობდა. ამ რამდენიმე წამში დიდი ხნის მიტოვებულმა სამყარომ ხელახლა გაუხსნა კარი, ხელახლა მიიღო იგი თავის წიაღში, ყოველგვარი გამოძიებისა და დაკითხვის გარეშე, თითქოს მთელი ეს სამი წელი ერთგულად უნახავდა ალბერტოს ადგილს.

— მერე და არ გრცხვენოდა? — ჰკითხა მარსელამ — რისა? — მასთან ქუჩაში სეირნობის.

ბიჭს სისხლმა აასხა თავში. აბა, როგორ აუხსნას, რომ რცხვე-

ნოდა კი არადა, ტერესას სიამაყითაც უჩვენებდა მთელ ქვეყნიერებას? აბა, როგორ აუხსნას, რომ მთელი ეს სამი წელი ყველაზე მეტად სწორედ ის აწამებდა, რომ ასე განსხვავდებოდა ტერესასაგან, ასე განსხვავდებოდა ლინსელ, ხიდქვეშა ბიჭებისაგან? აბა, როგორ აუხსნას, რომ მისი წარმომავლობა უფრო ამცირებდა და არკი ამაღლებდა ლეონსიო პრადოს სასწავლებელში?

— არა, არ მრცხვენოდა.

— მაშასადამე, გყვარებია, — წაილაპარაკა მარსელამ, — ფუ, სირცხვილო! — ბიჭმა ხელი მოუჭირა. გული აუჩქროლდა, როცა გოგოს თეძოს შეეხო, შეჩერდა.

— არა, ალბერტო, აქ არა, — შეემუდარა გოგო.

მაგრამ არ გაძალიანებია, როცა ალბერტომ ტუჩებში აკოცა. ბიჭი რომ მოწყდა და თავი გადასწია, გოგოს სიხარულით გაუბრწყინდა პირისახე, თვალები უციმციმებდა.

— შენი დედ-მამა რაღას ამბობდა? — ჰკითხა მარსელამ — დედ-მამა? — ჰო, მაგ გოგოზე — არაფერს, აზრზე არ იყვნენ...

ისინი რიკარდო პალმას შუა ბულვარზე მიდიოდნენ, მაღალ ხეებს ხეივანში გრძელი ჩრდილები დაეფინა. გზაში დაინახეს ვიღაც გამვლელები, ყვავილების გამყიდველი ქალის ფარდული. ალბერტომ მარსელას მხრიდან ხელი ჩამოუშვა და ხელში ჩაჰკიდა. შორს მანქანების ნაკადი მოჩანდა, ლარკოს გამზირზე რომ გადადიოდნენ. „პლაჟზე მიდიან“, — გაიფიქრა ბიჭმა.

— ჩემზე კი იციან? — ჰკითხა მარსელამ.

— კი, და ძალიანაც უხარიათ. მამამ თქვა შენზე, ძალზე ლამაზიაო.

— დედამ? — დედამაც.

— მართლა?

— მართლა. იცი, ამას წინათ რა თქვა მამამ? სანამ გაემგზავრები, ერთ რომელიმე კვირას დაპატიჟე, ჩვენთან ერთად წამოვიდესო სამხრეთის პლაჟზე. მე, ჩემი დედ-მამა და შენ — რატომ

მაგონებ ისევ მაგ ამბავს?

— არა გრცხვენია, მარსელა, მე ხომ ყოველ წელს ჩამოვალ. არდადეგებს აქ გავატარებ, წელიწადში სამ თვეს აქ ვიქნები. გარდა ამისა, მალე დავამთავრებ კურსს. შეერთებულ შტატებში ჩვენსავით კი არაა საქმე, იქ ყველაფერი უფრო სწრაფად და უკეთ კეთდება.

— აკი თქვი, აღარ მოგაგონებო, — გაიბუტა გოგო, — გრცხვენოდეს!

— მაპატიე, შევცდი. ჰო, იცი რა? ჩემი დედ-მამა, მგონი, შერიგდნენ.

— ჰო, შენ მიამბე. მამაშენი აღარ იკარგება? ყველაფერი მისი ბრალია. ვერ გამიგია, დედაშენი როგორ უთმენს.

— ახლა ცოტა მოჭკვიანდა, — თქვა ალბერტომ, — სხვა სახლს ეძებენ, უფრო მოხერხებულს. მაგრამ ხანდახან ისევ გაქრება ხოლმე და მხოლოდ დილას გამოგვეცხადება. მაგას რა მოარჯულებს.

— შენ ხომ მასეთი არა ხარ?

— არა, მე დინჯი კაცი ვარ.

გოგონამ ნაზად შეხედა. „მე კარგად ვისწავლი და კარგი ინჟინერი გამოვალ, — გაიფიქრა ალბერტომ, — როცა დავბრუნდები, მამასთან ვიმუშავებ, ღია მანქანასა და აუზიან დიდ სახლს ვიყიდი. მერე მარსელას შევირთავ და დონჟუანობას დავიწყებ. ყოველ კვირას ცეკვაზე ვივლი, ბევრს ვიმოგზაურებ. რამდენიმე წლის შემდეგ აღარც გამახსენდება, თუ ოდესმე ლეონსიო პრადოში ვსწავლობდი“.

— რა იყო? რამ დაგაფიქრა? — ჰკითხა მარსელამ.

ისინი უკვე ლარკოს გამზირთან იყვნენ. იქ ირეოდნენ ქალები, ეცვათ ღია ფერის კოფთები და ქვედაკაბები, თეთრი ფეხსაცმელები, ეხურათ ჩალის ქუდები და ეკეთათ შავი სათვალე. ღია მანქანებში მხიარული ხალხი მოჩანდა, საბანაოდ გამოწყობილნი,

ისინი ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ.

— არაფერი, — უთხრა ბიჭმა — არ მიყვარს სასწავლებლის გახსენება.

— რატომ?

— იქ წარამარა გვსჯიდნენ, ეს კი ვერაფერი სასიამოვნო მოსაგონია.

— ამას წინ მამამ მკითხა შენზე, ნეტა რად მიაბარესო იმ სასწავლებელში

— რომ გამოვსწორებულიყავი. მამამ მითხრა, მღვდლებს დასცინი, სამხედროები კი ხელად მოგიგრეხენ კისერსო.

— მამაშენი უღმერთოა.

ახლა არეკიპას გამზირს გაუყვნენ. ორი მაისის ქუჩა რომ გადაჭრეს, ვიღაც ბიჭმა წითელი მანქანიდან ხელი დაუქნია და დაუძახა: „ჰეი, ალბერტო, მარსელა“ იმათაც დაუქნიეს ხელი.

— იცი, ეგ ურსულას წაეჩხუბა, — თქვა მარსელამ — მართლა?

მარსელამ დაწვრილებით მოუყვა ჩხუბის ამბავი. მაგრამ ბიჭი გულისყურით არ უსმენდა, მისდა უნებლიეთ გამბოაზე ფიქრობდა: „ალბათ ისევ მთებშია. მე რომ ადამიანურად მომეპყრა, იმიტომ გაასახლეს ლიმადან. ჩემმა სიმხდალემ დაღუპა. ახლა ალბათ წარჩინებასაც დაუყოვნებენ, კარგა ხანს აყურყუტებენ ლეიტენანტად. დამიჯერა და თავიც წააგო“.

— მისმენ თუ არა? — ჰკითხა მარსელამ.

— აბა არა. მერე რა იყო?

— ეგ სულ ურეკავდა თურმე, ურსულა კი ხმაზე ცნობდა და ტელეფონს უკიდებდა. რა ყოჩაღი გოგო ყოფილა, არა?

— სწორედ მოქცეულა.

— შენც იმ ბიჭივით მოიქცეოდი?

— არასოდეს.

— ვერ დაგიჯერებ, ყველა კაცი მატყუარაა. „გაზაფხულის ქუჩა-

ზე რომ გავიდნენ, მდიდარას მანქანაც გამოჩნდა. მდიდარა მანქანიდან გადმოვიდა და მუშტი დაუქნია ორივეს. ყვითელი პერანგი ეცვა, კოჭებზე გადაკეცილი ხაკისფერი შარვალი, ღია ყავისფერი მოკასინები და წინდები — ჰაი, თქვე უსინდისოებო, თავხედებო! — იძახდა იგი.

— რა საყვარელი ბიჭია, არა? — უთხრა მარსელამ, — ვგიჟდები მაგაზე.

გოგომ მდიდარასთან მიირბინა. ბიჭმა ხუმრობით წაუჭირა ყელში ხელები. მარსელას კისკისი თითქოს მოჩუხჩუხე წყაროსავით აგრილებდა ამ მზიან დილას. ალბერტო ღიმილით წავიდა მათკენ.

— მე კი მეგონა, უკვე მოიტაცა-მეთქი, — სიყვარულით დაჰკრა ხელი მდიდარამ მხარზე..

— ერთი წამით დამიცადეთ, — თქვა მარსელამ — საბანაო ჩასაცმელს წამოვიღებ და მოვალ..

— აბა, არ დააგვიანო, თორემ აღარ დაგიცდით, — უთხრა მდიდარამ.

— ჰო, — გაიმეორა ალბერტომ — არ დააგვიანო, თორემ აღარ დაგიცდით.

— მერე იმან რა გითხრა? — იკითხა კნაჭა იგერასმა.

ერთ ადგილს მიეყინა გოგო. ხომ ასე ღელავდა იაგუარი, თავში მაინც გაჰკრა: „არ დავვიწყნივარ“. მღვრიე შუქი უხილავ წვიმასავით იღვრებოდა ციდან ლინსეს განიერსა და სწორ ქუჩაზე. ყველაფერი ლეგა ფერისა ჩანდა ამ შუქზე, — საღამო, ძველი სახლები, მძიმე, აუჩქარებელი ნაბიჯებით მიმავალი თუ მომავალი ადამიანები, ერთნაირი ბოძები, დაბრეცილი ტროტუარები, ჰაერში მორიალე მტვერი.

— არაფერი. თვალები დაჭყიტა მხოლოდ, თითქოს შეეშინდაო.

— მიჰქარავ, მაგას ვერ დაგიჯერებ, — თქვა კნაჭამ, — რაღაცას, მაინც გეტყოდა, ან „გაგიმარჯოსო“, ან „სად დაიკარგეო?“ ან „როგორ ხარო?“ — არა, არაფერიც არ უთქვამს, ვინემ იაგუარი არ დაელაპარაკა ისევ. პირისპირ რომ შეეჩეხა, პირველი სიტყვები მოულოდნელად მბრძანებლური კილოთი ნათქვამი გამოუვიდა: „ტერესა, აღარ გახსოვარ? როგორა ხარ?“ იაგუარი იღიმებოდა, თავს აჩვენებდა, ვითომდა მოულოდნელად შეხვდა, სრულიად შემთხვევით. მაგრამ გაღიმება კი ძალიან გაუჭირდა. როგორც ნოტიო კუნძზე უეცრად ამოიყრება ხოლმე თეთრი სოკოები, ისე უცაბედად შეიპყრო საოცარმა სისუსტემ, ხელ-ფეხი მოუდუნდა. წამით საოცრად მოუნდა გასცლოდა, გზა გაეგრძელებინა ან უკან გაბრუნებულიყო, გვერდზე გაეხვია, ჯიბეში ჩაეყო ხელები ან პირისახეზე აეფარებინა, გულში კი უცნაური ცხოველური შიში ჩაუდგა. ასე ეგონა, ახლა რაც არ უნდა მოემოქმედა, ყველაფერი დაღუპავდა.

— შენ რაღა ჰქენი? — ჰკითხა კნაჭა იგერასმა.

— ისევ გავუმეორე: „გამარჯობა შენი, ტერესა აღარ გახსოვარ?“ მაშინ კი მითხრა: „როგორ არ მახსოვხარ, ვეღარ გიცანი“.

იაგუარმა სული მოითქვა. ტერესა უღიმოდა, ხელიც გაუწოდა, ჩამოართვა და მყისვე უკანვე წაიღო, ძლივს მოასწრო თითების შეხება. მაგრამ ბიჭი კი მაშინვე დამშვიდდა, უსიამო აღელვება და შიში გაუქრა.

— აბა, უყურე, რა ყოფილა! — წაილაპარაკა კნაჭა იგერასმა, იაგუარი კუთხეში იდგა და უგულისყუროდ იხედებოდა აქეთ-იქით, ვინემ მენაყინე შოკოლადიან და ვანილიან ნაყინს ერთად მისცემდა. მისგან რამდენიმე ნაბიჯზე ლიმა-ჩორილიოსის ტრამვაიმ ერთი დაიჟღრიალა და ხის ფარდულთან გაჩერდა. ცემენტის ბაქანზე მომლოდინე ხალხი ამოძრავდა, რკინის კარს დაეხვია, ჩამომსვლელ მგზავრებს გზა შეუკრეს, ისინიც მუჯლუგუნებით ჩამოდიოდნენ. კიბის საფეხურზე ტერესა გამოჩნდა, მის წინ ორი

ქალი იყო, უამრავი შეხვეულები ეკავათ. ტერესა ძლივს ჩამოდიოდა. მენაყინემ იაგუარს ნაყინი გაუწოდა. მანაც ჩამოართვა, ხელი მოუჭირა და ნაყინის ბურთი წაღაზე დაეტყლაპნა. „ეშმაკსაც წაუღიხარ.. — უთხრა მენაყინემ, — შენი ბრალია, ხომ არ გგონია, ახალი მოგცე“. იაგუარმა ფეხი მოიქნია და ნაყინი რამდენიმე ნაბიჯზე გასტყორცნა. მერე გატრიალდა და წავიდა, მაგრამ მალე შედგა, უკან მოიხედა: ტრამვაის ბოლო ვაგონი უკვე კუთხეს ეფარებოდა. სწრაფად მობრუნდა და ტერესა დაინახა. კარგა შორს მიდიოდა მარტო. უკან გასდია, გამვლელების ზურგს ამოფარებულმა. „ახლა რომელიმე სახლში შევა და ვეღარ ვნახავ, — გაიფიქრა, მერე გადაწყვიტა — უბანს შემოვუვლი, თუ კუთხეში შემხვდა, მივალ“. ჯერ ნელა გაიქცა, მერე გიჟივით მოჰკურცხლა, რომელიღაც ქუჩაში შეუხვია და ვიღაც გამვლელი წააქცია. იმანაც გინებ-გინებით გამოაცილა. შეჩერდა მთლად გაოფლიანებული, სულს ძლივს ითქვამდა. შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, თვალებზე ხელი მიიფარა, გაიხედა და დაინახა, ტერესა მისკენ მოდიოდა.

— შემდეგ? — ჰკითხა კნაჭამ.

— ვილაპარაკეთ, — თქვა იაგუარმა, — ვიმუსაიფეთ.

— დიდხანს ისაუბრეთ? რამდენ ხანს?

— არ ვიცი, — უთხრა იაგუარმა, — მგონი, დიდხანს. არა, სახლამდე მივაცილე.

ტერესა მარცხენა მხარეს მიდიოდა, ის კი ტროტუარის კიდეს მიჰყვებოდა. მიდიოდა და დროდადრო თავს იაგუარისკენ ატრიალებდა. თვალები კიდევ უფრო შუქიანი გახდომოდა ტერესას, მზერაც უფრო მტკიცე, ზოგჯერ გამომწვევიც.

— ხუთი წელი გავიდა, არა? — თქვა ტერესამ, — იქნებ მეტიც.

— ექვსი, — წაილაპარაკა იაგუარმა და ხმადაბლა დაატანა, — და სამი თვე.

— დრო მირბის, სიბერე საცაა მოგვადგება, — თქვა ტერესამ და

გაიცინა. „უკვე დაქალებულა“, — გაიფიქრა იაგუარმა.

— დედაშენი როგორაა? — ჰკითხა ტერასამ.

— არ იცოდი? მოკვდა — აი, მაშინ უნდა.. — თქვა კნაჭამ — როგორ შეხვდი ამ ამბავს?!

— შეჩერდა, — მიუგო იაგუარმა. სიგარეტი კბილებში გაერჭო და კვამლის სქელ სვეტს მიჩერებოდა, ცალ ხელს კი მოთხვრილ მაგიდაზე აკაკუნებდა — ასე თქვა: „ვაი, საწყალი რარიგ მეცოდება!“

— აი, მაშინ უნდა გეკოცნა და რაღაც გეთქვა, — ჩაურია კნაჭამ — შესაფერისი წუთი იყო.

— ჰო, — ჩაილაპარაკა იაგუარმა, — ცოდვაა.

ისინი დადუმდნენ, მერე გზა განაგრძეს. იაგუარმა ჯიბეებში ჩაიწყო ხელები, ტერესას ჩუმ-ჩუმად გასცქეროდა. უცებ თქვა:

— მე მინდოდა შენთან მელაპარაკნა. დიდი ხანია მინდოდა, მაგრამ არ ვიცოდი, სად იყავი.

— ოჰო! გაბედე ხომ მაინც, — თქვა კნაჭამ.

— ჰო, — წაილაპარაკა იაგუარმა, იგი განრისხებით მიცერებოდა კვამლს, — ჰო.

— ჰო, — თქვა ტერესამ — რაც გადავედით, ბელიავისტაში აღარც ვყოფილვარ. რამდენი ხანი გავიდა...

— მინდოდა ბოდიში მომეხადა, — უთხრა იაგუარმა, — პლაჟზე რაც მოხდა, იმაზე.

ტერესას არაფერი უთქვამს, მხოლოდ გაკვირვებით შეხედა. იაგუარმა თვალები დახარა და წაიბურტყუნა:

— შეურაცხყოფა რომ მოგაყენე.

— მე აღარც მახსოვს, — თქვა ტერესამ, — მაშინ ბავშვები ვიყავით, მოგონებაც არ ღირს. პოლიციელმა რომ წაგიყვანა, ძალიან შემეცოდე. ჰო, იცი, კიდევ რა იყო, — ტერესა სივრცეში იყურებოდა, მაგრამ ბიჭი მიხვდა, რომ იგი წარსულს უყურებდა, მის წინ მარაოსავით გაშლილ წარსულს — იმ საღამოს შენთან მოვედი და

დედაშენს ყველაფერი ვუამბე. დედაშენი პოლიციაში წასულიყო, იქ კი ეთქვათ შენზე, უკვე გამოვუშვითო. მთელი საღამო ჩემთან იჯდა და ტიროდა. რა მოხდა? რატომ აღარ მობრუნდი? — ესეც დროული წუთი იყო, — თქვა კნაჭა იგერასმა, რომელსაც უკვე დაეცალა ჭიქა და ახლა პირთან გაეჩერებინა ორი თითით, — ჩემი აზრით, ფრიად მგრძნობიარე წუთიც...

— მეც ყველაფერი ვუამბე, — უთხრა იაგუარმა.

— რას ნიშნავს ყველაფერი? როგორ მომადექი ძაღლივით? როგორ გახდი ქურდი და გარყვნილი?

— ჰო, ისიც ვუამბე, როგორ ვლოთობდით. მაშასადამე, რაც მახსოვდა, ყველაფერი. ოღონდაც საჩუქრებზე არ დამიძრავს კრინტი. მაგრამ თვითონვე მიხვდა

— აჰ, მაშ იმ საჩუქრებს შენ მიგზავნიდი? — ჰკითხა ტერესამ..

— აბა, უყურე, — წაილაპარაკა კნაჭა იგერასმა, — შემოსავლის ნახევარს საროსკიპოში ხარჯავდი, დანარჩენზე კი საჩუქრებს ყიდულობდი მისთვის. ბიჭი შენ ყოფილხარ!

— არა, საროსკიპოში თითქმის არაფერი დამიხარჯავს, ქალები ფულს არ მართმევდნენ.

— ეგ რატომ გააკეთე? — ჰკითხა ტერესამ.

იაგუარმა არ უპასუხა, ჯიბიდან ხელები ამოეღო და თითებს იმტვრევდა.

— შენ მე გიყვარდი? — ჰკითხა ტერესამ.

იაგუარმა შეხედა. ტერესა არ გაწითლებულა, მშვიდ პირისახეზე ოდნავ, ოდნავ ეტყობოდა ცნობისმოყვარეობა.

— ჰო, — უთხრა იაგუარმა, — იმიტომაც ვეჩხუბე იმ ბიჭს პლაჟზე.

— იეჭვიანე? — ტერესას ხმამ შეაცბუნა ბიჭი, მრავლისმეტყველი და თან გაუგებარი იყო..

— ჰო, იმიტომაც მივაყენე შეურაცხყოფა. მაპატიე?

— კი, — თქვა ტერესამ, — მაგრამ მერე უნდა დაბრუნებულიყავი. რატომ არ მოხვედი ჩემთან?

— შემრცხვა. როცა კნაჭა დაიჭირეს, მაშინ მოვედი.

— შენ ჩემზეც უამბე? — შესძახა ნასიამოვნებმა კნაჭამ, — მაშასადამე, მართლა ყველაფერი გიამბნია.

— მაგრამ შენ არ დამხვდი, შენს ბინაში სხვები ცხოვრობდნენ, ჩვენს სახლშიც, უთხრა იაგუარმა. — მე ხშირად მიფიქრია შენზე, — წაილაპარაკა ტერესამ და მრავლისმეტყველად დაამატა — იცი? შენ რომ ბიჭი გალახე, მერე აღარც მინახავს პლაჟზე.

— არც ერთხელ?

— არც ერთხელ, — უთხრა ტერესამ — პლაჟზე აღარ მოსულა — და ისე გადაიკისკისა, თითქოს აღარ ახსოვდა აღარც ქურდობისა და აღარც როსკიპების ამბავი; თვალები უდარდელად, მხიარულად უცინოდა — საწყალს შეეშინდა, კიდევ არ მცემოსო.

— გულმშვიდად ვერ შემეხედა მისთვის — გახსოვს, სკოლასთან რომ მხვდებოდი? — ჰკითხა ტერესამ.

იაგუარმა თავი დაუქნია. ისე ახლოს მიჰყვებოდა, ზოგჯერ მკლავით ეხებოდა.

— ყველა გოგოს ჩემი კავალერი ეგონე, — თქვა ტერესამ — „ბებერი“ შეგარქვეს. ყოველთვის ისეთი უჟმური იყავი...

— შენ რას აკეთებ ახლა? — ჰკითხა იაგუარმა

— მართლაც კი, — თქვა კნაჭა იგერასმა, — რას აკეთებდა მთელი ეს წლები? — სკოლა აღარ დაუმთავრებია, — წარმოთქვა იაგუარმა, — ერთ დაწესებულებაში მდივნად დაუწყია მუშაობა. აქამდე იქ მუშაობს.

— ის არ გითხრა, კიდევ რამდენი ტუტუცი გაარშიყებია? — ჰკითხა კნაჭა იგერასმა.

— ერთ ბიჭთან დავდიოდი. იქნებ ისიც გალახო? — უთხრა ტერესამ. ცოტა ხანს დადგნენ და არც შეთანხმებულან, ისევე განაგრძეს გზა.

— აბა, უყურე, — თქვა კნაჭა იგერასმა, — მგონი, გაჩარხულა საქმე. კიდევ რა გიამბო?

— იმ მუდრეგს მიუტოვებია, — თქვა „იაგუარმა, — აღარ მოსულა და მორჩა. ერთხელ დაუნახავს, ვიღაც გამოპრანჭულ გოგოს მიყვებოდა თურმე ხელგაყრილი, მდიდრის ოჯახიდან, გესმის? ასე თქვა, მთელი ღამე არ მიძინია, მონაზვნად მინდოდა შესვლა.

კნაჭა იგერასმა გადაიხარხარა, ჭიქა უკვე დაცალა და ოფიციანტს ანიშნა, კიდევ დამისხიო.

— ნაღდში ჰყვარებიხარ, — თქვა კნაჭა იგერასმა — თორემ თავის დღეში არ გეტყოდა მაგას. ხომ იცი, ქალები რა კუდაბზიკები არიან. შენ რა ჰქენი?

— მიხარია, რომ იმ ტიპმა მიგატოვა, — უთხრა იაგუარმა, — ახია შენზე. ხომ გამოსცადე, მე რასაც ვგრძნობდი, როცა იმ ბიჭთან დადიოდი პლაჟზე.

— იმან რაო? რა გითხრა? — ჰკითხა კნაჭამ.

— რა ბოროტი ხარ, — თქვა ტერესამ და ხუმრობით მოუქნია ხელი, მაგრამ აღარ დაუშვა, ჰაერში გააჩერა და ანაზდად ეშმაკურად, ანცად გამოხედა. იაგუარმა ხელი მოჰკიდა და მიიზიდა. ტერესა არ გაძალიანებია, თავი მიახუტა მკერდზე და მეორე ხელი შემოხვია.

— მაშინ ვაკოცე პირველად, — წაილაპარაკა იაგუარმა — რამდენჯერმე ვაკოცე ტუჩებში. იმანაც მაკოცა.

— ყველაფერი გასაგებია, ძმაო, — თქვა კნაჭამ — ყველაფერი. როდის დაიწერეთ ჯვარი?

— მალე, თხუთმეტი დღის შემდეგ, — უთხრა იაგუარმა.

— ძალიან გიჩქარია, — კნაჭას ჭიქა ეჭირა ხელში და ნელა ატრიალებდა, გამჭვირვალე სითხე ხან აიწეოდა, ხან ისევ დაიწეოდა.

— მეორე დღეს კანტორაში მომაკითხა. ცოტა გავისეირნეთ, მერე კინოში წავედით. იმ საღამოს ტერესამ მითხრა, დეიდაჩემს

ყველაფერი ვუამბეო. თურმე გაცოფებულა, თვალით არ მეჩვენოსო, უთქვამს.

— აფერუმ, გოგო! — შესძახა კნაჭა იგერასმა. ნახევარი ლიმონი პირში ჩაიწურა და ანთებული თვალები ჭიქისთვის არ მოუშორებია, ისე ხარბად მიიტანა პირთან — შენ რაღა ჰქენი?

— ბანკში გამოვართვი წინასწარ ფული. ადმინისტრატორი კარგი კაცია. ერთი კვირით გამიშვა. მითხრა: „მიყვარს, ხალხი თავს რომ იღუპავს. ითხოვეთ ცოლი, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, შემდეგ ორშაბათს კი დილის რვაზე აქ იყავით“.

— მიამბე ერთი მაგ დეიდის ამბავი, — უთხრა კნაჭა იგერასმა — მიხვედი მაგასთან?

— კი, მაგრამ მერე, — თქვა იაგუარმა — იმ საღამოს კი, როცა დეიდას ამბავი მიამბო, ვკითხე, ცოლად თუ გამომყვები-მეთქი — მე კი, — თქვა ტერესამ, — ოღონდ დეიდას რა ვუყო?

— დედა ვატირე მე მაგისი, — წაილაპარაკა იაგუარმა.

— დაიფიცე, რომ მართლა ეგრე უთხარი, — უთხრა კნაჭა იგერასმა.

— ჰო, — თქვა იაგუარმა — ჩემთან ეგეთ სიტყვებს ნუ ამბობ, — უთხრა ტერესამ.

— მართლა კაი გოგო ყოფილა, — წარმოთქვა კნაჭამ — რაც შენ მოჰყევი, იმის მიხედვით კაი ჩანს. ტყუილად შეუგინე დეიდა.

— ახლა კარგადა ვართ ერთმანეთში, — წაილაპარაკა იაგუარმა — მაგრამ ჯვრისწერის მერე რომ მივედით, თავში ჩამაფარა.

— მაგარი ქალი ყოფილა, — თქვა კნაჭამ — სად დაიწერეთ ჯვარი?

— უაჩოში. მღვდელი ჯერ გაჯიქდა, გამოცხადებაა საჭირო და კიდევ რაღაცაო ჯვარზე მაცვა პირდაპირ.

— წარმომიდგენია, — თქვა კნაჭამ.

— ნუთუ არ გესმით, რომ მოვიტაცე? — უთხრა იაგუარმა — თით-

ქმის აღარ დამრჩა ფული. როგორ გინდათ, კიდევ რვა დღე ვიცადო?

ეკლესიის სალაროს კარი ღია იყო. მღვდლის მელოტი თავის ზემოთ ეკლესიის კედელი მოჩანდა. ჭუჭყით აჭრელებულ ბათქაშზე ხატების ვერცხლი ბრწყინავდა. მღვდელს ხელები დაეკრიფა, თითები კი იღლიაში შეედო, თითქოს იქ დააბუდაო. ეშმაკურად იმზირებოდა. ტერესა იაგუარს ედგა გვერდით, პირი დაეღო და ვედრებით შესცქეროდა. უცბად წაისლუკუნა.

— რომ დავინახე, ტირის-მეთქი, გავცეცხლდი კაცი, — თქვა იაგუარმა — მღვდელს. ყელში ვწვდი. — რა, პირდაპირ ყანყრატოში? — ჰკითხა კნაჭამ.

— ჰო, — თქვა იაგუარმა, — თვალებიც კი გადმოეკარკლა.

— იცით კი, რამდენი დაგიჯდებათ? — წაილაპარაკა მღვდელმა. იგი კისერზე ისვამდა ხელს.

— დიდი მადლობა, მამაო, — უთხრა ტერესამ, — დიდი მადლობა, საყვარელო.

— რამდენი? — ჰკითხა იაგუარმა — სულ რამდენი გაქვს? — ჰკითხა მღვდელმა.

— სამასი სოლი, — თქვა იაგუარმა.

— მაგის ნახევარი, — წაილაპარაკა მღვდელმა, — ჩემთვის კი არ მინდა, გაჭირვებულებისთვის გართმევ.

— ჰოდა, დაგვწერა ჯვარი, — თქვა იაგუარმა — არ ყოფილა ცუდი კაცი. თავისი ფულით იყიდა ერთი ბოთლი ღვინო და იქვე დავლიეთ, სალაროში. ტერესას ცოტა თავბრუც დაეხვა.

— დეიდამ რაღა ქნა? — ჰკითხა კნაჭამ — ჩქარა მიამბე დეიდას ამბავი, ღმერთი იწამე.

— მეორე დღეს ლიმაში დავბრუნდით და პირდაპირ მაგასთან მივედით. ვუთხარი, უკვე ჯვარი დავიწერეთ-მეთქი, და ქაღალდიც ვაჩვენე, მღვდელმა რომ მოგვცა. სწორედ მაშინ იყო მითაქა თავში. ტერესა გაბრაზდა. „შენ თავკერძა ხარო, — უთხრა, — ასეთი და

ისეთიო“. ბოლოს ორივემ იტირეს. მიმატოვებთო, იძახდა დედა-ბერი, ძაღლივით უპატრონოდ ამომხდებაო სული. მე ვუთხარი, ჩვენთან იცხოვრებ-მეთქი. მაშინ დაწყნარდა, მეზობლებს დაუძა-ხა, თქვა, ქორწილი უნდა გადავიხადოთო. არაა ცუდი ქალი, ხან-დახან ბუზღუნებს, თორემ მე არ მაწუხებს.

— მე კი ვერ გავძლებდი მაგ დედაბერთან, — წაილაპარაკა კნა-ჭა იგერასმა. უკვე აღარ აინტერესებდა იაგუარის ნაამბობი — პა-ტარაობაში ჩემს გიჟ ბებიასთან ვცხოვრობდი. მთელი დღე თა-ვისთვის ტუტუნებდა და ვითომ ქათმებს უცაცხანებდა, თუმცა ქა-თამი სად იყო. მეშინოდა მისი. დედაბერს რომ დავინახავ, მაშინ-ვე ბებიაჩემი მაგონდება. არა, დედაბერთან ნაღდში ვერ გავ-ძლებდი. ყველანი ცოტა არ იყოს...

— ახლა რას აპირებ? — ჰკითხა იაგუარმა.

— მე? — დაიბნა კნაჭა იგერასი, — არ ვიცი. ჯერ ერთი, გემოზე გამოვთვრები. მერე კი ვნახოთ. გავივლ-გამოვივლი ცოტას, რა ხანია ქუჩებში არ მივლია.

— თუ გინდა ჩემთან იცხოვრე, — უთხრა იაგუარმა.

— გმადლობთ, — გაეცინა კნაჭას, — არა მგონია, მოვიდე. აკი გითხარი, დედაბერთან ვერ გავძლებ-მეთქი. გარდა ამისა, შენს ცოლს ალბათ არ ვეჭაშნიკები. არც უთხრა, თუ გამომიშვეს. რო-დესმე კანტორაში შემოგივლი და წავიდეთ, თითო-თითო გადავ-კრათ. ძალიან მიყვარს მეგობრებთან ლაილაი, ისე კი ხშირად ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს: შენ ახლა დარბაისელი კაცი ხარ, გზას დამდგარი, მე კი ეგეთებთან არაფერი მესაქმება.

— მაშ, ისევ შენსას განაგრძობ? — ჰკითხა იაგუარმა.

— ქურდობასო, გინდა თქვა? — კნაჭა, დაიღრიჭა — ალბათ კი. თუ იცი, რატომ? ხომ გაგიგია, მგელს სახარებას უკითხავდნენ, ის კი ტყისკენ იცქირებოდაო. ასე თქვა კულეპემ, მანამდე კი სჯობს ლიმას გავეცალო.

— იცოდე, მე შენი მეგობარი ვარ, — უთხრა იაგუარმა, — თუ რამე შემიძლია, მომაკითხე

— ახლაც შეგიძლია, — უთხრა კნაჭამ — არყის ფული გადაიხადე. გროშ-კაპიკი არ გამაჩნია.